ლონ ფეიხტვანგერი

შარკ ნეტონი



რომანი

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1963

И (Нф)
83 — 31
Ф 782

გამოჩენილი გერმანელი მწერლის, ლიონ ფოიხტვანგერის (1884 — 1958) სახელი ცნობილია მთელ მსოფლიოში. მისი შესანიშნავი რომანები თარგმნილია კაცობრიობის თითქმის ყველა კულტურულ ენაზე.

ლ. ფოიხტვანგერის შემოქმედებითი სიმწიფის ხანა დაემთხვა გერმანიაში ფაშიზმის ბატონობას. ბუნებრივია, რომ სახელგანთქმული მწერალი, ისევე, როგორც მაშინდელი გერმანიის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, განუდგა ფაშიზმს და წავიდა გერმანიიდან. ამ დროიდან მოყოლებული იგი თავისი კალმით დაუნდობლად ებრძოდა ჰიტლერის ძალმომრეობას. მის მოთხრობებსა და რომანებში დიდი სიმართლითაა ასახული ფაშისტური რეჟიმის მთელი საშინელება.

ლ. ფოიხტვანგერის ერთ-ერთი საყვარელი ჟანრია ისტორიული რომანი, მაგრამ ისტორია მისთვის თვითმიზანი არ არის. მწერალს, უპირველეს ყოვლისა, აწუხებს თანამედროვეობის მტკივნეული საკითხები და მისი ისტორიული რომანების უმრავლესობა სწორედ ამ თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხებს ეხმაურება.

ასეთ ნაწარმოებთა კატეგორიას მიეკუთვნება „ცრუ-ნერონიც" (1936). ამ რომანში აღწერილია ისტორიული ფაქტი, ამბავი ერთი მეკოთნისა, რომელიც იმპერატორობას მიელტვოდა.

თარგმანი გერმანულიდან

დ. ფერედიანისა და ჯ. ძარჩხაძისა

რაჲ ყოფილი, იგივე ყოფადი; და რაჲ ქმნადი, იგივე ქმნული, და არა არს ყოველივე ახალი მზესა ქუეშე. რომელი აღმოიტყუის და თქუას: „აჰა, ესე ახალ არს“, აწ იქმნა საუკუნეთა შინა-ქმნულთა წინასწარ ჩუენსა. არა არს ხსენება პირველთა და უკანასკნელთა; არა იყოს მათდა ხსენება ყოფადთა თანა უკანასკნელ.

ეკლესიასტე 1, 9—11

1

ორი პოლიტიკოსი

ექვს მარტს, როდესაც სენატორი ვარონი რომის საიმპერატორო პროვინციის — სირიის გუბერნატორთან სადარბაზოდ გაემართა, გამვლელები დიდხანს აყოლებდნენ თვალს მის ტახტრევანს. ორი დღის წინ ახალ გუბერნატორს — ცეიონს საზეიმოდ გადაეცა თავისი თანამდებობის სიმბოლო, ნაჯახი და წკეპლების კონა, და ყველას თვალში ეცა ის ამბავი, რომ სენატორი ვარონი, პროვინციაში ყველაზე გავლენიანი კაცი, ცერემონიალს არ ესწრებოდა. და ახლა, დაგვიანებით მიმავალი ვარონის დანახვაზე მთელი ანტიოქია ცნობისმოყვარეობით კითხულობდა, თუ როგორ შეეწყობოდა იგი ამ ახალ კაცს.

გაზაფხულის ნათელი დღე იყო, საკმაოდ გრილოდა და მთებიდან საამო ნიავი უბერავდა. პროცესიამ მთავარ ქუჩაზე გაუხვია, გრძელსა და ლამაზ ქუჩაზე. სენატორ ვარონს სქელ ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა: მისმა მახვილმა თვალმა მრავალი დაწესებულებისა და სავაჭრო სახლის წინ ახალი გუბერნატორის ბიუსტები შენიშნა, რომლებიც გულმოდგინე მოხელეებსა და მოქალაქეებს გამოეფინაო იგი სწრაფად მიმავალ

ტახტრევნიდან ათვალიერებდა ამ ბიუსტებს. უკან გადაზნექილ მხრებში პატარა. გაძვალტყავებული თავი ჩარგოდა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს თავი, ცოცხალი და ხორცშესხმული. უკანასკნელად ნახა? თორმეტი, არა, ცამეტი წელი. მაშინ იგი ამ სახისადმი ზიზღნარევი სიბრალულით იყო გამსჭვალული. მაშინ თვითონ ვარონს მზის თანატოლი ადგილი ეკავა, იმპერატორი ნერონი დიდად სწყალობდა მას, ხოლო ეს ცეიონი, რომელიც ვერაფრით ვერ დაუმეგობრდა იმპერატორს, გვარიშვილობისა და დიდი ტიტულის მიუხედავად გავლენიან არ სარგებლობდა და მუდამ იმის შიშში იყო, იმპერატორის კაპრიზს არ აღეგავა პირისაგან მიწისა. დღეს გენიალური ნერონი ცოცხალი აღარ იყო. მის ადგილას პალატინზე იმპერატორი ტიტუსი იჯდა, სახელმწიფოს გონებაშეზღუდული მოხელეები და სარდლები მართავდნენ, და პატარა, უგერგილო, ყველასაგან ათვალწუნებულმა ცეიონმა მარჯვედ გაიკეთა გვარიშვილობის შესაფერისი კარიერა. ის ახლა გუბერნატორია, განაგებს მდიდარსა და ძლიერ პროვინციას — სირიას, სადაც თვითონ იგი, ვარონი, ცხოვრობს როგორც უბრალო მოქალაქე, რადგან — დიდი ხანია სენატის სიიდან ამოშალეს და როცა მის ირგვლივ გაჰყვიროდნენ: „დღეგრძელი იყოს ბრწყინვალე სენატორი ვარონი“, ეს იყო ცარიელი თავაზიანობა და მეტი არაფერი.

მიუხედავად ამისა, ბიუსტების თვალიერების დროს, თავისი თანატოლისადმი ისეთივე ზიზღნარევი სიბრალული იგრძნო, როგორსაც ბავშვობაში გრძნობდა, ლუციუს ცეიონი შეძლებულ და წარჩინებულ ოჯახში დაიბადა და არც უნიჭო კაცი ყოფილა. ოღონდ ერთი ძველი, სულელური ამბავი მისი ოჯახის ღირსებას ჩრდილს აყენებდა: ერთ-ერთმა ცეიონმა, ლუციუსის წინაპარმა, სამოცდათერთმეტი წლის წინათ ვიღაც არმენიუსთან ბრძოლის დროს პირველმა დაყარა იარაღი. ლუციუსს სიყმაწვილიდანვე გული უგრძნობდა, რომ სწორედ მას უნდა ჩამოერეცხა ოჯახისთვის ეს სამარცხვინო ლაქა. ხმელ-ხმელი, სისხლნაკლული ყმაწვილი ათი-თორმეტი წლისა არც კი იყო, მაგრამ უკვე ცდილობდა თავი დიდივით დაეჭირა და სუსტი აგებულების მიუხედავად ტყავში ძვრებოდა, რომ ზვი-

დი გამომეტყველება შეენარჩუნებინა, ტოლებს არაფერში ჩამორჩენოდა. მაგრამ თავისი ნაძალადევი მხნეობით ამხანაგებს კიდევ უფრო აქეზებდა და ისინიც მეტი სიამოვნებით აქილიკებდნენ. რა სახელი შეარქვეს სკოლაში? სენატორმა ვარონმა შუბლი შეიჭმუხნა. ცდილობდა გახსენებას, მაგრამ ვერ შეძლო.

ახლა, როდესაც ამდენმა ხანმა გაიარა და ვითარებაც შეიცვალა, ადვილი როდი იქნება ძვირფას ცეიონთან გამკლავება. სირიის მმართველობასთან ვარონს ერთობ რთული დამოკიდებულება ჰქონდა. გუბერნატორის სასახლეში მას, რომაელ ვარონს, თავიდანვე რომის ახლანდელი რეჟიმის საშიშ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ. საინტერესოა, როგორ წავა საქმე ცეიონის დროს. მას ალბათ დღემდე არ დავიწყებია ვარონის მტრული და სიბრალულით აღსავსე ზიზღი.

— დღეგრძელი იყოს ბრწყინვალე სენატორი ვარონი! — ისმოდა ყოველი მხრიდან. ვარონმა ტახტრევნის ფარდა გადაწია და წელში გაიმართა, რათა ხალხისთვის უკეთ დაენახვებინა თავისი ხორცსავსე, გარუჯული სახე, ამაყი შუბლი, ფართო, კეხიანი ცხვირი და სქელი ტუჩები. სიამოვნებას ჰგვრიდა, ხალხი რომ პატივისცემით ხვდებოდა. იგი იმპერიის ახალ წარმომადგენელზე მაღლა გრძნობდა თავს. აქ, ანტიოქიაში გაცილებით ძნელი იყო სახელის მოხვეჭა, ვიდრე რომში, პალატინზე. ახლანდელ რომში, ფლავიუსების, ტიტუსის რომში კმაროდა წარჩინება და ფული. ხოლო ანტიოქიაში, ამ არასაიმედო, ფიცხ ხალხს შორის, ბერძენთა, სირიელთა და ებრაელთა შორის, მხოლოდ ძლიერი, დაუცხრომელი პიროვნება მიაღწევდა წარმატებას, ხშირად თავიდან უხდებოდათ ამ მერყეევ ასიათასთა გულის მონადირება. აღმოსავლეთი საშიში იყო და ვარონს სწორედ ამიტომ უყვარდა. მან თავისი გაიტანა, სახელოვანი კაცი გახდა სირიაში. დღეს შეეძლო რომის ახალ წარმომადგენელს დაპირისპირებოდა როგორც ძალა, რომელიც რეალურია, თუმცა ხელშეკრულებსა და პრივილეგიებს არ ემყარება.

პროცესიამ გუბერნატორის სასახლეს მიაღწია. ვესტიბიულში ცეიონის ძველ ჯილდოებსა და ახლადმიღებულ წკეპ-

ლებს შორის სკივრები ჩაემწკრივებინათ და მისი წინაპრების გამოსახულებანი დაეწყოთ. გვარის შემარცხვენელი წინაპრის გამოსახულებას ტილოს ნაჭერი ეხვია. ცერემონიალზე ვარონის არყოფნამ ალბათ ძალიან განააწყენა გუბერნატორი ცეიონი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გაბედა, ეს ამბავი ვარონისთვის ეგრძნობინებინა. ხალხმრავალ დარბაზში თვითონ გამოეგება სტუმარს. ყველას თვალწინ გადაეხვია და გადაკოცნა. ცოტა არ იყოს სასაცილო იყო, როცა ეს ჩია, ხმელ-ხმელი კაცი კისერზე ჩამოეკიდა ახოვან სენატორს, წვრილი და მჭახე ხმით ყველას გასაგონად სიხარული გამოთქვა, რომ სიყრმის მეგობარს ასე ჯანსაღსა ხედავდა. შემდეგ გულთბილად შეიპატიჟა კაბინეტში. აქ ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ. ხმელ-ხმელი, ტანმორჩილი გუბერნატორი ცეიონი ფართო, აღმოსავლურ სავარძელში საოცრად გაჭიმული იჯდა და სავარძლის ნახევარი ეჭირა. ხელის გულს ფრჩხილებით იქავებდა, თან თავაზიანად და გამომცდელად შეჰყურებდა ვარონს.

„ამ ტილიან ანტიოქიაში“, ფიქრობდა იგი, „როგორც ჩანს, ჩვენი ბებერი ვარონი ისევ რაღაცა ჰგონიათ. მაგრამ რას წარმოადგენს პატივაყრილი, შერისხული. რომში კაციშვილს აღარ აგონდება. ხოლო თუ ვინმე შემთხვევით ახსენებს, ძლივს მოიგონებენ ხოლმე: აჰ, ვარონი, იმპერატორმა ვესპასიანემ რომ რაღაც უსიამოვნების გამო სენატის სიიდან ამოშალა? ახლა, მგონი, სირიაშია და დიდ ფულებს ატრიალებს. — ფული მართლაც თავსაყარად აქვს და კაცი თუ საბუთებს გადახედავს, დაინახავს, რომ საზღვარს გადაღმელ მბრძანებელთა შორის გავლენითაც სარგებლობს. მაგრამ რა ბედენაა ყოველივე ეს? რამხელა დამცირებაა რომაელისათვის, რომელიც სენატში მჯდარა, აქაურ მთავართა უბადრუკ კარზე, ამ საცოდავ მეფე-ქურუმებთან და შეიხებთან წანწალი. ჩვენ, რა თქმა უნდა, იქაც მივწვდებით. წინანდელი გუბერნატორი დიდი უნიათო კაცი იყო, თორემ ეს ავანტურისტი ვარონი აქ ასე თავხედურად ვერ წამოსკუპდებოდა“.

ვარონი არხეინად იჯდა დივანზე, აღმოსავლურად ფეხმორთხმული. კეთილი, თითქმის სათნო გამომეტყველება მიეღო. მან კარგად იცოდა ცეიონის გულის ნადები. იცოდა, რომ

ეს კაცი არაფრად აგდებდა და თანაც იდუმალ ეშინოდა, არაფერი ამიტეხოსო. ამ ამბავმა ღვარძლიანი სიამოვნება აგრძნობინა. დიახ, ის ცხოვრობდა სირიაში და იმპერატორ ნერონის დაწყებულ საქმეს განაგრძნობდა, — ახლანდელ მბრძანებელთა, ფლავიუსთა სურვილის საწინააღმდეგოდ ისევ აღმოსავლეთთან თანხმობის პოლიტიკას ადგა. ფლავიუსები გასაქანს არ აძლევდნენ, ვესპასიანემ სამარცხვინო, ირონიული საბაბი მოუძებნა და სენატის სიიდან ამოშალა. მაგრამ ამით ვერაფერს გახდნენ. რომიდან სირიაში გამოიქცა და თავის მამულში დასახლდა, ახლა აქედან განაგრძნობდა ადრე დაწყებული პოლიტიკის გატარებას და ეს ახლადგამოჩეკილი ვაჟბატონები,

რომლებიც ყოველგვარ საქმეს რომაულად, ჯარისკაცური სწორხაზოვნებით ჭრიდნენ, სახსენებელიც არ იყვნენ მასთან. მეფეები, ქალაქისთავები, გვირგვინოსანი ქურუმები, რომელთა მიწები რომსა და პართიას შუა მდებარეობდა, რომის წარმომადგენლად თვლიდნენ ვარონს და არა ანტიოქიელ გუბერნატორს. მასზე გადაიტანეს ის ნდობა და სიყვარული, რაც აღმოსავლეთში ტახტიდან ჩამოგდებული ნერონისადმი ჰქონდათ. ვარონმა აქ თავისი სამყარო შექმნა, უხილავი, მაგრამ მტკიცე. რომაული პროვინციის — სირიის მმართველები ადრევე გაუსწორდებოდნენ ვარონს, რომელიც სისხლს უშრობდა მათ, მაგრამ მისი დახმარებისა და შუამდგომლობის გარეშე მეზობელ სახელმწიფოებთან განუწყვეტელი შუღლი ექნებოდათ.

ვარონს გუნებაში ეცინებოდა ამ გახევებული და გაჭიმული კაცის დანახვაზე, რომელსაც ნიშნად გუბერნატორობისა. ქოწეულის ქობიანი მანტია ემოსა. ახალ ქვეშევრდომებს ცეიონის გარეგნობა შეიძლება ძლიერი და მბრძანებლური ეჩვენათ, ვარონმა კი მის ფერმკრთალ, ჭლექიანივით აწითლებულ სახეზე გაუბედაობა ამოიკითხა. მან შეამჩნია, როგორ უჭირდა ცეიონს ამ პოზის შენარჩუნება, შეამჩნია, როგორ დაბერებულიყო ეს ორმოცდაათი წლის კაცი, როგორ გამოეფიტა განუწყვეტელ ჯახირს იმ ჩირქის ჩამოსარეცხავად, რომელიც ცოდვით სავსე წინაპარმა მის ოჯახს მოსცხო. ვარონი უყურებდა და თითქმის სიბრალულსაც კი გრძნობდა. „საბრალო ცეიონ“, ფიქრობდა ის, „საბრალო თანაკლასელო, გულს ვერ მომიგებ და ვერც ადვილად გამიმკლავდები“, ხოლო ცეიონი ფიქრობდა: „ვარონს რა უჭირს, ვარონი ტკბება დახავსებულ აღმოსავლეთში ცხოვრებით, შენ კი ქანცი იწყვიტე ამ მიწების შემოსამტკიცებლად“.

სანამ ისინი ფიქრებში იყვნენ გართულნი, ვარონმა უკვე საუბარი წამოიწყო. ცეიონს ბედმა გაუღიმა, ამბობდა ვარონი, დიდი პატივი ხვდა წილად, რომ ასეთ შემოსავლიან ადგილზე დანიშნეს. ოღონდ საწყენია, რაღა სწორედ ეს დაწყევლილი პროვინცია შეხვდა. სირია კლდესავით კაცსაც კი გატეხს.

— ასეა თუ ისე, — დააბოლოვა მან და ისე მეგობრულად

გაუცინა, თითქო მხარზე ხელი დაეკრას, — ასეა თუ ისე, მიხარია, რომ მე უბრალო მოქალაქე ვარ და თქვენ — გუბერნატორი.

„ჯერ არ დავიწყებია“, გაიფიქრა გუნებაზე მოსულმა ცეიონმა. „სენატიდან რომ გამოაბრძანეს“.

— როგორც გავიგე, — უთხრა მხიარულად, — აქ თურმე დრო უქმად არ დაგიკარგავს.

— რა თქმა უნდა, არა, — გულღიად მიუგო ვარონმა, — ბებრები კი არა ვართ, ჯერ რა დროს ჩვენი გულხელდაკრეფილი ჯდომაა. კულტურულ-პოლიტიკურ საქმიანობაში თუ არ ჩაები, კაცს უსაქმობა მოგკლავს. თანაც არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ჩემი გული აღმოსავლეთს ეკუთვნის, — შემდეგ დაფიქრებულმა, თითქმის შეწუხებულმა დაუმატა, — თქვენ, ჩემო ცეიონ, როგორც ჭეშმარიტი რომაელი, ამ უთავბოლო, აწეწილ-დაწეწილ აღმოსავლეთში ალბათ კარგად ვერ იგრძნობთ თავს, მით უმეტეს, თუ კაცი აქაურობასთან შინაგანად დაკავშირებული არ არის... — მან მხრები აიჩეჩა, აღარ დაამთავრა.

ცეიონი გაჭიმული, გაშეშებული იჯდა და ფრჩხილებით ხელის გულს იქავებდა. ფერმკრთალი, ჩაცვენილი ლოყები კიდეკ უფრო გაუწითლდა, ვარონისკენ თვალი გააპარა, მჭახე ხმით ალაპარაკდა:

— აუცილებელია საზღვრები განვამტკიცოთ, — თქვა მან, — ევფრატამდე ყველაფერი რომაული სულით გავჟღინთოთ და გარედან უცხო არაფერი შემოვუშვათ. თუ კაცი თავის მიზანს ასე ცხადად ხედავს, მე მგონია, ეს შინაგან კავშირსაც უნდა ნიშნავდეს. — შემდეგ შეეცადა შეერბილებინა თავისი მკვახე ტონი და სხვათაშორის დაუმატა: — ძალიან ვწუხვარ, ჩემო ვარონ, მაგრამ აღმოსავლეთის რომანიზაციაში თქვენი დახმარება არ დაგვჭირდება.

— როგორ? — გაუკვირდა ვარონს, — ისეთი კაცის კვალობაზე, რომელსაც ზურგს არმია არ უმაგრებს, ნუთუ ამ საქმეში ცოტა რამ გავაკეთე?

— უთუოდ ბევრი რამ გააკეთეთ, — თავაზიანად დაეთანხმა გუბერნატორი, — თქვენ დიდად შეუწყვეთ ხელი ამ პრო-

ვინციაში რომაულ-ბერძნული კულტურის დანერგვას, მაგრამ აღმოსავლეთიდანაც იმდენი რამ შემოიტანეთ, რამდენიც არც ერთ რომაელს არ შემოუტანია თქვენამდე.

— ეგ მართალია, — კმაყოფილი სახით დაუმოწმა ვარონმა.

— ჰოდა, ჩემო კარგო, — განაგრძო ცეიონმა, — სწორედ ეგაა, რაც ჩვენ არ მოგვწონს და ვერიდებით. ამას გარდა, — ბრაზით დაუმატა მან, — თქვენ რომ ზოგიერთ შემთხვევაში რჩევა გკითხრთ, ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდებით. ახლა, როდესაც აღმოსავლეთთან გაუთავებელი ქიშპი გვაქვს, როგორ შეიძლება რომისთვის სასარგებლო რჩევა მოგცეს კაცმა, რომელიც რომის მოქალაქე კია, მაგრამ ამავე დროს პართიის მეფეთმეფის ქვეშევრდომია და ქალაქ ედესის მოქალაქე.

„კარგად მომზადებულა“, გაიფიქრა ვარონმა, „კარგად შეუსწავლია საბუთები. ეს ხომ ჩემი ძველი მტერია. იქნებ იმიტომ აირჩია მაინცდამაინც სირია, რომ მე აქ ვეგულებოდი“.

ცეიონმა ლაპარაკი დაამთავრა და კიდევ უფრო გაიჭიმა. ვარონი თვალს არ აცილებდა. „მაგას ადვილად მოვუვლი“, გაიფიქრა სიხარულით, „როგორი უსუსურიც იყო, ისეთივე დარჩენილა. სწორედ ასეთი უსუსურები, ვითომ სიმაგრეს ვიჩენთო, ისეთ დროს იხმარენ ძალას, რომ თავის საქმეს თვითონვე წაიხდენენ“. და უცბად გაახსენდა მისი მეტსახელი, რომელზედაც აქამდე თავს იმტვრევდა. საქაჩულა, რა თქმა უნდა, საქაჩულა. ასე ეძახდნენ სკოლაში ცეიონს. ეს სახელი ხისგან გამოთლილ თოჯინებს ერქვა, რომლებსაც სატურნალიების დროს ხმარობდნენ. მათ მოძრავ ხელ-ფეხზე ძაფი ჰქონდათ გამობმული. გამოსწევდი ძაფს და ჩაცუცქებული თოჯინები იმართებოდნენ, მიუშვებდი და თოჯინები ისევ ჩაცუცქდებოდნენ. ეს მეტსახელი ცეიონს იმიტომ შეარქვეს, რომ მუდამ ლამობდა ჩვეულებრივზე უფრო დიდი გამოჩენილიყო.

ვარონს გაუხარდა, რომ ცეიონის მეტსახელი გაიხსენა. მან პოლიტიკაზე ლაპარაკს თავი აარიდა, საუბრის საგანი გამოცვალა. დაწვრილებით გამოჰკითხა ცეიონს, როგორ ცხოვრობდა, როგორ შეეგუა აქაურობას. გამოირკვა, რომ ცეიონს აში-

ნებდა ამ აღმოსავლური ქალაქის გახრწნილი ატმოსფერო, არ სჯეროდა, თუ ოდესმე შეეგუებოდა მას. დაფნეს, ანტიოქიის გარეუბანს, სადაც არისტოკრატებისა და მდიდრების უმრავლესობას ვილები ჰქონდა, სახელი გაუტეხა ურცხვმა ფუფუნებამ და ამ უბანთან მეზობლობა არაფრად ეჭაშნიკებოდა რომაელ მოხელეს, რომელიც სტოელთა მიმდევარი იყო.

გუბერნატორთან ყოფილი სენატორის სტუმრობა საკმაოდ გაჭიანურდა. ვარონმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ცეიონმა შეაჩერა და საუბარი ისევ პოლიტიკაზე ჩამოუგდო.

— ერთი ეს მითხარით, ჩემო ვარონ, — ჰკითხა მან, — ახლა, როდესაც სასახლეში უცხო კაცი კი არა, თქვენი მეგობარი ზის, ნუთუ კვლავ გააჭიანურებთ იმ გადასახადის შემოტანას, რომელიც ედესაში დაბანაკებული ლაშქრის შემოწმებას უნდა მოხმარდეს?

ედესა ამავე სახელწოდების სამეფოს დიდაქალაქი იყო, ის თუმცა დამოუკიდებლად ითვლებოდა, მაგრამ შიგ რომაელთა გარნიზონი იდგა და მისი შესანახი ხარჯები ედესის სამეფოს უნდა ეკისრა. მიუხედავად ამისა, სირიის გუბერნატორმა მაინც დააწესა ყოველწლიური გადასახადი — „საზღვარს გადაღმა დაბანაკებულ ლაშქართა შემოწმებისათვის“. ანტიოქიის ხაზინას მიაჩნდა, რომ ვარონს როგორც რომაული სირიის მოქალაქეს, გადასახადი ეხებოდა. ვარონის აზრით, ეს ორმაგი დაბეგვრა გამოდიოდა, რადგან ის გარნიზონის შესანახ ფულს იხდიდა როგორც ედესის მოქალაქე. საქმე ეხებოდა ექვსიათას სესტერციას. არც ვარონისთვის და არც ხაზინისთვის ეს ფული აფრაფერს არ წარმოადგენდა. აქ მთავარი იყო პრინციპი. ანტიოქიელი მმართველები გულზე სკდებოდნენ, რომ ეს ამპარტავანი ვარონი ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა, სურვილის მიხედვით ხან რომის მოქალაქე იყო, ხან რომელიმე მესოპოტამიელი მთავრის ქვეშევრდომი. ამიტომაც ამ გადასახადის თაობაზე სირიის მმართველებსა და ვარონს შორის თავაზიანსა და თანაც ცხარე დავას ბოლო არ უჩანდა.

ვარონმა კვლავ მოიშველია თავისი ძველი არგუმენტები, რომელთაც გუბერნატორი ოქმებიდანაც კარგად იცნობდა. ეს ორმაგი დაბეგვრა არა მარტო იურიდიულად არის დაუშვებე-

ლი, იგი პოლიტიკურადაც სახიფათოა. რადგან ეს ამბავი ედესელებს უფრო ცხადად დაანახვებს ამ გარნიზონის ორჭოფულსა და მტრულ ხასიათს.

გუბერნატორი მოთმინებით ისმენდა ვარონის მსჯელობას.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა მან ბოლოს და ერთხელ კიდევ სცადა დაერწმუნებინა ვარონი, — მაგრამ როცა ამ ხასახლეში თქვენი მეგობარი ზის, მე თქვენს ადგილას კარგად ავწონ-დავწონიდი, უარი ხომ არ მეთქვა მესოპოტამიელთა და პართიელთა ქვეშევრდომობაზე. ეს შეიძლება რომში, ძველ ადგილზე დაბრუნების საწინდარი ყოფილიყო.

ვარონი დაძაბული უსმენდა. ალბათ რაღაცაშია საქმე, რაკი ამ კაცმა პირველი შეხვედრისთანავე ასეთი ინტერესი გამოამჟღავნა მის მიმართ.

— როგორ გავიგო თქვენი სიტყვები? — პირდაპირ ჰკითხა მან, — სენატში დაბრუნებას ხომ არ მიპირებენ?

გუბერნატორი მიხვდა, რომ ღრმად შეტოპა და ოფიციალური მშრალი ტონი მოიშველია.

— ყოველ შემთხვევაში, — მიუგო მან, — ამაზე სიტყვა ჩამოვაგდე პალატინზე და მე მგონია, ჩემს შუამდგომლობას უყურადღებოდ არ მოჰკიდებიან. რასაკვირველია, გადაჭრით ვერაფერს დაგპირდებით, — სასწრაფოდ დაუმატა მან, — მაგრამ გირჩევთ, კარგად აწონ-დაწონოთ ჩემი ნათქვამი.

ვარონმა აღტაცება ძლივს დამალა. მაშ ეს უჯიშო ფლავიუსებიც მიმხვდარან, რომ უვარონოდ აღმოსავლეთში შორს ვერ წავლენ. სენატში დაბრუნებას უპირებენ. ვითომ გულისხმიერებას იჩენენ. მაგრამ ვარონთან არ ჭრის ასეთი ფანდები. მიიტყუებენ რომში, სამი თვის შემდეგ კი ისევ გამოაგდებენ სენატიდან, ოღონდ ამჯერად მეტ ჭკუას იხმარენ და მთლად მიწასთან გაასწორებენ. სენატორობა რომში! ასეთი საკენკი სხვას დაუყარონ. ღირს კია, რომ სენატორობისთვის წყალში გადაყაროს მთელი თავისი ნაშრომ-ნაღვაწი, გამოემშვიდობოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებაზე ოცნებას, ხელი შეუწყოს ახალ მბრძანებელთა ჩლუნგ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც იმპერიის სიმძიმის ცენტრი დასავლეთში უნდა

ყოს და აღმოსავლეთის გამოსაყოფად მტკიცე კედელი აღიმართოს? მადლობა მომიხსენებია. ჩემო ბატონებო. მე ისევ „ედესის მეფის ძმადნაფიცობა“ მირჩევნია. მირჩევნია ვიყო „პართიელთა მეფეთმეფის მეგობარი“, ვიდრე „ბრწყინვალე სენატორი“ რომში.

ვარონმა გუბერნატორს მადლობა გადაუხადა, რომ ასე გაისარჯა მისთვის.

— იმედი მაქვს, — უპასუხა ცეიონმა და ისევ მეგობრულ კილოზე გადავიდა, — ამ საქმეში ერთმანეთს გავუგებთ.

— მეც იმედი მაქვს, — ისე მშრალად უთხრა ვარონმა, რომ ეს თითქმის უარს უდრიდა.

ცეიონმა დროულად ჩათვალა საკითხის მეორე მხარესაც შეხებოდა.

— ჩვენთვის აუცილებელია, — განაცხადა მან, ამ დავას ბოლო მოვუოოთ. წარმოიდგინეთ, ჩემო ვარონ. რა უსიამოვნო ამბავი იქნება. თუ მაიძულებთ სხვა ზომებს მივმართო.

— მართალს ბრძანებთ, ჩემო ცეიონ, — უპასუხა ვარონმა; მის განსაკუთრებულ თავაზიანობაში იგრძნობოდა, რომ გუბერნატორის მუქარა აინუნშიაც არ ჩაუგდია. — ეს ამბავი ორივისთვის უსიამოვნო იქნება. მე, მართალია. პატარა კაცი ვარ, მაგრამ დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად მესოპოტამიის სახელმწიფოებში საკმაო წონა მაქვს და ასეთი ზომების მიღება ლაშქრობის გარეშე არ მოხერხდება. ლაშქრობას კი, მოგეხსენებათ, ცოტა ხარჯი როდი სჭირდება. მერედა, რა შეიძლება მოიგოთ? დიდი-დიდი — პრესტიჟი აიმაღლოთ. მაგრამ პალატინის ხალხს რომ ვიცნობ, პრესტიჟისათვის ფულის გადაყრა ჭირივით ეზარებათ. ის ზეზე წამოდგა. მიუახლოვდა გუბერნატორს, მეგობრულად მხარზე ხელი დაადო, — თუ თქვენი სიტყვები ულტიმატუმად უნდა მივიღო? — ჰკითხა მან და ისე გამომწვევად გაიღიმა, რომ ამ ღიმილში აშკარად იგრძნობოდა სიტყვა „საქაჩულა“. რაკი ცეიონს ასე საგულდაგულოდ უცდია ვარონის საქმის გაკეთება, ვარონს შეუძლია მასში დაინახოს არა რაიმე იდეის მატარებელი და რომის წარმომადგენელი, არამედ მხოლოდ საქაჩულა. სკოლის ამხანაგი.

მალე გაირკვა, რომ ეს შეცდომა იყო და ვარონი სწორად არ მოიქცა. ჯერჯერობით კი გუბერნატორი იმით დაკმაყოფილდა, რომ მხარი შეუმჩნევლად გაითავისუფლა და თავაზიანად მიუგო, ეს გაფრთხილებაა და არა ულტიმატუმიო. ამის შემდეგ ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს უმნიშვნელო ამბებზე და ბოლოს ვარონი გამოემშვიდობა გუბერნატორს.

მსუბუქი, მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა იგი სასახლიდან, ტახტრევანი და თავისი ამალა ცალკე გაუშვა, ფეხით გაემართა შინისკენ ანტიოქიის ლამაზი ქუჩებით. ბოლო წლებში ხშირად ატყობდა თავს, რომ სიბერემ უწია. ახლა კი ახალგაზრდულ სილაღეს გრძნობდა. მისმა მტრებმა, ფლავიუსებმა, დიდი სამსახური გაუწიეს. ეს ცეიონი რომ შემოაჩეჩეს ხელში. უხაროდა, საქმიანი, მილიტარისტული, შოვინისტური რომი. საძულველი რომი, სწორედ ცეიონის სახით რომ წარმოდგა მის წინაშე. „სახალისო ბრძოლა მოგველის“, „საყვარელო საქაჩულა“, — ფიქრობდა იგი და წინასწარვე ზეიმობდა თავის გამარჯვებას.

2

ქალაქი ედესა

თეთრად და თვალწარმტაცად შეფენილიყო ბორცვებზე ქალაქი ედესა. იგი ედესის სამეფოს სატახტო ქალაქი იყო და მესოპოტამიის ქალაქთა შორის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობდა. შორიდან ბერძნული იერი ჰქონდა, ამ იერს ტაძრები და კოლონადები, ცირკები, თეატრები, აბანოები და სპორტული სასწავლებლები აძლევდა. შიგ ქალაქში კი არსად ჩანდა ბერძნული წარწერები და არც ბერძნული ლაპარაკი ისმოდა. აქ სირიელები, ბაბილონელები, სომხები, ებრაელები, სპარსელები, არაბები ცხოვრობდნენ და ბერძნულ-რომაული მხოლოდ სახლები ჰქონდათ.

ედესის სამხრეთით ტრამალები გადაჭიმულიყო. მაგრამ ბაღ-ვენახებში ჩაფლული ქალაქი წყლის ნაკლებობას არ განიცდიდა, შუაში ჩამოუდიოდა მდინარე სკირტოსი. სომხეთსა

და შუამდინარეთს შორის აღმართული ქედიდან მონაბერი ქა-
ნ აგრილებდა და სწმენდდა ედესის ჰაერს.
ედესა დიდ გზაჯვარედინზე მდებარეობდა. აქ გადიოდა
ბეთიდან და ინდოეთიდან მომავალი ქარავნები, სანელებ-
ითა და ნელსაცხებლით დატვირთული. ედესაზე ჰქონდა
ა თვალ-მარგალიტითა და ფარჩეულით მოვაჭრე სოვდაგარ-
თა უმეტესობას. მის ლამაზ შენობათა ქება შორს იყო გავარ-
დნილი. მოდიოდნენ უცხოელები, რომ თავისი თვალით ენახათ
ტარატეს უძველესი ტაძარი, ქალღმერთის მუქი ქანდაკება,
ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, მისი ურცხვი სიმბოლოები, მითრას
ტაძარი და უწინარეს ყოვლისა კი ლაბირინთი, სკირტოსის
მარცხენა ნაპირზე კლდეში გამოჭრილი უზარმაზარი გამოქვა-
ბული. ლაბირინთის ასობით ვიწრო დერეფნები, მღვიმეები,
სენაკები და კიბეები ერთმანეთში გადიოდა და უსასრულოდ
იტოტებოდა.

ედესის დაარსების ამბავი საუკუნეთა წყვდიადში იყო
დაკარგული. მას თავდაპირველად რქმევია ორეონი, ლომთა
ქალაქი. აქ უწინ ხეთები, ასურები, ბაბილონელები, მაკედონე-
ლები მეფობდნენ. ბოლოს, ამ სამასი წლის წინათ, არაბები
შემოიჭრნენ და ფეხი მტკიცედ მოიკიდეს.

ედესა, რომსა და პართიას შუა მოქცეული პატარა, ბუფე-
რული სამეფო, მუდამ საფრთხეში იყო. მაგრამ თავისი ნეი-
ტრალიტეტის წყალობით დიდ მოგებასაც ნახულობდა: რომსა
და პართიას განუწყვეტელი ომები ჰქონდა ერთმანეთთან,
ედესა კი გარემოებათა მიხედვით ხან ერთთან ვაჭრობდა
ხელსაყრელ პირობებში, ხან მეორესთან.

ედესის არაბი მთავრები, გულის სიღრმეში არაბებადვე
რჩებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენადაც შეეძლოთ
ხელს უწყობდნენ არამეული კულტურის განვითარებას, ხოლო
არამეული კულტურა ქვეყნის ამ ნაწილში ყველაზე მოწინა-
�ად ითვლებოდა. ედესის უნივერსიტეტს შუამდინარეთში
ბადალი არ ჰყავდა და ხშირად ანტიოქიის უმაღლეს სასწავლე-
ებელსაც უწევდა მეტოქეობას.

ქალაქში მრავალი სალოცავი იყო და მრავალ ღვთაებას
სცემდნენ თაყვანს. ტაპირველესი ადგილი მათ შორის ეკავა სი-



რიის ქალღმერთ ტარატეს, რომელსაც წითელი თევზებით სავსე აუზი ეკუთვნოდა, მასთან ერთად თაყვანს სცემდნენ ხარისსახიან ღმერთს — ლაბირს, ლაბირინთის მეუფეს, და ასურეთის სხვა უძველეს ღმერთებს, მთაზე მდგარ ღვთაებრივ ლომს, აგრეთვე დიდ ბაალსა და ნებუს. თაყვანს სცემდნენ სპარსულ ღმერთ მითრას, არაბეთის ვარსკვლავთღმერთებს — აუმუს, აზიზსა და დუსარისს, საბერძნეთისა და რომის ღვთაებებს. აგრეთვე იაღვეს, ებრაელთა ღმერთს. აქ მის მხოლოდშობილ ძესაც, ქრისტედ, ანუ „მირონცხებულად“ წოდებულს, ჰყავდა თავისი მიმდევრები.

მრავალი ათასი კაცი ცხოვრობდა ამ ლამაზ ქალაქში, თეთრი თუ შავგვრემანი: არაბი თავადები და მათი მრჩევლები, ბერძენი და სირიელი სოვდაგრები და მიწათმფლობელები, სპარსელი ვარსკვლავთმეტყველნი, ებრაელი ხელოსნები და

სწავლულები, აგრეთვე რომაელი ოფიცრები და ჯარისკაცები. ქალაქში ბედუინთა ქარავნები ცვლიდნენ ერთმანეთს და ამ მრავალეროვან ხალხს შორის ირეოდა მონათა ჭრელი ბრბო. ყველანი, თეთრკანიანები თუ შავკანიანები, თავიანთი ხარებით, აქლემებით, ცხვრებით, თხებითა და ცხენებით ცხოვრობდნენ, სუნთქავდნენ, ფუსფუსებდნენ, მრავალ ენაზე ლაპარაკობდნენ, მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს, ჭამდნენ, სვამდნენ, ერთმანეთთან წვებოდნენ, საქმეებს აკვარებდნენ, ქორწინდებოდნენ, ჩხუბობდნენ და რიგდებოდნენ; არც ერთს არ შეეძლო მეზობლის გარეშე ცხოვრება, ყოველი მათგანი გულის სიღრმეში კმაყოფილი იყო, მეზობელი რომ გვერდით ეგულებოდა, და ყველანი ამაყობდნენ თავიანთი ედესით, უსაყვარლესი ედესით, უმშვენიერესი ქალაქით მთელი დედამიწის ზურგზე.

ედესას მბრძანებლობდა მეფე მალუქ მეხუთე; კანცლერად შარბილი ჰყავდა, ტარატეს უზენაესი ქურუმი; რომის გარნიზონს პოლკოვნიკი ფრონტონი უფროსობდა, ედესის ნამდილი ბატონ-პატრონი კი სენატორი ვარონი იყო.

3

მეექოთნე ტერენციუსი

ედესაში ვარონმა მრავალი საწარმო დააარსა, მათ შორის იყო ერთი კერამიკული ქარხანა, რომელიც მან წითელ ქუჩაზე თავისი ხელდებულისთვის, მეექოთნე ტერენციუსისთვის გახსნა. ტერენციუსი რომ თავისთავს ისევ ვარონის ხელდებულად თვლიდა, ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტი ერთგულებით მოსდიოდა, თორემ კარგა ხანია დამოუკიდებელი კაცი გახდა და არავის მფარველობა აღარ სჭირდებოდა. დიახ, ის მექოთნეთა ამქრის უფროსადაც კი აირჩიეს.

ოღონდ მისი ფაბრიკა არ იყო ყველაზე დიდი ამ ქალაქში და არც თვითონ გამოირჩეოდა საქმის განსაკუთრებული ცოდნით. სახელოსნოებს უმთავრესად მისი ცოლი უძღვებოდა, ყიდვა-გაყიდვის ამბებს კი ერთი კილიკიელი მონა აგვარებდა,

სახელად კნოპსი. თვითონ ტერენციუსს ფაბრიკაში იშვიათად თუ მოჰკრავდა კაცი თვალს. უფრო ქუჩებსა და სამიკიტნოებში შეიძლებოდა მისი ნახვა, რადგან მას, როგორც ამქრის უფროსს, ბევრი სიარული და ბევრ ხალხთან ლაპარაკი უხდებოდა. ხან მაგისტრატში მეფე მალუქის მრჩევლებთან დადიოდა მექოთნეთა ინტერესების დასაცავად, ხან საქალაქო ცერემონიალზე ხელოსანთა სახელით სიტყვას ამბობდა; ხანაც თავისი ამქრის დღეობებს აწყობდა.

ტერენციუსს ორმოცი წლისთვის უკვე გადაებიჯებინა. წითური თმა-წვერი ჰქონდა, მოვარდისფრო კანი, ბრტყელი სახე, სქელი ქვედა ტუჩი, ბეცი, ნაცრისფერი თვალები. წარმოსადეგი კაცი იყო, გარეგნობით ნამდვილი რომაელი. მექოთნეთა ამქარი დიდად ამაყობდა თავისი უფროსით, ამაყობდა არა მარტო მისი რომაელობით, არამედ იმითაც, ბატონკაცური და ზვიადი შესახედაობა რომ ჰქონდა, და, როგორც მრავალმხრივი სულიერი ინტერესების კაცს, ენა უჭრიდა. ლათინურად ლაპარაკობდა მშვენიერი რომაული აქცენტით, კარგად იცოდა ბერძნული და არაბული, თუმცა საქმეს უჭირვებდა ბგერა „თ“, რომელიც ორივე ენაში ხშირად იხმარება. ზოგიერთები ამბობდნენ, ტერენციუსს ბევრი ლაპარაკი უყვარსო. მართლაც, ერთხელ თუ ალაპარაკდებოდა, გაჩერებას ვეღარ ახერხებდა. მაგრამ ძლიერ შთაბეჭდილებას რომ ახდენდა, ამას ვერავინ უარყოფდა. შეეძლო ბატონკაცური იერი მიეღო და დიდ-დიდ ხალხთან ტოლივით ელაპარაკა. ისე მედიდურად აიმრიზებოდა ხოლმე, რომ თანამოსაუბრე სახტად რჩებოდა. ამქრის უფროსობას იფერებდა და მართლაც შეეფერებოდა. ხელოსანთა დღესასწაულებზე, განსაკუთრებით კი მარტის დიდ დღესასწაულზე, მექოთნეთა ამქარი თუ სხვებისაგან გამოირჩეოდა, ეს მისი დამსახურება იყო. ტერენციუსს განათლებაც ხელს უწყობდა. მან ბერძენ და რომაელ კლასიკოსთა ნაწერებიდან მთელი ადგილები იცოდა ზეპირად, ციტატები არ შემოაკლდებოდა. იგი გატაცებული იყო თეატრალური ხელოვნებით და მექოთნეთა სადღესასწაულო სანახაობა, რომელსაც ტერენციუსი ყოველ წელს აწყობდა, დიდძალ ხალხს იზიდავდა. ყველა ედესელი, ვისაც მექოთნეობასთან რაიმე

კავშირი ჰქონდა, ამაყობდა თავისი უფროსით. შეგირდებსაც კი, თუმცა მათ ტერენციუსის სახელოსნოებში ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ, სხვა რომელიმე ლმობიერ ბატონთან მუშაობას ისევ მასთან მუშაობა ერჩიათ.

ტერენციუსს ხალხის თვალში ისიც ამაღლებდა, რომ მთელი მისი წარსული რაღაც ბურუსით, რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული: ედესაში ის თერთმეტი წლის წინ ჩამოვიდა, ჩამოფლეთილი, გასაცოდავებული, წვერმოშვებული. ხელოსნებზე ერთი ბერძნული გამოთქმაა, ცხვირს სახელოთი იწმენდენო. არავის გაუკვირდებოდა, ეს ანდაზა რომ მაშინ ტერენციუსზე თქმულიყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ამქრის უფროსი გახდებოდა. რომში ნაცხოვრები ხალხი ამბობდა, ტერენციუსის სახელოსნოებს მთელ რომში ჰქონდა სახელი გავარდნილი, მის ნახელავს იმპერატორის კარზედაც კი ყიდულობდნენო, და მათი სიტყვებით ისე გამოდიოდა, თითქოს ტერენციუსი ნერონის კართან საიდუმლო ამბებით ყოფილიყო პირადად დაკავშირებული.

თვითონ ტერენციუსი და მისი ახლობლები — ცოლი კაია და მონა კნოპსი — რომში მომხდარ ამბებზე ხმას არ იღებდნენ. ხანდახან ტერენციუსი კარგად წარმოთქმული სიტყვის ან კარგად ჩატარებული დღესასწაულის შემდეგ გუნებაზე მოვიდოდა და გადაკვრით იტყოდა, რომ მას უმნიშვნელო რამედ ეჩვენება ეს წარმატება ძველ ამბებთან შედარებით, როცა კეისრის სასახლეში თავისუფლად შედიოდა და გამოდიოდა. ეს იყო და ეს. ამ მიკიბულ-მოკიბული სიტყვის მეტს ვეღარაფერს ათქმევინებდა კაცი.

ნამდვილად კი აი, რა შეემთხვა მექოთნე ტერენციუსს რომში:

ტერენციუსის მამა ვარონების მონა იყო. მოხუცმა ვარონმა გაათავისუფლა ეს მარჯვე კაცი და ქოთნების სახელოსნო გაუხსნა. ახალგაზრდა ტერენციუსს მექოთნეობა არაფრად ეპიტნავებოდა, უფრო მაღალი მატერიები — თეატრი და პოლიტიკა — იტაცებდა. როცა პოლიტიკაზე ან ხელოვნებაზე ლაპარაკობდა, მეგობრები ხოტბას ასხამდნენ მის გონიერებასა და გამჭრიახობას. ფიქრობდნენ, ეს კაცი მექოთნედ არ უნდა

დაბადებულიყოო. როგორც ვთქვით, არც მამის სიცოცხლეში და არც მამის სიკვდილის შემდეგ ქოთნები სულ არ ედარდებოდა. სახელოსნოს საქმეები უკან-უკან წავიდა. ტერენციუსმა თანდათან გაანიავა თავისი ქონება და მეგობრებმაც ზურგი შეაქციეს. აღარავის ეხალისებოდა მისი მჭევრმეტყველებისა და გრძელ-გრძელი ციტატების ქება, მით უმეტეს, მათში ფულის გადაყრა. ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ გარეგნულად შეიცვალა. თუ ოცდაორი წლის ასაკში მაძღარი, ჯანსაღი და ჩვეულებრივი კაცის შესახედაობა ჰქონდა, ოცდაათი წლის რომ გახდა, მოსუქდა და მისმა განაწამებმა სახემ უკმაყოფილო გამომეტყველება მიიღო.

აქ ერთმა საოცარმა ამბავმა იჩინა თავი. იმპერატორი ნერონი დიდი ხნის განმავლობაში პირხმელი იყო და წითურ წვერს ატარებდა. მაგრამ თანდათანობით გასუქდა და როცა ოცდარვა წლისამ წვერიც მოიპარსა, მისმა სახემ სულ სხვა იერი მიიღო: მსუქანი, ამრეზილი, თითქმის უკმაყოფილო. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ხელდებული ტერენციუსი ვარონს ეახლა, განცვიფრებულმა ვარონმა დაინახა, რომ ეს სახეგოღრუბლული მექოთნე ტყუპის ცალივით ჰგავდა პირქუშ იმპერატორს. ნერონიც ასევე ბეცი იყო, ასევე იჭმუხნიდა შუბლს და ქვედა ტუჩსაც ასევე სწევდა წინ. სენატორს ჩინებული აზრი დაებადა. ჟინიანი იმპერატორისთვის ახალ-ახალი გასართობები უნდა გამოენახათ; და ვარონმა მექოთნეს უბრძანა, პალატინზე გამოცხადებულიყო იმპერატორ ნერონთან წარსადგომად.

ტერენციუსისათვის ეს ერთობ სახიფათო საქმე იყო. იმპერატორი უგუნებოდ რომ დახვედროდა, ნერონის ორეულს ძვირად დაუჯდებოდა ბუნების ასეთი უცნაური ხუმრობა.

მაგრამ ექსპერიმენტმა კარგად ჩაიარა. თუმცა ნერონს არ უნდოდა სხვებსაც გაეგოთ მისი ორეულის არსებობა და ბრძანა, ტერენციუსისთვის თმა სხვანაირად დაევარცხნათ და სანამ წვერი არ წამოეზრდებოდა, პალატინზე ჰყოლოდათ. საერთოდ იმპერატორს მოეწონა ეს უცნაური მსგავსება და ისევ მოუნდა ტერენციუსის ნახვა. მან მეორედაც დაიბარა მექოთნე და შემდეგ ხშირ-ხშირად იბარებდა. წვერი ხელახლა გააპარსი-

ნა, თმებიც ისე დაავარცხნინა, როგორც თვითონ ატარებდა. აღტაცებაში მოდიოდა, ტერენციუსი სიარულსა და ლაპარაკში რომ ბაძავდა მას. მიაყვანინა თავისი მაიმუნი, რომ იმასაც მიეღო თამაშში მონაწილეობა, და როცა უყურებდა, თუ როგორ იმეორებდნენ მის ყოველ მოძრაობას მექოთნე და მაიმუნი, იმპერატორის სიცილი დარბაზს აყრუებდა.

ნერონთან შეხვედრებმა ტერენციუსი ააფორიაქა. ახლა ხშირ-ხშირად იღიმებოდა, ეშმაკური და ბედნიერი ღიმილით. ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ბედი წყალობის თვალით გადმოხედავდა და მისი ნიჭი გზას გაიკაფავდა. ხშირად ფიქრობდა ერთ სიზმარზე, რომელიც დედამისმა ორსულობის დროს ნახა. სიზმარში დედამისი თურმე მაღალ მთაზე ადიოდა, ძალიან უძნელდებოდა სიარული, ტკივილებს გრძნობდა და დაწოლა უნდოდა. წინ იარეო, უბრძანა რაღაც ხმამ. ის დაემორჩილა, მაგრამ ღონე გამოეცალა და დასვენება დააპირა. „სულ ზემოთ, მწვერვალზე მოიმშობიარეო“, უბრძანა იმავე ხმამ. მკითხავმა ქალს სიზმარი ასე აუხსნა: ახლა რომ ბავშვი გაგიჩნდება, დიდი კაცი გამოვაო. სწორედ ამის გამო ახალშობილს პრეტენზიული სახელი — მაქსიმუსი დაარქვეს.

ტერენციუსს სასახლეში სიკვდილით დაემუქრნენ, ნერონთან შეხვედრების ამბავი არსად წამოგცდესო. მაგრამ, ეტყობა, მონა კნოპსი რაღაცას ხვდებოდა, ან რაღაც იცოდა. ის ხედავდა, რომ მისი ბატონი სახლიდან ჩუმად მიდიოდა და მთელი კვირაობით იკარგებოდა. არც ის ამბავი გამოპარვია, რომ პატარა, გაჩანაგებულ სახელოსნოს ახლა უკვე პალატინი აძლევდა შეკვეთებს. რაც შეეხება ტერენციუსის ცოლს, ჭკვიანსა და მტკიცე ხასიათის კაიას, მასთან არაფრის დამალვა არ შეიძლებოდა. ტერენციუსმა ვერ მოახერხა მის მოთხოვნებს წინ აღდგომოდა და ყველაფერი გაუმხილა, რაც პალატინზე გადახდა. მაგრამ მასთანაც იშვიათად, უხალისოდ და იდუმალი სახით ლაპარაკობდა ხოლმე ამაზე და სრულ გულახდილობას არ იჩენდა. ცოლს კი არა, თავის თავსაც იშვიათად უმხელდა, რომ სიამოვნებას ჰგვრიდა იმპერატორის რეზიდენციაში მისვლა. პირიქით, მდუმარედ ეთანხმებოდა თავის ცოლს, როცა იგ თვალცრემლიანი ლანძღავდა იმ დიდკაცებს, ფეხქვეშ რო

თელავდნენ ადამიანების ღირსებას. ნამდვილად კი პალატინზე თამაში თანდათანობით მოთხოვნილებად ექცა. თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ იმპერატორს ჰგავდა, სულის სიღრმეში თანდათან შეესისხლხორცა თავის როლს.

მაგრამ მალე ცუდად შეტრიალდა საქმე. ერთ მოღრუბლულ დღეს, როდესაც გვარდია აჯანყდა, იმპერატორი ლეთარგიაში ჩავარდა და ახლობლებმა გასამხიარულებლად მექოთნე ტერენციუსი მიჰგვარეს. ტერენციუსი გაპარსეს, და ჩვეულებრივად მორთეს, მაგრამ უეცრად იმპერატორმა გადაწყვიტა სასახლე დაეტოვებინა და სერვილიურ ბაღში გადასულიყო. მექოთნე ტერენციუსი, რომელიც ფარეშთა ოთახში იცდიდა, კაციშვილს არ გახსენებია, გამოცარიელებულ სასახლეში ბედის ანაბარა მიატოვეს. გვიან ღამით ეს ყველასაგან დავიწყებული კაცი შეშინებული გამოიპარა სასახლიდან და შინისაკენ გასწია. ქუჩებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, გარეთ გამოსვლას ვერავინ ბედავდა, რომ რამე ხიფათს არ გადაჰყროდა. უცბად შორიახლო იარაღის ელარუნი გაისმა, ტერენციუსი ჩრდილში მიდგა და გაინაბა, მაგრამ გვიანღა იყო, შეიარაღებულმა ხალხმა შეიპყრო იგი. ეს იყო სენატის ლაშქართა ერთი ნაწილი, რომელიც გაქცეულ ნერონს ეძებდა. იმპერატორის ორეული გაცხარებით უმტკიცებდა მათ, ნერონი კი არა, მექოთნე ტერენციუსი ვარო. ჯარისკაცები არ უჯერებდნენ. ისინი გაბრაზებული იყვნენ ამ კაცის ლაჩრული საქციელით და საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინათ, რომ მანამდე ღმერთივით სცემდნენ თაყვანს; დასცინოდნენ და კინაღამ ხელში შემოაკვდათ. ტერენციუსმა დიდის ვაი-ვაგლახით დაითანხმა ისინი შინ წაჰყოლოდნენ. შინ კი კაიამ დაადასტურა, ეს აცახცახებული, ცოცხალ-მკვდარი კაცი ჩემი ქმარიაო.

პალატინზე ქმრის სიარული კაიას თავიდანვე არ მოსწონდა. ახლა კიდევ უფრო შეშფოთდა: სენატმა სასტიკ ზომებს მიმართა ნერონის ახლობელთა წინააღმდეგ. კაიამ ტერენციუსი, რომელიც ისე იყო თავზარდაცემული, რომ კაცად აღარ ვარგოდა, გაქცევაზე დაითანხმა. ცოლ-ქმარი უთენია მიადგა კარზე ვარონს, თავიანთ მფარველს, მაგრამ იქ უთხ-

რეს, ვარონი წუხელ აღმოსავლეთში გაიქცაო. შეშფოთებულები დაედევნენ სენატორს და აღმოსავლეთის საზღვარი მასთან ერთად გადალახეს.

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და ახლა კაია და ტერენციუსი ამ თეთრსა და ჭრელ ქალაქში — ედესაში ცხოვრობდნენ, მყუდროდ, თითქმის შეძლებულად; კაია ამაყობდა, რომ ასე ენერგიულად მოიქცა და ქმარი ხიფათით სავსე რომიდან გამოაპარა. თვითონ, რა თქმა უნდა, აქ, ამ ბარბაროსებს შორის, თავს კარგად ვერ გრძნობდა. არ მოსწონდა ამ მაიმუნების, ამ შერუჯული ხალხის ბურნუსები და ჭუჭყიანი თეთრი სამოსი. აქაური საჭმელი უგემური ეჩვენებოდა. მისი აზრით, სირიელები და ბერძნები ორპირები იყვნენ, არაბები და ებრაელები — აქოთებულები და ცრუმორწმუნეები, სპარსელები — დამთხვეულები. იგი ვერასოდეს ვერ შეისწავლის ამ ბარბაროსთა საზიზღარ ენებს, სირიელთა სწრაფ ლაყბობას, არაბთა ლუღლუღს, ვერ შეეჩვევა ამ ბარბაროსულ ქვეყანას, ამ ფერადკანიან ხალხს, ვერც წმინდა თევზებს, ტარატეს საკურთხეველს და მის ბილწ სიმბოლოებს, ვერც მაიმუნებსა და აქლემებს, ვერც სამხრეთით გადაჭიმულ ტრამალებს.

ტერენციუსი პირიქით, ადვილად შეეგუა აღმოსავლეთს. საქმეებზე აქ კიდევ უფრო ნაკლებად ზრუნავდა, ვიდრე რომში. რაც გასაკეთებელი იყო, კაია და მონა კნოპსი აკეთებდნენ. თვითონ ის იდუმალი სახით დიდკაცურად დასეირნობდა, ამქრობებს აწყობდა და პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. აქაურები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ იმ ამბავს, რომ ტერენციუსი ბგერა „თ“-ს მკაფიოდ ვერ გამოთქვამდა, და საუცხოო მსმენელები იყვნენ. ხშირად ცოლის გასაგონად ლანძღავდა ხოლმე ამ წყეულ აღმოსავლეთს, მაგრამ როცა კაია ხედავდა, რა თავმომწონედ დაალაჯებდა მისი ქმარი ედესის ბორცვიან ქუჩებში და რამდენი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა, ამჩნევდა, რომ ტერენციუსი სახეზე აღბეჭდილი ამპარტავნული უკმაყოფილების მიუხედავად ისევე ჩინებულად გრძნობდა თავს, როგორც თევზები — ქალღმერთ ტარატეს წმიდა აუზში, ეს ამბავი კი კაიას მთელი თავის გაჭირვებას ავიწყებდა.

მაგრამ ტერენციუსის ბუზღუნში გაცილებით მეტი ბოლმა იყო, ვიდრე ეს კაიას ეგონა. ტერენციუსი უკვე სიბერის მოახლოებას გრძნობდა, მისმა ნიჭმა კი ვერა და ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება. რა ბედენაა, თუ აქაურ ბარბაროსებს, ორიოდე წვირიან, გაუთლელ ხელოსანს დიდ ადამიანად მიაჩნია! ეჰ, მისი აღზევების ხანა რომში დამთავრდა. გულდათუთქული და სევდიანი იგონებდა პალატინზე გატარებულ დღეებს. ერთი შემთხვევა სულ უფრო და უფრო ხშირად ცოცხლდებოდა მის გონებაში. ერთხელ ნერონმა, თავი რომ შეექცია, სენატისადმი მიმართული ეპისტოლე თავის ნაცვლად მექოთნე ტერენციუსს წააკითხა. ჰოდა, ეს მექოთნე ტერენციუსი იმპერატორის ძოწეულში გამოწყობილი დგას სენატორთა წინაშე და მოწიწებისაგან სულგანაბულებს იმპერატორის ეპისტოლეს უკითხავს. ახლა, ედესაში გადმოვარდნილს, სენატში გამოსვლა თავისი ცხოვრების მწვერვალად ეჩვენებოდა. მას დაავიწყდა, რა შიში ჰქონა. პირველად ხომ მაინც მუხლები აუკანკალდა და გულმუცელი აეწვა. ახლა მხოლოდ ის ახსოვდა, როგორ ემატებოდა ლაპარაკის დროს საკუთარი თავის რწმენა. იგი ხედავდა სენატორთა მოწიწებით აღსავსე სახეებს, ტერენციუსი ყველას ნერონი ეგონა და მართალნიც იყვნენ: ის იმ წუთში ნამდვილად ნერონი იყო.

ძალიან გაუჭირდა ამ უზარმაზარი განცდის საიდუმლოდ შენახვა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და კაიასთვისაც არაფერი გაუმხელია; მარტო იმის გამო კი არა, რომ ზედმეტი ლაყბობისათვის სიკვდილი ელოდა, ვაი თუ ამ დიდებულ მომენტს ბრწყინვალება დაეკარგოს და გახუნდეს, კაიასთანა ბანალურ არსებას რომ მოვუყვეო. კაია ამაში სენატის აბუჩად აგდების მეტს ვერაფერს დაინახავდა, თავის ქმარს კი ნერონის სათამაშო ტიკინად ჩათვლიდა და შეეშინდებოდა, ეს უბედური რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო. ცოლი ნერონის ტაკიმასხარად მიიჩნევდა ტერენციუსს და ვერასოდეს ვერ იგრძნობდა, რომ იმ წუთში სენატის წინაშე მდგარი ტერენციუსი ჭეშმარიტი ნერონი იყო. ამიტომაც გაუძ-

ლო ცოუნებას და კაიასთან ხმაც არ ამოუღია, პირში წყალი ჩაიგუბა.

არც ედესაში ამოუღია ხმა. მაგრამ ხანდახან დაკარგული დიდების გამო მწარე ნაღველი მოეძალებოდა, მაშინ ის განმარტოვდებოდა ხოლმე და კვლავ თამაშობდა სენატში გამოსული ნერონის როლს. ყველაზე ძლიერ ლაბირინთი უყვარდა, სკირტოსის ნაპირას კლდეში გამოკვეთილი უზარმაზარი გამოქვაბული, რომელსაც უამრავი დერეფანი ჰქონდა, ხოლო მის კიბეებს, მღვიმეებსა და სენაკებს ვინ მოთვლიდა. აქაურთა რწმენით, ლაბირინთში სამიათასი სენაკი იყო და ბოლო სენაკში უხსოვარ დროს თურმე ხარი-ღვთაების ლაბირის მახინჯი შვილი ბინადრობდა, ნახევრად ღმერთი, ნახევრად ხარი. იგი ქალ-ვაჟებით იკვებებოდა, რომელთაც ძალით ართმევდა ხალხს. შემდეგ ეს მაღალი თაღები ძველი მეფეების სამარხებად გამოიყენეს და მათი აჩრდილები ახლაც ლაბირინთში დაბორიალობდნენ. ლაბირინთი შიშითა და იდუმალებით იყო მოცული. ვისაც მისი ხლართები შესწავლილი არა ჰქონდა და წინდაუხედავად მაინც გაბედავდა შიგ ჩასვლას, შესაძლებელი იყო, ველარ გამოეგნო და დაღუპულიყო. ტერენციუსს უყვარდა ეს ადგილი, უფრო და უფრო ღრმად ჩადიოდა შიგ, ამ სიღრმეებში სიდიადისა და იდუმალების ქროლვას გრძნობდა, თანდათან ყველაზე უკეთესად შეისწავლა ლაბირინთი. იქ უძველესი მეფეთმეფეების აჩრდილთა შორის, ისევ ბედავდა ნერონობას, სიტყვით მიმართავდა უხილავ სენატს და, როცა მის ხმას თაღები, ყრუდ იმეორებდნენ, ღმერთების სიახლოვეს გრძნობდა.

ერთხელ თამაშით გართული ბავშვები ღრმად შეიტყუა ლაბირინთმა. შორს, მიწის სიღრმიდან, ყრუ ხმები შემოესმათ და თავქუდმოგლეჯილები გარეთ გამოცვივდნენ. შესასვლელთან გაჩერდნენ, გულისფანცქალით ელოდნენ, რა მოხდებოდა. როდესაც გამოქვაბულიდან გამოსული ტერენციუსი დაინახეს, შიში გაუქრათ და სიცილი აუტყდათ. ბაძავდნენ მის ზვიად მიხრამოხრას, მის ბატონკაცურ სიარულს, უკან მისდევდნენ და დაბოხებული ხმით ათას სისუ-

ლელეს მისძახოდნენ. ტერენციუსს შერცხვა და საკუთარი თავი შეეზიზღა, ისე მწარედ იგრძნო თავისი ცხოვრების უაზრობა და უიმედობა, რომ მოუნდა ისევ შევარდნილიყო გამოქვაბულში და იქ მომკვდარიყო.

ამ შემთხვევის შემდეგ გადაწყვიტა, სამუდამოდ ამოეგდო გულიდან პალატინი. გაორკეცებული გულმოდგინებით იზეპირებდა კლასიკოსებს, გახელებული დაეწაფა საამქროს სამუშაოებს და იმდენი ქნა, რომ სულ უფრო იშვიათად ახსენდებოდა რომი.

4

საქაჩულა იქაჩება

აპრილის ბოლოს, გუბერნიის შემოვლის დროს, გუბერნატორმა ცეიონმა გადაწყვიტა ედესასაც სწვეოდა და რომის გარნიზონი შეემოწმებინა. გარნიზონი რომ ქალაქ ედესაში იდგა, ეს რომის იმპერატორთან დადებული „მეგობრობის ხელშეკრულებით“ იყო გათვალისწინებული და ქალაქი ძალაუნებურად უნდა შერიგებოდა ამ ამბავს.

ცეიონს თავისი გუბერნატორობის მოკლე ხნის მანძილზე უფრო განუმტკიცდა ის შეხედულება, რაც აღმოსავლეთზე ჰქონდა. მას უთხრეს, აღმოსავლეთს ტრადიციული და უხეში რომაული მეთოდებით თავს ვერავინ გაართმევს, ეს მხარე რბილია და მოქნილი, იგი მოძალადეს ხელიდან კალმახივით უსხლტებაო. მართალია, ჭეშმარიტმა რომაელებმა, პომპეუსმა, კრასუსმა და მრავალმა სხვამ ამ რბილ აღმოსავლეთზე კბილები წაიმტვრიეს, მაგრამ ეს მეთოდები იმ პერიოდისათვის ზედმეტად სწორხაზოვანი იყო; დღეს, როცა ზურგს დაშოშმინებული სირია და შვიდი ლეგიონი გვიმაგრებს, ამ გაიძვერა აღმოსავლელებმა დროა იწვნიონ რომაული მუშტის ძალა.

— მე მაინტერესებს, ჩემო ცეიონ, — უთხრა მას პალატინზე გამოსათხოვარი აუდენციის დროს იმპერატორმა

ტიტუსმა და სკეპტიკურად გაიღიმა, — როგორ მოუვლი ჩვენ საყვარელ აღმოსავლეთს.

ცეიონი გაიჭიმა — იუპიტერის მადლმა, მბრძანებელო, ცეიონი მოუვლის.

ქალაქმა ედესამ იმპერატორის ნაცვალი ჯეროვანი პატივისცემით მიიღო. მეფე მალუქმა ძღვენი მოართვა: ხალიჩები, თვალმარგალიტი, რჩეული მონები და მხევლები. ტანმორჩილი ცეიონი გაჭიმული შეხვდა ქალაქის ხელისუფალთ და მჭახე ხმით თავაზიანი პასუხი გასცა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. თუმცა, უნდა ითქვას, მისი ბერძნული გვარიანად მოიკოჭლებდა.

ვარონი, რომელიც გუბერნატორთან დარბაზობის შემდეგ მამულების მოსანახულებლად ედესაში დაბრუნდა, მოუთმენლად მოელოდა თავის ძველ „მეგობართან“ შეხვედრას. მაგრამ ვერც ოფიციალურ მიღებებზე, ვერც ჯარების დათვალიერების დროს ვერ მოახერხა, მასთან საუბარი განეახლებინა. მათ მხოლოდ მესამე დღეს, გვიან საღამოს შეძლეს, რომ ერთი საათით განმარტოებულიყვნენ. ეს მოხდა წვეულების შემდეგ, რომელიც ცეიონმა ედესის დიდებულებს გაუმართა.

ცეიონი და ვარონი სასახლის ფლიგელში ისხდნენ. ეს სასახლე მეფე მალუქმა მიუჩინა გუბერნატორს. არაბულ დარბაზს ფერად-ფერადი ხალიჩები, ვარსკვლავთღმერთების უცნაური ქანდაკებები, უცხოური წარწერები და ჩუქურთმები ამშვენებდა. ჰაერში ნელსაცხებელთა სურნელი იდგა. ვარონის გარეგნობა კარგად შეეხამებოდა ამ დარბაზს. ტანმორჩილი, გახევებული ცეიონი, ეს ტიპიური რომაელი, უცნაურად ჩანდა ამ ფონზე. იგი ოდნავ სასაცილოც იყო და აშკარად ეტყობოდა, რომ თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს. ვარონმა მანუგეშებელი კილოთი უთხრა, ჩამოსულებს მეტისმეტად უჭირთ ანტიოქიასთან შეგუება, მაგრამ ბოლოს ძალიან შეუყვარდებათ ხოლმე აღმოსავლეთიო. ის აქებდა აღმოსავლეთს, თავის აღმოსავლეთს, მის ლაღ ცხოვრებას, ფუფუნებას. მან მოიგონა, ცეიონმა რომ აუგად მოიხსენია ანტიოქიის გარეუბანი დაფნე.

— გეთანხმები, — იცავდა ვარონი თავის ქალაქს, — რომ დაფნე უსირცხვილოა, მაგრამ განა დიდებული არაა ეს მეფური უსირცხვილობა, რომლითაც აქ თავიანთ ბუნებრივ ინსტინქტებს აშიშვლებენ და ამაყობენ ამით?

ცეიონმა არაფერი უპასუხა. როგორც ჩანდა, მას აწუხებდა ოთახში დამდგარი მკვეთრი სუნი და ბრძანა, ხალიჩები გადაეწიათ, სუფთა ჰაერი შემოეშვათ. ვარონს ოდნავ შესცივდა, ცეიონმა კი, პირიქით, თავი უკეთესად იგრძნო.

— მიუხედავად ამისა, მაინც დროული იქნებოდა, ჩემო ვარონ, — თქვა მან ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, — ცოტა ხნით მაინც მოწყვეტოდით დაფნეს და რომში დაბრუნებულიყავით.

— ვნახოთ, ჯერ კარგად ავწონ-დავწონი, — ღიმილით უპასუხა ვარონმა, — სხვათა შორის, — დაუმატა მხიარულად, — აღმოსავლეთში ძალიან ხშირად მოგიხდება ასეთი პასუხის მოსმენა.

გუბერნატორს სახეზე წითელი ლაქები უფრო მკვეთრად გამოესახა, ეტყობოდა, ვარონის ხუმრობამ გააგულისა. კიდევ უფრო გაიჭიმა, შინაგანად დაიძაბა და მშრალად თქვა:

— ხომ იცით, ჩემო ვარონ, რომ ხვალ ანტიოქიაში ვბრუნდები. დიდად დამავალებთ, „საინსპექციო გადასახადის“ საკითხს ჩემ აქ ყოფნაშივე თუ გადაჭრით.

— ამ საღამოსვე? — გაუღიმა ვარონმა.

— დიახ, — საქმიანად მიუგო გუბერნატორმა.

ფეხმორთხმით მჯდარმა ვარონმა კიდევ უფრო შემოიკეცა წვივები.

— ამ საკითხზე, — თქვა მან მშვიდად, — მერამდენე წელიწადია განუწყვეტელი დავაა. სირიის ხაზინას არცთუ ისე სჭირდება ჩემი სადავო ექვსი ათასი.

— და მიუხედავად ამისა, ძალიან დამავალებდით, — გაჯიუტდა ცეიონი, — ახლავე რომ მიგეღოთ გადაწყვეტილება.

ვარონმა გადაიქნია თავისი დიდი თავი, მოგრძო, თაფლისფერი თვალებით გამომცდელად ახედ-დახედა ცეიონს. ვინ არის ეს კაცი, მის წინ რომ ზის, საქაჩულა, მისი სკოლის ამხა-

ნაგი, თუ კეისრის გუბერნატორი, შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელი, აღმოსავლეთის მტერი? შემდეგ არხეინად უპასუხა:

— თქვენ, ჩემი კეთილისმყოფელი და მეგობარი, არ მინდა გაგაწბილოთ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება მაინც უნდა გადავდო. აქ, აღმოსავლეთში, — დაუმატა შემრიგებლური კილოთი, ხუმრობით, — მეც ნახევრად აღმოსავლეთელი გავხდი, ესე იგი ყველაფერი უნდა გავაჭიანურო.

მაგრამ გახევებული ცეიონი ჯიუტად განაგრძობდა თავისას:

— მიუხედავად ამისა, მაინც გთხოვთ მიპასუხოთ ნათლად და დროზე, როგორც ეს რომაელს შეშვენის. ამ საკითხზე ყველაფერი თავიდან მომახსენეს, საბუთები კი მე თვითონ შევამოწმე. რაც შეიძლება თქმულიყო, ასჯერ ითქვა. ხელქვეითებს განვუცხადე, ანტიოქიაში ისე არ დავბრუნდები, ვარონის გადაჭრილი პასუხი თუ არ მივიღე-მეთქი.

ვარონი ოდნავ გაფითრდა. აქ რომ ლაპარაკობს, ე[illegible] ხიაჩ[illegible]ლა“ არაა, ეს ახალი რომია. ორივე გაუნძრევლად [illegible]. ტ[illegible] მორჩილი ცეიონი დაბალ, არაბულ სავარძელში გაჭიმულიყო.

— რას იზამდით, ჩემო ცეიონ, — ჰკითხა ვარონმა ისევ ისე მეგობრულად, თითქმის ღიმილით, — უარი რომ მეთქვა?

გუბერნატორმა პირი მოკუმა. შემდეგ მკვეთრი ჯარისკაცული კილოთი უპასუხა, ისე რომ ხმა არ აუმაღლებია:

— მაშინ სამწუხაროდ, იძულებული გავხდებოდი საქმე სასამართლოსათვის გადამეცა.

ვარონი პირველ წამს ისე სახტად დარჩა, რომ წყენაც არ უგრძვნია, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. და თავს ძალა დაატანა, გონება მოეკრიბა, ლოგიკურად ემსჯელა. „ესეც ასე“, გაიფიქრა მან, ეს რომი არ ყოფილა, ეს „საქაჩულაა“. მოხდა ის, რისაც ანტიოქიაში მეშინოდა. „საქაჩულამ“, — ამ უსუსურმა, თავი ვერ შეიკავა და სისულელე ჩაიდინა. უფრო ღრმად შეტოპა, ვიდრე თვითონ უნდოდა. ახლა უკან ვეღარ დაიხევს. სასამართლოში მართლა გამომიძახებს და თუ არ მივედი, ძალით მიმიყვანს. ეს სიგიჟეა, მაგრამ—„საქაჩულა“—მაგასაც იკისრებს. ასე იწყებენ გიჟურ ავანტიურებს. მაგრამ მე არ ავყვე-

ბი, მე ვაზროვნებ. მე გონებას ვემორჩილები. გონება მეუბნება, დაუთმეო. მე ვუთმობ ამჯერად.

— თუ თქვენ, ჩემო მეგობარო და კეთილისმყოფელო, — თქვა მან ირონიული მორჩილებით, — ჩემი ექვსიათასი სესტერცია ასე გაწუხებთ, ხვალვე გამოგიგზავნით. უბრძანეთ, ქვითარი მოამზადონ.

ორიოდე წუთს კიდევ ისაუბრეს აქეთურ-იქითურზე და ერთმანეთს გამოემშვიდობენ. „ამ ექვსი ათას სესტერციას უფრო ძვირად დაგისვამ, „საქაჩულა“ ხარ თუ რაღაცა ხარ“, გაიფიქრა ედესის ბორცვიანი ქუჩებით შინისაკენ მიმავალმა ვარონმა.

5

ვარონი გეგმას აწყობს

მეორე დღეს, დილაადრიან მან გუბერნატორს ექვსიათასი სესტერცია გაუგზავნა. მოუთმენლად მოელოდა შიკრიკის დაბრუნებას. ცეიონმა ექვსი ათასი სესტერცია მართლა აიღო, შიკრიკმა ხელწერილი მოიტანა. ვარონმა ხარბად, უცნაური კმაყოფილებით შეათვალიერა საბუთი. ხმამაღლა, ბოროტი ღიმილით ჩაიკითხა: „ლ. ცეიონი, რომის საიმპერატორო პროვინციის — სირიის გუბერნატორი, ადასტურებს, რომ ლ. ტ. ვარონისაგან მიიღო საინსპექციო გადასახადი ექვსიათასი სესტერცია“. შემდეგ მდივანი გამოიძახა და, ჯერ ისევ ლოგინში მწოლარემ, წერილი უკარნახა, რომის სენატთან ჩიოდა, სრულიად უსამართლოდ ორმაგი გადასახადი დამაკისრესო. ხელმოწერა კარგად გამშრალი არც იყო, რომ ეს წერილი საგანგებო შიკრიკის ხელით რომში გაგზავნა.

ამას რომ მორჩა, თავისი ხელდებულები შემოაშვებინა, რომლებიც მისი ადგომის ცერემონიალზე დასასწრებლად მოსულიყვნენ. ვარონი მათ თვალწინ უფრიალებდა ხელწერილს, ერთი-ორს წააკითხა, მერე თვითონ წაიკითხა ხმამაღლა.

— ახალი გუბერნატორი, — გაიცინა მან, — ხუმრობა

კაცი კი ნუ გგონიათ, ფული რომ არ გადამეხადა, მართლა დამიჭერდა.

მან გამომცდელად შეათვალიერა თავის ხელდებულთა სახეები, აინტერესებდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა. ხელდებულები დაბნეულები იდგნენ, არ იცოდნენ, რას მოითხოვდნენ მათგან. ზოგმა ნაძალადევად გაიცინა, ზოგი აღშფოთდა. ყველანი დაღონდნენ. ვარონმა სათითაოდ ჩამოუარა მათ. ერთ-ორს მხარზე ხელი დაარტყა, სახეში ჩააშტერდა და უთხრა:

— ახალი გუბერნატორი ცეცხლია, ნამდვილი ცეცხლი, — თან გამომცდელად ათვალიერებდა მათ სახეებს.

ის იყო ამ ხალხის გასტუმრებას აპირებდა, ერთ კაცს მოჰკრა თვალი. აქამდე მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იგი ფიქრებში ჩაფლულიყო, ამაყად იდგა, წარბები მაღლა აეჭიმა, უფრო გაკვირვებული ჩანდა, ვიდრე აღშფოთებული; პირი ოდნავ მოქცეოდა. ახლაც, როგორც იმ დილას, თოთხმეტი წლის წინ, ისევ ისე განაცვიფრა ვარონი ამ ვარდისფერიანმა და წითურმა სახემ. დიახ, სწორედ ასეთი სახე ჰქონდა ნერონს, მის იმპერატორს, მანაც ასე იცოდა ფიქრებში ჩაძირვა. ამ საწყენ საქმეს სწორედ ასეთი სახით შეხვდებოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო და ვარონს ყველაფერი რომ ეამბნა მისთვის. ნერონიც ასე ჟინიანად, გამომწვევად ჩამოუშვებდა ხოლმე ქვედა ტუჩს: თავში ქვა გიხლიათ, მე რაში მეკითხებაო.

ვარონს გაახსენდა, როგორ ერთობოდა ნერონი ამ ყმაწვილის მაიმუნობით, როგორ ახტუნებდა მას ნამდვილ მაიმუნთან ერთად და გუნებაში გაეღიმა. მაგრამ უმალვე ჩამოირეცხა სახიდან ეს ღიმილი და ერთი წამის განმავლობაში სახე ნიღაბივით გაუქვავდა.

ამ წამს მას ბევრი რამ წარმოუდგა თვალწინ.

შემდეგ კვლავ ხელდებულებს მიუბრუნდა. ეს ბეცი, ნაცრისფერთვალებიანი კაციც შეუმჩნევლად ჩაითრია საუბარში, ინტერესი გამოიჩინა მისდამი; განსაკუთრებული ინტერესი. ამ უბრალო მექოთნეზე, რომელიც მისი წყალობის შემყურე იყო, სცადა მთელი თავისი მომხიბლაობის ძალა. ასეთნაირად მხო-

ლოდ აღმოსავლელი მეფეებისა და ქურუმების მოხიბვლას ცდილობდა ხოლმე, ანდა ხანდახან ქალებისას.

მოსერხებულად დასტყუა მას გული ნადები. ტერენციუსი ისე ნასიამოვნები დარჩა, რომ ტოლივით დაუწყო ლაპარაკი ვარონს, გაუზიარა თავისი შეხედულებები ცხოვრებაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე. მან მსახიობი იოვანე პატმოსელი ახსენა, რომელმაც დიდი ხანია სცენა მიატოვა და ახლა ედესაში ცხოვრობდა. ტერენციუსს ამ რამდენიმე წლის წინ ანტიოქიის სცენაზე ენახა იოვანე ოიდიპოსის როლში. მაგრამ, როგორც აღიარა, გული გატეხვოდა ამ სახელგანთქმული კაცის ხელოვნებაზე. თვითონ ტერენციუსსაც აქვს გარკვეული კავშირი ლიტერატურასა და თეატრთან, რაც ალბათ მის მფარველს სენატორ ვარონს გაგონილი ექნება, კლასიკოსთა მთელი ადგილები ზეპირად იცის, ბევრი უფიქრია ოიდიპოსზე და იცის, როგორ უნდა წარმოითქვას, მაგალითად, ოიდიპოსის გრძელი მონოლოგი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „რაიცა მოხდა, მართებული არის ყოველი და შენ ამაში ვერასოდეს ეჭვს ვერ აღმიძრავ“. ლაყბობის დროს ტერენციუსს უეცრად შერცხვა თავისი სითამამისა, ეგონა სენატორი იცინებდა, ან გაიღიმებდა მაინც, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ვარონი სერიოზული სახით უსმენდა მას. სთხოვა, ამ დღეებში მეწვიე, ერთად ვისადილოთ და შენი იდეები დაწვრილებით გამაცანიო, განსაკუთრებით ის მაინტერესებს, ოიდიპოსის მონოლოგი როგორ უნდა წარმოითქვასო.

ამხელა ბედნიერებამ გააოგნა ტერენციუსი, ცოტა შიში შეეპარა. არ გაჰკვირებია, რომ მის მიმართ ინტერესი გამოიჩინეს, თავის თავს განათლებულ, გონებაგახსნილ კაცად თვლიდა და ეგონა, დიდად საინტერესო იდეები მაქვსო. მაგრამ სენატორთან საუბრის დროს თავისდაუნებურად მოწიწება და შიში დაეუფლა. ბოლოსდაბოლოს მამამისი ხომ ვარონების მონა იყო და სენატორმა რომ უთხრა ამ დღეებში სადილად მეწვიე და შენი შეხედულებები გამაცანიო. სიამაყე იგრძნო და შიშისაგან სული შეუგუბდა, თითქმის ისევე, როგორც უწინ ემართებოდა, როცა ნერონი იბარებდა ხოლმე.

ვარონმა ხელდებულები გაუშვა თუ არა, ისე ამოიღო ხელ-

წერილი, ისე დაიჭირა, რომ თავისი შორსმხედველი თვალებით კარგად გაერჩია. თვითეული ასო გულდასმით წაიკითხა, თითქმის შეისწავლა. შემდეგ გადმოაბრუნა და შუაზე ხაზი ჩამოავლო, ერთ სვეტს დააწერა „მოგება“, მეორეს „ზარალი“, მოგების ქვეშ ჩაწერა: „ერთი იდეა“. შემდეგ კედელში დატანებული საიდუმლო ყუთი გამოიღო. ეს იყო პატარა, მაგრამ ძალიან ძვირფასი ყუთი, მირონუსის ნახელავი, მხატვარს არგონავტების ამბები გამოესახა ზედ. ვარონი სადაც არ უნდა წასულიყო, ეს ყუთი ყოველთვის თან მიჰქონდა. გახსნა და ქაღალდები ამოიღო, მიუალერსა დოკუმენტებს. აქ იყო ნერონის უჩვეულოდ გულთბილი წერილი, მისდამი მოწერილი, და ლექსი, რომელიც კეისარმა მიუძღვნა. აქ იყო პართიის მეფეთმეფის ვოლოგესის ეპისტოლე; რომაელთა და პართიელთა დაზავების დროს გამოჩენილი გონიერებისათვის მეფეთმეფე მადლობას უხდიდა ვარონს. აქ იყო აგრეთვე კორბულონის ორიოდე მეგობრული წერილი (კორბულონი პართიელებთან ომში რომის ლაშქარს სარდლობდა და თუმცა გაიმარჯვა, მაგრამ თავი წააგო) და რამდენიმე სხვა ქაღალდი. ვარონმა ამ ძვირფას წერილებს ღიმილით მიამატა ხელწერილიც. შემდეგ ყუთი დახურა და თავის ადგილას შეინახა.

ტერენციუსი ამასობაში შინ დაბრუნდა, წითელ ქუჩაზე. კაიასა და მონა კნოპსს თავისი აღფრთოვანება დაუმალა, ისევე როგორც ადრე თავის უგუნებობას უმალავდა ხოლმე. იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ კარგად გათამაშებული ამაყი გულგრილობით მოჰყვა, თუ როგორ განაცვიფრა ვარონი მისმა პოლიტიკურმა და ლიტერატურულმა ერუდიციამ. სენატორმა ის სადილადაც კი მიიწვია, რომ უფრო დაწვრილებით ესაუბროს. უხეშმა და სკეპტიკურად განწყობილმა კაიამ ქმარს ურჩია, ფრთხილად იყავი, რაიმე უბედურებას არ გადაეყაროო. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ვარონსა და გუბერნატორს რაღაც უთანხმოება მოსვლოდათ და ტერენციუსს უთხრა, შენისთანა პატარა კაცი, უკეთესია, თავის ტყავში თუ დაეტევაო. ტერენციუსს არ ესიამოვნა, ცოლმა რომ პატარა კაცი უწოდა.

მაგრამ კაიას ნათქვამი არ გამართლდა. სადილმა მშვენივრად ჩაიარა. სენატორმა გულისყურით მოისმინა თავისი ხელ-

დებულის პოლიტიკური შეხედულებები, წარმოათქმევინა დაბრმავებული ოიდიპოსის მონოლოგი და როგორც საქმეში ჩახედულმა კაცმა, შეაქო. ტერენციუსი მეტად კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

6

ტერენციუსის გარდასახვა

იმ ხანად ქალაქ ედესაში ხმა დაირხა, ანტიოქიის სასახლიდან რაღაც ახალმა, სუსხიანმა ქარმა დაუბერაო. როდესაც ვარონს, ედესის ამ ყველაზე საპატიო მოქალაქეს, ორმაგი გადასახადი დააკისრეს, ხალხში დიდი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა შეიქნა. აბა რა ხეირი დაეყრებოდა ედესის ვაჭრობას სირიის პროვინციასთან, თუკი ასეთ ორმაგ გადასახადებს წესად შემოიღებდნენ? იმასაც ამბობდნენ, თითქოს ახალ გუბერნატორს გადაწყვეტილი ჰქონდა ედესაში, სამოსატაში, კარაში და პალმირაში რომის გარნიზონები გაეძლიერებინა და ამით კიდევ უფრო შეელახა მესოპოტამიის პატარა სახელმწიფოთა ისედაც შელახული სუვერენიტეტი.

ასეთ ვითარებაში ვარონის ხელდებულებმა და აგენტებმა ადვილად დაანახვეს შუამდინარეთის მოსახლეობას, თუ რა ავის მომასწავებლად უპირისპირდებოდა ახალი ხელისუფლება—იმპერატორი ტიტუსი და მისი მოხელეები მოწყალე ნერონს, რომელიც ხალხს ჯერაც არ გამოეგლოვა. მერედა, როგორ მფარველობდა აღმოსავლეთს ნეტარხსენებული იმპერატორი, რა ღონეს არ ხმარობდა, რომ მესოპოტამიასა და სირიას შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა გაეფართოებინა! აი, ეს იყო ჭეშმარიტი იმპერატორი და ის მარტო იმ ფუფუნებისთვისაც კი უყვარდათ, რომელშიც თავად ნერონი, მისი მინისტრები, გენერლები და გუბერნატორები იყვნენ ჩაფლული.

ბრწყინვალე ნადიმებმა და იმ ფაქტმა, რომ იმპერატორი თვითონ გამოდიოდა სცენაზე, მოხიბლა და დაატყვევა მთელი

შუამდინარეთი, ხოლო როდესაც განაცხადა, ერთ მშვენიერ დღეს აღმოსავლეთსაც ვუჩვენებ ჩემ ხელოვნებასო, აღფრთოვანებამ პართიამდეც კი მიაღწია. ხალხის თვალში იმპერატორი ნერონი მეორე ალექსანდრე იყო, რომელიც აღმოსავლეთის დასამონებლად კი არ მოსულა, არამედ იმისთვის მოვიდა, რომ აღმოსავლეთი დასავლეთისათვის დაეკავშირებინა.

ფლავიუსები, ახალი იმპერატორები, პირიქით, არც კი ფარავდნენ, რომ აღმოსავლეთის ხალხები ბარბაროსებად მიაჩნდათ, და დაუნდობლად ყვლეფდნენ მათ. რომის სასახლის ბოროტი ზრახვები კიდევ უფრო ცხადი შეიქმნა მას შემდეგ, რაც სირიის გუბერნატორად ეს უკმური ცეიონი დანიშნეს. ხალხი მისტიროდა უკვალოდ გამქრალ იმპერატორს.

— ეჰ, ნეტა ნერონი იყოს ახლა ცოცხალი! — ოხრავდნენ და ოცნებობდნენ მოქალაქეები, რომლებიც საღამოობით გრილი ჭების გვერდით იკრიბებოდნენ, შებინდებისას კი სამიკიტნოებში გადაინაცვლებდნენ ხოლმე.

სანამ ტიგრსა და ევფრატს შორის უკმაყოფილო ხმები დადიოდა, სენატორმა ვარონმა ხელმეორედ დაპატიჟა ტერენციუსი. ამჯერად ისინი მარტო იყვნენ. ვარონი ფიქრებს მისცემოდა და ნაკლებად ლაპარაკობდა, ტერენციუსს განსაკუთრებული მოწიწებით მიმართავდა, ისე როგორც ხელქვეითი მიმართავს უფროსს, და შიგადაშიგ მძიმე პაუზებს აკეთებდა. საზეიმო განწყობილება ტერენციუსისათვის უცხო ხილი არ ყოფილა და ამჯერადაც შესაფერის სიამოვნებას განიცდიდა, მაგრამ გულზე ლოდივით აწვა რაღაც და ამ უსიამოვნო გრძნობისათვის თავი ვერ დაეღწია.

ნასადილევს, როდესაც ღვინო შემოიტანეს, ვარონი უეცრად მიუბრუნდა სტუმარს და შემპარავი ღიმილით უთხრა:

— როგორც ვხედავ, თქვენი სასმელი კვლავ ყოველგვარ ღვინოს გირჩევნიათ, — და განკარგულება გასცა, ის ნარევი დაემზადებინათ, რომელიც იმპერატორმა ნერონმა გამოიგონა.

ცოტა რამ გადარჩა ნერონის დროიდან ისეთი, რომ მემკვიდრეებს ხელი არ ეხლოთ, მათ შორის ეს სასმელი და მისი სახელწოდებაც, რომელსაც ტერენციუსი, ისე როგორც ყველა სხვა, კარგად იცნობდა. დიდებული სენატორის უცნაურმა

სიტყვებმა და მოკრძალებულმა კილომ გააოგნა ტერენციუსი. იჯდა და გამოთაყვანებული შეჰყურებდა მასპინძელს. ვარონი კი კვლავ მოწონებით განაგრძობდა:

— იქნებ მეტისმეტ ინტიმურობას ვიჩენ, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, ბოლოს და ბოლოს უნდა ვთქვა სათქმელი, რომელიც ეს რამდენიმე კვირაა კიდეც მტანჯავს და კიდეც მანუგეშებს. ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარება, დანამდვილებით ვიცი, თუ ვინ მთხოვა მფარველობა და ვინ გამოიქცა ჩემთან ერთად, როდესაც ჭორები დაყარეს, ნერონი მოკვდაო.

ამ მოულოდნელი სიტყვების ფარულ აზრს მხოლოდ მახვილი ჭკუისა და სწრაფი აზროვნების კაცი თუ მიხვდებოდა. მექოთნე ტერენციუსი კი ასეთი კაცი არ ყოფილა; მაგრამ ვარონის სიტყვები მისი სულის საიდუმლო კუნჭულებს მისწვდა, დაუმცხრალი პატივმოყვარეობა გაუღიზიანა, დაკარგული დიდება მოაგონა და სევდა გაუორკეცა. ცნობიერებაში სწრაფად ამოტივტივდა მოგონება, რომელსაც აქამდე ძალით ახშობდა, თვალწინ დაუდგა ბედნიერი ჟამი, როდესაც გოროზი სახით წარდგა სენატის წინაშე და უგუნურმა იმედმა, იქნებ ძველი დრო კიდევ დაბრუნდესო, ფრთები შეასხა. ამიტომ იყო, რომ ბუნდოვან სიტყვებს უფრო მალე გაართვა თავი, ვიდრე ვარონი მოელოდა, და ამ სიტყვების საამო აზრი მთელი არსებით შეიწოვა და შეისისხლხორცა. ვიღაცამ იცნო, ვიღაცა მიხვდა, რომ იგი, ვისაც ამდენი რამ სცხია ნერონისა, უნდა იყოს კიდეც ნერონი.

თუმცა ტერენციუსი ჯერ კიდევ გაბრუებული იყო მოზღვავებული სიხარულით, მაგრამ მის გულში უკვე გაიღვიძა თანდაყოლილმა ცბიერებამ და ურჩია, უმჯობესია ჯერ თავი მოიკატუნო და მხოლოდ ბოლო წუთს გაამჟღავნო ნამდვილი ვინაობაო.

მან შორს დაიჭირა დიდმოწყალე. მასპინძლის ნათქვამი, ირწმუნებოდა, თითქოს მისი სიტყვების არაფერი გაეგებოდა. ბოლოს ისე ღრმად შეტოპა, რომ ვარონი შეფიქრიანდა კიდეც, ვაითუ, მიზანს ავაცდინეო, და უკანასკნელ ხერხს მიმართა: პატიება ითხოვა, რომ ღირსეული სტუმრის წინაშე სათანადო დისტანცია ვერ დაიცვა. ალბათ ჯერ კიდევ არ დამდგარა ჟამი,

რომ თავისი მეფური ბრწყინვალება რომს დაანახვოს, ანდა სრულიად ხელს იღებს, ზურგს აქცევს ამ ქვეყანას, რომელმაც იმპერატორი ღირსეულად ვერ დააფასა. რახან ასეა, ვარონი ბოდიშს იხდის და მორჩილად ითხოვს პატიებას იმის გამო, რომ გაკადნიერდა და საიდუმლოს ფარდა ახადა.

ახლა კი ტერენციუსი შეშინდა, თუ დროზე არ ჩაერეოდა საქმეში, მერე გვიანღა იქნებოდა და ყველაფერი წყალში ჩაეყრებოდა. მან ერთბაშად მოიშორა სახიდან უაზრო გამომეტყველება, გაიღიმა ბავშვური, გულკეთილი და ეშმაკური ღიმილით, როგორც ეს იმპერატორ ნერონს სჩვეოდა, ნერონის ნაბიჯით მიუახლოვდა მასპინძელს, ნერონისებურად დაჰკრა ბეჭზე ხელი და ნერონის ზანტი და ქედმაღალი ხმით უთხრა:

— რატომაც არა, ჩემო ვარონ, რატომაც არა, გაპატიებ!

ვარონმა იცოდა, რომ ნამდვილი ნერონი არავითარ შემთხვევაში ასე არ მოიქცეოდა. ნამდვილი ნერონი, ალბათ, რომელიმე ბერძნულ ციტატას მოიშველიებდა და ხელით ისეთ ჟესტს გააკეთებდა, თითქოს რაღაცას თავიდან იშორებსო. მაგრამ ამ კაცისა და ნერონის გარეგნობაში, ხმასა და ნაბიჯებში ისეთი გასაოცარი მსგავსება იყო, იმდენი რამ ჰქონდა ამ კაცს ნამდვილი იმპერატორისა, რომ ვარონი შეკრთა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. იქნებ მისი ჩანაფიქრი გაცილებით უკეთესია, ვიდრე თვითონ ჰგონია, და ყოველივე ამას განუზომლად დიდი შედეგები მოჰყვეს, მაგრამ მალე გამოფხიზლდა, გონს მოეგო და თქვა;

— ჰოდა, ჩემო საყვარელო ტერენციუს, ასე ყოფილა საქმე.

ამის შემდეგ ტერენციუსი კვლავ ტერენციუსად იქცა და სენატორი ვარონი მას მთელი საღამოს განმავლობაში საქმიანი და შემწყნარებელი კილოთი ელაპარაკებოდა, როგორც თავის ხელდებულს.

მაგრამ მექოთნე ტერენციუსმა ნახა, რაც ნახა, და მოისმინა, რაც მოისმინა. იგი იმდენად დარწმუნებული იყო წარმატებაში, რომ მის ბედნიერებას მაშინაც კი არაფერი მოჰკლებია, როდესაც ვარონმა ასე მოულოდნელად ბანზე აუგდო სიტყვა.

7

ვარონის ოინი

როდესაც სენატორმა ვარონმა საქმე აქამდე მიიყვანა, იგი მიხვდა, რომ ჟამმა დაჰკრა. ახლა საჭირო იყო ყველაფერი დაკვირვებით აეწონ-დაეწონა და გადაეწყვიტა, შეეძლო თუ არა მოქმედების დაწყება. პირველ რიგში უნდა გაერკვია, რა შანსი ჰქონდა მის ახალ ნერონს.

შანსი კი, ეჭვს გარეშეა, ჰქონდა. ხალხს არ სჯეროდა ნერონის სიკვდილი. მისი აზრით, შეუძლებელი იყო ასეთი დიდი ჭკუის კაცი მტერს ვერ დასხლტომოდა ხელიდან. აღმოსავლეთში მაინც ყველაზე მეტად სწამდათ, რომ ნერონი კი არ დაღუპულა, არამედ იმალება და ერთხელაც იქნება ისევ დაიქუხებსო.

და ახლა, ამ ხელსაყრელ ვითარებაში, რომ დამოუკიდებელ ტერიტორიაზე გამოჩნდეს კაცი, გარეგნობით ზედგამოჭრილი იმპერატორი, და ამ კაცს ზურგს უმაგრებდეს სენატორი ვარონი, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა ნამდვილი იმპერატორის სულს, ასეთი კაცი, ასეთი ნერონი დიდხანს გასძლებს და მრავალ უსიამოვნებას მიაყენებს მოსაზღვრე პროვინციების გუბერნატორებს და, ვინ იცის, იქნებ თვით პალატინსაც-

დილა იყო. ვარონი კი ჯერ ისევ იწვა და თავის გეგმებზე ფიქრობდა; იზმორებოდა, იღიმებოდა და ხელახლა ხუჭავდა თვალებს.

ნერონი რომ ევფრატს გაღმა გამოჩნდეს, რას დააკლებს მას საქაჩულა! ნერონი, ცხადია, დაკვირვებულად იმოქმედებს და სირიის საზღვრებში იშვიათად თუ ვინმეს დაენახვება. შემოვა, შფოთს დათესავს და ისევ დროულად დაუბრუნდება დამოუკიდებელ მხარეს, სადაც ფარულად და, ალბათ აშკარადაც, მრავალი მომხრე მიუვა. რას გახდება მასთან ანტიოქია? ლაშქარს შეუსევენ უცხო ქვეყანას? ამას საქაჩულაც კი ვერ გაბედავს, ცხრაჯერ გადაიფიქრებს. თავის დროზე გაცხარებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული ყოველ რომაელ და პართიელ

ჯარისკაცზე, რომელსაც უფლება ჰქონდა ამ ბუფერულ სახელმწიფოთა მიწაზე დაედგა ფეხი. ესეც არ იყოს, ევფრატიდან ტიგროსამდე დიდი მანძილი როდია. რომი ეგრერიგად ვერ გაბედავს ევფრატს გადაღმა ლაშქრის გაგზავნას, რადგან შეიძლება ეს ლაშქარი ტიგროსის მხრიდან მომავალ მტერს გადაეყაროს და მახეში გაებას.

ვარონი წამოდგა, ფეხშიშველი მივიდა კედელთან, გამოიღო შიგ დატანებული ყუთი, გახსნა და ცეიონის ხელწერილი ამოიღო. ეს უკვე მერამდენჯერ წაიკითხა თავისი სასიამოვნო ხმით: „ლ. ცეიონი, სირიის საიმპერატორო პროვინციის გუბერნატორი, ადასტურებს, რომ ლ. ტ. ვარონისაგან მიიღო საინსპექციო გადასახადი — ექვსი ათასი სესტერცია“. მერე გაიღიმა, დოკუმენტს ხელი გადაუსვა და უკანვე ჩადო ყუთში. ყუთი თავის ადგილას შეინახა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

დაატრიალოს თუ არა ოინი? მშვენიერი ოინი კია, დიდ გასაქანს იძლევა და შეიძლება კარგი ნაყოფიც გამოიღოს, მაგრამ ერთობ სახიფათოა. არა, ეს ოინი არ არის. განა ქვითარია მთავარი, ანდა საქაჩულა? არც თვითონ ვარონია მთავარი. მთავარი აღმოსავლეთია, ეს დიდებული, გარყვნილი, ბრძენი და აბურდული აღმოსავლეთი, რომელსაც პალატინიდან წამოსული ვიწროშუბლიანი, ხეპრე ფელდფებელები ფეხქვეშ გათელვას უპირებენ.

ვარონს მოაგონდა ის დრო, როდესაც პირველად ჩამოვიდა სირიაში. მაშინ იგი ახალგაზრდა ოფიცერი იყო, ფელდმარშალ კორბულონის არმიაში მსახურობდა და მის მახლობელ პირად ითვლებოდა. ეს კორბულონი ერთი რეგვენი კაცი იყო, არც ალღო უვარგოდა და არც ჭკუა უჭრიდა; სამაგიეროდ ღრმად სწამდა, რომ დიდი ნიჭის პატრონი იყო, ბრძანებების გაცემაში ტოლი არ ჰყავდა და ჩინებულად იცოდა როგორ დაეჭირა თავი, რომ მისი ზვიადი ქცევის ბუნებრიობაში ეჭვი არავის შეეტანა. ვარონმა ბევრი რამ ისწავლა მისგან. ისე კი მალე მოუსინჯა კბილი: დაინახა, რომ ამ კაცის გულის მოგება დაუსრულებელი ქება-დიდებით შეიძლებოდა. და მოიგო კიდეც. მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ ახალბედა ოფიცერი, რომელსაც ჯერ ტუჩზე დედის რძე არ შეშრობოდა, სახელ-

მოხვეჭილ და გამოცდილ ფელდმარშალს თავის ჭკუაზე ატარებდა. სირიის გამგებლობა, ფაქტიურად, მის ხელში მოექცა. სწორედ მაშინ შეუყვარდა აღმოსავლეთი, პირველად მაშინ იგრძნო, რომ ამ ქვეყნის მეფობა ეწადა, იგი ენით გამოუთქმელ სიამოვნებას განიცდიდა, როდესაც აქაურ მეფე-დიდებულებთან და სოვდაგრებთან საუბრობდა მათს ტკბილსა და ზოზინა ენაზე, როდესაც მათს შენიღბულ ფანდებს კიდევ უკეთ შენიღბული ფანდებით უპასუხებდა და, ბოლოს და ბოლოს, საქმეს თავის სასარგებლოდ შემოატრიალებდა. კაცმა რომ თქვას, კორბულონის დროიდან მოყოლებული, ამ მხარეში ფაქტიურად მუდამ ვარონი მბრძანებლობდა.

ვარონი გაიზმორა და ისევ მოიკუნტა. მერე ის გაახსენდა, ფლავიუსები რომ თავიდან მოშორებას უპირებდნენ ამ თერთმეტი წლის წინ. ერთხელ, ნასმერევაზე, საროსკიპოში, დიდი ცირკის უკან კახპა გოგო პორფირსა და სენატორის მაღალყელიან წაღებში გამოაწყო და ამისათვის იმპერატორმა ვესპასიანემ იგი სენატიდან გააძევა, როგორც უღირსი. ეს ტლანქი და თანაც ირონიული საბაბი თვითონ ვესპასიანემ მოიგონა, რომელსაც მუდამ მდაბიური თავშესაქცევებისაკენ მიუწევდა გული. მაგრამ ფლავიუსებს, — განსვენებულ ვესპასიანესა და მის ვაჟიშვილს, ტიტუსს, ძვირად დაუჯდათ ეს ხუმრობა. სულ მალე დარწმუნდნენ, რომ თავიან კაცს ზოგჯერ ედესიდან მეტი ზიანის მოყენება შეუძლია, ვიდრე რომიდან. და ახლა ეს რეგვენი საქაჩულა გამოუგზავნეს, რათა ამდენი ხნის ნალოლიავები აღმოსავლური პოლიტიკა წყალში გადაუყარონ. მაგასაც ნახავენ; როდესაც მესოპოტამიაში მის ნერონს აღიარებენ, საქაჩულა მიხვდება როგორ წააგო ჭკუა, ვარონს რომ ექვსი ათასი სესტერცია ააღლიტა; იმასაც მიხვდება, რომ აღმოსავლეთში „დავკრათ და გავათავოთ“ და „რომაული დისციპლინა“ არ გამოადგებათ, უმჯობესია ბებერ ვარონს გაუგონონ და მორიგების გზას დაადგნენ.

მაგრამ საით ეწევა ფიქრები? ნუთუ აქ მთავარი საქაჩულაა? არა, მარტო საქაჩულას კი არა, მთელ ამ ბრიყვსა და უტიფარ ახალ რომს გაუფრთხება ძილი, როდესაც მისთვის ესოდენ საძულველი ნერონი მკვდრეთით აღდგება.

უეცრად თვალწინ ტერენციუსი წარმოუდგა. უცნაური კია, მაგრამ, ფიქრებში გართულს, იგი სრულიად გადაავიწყდა. ახლალა მოაგონდა, თუ როგორ გარდაიქმნა ეს მექოთნე, როგორ მიუახლოვდა ნერონის ნაბიჯებით და ნერონის ზანტი და ქედმაღალი, დაუვიწყარი ხმით უთხრა:

— რატომაც არა, ჩემო ვარონ, რატომაც არ გაპატიებ!

ვარონი შეკრთა და ჟრუანტელმა დაუარა, როგორც მაშინ, ეს უბადრუკი მდგომარეობა რომ მის წინაშე ნერონად იქცა. მაგრამ უცებ ჩინებული აზრი მოუვიდა: თვითონ ნერონიც, ალბათ ბევრს იცინებდა, რომ გაეგო, რა ოინს უწყობს ვარონი მის მტერს, ტიტუსს, და იგი დამშვიდდა.

კმაყოფილი ვარონი კიდევ ერთხელ გაიზმორა, მდივანი გამოიძახა და დაავალა, წადი და გამიგე, ინებებს თუ არა მეფე მალუქი ჩემსა და ქურუმთუპირველეს შარბილის მიღებასო.

8

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ

მეფე მალუქმა ვარონი და ქურუმთუპირველესი შარბილი დიდ, არაბულ ყაიდაზე მორთულ დარბაზში მიიღო, სადაც, ჩვეულებრივ, საბჭოს იწვევდა ხოლმე. კედლებს ხალიჩები ფარავდა, შადრევანი ჩქეფდა, მოდარბაზენი დაბალ სკამებზე ისხდნენ. ვარონისა და მოხუცი ქურუმთუპირველესისათვის ძნელი იყო დარბაისლურად თავის დაჭერა, რადგან მათი მოძრავი ბუნება ვერ ეგუებოდა ასეთ პოზას. მაგრამ იცოდნენ, რომ მეფე მალუქი ყველაზე უკეთ მაშინ გრძნობდა თავს, როცა მისი ხალხის ჩვეულებისამებრ ფეხმორთხმით იჯდა იატაკზე, წყნარად მოჩუხჩუხე შადრევანს უჭვრეტდა და მხოლოდ ხანგრძლივი, ღრმააზროვანი დუმილის შემდეგ გამოეპასუხებოდა მოსაუბრეს. მსახურმა უკვე მესამედ გადასწია ფარდა და დრო გამოაცხადა მთავარი სათქმელი კი ჯერაც არ უთქვამთ.

— ფრიად სამწუხაროა, — დაიწყო ბოლოს ქურუმთ-

უპირველესმა შარბილმა, — რომ ტახტისათვის ბრძოლამ პარ-
თია დააძაბუნა. სანამ მეფე არტაბანის ლაშქრის ნაწილი მო-
ქიშპესთან ბრძოლითაა გართული, რომი თავისას არ დაიშლის
და კვლავაც გვაგრძნობინებს, რომ ზურგს აღარ გვიმაგრებს
მძლავრი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო დახმარების ხელი
გამოეწოდებინა.

ვარონი ყურადღებით დააცქერდა მეფე მალუქს. ეს თაფ-
ლისფერთვალება, ახოვანი, ოღონდ ცოტა სქელი, ლამაზი ვაჟ-
კაცი, რომელსაც კეხიანი, ფართო ცხვირი და გულმოდგინედ
დახვეული, კარგად მოვლილი წვერი ჰქონდა, იჯდა სრულიად

აუღელვებლად, როგორც ქანდაკება და კაცი ვერ მიხვდებოდა, გაიგონა თუ არა, საერთოდ, ქურუმთუპირველესის ნათქვამი. იქნებ ოცნებაში იყო წასული, როგორც ეს ხშირად სჩვეოდა, და მართლა არაფერი გაუგონია. უკვე სამი საუკუნე გავიდა, რაც ედესას ეს არაბი დიდებულები განაგებდნენ. ისინი კარგად შეეთვისენ ბერძნულ-რომაულსა და პართიულ კულტურას, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მეფე მალუქის გული მაინც არაბეთს ეკუთვნოდა. ყველაზე ნაკლებად მას სახელმწიფო საქმეები უყვარდა, ცოტა მეტად — ლაშქარი, კიდევ მეტად—თავისი ჰარამხანა, ჰარამხანაზე მეტად — ცხენები, მაგრამ ყველაფერს შორეული უდაბნოები ერჩივნა. ჟამიდან ჟამზე მცირე ამალას გაიყოლებდა და სამხრეთის უდაბნოს მიაშურებდა ხოლმე. გულის სირრმეში იგი ბედუინი იყო, ბედუინი, რომელსაც ხვნა-თესვა, ქოხის აგება და, საერთოდ, ერთ ადგილას დაფუძნება სამარცხვინო საქმედ მიაჩნია. ვინც ასეთ მყუდრო ცხოვრებას დაეხარბება, მის შენარჩუნებაზეც უნდა იზრუნოს და ბატონი გაიჩინოს, თავისუფლებას კი სამუდამოდ გამოეთხოვოს; მაგრამ თავისუფლება არაბის უმაღლესი სიკეთეა, და რაკი ამ სიკეთეს კაცი მხოლოდ მარტოობაში ჰპოვებს, ამიტომ მისი სამშობლო უდაბნოა.

მეფე მალუქი უძრავად იჯდა, და თმაში საშუბლე უელავდავინ გამოიცნობდა, რაზე ფიქრობდა იგი ამ დროს? იქნებ უდაბნოზე ან ცოლებსა და ცხენებზე, მაშინ, როდესაც ვარონი და ქურუმთუპირველესი შარბილი დაბეჯითებით ცდილობდნენ მისი ყურადღება პოლიტიკური ამბებისთვის მიეპყროთ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მეფეს ყველაფერი ესმოდა. შესაფერისი პაუზის შემდეგ მან გახსნა წითელი ბაგეები და თქვა:

— ვარსკვლავთღმერთი დუსარისი განხეთქილების ისრებს უშენს აღმოსავლეთს. ამიტომ შფოთავს პართიელთა სახლი, ამიტომ ჭირვეულობს უფლისწული პაკორი და ეურჩება მეფე, არტაბანს.

ვარონს გაუხარდა, რომ მალუქი უსმენდა, და გადაწყვიტა მეტი სითამამე გამოეჩინა.

— ზოგს სინანული იპყრობს, როდესაც ხედავს, რომ მხოლოდ აღმოსავლეთის ვარსკვლავები თესავენ განხეთქილებას,

ზოგს სასიამოვნოდ დაურჩება, თუ რომის მბრძანებელ ტიტუს-საც გამოუჩნდება მოქიშპე და ტახტს შეეცილება.

ძარღვიც კი არ შესტოკებია საშუბლეს ქვემოთ, შავგვრემან სახეზე. ქურუმთუპირველესმა კი, პირიქით, სწრაფად შემოატრიალა ვარონისკენ თავისი, გაძვალტყავებული, ცბიერი თავი, თუმცა თქმით არც იმას უთქვამს რამე. მაგრამ ამ დუმილმა ვერ შეაკრთო ვარონი: მან კარგად იცოდა, რა ფიქრები უტრიალებდა თავში მეფესა და ქურუმთუპირველესს. ორივე მათგანს სძულს რომი, ორივე მათგანი დიდად გაიხარებს, თუკი იმპერატორის გზაზე რაიმე დაბრკოლება აღიმართება. არაბი მალუქი, თავისუფლების გახელებული მოტრფიალე, ამაოდ იფარებს გულგრილობის ნიღაბს, მას სასტიკად სტანჯავს ის გარემოება, რომ მის დამოუკიდებლობას რომი თანდათან ფრთებს აკვეცს. შარბილი, გაქნილი და გამკილავი სირიელი, უძველესი კულტურის მქონე ხალხის ქურუმი, ზიზღის თვალით შეჰყურებს ამ ახლადმოვლენილ დასავლელ ბარბაროსებს, რომლებიც თავიანთი ტლანქი ხელებით კადნიერად ეპოტინებიან მის ქვეყანას. რაკი ასეა, ვარონს შეუძლია კიდევ ერთი ნაბიჯი წადგას წინ და მისი ნათქვამი ისე მოხვდება მსმენელთა გულს, როგორც წვიმა გვალვისაგან გადახრუკულ ტრამალს.

— ვინ იცის, — თქვა მან, — იქნებ არის კაცი ვინმე, რომელიც უფლებას აცხადებს რომის ტახტზე. ვინ იცის, იქნებ ვარსკვლავებმა უკვე იწინასწარმეტყველეს, რომ ეს კაცი დღეს-ხვალ გამოჩნდება კიდეც.

მან მოლოდინის თვალით გადახედა შარბილს, დარწმუნებული იყო, ესოდენ მახვილი ჭკუის კაცი სწორად გაუგებდა, თუნდაც მეტი აღარაფერი დაემატებინა. სირიის მკვიდრი, სულით არამეელი შარბილი, ალბათ, სიყვარულით იგონებს ნერონს, რომელიც ესოდენ პატივს სცემდა და მფარველობდა მსოფლიოში უძველეს სირიულ კულტურას. გარდა ამისა, შარბილი ხარბი კაცია და გულს უთუთქავს ის გარემოება, რომ რომაელები ასე დაურიდებლად ხელყოფენ მისი ტაძრის საუნჯეს.

მაგრამ შარბილი პასუხს აყოვნებდა. ქურუმის წვეტიანი ქუდი თითქოს შეზრდოდა ყვითელ, პერგამენტივით გამომშ-

რალ, დანაოჭებულ შუბლს, შავად შეღებილი სამკუთხოვანი წვერი უსიცოცხლოდ ეკიდა დამჭკნარი ტუჩებისა და ოქროს კბილების ირგვლივ. მან ერთხანს აფახულა დანაოჭებული ქუთუთოები და ბოლოს, გულისგამაწვრილებელი დუმილის შემდეგ, თავისი უსიამოვნო, წვრილი და ბებრული ხმით დაიწრიპინა:

— მაგრამ თუ კაცი, რომელიც უფლებებს აცხადებს, თაღლითია?

სანამ ვარონი რაიმეს უპასუხებდა, კარისკაცმა მეოთხედ გამოაცხადა დრო. მეფე მალუქმა ღვინო და ტკბილეული მოითხოვა, როგორც ჩანს, მეფემ უხერხულად მიიჩნია სულ ერთთავად პოლიტიკაზე საუბარი და, როდესაც სტუმრები მორიდებით შეეხენ სასმელ-საჭმელს, ნადირობაზე ჩამოაგდო სიტყვა, მერე, აქ რომ მოითავა სათქმელი, ისევ ერთბაშად შემოუბრუნდა პოლიტიკას.

— ხომ ვერ მეტყვის ჩემი ძმა და ბატონი, — იკითხა მან, — რა შედეგებია მოსალოდნელი, თუ კაცი, რომელიც უფლებებს აცხადებს, თაღლითი არ არის?

— თქვენი ერთგული ყმა ვარონი მზადაა მორჩილად გიპასუხოთ, მბრძანებელო. ყოველი ედიქტი, რომელიც მას შემდეგ გამოიცა, როდესაც ჭორები შეთხზეს, ნერონი მოკვდაო, გაუქმდება და ძალაში დარჩება მხოლოდ მანამდე არსებული ხელშეკრულებები.

ამჯერად აღმოსავლეთის მეფემ და ქურუმთუპირველესმა იმდენხანს უცქირეს რომაელს უხმოდ და ჩაციებით, რომ ამ უკანასკნელს თავისი დაემართა, თუმცაღა აღმოსავლურ ადათ-წესებს მიჩვეული იყო.

— ტანმორჩილი ბატონი, — დაიწყო ბოლოს შარბილმა თავისი გამყივანი, ბებრული ხმით, — რომელიც რომმა ანტიოქიაში მოავლინა, ჯიუტია, როგორც გარეული თხა. იგი ალბათ არ შეეპუება პალატინის მოქიშპეს, გინდა მართლა ნერონი იყოს ეს მოქიშპე და გინდა ვიღაც თაღლითი.

შარბილი გაჩუმდა. აღარც მეფეს უთქვამს რაიმე. მაგრამ ვარონმა იცოდა: ახსნა-განმარტება ზედმეტი იყო; ორივე მათგანი ჩინებულად გრძნობდა, რომ იმპერატორის ტახტის მო-

ცილე, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუკი მცირე ხანს მაინც გაძლებდა, ფრიად დიდ სარგებლობას მოუტანდა ედესის სახელმწიფოს. თუ ასეთ მოქიშპეს მხარს დაუჭერ, მისგან ყოველგვარ პრივილეგიებს მიიღებ, თუ არადა, რომისგან მოითხოვ ერთგულების საფასურს. რაკი საქმის სარგებლიანობა აშკარა იყო, ამაზე ლაპარაკი უკვე აღარ ღირდა.

საუბარი ისევ პართიის აწეწილ საქმეებს შეეხო. ტახტის მოცილეთაგან არტაბანი უფრო ძლიერი და გონიერია. მან ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა და მტკიცედ დამკვიდრდა დასავლეთ პართიაში იქ, სადაც მესოპოტამიის საზღვარი გადის. უგუნურება იქნებოდა მისი მეტოქის, შორეული პაკორის მხარდაჭერა, თუმცა შესაძლებელია, მას მეტი უფლება და მეტი „თანდაყოლილი დიდებულება" ჰქონდეს.

ახლა მთავარია, რომელ მათგანს ცნობს რომის მთავრობა, რომის სავაჭრო ხელშეკრულებას პართიასთან ვადა გაუდის და ანტიოქიის გუბერნატორი იძულებულია დროზე გადაწყვიტოს, თუ ვისთან ურჩევნია ხელშეკრულების განახლება. ედესა წაგებული დარჩება, რომმა პაკორი რომ ცნოს ტახტის მემკვიდრედ და არა არტაბანი, ეს ძლევამოსილი და კეთილმოსურნე, მეზობელი. ამ საკითხის ირგვლივ საუბარი მიმდინარეობდა მოზომილი, ქარაგმული ფრაზებით და მანამ გაგრძელდა, სანამ ჯარისკაცმა მეხუთე საათის დადგომა არ აუწყა მბრძანებელს. მაშინ მეფე მალუქმა სტუმრებს აგრძნობინა, რომ დარბაზობა დამთავრებულად მიაჩნდა.

ვიდრე ვარონი წავიდოდა, ქურუმთუპირველესმა შარბილმა მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი აზრი, რომელსაც, ეჭვი არაა, მეფეც ემხრობოდა: — თუ რომი ჩვენს არტაბანს ცნობს, მაშინ აღარაფერი გვეთქმის, ჩვენც უნდა ვცნოთ მისი ტიტუსი. მაგრამ თუ რომი უარყოფს ჩვენს არტაბანს და პაკორის მხარეს დაიჭერს, მაშინ ედესა სიხარულით შეხვდება იმპერატორ ნერონის ხელახალ გამოჩენას.

ქურუმთუპირველესმა მხოლოდ იმიტომ გამოთქვა თავისი აზრი აღმოსავლეთისათვის ესოდენ უჩვეულოდ მოკლედ, მკაფიოდ და დალაგებულად, რომ მეტისმეტად მოხუცი იყო და წინ დიდი დრო აღარ ედო.

მედიატორის თათბირი

ამ საუბრის შემდეგ ვარონი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ედესიდან. ტერენციუსი აღარ მოუწვევია.

სენატორი ანტიოქიაში დაბრუნდა, თან ის ყუთიც წამოიღო, რომელშიც ესოდენ ძვირფასი დოკუმენტები ეწყო. მაგრამ თუ ევფრატს გაღმა ცა და ქვეყანას უჩვენებდა საინსპექციო გადასახადის ქვითარს, ანტიოქიაში, პირიქით, ისე იქცეოდა, თითქოს სრულიად დაავიწყდა რომ საქაჩულამ ასეთი სირცხვილი აჭამა. არც საქმით დაინტერესებულა, არც პოლიტიკით. ჩამოვიდა თუ არა, გარყვნილი ქალაქის აღვირახსნილ ცხოვრებას მისცა თავი. მთელ დროს მომხიბლავ გარეუბან დაფნეში ატარებდა, სადაც ბრწყინვალედ მორთულ ვილებში აზიის უმშვენიერესი მეძავები ცხოვრობდნენ. ეს იყო კუთხე, რომელსაც თავიანთ უწმინდურ სიზმრებში თავშეუკავებლად მიელტვოდნენ მთელი მსოფლიოს მდაბიონი.

ვარონის ქალიშვილს, პირთეთრსა და მკაცრ მარციას, უყვარდა მამა და აღმერთებდა, მაგრამ ცხვენოდა, რომ შეუფერებელ გარემოში ხედავდა.

ვარონი იშვიათად ხვდებოდა ცეიონს, ხოლო როდესაც ხვდებოდა, თავი ისე ეჭირა, როგორც ყოვლად უწყინარ კაცს, როგორც სკოლის ამხანაგს, და სინანულს გამოთქვამდა, რომ მისი მეგობარი ასე თავდაუზოგავად ეწევა სამსახურებრივი მოვალეობის მძიმე უღელს მაშინ, როცა თვითონ ნებიერად ეწაფება ამქვეყნიურ სიამოვნებას, სანამ სიბერე არ წამოსწევია. საინსპექციო გადასახადი თითქოს სრულიად აპატია ცეიონს. თვითონვე გაუმხილა, რომ ამის თაობაზე რომში უჩივლა. თან მიამიტად გამოუტყდა, რომ არ მეჩივლა, აღმოსავლეთში ავტორიტეტს დავკარგავდიო. სამაგიეროდ ამით ყველაფერი ამოიწურა. ან რა საკადრისია ექვსიათას სესტერიცაზე ლაპარაკი ისეთი კაცისთვის, რომელსაც ორმოცდათერთმეტი წელი უკან მოუტოვებია, ბევრი რამ ხელიდან გაუშვია და ბევრიც კიდევ წინა აქვს.

ცეიონი ნაკლებად ენდობოდა ამ მიამიტობას. არაერთხელ უნანია კიდეც, რომ ასე ღრმად შეტოპა. მართალია, თავს კი

ინუგეშებდა, რომის გუბერნატორს ადრე თუ გვიან მაინც უნდა ეჩვენებინა თავისი ძალა ამ აღმოსავლურ ტლაპოში ამოსვრილი ვარონისთვისო, მაგრამ სინანულის უსიამოვნო გრძნობას ამით ვერ იქარწყლებდა. აგენტებისაგან ცნობები მოსდიოდა, რომ ვარონი, მართალია, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ იმის დროსაც პოულობდა, რომ მსხვილი სავაჭრო გარიგებები ეწარმოებინა და სირიაში თავისი მიწების დიდი ნაწილი კარგ ფასად გაეყიდა.

გულის სიღრმეში ცეიონი აღტაცებული იყო ამ კაცით, რომელიც მთელ სიცოცხლეს უგუნურ და ფუჭ განცხრომაში ფლანგავდა და ამავე დროს დიდი გამჭრიახობით უძღოდა თავის აწეწილ საქმეებს. ასეთი კაცი ფრიად საშიში იყო.

ყველაფერს აჯობებდა, როგორმე მისი გული მოეგო. ამისთანა მერყევ კაცს ტკბილი სიტყვაც უნდა უთხრა და მწარე მათრახიც გადაუჭირო. ამიტომ ცეიონმა გადაწყვიტა თავისი სიმკაცრე, რომელიც გადასახადის საკითხში გამოიჩინა, განსაკუთრებული ნდობით გამოესყიდა. ვარონი სასახლეში მოიწვია.

ვარონი მოვიდა. ცეიონმა თავს ძალა დაატანა, აუხსნა, რატომ მოექცა ასე მკაცრად, როდესაც საქმე საინსპექციო გადასახადზე მიდგა. ეს რომ მათი, — მისი და ვარონის პირადი საქმე ყოფილიყო, — ამბობდა გუბერნატორი და აშკარად ეტყობოდა, რომ ძალისძალად ლაპარაკობდა, — მაშინ, ცხადია, დაუთმობდა და ხელს აიღებდა ამ ექვსიათას სესტერციაზე; მაგრამ საქმეში რომის პრესტიჟი იყო გარეული, რომის პრესტიჟი კი ცალკეულ პირთა ინტერესებზე მაღლა დგას.

— უნდა გაიგოთ ეს, ჩემო ვარონ, მიუხედავად იმისა, რომ „პართიის მეფეთმეფის მეგობარი“ ხართ, — ულაზათო ხუმრობით დაასრულა მან თავისი სიტყვა.

ვარონს არც უფიქრია გაეგო. ალერსით შესცქეროდა ცეიონს და ელოდა. ოღონდ ცოტა უკან კი გადასწია თავისი მძიმე სავარძელი, რადგან შორსმხედველი კაცი იყო და ასე ახლოდან კარგად ვერ არჩევდა მასპინძლის სახეს. იმედი ჰქონდა, რომ ცეიონი ეტყოდა გადავიფიქრეო და იმ ექვსიათას სესტერციას უკანვე დაუბრუნებდა. ვარონი სიამოვნებით ჩა-

მოართმევდა გამოწვდილ ხელს და უარს იტყოდა თავის გეგმაზე, რადგან ჩინებულად ესმოდა, რაოდენ ფანტასტიკური იყო მის მიერ წამოწყებული საქმე. და ელოდა. მაგრამ ცეიონი დუმდა. მისი ნათქვამი, არსებითად, მობოდიშება იყო, ვარონისთანა საეჭვო ავანტიურისტისათვის კი გუბერნატორის ბოდიში საკმარისი უნდა ყოფილიყო. და ისიც ელოდა. კიდევ ერთი წამი, მერე კიდევ ერთი წამი. ორივენი დუმდნენ, და ამ დუმილით წყდებოდა მათი ბედი; და არა მარტო მათი.

მაგრამ ცეიონი პედანტურად, როგორც ეს ბიუროკრატს შეეფერება, ცდილობდა ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა და „განსაკუთრებული ნდობით" ვარონის გული მოეგო.

— ჩემო ვარონ, — თქვა მან, — ერთხელ მეგობრულად დამპირდით, რომ თქვენი გონივრული რჩევით აღმოსავლეთის საქმეების მოწესრიგებაში დამეხმარებოდით. ახლა მინდა ვისარგებლო იმ დაპირებით და რჩევა გკითხოთ.

ნაამებმა და გაკვირვებულმა ვარონმა მიუგო:

— მიმსახურეთ, თუკი რამ შემიძლია, დაგეხმარებით.

— პართიასთან დადებულ ხელშეკრულებას, — გაუზიარა თავისი გულისწუხილი გუბერნატორმა, — ვადა გაუდის. ვისთან დავიწყო მოლაპარაკება? რომელი მეტოქე ვცნო ტახტის მემკვიდრედ? პაკორი თუ არტაბანი? რასაკვირველია, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ტახტისთვის ბრძოლამ რაც შეიძლება დაასუსტოს პართია; მაგრამ დრო აღარ ითმენს, ხელშეკრულება მოკლე ხანში უნდა განახლდეს. რა ვქნა, ვის დავუჭირო მხარი? იგი ხელახლა შეეცადა ლაღი იერი მიეცა საუბრისათვის. და ნაძალადევი ხუმრობით დაუმატა — რომელი მათგანის „მეგობარი" ხართ, ჩემო ვარონ, რომელი მათგანია მეფეთმეფე?

ვარონი გულის სიღრმეში დიდად გაახარა ამ შეკითხვამ. სწორედ ამას ელოდა. ანტიოქიაშიც ამისთვის ჩამოვიდა. ცეიონს რომ ერთ კვირას კიდევ დაეყოვნებინა, თავს ძალას დაატანდა და თვითონვე ჩამოუგდებდა სიტყვას პოლიტიკაზე. ახლა კი ჩინებულად მოეწყო საქმე, უკეთეს შემთხვევას ვერც ინატრებდა.

სასწრაფოდ ყველაფერი კიდევ ერთხელ აწონ-დაწონა.

მართალს ამბობენ ედესელები, ცეიონმა რომ საჭოჭმანო საკითხი არტაბანის სასარგებლოდ გადაწყვიტოს, ევფრატს გაღმა აღარავინ აიტკივებს თავს ვიღაც კაცის დასაცავად, რომელიც ნერონობას იჩემებს. მექოთნე მექოთნედ დარჩება, ცეიონი გუბერნატორად — შვიდი კორპუსისგან შემდგარი არმიისა და იმპერიის უმნიშვნელოვანესი პროვინციის მმართველად, საქაჩულა კი დავიწყებას მიეცემა. მაშასადამე, მას უნდა დაერწმუნებინა ცეიონი, რომ ტახტის მოცილეთა შორის პაკორი უფრო ხელსაყრელი კანდიდატურა იყო. ვარონს არაერთხელ შეუმოწმებია გონებაში ის არგუმენტები, რომელთა შემოწმებითაც ცეიონი ასეთ დასკვნამდე უნდა მიეყვანა. მაგრამ ახლა ერთბაშად უარყო ეს გულმოდგინედ შეკრებილი არგუმენტები და თამამი გადაწყვეტილება მიიღო. ამ რამდენიმე წამის განმავლობაში, სანამ ორივე მათგანი დუმდა, მან უკეთ გაიცნო სიყრმის ამხანაგი, ვიდრე მთელი სიცოცხლის მანძილზე. აშკარად ჩანდა, რომ ცეიონს ჭირივით სძულდა იგი და იოტის ოდენადაც კი არ ენდობოდა. ისიც ნათელი იყო, რომ რასაც ვარონი ურჩევდა, სწორედ იმის საწინააღმდეგოს ჩაიდენდა. მაშ ვარონი ურჩევს, არტაბანი სცნოს ტახტის მემკვიდრედ და არა პაკორი.

ასეც მოიქცა.

აქამდე ცეიონი ყოყმანობდა და ვერ გადაეწყვიტა, რომელი მეტოქისათვის დაეჭირა მხარი. ზოგ რამეში ერთი ჯობდა, ზოგში მეორე. იგი შესცქეროდა ვარონის სავსე სახეს, მსუქან, ვნებიან ტუჩებს, მაღალსა და უტიფარ შუბლს, თავხედურ პოზას. ცეიონს სძულდა ეს კაცი და, იუპიტერის მადლმა, ამ კაცსაც სძულდა ცეიონი. პაკორი? არტაბანი? ამ კაცმა ურჩია, არტაბანიო, ამ კაცმა თქვა, ჩემი მეგობარი არტაბანიაო. ცეიონი პაკორს მიემხრობა.

10

საჭიროა მოთმინება

მექოთნე ტერენციუსს ერთი სული ჰქონდა ვარონთან საუბარი გაემხილა ქაიასათვის, რომელმაც ერთხელ პატარა კაცი უწოდა, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ზოგ-ზოგი არც-

თუ ისე პატარა კაცად თვლიდა; მაგრამ იცოდა, ნაადრევი გამომჟღავნება მის აღზევებას ზიანის მეტს არას მოუტანდა, ამიტომ სათქმელს გულში იკლავდა და ძველებურ საქმიანობას განაგრძობდა თავის სახელოსნოში.

მაგრამ კაია თავისი ხუთი თითივით იცნობდა ქმარს. თუმცა ტერენციუსი დარბაისლური და საქმიანი სახით დაალაჯებდა ქალაქის ქუჩებში და თავი ისე ეჭირა, თითქოს ყელამდე იყო ჩაფლული ყოველდღიურ წვრილმანებში, კაიას მახვილ თვალს მაინც არაფერი გამოეპარებოდა. იგი ამჩნევდა, რომ ქმრის გონებას რაღაც სხვა, დიდი და მნიშვნელოვანი დაუფლებოდა. ალბათ რამე მოხდა. როგორც კი თავს მარტო დაიგულებდა, ტერენციუსი ღრმა ფიქრებში ჩაიძირებოდა: დროდადრო, ოცნებაში წასული, ნეტარებით ოხრავდა; სახე ხან სიხარულით გაუბრწყინდებოდა, ხან ისევ მოიღუშებოდა. ძილში ბორგვა და წრიალი დასჩემდა. კაია კარგად ხედავდა ყოველივე ამას და ის დრო აგონდებოდა, როდესაც ტერენციუსი პალატინში გამოიძახეს.

მაგრამ ტერენციუსის ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. ედესაში და შუამდინარეთის სხვა კუთხეებშიც უფრო და უფრო მოუხშირეს ლაპარაკს ნერონის მმართველობის ბედნიერი ხანის შესახებ. ხალხი გმინავდა მძიმე უღლის ქვეშ, რომელიც ახალმა გუბერნატორმა დაადგა მესოპოტამიის მოსახლეობას; იმატა ჩურჩულმა და მითქმა-მოთქმამ; ხმები დადიოდა, რომ მალე ამ უსამართლობას ბოლო მოეღებოდა, რომ იმპერატორი ნერონი ცოცხალი იყო, დღეს თუ ხვალ ზარზეიმით შემოვიდოდა და შუამდინარეთს პურსა და თავისუფლებას დაუბრუნებდა. ტერენციუსი ხარბად ეწაფებოდა ამ ხმებს, მაგრამ ვერავითარ ნუგეშს მათში ვეღარ პოულობდა: გაიტანჯა ამდენი ლოდინით.

კვირები და თვეები გადიოდა, ვარონისაგან კი არაფერი ისმოდა. სინამდვილეში ვარონი იმიტომ დუმდა, რომ საჭიროდ მიაჩნდა ტერენციუსის გამძლეობა გამოეცადა. რაკი ანკესზე წამოეგო, ახლა ცოტა იწვალოს, თორემ ძალიან გაყოყოჩდება. ამიტომ დიდი ბატონი, სენატორი ვარონი,

ხელმიუწვდომ ადგილას, შორეულ ანტიოქიაში ცხოვრობდა და მექოთნე ტერენციუსს არავითარ ცნობას არ აწვდიდა.

მძიმე დრო დაუდგა ტერენციუსს. ხანდახან ეჭვიც კი შეეპარებოდა: ნუთუ ეს სინამდვილე იყო, ნუთუ დიდებული სენატორი ვარონი მართლა ტოლივით ელაპარაკა? რის ტოლივით, ტოლივით კი ვარა და მორჩილად, როგორც ჰეშმარიტ იმპერატორს. სიცოცხლეს მისცემდა, ოღონდ ერთი ამ საქმეზე კაიასთან მოეთათბირა. მაგრამ იცოდა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა. ცოლი ყველაფერს მისი ფანტაზიის ნაყოფად მონათლავდა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ეტყოდა, ალბათ, ვარონი რაღაც ახალ ბოროტსა და დამამცირებელ ოინს გიწყობსო. ტერენციუსი კი სწორედ ამის გაგონებას ერიდებოდა; ეს რომ მართალი გამომდგარიყო, თავს აღარ იცოცხლებდა.

ამიტომ მალავდა გულის დარდს ასეთი დაბეჯითებით, როდესაც ცოლი ჩაცივებით მიაპყრობდა თავის ნათელ თვალებს.

იგი უფრო და უფრო მეტი სიხარბით ეძებდა რაიმე ნიშანს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ვარონის გარდა სხვამაც გამოიცნო მისი ნერონობა. მაგრამ ამგვარ ნიშანს ვერსად პოულობდა და ძლივძლიობით ახერხებდა ისეთივე წარმოსადეგი, საქმით გართული, თავდაჯერებული ოსტატი ტერენციუსი დარჩენილიყო, როგორიც ამ რამდენიმე კვირის წინ იყო.

მხოლოდ ერთით მოუფონა თავის ოცნებას. ხანდახან იმპერატორი ნერონი თავის ახლომხედველ თვალებთან (ჩვეულებრივ, მარცხენა თვალთან) ზურმუხტს მიიტანდა ხოლმე, მოსაუბრე რომ კარგად გაერჩია. ტერენციუსმა იყიდა ზურმუხტი. ადვილი საქმე არ იყო ცოლისთვის გამოეპარებინა, რომ მის შესაძენად სალაროდან აიღო ფული; და მართლაც ვერ გამოეპარა. თვითონ ზურმუხტი კი, რასაკვირველია, არავისთვის უჩვენებია; განმარტოვდებოდა ხოლმე სადმე, ამოიღებდა და სინჯავდა; ხან ერთ თვალთან მიიტანდა, ხან მეორესთან და ტკბებოდა მისი მწვანედ ბრჭყვიალით.

როცა აღარც ეს შველოდა რამეს, მაშინ, ეჭვებით გულ-ამღვრეული, ლაბირინთს მიაშურებდა და, ბნელ გამოქვა-ბულში განმარტოებული, საკუთარ თავს მიაყურადებდა, ელოდა, როდის გამოელაპარაკებოდა შინაგანი ხმა, როდის ეტყოდა თავისი დემონი: ნერონი ხარ და მთელი ქვეყანა გაღიარებსო.

ჯერჯერობით კი არავინ აღიარებდა; ვარონიც დუმდა. მაშინ აევსო ტერენციუსს მოთმინების ფიალა და წერილი მისწერა ანტიოქიაში. ეს იყო მოკრძალებული წერილი, როგორიც მწყალობელს ეკადრება თავისი ხელდებულისა-გან. ტერენციუსი კერამიკული ქარხნისა და თავისი საამქ-როს ამბებს ატყობინებდა ვარონს. ქალაქის წვრილმანებ-საც უყვებოდა, მაგრამ წერილის დასასრულს მაინც ამობლანდა ერთი ბუნდოვანი წინადადება და გადაკრულად შეახსენა ამასწინანდელი საუბარი. იქნებ მალე დაგეხსნათ და თავი აღარ მოგაბეზროთ ასეთი წვრილმანებით, — წერდა ტერენციუსი, — თუ ღმერთებმა ოცნება შემისრულეს და იმად მაქციეს, რაც ადრე ვიყავიო. წერა რომ დაასრულა, გადაიკითხა და ნახა, რომ რიგიანი წერილი გამოსვლოდა. ახლა კი ამოიღებს ხმას ვარონი. თუ აპირებს იმ ოინის გაგრძელებას, მაშინ ბუნდოვან წინადადებას უპასუხოდ არ დატოვებს; თუ არადა აღმოსავლური ყაიდის მრავალმნიშვ-ნელოვან, მოქარგულ ფრაზად ჩათვლის და ყურადღებას არ მიაქცევს. ასე რომ მოხდეს, ტერენციუსი კვლავ ედესის უფერულ ცხოვრებაში უნდა ჩაეფლოს. მაგრამ ეს შეუძლე-ბელია. ვარონი გაიგებს, გაიგებს და უპასუხებს.

გულისმომკვლელად მიზოზინობდნენ მომდევნო დღეები. აუარებელი წერილი მოდიოდა ანტიოქიიდან, რამდენიმე წერილი ტერენციუსმაც მიიღო, მაგრამ ვარონისაგან არა-ფერი ისმოდა. ტერენციუსმა თავის გულში ვადა დათქვა, რომლის განმავლობაში მოსასვლელი წერილი უეჭველად უნდა მოსულიყო. ეს ვადა ჯერ ექვსი დღე იყო, მერე ათი, მერე ოცი. და ტერენციუსი კვლავ და კვლავ მოთმინებას უქადაგებდა საკუთარ თავს. სასოწარკვეთილებას რომ არ მისცემოდა, ციტატები მოჰყავდა კლასიკოსთა ლექსებიდან,

სადაც მოთმინებაზე იყო ლაპარაკი. ამ ციტატებს კნოპსს უკითხავდა, — თავის მონას, რომელთანაც იმდენი თავშეკავება არ სჭირდებოდა, როგორც ცოლთან. ერთხელ კნოპსს უთხრა (როგორც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე), მალე გარდატეხის ჟამი დადგებაო, მერე თვითონვე ჩააფრინდა გაკაპასებით და ჟინიანად ამ იმედს, მოჭუტა თავისი ახლომხედველი თვალები და უფრო თავისთვის, ვიდრე კნოპსის გასაგონად, წარმოთქვა ჰომეროსის ლექსის დასაწყისი: „მოვა დღე იგი...“ და რა ნახა კნოპსი განცვიფრებული მიშტერებოდა, ცთუნებას ვეღარ გაუძლო, საიდუმლო ჯიბიდან ზურმუხტი ამოაძრო, კიდევ უფრო ღრმად ჩააცქერდა თვალებში მონას და მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა: „მოვა დღე იგი“...

კნოპსმა მწვანე ნაპერწკლების დანახვაზე უკან დაიხია, მაგრამ ჭკვიანი კაცი იყო და არაფერი უკითხავს. ისე კი ძალიან დააინტერესა ბატონის სიტყვებმა და უცნაურმა ჟესტმა. და ამ ამბავზე ბევრი იფიქრა.

კნოპსი, რომლის სახელი ნიშნავდა „ტყის ნადირს“ ანდა „ველურს“ და რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ეს სახელი წესიერად, გრძელი ბერძნული ო-თი წარმოეთქვათ, ახოვანი კაცი იყო და თავისი ასაკის კვალობაზე ერთობ ახალგაზრდა ჩანდა. იგი ტერენციუსის ოჯახში იზრდებოდა, — ერთმა მევალემ ვალში მისცა ტერენციუსის მამას, დაბადებით კი კილიკიაში დაიბადა და ამიტომ აღმოსავლეთში ჩინებულად გრძნობდა თავს. ეს იყო ცოცხალთვალებიანი, გაიძვერა და მლიქვნელი კაცი. ტერენციუსს, რომლისადმი მორჩილებას ბავშვობიდანვე შეეჩვია, შურიანი აღტაცებით შეჰყურებდა. მას აღტაცებას ჰგვრიდა ტერენციუსის ბატონკაცური მბრძანებლობა და ბრმა თავდაჯერებულობა, მაგრამ სძულდა კიდეც ამ დასავლურ თვისებათა გამო. წითელ ქუჩაზე მთელი საქმე მას ებარა, — კნოპსს, და სწორედ მისი მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ტერენციუსის ფაბრიკამ მოკლე ხანში ამხელა წარმატებას მიაღწია. კნოპსს რომ უნდოდეს, კაიას თვალთვალი ხელს ვერ შეუშლიდა, სულ ბღუჯა-ბღუჯა ჩაიჩხრი-

ალებდა ფულს ჯიბეში; მაგრამ მისი სამსახური ფულით არ გაიზომება. კაცმა რომ თქვას, ტერენციუსს წესით დიდი ხანია უნდა გაეთავისუფლებინა კნოპსი. ზოგს უკვირდა კიდეც, თუკი პატრონი არ ფიქრობს მის გაშვებას, როგორც ამას ადათი მოითხოვს, თვითონ რაღად უჩერდება ამდენ ხანსო? მაგალითად, მაშინ, ნერონი რომ მოკვდა და ტერენციუსმა გაქცევით უშველა თავს, ჭკვიანსა და მოხერხებულ კნოპსს ადვილად შეეძლო ხელიდან დასხლტომოდა. თანაც იცოდა, რომ ბატონი ვერ დაედევნებოდა: საკუთარ ტყავზე უნდა ეზრუნა. მაგრამ კნოპსი დარჩა, რადგან რაღაც ცრუმორწმუნეობრივი იმედი ჰქონდა, რომ მისი ბატონი ოდესმე აღზევდებოდა და ერთგული მონის სამსახურს ღირსეულად დააფასებდა.

როდესაც ტერენციუსმა ჩუმი და მტკიცე იმედით წარმოთქვა ჰომეროსის ლექსი: „მოვა დღე იგი...“ კნოპსი მიხვდა, რომ ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. ტერენციუსის ნათქვამი მან უყოყმანოდ დაუკავშირა ქალაქში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ნერონი ცოცხალი ყოფილიყო. ტერენციუსი ჯერ კიდევ რომში ელაპარაკებოდა თავის მონას მოსალოდნელ გარდატეხაზე; ეს ის დრო იყო, როდესაც იგი მთელი კვირაობით იკარგებოდა ხოლმე; თან პირდებოდა კიდეც, როგორც კი გარდატეხის ჟამი დაჰკრავს, თავისუფლებას მოგანიჭებო. კნოპსი მოთმინებით ელოდა ამ დღეს და ლოდინით არ იღლებოდა. ტერენციუსის წეღანდელმა სიტყვებმა გული აუტოკა, იმედი მიეცა, რომ მართლა მოახლოებული იყო გარდატეხა და მისი სანუკვარი ოცნება ბოლოს და ბოლოს ახდებოდა. კნოპსი დასახლდება სადმე აღმოსავლეთში და საკუთარ საქმეს გაიჩენს; მეგობრებს თვალსა და ხელს შუა გააცურებს, ათასგვარ ჭორებს მოუგონებს და ღვარძლიანად იოხუნჯებს მათზე.

საღამოს კნოპსი ერთ-ერთ ასეთ მეგობარს, ყველაზე მახლობელ კაცს, მექოთნე გორიონს ესტუმრა. ტერენციუსის მონა თითქმის მთელ თავისუფალ დროს აქ ატარებდა. ეს გორიონი, აღმოსავლეთის მკვიდრი, ჩასუქებული კაცი იყო, მრგვალი თავი და ეშმაკურად მოციმციმე თვალები

ჰქონდა და კნოპსავით უყვარდა ყბედობა და ყბედობის დროს ხელების ქნევა. მაგრამ, კნოპსისგან განსხვავებით სამუშაოს გულს ვერ უდებდა. სამაგიეროდ, მშვიდი და საქმიანი სახით იჯდა თავის მრავალრიცხოვან ნაცნობებში, ყურადღებით ისმენდა ყოველგვარ ჭორ-მართალს, იგინებოდა და ლაზღანდარობდა. იგი ეშმაკი და თან მალემრწმენი კაცი იყო და ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენდა ქალაქში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების მიმართ. ყოველ ასეთ ცვლილებას აღტაცებით ეგებებოდა, მაგრამ ყოველთვის იმედი უცრუვდებოდა და წარსულს შისტიროდა.

გორიონის მამაპაპანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ამ მხარეში. მათ საკუთარი თვალით იხილეს ბაბილონელ მეფეთა დიდება და განადგურება. ასირიელ, ბერძენ, რომაელ, სპარს, არაბ ხელისუფალთა დიდება და განადგურება. ყოველ ახალ მმართველში ან მზეს, ან სეტყვას, ან წარღვნას ხედავდნენ. ოხრავდნენ და ითმენდნენ. ებღაუჭებოდნენ თავიანთ მიწას, საზრდოობდნენ, შვილებს აჩენდნენ, თაყვანს სცემდნენ ქალღმერთ ტარატესა და მის თევზებს, — მუშაობდნენ იმდენს, რომ თავი გაეტანათ და დამპყრობელთათვის მიეცათ ის, რასაც ისინი მუშტითა და წამებით აღლეტდნენ. მაგრამ უცხოელი მეფე-დიდებულები ქრებოდნენ, გორიონის ჯილაგი კი რჩებოდა. და ახლა გორიონი იგინებოდა და ითმენდა ისე, როგორც იგინებოდნენ და ითმენდნენ მისი წინაპრები.

აი, ამ გორიონს დაუმეგობრდა კნოპსი. ჯერ ერთი, სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ ეს თავისუფალი კაცი თანასწორივით ელაპარაკებოდა, და, მეორეც, დარწმუნებული იყო, საქმის ცოდნით, გამოცდილებით და ჭკუით სჯობდა გორიონს. კნოპსი ინტერესითა და მუშტრის თვალით აკვირდებოდა გორიონის თორმეტი წლის ქალიშვილს, პატარა იალტას, და მამამისს პირობა ჩამოართვა, რომ ცოლად მისცემდა მას, როდესაც დიდი გარდატეხის დღე დადგებოდა და კნოპსი მონობას თავს დააღწევდა. დღეს კნოპსი დარწმუნდა, რომ აღთქმული დღე მართლაც მოახლოე-

ბული იყო და, ტკბილ ბურანში გახვეული, დაურიდებლად ლაპარაკობდა, თუ როგორ გაატარებდა პირველ ღამეს პატარა იალტასთან. მაგრამ გორიონი, იალტას მამა, თითით დაემუქრა კილიკიელ მონას და კიდევ ერთხელ გაიმეორა ძველი ანდაზა: „კარია, კილიკია და კაბადოკია, ეს არის სამი გულისამრევი „კ“. სამშობლო ქვეყნის შეურაცხყოფით განაწყენებულმა კნოპსმა უპასუხა, უნდა თუ არა ეს გორიონს, თავისი საქმეა, მე კი პატარა იალტასთან მაინც დავწვებიო. გორიონმა ეს არ აპატია და დაცინვით უთხრა:

— ერთი უყურეთ ამ კილიკიელ კნოპსს, ამ გულისამრევ „კ“-ს, — თანაც სახელი „კნოპსი“ განზრახ მოკლე „ო“-თი წარმოთქვა.

მაგრამ კნოპსს ღრმად სწამდა ტერენციუსის ნათქვამი; ამიტომ კიდევ უფრო გათამამდა და უპასუხა, რომ არა მარტო გორიონის ქალიშვილთან, პატარა იალტასთან, არამედ გორიონის ქალღმერთ ტარატესთანაც დაწვებოდა. ამ გაუგონარმა შეურაცხყოფამ, რომელიც მონამ მის საყვარელ ღვთაებას მიაყენა, წონასწორობიდან გამოიყვანა გორიონი და მთელი ჯამი ღვინო ცხვირ-პირში შეასხა სტუმარს. თუმცა, უნდა ითქვას, ამით ბევრი არაფერი დაჰკლებია, რადგან ღვინო, ცოტა არ იყოს, მოძმარებული იყო.

გორიონს ეგონა, ამ შეურაცხყოფის საპასუხოდ კნოპსის პირიდან ბინძური გინების ნიაღვარი წამოვიდოდა. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მონამ აუჩქარებლად შეიმშრალა სახე და მშვიდი ხმით უთხრა:

— ფრთხილად, გორიონ, გულისამრევი „კ“ ერთ მშვენიერ დღეს უძლიერესი კაცის მეგობარი არ გახდეს.

ეს სიტყვები ისეთი სერიოზულობითა და სიდინჯით თქვა, რომ გორიონი სახტად დარჩა.

შემდეგ, როდესაც იმ საღამოს განმავლობაში კნოპსმა კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა — შესაძლოა გარდატეხის ჟამი სულ ახლო იყოსო, გორიონს მისი ნათქვამი უაზრო ლაყბობად უკვე აღარ ეჩვენებოდა, და ფიქრით კიდევ დიდხანს დასტრიალებდა მას.

ზოგჯერ მიხვეულ-მოხვეული გზა უმოკლესია

სანამ ვარონი ტერენციუსს აწამებდა, ძალაუნებურად თვითონაც ეჩვეოდა მოთმინებას. მართალია, გარეუბან დაფნეში კვლავინდებურად განაგრძობდა თავაშვებულ ცხოვრებას, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი მოუსვენრობით ელოდა ცეიონის საბოლოო სიტყვას.

ბოლოს გადაწყვეტა ბიძგი მიეცა. ხმამაღლა, საქვეყნოდ მოჰყვა ლაპარაკს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომისთვის პართიასთან ურთიერთობის მოწესრიგებას და ტახტზე არტაბანის დასმას. მან იცოდა, რომ ეს სიტყვები ცეიონის ყურამდე მიაღწევდა. ბოლო დროს თავის ყუთსაც ხშირ-ხშირად ხსნიდა ხოლმე და საინსპექციო გადასახადის ქვითარს მთელ ანტიოქიას უჩვენებდა, თანაც ენამწარედ ლუნჯობდა გუბერნატორის თვითნებობისა და განდიდების მანიის გამო.

ყველაზე მეტად კი იმის ცდაში იყო, რომ გარეუბან დაფნედან ცეიონის ახალი სახელი გაევრცელებინა, სკოლის ამხანაგის დიდებული მეტსახელი საქაჩულა დაცინვის მოყვარულ სირიელებს მოეწონათ. მალე იგი უწმაწური მნიშვნელობით შეაფერადეს და ელვის სისწრაფით მთელ აღმოსავლეთს მოსდეს. ამიერიდან „ცეიონი“ დავიწყებას მიეცა და გუბერნატორი საქაჩულად მოინათლა, როდესაც მთავრობამ უტაქტო ბრძანებით აკრძალა მეტსახელის ხმარება, ხალხის მახვილმა ჭკუამ მას მოხდენილი სინონიმები შეუნაცვლა. ქუჩებსა და სამიკიტნოებში მღეროდნენ კუპლეტებს, რომლებშიც ხშირად სიტყვას ტოვებდნენ და გამოტოვებული სიტყვის ადგილას პაუზას აკეთებდნენ; ამ პაუზის შემცვლელი კი მხოლოდ და მხოლოდ საქაჩულა თუ იქნებოდა. ხალხი პირდაპირ იტაცებდა ხის თოჯინებს, რომლებსაც მოძრავი ხელ-ფეხი ჰქონდათ და რომლებიც იმხანად ათიათასობით გამოიტანეს გასაყიდად. ეს თოჯინები ჩაცუცქული იყვნენ, მაგრამ თუ ძაფს გამოსწევდით, გაიმართებოდნენ, გაიჭიმებოდნენ და მერე ისევ

ჩაცუცქდებოდნენ. ვარონი ხიფათს არ მოერიდა და ერთ-ხელ, ნადიმის დროს სტუმრებს სათითაოდ ჩამოურიგა ასეთი თოჯინები. ახლა კი პაკორის სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტა ცეიონს პართიის საკითხი.

გუბერნატორს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა: ბავშვობის დროინდელი მეტსახელი, რომელიც რომში დიდი ხანია დაივიწყეს, ახლა აქ აწამებდა და სიცოცხლეს უშხამავდა. ამას ისიც დაერთო, რომ თავისი ბრძანებით კიდევ უფრო გააფუჭა საქმე. ხელქვეითები უშლიდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას, არწმუნებდნენ, გაქნილი და ლაზღანდარა აღმოსავლეთი ათასგვარ გზას იპოვის, რომ ამ ბრძანებას თავს დაუაროსო. არ დაიშალა და შედეგიც მოიმკო: საკუთარ მარცხს თვითონვე შეუწყო ხელი.

როდესაც ვარონს შეხვდა, ცეიონი დაუყოვნებლივ თავის მართლებასა და იმის მტკიცებას შეუდგა, რომ ეს ბრძანება ფუჭი პატივმოყვარეობის გამო არ გამოუცია. ეს უაზრო მეტსახელი რომ მხოლოდ მის გასახელებლად მოეგონებინათ, არაფერს იტყოდა და დამშვიდებული იქნებოდა. მაგრამ ამ უტიფარ, შეთქმულ აღმოსავლურ ბრბოს მთელი იმპერიის გამასხარავება უნდა. საქმეში რომის პრესტიჟია გარეული. ამიტომ ყოველგვარი საშუალებით უნდა ებრძოლოს ამ ვიგინდარებს.

ვარონმა მოუსმინა თავაზიანად, თანაგრძნობით. გამოუტყდა, რომ ასეთ ღონისძიებაში სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა. ედიქტების საშუალებით ცეიონი აღმოსავლეთში თავისას ვერასოდეს გაიტანს. ანტიოქიაში ყოველ მმართველს, ყოველ მსახიობს თუ ატლეტს მეტსახელს არქმევენ, ხალხს ეს თავის პრივილეგიად მიაჩნია და დღემდე არავის ჯაუბედია მისი აკრძალვა. ასეთ დროს ნებაზე უნდა მიუშვა; ჯობია ძაღლები იყეფებოდნენ, ვიდრე იკბინებოდნენ. ცეიონს მისგან რა ესწავლება, მაგრამ ვარონი მაინც ურჩევს, ისე მოეპყრას ხალხს, რომ მეტსახელმა თანდათან დაკარგოს შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა და ინტიმური ელფერი მიეცეს. ვარონმა ცოტა უკან დაიხია, რათა მის შორსმხედ-

ველ თვალებს უკეთ გაერჩიათ მასპინძლის სახე და ორ-სამ-ჯერ მადიანად წარმოთქვა: საქაჩულა, საქაჩულა.

ცეიონი პირქუში სახით იჯდა და ფრჩხილებით ხელის გულს იქავებდა. თავისი ჯიუტი თვალები წამით ბოროტად შეანათა ვარონს. რასაკვირველია, იცოდა, რომ ეს მეტსახელი ვარონმა მოსდო ქვეყანას. დიდი სისულელე ჩაიდინა, როდესაც ასეთ კაცთან გულახდილი საუბარი დააპირა, კაცთან, რომლის საბოლოო მიზანი სხვა არაფერია, თუ არა, აი, ასეთი ღვარძლიანი ხუმრობა. ვარონი ხედავდა რა ბალღამი დუღდა ცეიონის გულში და ზეიმობდა. საქაჩულა არა სცნობს არტაბანს, საქაჩულა მკვდრეთით აღადგენს ნერონს, თვითონ გამოჩხრეკს თავის დასაკლავ დანას.

ვარონმა გაბედული ნაბიჯი გადადგა. მზრუნველი კილოთი იკითხა, ნუთუ ცეიონს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია რომელი აირჩიოს პართიის ტახტის მოცილეთაგანო? მერე კიდევ ერთხელ ურჩია დაჟინებით, არტაბანის მხარე დაეჭირა.

ცეიონმა ცივად უპასუხა, რომ ვარონმა ერთხელ უკვე გამოთქვა თავისი აზრი, რომელიც მან დაკვირვებით აწონ-დაწონა. იგი დიდად აფასებს ვარონის ცოდნას, მაგრამ კიდევ არსებობს საქმეში ჩახედული და დიდი გამოცდილების მქონე ხალხი, რომელიც საწინააღმდეგო აზრს ადგას. ცეიონს ეჭვი არ ეპარება ვარონის კეთილ განზრახვაში, მაგრამ, შესაძლებელია, თავისი სურვილის წინააღმდეგ ურჩია არა მხოლოდ როგორც რომაელმა, რამედ „მეფეთმეფის მეგობარმაც", — მეფეთმეფე არტაბანის მეგობარმა, —ოდნავი დაცინვით დაუმატა მან. გადაწყვეტილებას, რომელიც ცეიონმა უნდა მიიღოს, შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს. მე ჩემთვის როდი ვზრუნავ, იმპერატორის წინაშე ვაგებ პასუხსო, ამაყად დაასრულა მან. ვარონმა გაკვირვებული, განაწყენებული სახე მიიღო. სასახლიდან ზეიმით გამოვიდა.

სამი დღის შემდეგ გუბერნატორმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების განახლებისათვის მოლაპარაკებას აწარმოებს პაკორთან, როგორც პართიის მეფეთმეფესთან.

ტერენციუსის ხელახალი გარდასახვა

დათქმული დრო, რომლის განმავლობაშიც პასუხი უნდა მოსულიყო, გავიდა. მაგრამ ტერენციუსი იმედს არ კარგავდა. მიიწურა ერთი კვირა, კიდევ ერთი კვირა. ბოლოს მოვიდა ვარონის წერილი.

წერილი ვრცელი იყო. ტერენციუსმა შიშითა და გულისფანცქალით ჩაიკითხა. ვარონი თვითონ არ წერდა, მდივნის პირით ატყობინებდა. მდივანი დაწვრილებით, საქმიანად მსჯელობდა ყოველ წვრილმანზე, რომელიც ხელდებულის წერილში იყო ნახსენები. ტერენციუსს გული შეუქანდა. მაგრამ ბოლოში კიდევ ერთ მინაწერს მოჰკრა თვალი. ეს უკვე ვარონის ხელი იყო. სენატორი იმედს გამოთქვამდა, რომ ღმერთები მალე აუსრულებდნენ საწადელს.

ტერენციუსი სიხარულით ცას ეწია. მაგრამ მას უკვე კარგად ჰქონდა შეთვისებული მოთმინებისა და თავდაჭერის ხელოვნება. არავისთვის, მონა კნოპსისთვისაც კი არ გაუმხელია თავისი ბედნიერება. სამაგიეროდ ვარონის წერილს მუდამ თან ატარებდა. ხანდახან, როდესაც თავს მარტო დაიგულებდა, გაშლიდა და დაუსრულებლივ კითხულობდა და კითხულობდა ბოლო წინადადებას. დროდადრო ლაბირინთს მიაშურებდა და იქ მალავდა თავის ბედნიერებას. იქ, ერთ ბნელ საიდუმლო მღვიმეში, სადაც მხოლოდ ღამურებს თუ შეეძლოთ მისი დანახვა, წელში გაიმართებოდა, ხელებს გაშლიდა, იღიმებოდა სულელური, ნეტარი ღიმილით და ზედმიწევნით ბაძავდა იმპერატორის სიარულს, ჟესტებსა და ხმას.

თავის დროზე სენატის ბრძანებით მთელ რომის იმპერიაში აიღეს და საგულდაგულოდ დაფშვნეს საძულველი, სამარცხვინოდ დაღუპული ნერონის ძეგლები და ბიუსტები. მაგრამ საზღვარს გადაღმა, განსაკუთრებით შუამდინარეთში, მრავალი ბიუსტი და ქანდაკება გადარჩა. ბევრი მათგანი სენატორმა ვარონმა შეიძინა და ქალაქის მახლობლად, თა-

ვის მამულში წაიღო. აქ ერთ თავმიხებებულ ეზოში მოზრდილი ფარდული ჰქონდა. ამ ფარდულში შეინახა მან იმპერატორის ქანდაკებები, რომელთაგან მრავალი დაზიანებული იყო, და მცველად ერთი გამოლენჩებული, სხვა რამეში ყოვლად გამოუსადეგარი მონა მიუჩინა.

ერთხელ ტერენციუსი, ვითომდა შემთხვევით, ამ მამულს მიადგა. იქაურობის მცველმა მონა ბიჭმა უყოყმანოდ გაატარა წარმოსადეგი რომაელი, რომელსაც ერთობ ღირსეულად ეჭირა თავი. ტერენციუსი მიმოდიოდა ამ ქვებს შორის, რომლებშიაც ნერონის სული და ხორცი იყო გამჟღავნებული. აქ განსვენებული იმპერატორის ასიოდე ქანდაკება იყო. ზოგი მათგანი წამოწოლილ იმპერატორს გამოსახავდა, ზოგი ფეხზე მდგომს და ზოგიც მჯდომარეს.

წარმოსადეგი, ოღონდ, ცოტა არ იყოს, ტანსრული იმპერატორი, რომელსაც ახლომხედველი თვალები და მსუქანი, გამობურცული ქვედა ტუჩი ჰქონდა, ერთგან მხართეძოზე წამოწოლილიყო და ზვიადი და მოწყენილი სახე მიეღო, მეორეგან მედუზებით მოხატული აბჯარი ეცვა და მეფური დიდებულებით იმზირებოდა, სხვაგან კიდევ საგულდაგულოდ დახვეული წვერით იყო შემოსილი.

ზოგიერთი მათგანისათვის თვალებიც ჩაესვათ მოქანდაკეებს, მეტნაკლებად ძვირფასი ქვის რუხი, ბრჭყვიალა თვალები. რამდენიმე ფერადი ქანდაკებაც ერია. იმპერატორს ღია ვარდისფერი სახე, ქერა თმა და ძალიან წითელი ტუჩები ჰქონდა. ტერენციუსი მიმოდიოდა ქანდაკებებს შორის, სათითაოდ ათვალიერებდა, ბევრ მათგანთან ჩერდებოდა და დიდხანს შესცქეროდა, თვალებით ჭამდა; მის სულში წარსულის ტკბილი მოგონებები ცოცხლდებოდა. თავის წარმოდგენაში ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათთან, რომ ბოლოს ვეღარც კი ხვდებოდა, — ეს მისი ქანდაკებები იყო თუ ნერონისა. ერთ სანთლისგან ჩამოქნილ ფიგურასთან განსაკუთრებით დიდხანს შეჩერდა. ჯიბიდან ზურმუხტი ამოიღო. დიახ, ეს თვითონ იყო, ნერონ-ტერენციუსი, თოთხმეტი წლის წინანდელი ტერენციუსი. იგი იდგა, ახლომხედველი თვალებით შესცქეროდა ბიუსტს და ზედ-

მიწევნით ზუსტად ბაძავდა მის გამომეტყველებას. კოპები შეიკრა, თავი მედიდურად ოდნავ გვერდზე გადახარა, ქვედა ტუჩი და ნიკაპი წინ გამოწია, პირი მოკუმა და უკმაყოფილო, მოუთმენელი და ძალიან ამაყი სახე მიიღო. დიდხანს იდგა ასე

დარაჯი ბიჭი ეზოს კუთხეში მიყუჟულიყო, დამფრთხალი და ცნობისმოყვარე სახით უთვალთვალებდა უცხო კაცს და უკვირდა მისი უცნაური ქცევა. როდესაც ტერენციუსი სანთლის ფიგურასთან შეჩერდა, ყმაწვილს ფერი ეცვალა და დაფეთებული კიდევ უფრო მოიკუნტა. ბოლოს, უცხო კაცი რომ ბიუსტს მოშორდა და მოჭარბებული განცდების შემდეგ, ცოტა არ იყოს, არეული ნაბიჯით ფარდულიდან გამოვიდა, მონა ბიჭი მასთან მიიჭრა, პირქვე დაემხო და შუბლით მიწას შეეხო, როგორც ეს აღმოსავლეთის მცხოვრებთ სჩვევიათ ღმერთებისა და დიდხელმწიფეთა წინაშე.

ტერენციუსი, შეშინებული და თან უსაზღვროდ ბედნიერი, სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. აი, უკვე სადამდე მივიდა საქმე. უასაკო და სულით სნეული ბალღებიც კი ხვდებიან თუ ვინ არის იგი და რისთვის მოუვლინა ზეცამ ქვეყნიერებას. მოზღვავებულმა სიხარულმა სული შეუგუბა ტერენციუსს, სუნთქვა შეუკრა ნეტარებით გაბრუებული მთვრალივით მიბარბაცებდა. ბოლოს, ერთ პატარა ბორცვთან შეჩერდა, იქ სადაც ტრამალი იწყებოდა. მხრები შეჰყარა, ნერონის დაუდევარი, უზომოდ ამაყი ჟესტით ხელი ჩაიქნია და თითქმის დამცინავი ხმით წარმოთქვა ბერძნული ტრაგედიის სიტყვები: „შეჩერდი, დედამიწავ! განა ოდესმე გიტარებია მოკვდავთა შორის ჩემზე უფრო ძლიერი ვინმე?“

ასეთი განცდების შემდეგ ტერენციუსს აღარ ძალუძდა კაიასა და მონა კნოპსის დანახვა, რომელთა სახეებს ყოველდღიურ წვრილმანებზე ფიქრმა თავისი დაღი დაასვა. იგი ლაბირინთში განმარტოვდა. ყური მიუგდო თავის დემონს. და დემონმა მიმართა მას: „მოგესალმები, კეისარო! მაღლა! სულ უფრო მაღლა! ვარსკვლავებისაკენ, კეისარო!“.

გადაცმული ხელმწიფე

ედესაში კი სულ უფრო ხშირად და ხშირად ახსენებდნენ ნერონს. აქებდნენ მის მეფობის ხანას; იმედი ჰქონდათ, რომ იგი გადარჩა და მალე გამოჩნდებოდა კიდეც. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, საქაჩულამ არტაბანის კანდიდატურა უარყო და პართიის მეფედ პაკორი ცნო, ხალხი კიდევ მეტი გულისტკივილით მისტიროდა განსვენებულ იმპერატორს და კიდევ უფრო მეტად დრტვინავდა. რომის მიერ აღიარებული პაკორი შორს, აღმოსავლეთ პართიაში მეფობდა, ედესის მოსაზღვრე მხარე კი არტაბანს ეჭირა. თუ რომი და არტაბანი ერთმანეთს წაეკიდებიან, პირველი ბრძოლა უეჭველად ედესის სამეფოში გაიმართება; ედესელ ხალხს არ სურდა ომი. განა არა კმარა, რომ აუარებელი გადასახადებისა და ხარკის წყალობით შემოსავალმა იკლო? ვისთვის ღვრიდნენ ამდენ ოფლს, ვისთვის იწევდნენ ღვინოსა და პურს, ვისთვის ამზადებდნენ ეხრაქს? უცხოელთათვის, თავგასულ დამპყრობთათვის, რომისათვის. ეჰ, ერთი იმპერატორი ნერონი იყოს ახლა აქ! მის დროს ჩინებულად ეწყობოდნენ ერთმანეთს რომი და ედესა, ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული და ორივე მხარე მოგებული რჩებოდა. ნერონი აღმოსავლეთის ძველ ღმერთებსაც პატივს სცემდა,— ქალღმერთ ტარატეს, ცხენზე ამხედრებულ მითრას, არაბულ ვარსკვლავთღმერთებს. რითი სჯობია კაპიტოლიუმის იუპიტერი და „ქალღმერთი რომი“ მითრას, ანდა ტარატეს,— „სირიის ქალღმერთს?“ რა ღმერთია ასეთი, რომ გაწამებული ხალხისგან სულ უფრო და უფრო მეტ შრომასა და გადასახადს მოითხოვს? ქალღმერთ ტარატეს თევზები გაცილებით ნაკლებ ანგარებიანია, ვიდრე იუპიტერის არწივი. რომაელი ჯარისკაცები ყოველ ნაბიჯზე ადგილობრივ მკვიდრთა პირქუშ მზერას აწყდებოდნენ; ხალხი დასცინოდა მათ, „საქაჩულას მონებს“ ეძახდნენ ზურგს უკან და ვაი იმ ჯარისკაცს, რომელიც ღამით მარტო გამოჩნდებოდა ედესის

ქუჩებში. სასაცილო, მოძრავ თოჯინებს თავს უყრიდნენ და წვავდნენ. მოედნებზე მოყაყანე ხალხის თვალწინ. უკვე დაურიდებლად ლაპარაკობდნენ, საქაჩულას ბატონობას დიდი დღე აღარ უწერია, იმპერატორი ნერონი ედესაშია, მალე გამოჩნდება და საქაჩულას თავს გააგდებინებსო.

ბევრს გულით ეწადა, რომ ახლა ვარონი აქ ყოფილიყო: მისგან გონიერ სიტყვას გაიგონებდა კაცი რომისა და შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვარონი კვლავ შორეულ ანტიოქიაში იყო და დაფნეში, ვილების ქალაქში განცხრომას ეძლეოდა. უკიდურესად მახვილი თვალი უნდა ჰქონოდა კაცს, რომ მთელი ამ მითქმა-მოთქმის უკან ვარონის ხელი დაენახა.

მაგრამ თუ ვარონი უხილავი რჩებოდა, სამაგიეროდ ყველა ხედავდა მეორე რომაელს, ვიღაც საიდუმლოებით მოცულ პიროვნებას. ერთმა შიკრიკმა, რომელიც უარს ამბობდა ეპასუხა რაიმე შეკითხვაზე, ქალღმერთ ტარატეს ტაძარში მიიტანა უზარმაზარი თანხის ქვითარი, როგორც იმპერატორ ნერონის შესაწირავი დიდი ხიფათისაგან დახსნისათვის. ხოლო ქალთა სილამაზის დიდ მოტრფიალეს, მეფე მალუქს, შიკრიკმა გადასცა იმავე უხილავი ნერონის საპატიო საჩუქარი — ორი მშვენიერი ქალწული. მეფე და ქურუმთუპირველესი ყოყმანობდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, მიეღოთ თუ არა ძღვენი, მაგრამ ბოლოს მაინც მიიღეს, რადგან თანხა ერთობ დიდი იყო და ქალწულებიც ერთობ მომხიბლავნი.

მეფე მალუქი და ქურუმთუპირველესი შარბილი პოლიტიკურ თემებზე საუბრისას ერთმანეთშიაც კი მხოლოდ ფერად-ფერად, ფრთხილ ფრაზებს ხმარობდნენ. ქარაგმული ბჭობა გამართეს ახლაც, უკვალოდ გამქრალი იმპერატორის ხელახალი გამოჩენის გამო.

— კარგია ვიცოდეთ, — ბრძანა მეფემ, — რას ფიქრობს თავის გულში ამ იმპერატორზე ერთი ვინმე რომაელი და რამდენად მყარ საფუძველს ეყრდნობა მისი ვარაუდი.

— ეგ რომაელი ერთი დასავლური ქალაქის მხიარულ

სახლებში ხარჯავს მთელ თავის ძალღონეს, — მიუგო ქურუმთუპირველესმა.

— ღმერთებმა იგი მახვილი თვალით დააჯილდოვეს, — არ დაეთანხმა მეფე, — და დასავლეთის მხიარული სახლიდანაც კარგად დაინახავს ყოველივეს, რაც ჩვენში ხდება.

— იქნებ ასეცაა, მაგრამ შიკრიკი რომ გავუგზავნოთ, ვაითუ გზაში შეიპყრონ და ყოველივე ათქმევინონ. მდუმარე მხოლოდ დედამიწაა.

— ედესა ძველთაძველი ქალაქია და კიდევ არა ერთ სახელმწიფოს დაცემას მოესწრება, — დაასკვნა მეფემ, — მოთმინება კი მაღალი ნიჭია.

— მე თვითონაც მოვხუცდი, — უკმაყოფილოდ გამოსცრა ოქროს ჯბილებშუა ქურუმთუპირველესმა, — და ედესასავით ქვა და მიწისგან როდი ვარ შექმნილი.

არავინ იცის საიდუმლოებით მოცულმა ძღვენმა იმოქმედა ასე, თუ სხვა რამემ გააღიზიანა ხალხის ფანტაზია, რომ ახლა თითქმის აღარავის სჯეროდა ნერონის სიკვდილი; სჯეროდათ კი არა, აშკარად გაიძახოდნენ, — ნერონი ედესაშიაო.

მექოთნე ტერენციუსი ხარბად ეტანებოდა ამ მითქმა-მოთქმას. მაგრამ თავის სიხარბეს ოდნავაც კი არ ამჟღავნებდა. ახლა იგი ღრმად დარწმუნებული იყო საკუთარ თავში და ისე აღარ უჭირდა მოთმენა. მახვილი ალღოთი გრძნობდა, რომ უმჯობესი იყო ჩუმად ყოფილიყოდა დაეცადა, სანამ ნიადაგი თავისთავად მომზადდებოდა.

მართლაც, ჩაურევლადაც ბევრი რამ კეთდებოდა მისი აღზევებისათვის. თანდათან ვიწროვდებოდა წრე, რომლის ცენტრშიაც იმპერატორი უნდა ეპოვნათ, და ეს წრე წითელი ქუჩის ირგვლივ იყო შეკრული. სულ უფრო აშკარად გაისმოდა, ტერენციუსი არააო.

ნაცნობები შემკრთალი სახით ესალმებოდნენ. უცხონი თითით უჩვენებდნენ ერთმანეთს — ეს არიო — და მის ზურგს უკან ჩურჩულებდნენ. როდესაც შემთხვევით მგზავრს სახეში შეხედავდა, შეცბუნებულ და მოკრძალებულ გამომეტყველებას წააწყდებოდა ხოლმე. აუწერელი ნეტარებით ევსებოდა გული ყოველივე ამის დანახვაზე, მაგრამ თავი ისე ეჭირა,

თითქოს ვერაფერს ამჩნევდა და გულდამშვიდებით შეჰყურებდა, თუ როგორ იმოსებოდა ხალხის თვალში შარავანდედით. როდესაც ვინმე შეეცდებოდა მისთვის რაიმე ეთქმევინებინა, კოპეგს შეიკრავდა და ახლომხედველ თვალებში გაკვირვება ჩაესახებოდა.

იმ შიშმა და იდუმალმა მოწიწებამ, რომლითაც ტერენციუსი იყო გარემოცული, კნოპსსაც კარგი სამსახური გაუწია. გორიონი ახლა მხოლოდ დიდი კრძალვით თუ ბედავდა მის გახელებას და ერთხელ, როდესაც „კნოპსი“ მოკლე ედესური „ო“-თი წამოსცდა, სასწრაფოდ გაასწორა და საჭირო. გრძელი „ო“-თი შეცვალა. კნოპსი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. როგორც იქნა, მოაწია ნანატრმა დღემ, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირა. ისეთი გამჭრიახი გონების კაცი, როგორიც კნოპსი იყო, წინასწარ ხვდებოდა რა ტაქტიკას დაადგებოდნენ ახლა შეთქმულები. ეჭვი არ იყო, მჭიყვებოდნენ იმის მტკიცებას. თითქოს პალატინზე უკანასკნელი საიდუმლო შეხვედრისას იმპერატორმა და მექოთნე ტერენციუსმა როლები შეცვალეს. რაკი ამას მიხვდა, ადვილად მოახერხა თავი ისე დაეჭირა, რომ ბატონისთვის ეამებინა. საქციელი არ შეუცვლია. მოხერხებული მონა ძველებურად შინაური, თავდადებული, მორჩილი და კადნიერი კაცი იყო, რომელიც შეუდარებლად განაგებდა ფაბრიკის საქმეებს. ოღონდ. შესაძლებელია, ოდნავ მეტ მორჩილებას და ოდნავ ნაკლებ კადნიერებას იჩენდა.

თუმცა თანდათანობით, კნოპსის საქციელში მომხდარი ცვლილებისდა მიხედვით, უნებურად იცვლებოდა ტერენციუსიც. მართალია, მის ირგვლივ დატრიალებულ ამბებს კვლავინდებურად თვალს არიდებდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ამას განზრახ სჩადიოდა. იგი ახლა მექოთნე ტერენციუსი კი აღარ იყო, არამედ საიდუმლოებით მოცული პიროვნება. რომელსაც სიამოვნებას ჰგვრიდა მექოთნე ტერენციუსის როლის თამაში.

ყოველი კაცი მონაწილეობდა ამ თამაშში, გარდა ერთისა; ეს ერთი კაია იყო. მან გადაწყვიტა ქმარი მოერჯულე-

ბინა, მისი თავიდან განდიდების უგუნური სურვილი ამოეგდო.

სულ რამდენიმე კვირის წინ მისი ტერენციუსი ჯერ კიდევ სიამოვნებით დადიოდა ერთ-ერთ სახალხო აბანოში და გულმოდგინედ იხეხებოდა ხოლმე. იქ ნაცნობ-მეგობრებს პოულობდა, დინჯად უზიარებდა მათ თავის შეხედულებებს პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე. ბოლო ხანებში გადაეჩვია იქ სიარულს. მექისეების დაუხმარებლად ბანაობდა შინ, თავის ვიწრო და მოუხერხებელ სააბაზანო ოთახში. იქ, თბილსა და სასიამოვნო წყალში განმარტოებით ჩამჯდარი, თავის ოცნებებს ეძლეოდა, საკუთარ თავს ესაუბრებოდა, მღეროდა, მხატვრულ კითხვაში ვარჯიშობდა და შემდეგ ტიტველი ან საბანაო ხალათწამოსხმული ითვისებდა მეფურ მიხრა-მოხრას, რომელიც მომავალში გამოადგებოდა. აი, რა სურათს წააწყდა ერთხელ კაია, როდესაც გადაწყვიტა განაზრახი შეესრულებინა და ორთქლით სავსე ოთახში შეაბიჯა: საბანაო ხალათში გამოწყობილ ქმარს ზურმუხტი თვალთან მიეტანა და ნიკაპი და ქვედა ტუჩი უზომო სიამაყით წინ გამოეწია. მეტისმეტად მიწეირი, მეტისმეტად ხორციელი იდგა კაია ტერენციუსის წინაშე. ცოლ-ქმარი ძლივს ეტეოდა პატარა სააბაზანო ოთახში. კაიამ პირში მიახალა, რასაც ფიქრობდა: ეს თამაში იმიტომ კი არ წამოიწყეს, რომ შენი ქერა თმითა და რუხი თვალებით მოიხიბლნენ, ისინი თავიანთი ძნელი და სახიფათო მიზნისაკენ მიდიან, შენ კი კვლავ უღირს სამსახურს დაგავალებენ, ხოლო თუ თამაში წააგეს, პირველ რიგში შენ გაგწირავენ. წაგების მეტი კი რა უნდა გამოვიდეს აქედან, ედესელი მექოთნე რომ რომის იმპერიას აუმხედრდებაო?

ტერენციუსმა პირი იბრუნა, საბანაო ხალათი მხრებიდან მოიძრო და ძირს დააგდო. შიშველი, ზურგშექცევით ჩამოჯდა აბაზანის კიდეზე, ფეხები წყალში აატყაპუნა. კრინტი არ დაუძრავს. კაია არიგებდა ქმარს. მოაგონა ის საშინელი ღამე, სხვისი გულისთვის რომ კინაღამ თავი წააგო. მოაგონა რა ჭირის ოფლში ცურავდა, რა საცოდავი სახე ჰქონდა, პალა-

ტინიდან რომ დაბრუნდა. ტერენციუსს კრინტი არ დაუძრავს. რაკი ცოლი აღარ დაეხსნა, ჩაცმა დაიწყო, თან თავისთვის რაღაცას ღიღინებდა.

14

ორი მსახიობი

ედესის სამხრეთ გარეუბანში, დანგრევის პირად მისული სახლის ერთ უბადრუკ ოთახში იჯდა იოვანე პატმოსელი, რომელიც. ტერენციუსის აზრით, ჯეროვნად ვერ ასრულებდა ოიდიპოსის როლს, და წინ ხელნაწერი ედო. შუაღამე გადასული იყო, ქუჩაში ბნელოდა, მხოლოდ იოვანეს ოთახში ენთო მხრჩოლავი ჭრაქი.

იოვანემ ნაშუადღევს თვალი გადაავლო ხელნაწერს, იგი მცირეწლოვანმა ვაჟმა ალექსიმ მოუტანა, ვიღაც ერთმორწმუნე ქრისტიანს შეეჩეჩებინა ხელში. ეს იყო ერთი, ამ რამდენიმე წლის წინ ფრიად გახმაურებული ტრაგედიის ბერძნული თარგმანი. ავტორად მიაჩნდათ სახელგანთქმული პოეტი და ფილოსოფოსი სენეკა; ხოლო ტრაგედიის თემა იყო ნერონის პირველი მეუღლის, ტირანის მიერ გადასახლებული და მოკლული ოქტავიას მწარე ხვედრი, რამაც დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ამ ნაწარმოებმა, რომელიც იოვანეს ლათინურ დედანში ჰქონდა წაკითხული, მაშინაც დიდად იმოქმედა მასზე. მაგრამ შემდეგ, როდესაც ქრისტეს რჯული აღიარა, საერო წიგნის კითხვა მკრეხელობად მიაჩნდა. დღეს კი ყმაწვილმა ტრაგედიის ბერძნული ვერსია მოიტანა და იოვანემ ცთუნებას ვერ გაუძლო, გადაწყვიტა გადაეხედა. წაკითხვას არ ფიქრობდა, თვალის გადავლება უნდოდა მხოლოდ. მართლაც თავს ძალა დაატანა და მალე ხელნაწერი გვერდზე გადადო. საღამოს, მიწიერი ზრახვებისათვის რომ თავი დაეღწია, სიბილას ერთი წინასწარმეტყველური წიგნი გადმოიღო, რომელსაც ისა და მისი ქრისტიანი თანამოძმეები ღვთაებრივ წიგნად თვლიდნენ. მაგრამ სიბილას წიგნი მრავალ ადგილას ბუნდო-

ვანი ნართაულობით მიანიშნებდა ნერონზე, ანტიქრისტეზე, რომლის მეფობა მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს დასაბამია, და ამ ბნელმა წინასწარმეტყველებამ იოვანეს ფიქრები კი ვერ მოწყვიტა „ოქტავიას“, არამედ კიდევ უფრო მეტად მიაჯაჭვა. მან ხელახლა გადმოიღო ხელნაწერი, თუმცა იცოდა, რომ მართებულად არ იქცეოდა. შუაღამე უკვე გადასული იყო, ის კი, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, კითხულობდა და კითხულობდა მშვენიერ, ამაღელვებელ ლექსებს.

ვისაც იოვანეს ცხოვრებისთვის თვალი არ უდევნებია, იგი ძნელად დაიჯერებდა, რომ სახელგანთქმული მსახიობი ქალაქ ედესაში და ისიც ასეთ უბადრუკ ოთახში ცხოვრობდა. საქმე ის იყო, რომ დიდ ხელოვანს მარტოოდენ ხელოვნება ვერ აკმაყოფილებდა. მცირე აზიის ქალაქებში ყოველ ნაბიჯზე სიღატაკეს ხედავდა და ხელოვნებაზე ნაკლებ როდი აწვალებდა კითხვა: „საიდან მოდის ტანჯვა და როგორ უნდა მოეღოს მას ბოლო?“ წარმოშობით ებრაელი იყო, მაგრამ პასუხებს, რომლებსაც ებრაელი სწავლულები იძლეოდნენ ამ კითხვაზე, არ ჯერდებოდა. არც ბერძენ ფილოსოფოსთა და სტოელ მასწავლებელთა პასუხები ამშვიდებდა. მის გულს სულ უფრო მეტად და მეტად იზიდავდა სწორედ იმ ხანად აღმოცენებული სარწმუნოება, ეგრეთწოდებულ ქრისტიანთა სექტა. გაჭირვების ნეტარება და ამქვეყნიური ცხოვრების გაწირვა საიქიოს გულისათვის, რასაც ისინი ქადაგებდნენ, მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროსა და იმქვეყნიური ცხოვრების ბნელით მოცული წინასწარმეტყველება, სიბილური და აპოკალიპსური წიგნების ქუფრი კორიანტელი ტკბილი და თანაც შიშნარევი მღელვარებით უვსებდა გულს. მან იწამა, გამოცადა თავისი რწმენა, დაეჭვდა, უფრო ღრმად იწამა, განუდგა, იწამა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ უარი თქვა პატივსა და სიმდიდრეზე, რომელიც ხელოვნებას მოჰქონდა, ცივილიზაციას გამოექცა, ქალაქ ედესაში დასახლდა და, აგერ უკვე რამდენიმე წელია, თავისი ნებით ცხოვრობდა დუხჭირი და ვაგლახი ცხოვრებით.

ახალი სარწმუნოება უარეს მსხვერპლსაც მოითხოვდა მისგან: ხელოვნების მიტოვებას მოითხოვდა. ბერძნული დრამები

ღმერთთან და ბედისწერასთან აბრძოლებდნენ ადამიანს და ხოტბას ასხამდნენ ამ ბრძოლას. მათი გმირები ყოყლოჩინობდნენ: არა არის რა ქვეყნად კაცზე ძლიერიო. შეეძლო თუ არა ამპარტავან ბერძენ პოეტთა სამსახური ისეთ კაცს, რომელმაც მორჩილების წმინდა ზიარება მიიღო? იოვანემ კბილების ღრჭენით აღიარა, რომ ეს შეუძლებელია. მართალი იყვნენ ქრისტიანი ძმები, როდესაც, მთელი თავიანთი ლმობიერების მიუხედავად, მის საქმიანობას გმობდნენ. და მან ხელი აიღო არა მარტო ფულსა და დიდებაზე, რომელსაც თეატრი აძლევდა, არამედ თვითონ ხელოვნებაზეც. მაგრამ ბერძნული დრამები, სოფოკლესი მაინც განსაკუთრებით, ღრმად ჰქონდა გამჯდარი სისხლში და ეგრერიგად არ ეთმობოდა. ყველაზე უფრო საყვარელი წიგნები ედესაშიც თან ჩამოიტანა. და ეს წიგნები, ეს ბრწყინვალე ბუდეებში ჩასმული გრაგნილები უცნაურად გამოირჩეოდნენ უბადრუკი ოთახის ფონზე. იოვანე საყვედურებით ავსებდა თავის თავს, მაგრამ მაინც ხშირ-ხშირად გადმოიღებდა ამ გრაგნილებს და ტკბებოდა დიდებული ლექსებით.

ახლაც. ნაშუაღამევს, იჯდა თავის ვაგლახად მორთულ ოთახში და „ოქტავიას“ ხელნაწერს ჩასცქეროდა. უვარგისი და მხრჩოლავი ჭრაქის ჩაბეუტული ალი მხოლოდ ნახევარ სახეს უნათებდა. იოვანეს მაღალი შუბლი ჰქონდა, კუშტად მზირალი თვალები, ფართე ცხვირი და გაბურძგნული, ხუჭუჭ წვერი. თუმცა გარეგნობაზე აღარ ზრუნავდა, მის ნაოჭებით დაღარულ სახეს ათას სახეში გამოარჩევდით. ანთებული თვალებით კითხულობდა ჭრაქის მკრთალ სინათლეზე „ოქტავიას“. უეცრად რაღაც მოხდა: ღმერთმა რაღაც აზრი შთააგონა, რომელმაც ზეზე წამოაგდო და თავის ღარიბულ ოთახში ბოლთის ცემა დააწყებინა. დიახ, ეს უფლის ნება იყო, პატარა ალექსიმ რომ „ოქტავია“ მოუტანა და სიბილას წიგნის გავლენით კი მისი წაკითხვა გადაწყვიტა. იოვანეს არასოდეს უნახავს და არც გაუგონია, რომ ნერონისათვის ასეთი მძიმე ბრალდება წაეყენებინოს ვისმე, როგორიც ამ „ოქტავიაშია“. არა, შემთხვევით არ მოხვედრილა ეს წიგნი მასთან სწორედ ახლა, როდესაც ირწმუნებიან, ეს ანტიქრისტე ნერონი, ეს

უშველებელი, საზარელი ურჩხული ცოცხალია, მალე გამოჩნდება და ქვეყანას ხელახლა მორწყავს სისხლით და სიბინძურით აავსებსო. ღმერთს ნებავს, რომ იოვანემ ხალხში გაიტანოს ეს ამბავი. „ოქტავიაში“ რომ ნერონის როლი შეასრულოს, ანდა მთელი ტრაგედია საჯაროდ წაიკითხოს, ეს ფუჭი პატივმოყვარეობა და ცოდვა კი არა, ღვთის საამებელი საქმე იქნება.

იგი დარბოდა უღიმღამო, უბადრუკი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში. მის ვაჟს, ალექსის გამოელვიძა და შეშინებული, ნამძინარევი თვალებით მიაჩერდა მამას. მამა კი ტუჩებს აცმაცუნებდა. მან გულში უკვე მოამზადა „ოქტავიას“ ლექსები და ახლა ჩურჩულით პირველად ცდილობდა მათ წარმოთქმას. ბგერები და სიტყვები ლაღად, თითქოს თავისთავად მოედინებოდნენ. იოვანეს გული და გონება თანდათან უფრო ღრმად ჩაითრია ამ ლექსებმა: სენეკას ბრძნულმა და ზომიერმა, დაკვირვებულმა თხრობამ, შმაგი, გახელებული ნერონის უზომოდ ქედმაღლურმა სიტყვებმა, პოპეას შემაძრწუნებელმა ლექსებმა, აგრიპინას გამძვინვარებამ, გუნდის თანაგრძნობის ჟილომ. იოვანემ გადაწყვიტა უფლის ნება შეესრულებინა; მას სძულდა ტირანი ნერონი და დაუოკებელი სურვილი ჰქონდა კიდევ ერთხელ, უკანასკნელად დამთვრალიყო თავისი ხელოვნებით. ახლა ყოველივე ეს, გადაწყვეტილებაც, სიძულვილიც და სურვილიც ერთმანეთში შეირწყო და ამ ლექსებში გადმოიღვარა. დიახ, მას სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლია საჯაროდ წაიკითხოს „ოქტავია“. ღმერთს ნებავს ეს.

მან გამოაცხადა, რომ ედესის ოდეონში ბერძნულ ენაზე წაიკითხავდა სენეკას „ოქტავიას“.

მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა ამ ცნობამ. დიდი მსახიობი იოვანე, რომელიც მრავალი წელია სცენაზე აღარ ენახათ, აქ, ედესაში გამოდიოდა და თანაც ამ გაცხოველებული მითქმა-მოთქმის ჟამს სწორედ „ოქტავიას“ კითხულობდა.

როდესაც იოვანე სცენაზე გამოვიდა, ოდეონის დიდებული შენობა სულ ერთიანად გაჭედილი იყო მოუთმენლობისაგან აწრიალებული ხალხით. აქ იყო რომის გარნიზონების მთელი ოფიცრობა და რომაელთა ედესელი მეგობრები. მაგრამ იმპე-

რატორ ტიტუსის ლოიალური მომხრენი უკმაყოფილოდ და შეშფოთებით ამჩნევდნენ, რომ მაყურებლებში ფლავიუსების მრავალი აშკარა მტერი ერია: ვარონის აზატები და ხელდებულები მმართველ ლენიუსის წინამძღოლობით და თვით ცნობილი ტერენციუსიც თავის რამდენიმე მეჭოთნე ამხანაგთან ერთად.

იოვანე წვერგაპარსული და საზეიმოდ მორთული იყო, როგორც ამას ჩვეულება მოითხოვდა. უცნაური შესახედავი იყო ტუნიკაში გამოწყობილი იოვანეს ზეთისხილისფერი სახე, უზარმაზარი შუბლი და კუშტად გამომზირალი ნუშისებრი თვალები. მან მთელი ტრაგედია ზეპირად იცოდა. თავისი იდუმალი, ხავერდოვანი, ნავარჯიშევი ხმით წარმოთქვამდა „ოქტავიას“ მძაფრსა და მრისხანე ლექსებს, რომლებიც იმპერატორ ნერონის საზარელ საქმეებს ამხილებდა. მისი ხმა ხანნაზი იყო, ხანაც კრისტალივით მტკიცე; სიძულვილის, თანაგრძნობის, სიამაყის, სისასტიკისა და შიშის უმცირეს ნიუანსებსაც კი გადმოსცემდა. დიდ ხელოვნებას მიუჩვეველი ევფრატს გამოღმელი ხალხი გულთბილი მაყურებელი გამოდგა. იოვანე პატმოსელმა ამ ტრაგედიის მტრებიც კი მოხიბლა. მთელი დარბაზი სულგანაბული უგდებდა ყურს. მხოლოდ შეკავებულ, დაძაბულ სუნთქვას თუ გაიგონებდით დრო და დრო. აღგზნებული ხალხი პირში შეჰყურებდა მსახიობს, ანდა თავჩაღუნული, გაბრუებული უსმენდა. როდესაც იოვანემ კითხვა დაამთავრა (ამ დრომ უმრავლესობისათვის ძალიან ჩქარა გაიარა), საზოგადოება გონს მოეგო, ღრმად ამოისუნთქა. მქუხარე ტაშმა იქაურობა გააყრუა.

— დღეგრძელი იყოს იოვანე პატმოსელი, სასიქადულო და დიდებული მსახიობი! — მოისმოდა ყოველი მხრიდან.

მაგრამ უეცრად ეს შეძახილები სხვა ხმამ დაფარა, რომელიც სულ უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ გაისმოდა. ისინი, ვინც მსახიობს ზეიმით ესალმებოდნენ, შეშფოთდნენ. ჯერ ეგონათ ყურმა მოგვატყუაო. მაგრამ თანდათან დარწმუნდნენ, რომ არ შემცდარან. დიახ, ეს მართალი იყო, აქ, ამ ლოიალურ, რომისა და იმპერატორ ტიტუსის ერთგულ პოლიტიკოსთა, ოფიცერთა, მიწათმფლობელთა და ედესელ ვაჭართა შორის

ჯერ რამდენიმე ასეული, ბოლოს კი ათასზე მეტი გაკადნიერებული, ქუჩის ჭორებს აყოლილი კაცი ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— დღეგრძელი იყოს სასიქადულო და დიდებული იმპერატორი ნერონი!

მოგვიანებით უკვე აღარავინ იცოდა, რამ გამოიწვია ეს დემონსტრაცია, რომელიც, ეჭვი არაა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს საწყენად დაურჩა. იქნებ ასე იყო საქმე: ხალხი აღაგზნო დიდი მსახიობის ხელოვნებამ. ხალხს გრძნობების ხმამაღალი გამოხატვა უნდოდა, ყვირილი უნდოდა; მსახიობისათვის გამართული ოვაციები კი ამ დროს თანდათან ცხრებოდა. სამაგიეროდ სულ უფრო გაშმაგებით, სულ უფრო ფანატიკურად გაჰკიოდნენ: „დღეგრძელი იყოს სასიქადულო

და დიდებული იმპერატორი ნერონი!“ და ყვირილს მოწყურებული ხალხიც მათ აჰყვა.

მსახიობს აღარავინ უყურებდა. მთელი ხალხი, ზოგი პირდაღებული და გაბრწყინებული, ზოგი გაოცებული, ზოგი ყოყმანითა და აშკარად უმწეო გამომეტყველებით, სხვები კიდევ შეშინებული და უკმაყოფილო თვალით მისჩერებოდნენ სადაც ჩაცმულ კაცს, რომელიც მოკრძალებით იჯდა ყველაზე უბრალო ადგილას და რომელსაც ამ შეძახილებით მიმართავდნენ. უცებ ოდეონის უზარმაზარ დარბაზში ხალხმა საკუთარი თვალით დაინახა, რაც აქამდე ამბად გაეგონა, დაინახა, რომ ნამდვილად ყოფილა ადამიანი, რომელსაც იმპერატორ ნერონის სახე და მიხრა-მოხრა ჰქონია. მართლაცდა იგი, ვინც აქ იჯდა მექოთნე ტერენციუსი კი აღარ იყო, არამედ კაცი, რომელმაც გულმოდგინე შრომითა და ვარჯიშით იმპერატორის გული ჩაიდგა და ნერონად იქცა. ის იჯდა მშვიდად, ოდნავ მოწყენილი, ძალიან ამაყი, მეფური სახით და ილიმებოდა დაბნეული, თითქმის ბავშვური ღიმილით. როდესაც იმპერატორისადმი მიმართული შეძახილები კიდევ უფრო მოხშირდა და მომძლავრდა, იგი წამოდგა დინჯად და აუღელვებლად, თითქოს ეს ყვირილი მას სრულიადაც არ ეხებოდა. მაგრამ მის წინაშე როგორღაც თავისთავად გაიხსნა გზა. ამაყი და წელში გამართული, გულგრილი ღიმილით მიაბიჯებდა მოწიწებით უკანდაწეულ ხალხს შუა. რომაელ ოფიცრებში ბევრი ისეთიც ერია, რომელთაც მოუსმენიათ იმპერატორ ნერონისადმი მიმართული შეძახილები, თვითონაც მიუღიათ მონაწილეობა ასეთ მისალმებაში, საკუთარი თვალით უნახავთ ნერონი. ახლა, ამ ნერონის დანახვაზე თავით ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარათ და ცოტას გაწყდა, კინაღამ ისეთი პატივით მიესალმნენ, როგორც იმპერატორს ეკადრებოდა.

ტერენციუსმა თავი მოაბრუნა მეგობრებისაკენ, რომლებიც შორიახლო მოჰყვებოდნენ; როგორც ჩანს, რაღაც უნდა ეთქვა. უზარმაზარ დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ ტერენციუსს თითქოს არც წეღანდელი ხმაური ესმოდა და არც ახლანდელი დუმილისათვის მიუქცევია ყურადღება. მან

ოდნავ შესამჩნევი ღიმილით და დაუდევარი კილოთი მხარ-უკულმა გადასძახა მეგობრებს:

— კაცმა რომ თქვას, ეს „ოქტავია“ თვითონ ნერონს უნდა წაეკითხა, ისე, სალაღობოდ.

და სულ ჩუმად, თითქოს სხვათა შორის, დაუმატა:

— რამხელა ხელოვანი დაუბრუნდებოდა ქვეყნიერებას.

ცა და ქვეყანამ იცოდა, რომ ნერონი დიდი მსახიობის სახელს უფრო ეძებდა, ვიდრე დიდი მბრძანებლისა და რომ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „რამხელა ხელოვანი იღუპება!“ ახლა, როდესაც ამ იმპერატორის ნაბიჯით მიმავალმა კაცმა თავი შემოაბრუნა და იმპერატორის ჟესტითა და ხმით წარმოთქვა: „რამხელა ხელოვანი დაუბრუნდებოდა ქვეყნიერებასო“, სამიათას კაცს ჟრუანტელმა დაუარა ტანში და თვით ამ დემონსტრაციის მომწყობთაც კი მოეჩვენათ, რომ ეს მართლაც იმპერატორი ნერონი გადიოდა თეატრიდან.

15

ჯარისკაცი და თანაც ყოჩაღი ჯარისკაცი

პოლკოვნიკმა ფრონტონმა, ედესაში მდგომი რომის გარნიზონის კომენდანტმა, ჩვეული წინდახედულება გამოიჩინა: უქეიფობა მოიმიზეზა და „ოქტავიას“ კითხვას არ დაესწრო. წარმოდგენის შემდეგ ხელქვეითმა ოფიცრებმა დაუყოვნებლივ ინახულეს იგი და მოახსენეს, რა ოვაციები გაუმართა ხალხმა ნერონ-ტერენციუსს. ცნობისმოყვარე ხელქვეითებს მოთმინება ელეოდათ, აინტერესებდათ როგორ შეხვდებოდა ამ ცნობას პოლკოვნიკი და რა განკარგულებებს გასცემდა. მაგრამ ფრონტონმა ხმელი გაუცრუა მათ. რამდენიმე შეკითხვა მისცა, თავაზიანი მადლობა გადაუხადა და გაისტუმრა.

მარტო რომ დარჩა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ფიქრი დაიწყო. იჯდა ასე უძრავად, ელეგანტური, ორმოცდარვა წლის კაცი, რომელსაც ფართო შუბლი და მოკლედ შეკრეჭილი ლეგა თმა ჰქონდა; ნიკაპი ოდნავ ჩამოეყრდნო ხელზე. როგორ

მოიქცეს? შეუძლია გადამჭრელი ზომები მიიღოს „ნერონის“ წინააღმდეგ ისე, რომ გუბერნატორის მითითებას არ დაეღოდოს, და ამით რაღაც სამშობლოს მხსნელის მაგვარი როლი გაითამაშოს. შეუძლია ამ ნერონს მიემხროს და პატარა კეისარი გახდეს. მის ადგილას რომ მაგალითად ვინმე ვარონი იყოს, მაშინ მართლა დატრიალდებოდა რაღაც ოინი. ფრონტონი ვარონზე ნაკლებ როდი ხედავს მოსალოდნელ შედეგებს. მაგრამ იგი ფრონტონია და ამიტომ არაფერიც არ მოხდება. ფრონტონი იმას დასჯერდება, რომ ანტიოქიაში იმ ყეყეჩებს კორექტულ ცნობას გაუგზავნის და მითითებას დაელოდება.

ლოდინი. სამწუხაროდ, ეს მისი ცხოვრების დევიზად იქცა, პოლკოვნიკი ფრონტონი ერთ-ერთ უნიჭიერეს ოფიცრად ითვლებოდა არმიაში. მან შეადგინა „საომარი ხელოვნების სახელმძღვანელო“ და ამ წიგნის ზოგიერთმა თავმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პართიელთა და იუდეველთა წინააღმდეგ უომნია, თავისი თეორია ვერ იქნა და პრაქტიკაში ვერ განახორციელა. როგორც კი რაიმე საინტერესო ტაქტიკური ან სტრატეგიული ამოცანა გაჩნდებოდა, მაშინვე თავს წამოყოფდა ყოველგვარი გონებაჩლუნგი ხალხი, საშუალო ნიჭის მქონე გულად-გულადი ოფიცრები და მთავარსარდლის ბოროტი ნებისა თუ ბედის მზაკვრობის გამო ფრონტონი მუდამ განზე რჩებოდა. ამხანაგები „კაბინეტის ოფიცერს“ ეძახდნენ. ფლავიუსები თვითონაც მხოლოდ და მხოლოდ საშუალო ნიჭის მქონე გულადი ოფიცრები იყვნენ და მისი თეორია მეტისმეტად გაბედული და მეტისმეტად თანადროული ეჩვენათ. იმის ნაცვლად, რომ ფრონტონი დასავლეთში ან ჩრდილოეთში გაეგზავნათ, სადაც სამხედრო კაცის წინაშე ფართო ასპარეზი იყო გადაშლილი, მიყრუებულ ედესაში, აღმოსავლეთის ერთ-ერთ ჩიხში უკრეს თავი.

თუმცა აქაურობას ვერაფრით დაემდურებოდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო, როდესაც აქ ჩამოვიდა და ამ აწეწილ-დაწეწილმა, აღვირახსნილმა და გამოუცნობმა მხარემ, მისმა ძველთაძველმა კულტურამ მაშინვე მოხიბლა. ნერონის პოლიტიკურმა იდეამ აღტაცებაში მოიყვანა; აღმო-

სავლეთის ორგანული შერწყმა რომის იმპერიასთან ოცნებად ექცა. მაგრამ, როდესაც ნერონი დაიღუპა და ახალმა მმართველობამ პოლიტიკური გეზი მკვეთრად შეცვალა, ფრონტონმა სამსახურის მიტოვებას ისევ თავის მრწამსზე უარის თქმა ამჯობინა. მას უყვარდა აღმოსავლეთი, დარწმუნებული იყო, რომის ნამდვილი ზრდა და გაფართოება მხოლოდ ნერონის პოლიტიკას შეეძლო, და ამიტომ ზიზღს გვრიდა ახალ მმართველთა ჩლუნგი, ფანტაზიას მოკლებული პოლიტიკა. მეორე მხრივ, იგი უკვე დიდი ხანი იყო რაც მსახურობდა, თვრამეტი წლის შემდეგ მიწის გვარიან ნაკვეთს და ჩინებულ პენსიას მოელოდა და გამბედაობა არ ეყო, რომ ამხელა შრომით მოპოვებულ უფლებაზე და კარიერაზე აეღო ხელი. ამიტომ თავი მიანება მომხიბლავ ცხოვრებასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის შერწყმაზე ოცნებას, გულში ჩაიმარხა თავისი სურვილი და ახალ მმართველებს დაემორჩილა.

ფლავიუსებს არ უყვარდათ იგი და არც სწყალობდნენ. მას სამოსატაში მყოფი გარნიზონის უფროსობა ეწადა, — ერთობ შემოსავლიანი ადგილი იყო და თანაც ჩინებულ, კულტურულ ქალაქში იქნებოდა. მაგრამ იქ ხეპრე კაპიტანი ტრებონი დანიშნეს, ის კი პერიფერიისაკენ გამოისტუმრეს და ედესაში, ამ ნახევრად ველურ ქალაქში გაამწესეს, თუმცა ფრიად საპატიო მიზეზი კი გამოუნახეს, — აქ იშვიათი დიპლომატიური ნიჭის კაცია საჭიროო. ეს მართალი იყო, მაგრამ არც ის იყო ტყუილი, რომ აქ კაცს ეკლებზე სიარული უხდებოდა, სამსახური უკიდურეს პასუხისმგებლობას მოითხოვდა და არავითარი მადლი კი არა ჰქონდა. თანაც სრულიად უპერსპექტივო იყო, — ედესაში მომუშავე კაცი წინ ველარ გაიწევდა.

ფრონტონი ხედავდა, რომ ფლავიუსები ედესაში უპირებდნენ დალპობას, მაგრამ ფრიად გონიერი კაცი იყო და უხმოდ იკლავდა ბოღმას გულში. დღეს კი, როდესაც „ნერონის“ ხელახალი გამოჩენა აცნობეს, აღარც დიდმა ჭკუამ უშველა, აღარც მტკიცე გადაწყვეტილებამ და აღარც გამჭრიახობამ — სამუშაო ოთახში განმარტოებული ტუჩებს იკვნეტდა და ჩუმ-ჩუმად აღრჭიალებდა კბილებს.

არა, ახლა ამბოხებას აზრი აღარა აქვს. ეს ნერონი ველარაფერს წაადგება. დიდი ხანია ყოველივე გადაწყდა. როდე-

საც ქვეყანას ახალი ხელისუფლება დაეპატრონა, იგი არჩევანის წინაშე დადგა და რაკი მაშინ ვესპასიანეს ერთგულება შეჰფიცა, ამით ერთხელ და სამუდამოდ აირჩია კეთილგონიერება, მორჩილება და პენსიის უფლება. სწორადაც მოიქცა. იშვიათად თუ დაეჭვებულა ამ გადაწყვეტილების სისწორეში, სინანულით კი თითქმის არასოდეს უნანია. მაგრამ ოდეონში მომხდარი სულელური ამბის შემდეგ იგი სინანულმა შეიპყრო. იქნებ მაინც ვარონმა აჯობა ჭკუით. იგი პალატინის რისხვას არ მოერიდა,. თავიდანვე განუდგა ახალ ხელისუფლებას და მას აქეთ საკუთარ პოლიტიკას ატარებს.

თუმცა ფრონტონს არავითარი საბუთი არ გააჩნდა, მაინც დარწმუნებული იყო, რომ ამ ნერონ-ტერენციუსის უკანაც ვარონი იმალებოდა. იმ წუთიდან მოყოლებული, როდესაც პირველად მოჰკრა ყური ნერონის გამოჩენის ამბავს, ამ საქმეში მუდამ ვარონის ხელს ხედავდა. სენატორს დიდი ხანია იცნობდა. ისინი ერთად ჩამოვიდნენ აღმოსავლეთში, ერთად ოცნებობდნენ ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებაზე. ახლა მათი გზები გაიყარა. ფრონტონი ფლავიუსების ჩლუნგ სამხედრო პოლიტიკას ატარებს ედესაში, ვარონი კი ათასგვარი საიდუმლო გზით განაგრძობს ნერონის გაბედულ, დაგმობილ პოლიტიკას. ფრონტონი შურითა და აღტაცებით აკვირდება ამ მგზნებარე და დაუცხრომელი, ენერგიული კაცის თითოეულ ნაბიჯს, თუმცა, როდესაც ყოველივეს გონების თვალით ამოწმებს, ამტყუნებს მის საქციელს. საზოგადოებაში მასთან დიდ თავდაჭერილობას იჩენს, როგორც ეს ფლავიუსების ოფიცერს მოეთხოვება საეჭვო კაცთან ურთიერთობის დროს. მაგრამ როცა კი შემთხვევა მიეცემა, ყოველთვის აგრძნობინებს ხოლმე, რომ ძველებურად ღრმად დაინტერესებულია მისი ამბებით. გარდა ამისა, ვარონის ქალიშვილს, მკაცრსა და პირთეთრ მარციას თუმცა მოკრძალებითა და ცერემონიულად, მაგრამ დაუფარავად ეარშიყება და ამ სიამოვნებას იოლად ვერ დასთმობს. მან არ იცის და არცა სურს იცოდეს რითია ეს ამბავი გამოწვეული — მარციას სილამაზით, თუ ვარონთან დაახლოების სურვილით. ერთი რამ ნათელია: ვარონი მისთვის ყველაზე მახლობელი კაცია მთელ ცისქვეშეთში. მაგრამ

ფრონტონი დარწმუნებულია, რომ ასეთ თავზეხელაღებულ კაცს სიკეთე არ დაეყრება. მისმა გაბედულებამ რომ ნაყოფი გამოიღოს, ეს იქნება ფრონტონის განკითხვა, მარადიული საყვედური, მოშხამული სიბერე. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში იგი ვარონის მეგობარია. ფრონტონი მოუთმენლად მოელის ვარონის პოლიტიკის შედეგს, რომელიც მისი რწმენით სახარბიელო არ იქნება და ამ მოუთმენლობაში უცნაურად შეზავებულა ნატვრა და შიში.

იქნებ ამ „ნერონის“ გამოჩენამ მოაახლოოს დასასრული? ფრონტონს შეეძლო ამ დასასრულის დაჩქარებაცა და შეფერხებაც. სასიამოვნო იყო თავისი ძალა დაენახვებინა ან ერთისთვის ან მეორისთვის, — ან საქაჩულასთვის, ან ვარონისთვის. მაგრამ არა, არ მიიღებს ზომებს ვარონის წინააღმდეგ. ვარონი კარგი კაცია, ფრონტონს მოსწონს იგი. დაე, განგებამ გადაწყვიტოს, რომ ბოლოს და ბოლოს, ფრონტონი იყო მართალი და არა ვარონი.

არც „ნერონის“ წინააღმდეგ მიიღებს ზომებს.

სახიფათო ხომ არ იქნება ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა? ვითომ საყვედურს ეტყვიან ამისათვის ანტიოქიაში ან რომში? არა. ტერენციუსს ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ დაისაჯოს. რა მისი ბრალია, თუკი სხვებმა განსვენებულ იმპერატორად მიიჩნიეს? ესეც არ იყოს, ტერენციუსი მარტო რომის ხელქვეითი როდია, — ედესის მოქალაქეცაა, ისე როგორც მისი პატრონი. ასეთი კაცი რომ შეიპყრო, სარწმუნო, უდავო საბუთი უნდა გქონდეს. ფრონტონს ფლავიუსების „მთავარი მითითება“ მოაგონდა და გესლიანად ჩაიცინა; აღმოსავლეთში გამომგზავრების წინ ოფიცრებს დააბარეს: „როდესაც რაიმე გეეჭვებათ, უმჯობესია არ გააკეთოთ, ვიდრე გააკეთოთ და მცდარი გამოდგეს“.

მაშ ასე. ფრონტონი ხელსაც არ გაანძრევს. ანტიოქიაში აცნობებს ყოველივეს და მთავრობისაგან მითითებას მოითხოვს. ნეტა რა მითითებას მისცემენ ეს ყეყეჩები? მან კარგად იცის, როგორ უნდა გაუსწორდეს კაცი ამ ნერონსა და მის ზურგსუკან მდგომთ. ძალა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იხმარო. რახან ედესელები დარწმუნდნენ, რომ ნერონი ცო-

ცხალია, საჭიროა ფრთხილად და უმტკივნეულოდ როგორმე ძირფესვიანად ამოთხარო ეს რწმენა, თორემ ხელახლა ამოიყრის. მაგრამ რაკი ანტიოქიაში არაერთხელ წაუყრუეს მის გონივრულ რჩევას, ახლა თავს აღარ შეიწუხებს, თვითონვე მიაგნოს სწორ გზას საქაჩულამ. ფრონტონი მხოლოდ და მხოლოდ პატაკს გაუგზავნის, მერე კი დაჯდება და ნიშნის მოგებით უყურებს, როგორ გააცურებს ჭკვიანი და მოხერხებული ვარონი ცეიონს, ამ მოუხეშავ სამხედროს.

აქ ფრონტონი წყვეტს ფიქრს. იხმობს მდივანს და ანტიოქიაში გასაგზავნ პატაკს კარნახობს.

ის-ის იყო დაიწყო, რომ სასწრაფო წერილი მოვიდა ქურუმთუპირველეს შარბილისაგან. შარბილი დაჟინებით თხოვდა შეხვედრას გადაუდებელი საქმის გამო.

შეფიქრიანებული ფრონტონი ქურუმთუპირველესის სახლისაკენ გაემართა. მოხუცმა ფერად-ფერადი გამოთქმებით აცნობა, რომ ოდეონში მომხდარი ამბის შემდეგ ედესაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ქალაქი ახლა მთის ბილიკით მიმავალ ჯორსა ჰგავს, რომელიც ნისლსა და ღრუბლებში მიიკვლევს გზას. ერთი მრუდე ნაბიჯი და მორჩა, — გადაიჩეხება. თუ ეს კაცი მართლა იმპერატორი ნერონია, მაშინ რა უფლება აქვს ქალაქს, რომ ესოდენ საპატიო სტუმარი შესაფერისი მოწიწებით არ მიიღოს? მაგრამ თუ ტუტუცი და თაღლითია, მაშინ ხომ მეფე მალუქმა დაუყოვნებლივ უნდა შეიპყროს იგი, როგორც ბოროტმოქმედი?

ფრონტონი თავაზიანად და მოთმინებით უსმენდა. იჯდა და თავისი ჭკვიანი თვალებით პირდაპირ ოქროს კბილებში შესცქეროდა შარბილს. ფრონტონი მიჩვეული იყო აღმოსავლურ მეთოდებს. წლების განმავლობაში მცოდნე კაცის ცნობისმოყვარე თვალით აკვირდებოდა მეფე მალუქისა და ქურუმთუპირველესის ყოველგვარ ეშმაკობას, ფანდებსა და ხრიკებს. დარწმუნებული იყო, რომ ვარონს კავშირი ჰქონდა მათთან გაბმული და მათი საიდუმლო თანხმობით მოაწყო „ნერონთან“ შეხვედრა ოდეონის შენობაში; ამიტომ დაძაბული ყურადღებით უსმენდა, აინტერესებდა, რას უმიზნებდა მოხუცი. თავიდან შარბილის მრავალსიტყვაობას თვითონაც მრავალსიტყვაო-

ბა დაახვედრა: არ შეეფერის ფრონტონისთანა უმნიშვნელო ოფიცერს ასეთ საჭოჭმანო სიტუაციაში თავისი აზრის გამოთქმა და მით უმეტეს რაიმე რჩევის მიცემა.

შარბილმა მიუგო, რომ მისი დიდი მეგობარი მეტისმეტად თავმდაბალია. რამე უნდა ვიღონოთ. დაყოვნება კარგია, მაგრამ ზედმეტი დაყოვნებით საქმე ფუჭდება, როგორც გადამწყიფებული ხილი. მეფე მალუქი შიშობს, დროზე რომ არ ჩავერიო, ვაითუ ჩემი უმოქმედობით უძლეველი მოკავშირე, ანტიოქიის გუბერნატორი გავანაწყენოო. მან გადაწყვიტა როგორმე გამოარკვიოს ამ კაცის ვინაობა, რომელსაც ბევრი ვინმე იმპერატორად თვლის. ცხადია, ფრთხილად იმოქმედებს. განზრახული აქვს მისი სახლის წინ შეიარაღებული ხალხი დაყენოს. შემდეგ, როდესაც მდგომარეობა გაირკვევა, იმისდა მიხედვით თუ როგორ ემჯობინება, ამ ხალხს შეიძლება დაერქვას საპატიო მცველიცა და ციხის დარაჯიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. მეფე მალუქს უნდა, რომ ჯერჯერობით ეს კაცი საპატიო ტყვესავით იყოლიოს. მაგრამ ამისათვის ფრონტონის დასტური სჭირდება, რათა შემდგომში, თუ ეს პიროვნება მართლა იმპერატორი ნერონი გამოდგა, ანტიოქიაში, ანდა რომში მისი დიდებულების შეურაცხყოფა არ დასწამონ.

ფრონტონი განცვიფრებული იყო. შარბილი თითქოს სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა, მისი თათბირი ზედმიწევნით კორექტული და კეთილსინდისიერი იყო. ნუთუ ფრონტონი შეცდა? ნუთუ ამ ტერენციუსის ზურგსუკან არც ვარონი დგას და არც მეფე მალუქი? ნუთუ ყოველივე ეს ვინმე ჭკუათხელის ან განდიდების მანიით შეპყრობილი კაცის მასხრობაა და მეტი არაფერი? მაგრამ ამ მოსაზრებას აბათილებდა ის ფაქტი, რომ მოვლენები ერთობ აუჩქარებლად, გეგმაზომიერად ვითარდებოდა და ეჭვი არაა, გარკვეული მიზნისაკენ მიისწრაფოდა. მთელი თავისი ეშმაკობის მიუხედავად, ფრონტონი ვერ მიმხვდარიყო რა ედო გულში ქურუმთუპირველესს. როგორც ყოველთვის, მალუქი ისე იქცეოდა, რომ პასუხისმგებლობა როგორმე თავიდან მოეხსნა. ფრონტონმა ედესის მაღალი მეფის სიბრძნე და ერთგულება შეაქო და ღრმად

ჩაფიქრებული, თავის ქნევით გაუდგა გზას შინისაკენ, რათა პატაკი დაემთავრებინა.

მაგრამ ორიოდე სტრიქონის მიმატება ძლივს მოასწრო, რომ მეორე სასწრაფო წერილი მოვიდა ქურუმთუპირველესისაგან. საგონებელში ჩავარდნილი შარბილი დიდი შეშფოთებითა და სინანულით ატყობინებდა, რომ შეიარაღებულმა რაზმმა იმ კაცს შინ ვეღარ მიუსწრო: გაქცეულა და ქალღმერთ ტარატეს ტაძარში დამალულა, სადაც ყოველ ლტოვილსა აქვს თავის შეფარების უფლება.

ფრონტონმა ნელა დაუსტვინა. ტარატეს ტაძარი საყოველთაოდ ცნობილი თავშესაფარი იყო. ედესის ხელისუფლება ამ თავშესაფარში ვერ შეიჭრებოდა; ვერც რომაელები შეიჭრებოდნენ, თუ არ უნდოდათ, რომ მთელი აღმოსავლეთი აემხედრებინათ. ახლა ნათელი იყო, თუ რატომ ითხოვდა ასე დაჟინებით შარბილი მასთან შეხვედრას: შიშობდა, რომ ფრონტონი ამ კაცის შეპყრობას განიზრახავდა, და ცოტა ხნით შეაფერხა, „ნერონი“ კი ამასობაში რომაელთათვის ხელმიუწვდომ ალაგას, ქალღმერთის თავშესაფარში გადამალა. მაგრამ ყოველივე ისე მოაწყო, რომ ცეიონს სათქმელი აღარაფერი ჰქონოდა. ფრონტონთან საუბრით თავის ალიბის დაამტკიცებდა. მეფე მალუქმა კი, ეს თუმცა მის მოვალეობას არ შეადგენდა, ამ კაცის დაპატიმრება და რომის გუბერნატორისთვის გადაცემა განიზრახა. თუკი ეს ტერენციუსი თუ ვინც არ უნდა იყოს, სულერთია, — ქალღმერთ ტარატეს სთხოვს მფარველობას, ამაში შარბილსა და მის ბატონს, მეფე მალუქს, ბრალი არ მიუძღვით.

ფრონტონს გაეღიმა, როდესაც ეს აღმოსავლური ეშმაკობა გამოიცნო. მესოპოტამიაში ახლა ისეთი ამბავი დატრიალდება, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს. „საქაჩულას კიდევ არაერთხელ მოუხდება გაქაჩვა“, გაიფიქრა მან ჩინებულ ლათინურ ენაზე.

ცოტა ხნის წინ კი ზუსტად იგივე, ჩინებულ არამეულ ენაზე გაიფიქრა ქურუმთუპირველესმა შარბილმა.

ქალღმერთ ტარატეს სტუმარი

ამგვარად, ტერენციუსი დაბინავდა ტარატეს ტაძარში, იქ ოთახში, სადაც ქალღმერთის ძველისძველი გამოსახულება, სამსხვერპლო და უხამსი სიმბოლოები იყო. ოვაციების შემდეგ, როდესაც თეატრიდან გამოვიდა, შიშმა შეიპყრო და გუნებაში გადაწყვიტა ლაბირინთში დამალულიყო, სანამ ვარონი გამოჩნდებოდა და რაიმე გაირკვეოდა. მაგრამ ამ დროს ვიღაც ვაჭრულად გამოწყობილი კაცი ეწვია და ურჩია, დაუყოვნებლივ ქალღმერთის თავშესაფარში წასულიყო. ტერენციუსმა ტარატეს ქურუმი იცნო და შვებით ამოისუნთქა. არც კი დაფიქრებულა, უყოყმანოდ გაჰყვა; გრძნობდა, რომ ახლა მტკიცე, საიმედო ხელში იყო. რაკი ქალღმერთის სტუმარი გახდა, ტერენციუსს ასე ეგონა, ქურუმთუპირველესი უეჭველად მოინახულებდა და პატივისცემით გამოესაუბრებოდა, დაარწმუნებდა, ტარატეს თავშესაფარი უხიფათო ადგილიაო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მიატოვეს მარტო ამ ვიწრო და მოუხერხებელ სენაკში და არაფერს ატყობინებდნენ. შარბილიც, ისევე როგორც ვარონი, ფიქრობდა, რომ რაც უფრო მეტს ალოდინებდა, მით უფრო მორჩილი გახდებოდა.

დადგა ღამე, ტერენციუსისათვის არც თუ მაინცადამაინც საამო ღამე.

ტარატეს ტაძარი დიდი იყო. წინა კარში ღამის გათევას კიდევ არა უშავდა რა. იქ სიცოცხლე სუფევდა: აუზში თევზები დაცურავდნენ, ირგვლივ აუარებელი თეთრი მტრედი ფრთხიალებდა, რომლებიც ქალღმერთისათვის შეეწირათ. თვითონ საყდარშიც გაძლებდა კაცი, თუმცა ძნელი არაა უფრო მყუდრო ბინის წარმოდგენა, ვიდრე ეს უშველებელი დარბაზია თავისი მოშავო-მომწვანო სვეტებით, რომლებიც ბოლოში ვიწროვდებიან. მაგრამ ტერენციუსმა არ იცოდა, ტაძრის მთელ მიდამოებზე ვრცელდებოდა ქალღმერთ ტარატეს მფარველობა, თუ მხოლოდ ეს სენაკი წარმოადგენდა უხიფათო ადგილს, სადაც სამსხვერპლო და ქალღმერთის

გამოსახულება იმყოფებოდა. აქ, ამ საშინელ სენაკში საძრაობა არ იყო, ვიწრო ჭუჭრუტანებიდან ძლივს აღწევდა მთვარისა და ვარსკვლავების შუქი და ირგვლივ რაღაც საზარელი, მოჩვენებები დაბორიალობდნენ. ტერენციუსი სამსხვერპლოს ზედა საფეხურზე ავიდა, გაიშოტა და შიშისაგან აკანკალებული შეეცადა თვითონ სამსხვერპლოსთვის მიეწვდინა ხელი. სადღაც ყური მოეკრა, ვინც ქალღმერთს მფარველობას თხოვს, ან მის გამოსახულებას უნდა მოეჭიდოს, ან სამსხვერპლოსო. სამსხვერპლოს ორთავ მხარეს, მთვარის მკრთალ შუქზე ჩამწკრივებული იყო ქალღმერთის სიმბოლოები, ფალოსის უზარმაზარი, ქვისგან გამოკვეთილი ქანდაკებები. ხოლო სამსხვერპლოს ზემოთ, პატარა ნიშში, სწორედ ტერენციუსის თავთან აღმართულიყო ტარატეს ძველთაძველი, მუქი ბრინჯაოსფერი უცნაური ქანდაკება. თავზე ქვის გვირგვინი ედგა, შიშველი ძუძუები გადმოეყარა, ტანი თევზის კუდით უბოლოვდებოდა. ცალ ხელში თითისტარი ეჭირა, მეორეში — დაირა. თვალები დახუჭული ჰქონდა. მისი გრძელი, ჟამგადასული, მაგრამ მაინც ნორჩი სახე ნაზი, ორაზროვანი და ავი ღიმილით უღიმოდა სტუმარს.

ღამით ტერენციუსი სიცივემ აიტანა. როდესაც თეატრიდან გამოსულს ქურუმი ეწვია, მას თავი გადარჩენილი ეგონა, მაგრამ ახლა რწმენა დაეკარგა. სანამ უნდა ალოდინონ აქ, ასეთ შეუფერებელ ადგილას? რატომ არ მოვა ბოლოს და ბოლოს, ქურუმთუპირველესი და არ მოინახულებს? ანდა ვარონი სადაა აქამდე? რაღას აყურყუტებენ აქ და არაფერს ატყობინებენ, თუკი უნდათ, რომ იმპერატორი გახდეს? და საერთოდ, საიმედო ადგილი კია ეს ტაძარი? ვაითუ რაღაც მახეს უგებენ. ტერენციუსს შიშით გული უსკდებოდა და ბრაზი მოსდიოდა იმათზე, ვინც ამ სახიფათო საქმეში ჩაითრია და აქ გამოამწყვდია. ნეტა კაია მაინც ჰყავდეს აქ, ანდა მონა კნოპსი!

ბოლოს საკუთარი თავის რწმენას ჩაებღაუჭა. ნერონის სახე მიიღო; ახლა იგი იმპერატორი იყო და, როგორც იმპერატორს შეეფერება, ყველაზე მაღლა იდგა. მას ვერავინ შეედრებოდა. იგი იყო ქვეყნის მბრძანებელი. გარედან ქალღმერთისათვის შეწირული თეთრი მტრედების ღუღუნი მოისმა,

ალბათ რაღაცამ დააფრთხო ფრინველები; ჭუჭრუტანაში მთვარის შუქი იჭყიტებოდა, ქალღმერთი იდუმალი და ბოროტი ღიმილით გადმოჰყურებდა ტერენციუსს. სირცხვილი მთელ დასავლეთს, რომ იგი, იმპერატორი, ამ საეჭვო ქალღმერთის ტაძარში, მისი უხამსი სიმბოლოების გვერდით იმალება. მაგრამ ტერენციუსმა მყისვე ენაზე იკბინა. ვაითუ ტარატეს შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი, თავშესაფრის მაძიებელი ხომ მის ხელთ იყო.

იოვანე პატმოსელის ჯავრი სჭირდა ტერენციუსს. სწორედ მან ჩაადო ამ დღეში თავისი სულელური გამოსვლით. ტერენციუსს რომ მოენდომებინა, გაქუცული ქრისტიანი რას შეედრებოდა, ათასჯერ უკეთესი მსახიობი გამოვიდოდა. თუნდაც ამ იოვანეს ოიდიპოსი ავიღოთ: თავიდან ბოლომდე ყალბია, არსად ჭეშმარიტი აღმაფრენა არ იგრძნობა. მაგას თუ ხელოვნების მართლა გაეგება რამე, უნდა მიმხვდარიყო, რომ ტერენციუსის არსებაში რაღაც დიდი იმალება. აკი ბრბო მაშინვე მიხვდა თავისი ჯანსაღი ინსტინქტით. მხოლოდ სნობებს, ტიტუსის დამქაშებს არ სურთ დაიჯერონ ეს და ამის გამო აქ უნდა იმალებოდეს.

მაგრამ დიდხანს აღარ გაგრძელდება ასე; მალე გააცამტვერებს თავის მტრებს. მან გუნებაში ჩამოთვალა ყველა, ვინც ტიტუსის მომხრეებს მეთაურობდა ედესაში, რასაკვირველია, მათ სიაში შეიტანა ისინიც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ უყვარდა, რომლებთანაც წაკიდებული იყო, — კონკურენტები, ამქრები, ყველა, ვინც კი მისი აზრით შესაფერისი პატივისცემით არ ეპყრობოდა. კარგა ბლომად დაუგროვდა დასასჯელი ხალხი. მერე იმაზე დაფიქრდა კაიაც მიეყოლებინა თუ არა მათთვის მისი თავხედური ეჭვების გამო. მაგრამ აქ ფიქრი შეწყვიტა და არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. სამაგიეროდ ახლა იმის წარმოდგენას შეუდგა, თუ რა აუჩქარებლად, ნეტარებით იძიებდა შურს თავის აშკარა მტრებზე.

სიცივემ კიდევ უფრო შეაწუხა. წამოდგა და სამსხვერპლოს გასწვრივ, ზედა საფეხურზე ბოლთის ცემა დაიწყო, ოღონდ შორს არ მიდიოდა, რათა სამსხვერპლოსათვის ხელის წავლებ• მოესწრო, თუ ვინიცობაა ფრონტონის ჯარისკაცები შემო-

უცვივდებოდნენ. სამსხვერპლოს ღარიდან, რომელშიაც ზვარაკების სისხლი მიედინებოდა ხოლმე, რაღაც მოტკბო, საზიზღარი სუსტი სუნი ამოდიოდა. დიდხანს დაამახსოვრდება ამაღამდელი ღამე ტერენციუსს. ერთი ის ღამე, პალატინიდან რომ დაბრუნდა, როდესაც იქ სენატის ჯარისკაცები შეიჭრნენ, და მეორე ამაღამდელი ღამე; ეს არის ორი უსაშინელესი აღმართი მისი ცხოვრების გზაზე.

მაგრამ ამასაც მალე მოეღება ბოლო. გათენდება. მოვა დღე იგი. უკვე დადასტურდა, რომ დედამისის სიზმარი სწორად ახსნეს. გზის უდიდესი ნაწილი გავლილია, მძიმე, ციცაბო აღმართი უკან დარჩა და, როდესაც დადგება დღე და ჭუჭრუტანიდან შემოსულ წყეულ შუქს თავს დააღწევს, ყველა მიხვდება, თუ ვინ არის ტერენციუსი. ის იდგა იმპერატორის პოზაში, ქვედა ტუჩი უკმაყოფილოდ ჩამოეშვა, ზურმუხტი შოემარჯვებინა და გამომწვევად შესცქეროდა ტარატეს გამოსახულებას. არ მოსწონდა ეს გამოსახულება; არც თვითონ ტაძარი მოსწონდა. უკეთესს ააგებს, როცა დრო მოვა, ვეებერთელ მონუმენტურ შენობას ააგებს. მისი გიგანტური ქანდაკების ნაცვლად, რომელსაც რომში თავი მოაძვრეს, კიდევ უფრო გიგანტურ ქანდაკებას დადგამს. ძველი მეფეების მსგავსად მთაში გამოაკვეთინებს თავის უზარმაზარ გამოსახულებას. უწინარეს ყოვლისა კი ლაბირინთს მიხედავს, თავის ლაბირინთს. მას აკლდამად, მავზოლეუმად აქცევს და ეს იქნება ქვეყნიერების მერვე საკვირველება.

მაგრამ ქალღმერთი ნაზი და ბოროტი ღიმილით გადმოჰყურებდა და ტერენციუსი საკუთარ დიდებაზე ფიქრმა შეაკრთო.

მერე მოშარდვა მოუნდა. მაგრამ აქ, ამ სენაკში ვერ ბედავდა: ვინ იცის, იქნებ ეს ქალღმერთის შეურაცხყოფად ჩაუთვალონ და ტაძრის წაბილწვისათვის თავშესაფარი დაკარგოს. არა და მეტის მოთმენაც აღარ შეეძლო. ბოლოს სამსხვერპლოს უკან გაძვრა, იქ მოისაქმა და შვება იგრძნო, მაგრამ შვებასთან ერთად შიშის კანკალმაც აიტანა.

გამთენიისას არაქათგამოცლილი უფრო ღრმად გაეხვია თავის წამოსასხამში, მტკიცედ გადაწყვიტა — დავიძინებო და ზედა საფეხურზე; სწორედ სამსხვერპლოს კიდეში გაიშოტა.

კიდევ ერთხელ დაყნოსა აქაურობა, — ნასაქმარის სუნი ხომ არ დისო, და ადვილად რომ დასძინებოდა, „ოიდიპოსის“ ტექსტის კითხვა დაიწყო თავის გულში. მალე მართლაც ჩაეძინა.

როდესაც გამოეღვიძა, სხეული სულ დამტვრეული ჰქონდა. სიცივით კი უკვე აღარ სციოდა. სენაკში ხალხი შეამჩნია და შეეშინდა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ისინი რომაელები კი არ იყვნენ, არამედ ტარატეს ახალგაზრდა ქურუმები, რომელთაც დილის შესაწირავად თიკანი მოეყვანათ. ტერენციუსი კუთხეში მიიყუჟა და იქიდან დაუწყო თვალთვალი, ეშინოდა, მისი წუხანდელი ნასაქმარის კვალი არ შეენიშნათ. მაგრამ ქურუმები თავის საქმეს აკეთებდნენ და ტერენციუსს ზედაც არ უყურებდნენ. როდესაც მსხვერპლის შეწირვა მოათავეს და სამსხვერპლოს წყლის ნაკადი მიუშვეს გასასუფთავებლად, ტერენციუსი მიხვდა, რომ საფრთხემ გაიარა.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა. სენაკში სხვა ქურუმებიც შემოდიოდნენ. ისინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ კაცს, რომელმაც ქალღმერთის სამსხვერპლოს შეაფარა თავი. გამოლაპარაკებით არავინ გამოლაპარაკებია და ტერენციუსმაც კვლავ ჩვეული გულგრილი სახე მიიღო.

ბოლოს ქურუმთუპირველესი შარბილიც გამოჩნდა და ტერენციუსმა შვებით ამოისუნთქა: რაღაც ამბავს ხომ მოუტანდა იგი, — ან ავს, ან კარგს.

შარბილმა იფიქრა, ქალღმერთ ტარატეს სტუმარი ალბათ საკმაოდ მოდრკაო და საზეიმოდ მორთული ეწვია. მის დამჭკნარ, ჩიტივით სახეს ქურუმის წვეტიანი, ოქროს ქუდი აგვირგვინებდა. მან ხელები მაღლა აღაპყრო და მოწიწებით მიესალმა ტარატეს სტუმარს. ტერენციუსმაც ასეთივე მოკრძალებული სალმით უპასუხა.

ამის შემდეგ ქურუმთუპირველესმა დაარწმუნა სტუმარი, რომ იგი ქალღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ტერენციუსმა დამალა მოზღვავებული სიხარული და: თავაზიანი, გულგრილი მადლობა უთხრა. მრავალი ფერად-ფერადი გამოთქმის შემდეგ შარბილმა ჰკითხა:

— შემიძლია თუ არა გთხოვო, ქალღმერთ ტარატეს სტუმარო, მის ქურუმს შენი სახელი მაუწყო?

ტერენციუსს ძალზე გაეხარდა, რომ შარბილი არამეულად ელაპარაკებოდა; უცხო ენა საშუალებას აძლევდა არ აჩქარებულიყო და ორჭოფული პასუხი მიეცა.

— ქალღმერთმა იცის ჩემი სახელი, — თქვა მან.

— ხარ თუ არა შენ, ჰოი, უფალო, იმპერატორი ნერონი? — ჯიქურ შეეკითხა ქურუმთუპირველესი.

ასეთი შეკითხვა უზრდელობა იყო და იქნებ არც დიპლომატიურობით გამოირჩეოდა. მაგრამ მიხრწნილ ქურუმთუპირველესს წინ დიდი დრო აღარ ედო და ამის გარდა, ცნობისმოყვარეობაც აწვალებდა. ტერენციუსი შეეცადა გონივრული პასუხი მიეცა.

— მე ის კაცი ვარ, — მიუგო მან, — რა კაცადაც ღმერთებმა შემქმნეს.

გულის სიღრმეში იგი დიდად კმაყოფილი დარჩა, რომ თავის ნერონობას თვითონ კი არ ამტკიცებდა, არამედ სხვები ხდიდნენ მას ნერონად. შარბილმა კი გაიფიქრა: „ჭკვიანი კაცი ჩანს, ღირსია, რომ ნერონი იყოს“.

17

საჭაჩულა და აღმოსავლეთი

როდესაც გუბერნატორ ცეიონს მოახსენეს, მესოპოტამიაში ვიღაც მექოთნე ტერენციუსს ძალიან ბევრნი დაღუპულ იმპერატორ ნერონად თვლიანო, ამგვარი უგუნურობით გაკვირვებულმა თავი გადააქნია და გაიცინა. ასეთმა ფეხმოკლე ტყუილმა როგორ უნდა გაგაბრიყვოს კაცი? ამაზეც ეტყობა რა ბარბაროსი ხალხი ცხოვრობს ევფრატს გაღმა.

მაშინაც კი, როდესაც პოლკოვნიკმა ფრონტონმა აცნობა, მექოთნე ტერენციუსმა ტარატეს ტაძარს შეაფარა თავი, საიდანაც ხელშეკრულების დაურღვევლად და სერიოზული ხიფათის გარეშე მისი გამოყვანა არ შეგვიძლიაო, ცეიონს

ეს ამბავი უფრო ართობდა, ვიდრე აშფოთებდა, და უკვირდა, რომ მისი მრჩევლები ამხელა მნიშვნელობას აძლევდნენ ასეთ სასაცილო საქმეს.

მან თავაზიანი, ოდნავ ირონიული და ერთობ მედიდური წერილი მისწერა მეფე მალუქის მთავრობას და სთხოვა, რომ მის წარმომადგენელ ფრონტონს, როგორც ეს ხელშეკრულებაში იყო ნათქვამი, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა რომის ქვეშევრდომის, ტერენციუს მაქსიმუსის შეპყრობაში. მისთვის ცნობილია, რომ ზემოთ მოხსენებულ ტერენციუსს ქალღმერთ ტარატეს ტაძარში შეუფარებია თავი. ვინმე რომ ედესის ხელისუფლებას გამოექცეს და სადმე რომაულ ტაძარში დაიმალოს, ცეიონი მისთვის საჭმელ-სასმელის შეგზავნას აღკვეთავდა, ანდა ტაძარში ბოლს შეუშვებდა და მაინც ჩაიგდებდა ხელში ასეთ ვაჟბატონს. მას ეჭვი არ ეპარება, რომ საქმე წარმატებით დამთავრდება. იგი დიდად დავალებული იქნება ედესის ხელისუფალთაგან, თუ ამას დროულად მოაგვარებენ.

მეფე მალუქის მრჩეველთა უმრავლესობა არაბები იყვნენ. ისინი არაბულ ვარსკვლავთღმერთებს, აუმუს, აზიზსა და დუსარისს სცემდნენ თაყვანს და არა სირიელთა ქალღმერთ ტარატეს. მაგრამ, როდესაც გუბერნატორის წერილი წაიკითხეს, კოპები შეიკრეს: რომაელი ერთობ უდიერი კილოთი იხსენიებდა სირიის საყვარელ ქალღმერთს.

მალუქი და შარბილი ხალიჩებით მოფენილ მყუდრო ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ. ყოველ წინადადებას ხანგრძლივი დუმილი მოსდევდა. შადრევანი ჩქეფდა.

— დასავლეთის კაცს, — წამოიწყო თავისი მშვიდი, ბოხი ხმით მეფემ, — როგორც ეტყობა, მაინცადამაინც არ ეშინია შენი ქალღმერთის, ქურუმო შარბილ.

— დასავლეთში, — მიუგო შარბილმა, — მრავალი სახელმწიფო აშენდა და ისევ დაემხო. ქალღმერთი ტარატე კი აგერ სამი ათასი წელია დგას თავისი აუზისაკენ ხელგაწვდილი და მისი თევზები დაცურავენ, როგორც დაცურავდნენ სამი ათასი წლის წინ.

— მაშ, არ აღკვეთავ სასმელ-საჭმელის შეგზავნას ამ კაცი-

სათვის? — შეეკითხა მეფე და მის გულგრილ კილოში რომაელის მიმართ ოდნავი დაცინვა გამოკრთა.

— როგორ გავივლებ გულში, — ზვიადი გულისწყრომით მიუგო ქურუმმა, — რომ ქალღმერთ ტარატეს ასეთი შეურაცხყოფა მივაყენო. იგი საკმაოდ მდიდარია და შეიძლებს ლტოლვილის გამოკვებას.

აღმოსავლეთში არ ჩქარობენ. მეფე მალუქმა ორი კვირა დაახანა, სანამ რომაელ გუბერნატორს პასუხს შეუთვლიდა. მან გრძელი, პოეტური ფრაზებით აღუწერა, თუ რა დიდია რომის იმპერია და რა დიდია ქალღმერთი ტარატე. სულითა და გულით სწადია მეფე მალუქს სამსახური გაუწიოს თავის რომაელ მეგობრებს, მაგრამ მაშინ, როდესაც ზეცის წყალობით გვირგვინი დაიდგა, ფიცი დადო, რომ ამ მხარეში ყველა ღმერთს თაყვანს სცემდა; მისი ფიცი კი კლდესავით მტკიცეა. ამიტომ მან, რაკი სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გუბერნატორის წერილი ტარატეს ქურუმთუპირველესს გადასცა და მის პასუხსაც აქვე, თავის წერილთან ერთად უგზავნის. შარბილი თავის მხრივ ცერემონიული კილოთი ატყობინებდა, რომ ქალღმერთ ტარატეს სიყვარული ედესელთა გულში ზღვასავით ღრმაა. შარბილს დიდი სურვილი აქვს თავის მძლეთამძლე დასავლელ მეგობრებს დაეხმაროს, მაგრამ ქალღმერთის სტუმარს, რომელმაც მის ტაძარში ჰპოვა თავშესაფარი, ხელს ვერ ახლებს. მისი სიწმინდის შებღალვისათვის ქალღმერთი საშინელ სასჯელს მოუვლენს ქვეყანას, — ცეცხლითა და წარღვნით, ელვით, ხმლითა და ყამით მოსრავს იგი არა მარტო ედესას, არამედ მთელ სირიასაც. ისეთ ბრძენ კაცს, როგორიც რომაელი გუბერნატორია, ამის განმარტება არ ესაჭიროება.

ცეიონმა წაიკითხა ბარბაროსთა მეფისა და ბარბაროსთა ქურუმის წერილი და უკმაყოფილოდ მოისროლა მაგიდაზე. თუ აღმოსავლეთის მმართველები ორ კვირას უნდებიან წერილის შედგენას, ცეიონს ერთი საათიც კი არ დასჭირდება პასუხისათვის. თავის წერილში შარბილს, ტარატეს ტაძრის ბატონს, ბრძანების კილოთი ურჩევდა, დაუყოვნებლივ ჩამოსულიყო ანტიოქიაში, რათა უთანხმოებისათვის ბოლო მოეღოთ.

მეფე და ქურუმთუპირველესი ისხდნენ ვრცელ დარბაზში, იქ, სადაც შადრევანი ჩქეფდა.

— ეს რომაელები, — თქვა შარბილმა, — ცუდად იცნობენ სულიერის ბუნებას. რა წაიყვანს მელას ლომის ბუნაგში, ისიც დაუყოვნებლივ?

ორი კვირის შემდეგ ცეიონს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: თუმცა უღირსი შარბილისათვის დიდი პატივია დასავლელ ბატონთან სტუმრობა, მაგრამ, სამწუხაროდ, უარი უნდა უთხრას. ახლა სწორედ ისეთი დროა, როდესაც ქალღმერთ ტარატეს წმინდა თევზები ქვირითს ყრიან. ასეთ მნიშვნელოვან დროს რომ ქურუმთუპირველესმა აქაურობა დატოვოს, შეიძლება ქალღმერთი განრისხდეს და ქვეყანას უბედურება დაატეხოს თავს.

აქამდე ცეიონს სიცილად არ ჰყოფნიდა ეს იაფფასიანი პროვინციული ფარსი, უმწეო რომაელი თაღლითის, გააზატებული მექოთნის მიერ გათამაშებული კომედია; ახლა კი, როდესაც ამ საცოდავი ედესელი დიდებულების დამცინავ და შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა, გაცოფდა. „დავჭრათ და გავათავოთ, — კბილების ღრჭენით გაიფიქრა მან, შარბილის უარი რომ მოუვიდა, — გაიგზავნოს ჯარი ედესაში, ექვსი ათასი, რვა ათასი კაცი. ვნახოთ ერთი, რა დღე დაადგება მაგათ ქალღმერთ ტარატეს მთელი თავისი თევზებიანად და მსახურებიანად“.

მაგრამ ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლეთმა ბევრი რამ ასწავლა და ამიტომ თავის ბრაზს მალე მოერია. მესოპოტამიაში შეჭრა არტაბანთან ომს გამოიწვევდა; ვიღაც მასხარა ტერენციუსის გულისათვის კი როგორ ჩაეგდო საფრთხეში ქვეყანა. აღმოსავლელი არამზადების გველური კლაკვნისა და შენიღბული ხრიკების წინააღმდეგ მხოლოდ მიხვეულ-მოხვეული დიპლომატიური გზით თუ გახვალ ფონს. ახლა იგი ხვდებოდა, რომ ტერენციუსის მაშინდელი საქციელი მარტო ყალთაბანდური ოინი არ ყოფილა, ალბათ ზურგსუკან ძალამოსილი ხალხი, შესაძლებელია, პართიელი დიდებულები ედგნენ. იქნებ ვარონი მართალი იყო, როდესაც ურჩია, არტაბანს დაუჭირე მხარიო. რა სამწუხაროა, რომ

უკანასკნელი შეხვედრისას ცოტა მკვახედ ელაპარაკა ვარონს. მართალია, აუტანელი ხასიათი კი აქვს ამ კაცს, მაგრამ ახლა სიამოვნებით მოისმენდა მის თათბირს. მას ძალიან გაეხარდა, როდესაც ვარონი კვლავ გამოჩნდა სასახლეში. მისგან კარგა ხანია აღარაფერი ისმოდა, ალბათ განაწყენებული იყო, რომ მისი რჩევა ყურად არ იღეს და პართიის მეფედ პაკორი სცნეს.

— დიდებული საქმე მიყო თქვენმა ედესამ, — მხიარულად დაიწყო გუბერნატორმა, — გაიგეთ, ჩემო ვარონ?

— დიახ, — მიუგო ვარონმა, — ჩემმა მმართველმა ლენეუსმა დაწვრილებით მაცნობა ყოველივე.

— ესეც თქვენი აღმოსავლეთი, — ნაძალადევი გულითადობით თქვა ცეიონმა.

— აკი მაშინვე გითხარით, — მშვიდად და თითქმის სერიოზულად უპასუხა ვარონმა, — არტაბანის მხარე უნდა დაგეჭირათ.

— ნუთუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ არტაბანსა და ამ თაღლითობას შორის რაიმე კავშირი არსებობს? — შეეკითხა ცეიონი. მისი ნაძალადევი მხიარულება უკვალოდ გაქრა. ახლა გაჭიმული და სულ ერთიანად დაძაბული იჯდა.

თავისთავად ცხადია, — მხრები აიჩეჩა ვარონმა, — რომ თქვენ და ედესის ხელისუფლები ადვილად ვეღარ მორიგდებით იმ მძიმე დარტყმის შემდეგ, რომელიც პაკორის აღიარებით მიაყენეთ მათ. ედესის მთავრობას რომ ზომები მიეღო, ცრუ ნერონი ამდენ უსიამოვნებას ვერ მოგაყენებდათ.

— ედესის მთავრობას რაში აინტერესებს ეს წვრილფეხა ერამზადა? — კვლავ შეეკითხა ცეიონი.

— ედესის მთავრობას, — მშვიდად აუხსნა ვარონმა, — იმდენადვე აინტერესებს ტახტის მოცილე ტერენციუსი, რამდენადაც თქვენ ტახტის მოცილე პაკორი გაინტერესებდათ. უხერხულ მდგომარეობაში უნდათ ჩაგაყენონ. როგორც ჩანს, მიაღწიეს კიდეც საწადელს.

ცეიონს გადაწყვეტილი ჰქონდა პირადი მტრობა ცოტა ხნით განზე გადაედო და მშვიდად მოესმინა ვარონის აზრი,

რჩევა ეკითხა, როგორც რომაელი ჰკითხავს რომაელს, და თუ ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდებოდა, ყურად ეღო იგი, მაგრამ თავს ვერაფერი მოუხერხა. უფრო და უფრო ერეოდა ბრაზი, როდესაც ამ არხეინად მჯდომ კაცს უყურებდა, რომელიც საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებული იყო, ფეხი ფეხზე შემოედო და, სამწუხაროდ, სიმართლეს ამბობდა, მაგრამ ისეთ სიმართლეს, რომელიც ცეიონს აღიზიანებდა. „ცხადია არტაბანის მხარე უნდა დამეჭირა, — ფიქრობდა იგი, — ამ დაწყევლილ აღმოსავლეთში მუდამ მიხვეულ-მოხვეული, ფარული გზებით უნდა იარო. ჩემისთანა პირდაპირი, წესიერი კაცი აქ წინ ვერ წაიწევს. ირგვლივ უღრანი ტყეა; როდესაც შენი ნაცადი, რომაული ხმლით გზას გაიკაფავ, წინ ახალ, უსიერ ტყეს წააწყდები, . მიიხედავ და უკანაც ამოუყრია განაკაფავს. ცხადია, ასეთ მხარეში ეს არამზადა ვარონი, ეს სიბერეში წასული უქნარა უფრო გაიხარებს. გარდა ამისა, დროც ბევრი ჰქონდა, რომ აქაურობას შეგუებოდა“.

— თუმცა, — მოესმა მას ვარონის ხმა, — მეფე მალუქმა და ქურუმთუპირველესმა შარბილმა კიდეც რომ მოიწადინონ, ეგრერიგად მაინც ვერ ახლებენ ხელს ტარატეს ტაძარში თავშეფარებულ კაცს, — ევფრატს გაღმა ყველას სჯერა, რომ ეს კაცი იმპერატორი ნერონია.

— მეც ასე მომახსენეს, — უკმაყოფილოდ აღიარა ცეიონმა, — მაგრამ ვერ წარმომიდგენია. მართლაც და ამ აღმოსავლეთში დიდი ცრუმორწმუნე ხალხი ცხოვრობს. გარეგნულად ხომ ასეთი ცბიერი და გაიძვერები ჩანან, სინამდვილეში კი უზომოდ ბრიყვები არიან და ყოველგვარ სისულელეს იჯერებენ. ზღაპრებითა და იგავებით იკვებებიან. კიდეც ამიტომაა, რომ, რა მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს ასეთი ხალხი, მაინც ადვილად ვიმორჩილებთ გონიერი რომაელები. მაგრამ, — აღშფოთებით დაუმატა მან, — ისეთი სისულელე, როგორიც ნერონის მკვდრეთით აღდგომაა, ყელში გაეჩხირებათ. ედესელთა უმრავლესობამ წერა-კითხვა იცის. ნუთუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ასეთ ანკესზე წამოეგებიან?

ვარონმა ჩაფიქრებით გადააქნია დიდი თავი.

— ამ ტერენციუსმა, — თქვა მან, — სხვათა შორის, იგი ერთ-ერთი ჩემი ხელდებულთაგანია, ერთობ ეშმაკური ამბავი მოიგონა: ვითომდა მაშინ იმპერატორის მაგივრად ჩემი ტერენციუსი მოეკლათ, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან ჰგავდა ნერონს, ხოლო ნამდვილი იმპერატორი მთელი ამ ხნის განმავლობაში ტერენციუსად ასაღებდა თავს. ყოველივე ეს არც თუ ისე დაუჯერებელი ჩანს; მე ვგულისხმობ, რომ არც თუ ისე დაუჯერებელი ჩანს აქ, აღმოსავლეთში, რომიდან ხუთი ათასი კილომეტრის მანძილზე.

მაგრამ ცეიონი კიდევ უფრო აღშფოთდა.

— სულ გამოთაყვანდა ეს ხალხი თუ რა არის? ვფიცავ ჰერკულესს, ვერაფერი გამიგია. რა ძალა ადგა მაშინ იმ მექოთნეს, რომ სენატორის ჯარს იმპერატორად მოაჩვენა თავი და მის მაგივრად მოეკვლევინა?

— აღმოსავლეთში, — მეგობრულად აუხსნა ვარონმა, — ჯერ კიდევ არ გაუგიათ, რომ ძველი რომაული ერთგულება აღარ არსებობს. აკი წეღან თქვენ თვითონვე ბრძანეთ, აქ ბარბაროსებთან გვაქვს საქმეო. ამ ბარბაროსებს მართლა ჰგონიათ, საქმე საქმეზე თუ მიდგა, რომაელი კაცი იმპერატორს თავს შესწირავს.

ცეიონს ერთი სული ჰქონდა თავისებურად გაჭიმულიყო და გათამამებული ვარონისათვის მკვახე სიტყვა ეთქვა, მაგრამ ბრაზს მოერია და თავი შეიკავა.

— ჩინებულ აფორიზმს ამბობთ, ჩემო ვარონ, — აღიარა მან და გაიღიმა კიდეც ძალისძალად, — მაგრამ, მოდით ერთი, გასაგები ლათინურით მითხარით: ვითომ საშიშია ეს გაიძვერა? როგორ ჯობია — თავი დავანებო და იმედი ვიქონიო, რომ უჩემოდაც მოგვარდება ყველაფერი, თუ ჩავერიო საქმეში?

ვარონმა სერიოზული სახით შეხედა გუბერნატორს და ტუჩები გაილოკა.

— საშიშია თუ არა ჩემი ტერენციუსი? — ჩაფიქრებულმა გაიმეორა. მერე დარიგების კილოთი განაგრძო — საქმე ის არის, ჩემო ძვირფასო ცეიონ, რომ ედესელები ცუდად ცხოვრობენ, მძიმე ხარკი ადევთ; გადატრიალება ხელსაყრე-

ლია მათთვის. ვინმე რომ გამოჩნდეს და გამოაცხადოს, ხარკს გავაუქმებო, ევფრატს გაღმა ხელად მოიპოვებს ნდობას. თუ ამასთანავე ზურგს ჭკვიანი ხალხი უმაგრებს, ასეთი კაცი დიდხანს გაძლებს.

— მაშ თქვენ ფიქრობთ, — შეეკითხა ცეიონი, — რომ ამ არამზადის უკან არტაბანი დგას?

ვარონმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, — მიუგო მან და მშვიდად შეხედა გუბერნატორს.

ცეიონს პირველად ახლა გაუელვა ეჭვმა, — შესაძლებელია ვარონსა და იმ თავგასულ ტერენციუსს შორის რაღაც კავშირი არსებობსო და მოაგონდა, რომ ქვეშევრდომებმა რამდენჯერმე გადაუკრეს სიტყვა ამ საკითხზე ფრთხილად და ბუნდოვნად. მაგრამ ეს ეჭვი უმალვე მოიშორა. მან ხომ იცოდა, იცოდა კი არა საკუთარი თვალით ხედავდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვარონი ანტიოქიაში იმყოფებოდა და დაფნეს გარყვნილ ცხოვრებაში იყო ჩაფლული. ყოვლად შეუძლებელია ასეთ ჩახლართულ საქმეს უხელმძღვანელოს კაცმა ამ სიშორიდან. ესეც არ იყოს, ვარონი ხომ, ბოლოს და ბოლოს, რომაელია. თვითონ ცეიონის ფანტაზიაც სადამდე წავიდა ამ შეშლილ აღმოსავლეთში! არა, არ მისცემს თავს ნებას, რომ ვარონის სიძულვილმა ასე შორს შეიტყუოს.

— იოლად ნუ მოეკიდებით ამ საქმეს, ჩემო ცეიონ, — წყნარად ურჩია ვარონმა, — სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოთ ლეგენდებსა და მითქმა-მოთქმას. ლეგენდას ისეთი ბუნება აქვს, რომ სინამდვილეზე მეტად ფასობს. მოქნილი ენით ყოველგვარ ზღაპარს დააჯერებ ხალხს. ისეთ გულისამაჩუყებელ ამბავშიც კი დაარწმუნებ, როგორიცაა მექოთნე ტერენციუსის ერთგულება და იმპერატორ ნერონის გულისათვის თავის განწირვა. გახსოვთ, ჩემო ცეიონ — სერიოზულად დაუმატა მან, — თავიდანვე გაგაფრთხილეთ? ახლაც გიმეორებთ: არ იცნობთ თქვენ აღმოსავლეთს, კვლავაც ბევრ რამეს ნახავთ აქ.

ცეიონი წრიალებდა, ვეღარ ძლებდა საავარძელში. ბოლოს

წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. ცრუ ნერონის ამბავი უფრო და უფრო აღიზიანებდა. ვარონი რომაელია. როდესაც საქმე რომის ინტერესებს ეხება, დახმარებაზე უარს არ ეტყვის.

— ჩემო ვარონ, — დაიწყო მან, — თქვენ ნერონის გულითადი მეგობარი იყავით და, ალბათ, მექოთნე ტერენციუსსაც კარგად იცნობთ. თქვენ შეგიძლიათ ამ უსიამოვნო საქმის მოგვარება. ედესაში რომ წახვიდოდეთ, იმ ვაჟბატონს ნახავდეთ და მერე გარკვევით, საქვეყნოდ გამოაცხადებდეთ რაშიცაა საქმე, ვფიცავ ჰერკულესს, ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღება.

ვარონს გულში გაეხარდა. აი, სადამდე მივიდა საქაჩულა, ეხვეწება კიდეც. ხმამაღლა კი ესა თქვა:

— ასე ადვილი როდია ამის მოგვარება. რაც უფრო ნათელია საქმე, მით უფრო ფრთხილი და შენიღბული გზებით უნდა იარო, რომ აქაური ხალხი ამ საქმის სიმართლეში დაარწმუნო.

ცეიონი, ცოტა არ იყოს, მოუთმენლად შეეკითხა:

— მაშ წახვალთ ამ ფრთხილი და შენიღბული გზით? მე სრულ უფლებას განიჭებთ!

— ჭეშმარიტ თავაზიანობას იჩენთ, — მიუგო ვარონმა,— მაგრამ თქვენ ყოველივე ეს უფრო ადვილი გგონიათ, ვიდრე სინამდვილეშია. ნუ მიწყენთ, ჩემო ცეიონ. მანამ რომ გეთქვათ, სანამ ამბავი მთელ ქვეყანას მოედებოდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ საქმეს ადვილად მოვუვლიდი. მაგრამ თქვენ ყველაფერი გაართულეთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ახლა, როდესაც ედესის ხელისუფლებმა გარკვეული გადაწყვეტილება მიიღეს, ჩემთვის ძნელია საქმეში ჩარევა. აბა მოიგონეთ, ამ ცოტა ხნის წინ აკი თქვენ თვითონ მეუბნებოდით, რომ კაცს, რომელიც ერთსა და იმავე დროს რომის მოქალაქეცაა, ედესის მოქალაქეც და პართიის მეფის ქვეშევრდომიც, მძიმე სულიერი ბრძოლა მოელისო.

— „არ უნდა მეთხოვა, — გაიფიქრა ცეიონმა, — ზეიმობს ასეთ დღეში რომ მხედავს“, — მაგრამ არ გაცხარებულა, თავს ძალა დაატანა და ისევ სთხოვა:

— ნუ ხართ ასეთი თავკერძა. გეთანხმებით, რომ მაშინ მართალი იყავით და თქვენთვის უნდა დამეჯერებინა, მაგრამ რა საჭიროა ძველის გახსენება! ორივე რომაელი ვართ, ჩემო ვარონ, და აქ იმისთვის ვიმყოფებით, რომ იმპერიის ინტერესები დავიცვათ.

— მოდი მოვრიგდეთ, ჩემო ცეიონ, — პირდაპირ და უბრალოდ უთხრა ვარონმა, — გამოტყდით, რომ საინსპექციო გადასახადი უსამართლოდ გადამახდევინეთ. დამიბრუნეთ ჩემი ექვსი ათასი სესტერცია. სამაგიეროდ ცრუ ნერონის საქმეს მოგიგვარებთ, თუმცა მაგრა კი არივ-დარიეთ. თანახმა ხართ?

იგი მოხერხებულად იჯდა თავის სავარძელში და მშვიდად, მეგობრული კილოთი ლაპარაკობდა. სინამდვილეში კი სულ ერთიანად დაძაბული ელოდა პასუხს. ის თავგადადებული მოთამაშე იყო, მთელი არსებით ეძლეოდა წამოწყებულ თამაშს. მაგრამ არც სინამდვილის გრძნობა ღალატობდა, კარგად იცოდა, რომ ამ პატარა კაცს ზურგსუკან რომი ედგა, მთელი იმპერია თავისი მძლავრი ორგანიზაციით, ქვეყნის განმგებლობის იშვიათი ხელოვნებით, არმიით, და ვარონი, რომელიც ყოველივე ამას თავისი გაქუცული ტერენციუსის მეტს ვერაფერს დაუპირისპირებდა, განწირული იყო, თუ ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ჩაებმებოდა. მან თავისი უკვე ქნა, ცეიონს ჭკუა ასწავლა. ახლა ისღა უნდოდა, უკანდახევის საშუალება მისცემოდა. თუ ცეიონი ექვსი ათას სესტერციას დაუბრუნებს, იგი თავის სიტყვას შეასრულებს, წამოწყებულ საქმეს მოსპობს და ტერენციუსს ისევ არარაობად აქცევს.

ვარონის ნათქვამი რომ გაიგონა, გუბერნატორი ერთბაშად შედგა; ჩუმად, მწარედ გამოცრა:

— გამორჩენაზე გიჭირავთ თვალი და ყური!

— თქვენ მაგარ-მაგარი სიტყვები გიყვართ, ჩემო ცეიონ, — კვლავ მეგობრული კილოთი მიუგო ვარონმა — ხომ არ გგონიათ იმ ექვსი ათას სესტერციას ელირსებოდით, მაშინ რომ, ასე ვთქვათ, ჩიხში არ მიგემწყვდიეთ. ახლა თქვენა ხართ ჩიხში მიმწყვდეული, ჩემო ცეიონ.

ვარონი ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, თითქოს მათ შორის პირადი უთანხმოების გარდა სხვა არა ყოფილა რა. გუბერნატორმა კი სწორედ ვარონის ბოლო სიტყვების დროს იგრძნო, რომ აქ ერთმანეთის პირისპირ დგანან არა ისა და მისი სკოლის ამხანაგი, არამედ სულ სხვა ძალები. ახლა მას ესმოდა, რომ გაჩსვენებული ნერონის პოლიტიკა ძველთაძველი პროცესის გაგრძელებას წარმოადგენდა და ამ პროცესს გუბერნატორის ჩარევა, არა მარტო გუბერნატორის, თვით მეფის ან არმიის ჩარევაც კი ვერ შეაჩერებდა. ისიც ესმოდა, რომ აქ მართლაც გამოუცნობი და უხილავი გზებით ყველაფერი ერთიმეორეში გადახლართულიყო, რომ პაკორის აღიარება, ექვსი ათასი სესტერციის გადახდევინება, ცრუ ნერონის გამოჩენა და, ალბათ, კიდევ ბევრი რამ, რაც მან არ იცის, ყველა ეს თითქოსდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რამ ღრმა და განუყრელი კავშირით არის შეკავშირებული, და რომ ისა და ვარონიც, თუმცა ისე იქცევიან, ვითომ ყველაფერს თავიანთი სურვილისამებრ წყვეტენ, სინამდვილეში ამ ბადეში ფართხალებენ, გამოუცნობი ძალა თავის ნებაზე ათამაშებს მათ.

იგი ერთბაშად საოცრად უმწეო გახდა; მოხელე, რომელიც მოულოდნელად გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა და არ იცის რა გზას დაადგეს, რადგან წარსულში მსგავსი შემთხვევა არ ეგულება. რა ქნას მან, რა ქნას კაცმა, რომელიც მუდამ წარსულის მაგალითებსა და პალატინის მითითებებს ეყრდნობოდა?

— უკან ხომ არ წავიღებ ბრძანებას, — მხრების აჩეჩვით წარმოთქვა მან, — რომელიც მე თვითონ გამოვეცი, როგორც ოფიციალურმა პირმა. ამით ხომ იმპერიის პრესტიჟი შეილახება.

და როგორც კი ამ სიტყვებს, ამ „იმპერიის პრესტიჟს“ მიაგნო, გულზე მოეშვა. ეს კარგი ხელმოსაჭიდი საბაბი იყო.

— იმპერიის პრესტიჟი... — გაიმეორა ჩაფიქრებულმა ვარონმა, — თქვენ გგონიათ, ცრუ ნერონის ამბავი უფრო ნაკლებ შელახავს იმპერიის პრესტიჟს, ვიდრე ექვსი ათასი

სესტერციის უკან დაბრუნება? აღმოსავლეთში წინასწარ ვერ იტყვი, ვინ უფრო იზარალებს და ვისი პრესტიჟი უფრო შეილახება საბოლოოდ ამა თუ იმ ღონისძიებით.

სამწუხაროდ, ვარონი მართალი იყო. ამიტომ ცეიონმა დუმილით აუარა გვერდი მის ნათქვამს და ესღა უთხრა:

— მაშ, არ დამეხმარებით?

— რატომაც არა, — მიუგო ვარონმა, — თუკი თქვენც დამეხმარებით.

სიბრაზე არ ჩანდა მის ნათქვამში. მას აღარ ახარებდა ის გარემოება, რომ ცეიონი ამ ზომამდე მიიყვანა, რომ მის უმწეობას ნათლად ხედავდა, პირიქით, პატარა ცეიონის უკან მძლეთამძლე რომის იმპერია დაინახა და მის თვალწინ მრისხანედ აღიმართა თავისი ოინის სახიფათო ბოლო. იგი კიდევ ერთხელ შეეცადა მშვიდობიანად მოეგვარებინა საქმე და მეგობრული კილოთი მიმართა პირქუშად მჯდარ ცეიონს:

— კიდევ ერთხელ დაფიქრდით, ჩემო ცეიონ, სანამ უარს მეტყოდეთ. გთხოვთ, დაფიქრდეთ.

ცეიონი წამით შეყოყმანდა: იქნებ მართლა ჯობდეს დათანხმება? ამ კაცის დაუხმარებლად ცრუ ნერონი მრავალ ხიფათსა და უსიამოვნებას შეამთხვევს. მაგრამ იმავ წუთს თვალწინ წარმოუდგა სირცხვილნაჭამი წინაპრის ტილოში გახვეული გამოსახულება. სხვა ვინმეს შეეძლო დათმობაზე წასულიყო, ცეიონს კი არა აქვს ამის უფლება. ეს გარემოება აშმაგებდა მას; მაგრამ თავის თავზე კი არ მოსდიოდა ბრაზი, არამედ ვარონზე. აქამდე ცეიონი ალერსითა და ტკბილი სიტყვით ცდილობდა მის დაყოლიებას, ახლა მისი შინაგანი არსება უზომო მძვინვარებით აღდგა ამ კაცის წინააღმდეგ, რომელიც არხეინად, თავხედური პოზით იჯდა მის წინ და რომელსაც, ალბათ, სიხარულს ჰგვრიდა მთელი ეს უთავბოლო და საზიზღარი აღმოსავლური დომხალი. ცეიონი გაიჭიმა, ნამდვილ რომაელად, იმპერატორის ნაცვალად იქცა.

— რასაკვირველია, ძალას ვერ დაგატანთ, — რაც შეეძლო მშრალი და ოფიციალური კილოთი მიმართა მან. მერე უცებ ბრაზი მოერია და წონასწორობიდან გამოვიდა. — მე აქ

იმპერატორის მაგიერი ვარ და მის ქვეშევრდომებს ვაჭრობას ვერ დავუწყებ!

ვარონს არც მისი წელანდელი უმწეობა გახარებია და არც გაცოფება ახარებდა ახლა. მან ისე უპასუხა, თითქოს დასკვნა გამოაქვს საუბრიდანო, და ამ დროს მის ხმაში უფრო მტკიცე გადაწყვეტილება ისმოდა, ვიდრე ირონია.

— სამწუხაროდ, თქვენ სწორი მითხარით პირველი შეხვედრისას, ჩემო ცეიონ. მართლა ვერ შევეთვისებით ერთმანეთს. — და იგი წავიდა.

იმავ საღამოს ცეიონი მიხვდა რამხელა შეცდომა მოუვიდა. მას მოაგონდა ვარონის სიტყვები, მოაგონდა სახის გამომეტყველება, კილო, მოქცევა და გული ჩასწყდა. ახლა იგი ნათლად ხედავდა, რომ ცრუ ნერონის ზურგსუკან სწორედ ვარონი იდგა, მისი დაუძინებელი მტერი, და არა სხვა ვინმე. ისევ და ისევ უკუღმა გააკეთა ყველაფერი: ან პირობაზე დათანხმებოდა, ანდა იქვე დაეპატიმრებინა.

მან დაუყოვნებლივ დაადევნა მდევარი, მაგრამ გვიანღა იყო. სენატორი უკვე ედესის გზას ადგა.

18

ვარონის ოინი ფეხს იკიდებს

მან თავისი ქალი მარციაც თან წაიყვანა. პირთეთრსა და მკაცრ მარციას უყვარდა მამა, მაგრამ ედესაში უხალისოდ მიჰყვებოდა. ანტიოქიას ცოტა რამ მაინც ეცხო რომისა, ედესა კი წმინდა წყლის აღმოსავლეთი იყო. მაგრამ მამამ უბრძანა და მის ბრძანებას ვერ გადავიდა.

ვარონს დიდი აღალი მიჰყვებოდა თან. ბოლო ხანებში მან შეძლებისდაგვარად დაყიდა თავისი მამულები რომაულ-სირიულ მხარეში. ქონების ერთი ნაწილი ადრევე გაგზავნა ედესაში, დანარჩენი ახლა მიჰქონდა. თვითონ კი მარციასა და რამდენიმე მხლებელთან ერთად სწრაფად დაწინაურდა. მალე მიაღწიეს აპამეას, იმპერიის უკიდურეს პუნქტს, გადაიარეს

ევფრატის ხიდი, ავიდნენ პატარა ბორცვზე, რომელიც საზღვარზე მდებარეობდა, და აქ, სამშვიდობოს გასულნი — შეჩერდნენ.

ამ ბორცვზე დაელოდა ვარონი თავის აღალს. მან ცხენი შეაყენა, როდესაც მომავალნი ხიდზე გამოჩნდნენ. ქვეშ ყვითელი მდინარე მიედინებოდა; მძიმედ მოიწევდა წინ უზარმაზარი აღალი — ხალხი, პირუტყვი, დატვირთული ურმები.

ვარონი ფიქრებში იყო გართული. მაშ ასე, ეს პატარა ბორცვი მისი ცხოვრების ერთ-ერთი მწვერვალია. ბევრი რამ დარჩა რომის სამფლობელოში: ვილები, მამულები, ხალხი, ცხენები, საქმეები, ფული; კაი თხუთმეტი მილიონი სესტერციის საღირალი, ორი ათას ხუთასჯერ მეტი იმ საინსპექციო გადასახადზე. და განა მარტო ეს დარჩა წყალგაღმა: მთელი დასავლეთი სამყარო დარჩა იქ, თავისი რომაელობა, რომაული ცივილიზაცია და ბერძნული განათლება. მაგრამ ვარონი არ ნანობდა. მან მორიგება შესთავაზა ცეიონს, განმეორებით შეეცადა მის დაყოლიებას და ამით უკანასკნელი ხარკი მოუხადა გონიერებას. ცეიონის გაჯიუტება ბედისწერის ნაკარნახევი იყო. ვარონმა გადმოვლო ხიდი და ახლა მთელი არსებით თავის წამოწყებულ თამაშს მიეცემა.

აპამეის მახლობლად, პატარა ბორცვზე იდგა იგი და გაჰყურებდა თავის ხალხს, რომლებიც უკან იტოვებდა რომის სამფლობელოებს. საბუთების ყუთი თან მიჰქონდა. მან მებარგული შეაჩერა, ქვითარი ამოიღო და უკანა მხარეს „ზარალის“ სვეტში ჩაწერა: „თხუთმეტი მილიონი სესტერცია. ერთი ცივილიზაცია“.

ედესამდე დიდი გზა აღარ იყო. ვარონი გახალისებული, საქმეს მოწყურებული მიჰყვებოდა ამ გზას. სოფლებსა და დაბებში ხალხი აღფრთოვანებით ეგებებოდა. მას შემდეგ, რაც ტარატეს ტაძარს თავი შეაფარა კაცმა, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა ნერონად თვლიდა, მთელი ეს მხარე ბუნდოვნად გრძნობდა, რომ რაღაც დიდი ამბები ახლოვდებოდა და მოუთმენლად ელოდა მას. ედესაში ვარონს ისე შეხვდნენ, როგორც ძლევამოსილ ხელმწიფეს ხვდებიან. ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო. ჯგუფ-ჯგუფად მდგარი სირიე-



ლები, სპარსელები, არაბები, ებრაელები, ბერძნები ისეთი ყიჟინით ეგებებოდნენ, თითქოს თვითონ იმპერატორი ნერონი სწვეოდეს თავის საყვარელ ქალაქ ედესას.

ვარონი კარგად იცნობდა აღმოსავლეთის ცვალებად ბუნებას და ასეთ მხურვალე მიღებას მაინცადამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მან იცოდა, რომ წინ კიდევ გრძელი და ძნელი გზა ედო. უპირველეს ყოვლისა მეფე მალუქი და ქურუმთუპირველესი შარბილი უნდა დაეყოლიებინა. ვარონი კარგად იცნობდა მათ. ორივე ეშმაკი და ჯიუტი კაცი იყო და ეჭვი არაა, ძვირად დააფასებდნენ თავიანთ დახმარებას.

ვარონს ერთი სული ჰქონდა როდის ნახავდა მეფესა და ქურუმთუპირველესს. ისინიც მოუთმენლად მოელოდნენ მასთან შეხვედრას. მიუხედავად ამისა, მეფე მალუქმა მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიიწვია იგი სასახლეში.

დაიწყო დინჯი, დაუსრულებელი საუბარი, რომელიც ასე უყვარდა მეფეს და რომელიც ასე ცუდად მოქმედებდა დასავლელი კაცის ნერვებზე. მონოტონურად ჩქეფდა შადრევანი; ორჯერ გადასწია ფარდა მსახურმა და დრო გამოაცხადა,

მაგრამ მთავარი სათქმელი ჯერაც არ თქმულა, თუმცა სამივე მოდარბაზეს სწორედ აქეთ მიუწევდა გული.

ბოლოს ვარონმა დაიწყო:

— ანტიოქიაში გამგზავრების წინ თქვენი მონა-მორჩილი ედესის მეფეს ეახლა; მაშინ საუბარი გვქონდა ერთ კაცზე, რომელიც ძალიან დიდ რამეს მიელტვის. მაშინ შენ, ქურუმთ-უპირველესო შარბილ, ბრძანე: „თუ რომი უარყოფს ჩვენს არტაბანს და პაკორის მხარეს დაიჭერს, ედესა სიხარულით შეხვდება იმპერატორ ნერონის ხელახალ გამოჩენასო“. რომმა უკვე დაიჭირა პაკორის მხარე, — და, რაკი მეფე და ქურუმთ-უპირველესი არაფერს ამბობდნენ, დაუმატა, — თქვენი წე-რილით მაინცადამაინც კმაყოფილნი ვერ დარჩნენ ანტიოქიაში.

ამით ვარონს უნდოდა ეთქვა, რომ ისინი უკვე ჩათრეულ-ნი არიან თამაშში. მაგრამ მეფე მალუქმა მშვიდად შემოაბრუ-ნა შავგვრემანი სახე და მრგვალი თვალები მიაპყრო დასავ-ლელ კაცს.

— როგორც ჩანს, — მიუგო მან, — ანტიოქიაში ღრმად არ ჩაკვირვებიან ჩვენს სიტყვებს. ედესიდან ანტიოქიამდე ერთი დღის სავალია, ისიც თუ ამინდი კარგია და შიკრიკიც კარგია. შესაძლებელია, მდგომარეობა შეიცვალოს ამ ერთი დღის განმავლობაში.

შარბილმა დააზუსტა მეფის ნათქვამი:

გუნებაშიც კი არ გაგვივლია, რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯი გადაგვედგა. ვინც ალმოსავლეთის ღმერთებს იცნობს, უნდა მიხვდეს, რომ ქალღმერთ ტარატეს უზენაესი ქურუმი ვერ მიატოვებდა მის აუზს, როდესაც წმინდა თევზები ქვირითს ყრიდნენ. — მერე აიმრიზა და მედიდურად დაუმატა, — ქალღმერთ ტარატესათვის სულ ერთია თუ ვინ ეძებს თავშესა-ფარს მის ტაძარში. იგი ხელს აფარებს ლტოლვილს, გინდა მექოთნე ტერენციუსი იყოს ეს ლტოლვილი და გინდა იმპე-რატორი ნერონი. ჩვენ არ გვიკითხავს იმ კაცის ვინაობა; არ ვიცით ვინ არის. შენ კი, ჰოი, ვარონ, შენ, რომელიც იმპერა-ტორ ნერონის გულითადი მეგობარი იყავი, შეგიძლია გვა-უწყო ეს.

— მართლა გნებავთ, — ჩაეძია ვარონი, — გაიგოთ ვინ არის ეს კაცი?

— ჩვენ გვინდა გავიგოთ, — შეესიტყვა შარბილი, — შენ რას ფიქრობ მასზე.

ვარონმა უპასუხა:

— მისი ვინაობის გამორკვევა არც თუ ისე ძნელია. იმპერატორსა და ვარონს შორის არსებობს საიდუმლო, რომელიც მათ გარდა არავინ იცის. ვკითხოთ ამ კაცს: თუ ეცოდინა, მართლა იმპერატორი ყოფილა. გამოგადგებათ ასეთი საბუთი?

ქურუმთუპირველესმა მეფეს გადახედა, — მას მიანდო პასუხი.

— სიტყვას დიდი ძალა აქვს, — თქვა მეფემ, — მაგრამ გადამწყვეტ საბუთად ვერ გამოდგება. გადამწყვეტი საბუთი მხოლოდ საქმე თუ იქნება.

ვარონი, რასაკვირველია, მაშინვე მიხვდა რას უმიზნებდნენ. ცრუ ნერონი მათ ნაკლებად აინტერესებდათ, მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ვარონისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრათ. ამიტომ სიტყვას არ სჯერდებოდნენ, რაღაც უფრო მნიშვნელოვან საბუთს მოითხოვდნენ. მაგრამ სენატორმა თავი მოიკატუნა, ვითომ ვერ გაიგო, და კითხვის თვალით შეხედა მეფეს. სულწასულმა შარბილმა დაუყოვნებლივ განმარტა:

— თუ შენ, ჰოი, ვარონ, მართლა გჯერა ამ კაცის ნერონობა, მაშ დაამტკიცე კიდეც, ოღონდ უკეთ, ვიდრე ეს სიტყვებს ძალუძთ.

ვარონი მოელოდა, რომ ბევრ რამეს მოსთხოვდნენ, მაგრამ ახლა, როდესაც ეს მოთხოვნა უნდა მოესმინა, შიშმა აიტანა და შეეცადა შორს გადაეწია შემაძრწუნებელი წამი.

— ვარონმა იცის, — გაგულისებით დაიწყო მან, — რომ აღმოსავლელი კაცი ათასჯერ გამოცდის დასავლელს, სანამ ენდობოდეს. მაგრამ, მე მგონია, ტყუილად არ მქვია ესოდენ საპატიო სახელი — „ედესის მეფის ძმა“.

არც მეფესა და არც ქურუმთუპირველესს ხმა არ ამოუღიათ. ჩამოვარდა უსასრულო დუმილი და ვარონმა ინანა, რომ თვითონვე მიიყვანა საქმე აქამდე. ხომ იცოდა, აღმოსავლეთის ხალხს უფრო ხანგრძლივად, მშვიდად და უკეთ შეუძლიათ ლოდინი და დუმილიც ნაკლებ ეხამუშებათ.

ბოლოს მოთმინება გამოელია.

— როდესაც ვაღიარებ, რომ ეს კაცი იმპერატორი ნერონია, — თქვა მან, — იმპერატორი ტიტუსი და მისი გუბერნატორი სულ ჩამომართმევენ, რაც კი რომის ტერიტორიაზე მამულები მაქვს. არ არის ეს საკმაო საბუთი?

შარბილმა ოდნავ დამცინავი კილოთი უპასუხა:

— ალბათ ჩამოგართმევენ. მაგრამ ანტიოქიის მთავრობას არ უყვარხარ. შეიძლება უნერონოდაც მოგდონ რამე შარი. ჩვენ დასაჯერებლად უფრო სარწმუნო საბუთი დაგჭირდება.

ბოლოს მეფემაც ჩაურთო სიტყვა:

— დიახ, უფრო სარწმუნო საბუთი დაგჭირდება, — უთხრა მან თავისი ბოხი, მშვიდი ხმით.

ვარონს ფერი წაუვიდა. იგი თავიდანვე ხვდებოდა, თუ რა ედოთ გულში მეფესა და ქურუმს; კიდეც ამიტომ იყო, რომ ფეხს ითრევდა.

— ამაზე სარწმუნო საბუთი რაღაა? — უმწეოდ იკითხა მან.

მსახურმა ფარდა გადასწია, დრო გამოაცხადა. მეფემ ტკბილეული მოატანინა, თავაზიანად გამოჰკითხა ვარონს ანტიოქიის ამბები, მგზავრობის ამბები.

გულისგამაწვრილებელი მონოტონურობით ჩქეფდა შადრევანი.

ბოლოს შარბილმა თქვა:

— სარწმუნო საბუთი იქნებოდა, მაგალითად, რომ შენი ქალი მარცია ნერონისთვის მიგეცა ცოლად.

ვარონს ტანში გააჟრჟოლა. ეს იყო აღმოსავლური მზაკვრობის საუკეთესო ნიმუში და ამ ნიმუშიდან კარგად ჩანდა, რა ოსტატურად ფლობდნენ მის ხელოვნებას მეფე და ქურუმთუპირველესი. სწორედ იქ დაადგეს ფეხი, სადაც ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილი ჰქონდა. ვარონი მთელი არსებით დაკავშირებული იყო თავის პირთეთრსა და მომხიბლავ, მკაცრ მარციასთან. მთელ მის რომაელობას შვილის არსებაში შეესხა ხორცი. ხანდახან მარციას ეზიზღებოდა მამა, მაგრამ როცა ეზიზღებოდა, მაშინაც კი უყვარდა და აღმერთებდა. მას თავი მოჰქონდა იმით, რომ რომაელი იყო და გაურბოდა აღმოსავლელებთან ურთიერთობას. მართლაც რომ „სარწმუნო საბუთს“ ითხოვენ ვარონის-

განა. თუ ვინიცობისაა ეს ნერონი თაღლითი ვინმე გამოდგა, მაშინ ვარონს მისი ქალის იძულებით ქორწინებით არა მარტო უფრო საიმედოდ დააბამენ, ვიდრე სხვა რაიმე საწინდარით, არამედ მის ამაყ, რომაელ მარციასაც დაამცირებენ; თაღლით მონასთან' დააწვენენ და დაამცირებენ.

დაემორჩილება ვითომ მარცია, ასეთი უკეთური რამე რომ მოთხოვოს მამამ. და რომ დაემორჩილოს, არ ამოიგლეჯს გულიდან მთელ მის სიყვარულს?

ვარონი ატყობდა, რომ ძვირად უჯდებოდა თავისი ოინი.

კიდევ ერთხელ აწონ-დაწონა ყოველივე, — ხომ არ ჯობია ხელი აიღოს წამოწყებულ საქმეზე? რა იქნება ახლა რომ ანტიოქიაში დაბრუნდეს, ცეიონთან მივიდეს და უთხრას: „ვნახე ის ვაებატონი, მართლაც ვიღაც ბრიყვი და მატყუარა ყოფილა, როგორც თავიდანვე ვფიქრობდი, და თუ გსურთ, ჩემო ცეიონ, საჯაროდაც განვაცხადებ ამას“. ცეიონი ხელებგაშლილი შეეგებება, პალატინშიც მადლიერი დარჩებიან. საქაჩულა მიხვდება ვინ არის ვარონი და ჭკუას ისწავლის, მეორედ აღარ მოითხოვს საინსპექციო გადასახადსა და სხვა ამგვარ რამეს.

მაგრამ განა საქაჩულაა აქ მთავარი, ან თვითონ ვარონი? მთავარი ნერონის იდეაა, ნერონის საქმე, ალექსანდრე დიდის საქმეთა განგრძობა; მთავარი აღმოსავლეთია და მისი შერწყმა საბერძნეთთან და რომთან. განა შეიძლება ხელი აიღოს იმაზე, რასაც ძლივს მოაბა თავი?

მან თაყვანი სცა მეფესა და ქურუმთუპირველესს და უთხრა:

— თუკი იმპერატორი ნერონი ვარონის ქალიშვილს თავისი მეუღლეობის ღირსად გახდის, ვის გაახარებს ჩემზე მეტად ეს ამბავი!

19

რომანტიკა და პენსიის უფლება

შემდეგი, ვისთანაც ვარონს ნიადაგი უნდა მოესინჯა, იყო რომის გარნიზონის კომენდანტი, პოლკოვნიკი ფრონტონი. თუმცა მის იდუმალ კეთილმოსურნეობაში ეჭვი არ ეპარებო-

და, მაგრამ მაინც მტკიცედ უნდა დარწმუნებულიყო, რომ ეს კაცი ნეიტრალიტეტს დაიცავდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, წამოწყებულ საქმეს ხეირი არ დაეყრებოდა. ვარონი დიდად აფასებდა ფრონტონს. უნიჭიერეს ოფიცრად და მესოპოტამიის საუკეთესო პოლიტიკოსად მიაჩნდა და გრძნობდა, რომ მასთან სულიერი ნათესაობით იყო დაკავშირებული. ამიტომ გულით უნდოდა მისი ნახვა, თანაც ცდილობდა, საქმე ისე მოეწყო, რომ „შემთხვევით“ შეხვედროდა.

კვირაში ორჯერ ედესის რჩეული საზოგადოების ერთი ნაწილი თავს იყრიდა ხალიჩების ფაბრიკის მფლობელ ნიტაისთან და ბურთის თამაშით ერთობოდა. ბურთის თამაში იმ ხანად ძალიან მოდაში იყო. ვარონმა იცოდა, რომ ფრონტონიც ხშირ-ხშირად დადიოდა იქ. ამიტომ თვითონაც დაიწყო სიარული და მისდა სასიხარულოდ მეორე მისვლაზე შეხვდა კიდეც. ვარონი რიგიანად თამაშობდა, ფრონტონი კი — ძალიან კარგად. გასახდელ ოთახში (მოთამაშეები მოკლე ტუნიკებით გამოდიოდნენ) ვარონმა შესთავაზა — ხომ არ გნებავთ ერთი ერთზე ვითამაშოთო. ფრონტონი დაუფარავი სიამოვნებით დაეთანხმა.

— მსუბუქი ბურთით ვითამაშოთ თუ მძიმეთი? — ჰკითხა მან.

— ყველაზე მძიმეთი.

— როგორც გენებოთ, — გაიღიმა ფრონტონმა.

გადაწყვიტეს თერთმეტი ხელი ეთამაშათ, როგორც საერთოდ თამაშობდნენ. ყოველი ხელის შემდეგ კარგა ხანს ისვენებდნენ; ამ დროს მათ კაბადოკიელი მონები ადგნენ თავს და ოფლს წმენდდნენ. მერე კენჭს ყრიდნენ თუ ვის დაეწყო შემდეგი ხელი.

— ტარატეს ტაძარში დამალულმა კაცმა, — ძალდაუტანებელი, არხეინი კილოთი დაიწყო ვარონმა პირველი შესვენების დროს, — კაი თავსატეხი გაგვიჩინა მე და თქვენ, ჩემო ფრონტონ.

ისინი მზეში ისხდნენ ქვის მერხზე. კაბადოკიელი მონები, რომელთაც ლათინურის, ცხადია, არაფერი გაეგებოდათ, ტანს უმშრალებდნენ და მალამოს უსვამდნენ. მძიმე ბურთი ფეხებთან ეგდო.

— მე ბევრი არაფერი, — მხიარულად მიუგო ფრონტონ-მა და ფეხებით გააგორ-გამოაგორა ბურთი, — ტაძარში დამალული კაცი ჩემთვის თავსატეხს არ წარმოადგენს. მე ანტიოქიიდან მომდის მითითებები და საფიქრალი არაფერი მაქვს. ეს ჯარისკაცის უპირატესობაა.

ვარონი მხიარულადვე შეესიტყვა:

— უპირატესობა, რომელიც ხანდახან ძვირად უჯდება კაცს. მაგალითად, დავუშვათ, ჩვენი ღირსეული მეფე მალუქი ამ კაცს მიემხრო და თავშესაფრიდან გამოიყვანა. მაშინ ხომ უნდა ეცადოთ მის შეპყრობას? რაღაც არა მგონია, ჩვენი მალუქი გულგრილად შესცქეროდეს ამ ამბავს.

— ნუთუ მართლა? — შეეკითხა ფრონტონი, რომელსაც თვალები მიელულა და ბურთის გორებას განაგრძობდა, — მერედა როგორ გგონიათ, საკმარისი არ იქნება რომის ერთი ენერგიული სიტყვა, რომ ჩვენი მალუქი ჭკუაზე მოვიდეს?

— მე მგონია, — მიუგო ვარონმა, — ჩვენი მალუქი ერთობ თავდაჭერილი კაცია და თუ მართლა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ტაძარში დამალულ კაცს, წინასწარ კარგად გამოიკვლევს რა ძალები უმაგრებს მას ზურგს. ხომ შეიძლება მართლაც უმაგრებდეს ზურგს რაღაც ძალები.

— პართია? — შეეკითხა ფრონტონი.

ვარონმა მხრები აიჩეჩა.

— ძალები, — მიუგო მან; მეტი აღარაფერი დაუმატებია.

ითამაშეს მეორე ხელი. შემდეგ შესვენებაზე ფრონტონმა უთხრა:

— ვერ წარმომიდგენია, რომ კაცი, რომლისთვისაც გრძნობასა და გონებას არ უღალატნია, მექოთნეს აჰყვეს, თუნდაც ამ მექოთნეს „ძალები“ უმაგრებდეს ზურგს. მართლაც და ადამიანს თუ ჭკუა არ დაუკარგავს, მექოთნე ტერენციუსი როგორ უნდა დაუპირისპიროს რომის იმპერიას, რა იმედი უნდა იქონიოს, რას უნდა მიაღწიოს? სიგიჟე არ არის ასეთი წამოწყება, რა „ძალებიც“ არ უნდა უწყობდნენ ხელს?

მან ცერად გახედა ვარონს თავისი ჭკვიანი, მახვილი თვალით. ფრონტონის მზერაში თანაგრძნობა იხატებოდა. ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ მზეში, ბურთები ფეხებთან ეწყოთ და

დაძაბული თამაშის შემდეგ, სასიამოვნოდ მოდუნებულები, მთელი მკერდით სუნთქავდნენ. კაბადოკიელი შონები გულ-მოდგინედ ზელდნენ მათ. მშვენიერ სფერისტერიას, ეზოს, რომელიც ოსტატურად დაეყოთ სათამაშო მოედნებად, მზე აცხუნებდა. ყრუდ ისმოდა ბურთის ხმა და მოთამაშეთა გადაძახილ-გადმოძახილი: ისინი რჩევას აძლევდნენ ერთიმეორეს.

— სად თავდება სიფრთხილე და სად იწყება სიმხდალე? სად თავდება სიმამაცე და სად იწყება სიგიჟე? ფრიად საინტერესო თემაა და ღირს კიდეც იმად, რომ ორი ჩვენისთანა კაცი ჩაუფიქრდეს ამ საკითხს. მახსოვს, ნებას მაძლევდით ხოლმე თქვენს აზრებში ჩამეხედა და ვიცი, რომ თქვენი მიზანია აუღელვებელი, ტკბილი სიბერე, მიწის მოზრდილი ნაკვეთი და კარგი პენსია. მაგრამ ისიც ვიცი, სხვა რამე რომ გხიბლავთ: გაუთვალისწინებელი, საოცნებო, საფათერაკო, რა ვიცი, რაც გნებავთ ის დაარქვით. ამიტომ გაიგებთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, შესაძლებელია მეფე მალუქი ან მექოთნე ტერენციუსის უკან მდგომი „ძალები“ აცთუნოს „საფათერაკო ამბების“ მომხიბლაობამ, გვერდი აახვევინოს ლოგიკისათვის და ტაძარში თავშეფარებული კაცი იმპერატორ ნერონად აღიარებინოს. თუ ნებას მომცემთ, ერთი წუთით ფრონტონად ვიქცევი და მის მაგივრად გადავწყვეტ რა უნდა იღონოს ასეთ დროს რომის გარნიზონის კომენდანტმა, რომ მისი მოქმედება გონივრული იყოს.

— გისმენთ, — ღიმილით მიუგო ფრონტონმა. მას ფეხებზე ღია ყვითელი ფერის სანდლები ეცვა და ბურთს ათამაშებდა.

ვარონი კი მსჯელობდა:

— პირველ ყოვლისა, შეგიძლიათ მოიქცეთ ისე, როგორც მამაც ჯარისკაცს შეეფერება: არც აციოთ, არც აცხელოთ და პირდაპირ შეიპყროთ ტერენციუსი. რა მოჰყვება ამას? მეფე მალუქი, რაკი ერთხელ ნერონს მიემხრო, არ მოგითმენთ. ხუთასი კაცის პატრონს სამხედრო ნიჭი ვეღარაფერს გიშველით და მის ათიათასიან არმიას ვერ გაუმკლავდებით. სიმამაცის მაგალითს უჩვენებთ და ვაჟკაცურად დაეცემით ბრძოლის ველ-

ზე, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოების გმირი. საქაჩუ-ლა, თავის მხრივ, არ შეარჩენს მტერს ედესის გარნიზონის დაღუპვას, იძულებული იქნება „დაკრას და გაათავოს“. მაშინ ვერც პართიის მეფე არტაბანი დაუწყებს გულმშვიდად ცქერას, როგორ გადმოდის რომის ჯარი ევფრატს გამოღმა. დიდი განმათავისუფლებელი ომის საბაბით შესაძლებელია თავისი მოქიშპე პაკორი გზიდან ჩამოიშოროს და პართია გააერთიანოს. ეს კი არტაბანთან ახალ ომს გამოიწვევს.

— შესაძლებელია, — დაეთანხმა ფრონტონი, — მაგრამ ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც რომაელმა მინისტრებმა ან ანტიოქიის გუბერნატორებმა უნდა არკვიონ. მე ჯარისკაცი ვარ, ჩემო ვარონ, და ამგვარ შემთხვევაში მხოლოდ ის დამრჩენია, რომ, თქვენი თქმისა არ იყოს, გმირულად დავეცე ბრძოლის ველზე. მაგრამ ჯერ, მოდი, თამაში განვაგრძოთ.

მან შეანჯღრია თასი, რომელშიაც კამათლები ეყარა და გადმოაბრუნა.

— თქვენ იწყებთ, ჩემო ვარონ.

— ამჯერად კი მაგრა შემდექით, — აღიარა მან მეშვიდე ხელის შემდეგ. ვარონმა გაიღიმა და მადლობა გადაუხადა. ფრონტონმა ხუთი ხელი მოიგო, მან კი — მხოლოდ ორი.

— ახლა ნება მომეცით, — თქვა ვარონმა, სული რომ მოითქვა, — მეფე მალუქის ადგილას დავდგე. ედესას რომზე ნაკლებ როდი სურს მშვიდობა. ამიტომ მეფე მალუქი ყოველმხრივ ეცდება იმის საშუალება მისცეს რომის გარნიზონის კომენდატს, რომ ამ უკანასკნელმა დისციპლინა არ დაარღვიოს, მკაცრად დაიცვას ყოველგვარი წესები და ამავე დროს სისხლის ღვრას თავი აარიდოს.

— მაგრა, მაგრა, — გაამხნევა ფრონტონმა კაბადოკიელი მონა, რომელიც ტანს უზელდა, და ვარონს მიუბრუნდა, — ყველაფერი ეს მხოლოდ ვარაუდია?

— რასაკვირველია, — სასწრაფოდ დაუმოწმა ვარონმა, — მე მინდა თეორიულად განვსაჯო, თუ როგორ უნდა მოიქცეს რომის გარნიზონის კომენდანტი, მეფე მალუქმა ან სხვა ვინმემ რომ უკანასკნელად განიზრახოს ნერონის პოლიტიკის განახლება. თავი გაწიროს და დასაწყისშივე მოსპოს ეს გან-

ზრახვა, „ვალი“ მოიხადოს, გმირულად დაიღუპოს და იმპერია საფრთხეში ჩააგდოს, თუ, — ვარონმა ოდნავ გაიღიმა: — „მთავარ მითითებას“ მისდიოს და იმპერიას პართიასთან ომი აშოროს? ფრონტონს, როგორც ფლავიუსების ოფიცერს, ალბათ, კარგად მოეხსენება: „უმჯობესია არ გააკეთო, ვიდრე გააკეთო და მცდარი გამოდგეს“.

ფრონტონი მეგობრულად შესცქეროდა გაცხარებულ ვარონს.

— ძალიან გაუტაცნიხართ თეორიულ საკითხს. — თქვა მან.

— ნუთუ თქვენისთანა თეორეტიკოსს აკვირვებს ეს ამბავი? — მიუგო ვარონმა, — მე მგონია, საინტერესო საკითხია. ვინ უკეთესი ვაჟკაცია: ის, ვინც გმირულად იღუპება და საქმეს აფუჭებს, თუ ის, ვინც გმირობას არ იჩენს, მაგრამ კორექტულად იქცევა, თავს ოდნავ ძალას ატანს და ნეიტრალიტეტს იცავს?

ფრონტონმა მსუბუქად, მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი.

— ტყუილად იმტვრევთ თავს თეორიულ საკითხებზე, ჩემო ვარონ, — ტკბილად უპასუხა მან, — რახან ჩემს გულში, როგორც თქვით, ერთხელ უკვე ჩაიხედეთ, ნება მომეცით კიდევ უკეთ დაგენახვოთ. მიმზიდველი და საინტერესო ცხოვრება მუდამ მიყვარდა, მაგრამ ორმოცდათერთმეტი პროცენტი მაინც უნდა მქონდეს შანსი, რომ უზრუნველყოფილი ვიქნები და პენსიას მივიღებ. პენსიის უფლება მაქვს. თუ ღმერთები გაუთვალისწინებელ, საოცნებო, „საფათერაკო“ ამბებსაც მიწყალობებენ, ისე, რომ უზრუნველყოფილობის ორმოცდათერთმეტი პროცენტი არ დავკარგო, ასეთ წყალობას მივიღებდი, როგორც დაუმსახურებელ ბედნიერებას.

ვარონი ძლივს ფარავდა აღელვებას.

— კმარა. — უთხრა მან მონას და მონაც სწრაფად და უხმაუროდ გაშორდა. შემდეგ ხელი ხელში მოჰკიდა ფრონტონს.

— გმადლობთ ნდობისათვის, ჩემო ფრონტონ, — გრძნობით უთხრა მან, — აგერ, უკვე თორმეტი წელია გულით

ვატარებთ ამ საუბარს. მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს სიტყვებად ვაქციეთ იგი.

ფრონტონმა ხელი გამოართვა. ხუმრობით თითი დაუქნია და გააფრთხილა:

— არ დაივიწყოთ, ჩემო ვარონ: ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდია.

მერე კენჭი ყარეს.

— ისევ თქვენ იწყებთ, — თქვა ფრონტონმა, — მაგრამ მიფრთხილდით, ამ ხელს უეჭველად მოგიგებთ.

20

ვარონი ამოწმებს თავის თოჯინას

ტერენციუსი მას შემდეგ, რაც შარბილმა დააიმედა, ქალღმერთ ტარატეს მფარველობა ტაძრის მთელ მიდამოებზე ვრცელდებაო, ქურუმთუპირველესის სახლში ცხოვრობდა. მას ორი მშვენიერი ოთახი მიუჩინეს — უკეთესი, ვიდრე მექოთნე ტერენციუსს შეეფერებოდა, მაგრამ გაცილებით უარესი, ვიდრე იმპერატორ ნერონს ეკადრებოდა. და აი, ამ ოთახებში იდგა კაცი, რომლისკენაც მთელი შუამდინარეთის თვალი და ყური იყო მიპყრობილი. იგი ძველებურად ცდილობდა გულგრილად დაეჭირა თავი, მაგრამ ისე კი, რომ მის სახეზე იდუმალებით მოცული მედიდურობა წაეკითხათ. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან გრძნობდა, რომ გამუდმებით თვალს ადევნებდნენ, თუმცა ხალხს იშვიათად ენახვებოდა.

ხანდახან კნოპსი მოაკითხავდა და დაწვრილებით ატყობინებდა ყოველივეს, რაც გარეთ ხდებოდა. ცბიერი მონა დიდი ოსტატობით აკეთებდა ამას. არც კი აგრძნობინებდა ბატონს, რომ კარგად ესმოდა, რამხელა სამსახურს უწევდა ამით. მოჰყვებოდა ყბედობას და ისეთი კილოთი უყვებოდა ახალ ამბებს, თითქოს დარწმუნებული ყოფილიყოს, რომ ტერენციუსმა უკვე იცოდა ყველაფერი.

მისგანვე გაიგო ტერენციუსმა ვარონის ჩამოსვლაც. ეგო-

ნა სენატორი დაუყოვნებლივ შემომივლისო, მაგრამ მოტყუვდა. ვარონმა ამჯერადაც საჭიროდ მიიჩნია ცოტა გაეწვალებინა, რომ არ გაყოყოჩებულიყო და ხელიდან არ დასხლტომოდა. მას ჯერაც არ დავიწყებოდა როგორ შეაცბუნა ერთხელ ტერენციუსის უეცარმა, საკვირველმა გარდაქმნამ. გარდა ამისა, გონიერი წინდახედულობა, რომელსაც მთელი ამ მოლოდინის ჟამს იჩენდა ტერენციუსი, სიფრთხილეს უკარნახებდა ვარონს. ბოლოს იმდენი აწვალა, რომ სიმშვიდეც დააკარგვინა და რწმენაც.

და მაინც, როდესაც ვარონი მივიდა, ტაძარში მშვიდი და გულგრილი კაცი დახვდა. სენატორმა მიმართა მას არა ისე, როგორც ხელდებულს მიმართავენ, მაგრამ არც ისე, როგორც იმპერატორს ეკადრება. საერთოდ კი ფრთხილობდა, რამე ეპვმისატანი არ წამოსცდენოდა: შარბილის სახლში, ალბათ, კედლებსაც ყურები ესხათ.

— ქალღმერთი ტარატე, — დაიწყო მან, თან ოთახში მიმოიხედა, — არც ისე ცუდად უმასპინძლდება თავის სტუმრებს. რაღა თქმა უნდა, ჩვენს „ოქროს სახლში“ ჯობდა ცხოვრება, მაგრამ აქაც კარგად იგრძნობს კაცი თავს, თუნდაც სრულ ფუფუნებას იყოს მიჩვეული.

ამის პასუხად ტერენციუსმა ციტატა მოიშველია რომელიღაც ბერძნული ტრაგედიიდან:

— „ასე განაგეს ღმერთებმა; სხვა გზა არა გვაქვს, მხოლოდ მოთმინება თუ გამოაჩენს კაცის ღირსებას“.

ვარონმა გაიღიმა. მოეწონა ტერენციუსის მოხერხებულობა და მრავალაზროვანი პასუხის ხელოვნება.

— მოთმინება? — მიუგო ვარონმა, — უკვე ბევრს სჯერა ის, რაც ჩემ სახლში გამოჩნდა ერთხელ: რომ თქვენ სინამდვილეში მექოთნე ტერენციუსი არა ხართ.

ტერენციუსმა თვალებში შეხედა.

— იქნება ალარცა ვარ, — მშვიდად და ღირსეულად მიუგო მან.

— როგორც ჩანს, წინათ ყოფილხართ. — დაასკვნა ვარონმა.

— ერთ ხანს ვიყავი, — დაუმოწმა „ქმნილებამ“, — სიამეს მგვრიდა ტერენციუსობა.

— კარგად კი შეითვისეთ, — ოდნავ დამცინავად უთხრა ვარონმა.

— არიან დიდებულები, — შეესიტყვა ტერენციუსი, — რომლებიც თავს იქცევენ მსახიობობით. განა იმას უფრო დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ამა და ამ კაცად გთვლიდნენ, ვიდრე მართლა ესა და ეს კაცი იყო? თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩემო ვარონ? — მან პირველად მიმართა ბატონს სახელით, როგორც ტოლს, ისე, რომ მისი წოდება არ მოუხსენებია.

ვარონს გულში გაეცინა: „დიდხანს არ გაგრძელდება ეს შენი შინაურობანი, ჩემო ტერენციუს“, — გაიფიქრა მან; ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— ახლა ბევრს სჯერა, რომ იმპერატორი ნერონი ცოცხალია და ედესაში იმყოფება; ზოგი არ იზიარებს ამ აზრს, რასაკვირველია; ზოგს სიცილადაც არა ჰყოფნის. მაგალითად, ჩვენი იოვანე პატმოსელი, მსახიობი, კაცი ფრიად გაწაფული თავის საქმეში, როგორც თქვენ თვითონაც კარგად მოგეხსენებათ, ამბობს: მე რომ ტრაგედია „ოქტავიაში“ ისე მეთამაშა ნერონის როლი, როგორც ქალაქ ედესაში თამაშობს ზოგი ვინმე, ყურს არავინ დამიგდებდაო.

ამ სიტყვებზე ტერენციუსმა თავი ველარ შეიკავა და ოდნავ შეუთრთოლდა სახე. მოვა დრო და უჩვენებს იმ იოვანეს რომელი უკეთესი ნერონია. ჯერჯერობით კი, ვარონისგან რომ თავი დაეღწია, მეტაფიზიკას ამოეფარა.

— ღმერთები, — თქვა მან, — უთვალავ სახედ ქმნიან ცოცხალ არსს, მაგრამ ხანდახან რომელიმე კაცთაგანს ერთადერთ, შეუდარებელ სახედ შექმნიან, რადგან სიამოვნებთ ეს.

— ხომ არ ცდებით? მეტისმეტად გაბედული ხომ არ არის ასეთი მტკიცება? თუ იმპერატორ ნერონის სახე მართლა ერთადერთი და შეუდარებელია, ხომ არ არსებობს მაშინ საშუალება, რომლითაც შეუცდომლად გამოიცნობა, — ამ სახის მქონე კაცი მართლა ნერონია თუ სხვა ვინმე?

და რაკი ტერენციუსს შეშფოთება დაეტყო, დაუმატა: — თუ არ არსებობს ასეთი საშუალება?

— ალბათ, არსებობს, — ყოყმანით მიუგო ტერენციუსმა.

— ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო ვარონმა, — ედესის ხელისუფლები ფიქრობენ, რომ ასეთი საშუალება არსებობს. თუ ამა და ამ კაცს ნერონობა უნდა, — ვარაუდობენ ისინი, — მან უნდა იცოდეს საიდუმლო, რომელიც იმპერატორ ნერონსა და სენატორ ვარონს შორის არსებობს.

შეცბუნებული ტერენციუსი დუმდა.

— იქნებ თქვენი აზრით მცდარია ასეთი ვარაუდი? — დამცინავი კილოთი შეაგულიანა ვარონმა.

— ჩემი აზრით ასეთი ვარაუდი სწორია. — დაეთანხმა „ქმნილება".

— აი, ხომ ხედავთ, — მხიარულად უთხრა ვარონმა, — რა ფეხზე ვდგევართ, დავსხდეთ, — შესთავაზა ტერენციუსს. მართლაც მთელი ამ ხნის განმავლობაში, ცოტა არ იყოს, საზეიმო პოზაში იდგნენ.

დასხდნენ.

— თუ გახსოვთ, მაგალითად, — გულდამშვიდებით დაიწყო ვარონმა ძნელი გამოცდა, — იმპერატორი ნერონი რომ მაისის თვეში, მგონი ქალაქის დაარსებიდან 818-ე წელს, საროსკიპო „ფარშევანგში" გაემართა, დიდი ცირკის უკან; თან მეგობრები ახლდა, მათ შორის სენატორი ვარონიც?

ტერენციუსს სიწითლემ გადაკრა ღია ვარდისფერ სახეზე: უსინდისობა იყო ვარონისაგან მაინცდამაინც ამ ეპიზოდის მოგონება. საროსკიპოში მაშინ შეურაცხყოფა მიაყენეს ერთ წარჩინებულ მანდილოსანს, ლუციას. ამ ამბის გამო დიდი აურზაური შეიქნა და უცებ იმპერატორს აზრად მოუვიდა, ასეთ უმსგავსო საქმეში გარევა არ შემფერისო. გამოცხადდა, რომ ის კაცი, რომელსაც ზოგიერთები იმპერატორად ასაღებდნენ, სინამდვილეში შემთხვევითი მგზავრი იყო, და მხოლოდ სალაღობოდ შეიყოლეს საროსკიპოში. ამ შემთხვევით მგზავრად ტერენციუსი სცნეს, სასამართლოში გამოიძახეს და ჯარიმა გადაახდევინეს, რომელიც შემდეგ ვიღაც საიდუმლოებით მოცულმა პირებმა უხვად აუნაზღაურეს. სასამართლოზე ტერენციუსმა დაწვრილებით შეიტყო

სარისკიპოში მომხდარი ამბავი, ძნელად თუ სხვა ვინმეს ეცოდინებოდა ასე. ვარონს, როგორც ჩანს, სწორედ ამ წვრილმანი ფაქტების ცოდნა უნდოდა გამოეყენებინა იმისათვის, რომ იმპერატორ ნერონსა და ტერენციუსის იგივეობა დაემტკიცებინა. ამით, რასაკვირველია, დიდ სამსახურს უწევდა, მაგრამ ტერენციუსი მის შეკითხვაში მხოლოდ ირონიას ხედავდა და არა დიდსულოვნებას. თვითონ იშვიათად იგონებდა ამ ეპიზოდს და როცა იგონებდა, ყოველთვის გუნება უფუჭდებოდა ხოლმე. სულ სხვა იყო ის დრო, როდესაც სენატის წინაშე წარსდგა და იმპერატორის ეპისტოლე წაიკითხა. აი, ამ ამბავს დაატარებდა გულით ტერენციუსი და არა იმას, სასამართლოში რომ მიათრიეს და ბინძური საქციელი გადააბრალეს, რომელზედაც, ჩვეულებრივ, არცთუ მაინცდამაინც აზიზმა იმპერატორმა, რაღაც ხუშტურის გამო უარი თქვა.

— მახსოვს. — უხალისოდ მიუგო მან.

— ისიც გახსოვთ, — კვლავ დაუდევრად განაგრძო ვარონმა, — რა თქვა იმპერატორმა ნერონმა, ლუცია რომ ტიტველი იდგა ფანჯარაზე და ელიუსი გადაგდებას უპირებდა?

ეს უკვე აღარ იცოდა ტერენციუსმა, სასამართლოზე არაფერი უთქვამთ ამის შესახებ. ალბათ, მართლა ერთ-ორ კაცს თუ ეცოდინება; იმათ, ვინც იმპერატორს ახლდა სარისკიპოში. თანაც ვინ იცის, ცოცხლები არიან კიდევ? და თუ ცოცხლები არიან ემახსოვრებათ კია? და ტერენციუსი უარესად შეცბუნდა, როდესაც დაინახა, რომ ვარონს არავითარი მზაკვრობა არ ედო გულში და მართლა გამოცდას უწყობდა.

ასე იყო თუ ისე, პასუხი უნდა გაეცა. მხნეობა მოიკრიბა, ნერონის პოზა მიიღო, გაიჟღინთა, როგორც თვითონ ეგონა, ნერონის სულით, ზურმუხტი მოიმარჯვა, ნერონად იქცა და ნერონის ხმით წარმოთქვა:

„თავი დაანებე, ჩემო ელიუს! ფანჯრიდან ფელდმარშლები და მეფეები უნდა გადაყარო და არა ტიტლიკანა მანდილოსნები“. ესა თუ რაღაც ამგვარი რამ თქვა მაშინ ნერონმა.

ვარონს გაეღიმა. პირველად ნახა ტერენციუსის ზურმუხტი. ნერონისა ცოტა უფრო პატარა იყო, მაგრამ ძალიან

გულდასმით და ოსტატურად გათლილი. ნამდვილი ნერონი არაფრის გულისათვის თავს არ გამოიდებდა და მახვილსიტყვაობას არ მოჰყვებოდა საროსკიპოში. პირიქით, როდესაც ელიუსი ფანჯრიდან გადაგდებას უპირებდა ლუციას, იგი

გალეშილი იყო, ისევე როგორც მის მხლებელთა უმრავლესობა, და საკმაოდ უაზროდ, ენის ბორძიკითა და მთქნარებით ამბობდა:

— მიდი, მიდი, ჩემო ელიუს, როგორც გენებოთ. მიირთვით, ჩემო მეგობარო.

ვარონს ართობდა და ახალისებდა ის ამბავი, რომ ტერენციუსს ვერაფრით ვერ წარმოედგინა ნერონი მეფური დიდებულების გარეშე, ასე ეგონა, იმპერატორი საროსკიპოშიც იმპერატორულად უნდა იქცეოდეს და მხოლოდ ფელდმარშლებზე და მეფეებზე ფიქრობდესო.

ტერენციუსი, სანამ პასუხობდა, კიდევ ინარჩუნებდა რაღაც რწმენას, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი დაამთავრა, სულ დაავიწყდა, რომ ნერონი იყო, ზურმუხტი მოიშორა, მექოთნე ტერენციუსად იქცა და თვალების ხამხამით მიაჩერდა ვარონს, უნდოდა მიმხვდარიყო, სწორად ამოიცნო თუ არა ნერონის ნათქვამი. მაგრამ ვარონმა მხოლოდ ღიმილით უპასუხა და არც არასოდეს გაუმხელია „ქმნილებისათვის“ რა უთხრა ნამდვილმა ნერონმა მაშინ ელიუსს.

ვარონი წამოდგა და უფრო უბრძანა მას, ვიდრე სთხოვა:

— თუ იმპერატორი ნერონი ძალაუფლების ხელახლა აღებას აპირებს, დაე, ახლავე აიღოს!

როდესაც ვარონი წავიდა, ტერენციუსმა შვებით ამოისუნთქა. ახლა იგი აღარ დაეძებდა უთვალთვალებდა თუ არა ვინმე; ნერონის პოზა მიიღო, ისევ მოიმარჯვა ზურმუხტი, ნერონის ნაბიჯით გაიარ-გამოიარა და, ბედნიერებისაგან თავბრუდახვეულმა, ნერონის ხმით გაუბა ლაპარაკი საკუთარ თავს.

*

1

ძალაუფლების შესახებ

მეფე მალუქთან დარბაზობამ ვარონი დაარწმუნა, რომ მის წამოწყებულ საქმეს სერიოზული წარმატება არ ეწერა, თუ თავის ქალიშვილს ტერენციუსის ცოლობაზე არ დაითანხმებდა. მთელი ერთი კვირის განმავლობაში იგი ყოველდღე სახვალიოდ დებდა უსიამოვნო საუბარს. მერე, როგორც იქნა, მხნეობა მოიკრიბა.

პირთეთრი და მკაცრი, ტანწერწეტა მარცია მის წინ იჯდა. ვარონი ლაპარაკობდა აქეთურზე, იქითურზე, გარშემო უვლიდა სათქმელს. ბოლოს -გაბედა:

— აქ ერთი კაცი გამოჩნდა, — დაიწყო მან, — რომელსაც მთელი შუამდინარეთი იმპერატორ ნერონად თვლის. ალბათ, გაგეგონება. ის კაცი ხელსა გთხოვს.

მარცია ყურადღებით შესცქეროდა. პირველად ვერაფერს მიხვდა. მერე მიხვდა. მიხვდა, რომ მამა უზომო დამცირებას უპირებდა, თანაც სრულიად გულგრილად, თითქოს ვახშმად დაპატიჟებაზე ყოფილიყოს ლაპარაკი. იგი შიშმა შეიპყრო და ისეთი ზიზღი იგრძნო, რომ სუნთქვა შეეკრა. მაგრამ არ წაქცეულა, — იჯდა წელში გამართული; ოღონდ ეს იყო, ფერი წაუვიდა და სავარძელის ზურგს მაგრად მოეჭიდა. ვარონმა კარგა ხანია დაამთავრა ლაპარაკი, მარცია კი ჯერ ისევ დუმდა, და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა მამას, თითქოს კიდევ რაღაცას ელისო. ვარონმა შეხედა შვილს, ძლივს ფარავდა, რომ გულში ბალღამი უდუღდა.

— ის კაცი მართლა იმპერატორი ნერონია? — ჰკითხა ბოლოს მარციამ ჩამწყდარი ხმით.

— შენ მას მექოთნე ტერენციუსის სახელით იცნობ. — თავს ძალა დაატანა და ისე უპასუხა ვარონმა.

მარციამ პირი მოკუმა, ტუჩები სულ მთლად დაეჭიმა.

— თუ არ ვცდები, — თქვა მან, — ის შენი ერთ-ერთი აზატთაგანია. მამამისი იყო არა, რომში დაზიანებულ წყალსადენსა და ფეხსადგილის მილებს რომ გვიკეთებდა?

მარცია ფიქრობდა: „რატომ არ დავუჯერე დედას? — ვესტალი გამოვიდოდი და ახლა მშვიდად და ფუფუნებით ვიცხოვრებდი დიდებულ სახლში წმინდა ქუჩაზე. წარმოდგენების დროს იმპერატორის ლოჟაში საპატიო ადგილას ვიჯდებოდი. ცხრა ივნისის დღესასწაულზე იმპერატორთან ერთად ავიდოდი კაპიტოლიუმზე და მთელი ხალხი ჩემი პატივისმცემელი იქნებოდა. მაგრამ მამაჩემმა არ დამრთო ნება. ამ დღისთვის შემომინახა, — უნდა გამყიდოს და თავისი ბნელი და ბინძური საქმეები აკეთოს“.

ვარონი ფიქრობდა: „დედამისი ვერ მიტანდა, რადგან ანგარიშით შევირთე და არ მყვარებია. სამაგიეროს იმით მიხდიდა, რომ გოგონას ვესტალად ზრდიდა და თავი ათასგვარი სისულელით გამოუტენა. სანამ ბავშვი იყო, მანამ უნდა მეზრუნა. მაგრამ მაშინ დრო არ მქონდა. არა და ახლა ასეთი აზრების პატრონისათვის საშინელება იქნება „ქმნილებასთან“ დაწოლა. როგორ გაუშტერდა თვალი! მისი გრძნობები ქარაფშუტა ქალის გრძნობებია, მაგრამ მაინც ანგარიში უნდა გაუწიო“.

ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— ვიცი, შენი აზრით ჩემი საქციელი უღირსია და რომაელს არ შეეფერის. რას იზამ, სირიაში ისე ვერ იცხოვრებ, როგორც რომში. შენ, ალბათ, მიპასუხებ: თუ ასეა, ნუ ვიცხოვრებთ სირიაშიო. მაგრამ სხვა გზა არა მაქვს და კიდეც რომ მქონდეს, კიდეც რომ გამიღოს კარები რომმა, მაინც ასე მოვიქცეოდი. მე შენ გეუბნები, ჩემო მარცია, ურიგო არ იქნება ცოტაოდენი „ღირსება“ დათმო და სამაგიეროდ აღმოსავლეთის წყალობა მიიღო. უაღმოსავლეთოდ მე ვერ

გავძლებ. დასავლეთში მწყინდება. არ დაგიმალავ, აქ დიდი ძალა და გავლენა მოვიპოვე, ისეთი, როგორსაც ამიერიდან ვეღარსად მოვიპოვებ, და ამაზე უარს ვერ ვიტყვი.

ტანწერწეტა მარცია გაუნძრევლად იჯდა. „როგორ მიხვევს თვალს! — ფიქრობდა ის და გული სიძულვილით ევსებოდა, — არ დამიმალავს! ვიღაც ნაძირალას უნდა მიმყიდოს და მაღალფარდოვანი ფრაზებით ფარავს უწმინდურ ზრახვებს.

— მაშ, მექოთნე ტერენციუსს უნდა გავყვე ცოლად? — დამცინავი და თან ცივი, საქმიანი კილოთი ჰკითხა მან.

მარციას მტრულმა სიმშვიდემ გააშმაგა ვარონი. ვერავითარი ცრემლები, მუდარა თუ სასოწარკვეთილება ასე ვერ იმოქმედებდა. „კეთილი — გაიფიქრა მან — „ქმნილება“ მდაბიოთა წრიდანაა გამოსული. მაგრამ დედამისი თუ სენატორის ქალი იყო, ვითომ რა ბედს ვეწიე ამით? — მადლობელი იყოს, რომ თავის წყეულ ქალწულობას დაკარგავს. მთავარია პირველად დაწვეს კაცთან და დაინახოს, რომ ამ კაცს ასე თუ ისე შეუძლია თავი გაართვას. მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მერე აღარ გამოეკიდება იმის გამოძიებას, მდაბიოა თუ წარჩინებული“.

ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— ჩვენ, ნერონმა და მე, ბევრი რამ შევწირეთ აღმოსავლეთს რომაული: ჯარისკაცები, ფული, დრო, ნერვები, სიცოცხლე. ყოველივე ამაზე ხელს ვერ ავიღებ მხოლოდ იმის გამო, რომ იმპერიის უტვინო მბრძანებლები სტრატეგიულ საზღვრებს იქით ვერაფერს ხედავენ და არ იციან რამხელა სამეურნეო და კულტურული შესაძლებლობანი არსებობს ევფრატს გამოღმა. ფანტაზია არ გააჩნიათ და ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება რომისა და აღმოსავლეთის ერთმანეთში შერწყმა. ისე კი საკმარისია კაცმა თვალი გაახილო და ახლაც დაინახავ, რა დიდებული ხალხი იბადება და რა დიდებული ქალაქები იქმნება ამ შერწყმით. მე, ყოველ შემთხვევაში, ვერ გადავუდგები ჩემ აღმოსავლეთს. მე აქ დიდი დრო და დიდი ფული დამიბანდებია და უფლება მაქვს სხვასაც მოვთხოვო მსხვერპლი, თუკი საქმეს მოუხდება.

მთელი ამ წლების განმავლობაში მარცია სულ იმის იმედზე იყო, რომ მამა კვლავ სენატორი გახდებოდა და რომში დაბრუნდებოდნენ, სადაც ხელგაშლილი და ტკბილი ცხოვრება ექნებოდათ. მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ, როდესაც ვარონი თითქმის გამოიქცა ანტიოქიიდან, ეს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდა. მან ძალაუნებურად ხელი აიღო ოცნებაზე და ამ ოცნებას უბადრუკი მიზანი შეუნაცვლა: პოლკოვნიკი ფრონტონი მისთვის ჩვეული თავდაჭერილობით აგრძნობინებდა, რომ პატივს სცემდა. მართალია, ისეთი წოდება და თანამდებობა არ ჰქონდა, როგორიც სენატორის ასულს ეკადრებოდა, მაგრამ სასიამოვნო იყო მისი დახვეწილი მანერები, ფართო და ჭკვიანი შუბლი და მოკლედ შეკრეჭილი ლეგა თმა. გარდა ამისა, რომაელი იყო, რომაული აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული და ამ ნახევრად ველურ აღმოსავლეთში მკვეთრად გამოირჩეოდა. მარციას გადაწყვეტილი ჰქონდა, — შევაგულიანებ, რომ ხელი მთხოვოს და ცოლად გავყვებიო. შეუფერებელი იყო მისთვის ასეთი ქორწინება, მაგრამ წესიერი ცხოვრება მაინც ექნებოდა. არც ეს ეღირსა, უკანასკნელი იმედიც წაართვა საკუთარმა მამამ, სამაგიეროდ გაუგონარი და ბილწი რამ შემოსთავაზა. მთელი მისი კდემამოსილება, სიამაყე და უმანკოება ამ ნაძირალას უნდა მიუგდოს, ამ მონას, რომლის მამა ფეხსადგილებს წმენდდა რომში. მარცია დუმდა. თეთრ პირსახეზე მძულვარება აღბეჭდოდა.

— ასეა თუ ისეა, — მხრები აიჩეჩა ვარონმა, — ჩემთვის ეს კაცი ნამდვილი ნერონია. ასეც უნდა იყოს. ათასი მიზეზი არსებობს, რომელთა გამო უკან დახევა აღარ შემიძლია. მაგრამ ის მხოლოდ მაშინაა ნერონი, თუ მე მჯერა მისი ნერონობა. ხოლო მე რომ მჯერა, ეს უნდა დავამტკიცო.

— ჩემი მეშვეობით უნდა დაამტკიცო? — მკვახედ და დაცინვით დაუმატა მარციამ, — მე უნდა შევეწირო შენს პოლიტიკას?!

ვარონი ფიქრობდა: „ზოგი მართლა ეწირება მაგ ამბავს. პირველად რომ დავწექი იმასთან... რა ერქვა? — თოთხმეტი წლის გოგო იყო, თრაკიელი — პირველად რომ დავწექი,

ისე აებნა გონება საწყალს, რომ მთელი სიცოცხლე აღარ გამოფხიზლებულა. კაცმა რომ თქვას, ნაზად კი ვეპყრობოდი. ოთხი ათასი სესტერცია გადავუხადე, ის კი პირველი ღამის შემდეგ მხოლოდ ჭურჭლის მრეცხავად თუ გამოდგებოდა. ნუთუ ცინიკოსი ვარ? მე მიყვარს ჩემი მარცია. მართალია, ძალიან ფიცხია, მაგრამ რა ვუყოთ, უნდა მოვუთმინო. მოდი, სიმართლეს ვეტყვი; მე მგონია ყველაფერს ასე ჯობია. ალბათ, გამიგებს. ყველაზე უბრალო და ყველაზე ნაღდი საშუალებაა; ვეტყვი სიმართლეს.

მან უთხრა:

— ხალხს არ უყვარს სათავეში რომ ჭკვიანი კაცი ზის. ვერ იტანენ ამას. უჭკუოს უფრო ეგუებიან. ნერონი იმიტომ დაღუპეს, რომ ჭკვიანი კაცი იყო. მეც ამიტომ მომიშორეს თავიდან. ახლა, როდესაც მეორედ მოვიპოვე ძალაუფლება, მათ უნდათ მეორედ წამართვან იგი. მაგრამ ამჯერად არაფერი გამოუვათ. — ამჯერად აღარ დავთმობ. ყველაფერს სასწორზე დავდებ — ჩემ თავსაც, შენ თავსაც, ყველაფერს.

ვარონის ვარაუდი გამართლდა. ავად გატრუნული მარცია გამოერკვა. მამის ხმაში გულწრფელობა მოესმა. იგი აღტაცებული იყო მამით, მაგრამ დროდადრო სიძულვილსაც გრძნობდა. ახლა კვლავ დაიმორჩილა მამის მიმზიდველობამ.

ვარონი ფეხმორთხმით იჯდა, თითქოს უნდოდა ამ დაუდევარი აღმოსავლური პოზით თავისი სიტყვებისათვის პათოსი გამოეცვალა.

— რომი ძლევამოსილებაა, — დაიწყო მან, — რომი ძალაა. მაგრამ რა არის ძალა? ტიტუსს, ამ ბეჯით მოხელეს, რომელიც თავის თავს იმპერატორს ეძახის, ჰგონია ძალა მაქვსო, რაკი მის განკარგულებაში უზარმაზარი სამხედრო და ადმინისტრაციული ორგანიზაციაა. არა მშურს მისი. რა ბადია? — ფელდფებელის კვერთხი, — ერთი კონა წკეპლა და ნაჯახი. ეს არის ძალა?

იგი მარციას აღარ მიმართავდა, თავის თავს ებაასებოდა. ცხადად ჩანდა, როგორ იბადებოდა მის თავში აზრები და

როგორ იქცეოდა სიტყვებად. ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ გატაცებით. მკაფიო, მოქნილი და ლოგიკური ლათინური წინადადებები ბერძნული ლექსებივით მოედინებოდნენ მის ბაგეთაგან.

— ძალა, — მეოცნებე ხმით ამბობდა იგი, — უფრო იკლიკატური რამაა. ძალა იდეაა, რომელიც თავიდან ამოდის, ტლანქ სინამდვილეს გადალახავს და საქმედ იქცევა. ადამიანთა დიდ უმრავლესობას აკმაყოფილებს ის, რაც არის. საკუთარ თავს ეუბნებიან: რაკი ასეა, ასეც უნდა იყოსო. ეს არის უდიდესი სიზარმაცე, უდიდესი ბიწიერება. მე კი მიღწეულით ვერ ვკმაყოფილდები. რატომ უნდა იყოს ისე, როგორც არის? ნერონი მოკვდა? სასულელია ეს ფაქტი, უგუნურებაა, ხელს არ მაძლევს მე ეს ფაქტი, ჩემ მსოფლმხედველობას ვერ ეგუება. არა ვცნობ მე ამ ფაქტს. მე ამ სულელური სინამდვილის წინააღმდეგი ვარ, ომს ვუცხადებ მას. მე მკვდრეთით აღვადგენ ნერონს. აღმოსავლეთი ასეთია, — გაიძახიან ისინი, — რომი კი სხვანაირი, ერთმანეთს ვერ ეწყობიან და ამიტომ კაცმა ან ერთზე უნდა აიღოს ხელი, ან მეორეზე. მე არცერთზე არ ავიღებ ხელს. გულშიაც კი არ გავივლებ. არ უნდა დაემორჩილო ასეთ ჩლუნგ ლოგიკას. არ უნდა დაემორჩილო ამ სულელურსა და უღიმღამო სინამდვილეს, არ უნდა დაკმაყოფილდე ამით. უნდა შეეჭიდო სინამდვილეს, უნდა შეეჭიდო ბედისწერას; მაშინ იქნები რომაელი. ის, რაც უნდა იყოს, აღდგეს იმის წინააღმდეგ, რაც არის, და დაამარცხოს იგი. აი, ეს არის ძალის ერთადერთი ფორმა, რომელიც ღირს წვალებად.

მარციამ მამას შეხედა და ღაწვები შეეფაკლა. მას უკვე დაავიწყდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ასე ეგონა, თითქოს მამამისი მაღალფარდოვან სიტყვებს განზრახ, მდაბალი ზრახვების დასაფარავად ამბობდა.

ვარონი გაჩუმდა, თავი ასწია, ფიქრებიდან გამოერკვა. შეხედა შვილს. მიუახლოვდა, მსუბუქად, ძალიან მსუბუქად დაადო მხარზე ხელი.

— დამიჯერე, ჩემო მარცია, — უთხრა მან, — ვიცი, რა-

ოდენ ძნელია შენისთანა ქალისათვის „ქმნილებასთან“ დაწოლა.

მან თქვა „ქმნილება“, ეს ორაზროვანი, აგდებული სიტყვა იხმარა, ის აღარ აუხსნია, თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვაში, — ღვთის მიერ შექმნილს თუ თავის საკუთარ ქმნილებას. და მარციას სიამაყე შეჰმატა ამ ორაზროვნებამ.

— მაგრამ მე ისიც ვიცი, — განაგრძო ვარონმა, — რომ გაიგებ, რატომ გირჩევ ამას.

მარცია მამას შესცქეროდა. მასაც მამასავით თაფლისფერი, ვიწრო თვალები ჰქონდა, მამის ცივი და ამავე დროს ვნებიანი მზერა გამოჰყოლოდა. ქალიშვილი საკმაოდ ჭკვიანი იყო და წინასწარ ხედავდა, რომ ეს სახიფათო თამაში, ეს ცრუ ნერონობანა, დიდხანს არ გაგრძელდებოდა და, ალბათ, შემზარავად დასრულდებოდა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, მასაც გადაედო მამის აღტყინება, აჰყვა თამამ ფანტაზიას და თავი პალატინზე წარმოიდგინა; ის კაცი, ვისთანაც უნდა დაწოლილიყო, უკვე იმპერატორი იყო და არა მონა; ბოლოს ისე გაიტაცა კადნიერმა ოცნებამ, რომ სინამდვილეს ძლივს დაუბრუნდა.

— რომი იმიტომ გაიზარდა ასე, — უთხრა მან მამას, — რომ ნათლად შეიცნო სინამდვილე.

ვარონი არ დაეთანხმა.

— ეგ მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. — ფიცხად შეესიტყვა იგი, — რომმა შეიცნო სინამდვილე, მაგრამ არა ცნო იგი; რომში ათი ათასი კაცი ცხოვრობდა, მსოფლიო კი ორმოცდაათ მილიონს აღწევდა. ასეთი იყო სინამდვილე. მაგრამ რომმა არ ცნო ეს სინამდვილე. მან მოიწადინა, რომ მსოფლიო რომაული გამხდარიყო და მსოფლიო გახადა რომაული.

მარცია წამოდგა.

— შეიძლება წავიდე, მამა? — შეეკითხა ვარონს.

ვარონი სულ ახლო მივიდა. ფართო ხელები თავზე შემოაჭდო, ნაზად გადაუწია თავი, თვითონაც უკან გადაიზნიქა, რომ კარგად დაენახა.

— თუ მოინდომებ, პალატინზე ახვალ, მარცია. — დაპირდა შვილს.

მარციამ შეხედა. ქალის თვალებში ჩანდა, რომ ყველაფერი ესმოდა, მაგრამ არ სჯეროდა. მთელი მისი შინაგანი არსება აღდგა ამ თამაშის წინააღმდეგ, რომელიც მამამისმა თავს მოახვია, მაგრამ. ეს თამაში ახლა მარტოოდენ სისაძაგლედ როდი ესახებოდა, — მის მიმზიდველ მხარეებსაც ხედავდა. ესეც არ იყოს, აღმოსავლეთის ამ პროვინციული ქალაქის უფერულ ცხოვრებას ყველაფერი ჯობდა.

ვარონმა კარგად იცოდა, რა ხდებოდა ქალიშვილის გულში. მისი თავი ჯერ ისევ ხელებში ჰქონდა ჩაბღუჯული. ასე იდგნენ ცოტა ხანს, შესცქეროდნენ ერთმანეთს, ჩინებულად ესმოდათ ერთმანეთის; და მარციამ თითქმის ტკივილი იგრძნო, ისე ნათლად შეზავდა მის გულში ყოველივე, რასაც მამასთან დამოკიდებულებაში ამჟღავნებდა: ერთმანეთში აირია სიყვარული, სიძულვილი, მოწიწება, ზიზღი და აღტაცება.

ამ საუბრის შემდეგ ვარონი ისე იყო დაქანცული, თითქოს უზარმაზარი ფიზიკური სამუშაო შეესრულებინოს. მან იცოდა, რომ სწორ გზას ადგა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ კიდევ დიდი ბრძოლა დასჭირდებოდა, სანამ მარციას წინააღმდეგობას საბოლოოდ გასტეხდა.

იმ კვირას სამჯერ ელაპარაკა შვილს.

ბოლოს ქურუმთუპირველესს შარბილს აცნობა, უტყუარი საბუთებით დავრწმუნდი, ქალღმერთ ტარატეს სტუმარი მართლა იმპერატორი ნერონი ყოფილა, რომელიც აქამდე მკვდარი ეგონათო. მერე მეფე მალუქი და ქურუმთუპირველესი დაპატიჟა, — მომავალ ახალმთვარობას ქალიშვილის ქორწილი მაქვს და მეწვიეთო.

2

რომაული ერთგულება

პირველი შედეგი, რაც ამ ცნობას მოჰყვა, იყო ის, რომ ქურუმთუპირველესი შარბილი პოლკოვნიკ ფრონტონს ესტუმრა და საიდუმლოდ გაუმხილა, — სანდო ხალხი ამოწმებს,

რომ ტარატეს ტაძარში თავშეფარებული კაცი მართლა იმპერატორი ნერონი ყოფილა, რომელიც აქამდე მკვდარი გვეგონაო. ფრონტონმა ორჭოფული პასუხი გასცა, — აღიარებენ თუ არ აღიარებენ რომელიმე იმპერატორს, ეს მეფეების, ქურუმთუპირველესების, გუბერნატორებისა და სენატორების საქმეა, ფრონტონისთანა უმნიშვნელო და უღირს ოფიცერს ეს არ ეკითხება. შარბილმა დაარწმუნა, რომ არ ჩააცივდებოდა გარნიზონის კომენდანტს და თავს არ მოაბეზრებდა ათასგვარი რჩევით. ასეთი რამ არ ედო გულში. მხოლოდ მეგობრობისა და ლოიალობის გამო უნდა, რომ ფრონტონმა ერთ ფაქტს მიაქციოს ყურადღება: მეფე მალუქმა თავის დროზე ერთგულება შეჰფიცა იმპერატორ ნერონს და ახლა სინდისი ნებას არ აძლევს, ეს ერთგულება იმ კაცის მიმართაც არ შეინარჩუნოს, რომელსაც ზემოხსენებული მოწმეები იმპერატორ ნერონად თვლიან.

პოლკოვნიკმა ფრონტონმა ჭკვიანი თვალები მიაპყრო შარბილს.

— მეფე მალუქს, — დინჯად და მტკიცედ მიუგო მან, — რომის ახლანდელ იმპერატორთან, ტიტუსთანაც აკავშირებს ფიცი და ხელშეკრულება.

შარბილი დაფიქრდა და უთხრა:

— მე მესმის, რომ კაცი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სრული უფლებით ატარებს იმპერატორის გვირგვინს, ბევრის აზრით შარავანდედმოსილია და ღვთაებრივი ბრწყინვალება ახლავს. მაგრამ განა პირველად მიცემული ფიცი, გვიან, შეცდომით დადებულ ფიცზე უფრო წმინდა არ არის? ასეა თუ ისე, — დაუმატა დაფიქრებულმა, — ერთობ ვიწროა ის ბილიკი, რომელსაც ჩემი მეფე მალუქი და ჩემი მეგობარი ფრონტონი მიჰყვებიან.

ფრონტონს არაფერი უთქვამს. იგი იცნობდა აღმოსავლურ მეთოდებს და, მართალია, ღრმააზროვანი და ქანცგამწყვეტი დუმილის ხელოვნებაში ისე გაწაფული არ იყო, როგორც მეფე მალუქი, მაგრამ ბებერ შარბილს რომ ჯობდა, ეს შემჩნეული ჰქონდა და დიდადაც სიამოვნებდა. მართლაც ცნობისმო-

ყვარე და სულწასულმა მოხუცმა სულ რაღაც ათ წუთში წააგო ბრძოლა.

— რაკი ჩემ დასავლეთელ მეგობარს, — თქვა მან, — ასე კარგად შეუძლია დუმილი, მე ვილაპარაკებ. და ეი, რას ვიტყვი: მეფე მალუქი მეგობრობს ტიტუსს, რომელიც ბევრის თვალში შარავანდედმოსილია, და თავს არ დაესხმის, თუ ტიტუსი თვითონ არ დაესხა თავს. ხოლო თუ ვინმე იმპერატორ ნერონის წინააღმდეგ ხელს აღმართავს, მეფე მალუქი იძულებული იქნება ბრძოლაში ჩაებას, რადგან იმპერატორ ნერონის მტერი მისი მტერიცაა.

ფრონტონს გუნებაში გაეცინა. იმ „ოდნავი ძალდატანების“ ხელი, რომელზედაც ვარონი ელაპარაკებოდა, უკვე იგრძნო. ერთობ მოქნილი ხელი ყოფილა; ფრონტონი ელოდა როდის ეცემოდა იგი ყელში; წინააღმდეგი არ იყო თუ ეცემოდა. შარბილს ჩვეული ფერად-ფერადი ფრაზებით უპასუხა, იმედი გამოთქვა, რომ მეფე მალუქის სიბრძნე ორივე მათგანს გაუადვილებდა ვიწრო ბილიკის უხიფათოდ გავლას.

მეორე დღეს მეფე მალუქმა ზეიმით გამოიყვანა იმპერატორი ნერონი ტარატეს ტაძრიდან და სასახლეში მიიწვია. მერე სამი შიკრიკი აფრინა; ერთი რომში, სენატთან, მეორე ანტიოქიაში, გუბერნატორთან, და მესამე სელევკიაში, პართიის მეფე არტაბანთან. სამგანვე ერთი და იგივე ამბავი შეუთვალა: დიდი იმპერატორი ნერონი ღმერთებს არ გაუწირავთ და ბედნიერი შემთხვევის წყალობით ცოცხალი გადარჩენილა. ამჟამად ედესაში იმყოფება, — ჩემი სტუმარია, მოკლე ხანში კი რომისაკენ გაემართება, რათა ძალაუფლება ხელახლა აიღოსო.

იმ დღეს, როდესაც ნერონად მიჩნეული კაცი მეფის სასახლეში გადავიდა, პოლკოვნიკ ფრონტონს არც ერთი ოფიცერი, არც ერთი ქვეშევრდომი ქალაქში არ გაუშვია. მკაცრი მითითება მისცა, ერიდეთ მოსახლეობასთან რაიმე ურთიერთობას და ტერენციუსს არავითარ შემთხვევაში ახლო არ გაეკაროთო. იმ დღეს და ორ მომდევნო დღესაც გარნიზონის ჯარს განუწყვეტლივ წვრთნიდნენ და ოფიცრები საშსახურს არ ტოვებდნენ.

პოლკოვნიკი ფრონტონი მაინცადამაინც არ უყვარდათ, მაგრამ დიდ პატივს კი სცემდნენ. იგი რომაელი არისტოკრატი იყო. მისი ჯარი, მეთოთხმეტე ლეგიონის ხუთი ასეული, უმთავრესად ხეპრე დალმატინელებისაგან შედგებოდა. ფრონტონი იყო „ბატონი“, სხვები კი „ხალხი“. სამსახური უჭირდათ, მაგრამ უძლებდნენ: ვინც ოცდაათ წელს იმსახურებდა, ცოტაოდენ მიწას და ცოტაოდენ ფულს აძლევდნენ; მართალია დიდი ჯაფით მოპოვებულ მიწასა და დიდი ჯაფით მოპოვებულ ფულს, მაგრამ სამაგიეროდ კარგ მიწასა და კარგ ფულს. რომს ისეთი თოკით ჰყავდა დაბმული ჯარი, რომლის ერთ ბოლოზე დისციპლინა ეწერა, მეორე ბოლოზე კი პენსიის უფლება. ჯარისკაცებმა იცოდნენ, რომ უდისციპლინოდ ვერც მიწას იშოვნიდნენ და ვერც ფულს.

ამგვარად ფრონტონის ხალხი მიჩვეული იყო მკაცრ დისციპლინას. მაგრამ ახალი ნერონის გამო, ცხადია, დიდი ბჭობა შეექმნათ. ტრადიცია მოითხოვდა, რომ ჯარისკაცები იმის ერთგული ყოფილიყვნენ, ვისგანაც უფრო მოელოდნენ სიბერეში უზრუნველყოფას. ასე ესმოდა რომაული ერთგულება მთელ ჯარს, ასე ესმოდა ფრონტონის რაზმსაც, როდესაც სენატს და რომაელ ხალხს ფიცი მისცეს. მეორე მხრივ, მთავრობის გამოცვლაზე დიდი იმედების დამყარება შეიძლებოდა. ყოველი ახალი იმპერატორი, ჩვეულებრივ, ერთდროულად დიდძალ ფულს უხდიდა ჯარს, — მის ერთგულებას ყიდულობდა. ფლავიუსები სიბერეში უზრუნველყოფის წესს კი იცავდნენ, მაგრამ, როდესაც ტახტზე ავიდნენ და ჯარის ერთგულება უნდა ეყიდათ, გვარიანი სიძუნწე გამოიჩინეს. ნერონი კი გულუხვ იმპერატორად ითვლებოდა. თუ მეფე მალუქის სტუმარი ხელგაშლილობით დაამტკიცებდა თავის ნერონობას და პენსიის თაობაზეც საიმედო გარანტიას მისცემდა ჯარს, ეს უკანასკნელი მეტს აღარაფერს დაგიდევდა, მზად იყო მრავალი რამისათვის თვალი აერიდებინა.

ჯარი ელოდა, ელოდა და იცავდა დისციპლინას.

რასაკვირველია, რამდენიმე ფანატიკოსიც ერია მათ შორის. მაგალითად, ფრონტონთან გამოცხადდა ერთი ყმაწვილი ოფიცერი, ვინმე ტესტიმუსი, მხედრულად გამოეჭიმა და,

თუმცა მორიდებულად, მაგრამ დაჟინებით სთხოვა, — ოღონდ ნება მომეცით და ამ ალიაქოთს, რომელიც ცრუპენტელა ტერენციუსის ირგვლივ შეიქნა, ბოლოს მოვუღებო. ეს ტესტიმუსი ჩინებულად დახელოვნებულიყო მოკლე, სირიული ხანჯლის ხმარებაში და გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ გამოცხადებული ამბავი მართალი გამოდგებოდა და მეექთნე ტერენციუსი ორი დღის შემდეგ აპოლონის ტაძარში წავიდოდა, ზედ ტაძრის ზღურბლზე მოეკლა იგი.

ლეიტენანტი ტესტიმუსი სულ რამდენიმე კვირის წინ მოვიდა გარნიზონში და ნაცნობები ჯერ არ გაეჩინა. ჩვეულებრივ, დიდი ხანი გადიოდა ხოლმე, სანამ ახალმოსული ვინმეს დაუახლოვდებოდა: ჯერ-კარგად მოუსინჯავდნენ კბილს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდნენ თავიანთ წრეში პოლკის ამხანაგებიცა და ედესის მაღალი საზოგადოებაც.

ფრონტონს თავიდანვე არ მოეწონა ეს ყმაწვილი. როგორც ჩანს, არ უმტყუნა ალღომ. ტესტიმუსი იმ პრიმიტიულ, საქმიან პატრიოტთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხიფათს უქმნიან იმპერიისა და საზოგადოების კეთილდღეობას. ასეთ პრიმიტიულ პატრიოტებს ჰგონიათ, რომ თუ ტერენციუსს თავს დაესხმიან, ამით ხელად მოგვარდება ყველაფერი. მაგრამ ტერენციუსთან ერთად ხომ მთელი ეს ამბოხება დაიღუპება, ვარონის მთელი გეგმა და აღმოსავლური პოლიტიკისაკენ შემობრუნების ყოველგვარი ცდა. ესეც შენი რადიკალური გადაწყვეტილება! მერედა განა იმით დამთავრდება საქმე, რომ აღმოსავლური პოლიტიკა დასაწყისშივე ჩაიფუშება, — მთელ იმპერიას ძვირად დაუჯდება ასეთი რადიკალური ზომა. ერთობ საეჭვოა, რომ ედესის მოსახლეობამ დამშვიდებით უცქიროს თავისი ნერონის სიკვდილს. იმპერატორის მოკვლისათვის, ალბათ, შურს იძიებენ და მთელ გარნიზონს გაჟლეტენ. შედეგი კი, ცხადზე უცხადესია: დამსჯელი ექსპედიცია ედესის წინააღმდეგ, ვინ იცის, იქნებ პართიასთან ახალი ომიც; ამოდენა ხიფათი კვალდაკვალ მოჰყვება ტერენციუსზე თავდასხმას.

ბუნებრივია, ყველაზე ადვილი საშუალება იყო, ფრონტონს, როგორც უფროსს, უარი ეთქვა პატრიოტ ტესტიმუსი-

სათვის, აეკრძალა ტერენციუსზე თავდასხმა. მაგრამ, ვაითუ, ცეიონმა ეშვი აიღოს, როდესაც ეს ამბავი მის ყურამდე მიაღწევს? არა, უმჯობესია, გონივრული გზა გამონახოს და ისე აიცილოს ხიფათი.

მან ჰკითხა პატრიოტ ტესტიმუსს, — იცით თუ არა, რომ ამისათვის სიკვდილი გელითო. ტესტიმუსს სცოდნია, რომ სიკვდილი ელოდა. მაშინ ფრონტონმა ჰკითხა, იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ უჩუმრად მოგკლავენ, ვერც თქვენ მოიხვეჭთ სახელს და ვერც შთამომავლობას შემატებთ რამეს: რომის არმია ჩირქს ვერ მოიცხებს ასეთი ქურდული მკვლელობის გამო, ამას შეიძლება სახიფათო შედეგი მოჰყვესო. დიახ, თავგადადებულ პატრიოტს თურმე ამაზეც უფიქრია. მან უპასუხა, თუ კაცი სამშობლოსათვის კვდება, უსახელო სიკვდილიც ტკბილი და საამაყოაო.

ფრონტონს ერთადერთი გზა დარჩა იმისათვის, რომ იმპერია ხიფათისაგან ეხსნა და ახალი ომი აერიდებინა. არ უნდოდა ამ მზაკვრული და ულმობელი საშუალებისთვის მიემართა და ამდენი შეკითხვებიც იმიტომ მისცა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ იყო. მან ცივად განუცხადა პატრიოტ ტესტიმუსს, რომ თვითონ ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიდა; მეორე მხრივ, ლეიტენანტს სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, ოღონდ, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ თავის განზრახვას არავის გაუმჟღავნებდა და იმაზეც იზრუნებდა, რომ მისი გვამი ვერ ეცნოთ. ტესტიმუსმა მიუგო ისე, როგორც ხელქვეითს შეეფერება:

— მესმის.

მერე მადლობა გადაუხადა პოლკოვნიკს, ასეთი დიდებული, ასეთი საპატიო სიკვდილის უფლება რომ მისცა, და გავიდა.

მეორე დღეს ვარონმა უსახელო ბარათი მიიღო, რომლითაც ატყობინებდნენ, ზეგ აპოლონის ტაძრის ზღურბლზე იმპერატორ ნერონს თავს დაესხმიანო.

პატრიოტი ტესტიმუსი ფრიად გაწაფული იყო მოკლე, ხირიული ხანჯლის ხმარებაში, მაგრამ ამან ვერაფერი უშველა. მოქნევა ვერც კი მოასწრო, უკნიდან დაესხნენ თავს, წამოაქ-

ციეს და გაცოფებულმა ბრბომ ფეხქვეშ გასრისა. ამას ბედის წყალობაც ზედ დაერთო: იმპერატორმა ნერონმა სრულიად მოულოდნელად მკლავი გაიკაწრა. ხალხი აღფრთოვანებული ყიჟინით ესალმებოდა მას. ამ ამბის შემდეგ ედესელებს ეჭვის ნატამალიც კი აღარ დარჩენიათ, რომ ეს კაცი მართლა იმპერატორი ნერონი იყო. აბა, ისე რა ინტერესი ექნებოდათ, რატომ განიზრახავდნენ მის მოკვლას?

რომის გარნიზონში, ცხადია, ყოველმა ჯარისკაცმა იცოდა, რომ უცნობი, რომელმაც იმპერატორ ნერონზე აღმართა ხელი, ტესტიმუსი იყო, ეს ბრიყვი პატრიოტი; ხოლო ბევრი მათგანი დარწმუნებით ამბობდა, — ედესის ხელისუფლებასაც გაგებული ექნება დამნაშავის ვინაობაო. ისინი ელოდნენ, რომ მეფე მალუქი ჯარს გაგზავნიდა მათ წინააღმდეგ, ან არა და კიდევ უარესი — გამძვინვარებულ მოსახლეობას შეუსევდა. ყაზარმაში შიშმა და სასოწარკვეთილებამ დაისადგურა. იღრინებოდნენ გაცოფებული ოფიცრები და ჯარისკაცები. დარწმუნებული იყვნენ, რომ სანამ ანტიოქიიდან მაშველი ძალები მოუვიდოდათ, სამარცხვინო სიკვდილით მოისრებოდნენ და აღთქმულ პენსიას ვეღარასოდეს ეღირსებოდნენ.

მაგრამ არც მეფე მალუქის ჯარი ჩანდა სადმე და არც გახელებული ბრბო. ამის ნაცვლად მოვიდა შიკრიკი, რომელიც იმპერატორის კარისკაცის თეთრ წამოსასხამში იყო გამოწყობილი. შიკრიკმა წერილი და ძალიან ბევრი ფული მოიტანა. წერილში ეწერა, რომ იმპერატორი ნერონი, რომელიც ხელახლა აპირებს ძალაუფლების ხელში აღებას, ამ ფულით აჯილდოვებს ედესაში მყოფ თავის ჯარს. მისი უდიდებულესობა ერთი ჭკუაზე შემცდარი კაცის ნამოქმედარს, ცხადია, მთელ გარნიზონს არ დააბრალებს. გაიხარეს ჯარისკაცებმა, თავისუფლად ამოისუნთქეს. ფრონტონმა ვარონის, თავისი მეგობრის, გონივრული ტაქტიკა იცნო. მაგრამ იგი მკაცრად იცავდა ზომიერებას: ჯარს გამოუცხადა, ფულს ვერ დავარიგებ, სანამ ანტიოქიიდან მითითებას არ მივიღებო.

ჯარმა ამხელა შიში გამოიარა და ამიტომ ახალი იმპერატორის გულუხვობამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. რომელი იყო ჭეშმარიტი იმპერატორი, რომლის

ერთგულება მართებდა ჯარს: — მკაცრი და ერთობ ანგარიშიანი ტიტუსის თუ ამ ლმობიერი ბატონის, რომელსაც ამდენი ფული ჰქონდა? კითხვის დასმა პასუხის გაცემასაც ნიშნავს.

მეორე დღეს ყაზარმას ერთი ოფიცერი მოადგა. მცველებმა ცოტა ხანს იყოყმანეს და შემოუშვეს. ოფიცერმა სიტყვით მიმართა ჯარს, ფულიც დაარიგა. ამ დროს მოვიდა ფრონტონი, რომელიც გარეგნულად ძალიან გაჯავრებული ჩანდა, და ბრძანა უცხო კაცის შემოშვებისათვის მცველები დაეპატიმრებინათ. ჯარისკაცები აყოვნებდნენ. მაშინ თვითონვე შეასრულა თავისი ბრძანება. უცხო ოფიცერმა იმპერატორის სახელით მოსთხოვა ჯარისკაცებს, — გამომყევითო; გასცა ბრძანება:

— სწორდი, სმენა, ნაბიჯით იარ!

ჯარისკაცთა უმრავლესობა დაეწყო და გაჰყვა. ფრონტონი ჭიშკარში ჩადგა, ხმალი იშიშვლა და მიმავალთ გზა გადაუღობა. ჯარისკაცებმა ფრთხილად გასწიეს იგი გვერდზე და წავიდნენ. ვინც ახლო ჩაუარა, ისინი ამბობდნენ, თითქოს ფრონტონი, ჯარი რომ ყაზარმიდან გადიოდა, მამაშვილურად, გამაფრთხილებელი კილოთი ამბობდა:

— შვილებო, შვილებო, რას ჩადიხართ!

პოლკოვნიკმა ფრონტონმა პატაკი გააგზავნა ანტიოქიაში ამ ამბის თაობაზე, ისე, როგორც ყოველგვარი ამბის თაობაზე აგზავნიდა ხოლმე. იგი დიდხანს, სიყვარულით მუშაობდა და ბოლოს მოქნილი, მოკლე, ნათელი, ოდნავ ირონიული და, კორექტულობის თვალსაზრისით, უნაკლო ბარათი შეადგინა. დამაჯერებლად დაასაბუთა რატომ მოიქცა ასე და არა სხვანაირად. დაწვრილებით განიხილა პრობლემა: რა უნდა ექნა, როდესაც ჯარი აჯანყდა, — ხმალზე წამოგებულიყო თუ ხამშობლოსათვის შეენახა თავისი სიცოცხლე. პათეტიკის გარეშე აღწერა, რომ ერთი პირობა გადაწყვიტა შებმოდა მტერს და გმირულად დაღუპულიყო, მაგრამ გაუძლო ამ ცთუნებას, რადგან ფლავიუსების „მთავარი მითითება“ მოაგონდა: უმჯობესია არ გააკეთო, ვიდრე გააკეთო და მცდარი გამოდგეს.

3

ფრონტონის ეჭვები და შანსები

ამბები, რომელთა შედეგად გარნიზონის ჯარი ძალდაუტანებლად და უმტკივნეულოდ გადავიდა ახალი ნერონის მხარეზე, ერთობ სწრაფად ვითარდებოდა, და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახდენი უკვე მოხდა, პოლკოვნიკმა ფრონტონმა იპოვა ყოველივე ამის გასაღები: მან შეიტყო მარციასა და მონა ტერენციუსის დანიშვნა. ახლა, ცხადია, მოვლენათა შორის უმცირეს კავშირსაც კი ნათლად ხედავდა. მიხვდა, რომ მალუქმა და შარბილმა მანამ არ მოჰკიდეს ხელი ნერონის საქმეს, სანამ ვარონი ესოდენ მძიმე ჯაჭვით არ დააბეს.

ეჭვი არაა, სენატორს, ალბათ, თავისი დაემართებოდა, ვიდრე ამ დამამცირებელ გზას დაადგებოდა; არც მარციას დაეყრებოდა კარგი დღე, — გაუჭირდებოდა დათანხმება. ფრონტონი ჩაფიქრდა. ვარონი არა მარტო საზოგადოებრივ მდგომარეობას და ქონებას წირავს, არამედ თავის თავსა და საკუთარ ქალსაც კი არ იშურებს ამ საქმისათვის; როგორც ჩანს, დიდი იმედი აქვს. ვითომ, გაუმართლებს ამ იმედს მისი ნერონი? ფრონტონს ის სიტყვები მოაგონდა, ვარონმა რომ სფერისტერიაში უთხრა, მეფაბრიკე ნიტაის ვილაში; მას უღალატა გონიერებამ და გამოცდილებამ, მის გულში გაცოცხლდა დიდი ხნის დამარხული იმედი: იქნებ ახალი ნერონის გამოჩენამ მართლა მისცეს საშუალება, რომ თავისი სამხედრო თეორია პრაქტიკულად განახორციელოს.

პირველად იმაზე დაფიქრდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა მარციას ქორწინებას, რამდენად გამოადგებოდა ეს ფაქტი მის ცხოვრებასა და კარიერას. ამის შემდეგ კი თვითონ მარცია გახდა ფიქრის საგანი.

ფრონტონს უყვარდა მსჯელობა. იგი თავმოყვარე კაცი იყო და თითოეული ნაბიჯი ზუსტად ჰქონდა გამოზომილი. მისი პირველი და უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ უზრუნველი სიბერისათვის მიეღწია და გულდამშვიდებით დაესრულებინა თავისი „საომარი ხელოვნების სახელმძღ-

ვანელო". მეორე დიდი სურვილი იყო, პრაქტიკულად გამოეცადა ამ სახელმძღვანელოში წამოყენებული მოსაზრებები. და მხოლოდ საზოგადოებრივი საქმიანობის შემდეგ, მესამე ადგილზე იდგა მისი გრძნობები და პირადი ცხოვრება.

მას სიამოვნებას გვრიდა ძილი და სმა-ჭამა, იტაცებდა საინტერესო მოგზაურობათა ათასგვარი ამაღელვებელი ამბები, ხელოვნება და ლიტერატურა, მაგრამ პირველი ადგილი მაინც მარციასთან დამოკიდებულებას ეჭირა. ფრონტონს ანებივრებდნენ აღმოსავლელი ქალები, არასოდეს უარს არ ეუბნებოდნენ, მაგრამ მათთან ურთიერთობაში პოლკოვნიკის შინაგანი არსება ნაკლებად მონაწილეობდა. ფრონტონი სიამოვნებით, მაგრამ გატაცების გარეშე იღებდა იმას, რის მოცემაც აღმოსავლელ ქალებს შეეძლოთ. მარცია კი სულ სხვა იყო. ფრონტონს რომ პათეტიკური სიტყვების არ შინებოდა, იფიქრებდა, მიყვარსო. თავის თავს ეტყოდა ხოლმე, ალბათ, იმით მიზიდავს, რომ აღმოსავლელი ქალებისაგან გამოირჩევაო. ირგვლივ, ასეული კილომეტრების მანძილზე მარცია იყო ერთადერთი ჭეშმარიტი რომაელი ქალი და ფრონტონს ეგონა, რომში ან სადმე რომის ახლომახლო რომ შემხვდეს, ალბათ, ასე ვერ მომხიბლავდაო. მაგრამ ასეთი მომიზეზება ნაკლებად შველოდა საქმეს; როცა მარციას გვერდით იყო, მღელვარებას ვერ იოკებდა. ის თავშეკავებული, ფაქიზი, ერთობ ინტიმური ყურადღება, რომელსაც მარციას მიმართ იჩენდა, ისევე იტაცებდა, როგორც სტრატეგიული პრობლემები. ფრონტონი იცნობდა მარციას და გადაწყვიტა არ ეჩქარა. ბუნებით მომთმენი კაცი იყო, აღმოსავლეთში კი ეს თვისება უფრო განუვითარდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომაელი მარცია, რომელსაც მამის ბედმა ამ ჭრელ აღმოსავლეთში ცხოვრება არგუნა წილად, ადრე თუ გვიან რომაელ ფრონტონს უნდა გადაჰყროდა. მაგრამ ფრონტონს ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. ქორწინების ძალიან ეშინოდა. უსიამოვნებას ჰგვრიდა იმის გაფიქრებაც კი, რომ თავისი ცხოვრება ვინმე უცხოსთვის უნდა დაეკავშირებინა. მაგრამ, თუ სხვა გზა არ გამოჩნდებოდა, არც ქორწინების წინაშე დაიხევდა უკან, ოღონდ მარცია მისი გამხდარიყო.

ახლა, როდესაც ვარონს გადაუწყვეტია მარცია ტერენციუსს ჩაუწვინოს ლოგინში, ვითარება შეიცვალა. მაგრამ როგორ შეიცვალა, — ფრონტონის სასარგებლოდ თუ საზიანოდ? ალბათ, მარციას კდემამოსილება და ვესტალურობა ხიბლავდა ფრონტონს, ამიტომაც იტანჯებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ მისი უმანკოება სხვას უნდა შეებღალა. თუმცა ესეცაა: უმანკოება კი იკარგება, მაგრამ სამაგიეროდ ცოლის შერთვის საფრთხემაც ხომ გაიარა? მერედა განა ფრონტონის შანსები უფრო არ გაიზრდება, თუ მარცია ამ ნერონს გაჰყვება ცოლად? ფრონტონი ქედმაღალი კაცი იყო და იცოდა, რომ არც მარციას აკლდა ქედმაღლობა. ფრონტონი „ბატონი“ იყო, ტერენციუსი კი „ხალხზე“ უკან თუ იდგებოდა, თორემ წინ არა. ეს შეუძლებელი ამბავი რომ მართლა მოხდეს და მარციამ ერთი-ორი დღით ან ერთი-ორი ღამით დაიჯეროს ქმრის ნერონობა, სულ ერთია, ფრონტონს თავის იმედი აქვს, დარწმუნებულია, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც აჯობებს ამ მექოთნეს.

ამასობაში პოლკოვნიკის მდგომარეობა სულ უფრო უცნაური ხდებოდა. გადადიოდა და გადადიოდა მისი ხალხი ნერონის მხარეზე. ოცი კაციღა შერჩა თავის უზარმაზარ ყაზარმაში. ასეთი მდგომარეობა ერთსა და იმავე დროს საპატიოც იყო და სასაცილოც: ამბოხებული მესოპოტამიის შუაგულში თავისი ოცი ჯარისკაცით რომის იმპერიას, ფლავიუსების იმპერიას განასახიერებდა. იგი ძველებურ ცხოვრებას განაგრძობდა, სამეფო კარზე გამოჩნდებოდა ხოლმე, სეირნობდა, ჯირითობდა, ქალაქგარეთ სანადიროდ დადიოდა. თავი ედესის ხელისუფალივით ეჭირა; ვითომ გულარხეინად იყო, ვითომ მშვიდობა არ დარღვეულა და რომსა და ედესას უწინდებურად მეგობრობა და კეთილმეზობლობა ჰქონდათ ერთმანეთში. სინამდვილეში კი მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, ფრონტონი საშინელ მარტოობას განიცდიდა და ნატრობდა ვინმესთვის გაეზიარებინა გულის დარდი.

ამიტომ მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მეფაბრიკე ნიტაის სათამაშო მოედანზე მეორედ შეხვდა ვარონს „შემთხვევით“.

— საინტერესო ამბები დატრიალდა, რას იტყვით, ჩემო ფრონტონ? — დაიწყო ვარონმა.

— იქნებ საინტერესოც იყოს, — დაეთანხმა ფრონტონი, — დიდი პატივია, ასეთ დროს კაცი ფლავიუსების ხელისუფლებას განასახიერებდე თქვენს ედესაში, მაგრამ, უნდა გითხრათ, მაინცა და მაინც სახარბიელო მდგომარეობა ვერ არის. ჩემი ოცი კაცი, რომლებიც ერთობ მამაცები და ჭეშმარიტი რომაელები არიან, ვინაიდან ბოლომდე ჩემთან დარჩნენ, მოსვენებას არ მაძლევენ, — ბრძოლით გავიკაფოთ გზა და რომის სამფლობელოში გადავიდეთო.

ჩაფიქრებული ვარონი დაუდევრად ჩამომჯდარიყო მერხზე. ღია ყვითელი სანდლის წვერს სათამაშო მოედნის ხაზს აყოლებდა.

— მე ვალში ვარ თქვენთან, ჩემო ფრონტონ, — უთხრა მან, — თუ რომის სამფლობელოში გადასვლა გსურთ, შეგიძლიათ გადახვიდეთ და თანაც ისე, რომ დიდი სიმამაცე და გმირობა გამოიჩინოთ. გზაზე თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებს შეგიქმნით. სანამ საზღვარს მიაღწევთ, თქვენი ოცი ჯარისკაციდან დაიღუპება სამი, ან ხუთი, ან რვა, როგორც გირჩევნიათ, თქვენ კი მსუბუქად დაიჭრებით. თქვენი გმირული უკანდახევა არაფრით არ იქნება სახელოვან „ათი ათასის უკანდახევაზე“ ნაკლები ზარზეიმით შეხვალთ ანტიოქიაში, როგორც მეორე ქსენოფონტე და შემდეგ დასწერთ საინტერესო და ამაღელვებელ „მოგონებებს“.

— ეჭვი არ მეპარება, — მიუგო ფრონტონმა, — რომ ყოველივე ამას ჩინებულად მოაგვარებთ. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ანტიოქიას მივაღწევ და პენსიასაც გადავარჩენ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რას ვუზიავარ აქ, თუკი ორმოცდათერთმეტი პროცენტი გარანტიის მეტი არაფერი მაინტერესებს?

— როგორ გავიგო თქვენი სიტყვები, აქ დარჩენას ხომ არ აპირებთ? — ჰკითხა ვარონმა და სიხარული ვერ დამალა. და რაკი ფრონტონი ხმას არ იღებდა, ოდნავ ირონიულად, მაგრამ გულთბილად და პატივისცემით დაუმატა, — თუ „საფათერაკო ამბები“ გენატრებათ, არა ერთსა და ორს გადა-

ეყრებით აქ. მაგრამ, თუმცა თქვენი აქ ყოფნა დიდად გამიხარდება, მაინც უნდა გაგაფრთხილოთ: წინასწარ ძნელი სათქმელია რა მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ გადაყირავდება, ბევრ რამეს წყალი წაიღებს. ვაითუ თქვენი პენსიაც წყალმა წაიძღვანოს. თანაც მეშინია, აქ რომ დიდხანს დარჩეთ, საქაჩულა ბოლოს და ბოლოს სუნს იკრავს და მაშინ მორჩა, გაქრა თქვენი ორმოცდათერთმეტი პროცენტი.

ვარონის გულახდილმა და მეგობრულმა ლაპარაკმა ააღელვა ფრონტონი.

— თქვენ ცუდი წარმოდგენა გაქვთ ჩემ ლიტერატურულ ნიჭზე, — კმაყოფილი სახით მიუგო მან, — მე ჩინებულ სტილისტად ვითვლები; აქ დაყოვნების გასამართლებლად კი სრულიად საკმარისია ოსტატურად შედგენილი პატაკი. აქამდე საქაჩულა მხოლოდ იმას კითხულობდა ჩემს მიერ გაგზავნილ ცნობებში, რაც მე მინდოდა, და ყოველთვის ენდობოდა ჩემს არგუმენტებს. ძალიან ღრმადაც შეტოპა ამ მხრივ: მითითება მომცა. რომ მისი წინაპარივით ფარხმალი არ დავყარო, გავუძლო ცთუნებას და ჩემ ტრაგიკომიკურ პოსტზე გავმაგრდე.

ვარონმა ხელი ჩამოართვა.

— მართალი გითხრათ, მიმძიმდა, ანტიოქიაში დაბრუნება მერჩია თქვენთვის, — თქვა და მის ხმაში ის გულითადი კილო გაისმა, რომლითაც არა ერთი და ორი ვინმე მოუჯადოებია, — მაგრამ თქვენი დარჩენა გამარჯვებას მირჩევნია. ბედნიერი ვარ, რომ მეგობრად მეგულებით. წარმატებისთვის მაინცდამაინც დიდი შანსები არ გამაჩნია. მაგრამ ხანდახან სასწაულიც ხდება. ბედმა თუ გამიღიმა, მე მგონია, დაგანახვებთ, რომ ცუდი მეგობრობა არ ვიცი.

იმ საღამოს ვარონმა ექვსი ათასი სესტერციის ქვითარი ამოიღო ყუთიდან და უკანა მხარეს, მოგების სვეტში ჩაწერა: „ერთი მეგობარი“.

4

ტერენციუსი ეჩვევა ნერონობას

ვარონს ძალა არ შესწევდა თავისი პირით შეეტყობინებინა გაბედნიერება „ქმნილებისათვის“, რომელიც მარციასთან საუბრის შემდეგ ერთიორად შესძულდა. რახან უკვე ბევრმა

იცოდა, რომ ქორწილისათვის ემზადებოდნენ, ამიტომ ვარონმა ბედს მიანდო, — როგორც უნდათ, ისე გააგებინონ ტერენციუსს, ვისაც უნდა იმან ახაროს პირველადო.

რასაკვირველია, კაცი, რომელმაც მომავალი აღზევების ამბავი აუწყა ტერენციუსს, მონა კნოპსი იყო.

აი, როგორ მოხდა ეს: მართალია, ტერენციუსი მეფე მალუქის სასახლეში ცხოვრობდა, მაგრამ თავის ნერონობას ჯერჯერობით ვერ ამჟღავნებდა. მალუქს არაფრის გულისათვის არ სურდა, ქვეშევრდომების წინაშე იგი იმპერატორად ეღიარებინა, სანამ ვარონის ქალს ცოლად არ შეირთავდა. ტერენციუსსაც ბრძნულად ეჭირა თავი, სულწასულობას არ იჩენდა. კნოპსი თვალებს ახამხამებდა და მშვიდად შეჰყურებდა ბატონის ასეთ გაორებას. იგი ხვდებოდა, რა უფრო ესიამოვნებოდა ტერენციუსს, და ამიტომ იმ კაცად კი არ იღებდა, ვისაც ნერონი ერქვა, არამედ ისევ მექოთნეთა ოსტატად თვლიდა, რომელიც, მართალია, ნერონია, მაგრამ ურჩევნია ტერენციუსის ნიღაბი ჰქონდეს აფარებული. ახლა კი კნოპსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბატონის ორსახეობას ბოლო მოეღო.

— გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავვარდი, ჩემო ბატონო, — დაიწყო მან თავისებური მორჩილი და თან თავხედური კილოთი, — არ ვიცი, როგორ მოვმართოთ. ედესელები გაიძახიან, — მექოთნეთა ოსტატი ტერენციუსი, მონა კნოპსის პატრონი, აღარ არსებობსო. უფრო მართალ, ის იმპერატორი ნერონია და მხოლოდ ერთი ხანობა მოეგუნება ტერენციუსად გადაქცევა, ისე როგორც ზევსი იქცევა ხოლმე ხარადო. ჩვენ შორის დარჩეს და. როდესაც მექოთნეობაში ფხა ვერ გამოიჩინეთ, მე, თქვენი ერთგული მონა, მაშინვე მივხვდი, რომ იმპერატორი ნერონი ბრძანდებოდით. მაგრამ არავინ იცოდა, სანამ ინებებდით ტერენციუსად დარჩენას; მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ, როდესაც ვარონის ქალის ცოლად შერთვა გადაწყვიტეთ. მივხვდი, რომ ნიღაბის ჩამოხსნა დაგიპირებიათ.

ძალიან გაუჭირდა ტერენციუსს ამ ამბით გამოწვეული მღელვარების დამალვა. გრძნობათა უძირო ზღვა აზვირთდა მის გულში. დაათრო და გააბრუა დიდების სიტკბომ. ამავე

დროს ბრაზი ერეოდა, რომ ვარონმა ღირსად არ ჩათვალა და არ გააგებინა, თუ რას უპირებდა. სამაგიეროდ დიდი მადლობელი იყო კნოპსის, რომელიც თითქოს ბედმა გამოგზავნა ამ სასიხარულო ამბის მაცნედ, და ტერენციუსმა კმაყოფილებით გაიფიქრა, — ამ კაცს შემიძლია ყველაფერში ვენდოო.

კნოპსი კი ამასობაში ლაპარაკს განაგრძობდა. ამჯერად თავის გულის დარდს უზიარებდა ბატონს. რა ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდა! სანამ მექოთნე ტერენციუსი არსებობდა, მანამ იგი, რასაკვირველია, მონა კნოპსი იყო. მაგრამ ახლა რაღაა, როდესაც ტერენციუსმა შეწყვიტა არსებობა და კვლავ იმპერატორად იქცა? ჰაერში დარჩა გამოკიდებული. ცხადია, ახლა მონა აღარ არის; იმიტომ, რომ მისი ბატონი, ტერენციუსი, აღარ არსებობს. მაგრამ მაშინ ვინ ყარის? კნოპსი გაბედავს და ერთ დაპირებას შეახსენებს, რომელიც წითელ ქუჩაზე, კერამიკულ ქარხანაში, მოისმინა და რომლის მიხედვითაც მომავალ გადატრიალებას კნოპსიც უნდა გაებედნიერებინა. ეს პირობა კნოპსს მისცა არა მექოთნე ტერენციუსმა, არამედ მისმა უდიდებულესობამ, იმპერატორმა ნერონმა.

ტერენციუსი უგულისყურო უსმენდა კნოპსის ყბედობას. რა თქმა უნდა, მონამ დაიმსახურა თავისუფლება; მარტო ამ ახალი ამბის მოტანა რად ღირს! მაგრამ შორს არ გაუშვებს, თავისთან დაიტოვებს, რადგან საჭირო კაცია, უომისოდ შეიძლება რამე ხიფათის გადაეყაროს. ტერენციუსმა მედიდურად და ვითომ სხვათა შორის უთხრა:

— რასაკვირველია, თავისუფალი იქნები იმ დღიდან, რა დღესაც მარციას შევირთავ.

მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ეს სიტყვები იმპერატორ ნერონის ხმით კი არ წარმოთქვა, არამედ კვეხნითა და ბაქიაობით, როგორც მექოთნე ტერენციუსს შეეფერებოდა.

როდესაც კნოპსი წავიდა, ტერენციუსი მიეცა სრულ ნეტარებას, რომლითაც ამ მოულოდნელმა ამბავმა აუვსო გული. წარმოიდგინა როგორ გადაიხდიდა ქორწილს, როგორ შეირთავდა ცოლად მარციას, იმპერიის ერთ-ერთ უპირველეს ქალთაგანს. წარმოიდგინა საქორწილო ცერემონია ედესის

მთავარ მოედანზე, სადაც ტარატეს სამსხვერპლო, ქალღმერთის უძველესი გამოსახულება და სიმბოლოები, ფალოსის ქვისგან ნათალი ქანდაკებები იყო. ვარონი, ეს დიდებული სენატორი, ტერენციუსს, რომელიც მის „საქმეს“, მის საკუთრებას წარმოადგენდა, როგორც ძაღლი ან ძროხა, თავის ქალიშვილს ცოლად აძლევდა, აძლევდა კი არა, მოითხოვდა კიდეც, — მასთან დაწექიო. ტერენციუსმა წარმოიდგინა პირველი ღამე, რომელსაც ვარონის ქალთან გაატარებდა. და უცებ მის სიხარულს პატარა ბზარი გაუჩნდა. ნერონს „კაცი“ ერქვა, „კაცს“ ნიშნავდა ნერონი. ტერენციუსი კი საჭირო კაცობას ვერასოდეს იჩენდა ქალთან. ბედის ცვალებადობამ და იმ დაძაბულობამ, რომელსაც აღზევებაზე ფიქრი, მომავლის წარმოსახვა მოითხოვდა მისგან, შედარებით ადრე გამოწურა მთელი მისი მამაკაცური ძალა. ტერენციუსი შეეცადა შიშველი, მისი მომლოდინე მარცია წარმოედგინა და ამით ვნებათა ღელვა აშლოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა: საქმროს მხოლოდ ის ხიბლავდა, რომ ვარონის ასული წარჩინებული ქალი იყო. ტერენციუსს რწმენა ეკარგებოდა, როდესაც ქორწინების პირველ ღამეზე ფიქრობდა. იმედად ისღა დარჩენოდა, იქნებ გადამწყვეტ წამს საკუთარი დიდებულების რწმენამ ძალა შემმატოსო.

ისე კი სასიხარულო ცნობამ თავგზა ვერ აუბნია. არც ახლა ამჟღავნებდა მოუთმენლობას. თავს იკავებდა და მუშაობდა. ფრთხილად კრებდა წიგნებიდან ურიცხვ წვრილმანებს ნერონის წინანდელი ცხოვრების შესახებ, ბევრ რამეს იგებდა ხალხიდანაც თუკი შემთხვევა მიეცემოდა; ვარჯიშობდა, რომ ნერონისებურად ეწერა, განსაკუთრებით კი მისი ხელმოწერა გადმოეღო. ორი მდივანი მიუჩინეს, — ერთი ბერძნულისთვის, ერთი ლათინურისთვის; ორი მკითხველიც დაუქირავე-, — პირველი ბერძნულისთვის, მეორე ლათინურისთვის. მათი დახმარებით ზეპირად სწავლობდა ნერონის საყვარელ კლასიკოსებს; ცდილობდა მათ გასაგონად ნერონისებურად წაეკითხა ნერონის ლექსები.

ტერენციუსი ფრთხილად იქცეოდა და ბევრი რამისგან თავს იკავებდა, მაგრამ საქორწილო სამზადისში მონაწილეო-

ბის მიღება კი ძალიან უნდოდა. ასეთ გარემოში, ასეთ საკითხებში ლაღად გრძნობდა თავს. მაგრამ როდესაც ეს სურვილი გამოამჟღავნა და აზრი გამოთქვა, თუ როგორ უნდა ეზეიმათ, ხალხი შეცბუნდა. თურმე, მთელი საქორწილო ცერემონიალი უკვე მოემზადებინათ და დაედგინათ, რა როგორ უნდა წარმართულიყო. შეშინებულმა ტერენციუსმა მყისვე აიღო ხელი თავის განზრახვაზე. იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ მკერავებმა მაინც გაუგონეს მის მოკრძალებულ რჩევას და საქორწილო ტანისამოსი მისი სურვილის მიხედვით შეუკერეს.

მნახველებს იშვიათად იღებდა. მაგრამ როდესაც კაიამ მოითხოვა, — ქმართან მალაპარაკეთო, შემოაშვებინა.

იგი, თავით ფეხებამდე ნერონი, ტახტზე წამოწოლილიყო. დაქირავებული კაცი ხმამაღლა უკითხავდა რაღაცას.

— რისთვის მოსულხარ, კეთილო ქალო? — მოწყალე და აშკარად მხიარული კილოთი შეეკითხა იგი.

— წავიდეს ეს კაცი, — მოითხოვა ცოლმა. ტანსრული კაია მტკიცედ იდგა, მძიმედ სუნთქავდა, პირი ოდნავ გაეღო და მშვენიერი კბილები მოუჩანდა.

— განაგრძე, ჩემო კარგო, — მიმართა ნერონმა მკითხველს და მანაც განაგრძო.

— წავიდეს ეს კაცი! — არ დაიშალა კაიამ.

— აჰ, ჩვენი კაია ისევ აქ ყოფილა. — ისეთი ხმით თქვა ნერონმა, თითქოს თავს იქცევს და თან მოსწყინდა კიდეცო, — აღარ იტყვი, კეთილო ქალო, რა გინდა?

— ჭკუას მოუხმე, ადამიანო, — დაჟინებით სთხოვა კაიამ, — დავიღუპებით, ყველაზე უწინ შენ დაიღუპები. რამ დაგაბრმავა! ღმერთებს გაფიცებ, შეწყვიტე ეს კომედია, ამ ბარბაროსების სამასხროდ ნუ გაიხდი თავს.

მკითხველი კუთხეში მიიყუჟა. იქიდან უყურებდა ქალს, რომელიც აღელვებული, სასოწარკვეთილი, გამწარებული ემუდარებოდა ნერონს რაღაცას.

— აკი შევწყვიტე. — დაცინვით უპასუხა ნერონმა, — შენ რაღად განაგრძობ თამაშს, ჩემო კარგო? როდესაც წარმოდგენა მთავრდება, ნიღაბი უნდა ჩამოიხსნა. ისე, ჩინებულად კი შეასრულე შენი როლი, მშვენივრად გეჭირა თავი.

ნუ გეშინია, რენტას მიიღებ. ათას ხუთასი სესტერცია გიქ-ნება თვეში. ჩაწერე, ჩემო კარგო. — უბრძანა მან მკითხ-ველს.

— გონს მოდი, ადამიანო, გონს მოდი, ტერენციუს! — შეევედრა კაია, — რას ჩადიხარ? ხომ არ გგონია ახლაც ისე ადვილად გადარჩები, როგორც იმ საშინელ ღამეს გა-დარჩი, პალატინიდან რომ დაბრუნდი? არ გეყო, რაც მაშინ შიში ჭამე? კიდევ გინდა გამოსცადო? ვეღარ გაუძლებ, ადა-მიანო, ვერა. აღარ გაპატიებენ ღმერთები ასეთ თავგასულო-ბას. — იგი სულ ახლო მივიდა ქმართან, ხელი მოკიდა, შე-ანჯღრია: — წამოდი, ტერენციუს, სახლში წავიდეთ. იქ უკეთ მოვიფიქრებთ, რა ვიღონოთ.

ტერენციუსს შიგ გულში მოხვდა კაიას სიტყვები. ცდილობდა ყურადღება არ მიექცია, გული მოსდიოდა ცოლ-ზე, გული მოსდიოდა თავის თავზეც, რატომ შემოვუშვიო. სიამოვნებით გაარტყამდა. მაგრამ არაფერი შეიმჩნია, იმპე-რატორის სახე შეინარჩუნა, დაუდევარი ჟესტით მოიშორა. ზურმუხტი ამოიღო, მოიმარჯვა და ინტერესით დაუწყო ცოლს თვალიერება, თითქოს რაღაც საოცარი ნადირი იდგა მის წინაშე.

— როლში შეიჭრა და გაგიჟდა, — დაასკვნა ბოლოს, — თურმე ხანდახან გიჟდებიან ასე მსახიობები, მეტისმეტად ეჩვევიან ოიდიპოსის ან აიაქსის როლს და გიჟდებიან. ახლა კი წადი, ჩემო კარგო, დამშვიდდი, ნუ გეშინია. იზრუნებენ შენზე, — ალერსიანად მიმართა მან ცოლს და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ქმრის მიალერსებაზე კაია აკანკალდა, ქვითინი აუვარდა და ისე გაშორდა, აღარაფერი უთქვამს.

მეორე დღეს, როგორც იქნა, ვარონიც მოვიდა. ტერენ-ციუსი ცოტა დაფრთხა, მაგრამ გარეგნულად არაფერი დამჩ-ნევია. დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. ვარონი ისე ელაპარაკებოდა, როგორც იმპერატორს. მოწეწბ თ გადაუხადა მადლობა, რომ მის ქალიშვილს ამოდენა პატივი დასდო და თავისი ცოლობის ღირსი გახადა; გააცნო საქორ-წილო ცერემონიალის გეგმა, მორჩილად ჰკითხა ეთანხმებოდა

თუ არა ამ გეგმას, რომლის შედგენაში მონაწილეობა არ მიიღებინა.

მერე რჩევა მისცა როგორ დაეჭირა თავი, რომ რამდენადაც შესაძლებელი იყო, ჰგვანებოდა ნამდვილ იმპერატორს. ვარონი ცდილობდა ფრთხილად მიეწოდებინა ეს რჩევა, მაგრამ შიგადაშიგ მაინც ვერ იკავებდა თავს, რომ ამ მითითებაში ოდნავი ირონია და სიძულვილი არ ჩაეყოლებინა. ტერენციუსს ნერონის მკვიდრი ნიღაბი ჰქონდა აფარებული, მაგრამ ვარონის ქარაგმები მაინც ატანდა შიგ და გულზე ეკლებივით ესობოდა. ვარონმა უთხრა:

— ჩემდა სამწუხაროდ, ვატყობ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ბოლო ხანებში გაცილებით უფრო ხშირად გჭირდებათ ზურმუხტი, ვიდრე ძველად გჭირდებოდათ. როგორც ჩანს, სულ მეტად და მეტად ახლომხედველი ხდებით, მაშინ. როცა პირიქით უნდა იყოს: რაც უფრო გემატებათ წლები, მით უფრო შორს უნდა იხედებოდეთ. თუმცა ესაცაა, ახლომხედველობა თქვენი უპირატესობაა: კაცი წვრილ-წვრილ საგნებს ახლოდან ძალიან კარგად ხედავს. საქმე ამაშია, — დაუმატა ჩაფიქრებულმა, — უკეთესი ხომ არ არის მაინც, კაცი შორს იყურებოდეს, როგორც ჩვენისთანა უბრალო მოკვდავები იყურებიან.

ამპარტავან ვარონს არ ეგონა თუ მისი ყოფილი მონა ფარულ დაცინვას მიუხვდებოდა. მაგრამ ზიზღი კუს ბაკანშიც კი ატანს, ტერენციუსს კი არათუ ბაკანი არ გააჩნდა, არამედ ერთობ მგრძნობიარე კანი ჰქონდა. მან მოიშორა ზურმუხტი, რომელიც ამხელა სიამოვნებას ანიჭებდა და რომელსაც არაერთხელ გამრუყვანია მძიმე მდგომარეობიდან. უმწეო სიბრაზით შეიკრა ჯოჯები და მთელი საუბრის განმავლობაში ზურმუხტი თვალთან აღარ მიუტანია.

5

ნერონის ქორწილი

მას შემდეგ რაც მარციამ გადაწყვიტა ცოლად გაჰყოლოდა ამ ჭიაყელას, როგორც თავის გულში უწოდებდა ტერენციუსს, ერთიორად გულჩახვეული გახდა, რათა მისი

შიში, ეჭვები, ზიზღი და იდუმალი გულისთქმა არავის შეემჩნია.

ო, როგორ უნდოდა პოლკოვნიკ ფრონტონთან ესაუბრა. მას აქეთ, რაც მამასთან ერთად ანტიოქიიდან გამოიქცა, ოცნებაზე ხელი აიღო და გადაწყვიტა ფრონტონი მოეხიბლა, მისი ფიქრები ხშირ-ხშირად დასტრიალებდა ამ ელეგანტურ კაცს, ნამდვილ რომაელს, რომელიც თავისებურად, ერთობ თავდაჭერილად უმეღავნებდა პატივისცემას. ღამღამობით, ლოგინში მწოლარე წარმოიდგენდა ხოლმე, თუ როგორ მოხდებოდა ეს, — როგორ მოუძღვნიდა ამ კაცს უდიდეს საჩუქარს, თავის სხეულს, რომელსაც აქამდე უმანკოდ ინახავდა. თვალდახუჭული მარცია თავს ძალას დაატანს და წინააღმდეგობას გაუწევს, გრილი იქნება და თან მხურვალე, აღსავსე სურვილითა და კდემამოსილებით. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ამდენს ფიქრობდა ფრონტონზე, იმის გამო, რომ ფრონტონისკენ იყო მიმართული მისი გულისთქმა, ახლა აღარ შეეძლო თავის საშინელ მომავალზე გულახდილად ელაპარაკა მასთან, როგორც მეგობართან; ის არ იყო მეგობარი და ამავე დროს მეგობარზე მეტი იყო.

ამიტომ თავის შიშსა და გულისთქმას საიდუმლოდ ინახავდა. დედამისი ყოველივე ხორციელის მიმართ სიძულვილს უნერგავდა. მარცია ვესტას ღვთაებრივი ცეცხლის მცველი უნდა გამოსულიყო, წმინდა ქუჩაზე ეცხოვრა ქურუმ ქალთა სუფთა და პირქუშ სახლში, მდაბალ ხალხსა და მდაბალ ზრახვებს ასცდენოდა და არწივივით ცაში აჭრილიყო.

ვარონმა არ მისცა ნება. დედამ ამის გამო კიდევ მეტად შეიძულა ქმარი, ქალიშვილსაც შეაძულა მისი აღვირახსნილი ცხოვრება. დედა თავიდანვე ამბობდა და მარციასაც სჯეროდა, რომ ვარონი ასეთი ცხოვრებით უბედურებას გადაეყრებოდა; როცა წინასწარმეტყველება ახდა და სენატიდან სამარცხვინოდ გამოაძევეს, ქალიშვილმა გადაწყვიტა უფრო მტკიცედ გაჰყოლოდა დედის გზას. მარციას აზრით დიდებული და სახელგანთქმული გვარის ღირსება ახლა მას უნდა დაეცვა.

და, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მამის გზას უნდა დაადგეს, მამის ორჭოფული ბედი გაიზიაროს; ცოლად უნდა გაჰყვეს კაცს, რომელიც ერთდროულად მონაცაა და იმპერატორიც მაგრამ ყველაზე უფრო იმით იყო შეცბუნებული, რომ ასეთი ხვედრის მიმართ მარტოოდენ ზიზღს არ გრძნობდა. მას სძულდა და ამავე დროს იზიდავდა ეს უჩვეულო, საიდუმლოებით მოცული ცხოვრება, ისევე, როგორც მამა სძულდა თავშეუკავებლობის გამო, მაგრამ შურდა კიდეც მისი და თან აღშერთებდა.

ადათი მოითხოვდა, რომ სასიძო და საპატარძლო ქორწინებამდე ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. მარციას, ეჭვი არაა, ერთი ორჯერ ნანახი ეყოლებოდა ტერენციუსი, ამიტომ ახლა მეხსიერებას აწვალებდა, ცდილობდა საქმროს გარეგნობა წარმოედგინა; მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა. სამაგიეროდ არასოდეს დაავიწყდებოდა იმპერატორ ნერონის ხორცსავსე, ჯიუტი სახე. ბავშვობაში არაერთხელ უნახავს იგი მარციას. შეჩერდებოდა ხოლმე მისი ქანდაკებების წინ, რომელთაც ახლა ისევ პატივისცემით ეპყრობიან, და ოცნებით ათასგვარ სურათებს ხატავდა: როგორ გაცოცხლდებოდა ქვისგან გამოკვეთილი იმპერატორი, ხელს მოხვევდა, ტოგას გაიხდიდა; როგორ ჩაწვებოდნენ ლოგინში და ჩაეკვრებოდნენ ერთმანეთს, როგორ დააჭერდა იმპერატორი ბარძაყს ბარძაყზე; და გოგონას ისეთი შიში იპყრობდა, რომ სული უგუბდებოდა, ისე მოეძალებოდა სურვილი, რომ გულ-მუცელი ეწვოდა.

მაგრამ ეს ხომ იმპერატორი ნერონი არ იყო, ვისთვისაც მარციას სიქალწულე უნდა მიეძღვნა, ეს მეექთონე ტერენციუსი იყო, მღნა, რომელსაც მდაბიორის ბინძური სისხლი ჰქონდა. მარცია თავის გრძნობებში ვეღარ ერკვეოდა.

მაგრამ მან კარგად იცოდა თავდაჭერის ხელოვნება და ერთხელ მიღებული გადაწყვეტილებისთვის აღარ უღალატნია. გარეგნულად მუდამ იმპერატორის საცოლე იყო და მეტი არაფერი. გულმოდგინედ ასრულებდა ყოველგვარ წესებს, რომლებსაც რომაელთა ადათი მოითხოვდა დანიშნულისაგან.

ქორწინების წინა საღამოს მოთმინებით იდგა, სანამ საპატარძლო ალისფერ ტანსაცმელს აცმევდნენ და, როგორც ამას ჩვეულება მოითხოვდა, ქალწულობის დროინდელი ტანისამოსი და სათამაშოები სახლის ღმერთებს შესწირა.

იმ ღამეს ცუდად ეძინა. ჯერ ფრონტონი ესიზმრა. მერე ამ სიზმარს გადაეხლართა შიშის მომგვრელი და ვნების ამშლელი წარმოდგენები, რომლებსაც იმპერატორის ქანდაკებები იწვევდა მასში. მარციას მთელი ტანი უხურდა, ისე ენატრებოდა იმ კაცის ნახვა, რომელიც თავის თავს ნერონს უწოდებდა.

მაგრამ მეორე დღეს, როდესაც პორფირში გამოწყობილი, ეტლში მჯდარი საქმრო დიდი ამალით მოვიდა, რათა დანიშნული საქორწილო ცერემონიალზე წაეყვანა, მარციას იმედი გაუცრუვდა. ტერენციუსი დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი ლაპარაკი და მიხვრა-მოხვრა იმპერატორის ლაპარაკი და მიხვრა-მოხვრა იყო. მაგრამ ქანდაკების ჯადო აკლდა, სწორედ ის აკლდა, რაც მარციას იზიდავდა. მარცია არც მოწიწებას გრძნობდა, რომელიც იმპერატორის გვერდით ეუფლება კაცს, არც უპირატესობას, რომლითაც მონას უყურებ, და აღარც ამ კაცის სურვილი წვავდა. მარციას სულში სიცარიელე იყო. საქმრომ ხელი ჩაჰკიდა; მაგრამ ეს საქმრო კი არა, ვიღაც იყო, — არც დიდი, არც პატარა, ბუშტი იყო, ცარიელი ბუშტი. აი, ასეთ უგულოს, ასეთ არაკაცს უნდა გაუყოს მარციამ თავისი ცხოვრების უძვირფასესი წუთი.

ზეიმით გაემართნენ ედესის მთავარი მოედნისაკენ. ათი ათასობით ხალხი სუნთქვაშეკრული იდგა, როდესაც იმპერატორი და მარცია ტარატეს სამსხვერპლოსთან გამოჩნდნენ. მარცია ტრადიციულ საპატარძლო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი: თეთრი, ძალიან გრძელი ტუნიკა ეცვა და ზედ შალის ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ქამარი ოსტატურად იყო გამონასკვული ჰერკულესის ნასკვით. ეს ნასკვი სასიძოს უნდა გაეხსნა. ტუნიკის ზემოთ საპატარძლო მანტია ესხა, რომელიც საქორწილო ტრადიციის თანახმად ალისფერი

იყო. ალისფერი იყო მაღალყელიანი ფეხსაცმელებიც და საქორწილო ლეჩაქიც. თმა ექვს წყებად ჰქონდა დაწნული, როგორც ამას ჩვეულება მოითხოვდა. თავზე ეხურა დიდებული, მძიმე, დაკბილული გვირგვინი, რომელიც მის გრძელ, თეთრ სახეს ერთიორად უფრო ნაზსა და მკაცრ შესახედაობას აძლევდა.

ქურუმებმა მსხვერპლად შესაწირი პირუტყვი დაკლეს, ნაწლავები დაათვალიერეს და გამოაცხადეს, ღმერთებს ეამებათ იმპერატორ ნერონსა და მარციას შეუღლება. როდესაც ქორწინების კონტრაქტს ხელი მოაწერეს, პატარძალმა წარმოთქვა ფორმულა, რომელსაც ასეთ დროს ამბობდნენ:

— რაკი შენ კლავდიუს ნერონი ბქვია, მე მინდა, რომ კლავდია მერქვას.

ტერენციუსმა მიუგო:

— მე, კლავდიუს ნერონი, თანახმა ვარ, რომ კლავდია გერქვას.

პატარძლის ეჯიბმა მარციას მარჯვენა ხელი ტერენციუსს ჩაუდო მარჯვენა ხელში. მერე, სანამ შესაწირავი ხილი მოჰქონდათ, სიძე-პატარძალი თავსაკაულებით მორთული ისხდნენ სკამებზე, რომლებიც გვერდიგვერდ იდგა და რომლებზედაც მათ შესაერთებლად დილაადრიან შეწირული ცხვრის ტყავი იყო გადაფარებული. მერე ლოცვა წარმოთქვეს და თან სამსხვერპლოს შემოუარეს, ისე რომ იგი ხელმარჯვნივ მოიტოვეს. წინ ბიჭი მიდიოდა და გუნდრუკს ყრიდა სამსხვერპლოს ცეცხლში.

ვარონთან ნადიმი გამართეს. მერე კი მექორწილეებმა მეფე მალუქის სასახლისაკენ გასწიეს, სადაც სიძე ცხოვრობდა. ყოველი მხრიდან ისმოდა ხალხის ყვირილი:

— თალასე, თალასე!

უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე წესიერად არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა, მაგრამ დღეს, ისევე, როგორც უხსოვარ დროს, მასში გულისხმობდნენ გარკვეულსა და უხამს რაღაცას. იმპერატორის მხლებლები კაკალს ყრიდნენ ხალხში; კაკლები მოოქროვილი იყო, რადგან იმპე-

რატორის წყალობას წარმოადგენდა. მარციას პატარა ბიჭი მოუძღოდა წინ, რომელსაც ხელში კუნელის ჩირაღდანი ეჭირა. როდესაც პროცესიამ მეფის სასახლეს მიაღწია, ხალხი ეცა ჩირაღდანს, დატეხა და დააქუცმაცა. თვითეული ნატეხისთვის ჩხუბი იყო გაჩაღებული: ვინც პატარძლის ჩირაღდანს ჩაიგდებდა ხელში, ღმერთები დიდხანს აცოცხლებდნენ. და რამდენ ხანს უნდა ეცოცხლა იმ ჩირაღდნის მომტაცებელს, რომელიც იმპერატორის საცოლეს ეკუთვნოდა!

ეჯიბებმა მარცია კარის ზღურბლზე გადაატარეს. დარბაზში ფართო საქორწილო საწოლი იდგა. ცალ მხარეს სასაცილოდ ჩაცუცქულიყო ქვისგან გამოკვეთილი პრიაული ღმერთი მუტუნუს ტუტუნუსი, ნეფე-დედოფლის დამცველი ღვთაება. პატარძლის მხლებელმა კალთაში ჩაუსვეს მას მარცია, ისე, რომ ეს უკანასკნელი ზურგით მის ვეებერთელა ფალოსს ეყრდნობოდა.

ასე იჯდა მარცია უხამსი ქანდაკების კალთაში. ბოლოს მექორწილენი წავიდნენ. იგი მარტო დარჩა ქმართან. ახლა რა იქნება? ქმარი მთელი დღე ერთნაირად მშვიდი იყო და არცთუ უღირსად ეჭირა თავი: მართალია, ისეთ გრძნობას ვერ იწვევდა. როგორსაც მეფის სიახლოვე იწვევდა ხოლმე, მაგრამ არც დაცინვისა და სიძულვილის საბაბს იძლეოდა. აი, დგას იგი მარციას წინ, „ნერონი. კაცი", მისი ნერონი, მისი ქმარი და მართლა ჰგავს იმ ქანდაკებებს. ნუთუ გაცოცხლდება ეს ქვა და სინამდვილედ აქცევს მარციას ოცნებას?

მექორთნე ტერენციუსისათვის ეს დღე დიდებული, მაგრამ ერთობ მომქანცველი იყო. სენატორმა ვარონმა დროულად გამოუგზავნა სია, სადაც ყოველივე აღნუსხა, რაც სასიძოს საქორწილო ცერემონიალის დროს უნდა გეკეთებინა. ტერენციუსმა, რომელიც კარგად გაიწაფა კლასიკური ტრაგედიების ზეპირობაში, იოლად შეისწავლა ეს სია და მთელი დღის განმავლობაში მართლა ისე იქცეოდა, როგორც ჰეშმარიტ იმპერატორს შეეფერება. თუმცა, ცხადია, თავისი წარმატებით დატკბობა ამდენი შრომისა და ჯაფის შემდეგ აღარ ძალუძდა. და აი, იგი მარტო იჯდა სენატორის

ფერმკრთალ; ამპარტავან ქალთან, რომელსაც უფლება ჰქონდა მოეთხოვა და მოელოდა კიდეც, რომ ქმარი საქმეს შეუდგებოდა.

ეჭვი არაა, დიდი პატივი იყო, რომ მარცია და სხვაც ყველა ტერენციუსისგან რაღაცას მოელოდნენ. თუმცა ტერენციუსს ტანსრული, ჩათქვირებული ქალებისაკენ უფრო მიუწევდა გული, დილით მასაც მოეწონა საპატარძლო, პირდაპირ კალმით ნახატი ეჩვენა. მაგრამ ამ დაუსრულებელი ცერემონიის შემდეგ საშინლად დაიღალა, ქანცი გაუწყდა; ახლა მას მარტო დაძინება ყველაფერს ერჩია. ვარონის სიაში გაანგარიშებული იყო ყოველი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც სასიძოს მოუხდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს დღე, ღამე როგორ მოქცეულიყო, ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. რა ექნა ტერენციუსს? ჰერკულესის ნასკვი გაეხსნა, რომლითაც ქამარი იყო შეკრული თუ ჯერ თვითონ გაეხადა ტანთ?

მორჩა, საქმეს შევუდგეთ! წინ! ვინც ასეთ დიდებას მიაღწია, იმას ქალიშვილი ვერ შეაფერხებს. მან ფანტაზია მოიშველია და ათასგვარი ავხორცული სურათები წარმოიდგინა, რათა როგორმე ვნებათა ღელვა აშლოდა, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველა. მარცია უძრავად იჯდა. ტერენციუსი საკუთარ ხელებს დასცქეროდა. კარგად მოვლილი, თეთრი ხელები ჰქონდა, რომელთაც ნელსაცხებელთა სურნელი ასდიოდათ. რამდენიმე წუთი სრულ სიჩუმეში გავიდა. რამე უნდა იღონოს.

— ასე, ჩემო მარცია. — უთხრა მან და მიუახლოვდა.

მაგრამ მისი ნაბიჯები ნერონის ნაბიჯებს აღარ ჰგავდა. ან კი რა საჭირო იყო? — ძალა სხვა რამისთვის უნდა შემოენახა. მან ფრთხილად გახადა ქალს საპატარძლო მანტია. მაგრამ ძირს არ დაუგდია ძვირფასი მაუდი, ფაქიზად გადაფინა სკამზე, როგორც ეს წესრიგის მოყვარულმა მასპინძლებმა იციან. შემდეგ გაუბედავი მოძრაობით საპატარძლო გვირგვინიც მოხადა, მსუბუქად ამოიოხრა და ჩაგულდაგულოდ შეკრულ ქამარს დაუწყო გახსნა. მარცია კვლავ უძრავად იჯდა და წინააღმდეგობას არ უწევდა. როდესაც

ტერენციუსი შემთხვევით მის შუბლს ან მკლავს შეეხებოდა, გრძნობდა, რომ ქალის სხეული ყინულივით ცივი იყო.

მარცია ტუნიკის ამარა დარჩა. ტერენციუსმა გაიფიქრა, აქამდე მაინცადამაინც დიდ სიმამაცეს ვერ ვიჩენდიო, და გადაწყვიტა თავისი კაცობა დაენახვებინა ქალიშვილისთვის. მან მოსწია ტუნიკის ზორტი და, რაკი ზორტი მაშინვე არ გაიხსნა, ჩაჰკრა ხელი და ტუნიკა შუაში გაფხრიწა. მარცია იდგა შიშველი, აკოკრებული ძუძუებით, იდგა ტანწერწეტა, ცივი და თეთრი. ტერენციუსმა იგი ხელში აიყვანა. ქალი მსუბუქი იყო, ამიტომ ადვილად მიიყვანა საწოლთან და შიგ ჩააწვინა. მარცია მძიმედ სუნთქავდა.

— ჩააქრე სინათლე. — სთხოვა მან ქმარს.

ტერენციუსმა ტანთ გაიხადა, გვერდით მიუწვა. მარცია ჯერ კიდევ ცივი იყო და ტერენციუსს აღიზიანებდა ეს. იგი უხეშად ეძგერა ცოლს. მარცია აკანკალდა, ნსუბუქად ამოიოხრა. „როცა ქალი ასე ცივია — გაიფიქრა ტერენციუსმა — ტყუილად არ უნდა მოელოდეს, რომ ქმარი მხურვალე იქნება". მას იმედი ჰქონდა, თუ გაბრაზდი, მაშინ უფრო იოლად მოვუვლი ამ საქმესო. იგი გაბრაზდა, რადგან ქალი დუმდა და არ ეხმარებოდა. ჩააფრინდა მის სხეულს.

— მითხარი „წვერწითელა"-თქო, — მოსთხოვა მან.

ასე ეძახდა ნერონს პირველი საყვარელი; ხალხიც ასე ეძახდა; ტერენციუსს გაგონილი ჰქონდა, იმპერატორს მოსწონს ეს სახელიო. მარცია ხმას არ იღებდა. მაშინ ტერენციუსმა მთელი ძალით მოუჭირა ხელები. ქალმა ოდნავ შეჰკივლა. „რა სუსტია ეს თოჯინა" — ბრაზით გაიფიქრა ტერენციუსმა და მაგრად წაავლო ხელი, უჩქმიტა.

— არა, — თქვა ქალმა, — არა.

ტერენციუსმა მაშინვე ხელი უშვა, თითქოს ეს სიტყვა რაღაც სიგნალი ყოფილიყოს. იგი განაწყენდა. „თუ არ უნდა, იმპერატორი ძალას არ დაატანს" — გაიფიქრა და საკუთარი თავით კმაყოფილმა გვერდი იცვალა. მას მთელი დღე ნამდვილი იმპერატორივით ეჭირა თავი და ძილი და მოსვენება დაიმსახურა.

ბალიში გვერდზე გასწია, ერთხანს დაფიქრდა, ვუსურვო

11. ლ. ფოიხტვანგერი

ღამე მშვიდობისა თუ გაბუტული ვიყო. ბოლოს გულკეთილად წაიბურტყუნა, რადგან ბუნებით გულკეთილი კაცი იყო:

— ღამე მშვიდობისა.

ეს სიტყვები ბერძნულად წარმოთქვა, ეგონა უფრო კეთილშობილურად გამომივაო, თანაც არსად „თ“ არ ჰქონდა სათქმელი. მერე დაიძინა. ცოტა ხანში ნელი ხვრინვა ამოუშვა.

მარცია მოკუნტული იწვა. განადგურებული, იმედგაცრუებული იყო, გული მოსდიოდა, რომ ქმარი ასე უხეშად მოექცა, მაგრამ უფრო ის აბრაზებდა, რატომ მომეშვა და დაიძინაო. მართალია, მედიდურად ინუგეშებდა თავს, მე დიდგვაროვანი ვარ, ის კი მონაა, ამიტომ ვერაფერი გამიბედა, უნდა ვამაყობდე. რომ ამ პირუტყვს ნება არ მივეცი თავისი წადილი შეესრულებინაო, მაგრამ ეს სიამაყე მალე შემოაცვდა. მას კაცის სუნთქვა ესმოდა, კაცის სუნი სცემდა.

— წვერწითელავ. — ხმადაბლა წაილაპარაკა მან, თან თავის თავზე ბრაზობდა, რატომ მაშინვე არ დავყევი ნებას და არ დავუძახე ეს სახელიო. მერე ხელი მოისვა ნაჩქმეტ ადგილებზე; ეწვოდა. დილით ალბათ დალურჯებული ექნება. მხოლოდ ეს დარჩება ქორწინების პირველი ღამისაგან. შეამცივნა და შეახეთქა მარციას, თითქმის ფიზიკური ტკივილი იგრძნო გაცრუებული იმედის გამო.

ქმარი იწვა, ეძინა; არხეინად ფშვინავდა.

მარცია მთელი ღამე არ გამთბარა. როგორც კი ინათა, ადგა. ფეხშიშველამ გაიარა ოთახი ქალიშვილის მოკლე ნაბიჯებით. თვალი მოჰკრა სკამზე ფაქიზად გადაფენილ საქორწინო მანტიას. „ამას უნდა ნერონობა“ — გაიფიქრა მან.

6

ხრიკი

როდესაც ცეიონს ედესაში მომხდარი ამბის შესახებ ფრონტონის ცნობა მოუვიდა, იგი გაბრაზდა, მაგრამ სიბრაზეზე მეტად შიშმა შეიპყრო. აი, თურმე, როგორ სძულს ვარონს: საყვარელი ქალიშვილი მონას ჩაუწვინა ლოგინში, ოღონდ კი

ცეიონისთვის რაიმე ევნო. გუბერნატორმა ახლა აშკარად დაინახა, რასაც ადრევე გრძნობდა: არავითარი გარეშე ვინმე, არავითარი პაკორი და არტაბანი რომის მოწინააღმდეგე არ არის. ნამდვილი მტერი შიგ იმპერიაშია და მას ლუციუს ტერენციუს ვარონი ჰქვია. მისი ბრალია, რომ აღმოსავლეთის დამშვიდებას საშველი არ დაადგა. ამ კაცისადმი ცეიონის ღრმა სიძულვილი მახვილი ალღოს ნაკარნახევი ყოფილა.

ახლა ნათლად შეიცნო, რომ ის, რაც მასა და ვარონს შორის ხდებოდა, პირად უთანხმოებაზე მეტი იყო. ცეიონი ახალ რომს განასახიერებდა, — წინდახედულსა და ფხიზელ, ანგარიშიან იმპერიას, ხოლო ვარონი, რომელიც მუდამ ხორცშესხმულ თავაშვებულებას წარმოადგენდა, მოუსვენარი კაცი იყო, იქნებ გენიოსიც, მაგრამ ისეთივე აღვირახსნილი და დაუდევარი, როგორც სხვები, რომელთაც ნერონის დროს შეუძლებელი გახადეს ქვეყნის აზრიანი მართვა და იმპერიას უდიდესი ზიანი მიაყენეს.

გუბერნატორი კითხულობდა პოლკოვნიკ ფრონტონის საქმიანად დაწერილ პატაკს და ბრაზი ერეოდა. „თავს დავესხათ! — მძვინვარებდა თავის გულში, — ათი ათასი ჯარისკაცი გავგზავნოთ ევფრატს გადაღმა. ორივე არამზადა აქ ჩამოვათრიოთ, ეს ტერენციუსი, ეს საცოდავი თაღლითი; ყველაზე ადრე კი ლაქუცა და მუხანათი ვარონი. გადავაყენოთ მათხოვარი მეფე მალუქი, დავსაჯოთ ჭურუმთუპირველესი შარბილი. ვარონს თავი გავაგდებინოთ, მისი გათავხედებული მონა კი ჯვარზე გავაკრათ“. თითქმის ნანობდა, რომ ფრონტონი ასე მშვიდად და გონივრულად იქცეოდა. თითქმის უნდოდა, ედესაში მყოფი გარნიზონი სულ ერთიანად გაეჟლიტათ: ლაშქრობის საბაბი მაინც მიეცემოდა.

დიდი ჯაფა დაადგათ ქვეშევრდომებს, სანამ ამ ნაჩქარევ განზრახვას გადაათქმევინებდნენ. თვითონაც ხედავდა, რომ ედესაზე გალაშქრება შეუძლებელი იყო; ამით არტაბანი ხელსაყრელ საბაბს იშოვნიდა, განმათავისუფლებელ ომს გამოაცხადებდა, შინაურ არეულობას ბოლოს მოუღებდა, ტიგროსს გადმოლახავდა და რომის წინააღმდეგ გაემართებოდა. პალატინი საშვილიშვილო საქმედ თვლიდა, რომ მშვიდობა. დაამყა-

რა. იმპერატორ ტიტუსს დიდი სურვილი ჰქონდა, მშვიდობისმოყვარე ეწოდებინათ მისთვის. ამიტომ გუბერნატორს, რომელიც პართიასთან ომს ვერ აირიდებდა და, მით უმეტეს, თვითონვე შეუწყობდა ხელს მის გაჩაღებას, იმპერატორის რისხვა დაატყდებოდა თავს. არა, ცეიონი იმას უნდა დასჯერდეს, რომ რამდენიმე ნოტა გაგზავნოს ედესაში, თუმცა ამ ნოტებს ყურადღებას არავინ მიაქცევს. გულხელდაკრეფილმა უნდა უყუროს ვარონის ხრიკებს და თავი სასაცილოდ გაიხადოს. იგი ცოფებს ყრიდა და მძიმედ სუნთქავდა, წითელი ლაქები კიდევ უფრო მოედო ლოყებზე. მთელი ანტიოქიის სასახლე საგონებელს მისცემოდა.

ყოველდღე იწვევდნენ სამხედრო საბჭოს. გუბერნატორი რჩევას სთხოვდა ქვეშევრდომებს, ეველრებოდა, ილანძღებოდა. შეუძლებელი იყო ასე ყოფნა. საბჭოს წევრები თავს იმტვრევდნენ, გამოსავალს ეძებდნენ. ანტიოქიის სასახლეში გამობრძმედილი დიპლომატები იყვნენ და მათ იპოვეს გამოსავალი.

ცხადია, რომი სამხედრო ექსპედიციას ვერ მოაწყობს; მაგრამ ხომ შეიძლება ძველი ხელშეკრულებები გაიხსენონ და რომელიმე ვასალური სახელმწიფო წააქეზონ, რომ ამ უკანასკნელმა პოლიტიკური აქცია მოაწყოს ედესაში და დამნაშავეები შეიპყროს. მაგალითად, ედესის მეზობელს, კომაგენელ მეფე ფილიპეს რომ დაეინებით მოსთხოვონ, რა გზითაც უნდა ვარონი და ტერენციუსი ხელში ჩაიგდოს? არსებობს საშუალება; რომლითაც მეფე ფილიპეს დაითანხმებენ. ხოლო როდესაც კომაგენე ზომებს მიიღებს, ყველაფერი რიგზე იქნება. დანაშაული მეფეს გადაბრალდება. პართიას განუცხადებენ, ფილიპეს მხოლოდ პოლიციური ზომების მიღება ევალებოდა, მაგრამ მან ცუდად გაიგო დავალება და თავის უფლებებს გადააბიჯა.

ცეიონმა, რომელიც ყოველგვარ შესაძლებლობას ხარბად აკვირდებოდა, იქნებ რამე გზა გამოჩნდესო, შვებით ამოისუნთქა. იმავე დღეს კომეგენელ მეფეს წერილი გაუგზავნეს.

7

გონიერება და სიშმაგე

როდესაც ვარონმა ამ წერილის ამბავი შეიტყო, დაღლილობა მოეძალა და სხეული მოუდუნდა. სენატორს აღიზიანებდა ის გარემოება, რომ ორმოცდაათი წლის, სიბერეში წასული კაცი ვნებათა ღელვას აჰყვა და ესოდენ სახიფათო თამაში წამოიწყო. რასაკვირველია, ეს არ იყო მხოლოდ თამაში, საქმე ეხებოდა ალექსანდრეს იდეას, აზიის შერწყმას ევროპასთან. მაგრამ იქნებ მხოლოდ იმიტომ მიემხრო ამ იდეას, რომ თავისი დაუდგრომელი ბუნებისათვის საკვები მიეცა და ძალაუფლების წყურვილი მოეკლა?

დიდხანს იჯდა ასე და თავისი თავი ბებერ, გამოფიტულ კაცად მიაჩნდა. მერე ნელ-ნელა დაუბრუნდა აზრის სინათლე, დაუბრუნდა ენერგია. დიახ, ანტიოქიაში შედგენილი გეგმა, რომლის მიხედვითაც საკუთარი ჯარი კი არ უნდა შეესიათ ედესისათვის, არამედ კომაგენეს მეშვეობით შეეპყროთ დამნაშავენი, ერთობ ხერხიანი გეგმა იყო. პართიის მეფეს, არტაბანს, შეიძლება რომაელებზე მართლა გაელაშქრა, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთა, სირიელთა წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში ხმალს არ აღმართავდა. კომაგენესა და ედესას შორის შეტაკება თუ მოხდა, ვარონისა და მისი იმპერატორის საქმე წასულია, აღარსაიდან შველას არ უნდა მოელოდნენ.

შეტაკება თუ მოხდა. მაშასადამე, ყველაფერი მეფე ფილიპე კომაგენელზეა დამოკიდებული. შეასრულებს თუ არა იგი ცეიონის მოთხოვნას, ვალდებულია თუ არა შეასრულოს ეს მოთხოვნა?

ვარონმა ფილიპეს ადგილას წარმოიდგინა თავი. ფილიპე ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი იყო, ბერძენ და სპარს მეფეთა შთამომავალი, კაცი ფრიად განათლებული, რომელსაც ამ ქვეყნად ყველაზე უფრო ხელოვნება და მეცნიერება იტაცებდა. ნერონს უყვარდა კომაგენელი მთავრები და სხვებისგან არჩევდა. რომის დღევანდელი მმართველები კი გასაქანს არ აძლევდნენ მათ. ჯერ კიდევ ბებერი, გაუთლელი ვეს-

პასიანე მძულვარებით უყურებდა კულტურულსა და ესთეტ მეფე ფილიპეს, ხოლო ტიტუსი თავით ფეხებამდე აღმოსავლელ კაცად თვლიდა მას. ფილიპე ერთობ ჭკვიანი იყო და ასეთი გამოხდომებისაგან თავს არ იცავდა; პირიქით, ყოველ ახალ შემოტევას ახალი თავაზიანობით პასუხობდა. მაგრამ ვარონი დარწმუნებული იყო, რომ გულის სიღრმეში ფილიპეს სძულდა ეს ტლანქი, უხეში ჯარისკაცები, რომლებიც ამ მხარეში რომს განასახიერებდნენ. ეჭვი არ იყო, თავის გულში იმას თანაუგრძნობდა, ვისაც ნერონი ერქვა, მიუხედავად იმისა, მართლა ნერონი გამოდგებოდა თუ არა იგი. მაგრამ კომაგენე ევფრატის გაღმა ნაპირას, რომაელთა მხარეს, მდებარეობდა და მის სატახტო ქალაქში, სამოსატაში, რომის ძლიერი გარნიზონი იდგა. მეფე ფილიპე თუ წინააღმდეგობას გაბედავს, რომაელები ბევრს აღარ დაახანებენ და კომაგენეს თავიანთ იმპერიას შემოუერთებენ. მაშ მეფე ფილიპემ თავისი სურვილის წინააღმდეგ უნდა შეასრულოს გუბერნატორის მოთხოვნა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვს?

ახალგაზრდა მეფის მეგობრები ამბობდნენ, ფილიპეს არსებაში შეერთებულია სპარსელების, ბერძნების და სირიელების საუკეთესო თვისებები: სპარსული ღვთისმოსაობა, ბერძნული განათლება და სირიული მოხერხებაო; მტრები კი იმ აზრისა იყვნენ, რომ მეფეს ამ ხალხის ყველა ცუდი თვისება ჰქონდა შეძენილი: სპარსული მცონარობა, ბერძნული უნიათობა და სირიული ვერაგობა. თვითონ ვარონი მხოლოდ ორჯერ შეხვედრია პირისპირ ფილიპეს. სენატორსა და ახალგაზრდა მეფეს აშკარად მოსწონდათ ერთმანეთი. ახლა ვარონის ბედი ფილიპეს ხელთ იყო. ვარონმა გადაწყვიტა სამოსატაში წასულიყო, კომაგენეს სატახტო ქალაქში.

იმავე დღეს გაუდგა გზას.

მეფე ფილიპეს გაეხარდა ვარონის მოულოდნელი სტუმრობა, მაგრამ დიდი უხერხულობაც იგრძნო. სენატორს გაგებული ექნებოდა ანტიოქიის დავალება. მაშ, რატომ უვარდება ხელში თავისი ნებით? რა უდევს გუნებაში? მაგრამ ორივე — სტუმარიცა და მასპინძელიც ზრდილი ხალხი იყო. სანამ სუფრას უსხდნენ, არც ვარონსა და არც მეფეს კრინტი არ და-

უძრავთ იმ საკითხზე, რომელიც ორივე მათგანს აწვალებდა. პირიქით, ცხოველი საუბარი გააბეს ხელოვნებისა და ლიტერატურის ირგვლივ და მხოლოდ ხანდახან, პაუზების დროს, ეკითხებოდა თავს ფილიპე, მართალია, კარგი კაცია, მაგრამ ხომ არ ჯობია კარებთან დარაჯი დავუყენო და ხვალ დილით ანტიოქიაში გავგზავნოო.

ნასადილევს ვარონმა პირდაპირ დაიწყო:

— ერთობ დიდი თავაზიანობა არაა, ჩემი მხრივ, მეფეო, ლაშქრობის დავიდარაბა რომ აგაშორეთ და ჩემი ფეხით მოვედი?

მეფე ფილიპეს აღარ უცდია მღელვარების დაფარვა. წამოდგა. იგი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, პატარა ნიკაპი ჰქონდა. არეული, უხერხული ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ოთახში, ვარონის წინ შეჩერდა, თავისი დიდი, ბეცი თვალები შეანათა და უთხრა:

— გაოცებული ვარ, ჩემო ვარონ; ზედმეტია იმაზე ლაპარაკი. — რამხელა უსიამოვნებას მაყენებს გუბერნატორის დავალება. მაგრამ აღმოსავლეთის ისეთი მცოდნე, როგორიც თქვენ ბრძანდებით, სხვაზე უკეთ გაიგებს, რომ შეუსრულებლობა არ იქნება.

— რასაკვირველია, უნდა შეასრულოთ, — დაემოწმა ვარონი, — ჩვენ, ნერონსა და მე, ცოტა შანსი გვაქვს, რომ რამეს გავხდებით; თუნდაც არტაბანმა ოცი-ოცდაათი ათასი კაცი მოგვაშველოს, თუმცა ესეც საეჭვოა ჯერჯერობით, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მაინც რომს უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. გონიერება გიკარნახებთ, მეფეო, რომ გუბერნატორის დავალება შეასრულოთ. გარდა ამისა, ასეთ საქმეში დიდ სარგებლობასაც ნახავთ. ედესას დასჯიან, მის სამფლობელოებს დააქუცმაცებენ და, თუ ექსპედიცია წარმატებით დამთავრდა, გვარიან ნაწილს თქვენს სამეფოს შეუერთებენ.

მაღალი, გამხდარი მეფე ფილიპე უმწეოდ შესცქეროდა მშვიდად მოსაუბრე ვარონს. სწორედ ასე იყო საქმე. ამაზე უკეთ თვითონაც ვერ ჩამოაყალიბებდა იმ მიზეზებს, რომლებიც უკარნახებდნენ, რომ გუბერნატორის სურვილი შეესრუ-

ლებინა. მას შეცბუნებული და ნირწამხდარი სახე ჰქონდა. აქამდე ასე ეგონა, ვარონი გადაწყვეტილებას კი არ განუმტკიცებდა, არამედ შეედავებოდა და ეჭვებს გაუღრმავებდა.

მაგრამ ვარონს ჯერ არ დაემთავრებინა ლაპარაკი. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ წყნარად დაიწყო:

— ცხადია, ედესაში, მთელ მესოპოტამიაში და მეფეთმეფე არტაბანის კარზეც განცვიფრდებიან, როდესაც მეფე ფილიპე იმპერატორ ნერონს რომაელი უზურპატორის ხელში ჩააგდებს. იტყვიან: თუკი პატარა ედესამ ასე მტკიცედ გამოიდო თავი ნერონისათვის, დიდმა კომაგენემ რატომ ვეღარ გაბედაო. შესაძლებელია არტაბანი აპირებს კიდეც ნერონის მხარეზე გადასვლას და მხოლოდ იმას ელოდება, რომ ჯერ მესოპოტამიის კიდევ ერთმა სახელმწიფომ ალიაროს იგი. მაგრამ მეფე ფილიპე კომაგენელს რა ესაქმება, ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე მილიონ აღმფოთებულ სირიელ პატრიოტთან, თუკი ედესის მოზრდილ ნაწილს შემოიერთებს?

უცნაურია, მაგრამ მეფე ფილიპე სიამოვნებით ისმენდა, როგორ დასცინოდა ვარონი მის მორჩილებას და გაუბედაობას. ფილიპეს უყვარდა სიმდიდრე და ფუფუნება, თავდაწერილი მშენებელი იყო და გულს უხარებდა იმაზე ფიქრი, რომ ედესაში ნაშოვნი ნადავლით ახალ სასახლეებსა და თეატრებს, ახალ ქალაქს ააგებდა. მეორე მხრივ დიდი იყო ცდუნება, შემთხვევით ესარგებლა და, ბოლოს და ბოლოს, ამხედრებულიყო თავგასული და უხეში დასავლელი მკვეხარების წინააღმდეგ, რომელთაც ატკბობდათ თავიანთი ძლიერება და ტლანქად და ბრიყვულად ამჟღავნებდნენ წამდაუწუმ. ხუმრობა საქმე როდი იყო, რომ სწორედ მას, სირიის მეფეს, ჯალათისთვის გადაეცა კაცი, რომელზედაც მთელი სირიული მესოპოტამია ამდენ იმედებს ამყარებდა.

ვარონმა განაგრძო:

— მე მგონია დაგანახვეთ, მეფეო, რომ ღირსეულად ვაფასებ იმ მიზეზებს, რომლებიც ასეთ ნაბიჯს გადგმევინებენ. ამიტომ ვერ დაგძრახავთ თუ ისე იმოქმედებთ, როგორც გონება გიკარნახებთ. მაგრამ რაკი გადაგიწყვეტიათ საქაჩულას ხელში ჩამაგდოთ (იმედი მაქვს სიამოვნებით არ აკეთებთ ამას), მეც

გულში წყენა არ დამრჩება თქვენს მიმართ, ნება მომეცით, ერთი კადნიერი შეკითხვა მოგცეთ.

— ბატონი ბრძანდებით, მკითხეთ. — მიუგო მეფემ.

მაღალი და გამხდარი ფილიპე იჯდა მინერვას ქანდაკების ქვეშ, რომელიც აგრეთვე მაღალი და გამხდარი იყო, როგორც ამას მაშინდელი მოდა მოითხოვდა.

— ამგვარად თქვენ შეასრულებთ მოთხოვნას, — უთხრა ვარონმა, — და რომიც სამაგიეროდ სამფლობელოს გაგიფართოებთ. მაგრამ გაივლის ხანი და რომი ახალ დავალებას მოგცემთ, რომელიც თქვენთვის სასიამოვნო არ იქნება. თქვენ დაემორჩილებით იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც დღეს ემორჩილებით; მესამედ კიდეც მეტს მოგთხოვთ რომი და ბოლოს დადგება დღე, როდესაც უარის თქმა მოგიხდებათ, ან არა და იძულებული იქნებით იმდენი რამ დათმოთ, რომ შემდეგ დასათმობი აღარაფერი დაგრჩეთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორ ფიქრობთ, მეფეო, მიუხედავად თქვენი მორჩილებისა, ვერ იპოვის რომი საბაბს, კომაგენე თავის სამფლობელოებს შეუერთოს?

მეფე ფილიპემ დიდი, ჭკვიანი სახე ვარონისაკენ შემოაბრუნა და პირი ოდნავ გააღო. შესცქეროდა სტუმარს იგი, დიდებულ მეფეთა ჭკვიანი, სევდიანი, ოდნავ ნაგვიანევი, დაღლილი ნაშიერი. იგი დუმდა და მთელი მისი არსება პირქუშსა და მწარე დასტურს გამოხატავდა.

ვარონი ტკბებოდა მისი დუმილით. შემდეგ უთხრა:

— მადლობელი ვარ ასეთი პასუხისთვის. ედესა კომაგენეზე მცირეა. მეფე მალუქი არც თუ ისე განათლებული კაცია, შარბილი კი მღვდელია, ფანატიკური ცრურწმენებით შეპყრობილი. მაგრამ მათ სირიულ თავებს უნარი აქვთ ჯანსაღად შეაფასონ სინამდვილე და, როდესაც ანტიოქიიდან გუბერნატორის ბრძანება მიიღეს, ალბათ, თქვენზე და ჩემზე ნაკლებად როდი ესმოდათ, რას მოითხოვდა კეთილგონიერება. მე არ ვიცი, რამ გადააწყვეტინა მათ, რომის მოთხოვნას წინ აღდგომოდნენ. უთუოდ ასე განსაჯეს: თუ რომს ყველაფერში დავემორჩილებით, დღეს თუ ხვალ შთაგვნთქავს, ეს ასპროცენტიანი ამბავია. მაგრამ თუკი ამ ჩინებულსა და მაცდუნებელ

საბაბს ჩავეჭიდებით და წინააღმდეგობას გავწევთ, ვინ იცის, ჩვენი შთანთქმა იქნებ მაშინაც შესაძლებელი გახდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ოთხმოცდაათპროცენტიანი ამბავია. ჯობია, ახლა გვქონდეს მეათედი შანსი, ვიდრე მომავალში — არავითარი. თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით, მეფეო ფილიპე. თქვენი სამეფო კიდეც რომ გააუქმონ, მეფის ტიტულსა და შემოსავლის ერთ ნაწილს მაინც დაგიტოვებენ. რომში დასახლდებით, სენატში დაჯდებით, ირგვლივ პოეტებს, არტისტებსა და ქალებს შემოიკრებთ. აგცდებათ სახელმწიფოს მართვით გამოწვეული მრავალი უსიამოვნება, ხოლო რომსა და სამოსატას შორის დიდი მანძილია, აღმოსავლური ღმერთებისა და აღმოსავლელი ხალხის წყევლა თქვენს ყურამდე შორეული ზღვის ხმაურივით მოაღწევს. რომაელი დიდკაცის ცხოვრებას აქვს თავისი მომხიბლაობა. ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, მეფეო ფილიპე, რომ ბოლო ხანებამდე მქონდა საშუალება, რომში დავბრუნებულიყავი და ისე მეცხოვრა, როგორც ახლა აგიწერთ. თქვენ გიკვირთ, რომ ამისდა მიუხედავად, მე მაინც ჩემს ნერონს მივეხმარე. ეს ამბავი ჩემთვისაც კი არაა სავსებით ნათელი. ჩვენ, ძველი თაობის წარმომადგენლები, გონებას თქვენსავით ყველაფერზე მაღლა არ ვაყენებთ. ალბათ, სხვაგვარად მოწყობილი გონება გვაქვს, ჩვენ თუ ზოგიერთ განყენებულ იდეაზე უარს გვათქმევინებენ, ამის შემდეგ ხანდახან ფუფუნებით სავსე ცხოვრებაც აღარ გვიზიდავს.

მეფე ფილიპე ისევ გაუნძრევლად იჯდა მინერვას ქანდაკების ქვეშ. დაძაბული უსმენდა, ფერმკრთალ, გრძელ სახეზე უაზრო გამომეტყველება აღბეჭდოდა.

— განაგრძეთ, ჩემო ვარონ, — სთხოვა მან ბოლოს, როდესაც სენატორმა ლაპარაკი დაამთავრა.

— მე უკვე ყველაფერი ვთქვი, — მიუგო ვარონმა. — ჰო, მართლა. ნუთუ ბედის დაცინვა არაა, რომ ჩვენი ნერონის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, პირველსავე ხანებში თავს დაგვესხმის თუ არა რომი. თუ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა და იმპერატორმა სამ-ოთხ კვირას გაძლო, შემდეგ მას მეფე არტაბანი გამოუცხადებს ნდობას და ნერონს

წლების მანძილზე შიში აღარაფერისა ექნება. თუკი ის ნამდვილად წარმატებას მიაღწევს, თუკი, ვთქვათ, არტაბანი ზურგს გაუმაგრებს, თუკი აღმოსავლეთი საკუთარი თვალით ნახავს და იწამებს, რომ „ნერონი ცოცხალია, ნერონი აქ არის, ნერონი მეფობს“, მაშინ მარტო მისი სახელიც და არსებობაც კი რომისათვის განუწყვეტელი მუქარა იქნება, თუნდაც დროდადრო ნერონს ძლიერი ლაშქარი არც ეყოლოს: ამ დროს მას თავისუფლად შეეძლება ტრამალებში მიიმალოს და საჭირო მომენტში ისევ გამოჩნდეს. რომს დიდი არმია ჰყავს, მაგრამ იმდენ ჯარისკაცს მაინც ვერ იშოვნის, რომ აღმოსავლეთის არც ერთი კუნჭული გადაუჩხრეკელი არ დარჩეს. თანაც ეს ამბავი პართიასთან ახალ ომს გამოიწვევდა, რაც დღესდღეობით გამორიცხულია. მარტო ედესა ცოტას ნიშნავს; მაგრამ თუ ედესამ და კომაგენემ ერთმანეთს ხელი მისცეს, ნერონის საქმე კარგადაა, ნერონს შეუძლია ამოქმედდეს.

მეფე ფილიპე სულგანაბული უსმენდა ვარონს. დიახ, ამ კაცს გადაწყვეტილება მიუღია. თვითონ ფილიპესაც დიდი სურვილი აქვს მხარში ამოუდგეს მას, მაგრამ გამბედაობა არა ჰყოფნის. ვარონმა იცის, რატომ ყოყმანობს ფილიპე, რა აკრთობს მას, მის სულში თვითონ ფილიპეზე ღრმად იხედება და იმ კუნჭულებში, სადაც გონება არ მბრძანებლობს, პოულობს გონების დასამარცხებელ ძალას. ფილიპეს მოსწონს და აოცებს ეს კაცი. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, განა უფრო ჭკვიანური არ იქნება, რომ საკუთარი ღირსება არავის შეალახვინოს? ეს კაცი მართალია: თუ ფილიპე ყველაფერში დაემორჩილება რომაელებს, კომაგენეს მოჩვენებით დამოუკიდებლობას სულ მალე ბოლო მოეღება. მაგრამ თუ წინააღმდეგობას გასწევს, მაშინ მას ხსნის იმედი ექნება, თუნდაც სულ პატარა იმედი.

— მე მოველაპარაკები ჩემს კაპიტანს — ტრებონს, — თქვა მეფე ფილიპემ. ახლა, როცა მან გადაწყვეტილება მიიღო, თითქმის გამხიარულდა. — და ცუდად ნუ ჩამომართმევთ, — დაამთავრა მან და მთელ სახეზე ღიმილი გადაეფინა, — თუ რამდენიმე ხანს თქვენს კარებთან მცველებს დავაყენებ.

კიდევ ერთი რომაელი ოფიცერი

კაპიტანმა ტრებონმა სამსახური რეკრუტობით დაიწყო. ახლა ის მეთოთხმეტე ლეგიონში კადრის ოფიცერი იყო. აღმოსავლეთის ჯარისკაცთა შორის დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მტერმაც და მოყვარემაც იცოდა, მან რომ თავი ისახელა სომხეთთან და ჰურიასტანთან ომში. ეს კაცი, რომელსაც მრგვალი თავი, მსხვილი კისერი და რუხი-წაბლისფერი თმა ჰქონდა, სამსახურის დროს მეტისმეტად მკაცრი და უხეში იყო, სამსახურის შემდეგ კი თავის ჯარისკაცებს თანასწორივით ექცეოდა, მათთან ერთად ლოთობდა და მრუშობდა. მისი ყოველი ტლანქი ხუმრობა პოპულარული ხდებოდა. მთელ არმიას განსაკუთრებით უყვარდა იგი, ადგილობრივი მოსახლეობა კი ყველგან აღტაცებული შეძახილებით ხვდებოდა.

ანტიოქიელი გუბერნატორის სასახლეში და რომის სამხედრო სამინისტროში მისი პოპულარობის ამბავი, რა თქმა უნდა, იცოდნენ. იმპერატორი ვესპასიანე დიდად აფასებდა ხალხურ იუმორს და გადაწყვიტა, ტრებონისათვის წარჩინება ებოძებინა; მაგრამ ზოგიერთმა არისტოკრატმა, რომელთა აზრით კაპიტანი ტრებონი ერთობ გაუთლელი კაცი იყო, ამ საქმეს ეჭვის თვალით შეხედა და იმპერატორიც აღარ ახირებულა. ასე რომ მდაბიო კაპიტანი, რაკი რაინდად არ აკურთხეს, სიკვდილამდე კაპიტნობას ვეღარ გასცდებოდა. თუმცა ხშირად აქილიკებდა არისტოკრატ ვაუბატონებს, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს კმაყოფილი იყო არმიის სიყვარულით და პოლკოვნიკობა და გენერლობა ფეხებზე ეკიდა, მაგრამ მაინც ვერ მოენელებინა, რომ მაღალ საზოგადოებაში არ შეუშვეს.

ტრებონი პატივმოყვარე კაცი იყო და მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული. გმირული საქმეების გამო სამაჯურითა და ძოწეულის ალმით დააჯილდოვეს, თავისთვის და თავისი ცხენის ვიქტორისთვის პირველი ხარისხის ყელსაკიდებიც დაიმსახურა. მაგრამ ვერ ეღირსა „გალავნის გვირგვინს“, ოქროს

გვირგვინს, რომლითაც იმათ აჯილდოვებდნენ, ვინც ალყაშემორტყმული ქალაქის გალავანზე პირველი აიჭრებოდა. თვითონ დარწმუნებული იყო, რომ ორჯერ დაიმსახურა ეს ჯილდო. ზიზღით იჩეჩავდა მხრებს და ბოხი ხმით იცინოდა უსინდისო ვაჭრუკანებზე, რომელთაც მისი ჯილდო სხვებს მიჰყიდეს. მიუხედავად ამისა ეკლად ესობოდა ეს ამბავი.

კაპიტანი ტრებონი სამოსატაში და პოლკოვნიკი ფრონტონი ედესაში თავიანთი ტიტულების შესაბამისად ერთსა და იმავე მოვალეობას ასრულებდნენ. მაგრამ ანტიოქიის ხელისუფლებმა კარგად იცოდნენ, რატომ ჩაუყენეს ედესის ხუთასიან ლაშქარს სათავეში არისტოკრატი ფრონტონი და ორიათასიან ლაშქარს, რომელიც კომაგენის ოთხ ქალაქში იდგა, — კაპიტანი ტრებონი. ედესაში დიპლომატიური მოქნილობა იყო საჭირო, იქ რომაული გარნიზონის კომენდანტობა უკიდურესად საპასუხისმგებლო მოვალეობად ითვლებოდა. სამოსატაში ტრებონის დანიშვნით ორი საქმე გააკეთეს: ჯერ ერთი, ათვალწუნებული მეფე ფილიპე დაამცირეს, რაკი რომის წარმომადგენლად ასეთი მდაბიო მიუგზავნეს, მერედა იცოდნენ, საყვარელი კაპიტანი ტრებონი რა ჭკუის პატრონიც იყო და სამოსატაში შემოსავლიან ადგილზე დანიშნეს, იქ მას დიდი გამჭრიახობის გამოჩენა არ სჭირდებოდა, ყველაფერი თითქმის თავისთავად კეთდებოდა. მაგრამ სარდლობამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ორივე ოფიცერი გაანაწყენა: ფრონტონს კულტურულ სატახტო ქალაქში, სამოსატაში, ყოფნა ერჩია, პატივმოყვარე ტრებონს კი ედესაში, საპასუხისმგებლო თანამდებობისკენ მიუწევდა გული.

ის პატივმოყვარეობის შელახვას იმით ინაზღაურებდა, რომ კომაგენეს მოსახლეობას უსინდისოდ ყვლეფდა. არ ფარავდა, რომ კომაგენეს ბატონ-პატრონად ფილიპეს კი არა, თავის თავს სთვლიდა. შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა და საკუთარ ჯიბეს ისქელებდა. ეს ტლანქი კაცი საზეიმოდ მორთული დაიფხორებოდა სამოსატის ლამაზ ქუჩებში. ჯილდოების მთელი ასხმა ეკიდა, ტანზე ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი მუნდირი ეცვა, ხოლო მის იარაღს ისეთი ლაპლაპი გაჰქონდა, რომ ამაზე მეტი უკვე წესდებით იყო აკრძალული. მეფის

საკადრისი სასახლე ედგა, დიდ-დიდი საჯინიბოები ჰქონდა მოწყობილი, მთელ სამეფოში გაშმაგებული სდევდა ქალებსა და ნადირს.

მეფე ფილიპე, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო, რომაელებმა მასთან სწორედ ეს ოფიცერი რომ გამოგზავნეს, მაგრამ მას, სპარსთა და ბერძენთა ლმერთებისა და მეფეების შთამომავალს, ამ კაცის შეხება გულს ურევდა. თუმცა, როდესაც კაპიტანი მსუქანი ხელით ტანსაცმელზე წაეპოტინებოდა ან ბანჯგვლიან მკლავს შემოხვევდა, მეფე ფილიპე თავს ძალას ატანდა, რომ გველნაკბენივით უკან არ დაეწია. ის ხუთი თითივით იცნობდა ტრებონს: კაპიტანი აზარტის კაცი იყო, ფათერაკების მაძებარი და ვნებებს აყოლილი. ამას გარდა, უფროსების მიმართ გულში წყენა ჰქონდა. საჭიროების შემთხვევაში მისი გადმობირება ძნელი საქმე არ უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, ასეთი შემთხვევა კარზეა მომდგარი. მეფე ფილიპემ ვარონთან საუბრის დამთავრებისთანავე კაპიტანი ტრებონი იხმო.

ტრებონი გამოცხადდა, მხიარულ გუნებაზე იყო. მძიმედ გადაიშხლართა ლამაზ სავარძელში.

— მაშ ასე, მეფეო ფილიპე, — დაიწყო მაღალი და უფერული ხმით, — დედაჩემის შვილი ედესაში გაინავარდებს. ახლა კი დიდ საქმეში გამოცდით, რა ბიჭია ტრებონი, კორინთოსა და სუსას შუა რაც ლამაზი ქალია, სულ მეფე მალუქის ჰარამხანაშია თავმოყრილი. ერთხელ კიდევ მოგვიწევს კაი დროსტარება ამ სიბერეში. თქვენ ორი და მე ერთი. მაგრამ რა სახე ჩამოგტირით, ჭაბუკო მეფევ. მე თქვენ გეუბნებით, ეს ნერონი თავის მალუქიანად და შარბილიანად ლუკმად არ გვეყოფა. ვარონი ხომ უკვე ხელში გვყავს. — და ტრებონი თავისებურად აროხროხდა.

ფილიპეს წამითაც არ გაუმჟღავნებია, რა უხეშად ხვდებოდა ყურში ამ კაცის შინაურული ლაყბობა და დალმატური დიალექტი.

— რა თქმა უნდა, რომმა დიდი პატივი დამდო, — უპასუხა მან მშვიდად დახვეწილი და სუფთა ლათინურით, ეს

დახვეწილობა შურით ავსებდა ხოლმე ტრებონს, — რომ სწორედ მე მომანდო ეგ საქმე. მაგრამ ამ საპატიო ფიალაში რამდენიმე მწარე წვეთია. პირველი წვეთი: ჩემთვის უსიამოვნოა ჩემი მეგობრის, მალუქის წინააღმდეგ გალაშქრება.

ტრებონი გაიღიმეა.

— მესმის თქვენი გულის ნადები, ჭაბუკო მეფეე, — მიუგო მან, — გეშინიათ, თქვენი ჯერიც არ მოვიდეს და კომაგენეც არ გადავყლაპოთ. მაგაზე ნუ იდარდებთ. თუ ახლა ყოჩაღად მოიქცევით, კაპიტანი ტრებონი სიტყვას შემოგაწევთ. ხომ იცით, ჩემ სიტყვას პალატინზედაც ფასი აქვს.

— მადლობელი ვარ, რომ ასეთი კარგი აზრისა ხართ ჩემზე, — გაიღიმა ფილიპემ, — ახლა მეორე წვეთი, — განაგრძო მან, — მე იურიდიული მხარეც მაეჭვებს. რომთან ხელშეკრულების თანახმად იმპერატორსა და მის ნაცვლებს სასამართლო ძიებებში დახმარება უნდა გავუწიო, თუ საქმე ჩემს სამფლობელოში მცხოვრებთ ეხება. მაგრამ როდის აქეთ გახდა ედესა ჩემი სამფლობელო?

— ასეთი წვრილმანი გაღონებთ, ჭაბუკო მეფეე? — კითხვითვე უპასუხა ტრებონმა. — მე იურისტი არ გახლავართ. მაგრამ ამ საქმეს ჩვენი იურისტები მოუვლიან, ისინი ადვილად მონახავენ გამოსავალს. მაგალითად, ავდგებით და ედესს ერთ ნაწილს თქვენ გიბოძებთ. ჰოდა, თქვენი სამფლობელო იქნება. ამაზე ზრუნვა მე მომანდეთ.

ის ტანსაცმელზე წაეპოტინა მეფეს, მკერდსა და მკლავებზე ჯილდოები აუჟღარუნდა.

ფილიპე წამოდგა. მინერვას ქანდაკების წინ გაჩერდა, მაღალი და ხმელი.

— ახლა მესამე წვეთი, ყველაზე მწარე, — თქვა მან თავისი აუღელვებელი ხმით, — იმპერატორი ნერონი იულიუს კეისრის გვარეულობის უკანასკნელი შთამომავალია, მე კი ალექსანდრეს უკანასკნელი შთამომავალი ვარ. იქნებ ამნაირი მოსაზრებები სენტიმენტალური გეჩვენოთ: მაგრამ ეს კაცი რომ ნერონი აღმოჩნდეს, განა უსასიზღრესი საქმე არ იქნება, ალექსანდრეს შთამომავალმა ჯვარს აცვას კეისრის შთამომავალი. რაო, თქვენ დანამდვილებით იცით, რომ ეს კაცი ნერო-

ნი არაა? სენატორი ვარონი მარწმუნებს, ეს კაცი ნამდვილად ნერონიაო. ამ მიზნით მოვიდა ის თავისი ფეხით ჩემთან.

„რა თავის დაჭერა იცის ამ ყმაწვილმა“, გაიფიქრა ტრებონმა, „რა კოხტად მაგრძნობინა, თვითონ ვინ არის და მე ვინ ვარ. მაგრამ მეცოდინება, აბა რა იქნება, ბავშვობიდანვე მეტს თუ არაფერს გასწავლიდნენ. ერთი ამისთვის მაბრძანებინა: — ნაბიჯი წინ! შუბი თავს უკან! ვნახავდი რა თავის დასაჭერად ეცლებოდა“.

— დანამდვილებით ვიცი თუ არა? რა შეიძლება დანამდვილებით იცოდე ამ უკუღმართ წუთისოფელში? მაგრამ რაკი ტიტუსი, რომის არმიის მთავარსარდალი მიბრძანებს, ეს კაცი ნერონი არ არისო, ესე იგი არ არის.

მეფე ფილიპე მეოცნებე სახით დასცქეროდა თავის გრძელ ხელებს და ხმამაღლა ფიქრობდა:

— შეიძლება ეგ მთავარსარდალი კარგი ჯარისკაციც იყოს, ნერონი კი, როგორც ამბობენ, კარგი ჯარისკაცი არ ყოფილა. ოღონდ ნერონს სიძუნწეს ვერავინ დასწამებდა, ეს ახალი კარგი ჯარისკაცები კი ხელგაშლილობით არ გამოირჩევიან. ლაშქარს ნერონი უყვარს. როდესაც ლეგიონები იმპერატორ ნერონს დაინახავენ, ალბათ, უყოყმანოდ მიემსრობიან. მე თვითონ ბავშვი ვიყავი, როდესაც ნერონი ვნახე, მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა და მისი სურათის დანახვაზე მოწიწებისაგან ახლაც მუხლები მიკანკალებს. ასე მგონია, მე და ჩემს ქვეყანას თავს ღმერთების რისხვა დაგვატყდება, იმპერატორ ნერონზე, აღმოსავლეთის მეგობარზე, ხელი რომ აღვმართოთ.

კაპიტანი ტრებონი ყურადღებით უსმენდა, ერთხელაც არ გაღმეჭილა. და მან ქარაგმულად უპასუხა ფილიპეს, როგორც ადრე ფრონტონმა უპასუხა შარბილს:

— ასეთმა მოსაზრებებმა შეიძლება მეფე დააეჭვოს, მაგრამ კაპიტანს ვერ დააეჭვებს.

— გაოცებული ვარ, — თავაზიანად უპასუხა მეფემ, — რომ ჩემი ტრებონი თავის წოდებას ეფარება. სხვა დროს ხომ კაპიტანივით კი არა, კომაგენელი მთავარივით მსჯელობდა და იქცეოდა. განა ზოგიერთების უმადურობას არ უნდა მივაწე-

როთ, რომ ტრებონი ისევ კაპიტანია? კარგი ჯარისკაცი გასამრჯელოსაც კარგს უნდა იღებდეს. ეს ხომ უდაოა. ალბათ, ნამდვილი ჯარისკაცული საქციელი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, იქნებოდა არა ზოგ-ზოგებისათვის, არამედ მოწყალე და დიდბუნებოვანი ნერონისთვის ბრძოლა.

ტრებონი აცმუტდა. რა უდევს გულში ამ ყმაწვილს? რას უნდა ნიშნავდეს, რომ დამყოლი ფილიპე უცბად ასეთი თამამი და ჯიუტი ხდება? ფილიპეს ნიკაპი არა აქვს, უნებისყოფოა, მაგრამ მელაა. ვარონიც მელაა. ორი მელა რომ შეითქმება და ცეიონის ბრძანებას გადაუვა, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. გუბერნატორის მოთხოვნის შესრულება ფილიპესთვის სასახელო საქმე არ არის, მაგრამ მომგებიანი კია. იქნებ ნერონისგან მეტს მოელის? თუ ფილიპეს პართიელები ჰპირდებიან დახმარებას?

ტრებონი ბუნდოვანებას ვერ იტანდა. მოურიდებლად ჰკითხა:

— კაცმა რომ თქვას, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? მეფე ფილიპე რომის ბრძანებას არ ემორჩილება?

ფილიპემ გაიღიმა. არეული ნაბიჯებით მიუახლოვდა ტრებონს, თვალი თვალში გაუყარა და ღიმილით უთხრა:

— ეს რა აზრი დაგებადათ, ტრებონ? მეფე ფილიპე ბრძანებას როგორ გადაუვა? მე, რა თქმა უნდა, დავემორჩილები. ვარონი ხომ უკვე ჩვენს ხელშია და ორ კვირაში მალუქმა ის მეორეც რომს თუ არ მიჰგვარა, ედესაზე გავილაშქრებთ.

— არა თუ? — ამოიყიყინა ტრებონმა, მაგრამ შეშფოთება მაინც ვერ დამალა. მისთვის გაურკვეველი იყო, ხუმრობდა მეფე, თუ გუნებაში სხვა რამე ჰქონდა. არც ის იცოდა, კმაყოფილი დარჩენილიყო თუ უკმაყოფილო, ყველაფერმა რომ ასე მშვიდობიანად ჩაიარა.

მის ეჭვს ვაღრმავება ეწერა. გამომშვიდობებისას თავხედმა ჭაბუკმა მეფემ ისევ ორაზროვანი საუბარი წამოუწყო:

— მაშ ასე, წინ ორი კვირაა. ორი კვირა ცოტა დრო როდია. ამ ხნის განმავლობაში კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი, იქნებ ის ედესელი კაცი მართლაც მოწყალე ნერონია; ძალიან საეჭვოა, რომ ტრებონი მის ხელშიაც აქამდე კაპიტანი ყოფილიყო.

9

რომი აღმოსავლეთში

ტრებონმა დაიხსომა ეს სიტყვები და კარგად აწონ-დაწონა.

მას რამდენიმე მაცთუნებელი შესაძლებლობა ესახებოდა. შეეძლო, მაგალითად, ფილიპეს ორაზროვანი სიტყვები ანტიოქიაში შეეტყობინებინა. იქ კომაგენეს მეფეზე ბრალდებებს აგროვებდნენ და თუ ტრებონი ამ მასალებს რამეს მიუმატებდა, ამას, რა თქმა უნდა, დამსახურებაში ჩაუთვლიდნენ. მაგრამ რა ჭირად უნდა ასეთი დამსახურება? ახლანდელი მთავრობა, სულერთია, წარჩინებას არ უბოძებს, დანარჩენს კი ტრებონმა კარგა ხანია მიაღწია.

თუ პოპულარული კაპიტანი ტრებონი ნერონს მიემხრობა, ამით დიდ სამსახურს გაუწევს და სანაცვლოდ ყველაფერი შეუძლია მოითხოვოს; ცბიერი კომაგენელი მეფე არა ტყუის. ტრებონს სენატორის წოდებას უბოძებენ, მიანიჭებენ გენერლობას, შეიძლება, მთავარსარდლობასაც. ხოლო თუ საქმე უკუღმა შეტრიალდა და ნერონმა ვეღარ იმეფა, ტრებონს ყოველთვის ექნება გამოსავალი: ის დროულად გადალახავს ტიგროსს და თავს პართიას შეაფარებს. იქ სახელგანთქმულ კაპიტანს ყოველთვის გაუჩენენ საქმეს, მით უმეტეს თუ ორი ათასი კარგად გაწვრთნილი რომაელი ჯარისკაციც თან წაიყვანა.

ტრებონი მხრებს იჩეჩავდა ხოლმე, როცა ლაპარაკი პოლკოვნიკ ფრონტონზე ჩამოვარდებოდა. მარტო დარჩენილი პოლკოვნიკი ახლა ედესის დიდ ციტადელში ყურყუტებდა და მისი საქციელი ტრებონს მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსვენებას უკარგავდა. მისი აზრით, ასეთი საქციელი უცნაური იყო და ჯარისკაცს არ შეეფერებოდა. ტრებონი თავისთავს ეკითხებოდა, ფრონტონი მარჯვე შემთხვევას ხომ არ უცდის, რომ ნერონთან გადავიდეს და კარიერა გაიკეთოსო.

იგი მოუთმენლად ქშინავდა. რა ქნას, რა გადაწყვეტილება მიიღოს? ტიტუსის არმიაში სამსახური მობეზრდა. ნამდვილი,

ხალისიანი ომი ამ საქმიანი, აბეზარი ვაჟბატონების ხელში მოსალოდნელიც არაა. სულ სხვა საქმეა ნერონთან სამსახური. ნერონი ომს აუცილებლად გამართავს, ეს კი ძველი ჯარისკაცისთვის შარბათზე უტკბილესია. სახიფათო კია ნერონის მხარეს ბრძოლა, მაგრამ ხიფათიანი ცხოვრება არ არის მეომრის ხვედრი? მუდამ იღმიჭებოდა, როდესაც თავის ჯარისკაცებს თავში უტენიდა, თუ რადარა ხერხით აეცილებინათ საფრთხე. ამ ხერხების აღწერით სავსე იყო ფლავიუსების „ელემენტარული სახელმძღვანელო“.

როცა მან პირველად ნერონის გამოჩენა შეიტყო, რამდენჯერმე მოსწრებულად გაიხუმრა. მაგრამ ნაადრევად მოსვლია. ახლა ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა. ვარონი, ფილიპე და ტრებონი სამი მელაა. განა კარგი ნადავლი არ იქნება, თუ ისინი ნერონის კარზე ყველაზე უფრო შემოსავლიან ადგილებს მიიტაცებენ? ასეთი ნადავლისათვის სამმა მელამ რატომ არ უნდა გაჰკრას კბილი რომს, ამ ძუ მგელს, ბებერს, გაძვალტყავებულსა და კბილებჩაცვენილს? კარგი სეირი იქნება, დახვეწილი არისტოკრატი ფრონტონი კარზე რომ მოგვადგება. დაგიგვიანდათ, საყვარელო პოლკოვნიკო, არ მოხერხდება ნერონთანაც და ტიტუსთანაც ერთდროულად ყოფნა, ერთი გავით ორ ადგილზე ვერ დაჯდებით.

ორი კვირის შემდეგ კი არა, მესამე დღესვე წარუდგა კაპიტანი ტრებონი მეფე ფილიპეს. გუბერნატორმა ცეიონმა კაპიტანი ზუსტი ინსტრუქციებით აღჭურვა. ინსტრუქციებში ნათქვამი იყო: რაც უნდა მოხდეს, გავავრცელოთ ჭორი, ვითომ კომაგენეს მეფეს მხოლოდ პოლიციური ჩარევის უფლება მივეცით. რომს სურდა პართიელებისთვის სათქმელი არ მიეცა. თუ მაინც უთანხმოება მოხდებოდა, გუბერნატორ ცეიონს უნდოდა საბუთი ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, რომ მეფე ფილიპე თვითნებურად მოიქცა. კაპიტან ტრებონს მეფე ფილიპე უნდა შეეგულიანებინა, რომ მას სასტიკი ზომები მიეღო ედესის წინააღმდეგ და პასუხისმგებლობაც თვითონვე ეკისრა. ვრცელი ეპისტოლე, რომლითაც ცეიონი თავის ვერაგულ გეგმას იუწყებოდა, კაპიტან ტრებონს თანა ჰქონდა. მართალია, ეპისტოლე მეფისთვის ხელში არ მიუცია,

მაგრამ რამდენჯერმე ამოიღო, ჩაათვალიერა, ერთი-ორი წინადადება წაიკითხა, ნათლად დაანახვა მეფე ფილიპეს, თუ რა ორჭოფული შინაარსი ჰქონდა ამ ეპისტოლეს. მეფე რომაელთაგან დიდი პატიოსნების გამოჩენას არასოდეს მოელოდა. ცეიონის ამ ვერაგობამ, პირიქით, გაახარა, ეს ამბავი კიდევ ერთხელ ცხადჰყოფდა თუ რა სამართლიანი იყო წამოწყებული საქმე.

ცოტა ხანს უმნიშვნელო ამბებზე ილაპარაკეს. მოულოდნელად კაპიტანი ტრებონი მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა მეფე ფილიპეს, ტანსაცმელზე წაეპოტინა, თვალებში ჩახედა და ერთგულად ამოიყიყინა:

— ახლა კი, ჭაბუკო მეფევ, მოდი, ერთი კაცურად ვისაუბროთ. გულახდილად მითხარით: ეს ედესელი კაცი ნამდვილად დიდი, გულუხვი და მოწყალე იმპერატორი ნერონია? ჰო თუ არა?

კაპიტანმა ტრებონმა სახეში შეასუნთქა მეფე ფილიპეს. ფილიპემ არაფერი შეიმჩნია, აიტანა ეს უსიამო შემოსუნთქება, თავისი თაფლისფერი თვალები შეანათა ტრებონის რუხ-ლურჯ თვალებს და მხიარულად და დინჯად უთხრა:

— ჩემს გუმანსა და ვარონის მტკიცებას თუ დავუჯერებთ, იგი ნამდვილად ნერონია.

ტრებონმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და, ისევე როგორც თავის დროზე ფრონტონმა, ღირსეულად განაცხადა:

— მე მხოლოდ უბრალო კაპიტანი ვარ. ასეთ აწეწილ საქმეს უბრალო კაპიტანზე უკეთ მეფეები და სენატორები გაართმევენ თავს.

შემდეგ კვლავ გაიფხორა, გაიღმიჭა, აროხროხდა, ბარძაყებზე ხელები შემოიკრა, წამოროშა:

— დიდი სეირი კი იქნება. ჩვენი ნერონი კარგად იყოს და საქაჩულას კუდით ქვას ვასროლინებთ. ჩინებულია, ჩემმა მზემ.

შემდეგ კვლავ საქმიანი კილოთი თქვა:

— მაშ ასე, ჭაბუკო მეფევ, გენერალ-გუბერნატორის მითითება უნდა შევასრულოთ. ედესას დავლაშქრავთ. იმედი მაქვს, რომ საკმარისად ძლიერ ჯარს გამოიყვანთ. მე თვითონ

მორალური მხარდაჭერისათვის სამას კაცს მოგცემთ. დანარჩენი თქვენი საქმეა. პასუხსაც თქვენ აგებთ.

მან აახამხამა თავისი წყალ-წყალა, თითქმის უწამწამო თვალები.

ვარონი კვლავ საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა, ედესის მეფეს — მალუქს კი წერილი მიუვიდა. ფილიპე კომაგენელი თავაზიანად, მაგრამ დაბეჯითებით მოითხოვდა, კაცი, რომელიც თავისთავს ნერონს უწოდებს, დაუყოვნებლივ სირიის გუბერნატორს მიჰგვარეთო. მთელი სერიოზულობით ურჩევდა თავის ძმასა და მეგობარს მალუქს, სანამ დრო იყო, დამორჩილებოდა რომაელი გუბერნატორის სამართლიან მოთხოვნას. წერილი ასე ბოლოვდებოდა: თუ ორი კვირის განმავლობაში ის კაცი ანტიოქიაში არ გადაგიგზავნიათ, სამწუხაროდ, იძულებული გავხდები რომის იმპერატორთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად გუბერნატორს ჩემი ლაშქარი დავახმაროო.

ამ წერილის ასლი ანტიოქიაში გაგზავნეს. გუბერნატორს ისიც შეატყობინეს, კომაგენეს მეფეს სენატორი ვარონი ხელში ჰყავს, იმედი აქვს, რომ მეორე ბოროტმოქმედსაც შეიპყრობს და თქვენი სურვილის თანახმად ორივეს ანტიოქიაში გადმოგიგზავნითო.

თავისი სიტყვებისათვის მეტი ძალა რომ მიეცა, მეფე ფილიპემ წერილი საკუთარ ბიძაშვილს, უფლისწულ სელევკუსს გაატანა. უფლისწული დიდხანს ესაუბრა მეფე მალუქსა და ქურუმთუპირველეს შარბილს, წერილს სიტყვიერი განმარტებაც დაურთო. საუბრობდა დარბაისლურად და გულახდილად, როგორც აღმოსავლელი მეფეები ესაუბრებიან ერთმანეთს. შადრევანი ჩქეფდა. ვარონის პატიმრობა დიდად საპატიოაო, ყვებოდა უფლისწული, მეფე ფილიპე და ვარონი ყოველდღე საინტერესო ამბებზე ბაასობენ, ხოლო რომაელთაგან ედესის წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაში მონაწილეობას მხოლოდ სამასი კაცი მიიღებსო. უფლისწულმა შიშიც გამოთქვა, კომაგენელი მეომრები მიჩვეულები არიან ბრძოლის მთელი სიმძიმე რომაელებს დააკისრონ და ედესისა და იმპერატორი ნერონის წინააღმდეგ არც ისე მედგრად იბრძოლებენო. პირა-

დად იმ აზრისა იყო, ეს ლაშქარი ევფრატზე გადმოსვლის შემდეგ, ვთქვათ, მეცხრე სვეტთან, იქ, სადაც გზა ბატნესკენ უხვევს, ძლიერსა და გულად მტერს რომ გადაწყდომოდა, სასწრაფოდ უკუიქცეოდა და სამას რომაელს ბედის ანაბარა მიატოვებდა. სხვათა შორის, თქვა მან, თვითონ კაპიტანი ტრებონიც არ არის დარწმუნებული, რომ ეს ნერონი თაღლითია, და თუ იმპერატორი შესაფერისი საჩუქრებით დაუმტკიცებს, რომ იგი ნამდვილი იმპერატორია, ტრებონი ასეთ არგუმენტებს გულცივად არ მოეკიდებაო. ასე და ამგვარად კომაგენეს მეფე სალამს უთვლის თავის მოწინააღმდეგესა და მეგობარს ედესის მეფეს და თუ ის რომაელი გუბერნატორის სამართლიან მოთხოვნას არ დაემორჩილება, პატიოსან და რაინდულ ბრძოლაში გამოიწვევსო.

რამდენიმე დღის შემდეგ მეცხრე სვეტთან, სამოსატასა და ედესას შორის, იქ, სადაც გზა ბატნესკენ უხვევს, სპარსელი და არაბი სოვდაგრები შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც სპარსელმა, ისე არაბმა სოვდაგრებმა სამხედრო ხელოვნების იშვიათი ცოდნა გამოამჟღავნეს. მათ დიდხანს ისაუბრეს იმაზე, თუ რა მოხდებოდა, ამ მიდამოებში კომაგენესა და ედესის ლაშქარი რომ შებრძოლებოდა ერთმანეთს. განიხილეს შესაძლებელი ბრძოლის თვითეული წვრილმანი. მათი ვარაუდით ეს ბრძოლა კომაგენელთა მარცხით უნდა დამთავრებულიყო.

საქმეში ჩახედული სოვდაგრები კარგი წინასწარმეტყველები აღმოჩნდნენ. სამი კვირის შემდეგ ბრძოლა მართლაც ამ ადგილას გაიმართა და კომაგენელთა მარცხით დამთავრდა.

სამასი რომაელი, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობდნენ, პირველად ვერც კი მიხვდნენ, რა ხდებოდა. კაპიტან ტრებონს მიაჩნდა, ჯარისკაცს ყოველგვარ პირობებში უნდა შეეძლოს უფროსისთვის თავის გაწირვაო და ამიტომ ზედმეტად ჩათვალა თავის ხელქვეითთათვის რაიმე ახსნა-განმარტება მიეცა. რომაელ ჯარისკაცებს ვერ გაეგოთ, რატომ ხდებოდა ასეთი უცნაური ცვლილებები კომაგენელ თანამოძმეთა რიგებში, მათ ასეთი უწესრიგო ბრძოლა ჯერ არ ენახათ და უკვე ასამდე ჯარისკაცი დაეცა, სანამ დანარჩენები გონს მოეგებოდნენ და მოწინააღმდეგეს ჩაბარდებოდნენ.

ედესის გამარჯვებული ლაშქარი არნახული ტრიუმფით შევიდა სამოსატაში. განაიარაღეს რომის გარნიზონი, გაათავისუფლეს ვარონი, ხოლო მეფე ფილიპეს თავისავე ქალაქში საპატიო ტყვეობა დაუწესეს.

მეცხრე სვეტთან ბრძოლის დროს დაეცა ოთხმოცდაჩვიდმეტი რომაელი ჯარისკაცი, თექვსმეტი კომაგენელი და თორმეტი ედესელი.

ნერონმა რომ პირველსავე შეტაკებაში გაიმარჯვა, საზღვრისპირა მხარეებში ეს ბედნიერ ნიშნად ჩათვალეს. რომის გარნიზონებმა კარაში, ბატნესა და პალმირაშიაც კი წინააღმდეგობის გაუწევლად დაყარეს იარაღი და ნერონის მხარეზე გადავიდნენ. რამდენიმე ქალაქი, რომელიც დამოუკიდებლად ითვლებოდა, სინამდვილეში კი რომს ემორჩილებოდა, ახლა უკვე მკვდრეთით აღმდგარ ნერონს მიემხრო და რომის სენატს დიდი იმპერატორის სასწაულებრივი გადარჩენა მიუღოცა.

10

მოთმინების ჯილდო

პოლკოვნიკი ფრონტონი მარციას ქორწინებაზე დიდ იმედებს ამყარებდა და მალე დარწმუნდა, რომ არც შემცდარა. ამ ამბით ძალზე კმაყოფილი დარჩა. მექოთნე ტერენციუსის ბველი ნაცნობებისაგან გაგონილი ჰქონდა და თვითონაც თითქმის ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ტერენციუსი ერთ საკითხში, მარციასა და ფრონტონისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხში, ნერონობას ვერ იჩენდა. დარწმუნებული იყო, რომ თუ არ აჩქარდებოდა და მარჯვე შემთხვევას დაუცდიდა, მოთმინება შესაფერისად დაუფასდებოდა.

ამიტომ რამდენადაც შესაძლებელი იყო ხშირ-ხშირად ხვდებოდა მარციას, მაგრამ ზედმეტ სითამამეს არ იჩენდა, ისე იქცეოდა, როგორც ეს კარგად აღზრდილ რომაელს მართებდა, თავს იკავებდა, გრძნობებს მხოლოდ გულისხმიერი მოპყრობით ამჟღავნებდა, სიყვარულზე სიტყვაც არ დასცდენია.

მარციას ქორწინების პირველმა ღამემ გული მოუკლა. მამას მასთან მოლაპარაკება სურდა, მაგრამ მარცია გაურბოდა. მამისა უკვე აღარაფერი სწამდა. სიგიჟეა, იმედი გქონდეს რომ მონა ტერენციუსისთანა კაცი პალატინს დაიპყრობს. მას არ შეჰფერის ნერონობა, იმპერატორის ტიტული ძალით აჰკიდეს, იგი ამ ტიტულს ვერასოდეს შეიფერებს. ძალა-უფლება და დიდება მარციასთვის ისევე მიუწვდომელი იქნება, როგორც სიყვარული. მარცია მოატყუეს, მარცია აღმოსავლეთში უნდა დაჭკნეს. მის ახლოს მყოფთა შორის ფრონტონი ერთადერთი რომაელი იყო და მარციას ფიქრები და ოცნებები ხშირად დასტრიალებდა მას. ის ამბავი, რომ ფრონტონი არ განუდგა ტიტუსს და მაინც ედესაში დარჩა, მარციას სიამაყით უვსებდა გულს. იცოდა, რომ ამის მიზეზი თვითონ იყო. ამ კაცთან სულიერ ნათესაობას გრძნობდა. მათ ერთნაირი ხასიათი და ერთნაირი ბედიღბალი ანათესავებდა. ფრონტონი თუ მარტო ცხოვრობდა თავის ციტადელში, მარციაც მარტო ცხოვრობდა მამის ვრცელ მამულში. ის აკვირდებოდა ამ ლეგათმიან მოხდენილ ვაჟკაცს, რომელიც ხუთმილიონიან მტრულად განწყობილ ხალხში რომაული არმიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო და მაინც უფრო დიადი ჩანდა, ვიდრე სასაცილო.

მარცია ყოყმანობდა, არ იცოდა მინდობოდა თუ არა ფრონტონს. ფრონტონი ამჩნევდა მის ყოყმანს, აკვირდებოდა, არაფერს ეკითხებოდა, ელოდა. ბოლოს მარციამ მეტის ატანა ვეღარ შეძლო.

— მითხარით, ჩემო ფრონტონ, — აღმოხდა მას, — როგორ უძლებთ ამ ყალბ ამბებსა და ყალბ ხალხს, ამ გარეგნულ ბრჭყვიალს? თქვენ აქ, ჩვენს შორის ერთადერთი კაცი ხართ, ვინც არ დაბნეულა და სული ამ აღვირახსნილი აღმოსავლეთისათვის არ მიუყიდნია. რატომ ანტიოქიაში ან რომში არ დაბრუნდებით, რომ ამ სიგიჟისა და სიმყრალის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქოთ?

ფრონტონი თვალს არ აცილებდა მას, თვალს არ აცილებდა მის წერწეტა ტანს, რომელიც ნერვიულად თრთოდა დედოფლის სამოსის ქვეშ. შეჰყურებდა მის მოგრძო, ელვარე

თაფლისფერ თვალებს, მამისეულ თვალებს, მის თეთრ სახეს. მარციას მკაცრი რომაული ხასიათი აგზნებდა ფრონტონს, ისიც იზიდავდა, რომ მარცია ვარონის შვილი იყო, იზიდავდა მისი ვესტალობა და მისი უცნაური ხვედრი. ფრონტონი, მართალია, გახელებულია მისი სურვილით, მაგრამ უნდა მოითმინოს და საჭირო წუთს დაელოდოს. „დაველოდები", ფიქრობდა იგი, „ვიდრე ნერონზე ჩამომიგდებდეს სიტყვას. მაშინ კი ხელში ჩავიგდებ. თავისი ნერონი თუ ახსენა, ბევრი რამის უფლება მომეცემა, ძალიან ბევრი რამის უფლება მომეცემა".

— მე არა მგონია, ჩემო მარცია, — მიუგო მან, — რომ ყველაფერი ეს ყალბი ბრჭყვიალია. იდეა, რომლისთვისაც მამათქვენი იბრძვის, ამ თოთხმეტიოდე წლის წინ ძალიან რეალური ჩანდა, სულაც არ იყო უტოპია. თუ დღეს კაცთმოყვარეობა და კოსმოპოლიტიზმი უარყოფილია, რაკი პალატინზე ნაციონალიზმსა და საზიზღარ პურიტანიზმს ქადაგებენ, თაყვანს სცემენ შიშველ სამხედრო ძალას, ამით ამ ნაციონალიზმს ღირსება როდი ემატება, ან განა ჩვენს კოსმოპოლიტიზმს რამე აკლდება, რომ მას მარტო სამოსატაში უჭერენ მხარს და არა პალატინზე? მამათქვენის არჩეული გზა სახიფათოა და არ ვიცი შესძლებს თუ არა თავისი იდეის განხორციელებას. გულახდილად რომ გითხრათ, მე ეს არა მჯერა. მართალია, თავისი იდეის გასატარებლად იგი სათაკილო საშუალებებს არ ერიდება, მაგრამ, ჩემო მარცია, ამისთვის საყვედური არ ეთქმის. ოდესმე მისი შეხედულებები გაიმარჯვებს, ეს უდაოა, ისიც უდაოა, რომ ისინი, ვინც ამ შეხედულებებს გამარჯვებას მოუტანენ, ისევე საჭოჭმანო და სათაკილო საშუალებებს გამოიყენებენ, როგორსაც დღეს მამათქვენი იყენებს.

მარციას ძალიან მოსწონდა ფრონტონის დინჯი ლაპარაკი, კეთილშობილება, რომლითაც ის ვარონს იცავდა; ძალიან მოსწონდა მისი დახვეწილი, მშვიდი რომაული მეტყველება, მისი ჭკვიანი, ვაჟკაცური სახე, მისი მოკლედ შეკრეჭილი, ლეგა ფერის თმა. მარციასათვის ძალიან ახლობელი იყო ეს კაცი. არ ეეჭვებოდა, რომ ფრონტონი მისი გულისთვის დარჩა ედესაში. მაგრამ უნდოდა, ეს მისგანვე გაეგონა.

— რასაც თქვენ ამბობთ, — უპასუხა მან, — ლამაზია და კეთილშობილური. მაგრამ ჩემს კითხვაზე არ გიპასუხიათ. რატომ დარჩით აქ? რად არ წახვედით რომში?

ფრონტონმა იცოდა, რა პასუხს მოელოდა მარცია. იცოდა, რომ მარციას მოსწონდა იგი, ისევე როგორც თვითონ მას მოსწონდა მარცია. „ოღონდ ზედმეტი არაფერი არ უნდა ვთქვა“, გაიფიქრა მან. „არც ნაკლები და არც ზედმეტი. თუმცა ტყუილიც არ იქნება, თუ დავარწმუნებ, რომ ედესაში მისი გულისთვის დავრჩი. ამ წუთში ხომ ეს სრული სიმართლე იქნება“.

— რატომ რომში არ მივდივარ? — გაიმეორა მან და განზრახ შეყოვნდა, — გულახდილად გამოგიტყდებით, ჩემო მარცია. ბედმა მე და მამათქვენი საპირისპირო ბანაკებში მოგვახვედრა. მაგრამ მე პატივსა ვცემ მამათქვენს და მისთვის კეთილი მინდა. თუ მისი წამოწყებული საქმე ჩაიშალა, იქნებ რამეში გამოვადგე. — და გულთბილად, მაგრამ თავშეკავებით განაგრძო, — ალბათ, შევძლებ დახმარება გაგიწიოთ. რა აზრი აქვს შუამდინარეთში მოწამეთა ხვედრი გავიზიაროთ, ეს არც თქვენთვისაა სასურველი და არც ჩემთვის. მე ვიტოვებ იმის საშუალებას, რომ თუ საქმე უკიდურესობამდე მივიდა, რომის ტერიტორიაზე დავბრუნდე. თქვენ თუ წამომყვებით თან, ჩემო მარცია? ახლა ხომ მიხვდით, რატომ დავრჩი, — დაამთავრა მან და ოდნავ გაიღიმა, თითქოს ბოდიშს იხდისო.

თან კი დაძაბულად ფიქრობდა: „ბოლოსდაბოლოს თავის ნერონზე ალაპარაკდება, იტყვის, რა უბედურ დღეშია. თუ ამას იზამს, ამაღამვე გვერდით მივუწვები“.

მარციამ თქვა:

— დიდი ნუგეშია, თქვენ რომ აქ მეგულებით, ჩემო ფრონტონ. ალბათ, სულმდაბლობაა, ამას რომ გიმხელთ, მაგრამ შეუძლებელია ამ მოლაპარაკე ცხოველებში მარტო გაძლება. ნუ გამკიცხავთ, რომ დუმილს ვეღარ ვახერხებ. ვიცი, ასეთი რამ არ შეჰფერის რომაელს. მაგრამ მათქმევინეთ! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ამ ბილწ ადამიანებს შორის ცხოვრება. ეს ნერონი... — და მარციამ

უამბო, როგორ წარმოთქვამდა ტერენციუსი ბგერა თ-ს და საქორწინო სამოსელი სკამზე როგორ გადააფინა.

როცა მარცია პირველი ალერსის შემდეგ გონს მოეგო, თავისდაგასაოცებლად დაინახა, რომ კეთილშობილი, დარბაისელი რომაელი ფრონტონი, მას შემდეგ რაც წადილი აისრულა, სიყვარულისა და სქესის ამბებზე უკიდურესი ცინიზმით ლაპარაკობდა, უწმაწურ სიტყვებსაც არ ერიდებოდა. მაგრამ მარციას ის უფრო გაუკვირდა, რომ მას, სავესტალოდ გამზადებულს, ეს ამბავი დიდად არ სწყენია.

ფრონტონი ფიქრობდა: „ჭკვიანად მოვიქეცი, მოთმინება რომ გამოვიჩინე. თანაც ვაუკაცური და ღირსეული საქციელი იყო, რომ გრძნობა არ უარვყავი და აქ დავრჩი. საოცარი-კუთხეა ეს აღმოსავლეთი. აქ ვაუკაცობა და სინდისიერება ჯერ კიდევ ფასდება“.

11

ფრონტონის ცდუნება

ფრონტონის სიყვარულმა სულიერი სიმშვიდე მოუტანა მარციას. ბედს უკვე აღარ უჩიოდა. მეგობრულად ესაუბრებოდა ხოლმე მამას, ერთად მსჯელობდნენ თავიანთ საერთო საქმეზე, ითვალისწინებდნენ მოსალოდნელ ამბებს. ეს იყო მხოლოდ, ფრონტონის ხსენება რატომღაც ესირცხვებოდა მარციას და, როცა მამა სიტყვას ფრონტონზე ჩამოაგდებდა, ხმას ვერ იღებდა. ტერენციუსის სიძულვილმაც გადაუარა. ეს კაცი მისთვის სრულიად უცხო შეიქნა, არავითარ გრძნობას არ აღძრავდა და ახლა უკვე ადვილად ახერხებდა მეგობრულად გამოსაუბრებოდა და მშვიდი და თავაზიანი პასუხი გაეცა.

ერთ მშვენიერ დღეს ტერენციუსმა მისი თანაგრძნობაც კი გამოიწვია. მან სთხოვა მარციას, ჩემ საყვარელ ადგილას, ლაბირინთში წამომყევიო. ისინი ერთად ჩაეშვნენ შიგ, გზას ორი მეჩირაღდნე უნათებდათ. ტერენციუსმა მარცია ერთ

შორეულ სენაკში შეიყვანა, მხლებლები გარეთ დატოვა. ჩირაღდნების შუქი სენაკში ძლივს ატანდა. ისინი მარტონი დარჩნენ ბნელ ჯურღმულში, ირგვლივ დამფრთხალი ღამურები დაფრინავდნენ. მარცია ძლივს არჩევდა ქმრის სახეს. სიბნელეში ისმოდა ნერონის ხმა, ის ლაპარაკობდა თავის გეგმაზე. მას განზრახული აქვს ეს ლაბირინთი თავისა და მარციას აკლდამად აქციოს. ბნელი და დიდებული იყო ეს იდეა, ქალზე მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. და პირველად იგრძნო, რომ მის ქმარს რაღაცა მართლა აკავშირებდა ნერონთან.

ამ დღიდან მარციას აღარ ეზიზღებოდა ქმარი. ადრე გულნატკენი იყო, რომ ტერენციუსი არ ცდილობდა მისთვის ქმრობა გაეწია. ახლა კი ამისათვისაც ემადლიერებოდა. მაგრამ ყველაფერზე მეტად იმიტომ იყო ტერენციუსის მადლიერი, რომ ის ფრონტონთან დაახლოების საბაბი გახდა.

ფრონტონს, თავის მხრივ, უყვარდა მარცია და თავისთავს ბედნიერ კაცად თვლიდა. მაგრამ ბედნიერებამ მთლიანად ვერ მოიცვა მისი სული. ფრონტონს ყოველთვის განსაკუთრებით იტაცებდა პოლიტიკა და სამხედრო ხელოვნება, უდიდესი ინტერესით აკვირდებოდა ადამიანთა გასაოცარ, მღველვარე და სასაცილო საქმიანობას. ამიტომ სამოსატის გზაზე, მეცხრე სვეტთან გამართულმა ბრძოლამ და ამ ბრძოლის შედეგებმა მასში სპეციალისტის დიდი ინტერესი აღძრა და, თუმცა მარციას ეშინოდა, ფრონტონმა ტყუილუბრალოდ თავი საფრთხეში არ ჩაიგდოსო და ცდილობდა სულ გვერდით ჰყოლოდა, იგი მაინც სამოსატაში გაემგზავრა.

ვარონს, რა თქმა უნდა, გაგონილი ჰქონდა ფრონტონისა და თავისი ქალიშვილის ამბები და კმაყოფილი იყო, რომ მარციამ ნამდვილი მეგობარი იპოვნა. ვარონს ორმაგად ახარებდა ის ამბავი, რომ ფრონტონი ამავე დროს მისი მეგობარიც იყო, და გულწრფელი სიხარულით შეხვდა სამოსატაში ჩამოსულ სტუმარს.

— ნუთუ არ გაოცებთ, ჩემო ფრონტონ, — როგორც იქნა მიადგა ის საუბრის ძირითად თემას, — რა მალე იბრუნებს

ჩვენი ნერონი დაკარგულ ძალა-უფლებას? ცხადია, ზეცა სწყალობს. ის ერთი გამოჩენით იპყრობს კაცთა გულებს.

— მართალი ბრძანებაა, — უპასუხა ფრონტონმა, — და მე ინტერესით ვაკვირდები, სანამდე გასტანს ეს ამბავი. ნეტავი, როდემდე უნდა მოაჩვენო ხალხს თავი იმპერატორად, რომ მართლა იმპერატორი გახდე?

— ბოლომდე უნდა მოაჩვენო, — დარწმუნებით უპასუხა ვარონმა. — როცა საქმე ძალა-უფლებას ეხება, განა იცის ვინმემ, სად თავდება მოჩვენებითი ამბები და სად იწყება სინამდვილე? მბრძანებელი შუქს უნდა აფრქვევდეს. რა მნიშვნელობა აქვს საიდან მოაქვს მას ეს შუქი. ყოველთვის კარგი კი არ არის, თუ ეს შუქი მართლა მას ეკუთვნის, ხანდახან უმჯობესია შუქი გარედან მიანათონ, საჭირო მხრიდან მიანათონ. ნერონს ეს ამბავი ახლაც ისევე კარგად ესმის, როგორც ოცი წლის წინათ ესმოდა.

— თქვენ იმის თქმა გინდათ, — შენიშნა ფრონტონმა, — რომ ის საზრიანი კაცია და ესე იგი გამოსადეგიც?

— ის ყოველთვის საზრიანი იყო, — ორაზროვნად მიუგო ვარონმა.

ფრონტონმა აღიარა:

— ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც უკან უდგანან მას, გულადი და მოხერხებული ხალხია. ისინი ღირსნი არიან გამარჯვებისა და ჯერჯერობით იმარჯვებენ კიდეც.

ვარონს ეამა, საქმეში ჩახედულმა კაცმა რომ შეაქო. მიუახლოვდა ფრონტონს, მკლავი შემოხვია და ალერსიანად უთხრა:

— მაშ რატომ არ მიემხრობით მათ, რომლებიც ამ ნერონის უკან დგანან?

როდესაც ფრონტონი სამოსატისაკენ მიდიოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შესთავაზებდნენ ნერონის მხარეს გადასულიყო. თუ არ შესთავაზებდნენ, თვითონვე მისცემდა ამის საბაბს. ხალისითა და შიშნარევი მოუთმენლობით მოელოდა ამ შეკითხვას. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უარი ეთქვა. მაგრამ ახლა, როდესაც ფაქტის წინაშე დადგა, ამან ისე იმოქმედა, თითქოს სრულიად მოულოდნელი რამ შემოეთავაზები-

ნოთ. მისი გადაწყვეტილება უკვალოდ გაქრა; ეს მტკიცე და თავის თავში დარწმუნებული კაცი შეუყოყმანდა, საგონებელში ჩავარდა.

ფრონტონს სთავაზობდნენ იმას, რაზედაც მთელი სიცოცხლე ოცნებობდა, სთავაზობდნენ მასალას, რომლის საშუალებითაც თავის თეორიებს ხორცს შეასხამდა. მისთვის საჭირო იყო რომაელი ჯარისკაცები და მტერი. მისთვის საჭირო იყო ბრძოლები ან ერთი ბრძოლა მაინც. აქ კი ყოველივე მის ხელთ იყო. ეს კაცი, ეს ჭკვიანი, გულადი, სიმპათიური კაცი, მისი მეგობარი და მისი სატრფოს მამა სთავაზობდა ყოველივე ამას. მართალია, ვარონი რომაელ ჯარისკაცებს ვერ დაჰპირდებოდა, ის მისცემდა მხოლოდ ბარბაროსთაგან შედგენილ ნაწილებს, რომლებშიც პატარ-პატარა რომაული რაზმებიც ურევია, ასეთ ნაწილებს არმიაში დაცინვით დამხმარე რაზმებს უწოდებდნენ, მაგრამ ამ მასალით მუშაობაც დიდი ცთუნება იყო.

ყველაფერი ყველაფერი და პოლკოვნიკ ფრონტონს სიმხდალეს ვერავინ დასწამებდა. მაგრამ რომაელი ჯარისკაცის ზოგიერთი პრინციპი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ყველა რომაელი ოფიცრის მსგავსად ისიც ამპარტავანი იყო. ფრონტონს უყვარდა აღმოსავლეთი, მაგრამ მისთვის ბარბაროსი მაინც ბარბაროსად რჩებოდა; მათ მხარეს გადასვლა და რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლა სასახელო საქმედ არ მიაჩნდა. მერე რა, რომ ბარბაროსთა პოლიტიკა იმპერიისათვის უფრო საჭირო იყო. ვიდრე რომაელებისა. ფრონტონს, როგორც რომაელ ჯარისკაცს, შეთვისებული ჰქონდა, რომ ზედმეტ საფრთხეს თავი უნდა აარიდო. სალაშქროდ მომავალი ჯარისკაცი მაშინაც კი, როცა საფრთხე არსაიდან ელოდება, ბანაკს ამაგრებს და მიწაყრილს ეფარება. ჯარისკაცს ჰაერივით სჭირდება იმის რწმენა, რომ პენსია დაენიშნება და უზრუნველყოფილი სიბერე ექნება.

პოლკოვნიკი ფრონტონი იდგა, ყოყმანობდა, თავის თავს ებრძოდა. უდიდესი ცთუნება იყო არმია შეედგინა, ახალი სახე მიეცა, ომში გაძღოლოდა. და მას თავის სიცოცხლეში უკანასკნელად ეძლეოდა ამის საშუალება. მეორეს მხრივ კი

მიიღებს ამ არმიას და მშვიდობით, უზრუნველყოფილო სიბერევ. დაჰკარგავს ყველაფერს, რასაც ამდენი ხნის შრომით მიაღწია. წინ ეწეოდა თავისი თეორიების განხორციელებისა და გამოცდის სურვილი. უკან ექაჩებოდა ჩვეულებრივი ინსტინქტი, შეენარჩუნებინა ის, რაც ამდენი ხნის შრომით მოიპოვა.

ვარონი ხედავდა ფრონტონის აღგზნებას. ფრონტონი რომ ასე ებრძოდა თავს, ეს კიდევ უფრო ამტკიცებდა მათ მეგობრობას. ვარონმა გაორკეცებული ძალით სცადა მისი დაყოლიება:

— თქვენ ზუსტად იცით, რა შანსები გვაქვს ან რა რისკსა ვწევთ. ჩვენ ოცდათხუთმეტი ათასი კაცი გვყავს, მათ შორის ხუთიათასი რომაელია. მასალა თქვენთვის კარგადაა ცნობილი. იგი საუკეთესო არაა, მაგრამ ცუდიც არ ეთქმის. ფილიპე სამიათას მხედარს გვაძლევს, ეს კი რჩეული ლაშქარია. იკისრეთ ამ არმიის მთავარსარდლობა, ჩემო ფრონტონ! ბევრად მეტი შანსი არც ვესპასიანეს ჰქონია, როცა ვეტელიუსს აუმხედრდა. თანაც სად ვესპასიანეს სახელი და სად ნერონისა.

ფრონტონმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა:

— რა გნებავთ ჩემგან? — მიუგო მან, — მე „კაბინეტის ოფიცერი" ვარ და არმიის სიყვარული არ დამიმსახურებია.

— თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ და არმიის სიყვარულს ვერც დაიმსახურებდით, — უპასუხა ვარონმა. — ჩემი იმპერატორის პოპულარობაც საკმარისია. მთავარსარდალი საქმის მცოდნე მინდა და არა პოპულარული. უსარდლეთ ამ არმიას, ჩემო ფრონტონ. თქვენ ჩემზე ნაკლებ არ გიყვართ ჩვენი აღმოსავლეთი. შემოგვიერთდით, პოლკოვნიკო ფრონტონ! თანხმობა განაცხადეთ!

ვარონი მოლოდინით უყურებდა ფრონტონს. თუ ახლა მთავარსარდლობაზე უარს იტყვის, ვარონს რაღა გზა ექნება, მთავარსარდლობა ტრებონს უნდა შესთავაზოს, პოპულარულ კაპიტანს. მაშ თქვას უარი და ეს სასურველი პოსტი დაუთმოს კაცს, რომელიც ჭირივით ეზარება. ფრონტონს კინაღამ სულმა წასძლია, კიდევ ერთი წუთი და ის ხელს გაუწვდიდა ვარონს, თანხმობას განუცხადებდა. მაგრამ პენსიას დაკარგავდა

და ეს შიში, რომელიც სისხლში ჰქონდა გაშჯდარი, ბორკავდა მას. ჯარისკაცი ალღოთი არიდებს თავს საფრთხეს. ეს ჯარისკაცული ალღოც ბორკავდა ფრონტონს და ის თავის მიწაყრილს ამოეფარა.

— მადლობელი ვარ, ჩემო ვარონ, — მიუგო მან. — ლიტონ სიტყვებად ნუ ჩამომართმევთ და ნდობა, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინეთ, სიამაყით მავსებს და უარის თქმა ერთობ მიმძიმს. მაგრამ, მოგეხსენებათ, მე ჯარისკაცი ვარ. მე ჩემი ორმოცდათერთმეტი პროცენტი მჭირდება. თქვენ იცით, რომ მიყვარხართ და პატივსა გცემთ. მხიბლავს თქვენი პოლიტიკა და თქვენი გამბედაობა. მაგრამ ყველაფერს სასწორზე ვერ შევაგდებ. თქვენი კეთილის მოსურნე ვიქნები და ნეიტრალიტეტს დავიცავ. ეგ არის და ეგ. სხვა არაფერი შემიძლია.

— სამწუხაროა, რომ არ გვიერთდებით, ჩემო ფრონტონ, — თქვა ვარონმა ჩამწყდარი ხმით.

— დიახ, სამწუხაროა, — მიუგო ფრონტონმა.

ისინი სამოსატის სასახლეში ისხდნენ, ერთ-ერთ მშვენიერ დარბაზში. ორივე მოდუნებული და მოქანცული ჩანდა, სივრცეში უაზროდ იყურებოდნენ.

— მეფე ფილიპეს ხომ არ ეწვევით? — ჰკითხა მცირე ხნის შემდეგ ვარონმა. ის დაიძაბა, რომ საუბრის საგანი გამოეცვალა.

— როგორ შემიძლია ეს გავაკეთო? — მიუგო ფრონტონმა. — მე რომაელი ოფიცერი ვარ, ამბოხებულებს ისე უნდა ვუყურებდე, როგორც მტერს. მე აქ კაპიტან ტრებონთან მოსალაპარაკებლად ჩამოვედი. თქვენი ნახვის უფლებაც კი არა მქონდა, ჩემო ვარონ.

— მე მხოლოდ ის მაშინებს, — თქვა ვარონმა დაღონებით, — თუ თქვენ გადაწყვიტეთ, რომ ხელი არ შეგვიშალოთ, თქვენი მოხერხების მიუხედავად, ანტიოქიაში დაბრუნება მოგიხდებათ.

ფრონტონი კი გამოცოცხლდა.

— აზრადაც არ მომივა, — განაცხადა მან. — თქვენი საქმისადმი ჩემი სიყვარული არგუმენტებს მომაძებნინებს, რათა გავიხანგრძლივო აქ ყოფნის ვადა. სანამ უკანასკნელი იმედი

არ გადაგეწურებათ, მე თქვენს გვერდით დავრჩები. მე თქვენი მეგობარი ვარ, ვარონ. გთხოვთ, დამიჯეროთ!

— გმადლობთ, — უპასუხა ვარონმა. თავისი ცხოვრების მანძილზე მათ ათასი კაცი ენახათ და ათასი რამ გადახდომოდათ ბავს და ბოლომდე არც სხვის სიტყვებს ენდობოდნენ, არც თავისას. მაგრამ ახლა ორივემ იგრძნო, რომ სიმართლეს ამბობდნენ.

— მაშ ვიღას მივცე მთავარსარდლობა, რაკი თქვენ უარს მეუბნებით? — დაფიქრებით თქვა ვარონმა.

— რა თქმა უნდა, ტრებონს, — ურჩია ფრონტონმა. ამ რჩევის მიცემა ადვილი როდი იყო მისთვის. — ეს კაცი მე თვითონ-თქვენზე მეტად მეჯავრება. ამას გარდა, ისიც ვერ მიტანს და ძალა-უფლებას რომ აიღებს, ყოველ მხრივ ეცდება რამე მავნოს. მაგრამ ასეთ პირობებში უკეთესი არავინ მეგულება. როგორც ოფიცერი, როგორც პოლიტიკოსი და მეგობარი, ტრებონის აყვანას გირჩევთ!

— 12 —

სულს სული იცნობს

რამდენიმე დღის შემდეგ ნერონი დიდი ზეიმით ედესიდან სამოსატაში გადავიდა. საპატიო ტყვეობიდან გაათავისუფლა მეფე ფილიპე, გადაეხვია და თავისი ძმა უწოდა. დიდხანს ეთათბირა ვარონს და თათბირის შემდეგ სადარბაზოდ პირველ რიგში ტრებონი იხმო.

არმიის საყვარელმა კაპიტანმა რამდენიმე უსიამოვნო დღე გაატარა. ფრონტონის სამოსატაში ჩამოსვლა არაფრად ეპიტნავა. ამ ამბავს შეეძლო საქმე წაეხდინა. რა უნდა აქ ამ არისტოკრატს? ტრებონს ნერონის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ახლა ამ ვაჟბატონმა, რომელიც მცირე ხარისხის არისტოკრატად დაიბადა და პოლკოვნიკის წოდებას ატარებს, გემრიელი ლუკმა პირიდან უნდა გამოსტაცოს? ამ დაძაბულმა დღეებმა გარნიზონში მუშაობაზე გული საბოლოოდ ააყრევი-

ნა. მას ისევ მოუარა ფათერაკთა ძიების ახალგაზრდულმა ენერგიამ. ოცნებობდა ნერონის არწივებით შორეულ აღმოსავლეთში გაჭრილიყო, ან, პირიქით, დასავლეთისაკენ გაელაშქრა, თუ ნერონი, ეს ახალი ალექსანდრე, დასავლეთისაკენ გალაშქრებას უბრძანებდა. მაგრამ ტრებონს ამ სახათაბალო საქმეში ვერ ჩაითრევენ, თუ უბრალო ოფიცრობას შემოსთავაზებენ. პირველობა ეკუთვნის და პირველი უნდა იყოს, თვითონ უნდა წინამძღოლობდეს ამ ლაშქრობას. მან იცის, რომ ეს ამბავი აუხდენელი ოცნება არ არის და ერთადერთი საშიში მეტოქე ფრონტონია. თუმცა ტრებონი ცოტათი დამშვიდდა, როდესაც ფრონტონი შინ ეწვია. ის, როგორც ჩანდა, ისევ ტიტუსის ოფიცრად თვლიდა თავს და სხვა პრეტენზიები არც ჰქონია. მაგრამ შეიძლება ამაში რაიმე ეშმაკობა იმალებოდეს. თვითონ ტრებონსაც ხომ ბოლომდე არ გაუმჟღავნებია თავისი თავი. ფრონტონის წასვლის შემდეგ ერთი კი გაიფიქრა, ახლავე აშკარად ხომ არ მივემხრო ნერონს და ჩემი მეტოქე, ეს არისტოკრატი პოლკოვნიკი, ეს იმპერიის მოღალატე, ეს უზურპატორი ტიტუსის ჯაშუში აქვე ხომ არ შევაპყრობინოო. მაგრამ მასში მაინც დისციპლინამ გაიმარჯვა. ეს განათლებული კაცი. რაც არ უნდა იყოს, მაინც პოლკოვნიკია და კაპიტანს მისდამი მორიდება მართებს. შეუძლებელია ასე თავხედურად და მოურიდებლად მოეპყროს ფრონტონს.

როდესაც ნერონმა ყველაზე წინ კაპიტანი ტრებონი იხმო, ამდენი ეჭვებისა და აფორიაქების შემდეგ ტრებონმა დიდი კმაყოფილება იგრძნო. მიხვდა, რომ შესაფერის პატივს მიაგებდნენ. მთელმა უგუნებობამ გადაუარა და თავისი ამპარტავნობა და თავხედობა ისევ დაუბრუნდა. ძალიან კარგი, ის ამ ედესელ კაცთან საერთო ენას გამონახავს. მაგრამ ტრებონმა იცის თავისი თავის ფასი და ამ ნერონს აგრძნობინებს, რომ სახელგანთქმული კაპიტანი ტრებონი დიდი მხედარია, ის კი თავისი ძოწეულის მიუხედავად, მონა ტერენციუსია და მეტი არაფერი.

ის მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგა ნერონის წინაშე. რიხიანი და დიდებული; ყველა თავისი ჯილდო მკერდზე ეკეთა. ნერონი სავარძელში იჯდა, როდესაც ტრებონი ეღა-

რუნ-ჟღარუნით შევიდა მასთან. ნერონის სავარძელი არაფრით განსხვავდებოდა სხვა სავარძლებისაგან. ტანზედაც იმპერატორის ძოწეულის ნაცვლად სადა სამოსი ეცვა. მიუხედავად ამისა, როცა ოდნავ მოწყენილი, დაღლილი სახით მედიდურად ახედა ჟღარუნ-ჟღარუნით შემოსულ კაცს, ნამდვილად ხელმწიფური იერი ჰქონდა. სრულიად უბრალო სავარძელზე ისე იჯდა, თითქოს სამეფო ტახტზე მჯდარიყოს; ტრებონი დიდად განაცვიფრა მისმა გარეგნობამ და პოზამ. მან თაყვანი სცა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. ეს მისი მხრივ ცარიელი თავაზიანობა არ ყოფილა. ყაზარმებისა და საველე ბანაკებში გაზრდილმა კაპიტანმა იგრძნო, თუ რა დაჯერებით ეპყრა ხელთ სავარძელში მჯდომარეს ძალა-უფლების ატრიბუტები. ტრებონი ჯარისკაცი იყო და თავისდაუნებურად მოწიწებით განიმსჭვალა. მან, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ეს კაცი ნამდვილი იმპერატორი არ იყო; მიუხედავად ამისა, მაინც ასე მეფურად იჯდა და ამ ამბავმა კიდევ უფრო მოხიბლა ტრებონი. მან ამ გვირგვინოსნის წინაშე ჯარისკაცული მოკრძალება იგრძნო, იგრძნო, რომ ისინი ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი, და თანამზრახველნი იქნებიან. და ნებაყოფლობით დაემორჩილა, როგორც ყაჩაღები ემორჩილებიან ხოლმე თავიანთ ატამანს.

ტახტზე მჯდომარე ტერენციუსს გულმა უგრძნო, რომ აქ მისი ჭეშმარიტი მეგობარი და თაყვანისმცემელი შემოვიდა. ტერენციუსი ყველა პატარა კაცის დარად მუდამ რჩეული საზოგადოებისკენ მიილტვოდა, მაგრამ ნამდვილ თავისუფლებას თავის მსგავსთა წრეში გრძნობდა და მას პირველი შეხვედრისთანავე მოეწონა კაპიტანი ტრებონი, როგორც მდაბიოს მოეწონება ხოლმე მდაბიო. იმპერატორმა ნერონმა, რომელსაც აღტაცებული ბრბო ყველგან ზეიმით ეგებებოდა, არმიის საყვარელ კაპიტანთან, პოპულარულ ტრებონთან სულიერი ნათესაობა იგრძნო. მადლობელი იყო ვარონისა, რომ ლაშქრის მთავარსარდლად სწორედ ეს კაცი გამოუძებნა.

ტრებონს გადაწყვეტილი ჰქონდა ტოლივით მოქცეოდა ტერენციუსს, ეგრძნობინებინა, რომ დიდი წყალობა იყო ტრებონის გადასვლა მასთან. მაგრამ ეს კაცი, მის წინ მოწყენილი

სახით რომ დამჯდარა და თვალთან ზურმუხტი მიუტანია, არაა მექოთნე ტერენციუსი. ჰოდა, როდესაც მან აუწყა, გენერლობას განიჭებ და ჩემს ლაშქარს გაბარებო, ტრებონს მოეჩვენა, რომ ის აამაღლეს, დაუმსახურებლად მიანიჭეს ასეთი ბედნიერება, მოეჩვენა, რომ ჭეშმარიტმა ნერონმა, სრულუფლებიანმა ნერონმა უბოძა არმიის მთავარსარდლობა. გული მონური მორჩილებით აევსო და უღრმესი ნეტარება იგრძნო, რაკი წილად ხვდა პატივი, ამ კაცისათვის სისხლით მოეპოვებინა ძალა-უფლება. სავარძელში მჯდარი მბრძანებელი ზვიადად და ოდნავ მოწყენით იყურებოდა ზურმუხტიდან და მისი სახე სიყრმის მოგონებებივით ღრმად აღებეჭდა სულში ტრებონს.

მის ცხოვრებაში უდიდესი წუთი იყო, როდესაც თავისი ჯარისკაცები ნერონის ერთგულებაზე დააფიცა და ალმებზე და არწივების ქვეშ ტიტუსის სურათები ნერონის სურათებით შეაცვლევინა. გუნებაში აღთქმა დადო, რომ ამ კაცისთვის თავი არ დაეზოგა, პირველივე დაპყრობილი ქალაქის ზღუდეზე აჭრილიყო, დაემაგრებინა ნერონის ალამი და „გალავნის გვირგვინი“ დაემსახურებინა, თუმცა მთავარსარდლისათვის დიდი არაფერი საჭირო იყო ეს ამბავი.

13

დიდი პოლიტიკა

ნერონი თათბირებს წიგნთსაცავში მართავდა ხოლმე. შესასვლელთან მდგარმა მცველებმა შუბები აღმართეს და კნოპსი გაატარეს. კნოპსმა, ყოფილმა მონამ, ამჟამად სახელმწიფო მდივანმა, როდესაც დაინახა, რომ პირველი მოსულიყო, საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა. როგორ ვერ უნდა მოიშოროს ეს წყეული მუყაითობა, მონობის დროიდან რომ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. წარჩინებულები ჯერ არ გამოჩენილან, ისინი აგრერიგად არ ჩქარობენ.

ბუნებით მოძრავი და დაუდგრომელი კნოპსი ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა. გრაგნილებით სავსე კარადას აუარ-ჩაუარა,

ხელი შეახო ძვირფას ავეჯს, ხელი შეახო ქანდაკებათა ლითონს. თავისდაუნებურად მაშინვე შეაფასა მათი ღირებულება. ნელა-ნელა გუნებაზე მოდიოდა. ნუთუ კმაყოფილი არ უნდა იყოს, რომ მეფე ფილიპეს სასახლეში ისე გრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ სახლში?

მან, მონა კნოპსმა, ძალიან ბევრს მიაღწია. მართლაც ქების ღირსია, რომ თავიდან ასე ღრმად სწამდა ტერენციუსის აღზევება და გვერდიდან არ მოშორებია. რა თქმა უნდა, მომავალშიაც არ მოშორდება. მას გულწრფელად უყვარს თავისი ნერონი, თუნდაც იმიტომ, რომ ნერონმა საშუალება მისცა თავისი უნარი გამოემჟღავნებინა. გარდა ამისა, გულის სიღრმეში თავის ბატონს უგუნურ კაცად სთვლის და ქედმაღლური სიყვარულით უყვარს.

კნოპსი ნამდვილი ჭკუის კოლოფია და მის თავზე წისქვილის ქვე არ დაბრუნებულა, თორემ სხვა ყველაფერი გამოუცდია. ნაკლებ ეშმაკი კაცი კნოპსის ადგილას ახლავე ანტიოქიაში გავარდებოდა და ნერონ-ტერენციუსის წინააღმდეგ მოწმედ გამოვიდოდა. კნოპსი ასე რომ მოიქცეს, ალბათ, გუბერნატორი ცეიონი თავისუფლებას უბოძებს და კარგადაც დააჯილდოვებს. მასზე ნაკლებ ეშმაკი კაცი იფიქრებდა, აზატობა და ტიტუსის ქვეშევრდომობა სჯობია ნერონის სახელმწიფო მდივნობასო. გულის სიღრმეში კნოპსი დარწმუნებული იყო, შექოთნე რომ იმპერატორობას წაეპოტინება, ხეირი არ დაეყრებაო, მაგრამ კნოპსი ჭკუის კოლოფია და უფრო შორს უმიზნებს. ადრე შინაგანი ხმა ჩასჩურჩულებდა, ჭირშიაც არ უღალატო ტერენციუსსო. ახლა იგივე ხმა ეუბნებოდა, შენი ნერონი კიდევ უფრო ამაღლდება და გამოსარჩენიც გაცილებით მეტი გექნებაო. ჰოდა, კნოპსი აგრძელებდა თავის თამაშს და ხანდახან ისე იჭრებოდა როლში, რომ თვითონვე ეჭვი ეპარებოდა, ეს კაცი მართლა ნერონი ხომ არ არისო. მაგრამ თან ყოველთვის ფხიზლად იყო, რომ ალღო აეღო მოსალოდნელი ამბებისათვის. საერთოდ, მისთვის ალღოს არასოდეს უღალატნია, ამიტომ წინასწარ იგრძნობს საფრთხის მოახლოვებას და დროზე თავს უშველის.

ის ლამაზ დარბაზში ბოლთას სცემს, კარადიდან ხან გრაგ-

ნილი, ხან წიგნი გამოაქვს, თავს კარგად გრძნობს, თავისი მეგობარი გორიონი ახსენდება და გულთბილად და სიბრალულით ეღიმება. ახლა ხომ გაიგო გორიონმა, რა ბიჭია კნოპსი. ახლა ხომ ნანობს, სამ „კ“ ზე რაღაც-რაღაცებს რომ ჩმახავდა. მაგრამ კნოპსი ძველებურად სწყალობს გორიონს. ედესაში წითელ ქუჩაზე მდებარე ქოთნების ქარხანა გორიონს დაუმტ-

კიცა. აგრეთვე სხვა შემოსავლიანი საქმეებიც გაუჩინა. პატარა იალტა, გორიონის ქალიშვილი, ახლა თოთხმეტი წლისაა. სიმწიფის ასაკში შედის. კნოპსი იქნებ დაქორწინდეს კიდეც მასზე, როგორც გორიონს შეჰპირდა. ის იმდენად ამაღლდა, რომ შეუძლია ასეთი რამეც გააკეთოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებს, ღამეს გაატარებს მასთან. გორიონმა ამაზეც მადლობა უთხრას.

საამო ფიქრები კაპიტანი ტრებონის შემოსვლამ გაუფანტა. ტრებონს ძოწეულის ქობიანი მანტია ემოსა და ფეხზე სენატორის წითელი, მაღალლანჩებიანი, შავი თასმებით ამოკრული ფეხსაცმელი ეცვა. ახალ სამოსს ჯერაც ვერ შეხჩვეოდა. კნოპსის აზრით, მას ეს მორთულობა ვერაფერს შველოდა, რაც ვირი იყო, ის ვირი დარჩა. ტრებონი გრძნობდა, რომ კნოპსი დიდი პატივისცემით არ იყო მისდამი გამსჭვალული. ეს თავხედი. პირველი დანახვისთანავე შეეზიზღა და მოეწონა

კიდეც. იცოდა, რომ მას იმპერატორზე გავლენის მოხდენა შეეძლო, ამიტომ გადაწყვიტა დამეგობრებოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც ფხიზლად ყოფილიყო.

მორთულ-მოკაზმული ტრებონი სავარძელში გაიშხლართა. ტანწვრილი და მოუსვენარი კნოპსი ისევ ბოლთასა სცემდა. წუხელ ისინი სამეკიტნო „დიდ წეროში" გვარიანად გამოთვრენ და დაძმაკაცდნენ. ახლა დანარჩენების მოსვლამდე კნოპსმა იმისი მოყოლა დაიწყო, თუ როგორ ჰიღებდნენ ანტიოქიას ის და ტრებონი და როგორ ყირაზე დააყენებდნენ ანტიოქიის გარეუბანს — დაფნეს. ტრებონი სიამოვნებით იკრიჭებოდა, როცა წარმოიდგენდა, თუ რა ოინებს მოუწყობდნენ იქ დატყვევებულ ცეიონსა და მის ხელქვეითებს და კნოპსი მის უთავბოლო ფანტაზიებს გონებამახვილური წვრილმანებით ამკობდა.

— თქვენ მართლა ჭკუის კოლოფი ხართ, ჩემო კნოპს, — აღიარა ტრებონმა და თავისებურად აროხროხდა.

მაგრამ „ო" მოკლედ გამოთქვა და კნოპსს კომპლიმენტისაგან მიღებული სიამოვნება წაამწარა.

მაგრამ მეფე ფილიპესა და სენატორი ვარონის შემოვლისთანავე კნოპსს ეს პატარა წყენა გადაავიწყდა და იგრძნო, რომ ტრებონთან ერთად მოუწევს ამ ვაუბატონებთან ბრძოლა. ამ რამდენიმე დღეში ეს ოთხი კაცი, რომლებიც ნერონის უახლოეს თანამდგომელებს წარმოადგენდნენ, უკვე ორ ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს იდგა ორი დიდგვაროვანი, სენატორი ვარონი და მეფე ფილიპე. ისინი იმ ლიბერალი არისტოკრატების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ადრევე ნერონს უჭერდნენ მხარს. ტრებონი და კნოპსი კი ხალხის წარმომადგენლებად თვლიდნენ თავს, იმ მილიონების წარმომადგენლად, რომლებიც უწინაც და ახლაც აღფრთოვანებით ეგებებოდნენ იმპერატორს იმის გამო, რომ იგი ასეთი ბრწყინვალე და ღვთაებრივი იყო და მაინც სულით მათ ენათესავებოდა; იმის გამო, რომ ასეთ ურცხვობას იჩენდა, ასეთი ბოროტმოქმედი იყო, ასეთი ბრწყინვალე და ასეთი კომედიანტი, ასეთი საყვარელი და ასეთი დიდბუნებოვანი; იმის გამო, რომ ჰრ უკადრისობდა ბრბოსთან სიახლოვეს და თავის ხელოვნებას

მასაც უჩვენებდა; იმის გამო, რომ, თუმცა შეუბრალებლად სჯიდა ათასებს, მაგრამ უმეტესად წარჩინებულებს უსწორდებოდა და ხალხიდან გამოსულებს ხელს არ ახლებდა ხოლმე; იმის გამო, რომ ის იულიუს კეისრის საგვარეულოს უკანასკნელი ნაშიერი იყო.

მეფე ფილიპე და ვარონი სადად იყვნენ ჩაცმულნი და ეს კარგად ეხამებოდა წიგნთსაცავის გემოვნებით მორთულ დარბაზს. თვით კნოპსიც კი თავშეკავებული იყო ტანისამოსის არჩევაში. პირიქით, მას აბრაზებდა, რომ ტრებონი ასე მეტიჩრულად ირთვებოდა. მაგრამ ამ წვრილმანის მიუხედავად კნოპსი მასთან მეტ სიახლოვეს გრძნობდა.

შემოვიდა ტერენციუსი. ნერონის არეული ნაბიჯებით უხალისოდ მოუახლოვდა მათ, თითქოს ვალს იხდისო, ისე გადაეხვია ოთხივეს. შემდეგ სხდომა გახსნა. დამსწრეთ სთხოვა პირდაპირ საქმეზე ელაპარაკათ. მან უმოკლეს ხანში მშვენივრად შეითვისა, როგორ უნდა სჭეროდა თავი, რომ ყველგან პირველი ყოფილიყო. მართლაც ისე იქცეოდა, თითქოს ბავშვობიდანვე მისჩვეოდა პირველობას, მაგრამ ყველაფერი ეს ვითომც უკვე დიდი ხანია მობეზრებული ჰქონდა. ვარონმა და კნოპსმა კი კარგად იცოდნენ რომ მათი ნერონი ისე იყო მოწყურებული პატივისცემას, როგორც დაგვალული ყანა — წვიმას. ვარონს კინაღამ გაეღიმა, როდესაც ნერონმა მას მეგობრული და ამავე დროს ბრძანების კილოთი სთხოვა, შექმნილ ვითარებაზე ელაპარაკა. კინაღამ გაეღიმა, მაგრამ გულში მაინც აღიარა, რომ ტერენციუსმა საჭირო ტონს მიაგნო.

ვარონმა ლაპარაკი დაიწყო. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ხაზინა სავსეა. საიმპერატორო დომენებს კარგი შემოსავალი მოაქვთ. მესოპოტამიელი მთავრები გულუხვობას იჩენენ. ვაჭრობა კი, რა თქმა უნდა, შეფერხებულია, საბაჟოს მოხელეები საქმეს აჯანჯლებენ. ზოგიერთი სოვდაგარი აღალის გაბრუნებას აპირებს.

ტერენციუსი თავაზიანად უსმენდა, ოღონდ დიდ ინტერესს არ ამჟღავნებდა; მას გაგონილი ჰქონდა, მინისტრებთან თათბირის დროს ნერონი ასე იქცეოდაო. მან თავი ხელს ჩამოაყრდნო და დაუდევრად თქვა:

— მადლობელი ვარ, ჩემო ვარონ. თქვენის აზრით, როგორი უნდა იყოს ახლო მომავალში ჩვენი პოლიტიკა?

ვარონმა უპასუხა:

— ვიდრე ძეფეთმეფე ორტაბანს ლაშქარი და ფული არ გამოუგზავნია, ძე ეგოხია, როგორც შინ, ისე გარეთ, პროვინციეს თავი უნდა ავარიდოთ. თუ გუბერნატორ ცეიონს საიაბს არ ძივცეთ, ისე ვერაფერს გაგვიბედავს. მე დაბეჯითებით გირჩევთ, რომ ჩვენი ჯარი დაპყრობილს დაჯერდეს და, წარმატებისაგან თავბრუდახვეულმა, ახალი შეტევა არ წამოიწყოს. რაც ეეხება საბიხაო პოლიტიკას, ჩემი რჩევაა, აქაურ მკვიდრთა შორის შფოთი არ დავთესოთ. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ნერონმა ძალაუფლება კვლავ ხელში აიღო, იყო უკანონობის შემთხვევები. იმპერატორის მოწინააღმდეგეებს სასტიკად მოეპყრნენ, დახოცეს და ქონება ჩამოართვეს. რაც მოხდა, მას ვეღარაფერს ვუშველით, მაგრამ ამიერიდან თვითებებურად ხურავის დავსჯით, ყველა, ვისაც კი იმპერატორის ნიააღმდეგ რაიმეს ვაბრალებთ, სამსჯავროს გადავცეთ. ნერონი მუდამ მოწყალე და სამართლიანი იყო, ის ახლაც მოწყალე და სამართლიანი უნდა დარჩეს.

ვარონის ეს სიტყვები უმთავრესად კნოპსის წინააღმდეგ იყო მიმართული პირველმა გამარჯვებებმა კნოპსი გაათამამა, იგი სასტიკად გაუსწორდა თავის მტრებსა და მეტოქეებს, ზოგი აწამა, ზოგი მოკლა, უმრავლესობას ქონება ჩამოართვა. კნოპსი ჭკვიანი კაცი იყო და თვითონაც ესმოდა, რომ გადაამლაშა, და მომავალში თავის შეკავება მართებდა. მაგრამ უნდოდა ეს თავისი ნებით გაეკეთებინა და არა ვარონის კარნახით. მან საკმაოდ მკვახე პასუხი გასცა სენატორს. ჯერ ზოგადად იმსჯელა ძალა-უფლების არსზე. ილაპარაკა შინ ხელში ჩაგდებისა და განმტკიცების ხერხებზე. ძალა-უფლება რომ განიმტკიცო, ამისათვის ერთი უეჭველი საშუალება არსებობს: მოსახლეობის კეთილად განწყობილი ნაწილი ავად განწყობილ ნაწილს უნდა მიუსიო. საჭიროა იმპერატორის მომხრეთა მომადლიერება და მოწინააღმდეგეთა შეუბრალებელი დევნა.

— დიახ, — განაცხადა მან, — მე თავი გავუჭეჭყე რამდენიმე მტარვალს და ვამაყობ ამით. თუმცა ბრწყინვალე სენა-

ტორი ვარონი ამ საკითხზე სულ სხვა აზრისა ყოფილა. შემდგომაც, როცა კი შემთხვევა მომეცემა, იმპერატორის მტრებისადმი სიბრალულს არ გამოვიჩენ. ხალხს მთელი სისრულით უნდა დავანახოთ იმპერატორის ძლიერება. რათა მასის ყურადღება ჩამოვაცილოთ სამეურნეო წვრილმანებს, რომლებზედაც ბრწყინვალე სენატორი ლაპარაკობდა.

მეფე ფილიპეს სახე დაემანჭა, თითქოს კნოპსის სიტყვებს მისთვის ფიზიკური ტკივილი მიეყენებინოთ. მან თქვა:

— აქ, აღმოსავლეთში, იმპერატორის მტრები ძალზე ცოტანი არიან და არც იმდენი ძალა გააჩნიათ, რომ საჭირო იყოს მათი დაშინება. მე მგონია, იმპერატორი ნერონი თავის ძალა-უფლებას ყველაზე უკეთ იმით განამტკიცებს, თუ განაგრძობს და გააფართოვებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ბრძოლას.

მეფე ფილიპეს ლაპარაკის დროს ერთხელაც არ გადაუხედავს კნოპსისათვის. წარბები მაღლა აეწია, სივრცეში იყურებოდა და არაჩვეულებრივად ზვიადი იერი ჰქონდა.

ტრებონს არაფრად ეჭაშნიკა ვარონის ლაპარაკი საომარი მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, ის თავისი თავხედური, თითქმის უწამწამო თვალებით მეფე ფილიპეს მიშტერებოდა.

— მე სახელმწიფო მდივანს, კნოპსს ვემხრობი, — ამოიყიყინა მან, — თუ გვინდა, რომ იმპერატორის ძალა-უფლება განვამტკიცოთ, ლოდინითა და გულხელდაკრეფილი ჯდომით ვერაფერს გავხდებით. ძალა-უფლება ნიშნავს შეტევას. ძალა-უფლება ნიშნავს ქალაქების აღებას, ჟლეტასა და წამებას. ნაჯახი და წკეპლების კონა, აი, რა არის ძალა-უფლების სიმბოლო. შევიჭრათ რომაულ სირიაში, ავიღოთ ანტიოქია! თუ ბევრს არ გავაჭიანურებთ, თუ ხვალვე გავილაშქრებთ, ცხადია, ყველაფერი კეთილად დასრულდება. თქვენ ნახავთ, ბატონებო, რომ მაშინ ჩვენი მეფეთმეფე არტაბანიც ბევრს აღარ იყოყმანებს და დაუყოვნებლივ მოგვემხრობა.

ტრებონი რაღაც განსაკუთრებული ხმით ლაპარაკობდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ეს ხმა მის ჯარისკაცებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მისი ჯილდოები და საპატიო ნიშნე-

ბი ჟღარუნობდნენ, სახეზე ძალა და საკუთარი თავის რწმენა აღბეჭდოდა. კნოპსის სახეცა და პოზაც სრულ თანხმობას გამოხატავდა, ეტყობოდა, ნერონიც სიამოვნებით უგდებდა ყურს. არისტოკრატები კი, ვარონი და მეფე ფილიპე, უყურადღებოდ ისხდნენ; ვარონი ქაღალდებში იქექებოდა, ფილიპე თავის გრძელ ხელებს დასჩერებოდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ნერონი მიხვდა, რომ მისი ჩარევის დრო დადგა. მართვა-გამგეობის ამბები ნაკლებად იზიდავდა, მისთვის მთავარი იყო გარეგნული მხარე. მაგრამ მახვილი ალღოთი გრძნობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მან რაღაც საფუძვლიანი უნდა თქვას, მაგრამ არც ერთ პარტიას არ მიემხროს. და თუმცა ვარონისა ერიდებოდა, ზურმუხტი თვალთან დინჯად მიიტანა და რიგრიგობით გადახედა ოთხივეს.

— ყველანი მართალი ხართ, ძმებო და მეგობრებო, — დაარღვია ბოლოს დუმილი და ევრიპიდეს ციტატა წარმოთქვა: — „თავის დროზე ძალის გამოჩენა და თავის დროზე სამართლიანობისა, აი რა შეჰფერის ჭეშმარიტ მბრძანებელს“.

მაგრამ ჯერ წარმოთქმული არ ჰქონდა ეს ციტატა, რომ უკვე ინანა, რადგან ამ სტრიქონებში სამჯერ მეორდებოდა ბგერა „თ“. მეორე მხრივ კი იგი სიტყვის წარმოსათქმელად კარგ საფუძველს ქმნიდა.

— თქვენ, ჩემო ტრებონ, — განაცხადა მან, — და თქვენ, ჩემო კნოპს, ძალა კარგ დროს გამოავლინეთ. მაგრამ როცა სენატორი ვარონი და მეფე ფილიპე თავის მხრივ ბრძანებენ, დროა, ლმობიერება და სამართლიანობა გამოვიჩინოთო, ეგეც სწორია, თქვენი ყველასი მადლობელი ვარ.

ალბათ, ჭეშმარიტი ნერონიც ასე მოიქცეოდა. ის, რაკი ერთხელ აიღებდა ხოლმე რაიმე პოლიტიკურ გეზს, დანარჩენს თავის მრჩეველებზე მიაგდებდა და იმითღა კმაყოფილდებოდა, რომ მათ ერთმანეთს წაჰკიდებდა; ის ყველას მართლად მიიჩნევდა ხოლმე. ტერენციუსიც ასევე მოიქცა და თან იმპერატორული თავდაჯერება გამოავლინა.

მეფე ფილიპეს მხარდაჭერით გამხნევებულმა ვარონმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ მისი აზრით როგორი

უნდა ყოფილიყო შემდგომი მოქმედების გეგმა. — იმპერატორი, — ურჩია მან, — ჯერჯერობით სამოსატაში უნდა დარჩეს, როგორც მეფე ფილიპეს სტუმარი. ტრებონმა ყოველგვარ ვითარებაში თავი უნდა შეიკავოს რომაულ სირიაზე გალაშქრებისაგან; მისი ვალია, არმია კარგად დააწყოს და საზღვრები დაიცვას. ხოლო თვითონ ვარონი ედესაში უნდა ჩავიდეს და რაც შეიძლება მალე დაამთავროს მეფეთმეფესთან მოლაპარაკება. კნოპსიც. თან უნდა წაჰყვეს და ქურუმთუპირველეს შარბილთან ერთად საფინანსო საქმეები მოაგვაროს.

კნოპსმა და ტრებონმა დაინახეს, რომ არისტოკრატები აშკარად ცდილობდნენ მათ განზე გარიყვას. დაინახეს და უკმაყოფილონი დარჩნენ. ნერონმა ისევ მოწყენილი სახე მიიღო, ეტყობოდა მათი საუბრისთვის ყური კარგად არც უგდია.

— კეთილი და პატიოსანი, ჩემო ვარონ, — ამის თქმითღა დაკმაყოფილდა.

— ჩინებულია. მომეცით საბუთები, ხელი მოვაწერო. ჩვენ, — დაასკვნა მან, — დღეს დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ: მოქმედების ძირითადი გეზი შევიმუშავეთ, — ის გამოცოცხლდა. — ვეცადოთ არ გადავუხვიოთ, ძმებო და მეგობრებო, ამ ძირითად გეზს. ჩვენი სურვილია, როცა კი შესაძლებელი იქნება, ერთდროულად ძალაც გამოვიჩინოთ და სამართლიანობაც. მაგრამ თუ ეს შეუძლებელი გახდა, მაშინ ხან სამართლიანობას გამოვიჩენთ და ხან ძალას. იმედი მაქვს, შევთანხმდებით, როდის რა აჯობებს, და თუ ვერ შევთანხმდებით, ღმერთები საჭირო რჩევას მომცემენ და ჩამაგონებენ რა შემთხვევაში რა მეთოდის გამოყენება გვმართებს.

ეს თქვა და მოთათბირენი გაისტუმრა. ოთხივე განცვიფრდა და შეშფოთდა, რომ ნერონმა იშვიათი ხელოვნება გამოამჟღავნა, ყველა მათგანი მართლად ცნო და თან არც ერთს არ მიმხრობია.

14

იმპერატორის ფაბრიკაცია

პართიელთა მეფე, ჭკვიანი არტაბანი, ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, ელიარებინა თუ არა ნერონი. თავის წერილებში მარჯვედ იფარებდა აღმოსავლურ ქარაგმებს და გადაჭრილ

პასუხს თავს არიდებდა. მეფე მალუქისა და ვარონის აგენტები პართიელ მინისტრთა მოსაცდელ ოთახებში ყურყუტებდნენ. არტაბანი ერთადერთ დათმობაზე წავიდა: ძღვენით, ხალიჩებითა და სანელებლებით დატვირთული ქარავანი გაუგზავნა კაცს, რომელიც „თავისთავს ნერონს უწოდებდა". მაგრამ ეგეც ორაზროვნად იყო ნათქვამი და შეიძლებოდა აღიარებადაც ჩაეთვალათ და არაღიარებადაც. ნერონის საქმე კი არტაბანის საბოლოო გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. თუ არტაბანი ნერონს დროზე არ დაუჭერდა მხარს, უსახსროდა და ულაშქროდ დარჩენილ იმპერატორს დიდხანს მეფობა არ ეწერა. მართალია, იმპერატორის არწივთა გამოჩენის შემდეგ მთელმა აღმოსავლეთმა თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ ეს არწივები ვერც ფრთებს გაშლიდნენ და ვერც აფრინდებოდნენ, თუ არტაბანი არ გამოჰკვებავდა მათ.

ვარონი თავის აგენტებს ცეცხლს უნთებდა და ისინი თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ პართიელი მინისტრები ზოზინობდნენ, ყველაფერს საფუძვლიანად სწონიდნენ და მათი აუჩქარებლობა გამაღიზიანებლად მოქმედებდა. ორი თვის შემდეგ ვარონმა, როგორც იქნა, მიიღო პირდაპირი პასუხი.

მეფეთმეფე, ასე იუწყებოდა არტაბანის დიდი კანცლერი და მხედართმთავარი, მზადაა თავის მეგობარს, რომის იმპერატორს ოცდაათათასიანი ლაშქარი დაახმაროს, მათ შორის ექვსიათასი რჩეული თოროსანი ჯარი. აგრეთვე სესხის სახით სთავაზობს ორას მილიონ სესტერციას. ოღონდ იმ პირობით, თუ მას შუამდინარეთის გარდა რომაული სირიაც სცნობს. როდესაც ნერონს ევფრატს გადაღმა, რომის ტერიტორიაზე რამდენიმე ციხე-ქალაქი მიემხრობა და მათი ერთგულება ეჭვს არ გამოიწვევს, არტაბანი მაშინ გამოგზავნის ფულსა და ლაშქარს.

ვარონმა პირველად რომ გადაიკითხა ეს წერილი, სახე გაუბრწყინდა. პირობა ზომიერი და გონივრული ეჩვენა. მაგრამ რაც უფრო ღრმად უფიქრდებოდა, მით უფრო რწმუნდებოდა მის სიძნელეში. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა შმაგი ტრებონისათვის დაეჯერებინათ, შეჭრილიყვნენ რომაულ სირიაში და ორიოდე საზღვრისპირა ქალაქი ხელში ჩაეგდოთ.

მაგრამ ეს სიგიჟე იყო. ასეთი პროვოკაციის საპასუხოდ ცეიონი პალატინს შეუთანხმდებოდა, ორი ლეგიონით, ან შეიძლება სამითაც. უშიშრად გადმოლახავდა ევფრატს. და ისე გაანადგურებდა ნერონს, რომ პართიას ომის საბაბს არ მისცემდა, თუ რომაელები პროვოცირებულნი იქნებიან და გამოვლენ არა თავდამსხმელის, არამედ დამცველის როლში, არტაბანი ვერ მოახერხებს, საომრად გააერთიანოს პართიელები. არა, საქმე ისე მარტივი როდია, როგორც ტრებონს ეჩვენება. რომაული ქალაქები თვითონ, თავისი ნებით უნდა მიემხრონ ნერონს. ცხადია, ამას გულისხმობდა ცბიერი არტაბანი, როდესაც ასეთ პირობას აყენებდა.

რამდენიმე საზღვრისპირა რომაულ ქალაქს ფულები დააყარეს და წინასწარ კარგად შეამზადეს. ქალაქები მაინც ყოყმანობდნენ. ისინი საბაბს ეძებდნენ, რომ გადადგომოდნენ ანტიოქიის მთავრობას, მაგრამ ცეიონი ფრთხილობდა და ასეთ საბაბს არ იძლეოდა. ვარონი საგონებელში იყო ჩავარდნილი. რითი წააქეზონ ეს ქალაქები? როგორ უნდა მოიქცნენ, რომ საბოლოო ნაბიჯი გადაადგმევინონ და ანტიოქიის გუბერნატორს აუმხედრონ? ვარონმა იმპერატორს მთელი შუამდინარეთი და კომაგენე დაუმორჩილა. ნუთუ ასე აწყობილი საქმე უბრალო დავალებამ უნდა ჩაშალოს? როგორ ვერ უნდა გადმოიბირონ ორიოდე რომაული ქალაქი? ის ეძებდა გამოსავალს, ძილი გაუტყდა, დაიტანჯა. იკარგებოდა ძვირფასი დრო. მან კი ვერ იქნა და ვერაფერი მოიფიქრა.

ერთ მშვენიერ დღეს ვარონთან კნოპსი გამოცხადდა. მოუსვენარი თვალებით ახედ-დახედა სენატორს. ხომ არ ტკბება კნოპსი ვარონის უმწეობით? გარეგნულად არაფერი ეტყობა.

— პართიელთა პირობა ზომიერია, მაგრამ ძნელი შესასრულებელი, — თქვა კნოპსმა საქმიანად.

— მართალს ბრძანებთ, ჭაბუკო, — დამცინავად შეესიტყვა ვარონი.

— საჭიროა ფიქრი, — აღნიშნა კნოპსმა.

— მერედა, რაღას უცდით, ძვირფასო კნოპს, — მიუგო ვარონმა.

— ფიფიქრე კიდევაც, — მაშინვე მიაგება კნოპსმა, — ერთ იდეას მივაგენი.

— გისმენთ, — თავაზიანად წაიდუდუნა ვარონმა და სკეპტიკურად, უიმედოდ გაიღიმა. მაგრამ სკეპტიკური ღიმილი უმალვე ჩამოერეცხა სახიდან. — რაც ამ თავზეხელაღებულ კნოპსს მოუფიქრებია, მზაკვრული და თავხედური საქმეა, მაგრამ მთელი ფანტასტიკურობის მიუხედავად ლოგიკური ჩანს და შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს.

კნოპსის გეგმა ასეთი იყო: რომაული სირიის საზღვრისპირა მოსახლეობა როგორმე უნდა შეაგულიანონ, რომ იგი ცეიონს გადაუდგეს და კანონიერ იმპერატორ-ნერონს მიემხროს. ამას კი ყველასთვის მისახვედრი საბაბი სჭირდება, გარეგნული საბაბი, შინაგანად მოსახლეობა უკვე შემზადებულია. ასეთი საბაბი მრავლად არსებობს. საჭიროა ერთ-ერთი მათგანის სააშკარაოზე. დღის სინათლეზე გამოტანა. ეს ძნელი საქმე როდია. მაგალითად, სირიის საზღვართან ქრისტედ წოდებულ ღმერთს განა უამრავი მიმდევარი არა ჰყავს, ეგრეთწოდებული ქრისტიანები, რომელთაც კანონიერი იმპერატორი ნერონი ფანატიკურად სძულთ? განა ამ ფანატიკოსმა ქრისტიანებმა მხოლოდ მისი სიძულვილის გამო არ გადაწვეს თექვსმეტი წლის წინათ რომი? ახლაც შესაძლებელია, შესაძლებელი კი არა, ცხადზე უცხადესია, რომ გულში ისევ შავი ზრახვები აქვთ, და მათ ზურგს უმაგრებს ცეიონის მთავრობა, რომელსაც ნერონის ერთგულ სირიელთა ალაგმვა სწადია. ვინც ამ ქრისტიანთა ხასიათს კარგად იცნობს, ვინც იცის უზურპატორი ტიტუსისა და მის მოხელეთა გულღვარძლიანობა, იგი წინასწარ განჭვრეტს. თუ რა მიმართულებას მიიღებს ქრისტიანთა და მათ ხელისშემწყობთა დანაშაულებრივი გეგმები. ჭკუასთან ახლოა, რომ ამ ქრისტიანებმა, ვთქვათ, რაბი გახსნან ან ბოროტი განზრახვით ევფრატის არხი დააზიანონ და წალეკონ საზღვრისპირა სირიულ-რომაული ქალაქები, რომლებიც ფარულად ნერონს თანაუგრძნობენ. ეს ბოროტმოქმედება რომ გამჟღავნდება, ნუთუ საზღვრისპირა მოსახლეობა ერთი კაციკვით არ აღდგება ანტიოქელ ხალისუფალთა წინააღმდეგ? მაშინ ნერონი აქაურების მხარდაჭერით

შემომტკიცებულ ქალაქებში რამდენიმე თვეს მაინც გაძლებს, არტაბანის მოთხოვნაც შესრულდება და ჩვენ მივიღებთ დაპირებულ ლაშქარსა და დაპირებულ ფულს.

ვარონი გაუნძრევლად იჯდა და მიშტერებოდა კნოპსს, რომელიც ისე მშვიდად ლაყბობდა, თითქოს საქმე ქალაქგარეთ გასეირნებას ეხებოდა. ყმაწვილი მართალია. რაც მან თქვა, ეს სწორედ რომ იდეაა, მიგნებაა. დიახ, ეს გეგმა მთელი თავისი უბრალოებით დიდებულია და მზაკვრული. იგი უსათუოდ წარმატებით დაგვირგვინდება, ხალხში სასურველ წარმოდგენებს აღძრავს. ამის მისახვედრად ვარონს კნოპსის ახსნა-განმარტება არა სჭირდება.

არავინ იცოდა, თუ თავის დროზე, თექვსმეტი წლის წინათ, ვინ გადაწვა რომი. ვარონის აზრით ხანძარი მიწის ნაკვეთებით მოვაჭრეებმა გააჩინეს და ეს აზრი არ იყო მთლად საფუძველს მოკლებული. ნერონისადმი მტრულად განწყობილი რესპუბლიკურ-არისტოკრატიული პარტია ამტკიცებდა, ხანძარი ნერონმა გააჩინა, რომ თავისი ბოროტი ბუნება გამოემჟღავნებინა და თან დიდებული სანახაობით დამტკბარიყოო. ხალხი ორ ბანაკად გაიყო. ბევრნი ხანძრის მიზეზად იმპერატორს თვლიდნენ; მაგრამ ბოროტმოქმედება იმდენად გრანდიოზული იყო, რომ ეს ამბავი მათში განცვიფრებას იწვევდა და არა აღშფოთებას. უმეტესობას სჯეროდა, რომ ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს ქრისტიანებმა, რომლებიც ნერონმა გაასამართლა, რადგან საჭირო იყო ვისაც გასამართლება. თუ ამ დანაშაულებრივი წყალდიდობის შედეგად რომელიმე. რომაულ-სირიული ქალაქი დაიღუპა, ხალხს ისევ ნერონის ძველი საქმეები დაუდგება თვალწინ, ამაში კნოპსი მართალია. ხალხი ამ საქმესაც ნერონისეულად მიიჩნევს. რწმენა, რომ ნერონი ცოცხალია, ნერონი აღმოსავლეთშია, უფრო განმტკიცდება. ბრბოს დიდი ჭკუა არ გააჩნია, ადვილად დაიჯერებს, რომ ეს წყალდიდობა, ისევე როგორც რომის ხანძარი, ფანატიკოსი ქრისტიანების მოწყობილია და რომ ამ საქმეში მათ ტიტუსის მოხელეებიც ეხმარებოდნენ. ცეიონის ხელქვეითებს რომ საკუთარ სამფლობელოში სირიელთა სიძულვილის გამო ქალაქი მოესპოთ, ეს სრულიად დაუჯერებელი რამ იყო. მაგრამ სწორედ

იმიტომ რომ დაუჯერებელი იყო, ხალხი მით უმეტეს ირწმუნებდა ამ ამბავს და აღტაცებაში მოვიდოდა, თუ ნერონი დანაშაულს ისევ ქრისტიანებს გადააბრალებდა და დასჯიდა მათ.

„ვერაგული გეგმაა“, ფიქრობდა ვარონი, „მაგრამ ეს გეგმა მოფიქრებულია საქმის ბრწყინვალე ცოდნით და ბრბოსთვისაა გამიზნული. რა მდიდარი ფანტაზია აქვთ ამ მდაბიოებს“.

ხმამაღლა კი თქვა:

— ძალიან მსხვილი ძაფით ხომ არ არის ეს ამბავი ნაკერი, საყვარელო კნოპს?

— რა თქმა უნდა, ჩემო ვარონ, — მიუგო კნოპსმა და ვარონი უნებურად შეიშმუხნა. ესეც კი თავხედდება და შინაურულად „ჩემო ვარონს“ ეძახის! კნოპსი კი განაგრძობდა: — საქმეც იმაშია, რომ მეტისმეტად მსხვილი ძაფით არის ნაკერი. ტყუილი რაც უფრო აშკარაა, მით უფრო იოლად იჯერებენ ხოლმე, — დარწმუნებით თქვა მან.

ვარონი გულში დაეთანხმა.

— მერედა, ჩემო კნოპს, — თქვა მან და ამ მიმართვამ კნოპსი უზარმაზარი სიამაყით აღავსო, — სად აჯობებს ამ წყალდიდობის მოწყობა?

— სულერთია, — დაჯერებით უპასუხა კნოპსმა. — ევფრატის პირას ყველგან არის არხები, ყველგან არის რაბები, ყველგან არიან ტიტუსის მოხელეები, ქრისტიანები, მეთოთხმეტე ლეგიონის ნაწილები, ყველგან არის სირიული სალოცავები, რომელთა მოსპობა განსაკუთრებით გააბოროტებს აქაურებს, ყველგან არის ოწინარები და ბერკეტები, ყველგან არის ენთუზიაზმი, ყველგან აკლიათ სწორი განსჯის უნარი და ყველგან არის მკლავი და ხელი, რომელიც კაშხალის ბერკეტსა და სადინარებს გახსნის. ავიღოთ, მაგალითად, ბირთა ან აპამეა, ან ევროპოსი, ანდა დაგუსა. თუ რომელიმე მათგანის ერთი ნაწილი წყალმა დაფარა, გადარჩენილი ნაწილი უსათუოდ აღდგება ბორტმოქმედთა წინააღმდეგ. და ვინც ამ წყალდიდობის შემდეგ გამოჩნდება, ვინც საჭირო მომენტში მოევლინება ქალაქს, მას მხსნელად მიიჩნევენ. თან თუ ეს მხსნელი თავის თავს ნერონს უწოდებს... — მან არ დააბოლო-

ვა, იმით დაკმაყოფილდა, რომ ოდნავ ჩაიღიმა, დარწმუნებითა და ეშმაკურად.

კნოპსის გეგმა იმპერატორის სხვა მრჩეველებმაც მოიწონეს. მოსალოდნელმა წყალდიდობამ ყველაზე მეტად ტრებონი აღაფრთოვანა. მეფე ფილიპე, რა თქმა უნდა, მოიღუშა, როცა ეს გეგმა მოისმინა. მეფე მალუქს კი უეცრად გაახსენდა, რომ საკმაოდ დიდხანს მართა სამეფო და შორეული უდაბნო მოენატრა. რამდენიმე მხლებლითურთ გაიპარა ქალაქიდან და მარტოობას მიეცა. მოსალოდნელი წყალდიდობა ყველაზე უფრო ქურუმთუპირველეს შარბილს აფიქრებდა. ის ეშვიობდა, რომ ქრისტიანები თავისი მიზნისათვის ქალღმერთი ტარტეს ტაძარს აირჩევდნენ, და მისი ეშვი უსაფუძვლო როდი იყო; მათ, როგორც ჩანდა, უკვე დაედგათ თვალი ქალაქ აპამეის უძველესი სალოცავისათვის. შარბილი, ცოტა არ იყოს, სინდისმა შეაწუხა. ტარატეს ტაძარი აპამეაში აშენებული იყო ქალღმერთის თევზთა აუზთან, რომელიც უხსოვარ დროს ამოევსო მდინარის წყალს. ამიტომ ტაძარი დაბალ ადგილას მდებარეობდა და წყალდიდობას ვერასგზით ვერ გადაურჩებოდა. ნუთუ შეიძლება ასეთი ძვირფასი ტაძარი ბედის ანაბარა მიატოვოს? მაგრამ შარბილმა ასე განსაჯა: თუ შორს განვეშვრეტთ, ამ საქმის საბოლოო შედეგები ქალღმერთს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს. როდესაც ნერონი გამეფდება, თაყვანისმცემლები კიდევ უფრო მეტ პატივს მიაგებენ ტარატეს, ვიდრე ეს ტიტუსის დროსაა. თან შარბილი ცნობისმოყვარე იყო და წინ დიდი დრო აღარ ედო, ტარატეს ტაძრის წალეკვას კი ჯერ არ მოსწრებოდა. ამას გარდა — შეიძლება ეს იყო მისი გადაწყვეტილების უმთავრესი მიზეზი — რაღაც ხმა, რომელსაც ცნობიერებამდე არ უშვებდა ჩასჩურჩულებდა, თუ აპამეის სახელგანთქმული სალოცავი დიდი ხნით გაუქმდება, მლოცველები ედესის ტაძარს მოაწყდებიანო. ქურუმთუპირველეს შარბილს წინასწარმეტყველის ნიშს მიაწერდნენ. ახლა მან წმინდა თევზების მოძრაობისა და ზვარაკის შიგნეულის მიხედვით ავი, ბნელი ამბები იწინასწარმეტყველა. ადიდდებიან მღვრიე წყლები და ჩემ ქალღმერთს განარისხებენო, — ამბობდა ივი.

ამასობაში კი ტრებონი და კნოპსი ბეჯითად შეუდგნენ თავიანთი გეგმის განხორციელებას. ტრებონს ტექნიკური მხარე ეხებოდა, კნოპსს — ფსიქოლოგიური, მას ხალხი უნდა შეემზადებინა. ტრებონი კნოპსზე ნაკლებად როდი ამაყობდა იმით, რომ არისტოკრატებმა ვერაფერი იღონეს, აღარ იცოდნენ, რა წყალში ჩაცვენილიყვნენ, კნოპსის იდეამ კი ნერონის საქმე ჩაფუშვას გადაარჩინა. კაპიტანი ტრებონი დღედაღამ იმაზე ოცნებობდა, თუ ყველაზე უწინ როგორ აიჭრებოდა წყალში ჩაძირული ქალაქის გალავანზე და დაიმსახურებდა „გალავნის გვირგვინს", ჯილდოს, რომელიც ჯერაც არ მიეღო.

თვითონ იმპერატორს ეს ამბავი არ გაუმხილეს. ქარაგმებით ეუბნებოდნენ, შენი გავლენა უაღრესად გაიზრდება და ახლო მომავალში დიდი ძვრები მოხდება რაც კიდევ უფრო აგამაღლებსო. ნერონისაგან არა უნდოდათ რა, გარდა იმისა, რომ ის საჭირო დროს წალეკილ ქალაქში გამოჩენილიყო. ამიტომ ის რაც უფრო ნაკლებ იქნებოდა შემზადებული, მით უფრო გულწრფელად აღაშფოთებდა ჩადენილი ბოროტმოქმედება და უკეთესად გამოხატავდა თავის აღშფოთებას.

15

დიდი ბოროტმოქმედება

ევფრატი შუაზე ყოფდა ქალაქ აპამეას. მარჯვენა ნაპირის დამრეც ბორცვებზე შეფენილი იყო ქალაქის ახალი უბანი სელევკია, რომლის ბოლოშიც ციტადელი იდგა. მარცხენა დაბალ ნაპირზე ქალაქის უძველესი ნაწილი მდებარეობდა. აქვე იყო უხსოვარ დროს შექმნილი ტარატეს წყალსაცავი, ევფრატის მომლაშო წყლით სავსე. სწორედ ეს წყალსაცავი ენანებოდა ქურუმთუპირველს შარბილს. იქვე იდგა პატარა ძველისძველი შენობა, ქალღმერთის წმინდა ტაძარი. ქალაქის ორივე ნაწილი ერთმანეთთან ნავტიკების ხიდით იყო დაკავშირებული. მდინარის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის ძველ უბანში, მხოლოდ სირიელები ცხოვრობდნენ. ახალ უბანში, სელევკი-

აშიც ისინი შეადგენდნენ უმეტესობას. ქალაქში რომის ძლიერი გარნიზონი იდგა.

აპამეის ზემოთ ევფრატიდან გამოყვანილი იყო დიდი „გორბატის არხი“, რომელიც მთელ მხარეს წყლით ამარაგებდა. არხი და მდინარე ძველთაგანვე კაშხალითა და რაბებით იყო მოწესრიგებული. მის მოწყობას ლეგენდარულ დედოფალს სემირამიდას მიაწერდნენ; ახლა მას „გორბატის კაშხალი“ ერქვა და ტექნიკის სასწაულად ითვლებოდა. გამოცდილი მცველები მეთვალყურეობდნენ ამ კაშხალის მახვილგონივრულსა და უაღრესად მარტივ მექანიზმს; არავის ახსოვდა, რომ აქ რამე სერიოზული მარცხი მომხდარიყო.

მით უფრო შეძრწუნდნენ აპამეის ძველი ნაწილის მკვიდრნი, როდესაც აპრილის ერთ ღამეს მოულოდნელად მათ ქუჩებსა და სახლებში ევფრატის წყალი შემოიჭრა და ყველაფერი დაფარა. სანამ გონს მოეგებოდნენ, მთელი უბანი ყვითელ, მოლივლივე ტბად იქცა. ევფრატიდან უხსოვარ დროს წამოსული მომლაშო წყალი, რომელშიც ტარატეს თევზები დაცურავდნენ, კვლავ ევფრატს შეუერთდა. ტაძრის ქვედა სართულები აბობოქრებულმა ნიაღვარმა დაფარა. ტბაზე, რომლის ქვეშ აპამეის ძველი უბანი იყო, დაცურავდა სახელდახელოდ შეკრული ნავები, საოჯახი ნივთები, საქონელი; უკვე გვამებიც ამოტივტივდა. მოლივლივე წყლიდან შემზარავი ხმები მოისმოდა, სასოწარკვეთილი ღრიალებდა ხალხი, ბღაოდნენ და ღმუოდნენ პირუტყვები.

ბატკნის ტყავებით შეკრული ტივები სავსე იყო შიშველი და ნახევრადშიშველი ხალხით, და ეს ტივები სწორედ იმ ქუჩებში დაცურავდნენ, სადაც გუშინ ტახტრევნები, ეტლები და მხედრობა ირეოდა.

ვერავის გაეგო, ასე უცბად როგორ შემოიჭრა სტიქიონი. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ აპამეის სამხრეთით, ევფრატის პირას, გორბატის კაშხლის ერთ-ერთი მცველი იპოვეს. ის შებორკილი იყო და პირში ჩვარი ჰქონდა ჩაჩრილი. გაათავისუფლეს და მან თავზარდაცემულმა უამბო იქ მყოფთ, რომ მეორე მცველი რამდენიმე უცნობ კაცთან ერთად მოულოდნელად მეცა, წამაქცია, გამთოკა და მდინარეში გადამაგდო.

შემდეგ რა მოხდა, აღარ იცოდა; სასწაული და ღმერთების უდიდესი წყალობაა, რომ ნაპირზე გამოირიყა და გადარჩა. მცველი, რომელმაც ის წყალში გადააგდო და კაშხალი გახსნა, გიჟი ყოფილა ან ბოროტი განზრახვა ჰქონია. ეს არის ვინმე სიმლაი, ქრისტიანი.

მარჯვენა ნაპირს, სელევკიას, ელვის სისწრაფით მოედო ამბავი, ეს წყალდიდობა ბოროტმა ხელმა გამოიწვიაო. უკვე ქრისტიანმა სიმლაიმაც აღიარა ყველაფერი. ის თურმე ამ საქმისათვის გუბერნატორის მდივანმა — არისტონმა დაიქირავა. ქალაქი მძვინვარებამ მოიცვა. შუადღეზე უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ქრისტიანები უზურპატორი ტიტუსის პირსისხლიანმა მთავრობამ მოისყიდა და ამ ნაძირალებმა წალეკეს „სირიის ქალღმერთის" სამლოცველო და მშვენიერი ქალაქი. და ყოველივე ეს ჩაიდინეს სირიელთა ჯიბრით, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ უზურპატორ ტიტუსს გადასდგომოდნენ და კანონიერ იმპერატორს — ნერონს მიმხრობოდნენ..

ქრისტიანები რომ სულით მეამბოხენი იყვნენ, ეს ამბავი ხელმა ქვეყანამ იცოდა. ისინი უარყოფდნენ საკუთრებასა და ოჯახს, მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. აპამეელები სახლებში შეუცვივდნენ მათ, დაარბიეს, დახოცეს, ვინც კი ხელში ჩაუვარდათ; მიწასთან გაასწორეს მათი ქოხმახები.

რომაელი ჯარისკაცები აშკარად თანაუგრძნობდნენ მოსახლეობას. დაზარალებულთა დასახმარებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. ნავებითა და ტივებით მარჯვენა ნაპირზე, სელევკიაში, გადაჰყავდათ, გადაარჩინეს, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა. გულმოდგინედ მუშაობდნენ წალეკილი ხიდის აღსადგენად. ციტადელში დარჩენილები, რომელნიც სტიქიონის შემოჭრისაგან მარჯვენა ნაპირს იცავდნენ, სათვალთვალო კოშკებსა და ქონგურებზე ავიდნენ და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს წყალდიდობას. ჯერ კიდევ გუშინ მათი ციტადელი მდინარის პირას იდგა, ახლა კი მის წინ ვრცელი ტბა გაშლილიყო. უცნაურად გაწოლილ ტბას ლურჯი ცა დაჰყურებდა, ცაზე თეთრი და სქელი ღრუბლები ირეოდა. სახლის თავები სასაცილოდ ამოწვდილიყვნენ წყლის ზედაპირზე. ცალ ფეხზე მდგარი ყანჩები დარბაისლუ-

რად და კომიკურად გაჩერებულიყვნენ სახურავებზე და ფრინველთა გუნდები ყვითელ წყალსა და მოკაშკაშე ცას შუა დაფრიხავდიენ. ტაბასე, რომელსაც აპაშეის ძველი უბანი დაეფარა, სახლის სახურავებს შორის სულ უფრო მეტი ნავები და ბატკნის ტყავებით შეკრული ტივები მიდიმოდიოდა, ვინ არ ისხდა სედ: მშველელები, მძარცველები, სასოწარკვეთილები და ათასი ჯურის ნაძირალები.

უცნაური სახახავი იყო ტარატეს ტაძარი. ჯარისკაცები სახურავადილ „სეესაგში“ იყურებოდნენ. წყლიდან ამოშვერილიყო ქალღმერთის ავხორცული სიმბოლოები, ფალოსის მალალი ქანდაკება; ტარატეს უსარმაზარი ძველთაძველი, მახინჯი ქანდაკება, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, საკურთხევლის ნახევრად ღია ნიშში იდგა, მისი შიშველი ძუძუები წყალს დაეფარა, ჩანდა მხოლოდ გვირგვინით შემკული თავი და ცალი ხელი, რომელშიაც თითისტარი ეჭირა. მის ირგვლივ ფიცრები და სხვადასხვა წმინდა საგნები დაცურავდა. უცნაური სახე ჰქონდა ქალღმერთს, თითქოს განრისხებულიაო, და როდესაც ერთ-ერთმა ჯარისკაცმა იხუმრა, ახლა ხომ გამოადგება თავისი თევზის კუდიო, დანარჩენებმა გაცინება ვერ გაბედეს.

მაგრამ რა მოჩანს იმ დიდ ნავში, ჩრდილოეთის მხრიდან რომ ახლოვდება? ეს ხომ რომაელთა იარაღი და მუნდირებია, მეგობრები მოდიან. დიახ, როგორც იქნა, გამოჩნდნენ მეგობრები, მოდიან მეთოთხმეტე ლეგიონის ნაწილები, რომლებიც საბოსატასა და ედესაში იდგნენ. ის კი თვითონ დიდი ტრებონია, საყვარელი კაპიტანი ტრებონი, თავისი ლაშქარი მოეყავს. აბაშეელი ჯარისკაცები აქამდე ათასჯერ ეკითხებოდნენ თავის თავს ცნობისმოყვარეობით, იმედითა და შიშით: მოვა თუ არა იგი? მალე მოვა თუ არა? თუ გაბედავს? და რას ვიზამთ, როდესაც მოვა? შევებრძოლებით თუ უბრძოლველად გავუღებთ ციხე-სიმაგრის კარებს?

და, აჰა, ის უკვე აქ არის, სტიქიონთან ერთად მოვიდა. გარნიზონის მესანგრეები უყოყმანოდ შეუერთდნენ მის მესანგრეებს, საერთო ძალით ხიდის შეკეთებას იწყებენ. ნავტიკები იძირებიან, ისევ ამოდიან წყლის ზედაპირზე, თოკები და ტომრები ერთმანეთს ეპმიან, ბაგირები წყალში მისრიალებენ,

იჭიმებიან, მაგრდებიან. ტრებონი იქვე დგას, იცინის, ხელს იქნევს, ხმამაღლა ლაპარაკობს, იგინება, ყვირის, მოაბიჯებს, ბესაბგრეებს ამხნევებს. ნავტიკების ხიდი ერთადერთი გზაა ციტადელისაკენ.

თითქოს ყველაფერი მზად უნდა იყოს. ხიდი გადებულია. იგი ჯერ ფერდდება, სხლტება, ქანაობს, მაგრამ მაინც არ ირღვევა. და ახლა ხიდზე თავხედურად, თამამად დგება ტანსქელი კაპიტანი ტრებონი, არმიის საყვარელი ოფიცერი, გმირი; იგი მოდის მაღალი, მძიმე, აბჯარასხმული, თავის ცხენზე, ვიქტორზე ამხედრებული.

უშიშრად მოდის, წინ მიუძღვის ლაშქარს. ფარი გვერდზე დაუდევრად გადაუკიდია. ლოდსატყორცნებით ადვილია მისი და მთელი ნაწილის განადგურება. წყალში გადაცვივდებიან და ვეღარაფერი უშველით. აი, ახლა ლოდსატყორცნიც აღარაა საჭირო, ისრის მისაწვდენ მანძილზე არიან, მალე შუბის ხმარებაც შეეძლებათ. მშვიდად მოჰყავს ცხენი, ხიდის ფიცრები ზანზარებენ, ჯავშანზე და ცხენის მოსართავებზე ჯილდოები უბრჭყვიალებს. ზემოთ კი გაზაფხულის მოკაშკაშე ცაა.

უკვე ხიდის თავს მოაღწიეს, აჰა, გამაგრებულ კარიბჭესაც მოადგნენ. კარები დახშულია. ციტადელში მყოფნი დაბნეულები არიან. როგორ მოიქცნენ? ჯერ კიდევ არაა გვიან, ჯერ კიდევ შეიძლება რისიმე გადაწყვეტა. შეხვდნენ მათ ისე, როგორც მტერს უნდა შეხვდნენ თავიანთი წესდების მიხედვით, თავზე დააყარონ ეს წინასწარ მომარაგებული მსხვილ-მსხვილი ლოდები და გაჟლიტონ? იქნებ მდუღარე კუპრი გადაასხან, კუპრი ხომ ყოველთვის მზადა აქვთ. მეთაური უმწეოდ შეჰყურებს თავის ჯარისკაცებს, აღარ იცის რა იღონოს. საცა წესი იყო, აქამდეც უნდა ეღონა რამე. ჯარისკაცები ყვირილით მოითხოვენ, კარები გაუღონ დიდ კაპიტან ტრებონს და ციხესიმაგრეში შეუშვან.

მაგრამ ტრებონს სხვა რამე განუზრახავს. მას არ უნდა უბრალოდ გადაწყვიტოს ყველაფერი და კარიბჭიდან შემოვიდეს. არა, მან უნდა დაიპყროს ეს ქალაქი, გალავანზე ავიდეს. ქონგურზე მდგარნი თვალებდაჭყეტილნი შესცქერიან მას.

ტრებონის ბრძანებით მისი ჯარისკაცები ფარებს მაღლა სწევენ, ქმნიან „კუს“. საშინლად ძნელია ნავტიკების ხიდზე „კუს“ გაკეთება, ეს ხომ თითქმის სასწაულია, ძმებო და მეგობრებო. ახლა კი ვფიცავ ჯოჯოხეთსა და ჰერკულესს, ტრებონი ბოლო რგოლის ფარებზე ადის. ვინ დაიჯერებს აბჯარასხმული კაცის

ფარებზე ასვლას. ხვნეშის, ფეხებგაჩაჩხული მოქღრიალე, მოქანავე ფარებზე უხერხულად მიაბიჯებს. ქვემოდან კიბეს აწვდიან. ის კედელზე აყუდებს კიბეს და ამოსვლას იწყებს.

ზემოთ კი დაბნეული ჯარისკაცები გარს შემოხვევიან თავიანთ ახალგაზრდა მეთაურს. რამდენიმე ხელმა ლოდების გადაგორება დააპირა. მაგრამ სხვათა თანდასწრებით ვერავინ ბედავს ამის გაკეთებას, იმათი თანდასწრებით, ვინ ხელების

ქნევით, ყიჟინითა და აღფრთოვანებით ეგებება დიდ კაპიტანს. გრანდიოზული სანახავია გალავანზე ამომავალი ტრებონი. ერთი საფეხური. კიდევ ერთი საფეხური. ყველაფერი ქანაობს, ნავტიკების ხიდიც, ფარებაწვდილი ჯარისკაცებიც, მთელი „კუ“, ქანაობს კიბე, მაგრამ ტრებონი არ ეცემა, ტრებონი წონასწორობას ინარჩუნებს. იცინის, ხვნეშის, გალავანზე მობობღავს, ყვირის მეთოთხმეტე ლეგიონის საომარ დაძახილს:

— მარსი და მეთოთხმეტე.

მობობღავს. ხელს ავლებს გალავნის კიდეს, მარჯვედ ამოხტა და, აჰა, უკვე გალავანზე დგას..

— მოვედით, ბიჭებო, — ამბობს თავისი მშობლიური დალმატინური დიალექტით, გაისმის მისი ყველასთვის ცნობილი როხროხი.

აზრადაც არავის მოსდის, რომ მთელი ეს სიყოჩაღე, კაცმა რომ თქვას, არაფერი საჭირო იყო, და ტრებონს, მოვლენათა მსვლელობის მიხედვით, უფრო თავისუფლად და უხიფათოდ შეეძლო კარიბჭიდან შემოსვლა. მაგრამ ჯარისკაცები მით უფრო მეტი აღტაცებით ხვდებიან, აღტაცებით ხვდება მთელი აპამეა იმპერატორი ნერონის წარმომადგენელს, დიდ ჯარისკაცსა და გენერალს ტრებონს, რომელმაც მდინარე გადმოლახა, რათა ქალაქი უარესი .უბედურებისაგან ეხსნა. გარნიზონი ხრძანებას არ დაელოდა, ჯარისკაცებმა ალმებიდან იმპერატორი ტიტუსის სურათები ჩამოგლიჯეს და ნერონის სურათები აღმართეს. ეს სურათები მათმა თანამოძმეებმა მოიტანეს თან. ციხისთავმა გამარჯვება მიულოცა ტრებონს. თქვა, რომ, მართლაც, ტრებონისაგან ყოველთვის დიდ საქმეებს მოელოდნენ, მაგრამ მან ახლა ყველას თვალწინ გამოიჩინა არნახული გმირობა და „გალავნის გვირგვინი“ ღაიმსახურა. ეს იყო დიდებული წუთი. ამ წუთმა მნახველთა ხსოვნაში სამუდამოდ აღბეჭდა მამაცი ტრებონის სახე, რომელმაც მდინარე გადმოლახა და ფარებისა და კიბის დახმარებით აპამეის ციტადელის გალავანზე აიკრა, როგორც ჯარისკაცული გამოთქმის სიმბოლო: „თვალი გაუსწორე საფრთხეს“.

სამი საათის შემდეგ აპამეაში სახელმწიფო მდივანი კნოპ-

სი ჩამოვიდა. ქალაქის გადარჩენილ ნაწილში, სელევკიის მოედანზე, სიტყვა წარმოთქვა.

— დადგა დიდი გარდატეხის ჟამი, — აუწყა მან ხალხს, — ბოროტმოქმედთა დრო წასულია. იმპერატორი ნერონი დაიცავს თავის ერთგულ ქვეშევრდომებს და მათ ვეღარ შეეხება ტიტუსის დამქაშთა ბოროტი ხელი.

16

წარღვნის მგოსანი

საღამოს თვითონ იმპერატორი ჩამობრძანდა, ლაშქარი და ხალხი საკადრისი ზეიმით შეხვდა. მან საჩქაროდ გამოიცვალა ტანსაცმელი და ბავშვი ამალის თანხლებით ციტადელის კოშკზე ავიდა. კოშკი რვასართულიანი იყო და ზევით თანდათან ვიწროვდებოდა. ყოველ სართულს გარს ზღუდე ერტყა. მერვე სართულიდან გასცქეროდა იმპერატორი აპამეის ტბადაქცეულ ნაწილს. კარისკაცებმა აუწერეს ამ ბოროტმოქმედების მთელი საშინელება, ჩამოუთვალეს უმთავრესი შენობები, რომელიც წყალმა დანთქა და მოახსენეს, თუ რა ღონისძიებები იქნა მიღებული მათ გადასარჩენად.

მცირე ხნის შემდეგ იმპერატორმა მხლებლები გაისტუმრა. ისინი მეშვიდე სართულის ზღუდესთან შეგროვდნენ. იმპერატორმა კოშკის თავზე მარტო დარჩენა მოისურვა. იმედი მაქვს, განაცხადა მან, განადგურებული ქალაქის ხილვა შთაგონებას მომანიჭებს და შეიძლება შევავსო ჩემი ლექსად დაწერილი რომანი „ოთხი დრო", სახელდობრ, სიმღერა წარღვნაზე, დევკალიონის წარღვნაზე.

ის კოშკის თავზე სრულიად მარტო იყო. ქვემო სართულებზე ირეოდა ამალა და მხედრობა. კოშკის ძირში დამფრთხალი და ცნობისმოყვარე ბრბო მოგროვილიყო. ნავებიდან და ტივებიდან, რომლებიც ნაქალაქარზე დაცურავდნენ, მრავალი ათასი თვალი კრძალვით მიპყრობილიყო მისკენ. თვითონ ის კი ტკბებოდა ჩაძირული ქალაქის ამაზრზენი და აღმაფრთოვანებელი ხედით.

მისთვის არ გაუმხელიათ, სინამდვილეში როგორ მოხდა წყალდიდობა; მაგრამ მისი შინაგანი ხმა, მისი დემონი, ჩასჩურჩულებდა, სტიქიონი შემთხვევით არ ადიდებულა, ყოველივე ეს შენი გულისთვის მოხდაო. ტერენციუსი სიამაყით ივსებოდა, დღე, როდესაც ის რომში სენატის წინაშე წარდგა, აქამდე თავისი ცხოვრების მწვერვალად მიაჩნდა. ახლა კი უფრო მაღალ მწვერვალზე ავიდა. მისი გულისათვის დაიღუპა ქალაქი აპამეა, ზარდაცემული და მოწიწებით გამსჭვალული ქვეყანა მის ფეხქვეშ გართხმულა, ესალმება, მშველელად და მხსნელად მოვლინებულს. სინამდვილემ ოცნებასაც კი გადააჭარბა. ასრულდა დედამისის სიზმარი, ასრულდა მისი სანუკვარი ოცნება.

მან ლაპარაკი დაიწყო. წარმოთქვა თავისი ეპოსის ნაწყვეტები, რომლებიც დიდ წარღვნას ეხებოდა. მას ნერონის ლექსები საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი, თავისად ექცია. წყლით დაფარული აპამეის წინაშე გალობდა ლექსებს ძველ საუკუნეთა შესახებ, იმ ხალხის შესახებ, რომელსაც ზევსმა წარღვნა მოუვლინა და მოსრა. და ეს ლექსები შორეული სივრცისაკენ მიისწრაფიან, დაისით შეღებილი ცისკიდურისაკენ, სადაც წყლის ფრინველები ხმაურით დაფრინავენ. თანაც უხილავ ქნარს უკრავს.

კოშკის ძირში თუ ტივებსა და ნავებზე მყოფი ხალხი თვალს არ აცილებს მას. აღმოსავლელებს ყოველთვის სწამდათ, რომ ნერონი თავის ხელოვნებას მხოლოდ რომაელებს, კორინთელებს, ათენელებს კი არა, მათაც აჩვენებდა. და ესეც მოხდა. აჰა, იმპერატორი მთელი თავისი სიდიადით დგას დანთქმული ქალაქის თავზე, მგოსანი და მხსნელი. ყურს უგდებს თავისი დემონის ხმას და ნათელს აფრქვევს. აღმოსავლელები მოჯადოებულნი და მოწიწებით აღვსილნი შეჰყურებენ მას.

უკვე საღამოს ქარი უბერავს, ის კი გადმოჰყურებს სტიქიონს, გალობს და უკრავს თავის უხილავ ქნარს. და ვიდრე მის ბაგეთაგან ნერონის ლექსები მოედინებიან, ზმანებებს ეძლევა. მალე, სულ მალე ისევ აღამაღლებს ამ განადგურებულ ქალაქს და ნერონიას დაარქმევს. განა თავის დროზე უმოკლეს

ვადაში ბრწყინვალედ არ აღადგინა რომი? მშვენიერი შენობებითა და ხელოვნების ძეგლებით მორთავს ამ მხარეს. განახორციელებს იმ დიდებულ საქმეს, რაზედაც ერთხელ ტარატეს ტაძარში ოცნებობდა. თავის ქანდაკებას გამოაკვეთინებს ედესის კლდეში აღმოსავლელ ხელმწიფეთა მსგავსად, რათა მისი, ნერონის, სახე უკუნითი უკუნისამდე იყოს აღბეჭდილი აღმოსავლეთის მთებში. სანამ ასე ოცნებობდა, თავის ძველ ჩვეულებას ვერ უღალატა, კარგად გამოიანგარიშა, რა დაჯდებოდა ასეთი კოლოსალური ქანდაკების კლდეში გამოკვეთა და თავისი სულის უსაიდუმლოეს კუნჭულებში ნატრობდა, ნეტავი ენოპსი აქ იყოს, ზუსტ ხარჯთაღრიცხვას შეავადგენინებდიო. თავისდა უნებურად გაახსენდა მითრას უძვირფასესი ქანდაკება, რომლის წაღებზე მეფაბრიკე ნიტაიმ უარი თქვა, რადგან ეს ბევრად მეტი ჯდებოდა, ვიდრე წინასწარ იყო ნავარაუდევი.

ოღონდ სახეზე არ ეტყობოდა, რომ ასეთ წვრილმანებზე ფიქრობდა. პირიქით, განაგრძნობდა გალობას ღამეული ცის ფონზე. იგი, თავის კოშკზე მდგარი, გამოკვეთილად მოჩანდა. ხალხი თვალს არ აცილებდა იმპერატორის შთამაგონებელ სახეს. მასაც დაუბრუნდა შთაგონება, ის თვითონ გახდა ღმერთთაგან შეწყნარებული დევკალიონი, რომელიც ერთადერთი გადაურჩა წარღვნას, ღმერთების ბრძანებით ქვებისაგან ადამიანები შექმნა და უკაცური ქვეყანა ხელახლა დაასახლა.

ქვემო სართულზე კი ვარონმა მეფე ფილიპეს გადაულაპარაკა:

— მე ენახე ნამდვილი ნერონი, როცა ის მეცენატის კოშკზე ავიდა, რათა აღმოდებული რომი დაენახა.

მეფე ფილიპემ უთხრა:

— ეს კაცი იშვიათი სიზუსტით თამაშობს მის როლს. ხშირად მგონია, ნამდვილი ნერონი არის-მეთქი.

ვარონმა უთხრა:

— სხვათა შორის, ნამდვილი ნერონი მეცენატის კოშკზე დასატკბობად როდი ავიდა, მას უნდოდა გაეგო რა ადგილას მძვინვარებდა ხანძარი, რომ საჭირო ზომები მიეღო. ნამდვილ

ნერონს რომის დაწვა აზრადაც არ მოსვლია. საოცარია. რაკი ხალხმა დაიჯერა ჭორი, რომი ნერონმა გადაწვაო, ახლა ამ ყალბი ნერონის გულისათვის საჭირო გახდა დაღუპულიყო ქალაქი აპამეა. უამისოდ ხალხი არ ჩათვლიდა ჩვენ ყალბ ნერონს ნამდვილ ნერონად.

— დიახ, — დაემოწმა მეფე ფილიპე, — ასეთი ოღროჩოღრო და მიხვეულ-მოხვეული გზით უნდა იაროს გონიერმა კაცმა, თუ მას სიკეთის დათესვა სურს, თუ სურს, გონიერებამ გაიმარჯვოს. აქ, ამ ქვეყანაში, როგორც ჩანს, კეთილშობილებამ გზა უგუნური და მზაკვრული საშუალებებით უნდა გაიკაფოს.

და თითქმის ფიზიკური ტკივილი იგრძნო ორივემ ზიზღისა და უკმაყოფილებისაგან, რომ კაცის ბუნება ასე სიზმრის მსგავსია და ადამიანის გონება ასეთი ფუყე.

კოშკზე მდგომ ტერენციუსს შესცივდა. ჯერ იყო და მგზავრობამ დაღალა, ახლა კი რამდენიმე საათი ამ სიმაღლიდან ყვითელ ტბას მიშტერებოდა და თვალები ეტკინა. უკვე კარგა ხანია, რაც ის დევკალიონი აღარ იყო. თანდათან უჭირდა ნერონივით მოქცევა, სულის სიღრმეში ისევ მექოთნე ტერენციუსად იქცა. ოდნავ შეეშინდა საკუთარი სიდიადისა. უყურებდა ქალაქ აპამეას და ასე ფიქრობდა:

„რამხელა განძი განადგურდა აქ, ათი მილიონი, ოცი მილიონი! ამით რამდენი პურის, ყველისა და ღვინის ყიდვა შეიძლებოდა, რამდენი თიხისა და ბრინჯაოს ქანდაკება გაკეთდებოდა! და ყველაფერი ეს ჩემი გულისთვის მოხდა. მამაჩემი მართალი იყო, ეს ამაყი და სასაცილო სახელი მაქსიმუსი რომ დამარქვა. წინასწარ რომ სცოდნოდა ყოველივე, თვითონაც შეშინდებოდა და სხვა სახელს დამარქმევდა. რადგან შეუძლებელია ეს ამბები კეთილად დასრულდეს“.

17

დანებისა და ხანჯლების კვირა

არნახულმა ბოროტებამ, რომელიც ტიტუსის მოსყიდულმა ქრისტიანებმა ჩაიდინეს, მთელი სირია აღაშფოთა. რამდენიმე გარნიზონში ჯარისკაცებმა ალმებიდან ტიტუსის სურა-

თები ჩამოგლიჯეს და ნერონის სურათები აღმართეს. მეთოთხმეტე ლეგიონის უმეტესი ნაწილი და მეხუთე, მეექვსე, მეთორმეტე ლეგიონის მრავალი ჯარისკაცი ნერონის ლაშქარს შეუერთდა. ადგილობრივი მოსახლეობა მძვინვარებდა ტიტუსის, საქაჩულასა და სხვა ავაზაკების წინააღმდეგ. ხელისუფლებამ ძლივს ჩახშო ამბოხებები, რომლებმაც რამდენიმე ქალაქში, თვით ანტიოქიის უბნებშიაც კი იფეთქა. ამ არასაიმედო ჯარებით ტერენციუსის მხარეს გადასული ევფრატისპირა ციხე-სიმაგრეების დალაშქვრაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ვარონს სრული უფლება ჰქონდა მეფეთმეფე არტაბანისათვის ეუწყებინა, საიმპერატორო პროვინციის სირიის თითქმის მეოთხედი ნაწილი, მათ შორის რამდენიმე დიდი ქალაქი და ციხე-სიმაგრე ნერონის ხელშიაო. არტაბანმა პირობა შეასრულა და თავის მეგობარს, რომის იმპერატორს, ლაშქარი და ფული გამოუგზავნა.

კნოპსი ამაყობდა, რომ იდეა, რომელიც ასეთი წარმატებით დაგვირგვინდა, პირველად მას დაებადა. თავისი აზრით, უკვე დაიმსახურა, რომ ყოველთვის მისი რჩევა დაეჯერებინათ და არა არისტოკრატებისა, ვარონისა და ფილიპესი. შემდეგ სხდომებზე წინადადება შეიტანა, იმპერატორმა, თავისი წარმატება რომ ხელყოფისაგან დაიცვას, დროა, რამდენიმე ხნით ლმობიერება დაივიწყოს და მე და ტრებონს ნება მოგვცეს მტრები გავასამართლოთ და მკაცრი განაჩენი გამოვუტანოთო.

— საჭიროა, — დაასკვნა ბოლოს, — იმპერატორის ერთგულ მომხრეებს ნება მიეცეს თავიანთ უბოროტეს მტრებს მოკლე სასამართლო პროცესი გაუმართონ. წინადადება შემომაქვს, გენერალი ტრებონი და მე სრული უფლებით აღჭურვოთ, რათა ამ მიზნისათვის მოხალისეთა რაზმი შევქმნათ. მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებულია, ჩვენ ხელთა გვაქვს კარგად შემოწმებული სიები. და ამ რაზმებით, თუ იმპერატორი ნებას დაგვრთავს, ერთი მოსმით მოვსპობთ ჩვენს მოსისხლე მტრებს.

ვარონი და მეფე ფილიპე მოიღუშნენ.

— რატომ ამბობს ეს კაცი, — გადაუჩურჩულა მეფე ფი-

ლიპემ ვარონს, — „ერთი მოსმით“ და არ ამბობს ხელის ერთი დაკვრით.

— იმიტომ რომ შეუცდომელი ალღოთი მუდამ უფრო მახინჯსა და უფრო უხეშ სიტყვას მიაგნებს ხოლმე, — მიუგო ვარონმა.

— ვიდრე ისინი ჩურჩულებდნენ, ტრებონი გააფთრებული იცავდა კნოპსის გეგმას. იმპერატორმა მოწყალედ და დაბნეულად გაიღიმა; მას მოსწონდა ეს ბნელი, ვაჟკაცური და საშიში გამოთქმა: „დანებისა და ხანჯლების კვირა“. თან კნოპსის მადლიერი იყო, აპამეის კოშკზე რომ ასეთი დიდებული ღამე გაატარებინა.

— დანებისა და ხანჯლების კვირა, — თქვა ოცნებაში წასულმა. ვარონი და მეფე ფილიპე კი დუმდნენ; აზრი არა ჰქონდა ამ ნაძირალებთან კამათს. ვინც საშველად ბრბოს მოუხმობს, უნდა დაუთმოს კიდეც მას.

კნოპსმა და ტრებონმა იმპერატორს დოკუმენტებზე ხელი მოაწერინეს და პატარ-პატარა რაზმები შექმნეს, ერთმა ედესაში, მეორემ სამოსატაში; ამ რაზმებს „ნერონის შურისმგებლები“ შეარქვეს და თავიანთ მტრებს მუსრი გაავლეს. ძნელი ამბავი როდი იქნებოდა, ყველასთვის, ვინც თვალში არ მოსდიოდათ, იმპერატორის მტრობა დაეწამებინათ, ან ტიტუსის მომხრედ მოენათლათ, ან არა და ქრისტიანად. მზაკვრულ და მეამბოხე სექტის წევრად. ყველგან, ევფრატისპირა ქალაქებში, კომაგენესა და ედესის სამეფოში დაძრწოდნენ „ნერონის შურისმგებლები“, იჭრებოდნენ საეჭვო პირთა ოჯახებში, ანადგურებდნენ ყველაფერს, ხოცავდნენ ხალხს, ატყვევებდნენ, აწამებდნენ, ნამუსს ხდიდნენ, ძარცვავდნენ, მონებად ჰყიდდნენ.

კნოპსმა დამსჯელ რაზმს შუამდინარელი ქრისტიანები მთლიანად არ გააჟლეტინა, რადგან სხვა მიზნებისათვის ინახავდა მათ: გადაწყვეტილი ჰქონდა საჯაროდ გაესამართლებინა და ხალხზე შთაბეჭდილება მოეხდინა. უნდა დასაბუთებულიყო, რომ უზურპატორი ტიტუსი და მისი ხელქვეითნი მშვიდობიანი და პატიოსანი სირიელების წინააღმდეგ მზაკვრულ შეთქმულებას აწყობდნენ, რათა კანონიერი ხელმწიფის,

დიდი იმპერატორი ნერონის ერთგული ყმებისათვის სამაგიერო მიეზღოთ.

გათამამებულმა კნოპსმა სამსჯავროსათვის იოვანე პატმოსელი შემოინახა. მას ეს მსახიობი ჭირივით ეზარებოდა. იოვანე, ჯერ ერთი, ტერენციუსს აქილიკებდა, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, კნოპსი მაინც გაუსწორდებოდა მას. კნოპსს მისი არსებობაც კი აღიზიანებდა, აღიზიანებდა მისი ხმა, მისი სახე, ქრისტიანული რჯული. უნდოდა, რომ ხელში ჩაეგდო იოვანე, ეწამებინა, გაემასხარავებინა. მან „ნერონის შურისმგებელთა“ ერთ-ერთ რაზმს დაავალა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ცოცხლად შეეპყროთ იოვანე პატმოსელი.

კნოპსის მოციქულები ღამით მიუხდნენ იოვანეს. უფლება ჰქონდათ ყველაფერი გაეკეთებინათ, რაც კი მოეპრიანებოდათ, ოღონდ თვითონ იოვანეს არაფერი დაშავებოდა. საწოლიდან წამოაგდეს იოვანე და მისი პატარა შვილი ალექსი. უხმოდ, ბეჯითად და საქმის ცოდნით შეუდგნენ სახლის გადაქოთებას.

იოვანე რაღაცნაირი ზვიადი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მათ საქმიანობას. აი, ისინი წიგნებსა და ხელნაწერებს მიადგნენ. იოვანე თავს ცოდვილად რაცხდა, ამქვეყნიური ცთუნებებისაგან ვერ განთავისუფლდა, ისევ უყვარდა წარმართი კლასიკოსები, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ ღვთის სიტყვა ჰყვარებოდა, და, აჰა, დამსახურებული სასჯელიც მიეზღო. დგას ახლა უმწეოდ და უყურებს, თუ როგორ ანადგურებენ ეს პირუტყვები მის წიგნებს, ძვირფას წიგნებს. ტუჩები მოეკუმა და უყურებდა, როგორ ფხრეწდნენ უძვირფასეს გრაგნილებსა და პერგამენტებს. ახლა რომ ბინძურ ხელებში გრაგნილი უკავიათ, სოფოკლეს დრამებია, იოვანეს უსაყვარლესი წიგნი. გამძლე პერგამენტი არ ემორჩილება მათ ხელებს, სურვილისამებრ არ იფხრიწება. ფეხქვეშ თელავენ მას, ისაქმებენ ზედ. აქამდე იოვანე წყნარად იდგა; ახლა კი, რა დაინახა, თუ როგორ ბილწავდნენ მის გრაგნილებს, რომლებზედაც ეღერდა და ცოცხლობდა საუკუნეთა მიღმა დაბადებული აზრი, ვეღარ გაუძლო და კვნესა აღმოხდა. ყმაწვილმა ალექსიმ, მამისგან ნასწავლი სათნოებისა და ქედმოდრეკილების მიუხედავად, ეს კვნესა რომ გაიგონა, თვალთ

დაუბნელდა. მივარდა ავაზაკებსა და ბარბაროსებს, უხმოდ, გააფთრებით დაუწყო ცემა თავისი სუსტი მუშტებით. „ნერონის შურისმგებლებმა“ კი, გახარებულებმა, რომ ბავშვთან მაინც საბოდიშო არაფერი ჰქონდათ, იქვე მოკლეს. და, აჰა, ის გდია დაფხრეწილ წიგნებს შორის. იოვანემ ახლა თვითონაც მორთო საზარელი ღრიალი, მთელი ხმით აღმუვლდა. ერთხელაც არ უცდიათ მისი გაჩუმება, არც პირში ჩაუჩრიათ რამე. მხოლოდ ეს იყო, რომ გააკავეს, რათა ხელი არ შეშლოდათ. უხაროდათ, იოვანე რომ აღმუვლებული და გაკავებული უყურებდა როგორ ჩუმად და ბეჯითად ამთავრებდნენ თავიანთ საქმეს. შემდეგ, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, იოვანე უვნებლად მიჰგვარეს კნოპსს.

ასეთი იყო ედესაში დანებისა და ხანჯლების კვირა. მეფე მალუჭი მთელი ამ ხნის განმავლობაში სატახტო ქალაქიდან შორს იყო გადაკარგული, სუნთქავდა საყვარელ უდაბნოთა ჰაერს. დასავლელები ედესაში გასაქანს არ აძლევდნენ და ახლა ტკბებოდა თავისუფლებით. უცხოთა შორის უცხო შორეულ ვარსკვლავთა ქვეშ სხვებთან ერთად შლიდა კარვებს და, როდესაც მყუდრო ღამით ყველანი ჭას შემოუსხდებოდნენ გარშემო, სვენებ-სვენებით ყვებოდა ჭრელსა და ღრმააზროვან ზღაპარს ერთ მექოთნეზე, რომელიც ვარსკვლავთღმერთების აუმუს, აზიზისა და დუსარისის ნებით სამყაროს მბრძანებელი გახდა.

18

მორჩილება და სიამაყე

ბოროტმოქმედი ქრისტიანები პრეტორს მიჰგვარეს. ისინი საკმაოდ ბევრნი იყვნენ, უმეტესად ტანმორჩილები, უსახურები, უბრალონი. ტყვეები ყოველნაირად შეამზადეს სამსჯავროსათვის, აწამეს და რამდენადაც შესაძლებელი იყო, დააშინეს. ბრალდებულები თრთოდნენ, მაგრამ მარტო სხეულით, სულით თავიანთ ღმერთს მინდობოდნენ. მღვდელმთავარნი და უხუცესნი არწმუნებდნენ, ღმერთმა თქვენზე წყალობა მოიღო,

რაკი საშუალება მოგცათ, მისთვის ეწამოთო. ბევრმა მართლაც, სიმტკიცე შეინარჩუნა და სათნოებითა და ღვთისადმი ნდობით აღსავსე, თავის სიმართლეს ამტკიცებდა. ზოგიერთები, რა თქმა უნდა, ხმამაღლა ითხოვდნენ შებრალებას და მზად იყვნენ ყველაფერი ეღიარებინათ, რასაც კი მოსთხოვდნენ. თუმცა ეს აღარავის სჭირდებოდა. გუბერნატორის ზოგიერთმა მოხელემ, მდივანი არისტონის მეთაურობით, და სხვებმაც, რომლებსაც ვითომ ქრთამის აღებაზე წაასწრეს, უკვე კარგა ხნის წინ „აღიარეს" ყველაფერი, რაკი იცოდნენ, რომ შეწყნარება მოელოდათ. შეთქმულება საბოლოოდ აღმოჩენილ იქნა.

კნოპსს უხაროდა, რომ პროცესზე უნდა გამოსულიყო. ქრისტიანთა სექტა, რომელმაც თავის ღმერთად ყოვლისშემძლე არსების ნაცვლად ბედკრული ჯვარცმული აირჩია, მასში თავიდანვე ზიზღს იწვევდა და სიცილს ჰგვრიდა. მონობაში დაბადებული ძლიერთა და უფლებამოსილთა მიმართ კრძალვით იყო გამსჭვალული და საწყალი და დაჩაგრული კაცის ღმერთად გამოცხადება ჩლუნგი გონების ნიშნად მიაჩნდა. მისი მახვილი და გესლიანი ხუმრობა ყოველთვის მიზანს აღწევდა ხოლმე, როცა კი დაცინვის საგნად ქრისტეს აირჩევდა. კნოპსი იშვიათი სიზუსტით იცნობდა ბრბოის სულს. ძნელი საქმე ბრ იქნებოდა გარეგნულად სათნო ქრისტიანთა გასაღება. პირფერულ და ბორორტმოქმედ ძმებად, რომლებიც მთელ ქვეყანას სიამოვნებით მოუვლენდნენ წარღვნას. ყველაზე მეტად კნოპსს ის უხაროდა, რომ იოვანეც ხელთა ჰყავდა. სანამ მოკლავს, კარგად გაამასხრებს ამ საძულველ კაცს, გაეთამაშება, როგორც კატა გაეთამაშება ხოლმე თაგვს, და მერე ბოლოს მოუღებს.

ამიტომ წინასწარვე იზრუნა, რომ იოვანეს დაკითხვა მისი თანდასწრებით ჩატარებულიყო. ამ დღეს ფართოდ გაეღოთ სამსჯავროს კარი და მთელი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. ყველას უნდოდა საკუთარი ყურით მოესმინა რას უპასუხებდა მსახიობი კნოპსსა და პრეტორს, რითი გაამართლებდა არნახულ ბოროტმოქმედებას.

ლაპარაკი კნოპსმა განთქმული ცბიერი თავაზიანობით დაიწყო.

— მაშ ასე, ჩემო იოვანე, მოდი ერთი, გულახდილად მით-

ხარი, რაში დაგჭირდათ თქვენ და თქვენს თანამოძმეებს წაგელეკათ ტარატეს ტაძარი?

— მეც სწორედ მაგის კითხვა მინდოდა თქვენთვის, — პირქუში კმაყოფილებით მიუგო იოვანემ. — მართლადა რაში უნდა დაგვჭირვებოდა მე ან რომელიმე ჩვენგანს, ისეთი სისულელე ჩაგვედინა, რაც შენთვის, შენისთანებისა და შენი ეგრეთწოდებული ნერონისთვისაა ხელსაყრელი.

— რას ბრძანებთ, ჩემო საყვარელო იოვანე, — ტკბილად მიუგო კნოპსმა, — მიზეზების მეტი რა არის. ამას, მაგალითად, იმისათვის ჩაიდენდით, რომ თავისი სახლიდან, თავისი ქვეყნიდან გაგეძევებინათ ქალღმერთი ტარატე და სირიელები მფარველის გარეშე დაგეტოვებინათ. შეიძლება იმისთვისაც გააკეთეთ, რომ ასეთი ნგრევითა და ბოროტმოქმედებით ნიშანს მისცემდით ქვეყნის ყველა ნაძირალას, და ისინი თქვენგან მოვლენილი სტიქიონივით მოიჭრებოდნენ კანონიერი ხელმწიფის ნერონის დასანთქმელად. ან, შეიძლება სულაც იმიტომაც გააკეთეთ, რომ გძულთ ცივილიზაცია, გძულთ ყველაფერი მაღალი და მშვენიერი, გძულთ საკუთრება, წესრიგი, ოჯახი, გძულთ ყველა ღმერთი, გარდა თქვენი ჯვარცმული ღმერთისა.

კნოპსის სიტყვებმა ხალხზე შთაბეჭდილება მოახდინა. იოვანეს გადაწყვეტილი ჰქონდა სამსჯავროზე ცოტა ელაპარაკა. მაგრამ დაინახა, რომ თანამორწმუნენი მოლოდინით შესცქეროდნენ, მთელი ხალხიც მას მისჩერებოდა. იგი ვალდებული იყო პასუხი გაეცა.

— ჩვენ არავის აზრები არ გვაბოროტებს, — ღირსეულად მიმართა თავის მოწინააღმდეგეებსა და აუდიტორიას, — თუნდაც ეს აზრები მცდარი გვეჩვენებოდეს. როცა დრო მოვა, ჩვენი ღმერთი ჩვენს დაუხმარებლად მოსპობს ყოველგვარ ცრურწმენას. არც ცივილიზაციის მტრები ვართ. გვძულს მხოლოდ ფუფუნება, სიხარბე, გაუმაძღრობა. გვწამს რომ ცივილიზაცია ნიშნავს იყო ზომიერი, ცივილიზაცია ნიშნავს ემორჩილებოდე ღვთაებრივ კანონებს. ჩვენ არავის ვართმევთ ღმერთს, ყველამ თავის ღმერთს სცეს თაყვანი, ჩვენ ჩვენი დაგვიტოვონ.

— ერთი ეს მითხარი, ჩემო საყვარელო იოვანე, — უპასუხა კნოპსმა ვერაგული ალერსიანობით, — გამოდის, რომ თქვენ საკუთრების წინააღმდეგნი არ ყოფილხართ. და მიუხედავად ამისა, ვინმე იოვანემ უარი თქვა თავის ქონებაზე, გასცა, ქარს გაატანა.

— მაგას ვერ აგიხსნი, კნოპს, — ზიზღით უპასუხა იოვანემ. — შენი მონური ჭკუით ამას ვერ ჩაწვდები.

კნოპს სიმშვიდე არ დაუკარგავს.

— მე კი მეგონა, — მიამიტურად გაიოცა მან, — ღარიბთა და ჩაგრულთა მომხრენი არიან-მეთქი.

— ვართ კიდეც, — უპასუხა იოვანემ. — მაგრამ არიან ღარიბები და მონები, რომლებიც გვძულს. ესენია ღარიბები, რომელთაც გამდიდრება სწადიათ, და მონები, რომლებიც ბატონად გახდომაზე ოცნებობენ. სწორედ შენისთანა მატლებზე თქვა მოძღვარმა და უფალმა ჩვენმა: მონა მონადვე დარჩებაო. — და მან ისე დამცინავად შეხედა, რომ კნოპსმა მთელი თავხედობის მიუხედავად კინაღამ თვალები დახარა.

მაგრამ კნოპსმა შესძლო გამაგრება და თვალები არ დაუხრია, პირიქით, ერთი წამის შემდეგ თავისი ცბიერი და ალერსიანი ხმით პასუხი გასცა. თითქმის ჩურჩულებდა, მაგრამ მისი ხმა მაინც მკაფიოდ ისმოდა.

— მე შენს ადგილას, იოვანე, ასე ქედმაღლურად არ დავიწყებდი იმის მტკიცებას, რომ ზეცა ყველაფერს მდაბლად და მაღლად, მეუფედ და მონად ყოფს და ამით თავის ნებას ავლენს, და რომ მცირენი არიან რჩეულნი. რადგან, თუ გარეგანი კეთილდღეობით ვლინდება, ვინ არის კურთხეული და ვინ წყეული, მაშინ შენ, იოვანე, არასგზით არ ეკუთვნი რჩეულთა რიცხვს. იოვანე, სად არის შენი შვილი ალექსი? და თვითონ შენ რა სახით დგეხარ აქ? — ამ მშვიდ კითხვაში კნოპსმა მთელი გესლი ჩაანთხია და მთელი თავისი სიხარული ჩააქსოვა.

ხალხი სულგანაბული უსმენდა. იოვანემ თავისი დიდი, ზეთისხილისფერი, წვერებიანი სახე კნოპსისკენ შეაბრუნა, თავისი ნუშისებრი თვალები მრისხანედ შეანათა. ძლიერი მკერდი აუდიოდ-ჩაუდიოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— უბადრუკო, — თქვა მან. — ესაა შენი დღესასწაული. დიახ, შენ მოჰკალი ჩემი შვილი, უდანაშაულო არსება. ამითი გინდა დაამტკიცო, რომ წყალდიდობა ჩვენი ბრალია? უბადრუკო! ოდესღაც რომში ხანძარი მოხდა, ვინმე ნერონმაც უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ჩვენს ძმებს დასდო ბრალი. ყველანი დაახოცინა, და ეს იყო ერთადერთი საბუთი, რომლითაც მათ დანაშაულს ამტკიცებდა. მაგრამ სად არის ახლა ის ნერონი? იგი უღირსი სიკვდილით მოკვდა.

თავიდანვე იოვანეს გადაწყვეტილი ჰქონდა არ ელაპარაკა. მაგრამ ახლა აღელვებული იყო და თავს ვეღარ იკავებდა. ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული იყო მისი ლაპარაკი. დაულაგებლად ამბობდა ყველაფერს, რაც ეგრძნო და განეცადა. მიმართავდა ამ მსაჯულებს, ამ კნოპსსა და ამ ხალხს.

— ფრთხილად იყავით, — მიუბრუნდა იგი მსაჯულებს, — თქვენ, რომლებიც აქ მისი სახელით ზიხართ, ვინც მხოლოდ აჩრდილია ძველი ნერონისა. ის ნერონი ნამდვილი იმპერატორი მაინც იყო. ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ. რადგან მოახლოვებულია განკითხვის ჟამი. — შემდეგ ისევ კნოპსს მიუბრუნდა. — ქვეყანა, სადაც შენ და შენი ბატონი ხართ განმსჯელნი, დიდი მხეცის საბრალო აჩრდილები, ასეთი ქვეყანა დაიღუპება. დასასრული ახლოვდება, იგი კარზეა მომდგარი. ახლოვდება განკითხვის დღე. და აქ წარსდგებიან ისინი, ვინც მართლა მოაწყო ეს წყალდიდობა, ხოლო ვინც ახლა დამცირებული დგას, მოწმეებად მივლენ. შენ კი, კნოპს, შენ და შენისთანები იქნებით შესაბრალისნი და მთრთოლვარენი. წარსდგებით ისევე შიშველნი, როგორც დაიბადეთ. დევნილნი და მსჯავრდადებულნი, საბრალონი ხართ შენ, შენი ტერენციუსი და შენი ტრებონი.

ის ხმის აუმაღლებლად ლაპარაკობდა. არ ილანძღებოდა, მაგრამ მთელი ბოღმა, მთელი სიბრალულნარევი ზიზღი ისე მკვეთრად იგრძნობოდა მის გავარჯიშებულ ხმაში, ისე ცხადად იხატებოდა მის დაღარულ სახეზე, რომ ყველანი, მსაჯულებიც, ბრალდებულნიცა და მსმენელებიც ძრწოლითა და სიძულვილით მიაშტერდნენ კნოპსს.

კნოპსმა, რომლის მონური სული ხალხის წინაშე გააშიშვ-

ლა იოვანემ, თავი ვეღარ შეიკავა. სადღაც გაქრა მისი ღირსება, მთელი მისი ნათხოვარი დიდებულება. უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, თითქოს სამსჯავროში კი არა, სამიკიტნოში ყოფილიყო.

— შე ძაღლო, შე დამპალო ლეშო, შე მათხოვრების წინასწარმეტყველო, შე ბოზიშვილო! ხომ არა გგონია შენი ჩამოფლეთილი, ჯვარცმული ღმერთისა ვინმეს ეშინია? მალე შეხვდები მას, შე ავაზაკო, შე ყბედო, მალე მოვა შენი განკითხვის დღე! შენ გგონია სასუფეველი გელოდება? მალე ნახავ, დაყნოსავ და გემოსაც გაუსინჯავ შენს სასუფეველს. ზუსტადაც გაზომავ. დიდი არ იქნება. ერთი წყრთა სიგანე ექნება და სამიც სიგრძე. სულ იმდენი, რამდენსაც შენი დამპალი მძორი დაიჭერს, არც მეტი, არც ნაკლები. კარგი სუნიც აგივა.

კნოპსი წამოვიდა. ხალხმა რიდით დაუცალა გზა. ხმამაღლა არავის წამოსცდენია ცუდი რამ, პირიქით, ვიღაცამ დაიძახა:

— დღეგრძელი იყავ, კნოპს, დიდო და მოწყალე მსაჯულო.

კნოპსი თავის გულს ასკდებოდა, გრძნობდა, რომ მისი გამოსვლა არა ჰგავდა გამარჯვებულის გამოსვლას.

19

მეტოქენი

იოვანესაც, ყველა ბრალდებულის მსგავსად, რა თქმა უნდა, სიკვდილი მიუსაჯეს.

თავისი მარცხით გაბოროტებული კნოპსი დღედაღამ იმის ფიქრში იყო, ამ საძულველი კაცისათვის ისეთი რა სასჯელი გამოენახა, რომ საბოლოოდ მიწასთან გაესწორებინა. ის ჭკუის კოლოფი იყო და მალე იპოვა გამოსავალი. კნოპსი მოკლე ხანში მტრებზე იმპერატორის გამარჯვებას საჯაროდ იდღესასწაულებს და საცირკო თამაშებს გამართავს. ჰოდა, ბოლოს ასპარეზზე იოვანეს გამოიყვანს, რომელიც თავისი ხელობის შესაბამისად ზეიმზე მოსულთ დიდებული სანახაობით და-

ატკბობს. ნაჩვენები იქნება წარღვნა, რომელიც ზევსმა ბრინჯაოს ხანის ადამიანებს მოუვლინა. იმ განწირული ადამიანების როლს ბოროტმოქმედი ქრისტიანები შეასრულებენ, ასპარეზი ნელ-ნელა წყლით აივსება და იოვანე თავის ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად მართლა დაიხრჩობა. უღონო და სასომიხდილი იოვანე კლდეზე იქნება მიჯაჭვული, რათა ყველამ იხილოს მისი სასიკვდილო კრუნჩხვა.

სამწუხაროდ, ამ გეგმის შესრულება დაბრკოლდა. იმპერატორმა თათბირი მოიწვია, განიხილეს მსჯავრდადებულთა საკითხი. არისტოკრატი ვაებატონები, ვარონი და მეფე ფილიპე, წინ აღუდგნენ მსახიობის ასეთ სამარცხვინო დასჯას. განაცხადეს, ხალხში უკმაყოფილებას გამოიწვევს დიდებული ხელოვანის დახრჩობაო.

— ჩემის აზრით, ეს ჩანაფიქრი ყოვლად უვარგისია და არც დიდ გემოვნებაზე მიუთითებს. — გადაჭრით განაცხადა ვარონმა. — იოვანემ სამსჯავროშიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. თუ მას მართლა ასე ბინძურად გავუსწორდებით, მომავალში ხალხი სიყვარულით მოიხსენიებს და იგლოვებს მას, ჩვენ კი ბარბაროსებად ჩაგვთვლის.

მეფე ფილიპე ჩვეული სიმშვიდით მიუბრუნდა კნოპსს და ურჩია:

— თუ იოვანეს სიძულვილს ასე აშკარად გამოავლენთ, ამით იმპერატორს სარგებლობის მაგივრად ზიანს მოუტანთ.

კნოპსს ღალატობდა თავისი გონიერება, როცა კი იოვანეს უხსენებდნენ, გაალმასებულმა განაცხადა, აპამეაში მოპოვებული წარმატება ბრიყვული კაცთმოყვარეობით არ უნდა დავკარგოთო. ტრებონი დიდის ამბით დაეთანხმა. ვარონმა კი ცივად უთხრა, დანებისა და ხანჯლების კვირა უკვე დამთავრდა და ახლა უმჯობესია ყველას ცხადად დავანახოთ, რომ ისევ დადგა ლმობიერებისა და სამართლიანობის ჟამიო. კნოპსმა მკვახედ უპასუხა, ამ შემთხვევაში ძალის გამოჩენა სამართლიანობის გამოჩენას უდრის, მსახიობის შეწყნარება ლმობიერება კი არა, სისუსტე და უსამართლობა იქნებაო. მან ბევრი ილაპარაკა და თავისი არგუმენტები კვლავ გაიმეორა. ყველამ იმპერატორს შეხედა.

ნერონმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მას სძულდა იოვანე და ერთი სული ჰქონდა, კნოპსსა და ტრებონს დათანხმებოდა. მაგრამ მეორეს მხრივ სიდიადის შეგრძნებასაც არ იყო მოკლებული, ამიტომ არისტოკრატების შემოტევამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა. დიდი ხელოვანის ასეთი ბინძური დასჯა ვარონისა და ფილიპეს მსგავსად მასაც ბარბაროსობად მიაჩნდა. მისი აზრითაც, კანონი მხოლოდ ჩვეულებრივი ხალხისათვის იყო შექმნილი და ხელოვანი კანონზე მაღლა იდგა. სულით და გულით უნდოდა სამარცხვინო სიკვდილით მოეკლა იოვანე, თან ვარონისა და ფილიპეს თვალში სურდა ისეთ კაცად გამოჩენილიყო, რომელიც მტერშიაც აფასებს ხელოვანს.

მაგრამ მართლა დიდი ხელოვანი იყო იოვანე? აი, რა აეჭვებდა. თან ეს ეჭვი არისტოკრატების წინააღმდეგ მიმართულ არგუმენტად გამოდგებოდა. მან დაიწყო იოვანეს ხელოვნების კილვა, ისევ იმაზე ილაპარაკა, თუ რა უღიმღამოდ წარმოთქვა იოვანემ ოიდიპოსის გრძელი მონოლოგი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „რაიცა მოხდა, მართებული არის ყოველი და შენ ამაში ვერასოდეს ეჭვს ვერ აღმიძრავ". დაწვრილებით გაარჩია და ლანძღა იოვანეს სხვა როლებიც. მისი აზრით, არც ერთ მათგანში არ იგრძნობოდა ჭეშმარიტი აღმაფრენა. მეფე ფილიპე ესთეტიკურ საკითხებში პირფერობას ვერ ითმენდა. დარწმუნებული იყო, რომ იოვანეს მთელ აღმოსავლეთში და შეიძლება მთელ მსოფლიოშიც ბადალი არა ჰყავდა. ამიტომ შეედავა იმპერატორს და ჯიუტად იცავდა თავის შეხედულებას. ტრებონსა და კნოპსს შეეშინდათ, თათბირი ესთეტიკურ დისპუტად არ გადაქცეულიყო.

ვარონი კარგად იცნობდა თავის ტერენციუსს და ახალი საბუთი მოიშველია. — იმპერატორი, — განაცხადა მან, — ასე ძაღლივით თუ დაახრჩობს იოვანეს, ცეიონიცა და პალატინის ხალხიც უსათუოდ იტყვის, ეს ამბავი მსახიობური ქიშპითა და შურიანობით მოუვიდაო. თუმცა ტერენციუსმა მაშინვე მედიდურად უპასუხა, პალატინზე ბარბაროსები სხედან და მათ აზრებს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ, აშკარა იყო, ვარონის ნათქვამი გულში მოხვდა. ამან კნოპსი შეაშფო-

თა. იოვანეს დახრჩობის იდეა უდღეური გამოდგა. იმპერატორსაც და სხვებსაც, ალბათ, უნებლიეთ გაახსენდათ ნამდვილი ნერონის წარუმატებელი ცდა, მოეწყო გემის კატასტროფა და დედამისი საიქიოს გაესტუმრებინა. ფუ, ამ დაწყეველილ იოვანესთან კნოპსს ბედი არა სწყალობს. მაგრამ ახლა უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოიგერიოს ვარონის შემოტევა და ამ გაჭიანურებულ საქმეს ბოლო მოუღოს. ამ მიზნით თავისი ყველაზე უფრო გესლიანი იარაღი იხმარა: გაიხსენა, რომ იოვანეს ბრალად ედებოდა იმპერატორის შეურაცხყოფა.

ის მოკრძალებით ჩაერია ხელოვნებაზე კამათში. — მე ხელოვნების ამბებში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ იოვანეს არა აქვს ჭეშმარიტი, შინაგანი კავშირი ხელოვნებასთან. ეს ღვთისაგან წყეული, როგორც ჩანს, გულწრფელად დასცინის იმპერატორს, ამბობს, მექოთნე ტერენციუსი მსახიობობაშიც ისეთივე უნიჭოა, როგორც იმპერატორობაში, მისი ნერონი საცოდავიაო.

იოვანე უსამართლოდ დასცინოდა ტერენციუსს, იმავე წუთს აღმოჩნდა, რომ ტერენციუსის ნერონი სულაც არ იყო საცოდავი, პირიქით, თავიდან ბოლომდე ჭეშმარიტი იყო. ტერენციუსმა ხელი ისე გააქნია, თითქოს რაღაცას იცილებსო, მოწყალე და კეთილი ღიმილით ზვიადად გაიღიმა და უსიტყვოდ, სიბრალულით გაიქნია თავი. შემდეგ დაუდევრად თქვა, ჩემმა მრჩევლებმა მოთმინება იქონიონ, იოვანეს ბედს მე თვითონ გადავწყვეტ, ჩემი დემონის, ჩემი შინაგანი ხმის საშუალებით ღმერთები რამეს ჩამაგონებენო.

ვარონი და ფილიპე დარწმუნებული იყვნენ, რომ კნოპსის ისარი მიზანს მოხვდა და ღმერთების რჩევა უსათუოდ კნოპსის ვარაუდს დაემთხვეოდა.

20

იოვანეს გამოცხადება

თვითონ იოვანე კი ამ დროს ცალკე საკანში იჯდა. და მისი სული მწუხარებასა და სასოწარკვეთას მოეცვა.

გონების თვალი გადაავლო ყოველივეს, რაც სამსჯავროში

ჩაიდინა, და თავის თავი გაკიცხა. როგორ მოიქცა პრეტორის წინაშე, როგორ გაუსწორდა იმ უღირს კნოპსს, განა ეს ღვთის სასურველი საქმე იყო? ის ვერ დაედარა დიდ წინასწარმეტყველებს, რომელნიც თავიანთი ღმერთის სახელით რისხავენ ცოდვილთ და სინანულს უქადაგებენ. იოვანე მხოლოდ თამაშობდა წინასწარმეტყველის როლს, მსახიობი იყო, შეიძლება ღვთაებრივი მსახიობიც, მაგრამ, ბოლოს-და-ბოლოს, განა რითიმე სჯობდა იმ მექოთნეს? მექოთნე იმპერატორის როლს თამაშობს, იოვანე — წინასწარმეტყველისას. სად არის განსხვავება? ორივე კომედიანტია, ორივე ვიღაცას და რაღაცას ასახიერებს, ნაცვლად იმისა, რომ იყოს უბრალო, ისეთი, როგორიც ღმერთმა შექმნა, არარაობა, რომელსაც ქედმოდრეკილი ყოფნა მართებს და არა კადნიერება.

ამაოება ამაოებათა. ანტიქრისტე სუფევს. მან უაღრესად საშიში სახე მიიღო, მოგვევლინა მსახიობად, რომელიც მთელ იმედებს კაცობრიობის სიბრიყვეზე ამყარებს. ჰოი, სულმდაბალო მოდგმავ! მონა ცდილობს იმპერატორს მიემსგავსოს, უნიჭო მსახიობი თამაშობს უნიჭო მსახიობის როლს, მსოფლიო კი ტყუვდება, უჯერებს ამ საცოდავ კომედიანტს, ტაშს უკრავს, მის სადიდებლად წყალდიდობას აწყობს, რათა დანთქას ტაძარი, ქალაქები, მთელი კაცობრიობა. ნამდვილი სამებაა ბიწიერებისა: შუაშია მექოთნე, რომელიც მაიმუნივით ბაძავს იმპერატორს, მხარმარჯვნივ გასიებული, განდიდების მანიით შეპყრობილი ათისთავი უდგას, მხარმარცხნივ — პატარა, სინდისგარეცხილი, პატივმოყვარეობით გონებადაბნელებული არამზადა, რომელსაც ყოველგვარ ძალას მხოლოდ იმისი რწმენა ანიჭებს, რომ ადამიანი გაცილებით უფრო ბრიყვია, ვიდრე ეს უდიდეს სკეპტიკოსს ეჩვენება. ყველაზე გულისამრევი კი ის არის, რომ მსოფლიო თაყვანსა სცემს ამ სამთავიან ქოფაკს და მის საამებლად მტვერშია განრთხმული.

ნეტავი ღმერთმა კაცობრიობა ასეთი შესაბრალისი რად შექმნა? ალბათ ერთობოდა, როგორც ახლა სენატორი ვარონი ერთობა თავისი ცრუ ნერონით. ჩვენ კი მწუხარე და უძლური თოჯინები ვართ. ბედმა ამ ცოდვით სავსე თამაშში მეცა და ჩემი შვილი ალექსიც ჩაგვრია. ჰოი, ალექსი, ნაზო, მოკრძა-

ლებულნ და მაინც ძლიერო ყრმაო! გაგთელეს, მძორივით მტვერში გაგრიეს, ამჟავებული ლუდივით დაღვარეს შენი სისხლი. რა არის ადამიანი?

იოვანე იჯდა, ცახცახებდა, იობის ურვა თანგავდა და კოჰელეტის ეჭვები ღრღნიდა. მაგრამ სრულებითაც არ ამაყობდა, რომ ამ წუთს იობიც იყო და კოჰელეტიც, და მათი ძონძებისაგან არ აკოწიწებდა ახალ მკვეხრულ სამოსს. თავისთავს სხვებზე მაღლა არ აყენებდა, იმიტომ რომ სხვებზე მეტად ეწამა და უკეთ შეიცნო თავისი ურვა. რითი განსხვავდება მათგან? ის არაფრით არ არის სხვებზე მეტი, არაფერი არა აქვს საკუთრივ თავისი, არც მწუხარება და ეჭვი, არც პატივმოყვარეობა, სახეც კი არა აქვს საკუთრივ თავისი, როგორც ეს წყეული იმპერატორისა და მისი მაიმუნის — მექოთნის — მაგალითიდან ჩანს.

ჩვენც ჭიანჭველებივით და ფუტკრებივით ყველანი ერთმანეთსა ვგავართ. ღმერთმა ჩვენც მათებრ წილად გვარგუნა შრომა, ვშრომობთ და არ კი ვიცით რისთვის. ჭიანჭველებიც და ფუტკრებიც დღენიადაგ ილწვიან, დაუღალავად აგროვებენ ნარჩენებსა თუ ყვავილთა წვენს, მაგრამ არ იციან, რისთვის; იდუმალი კანონი ამოქმედებს მათ, აქეზებს, ათამაშებს, დაუსრულებლად ტანჯავს. ცალკე ყოველი მათგანი არარაობაა, უმნიშვნელო ნაწილია მთელისა. თუ ისინი ერთმანეთს მოსწყდებიან, სიკვდილი არ ასცდებათ, თუ ერთად იქნებიან, უნდა იშრომონ, და ამ შრომის აზრს ვერასოდეს გაიგებენ. „ჭიანჭველებთან მიდი, ზარმაცო“, ბრძანებს მქადაგებელი. რისთვის? მათი მიბაძვით რას მოიგებ? იღუპება და ქრება მარტოოდენ სიკეთე. ბოროტება მარად ჰგიეს, ნერონი უკვდავია.

იოვანე კიდევ უფრო ღრმად დაფიქრდა. მან ჰკითხა თავის ღმერთს:

— რატომ შეეწირა ქვეყნიერება წარმართებსა და შლეგებს?

და იგი შეკრთა, რადგან ეს იყო გამოცხადება. მას ჩამოესმა თავისი ღმერთის ხმა, იდუმალი პასუხი გასცა ღმერთმა:

— სამყარო, — უთხრა მან, — მიხრწნილია და გარდასულია სიყრმე მისი. მე გადავწყვიტე სამყაროს განახლება. მოახლოვდა ჟამთაცვალება.

იოვანე ღრმად ჩაუფიქრდა ამ პასუხის იდუმალებას. საზარელი ზმანებები ეჩვენა მას, ცხადად იხილა მიხრწნილი ქვეყნიერების დაღუპვა და ჟამთაცვალება. ვაგლახ, საუკუნეთა გზანი იქმნენ ვიწრონი, მწუხარენი და ძნელნი. ყველაზე უარესი მაინც იყო ძველი საუკუნის შეცვლა ახლით. რადგან სწორედ ეს შეცვლა იყო განკითხვის დღე.

იგი მთლიანად მოიცვა განკითხვის შემაძრწუნებელმა ჩვენებებმა. მას ატკბობდა ამ ჩვენებათა საშინელება და თან ტკივილსა ჰგვრიდა. — ვერც ერთი ძეხორციელი, — უთხრა თავისთავს, — წუთითაც ვერ ისუნთქავს გულდამშვიდებით, რომ იცოდეს რა მოელის. უხაროდეთ მხოლოდ პირუტყვთა და ნადირთ, რადგან მათთვის არ არსებობს განკითხვის დღე. ხოლო თვითონ მე თუ უნდა შემეხოს ნეტარების მადლი, რაში მარგია იგი, მე ხომ წამებით უნდა განვვლო ამაზრზენი სამსჯავრო, ჩვენა ვართ მდაბალი მოდგმა, განწირული მოდგმა, ჩვენზე მეფობს ანტიქრისტე და მისი მაიმუნი.

21

ამაოება ამაოებათა

მის ზმანებებში რაღაც ცხადი და ხორცშესხმული შემოიჭრა. ეს იყო მანტიაში გახვეული მაღალი და ხმელ-ხმელი კაცი.

— წამოდექით, იოვანე პატმოსელო, — თქვა შესუდრულმა, — წამოდექით და გამომყევით.

— ჩემს მოსაკლავად მოგაგზავნეს? — ჰკითხა იოვანემ, — მერედა ასე თავაზიანად რატომ მომმართავ? — და უცბად იფეთქა: — რაღას აყოვნებ, ადამიანო! დამკარ და გაათავე!

— მე ჯალათი არა ვარ, — თქვა მაღალმა და ფიქრიანი, ოდნავ დაბნეული სახით დააჩერდა საკუთარ ხელებს.—მე მინდოდა აქაურობას გასცლოდით, ჩემო იოვანე, გარეთ მხლებლები გელოდებიან ცხენებითა და საბუთებით, ისინი უშიშარ ადგილას მიგიყვანენ.

იოვანემ დაეჭვებით შეხედა ახმახს. ხომ არ დასცინის? იქნებ მართალს ამბობს და მის გადასარჩენად არის მოსული. დაეთანხმოს თუ უარი უთხრას? კარგი იქნებოდა, ყველაფერი უკვე დამთავრებულიყო. საიქიოში რა სატანჯველიც არ უნდა მოელოდეს, მაინც ის აჯობებს სააქაოს უბადრუკობასა და სიბილწეს. კუშტი და ენერგიული იოვანე შთაბეჭდილებებს დახარბებული კაცი იყო და თუმცა ღვთის განკითხვის დღე ზარსა სცემდა, მაინც მწველი ცნობისმოყვარეობით მოელოდა მის დადგომას. და განა თვითონ ღმერთმა და ბედისწერამ არ უბრძანა, მიეტოვებინა ეს ქვეყანა და საშინელი სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყო? მან უარი უნდა უთხრას მაცდურს, დაცინვით გაისტუმროს.

მაგრამ უეცრად ახალმა აზრმა გაუელვა. ნუთუ შემთხვევით მოხდა, რომ ეს უცნაური, შესუდრული კაცი ღმერთმა სწორედ ამაღამ საზარ და დიად ხილვათა შემდეგ მოუვლინა? იქნებ, ეს ზეგარდმო ნიშანია? რა თქმა უნდა, ასეა. ღმერთს ნებავს, რომ იოვანე ცოცხალი დარჩეს, აღწეროს ამ განუმეორებელი ღამის ჩვენებანი და ხალხს უქადაგოს. ვითომ ყოველ წინასწარმეტყველს მცირე რამ არა სცხია მსახიობისა? იოვანე ღმერთმა მსახიობად შექმნა, მაგრამ მასში ხომ წინასწარმეტყველის ცეცხლი ღვიოდა. ახლა დადგა დრო, როდესაც მსახიობში წინასწარმეტყველის ცეცხლმა უნდა იფეთქოს. იოვანემ შეიცნო თავისი დანიშნულება.

ის საწოლიდან წამოდგა და უცნობს მიუახლოვდა.

— თქვენ წარჩინებულსა ჰგავხართ, ადამიანო, — თქვა მან, — ვინა ხართ? ვინ გამოგგზავნათ? ვინ არის დაინტერესებული, რომ თავი ხიფათში ჩააგდოს და ამ ნაძირალებისაგან გამომიხსნას?

— რად გინდათ იცოდეთ? — ჰკითხა უცნობმა და გრძელი, ფერმკრთალი სახე ოდნავ დაეჭიმა. — ნუთუ არა კმარა, რომ ეს ვიღაცას აინტერესებს? ნუთუ არ შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ ამ გაუხეშებულ და გაველურებულ ქვეყანაზე ჯერ კიდევ მოიძებნება ორიოდე კაცი, ვისთვისაც აუტანელია, რომ ისეთმა პირუტყვმა, როგორიც კნოპსია ბრბოის დასატკბობად არენაზე მოკლას იოვანე პატმოსელი? — და ისე წყნარად და

უბრალოდ დაუმატა, რომ მსახიობი იმ წამსვე დარწმუნდა მის გულწრფელობაში. — ჩემთვის ეს აუტანელია.

იოვანე კვლავ საწოლზე იჯდა.

— მართლა საკვირველია, — გაიოცა მან, ის უფრო თავისთავს მიმართავდა, ვიდრე უცნობს. — აქამდე მეგონა, ხელოვნებამ გონება მარტო მე დამიბნელა მეთქი. თქვენ უნდა იცოდეთ; ჩემო კარგო, — განაგრძო მან, — ხელოვნების სიყვარული გაამაყების საფუძველს სულაც არ იძლევა. დამიჯერეთ, ამ საქმეში მე დიდი გამოცდილება მაქვს. ეს გრძნობა მეტისმეტად ორჭოფული რამაა და ცოდვების მეტი არა მოაქვს რა. ყოველმა ჩვენგანმა უნდა მოახერხოს მისი დათრგუნვა. ეს ავადმყოფობაა და ვინც ამითაა სნეული, ის დაღდასმულია.

იოვანე დადუმდა. შემდეგ ნდობით აღსავსემ განაგრძო:

— თქვენ უსიამოვნო არჩევნის წინაშე მაყენებთ, უცნობო. მე შეიძლება ღმერთმა განკითხვისათვის მიხმო და ცოდვას ჩავიდენ, თუ მის განგებას გადაუვალ, ან შეიძლება, ღმერთს ნებავს, რომ ვიცოცხლო და ვებრძოლო მხეცსა და ანტიქრისტეს. მე სწორედ ახლა ბევრი რამ ვიხილე და იქნებ ღირს წვალებად აღვწერო ეს ხილვები და შთამომავლობას დავუტოვო. ყოველ შემთხვევაში გაფრთხილდით, უცნობო, და ნუ შემომნატრებთ, რომ ხელოვანი ვარ. თქვენი აღტაცება, ალბათ, არაფრითა სჯობს ბრბოის აღტაცებას, რომელიც მექოთნეს, ნერონის მაიმუნს გუნდრუკს უკმევს, იმის გამო, რომ ამ მექოთნემ ერთ უბადრუკ ქალაქს უბადრუკი წარღვნა მოუვლინა, რათა საშუალება მისცემოდა ნამდვილი ნერონის დილეტანტური ლექსები წარმოეთქვა.

უცნობმა შვებით ამოისუნთქა.

— მომიტევეთ, — უთხრა მან, — თქვენი ნალაპარაკევი ყურადღებით ვერ მოვისმინე. მხოლოდ ის გავიგე, რომ თქვენ გადაწყვიტეთ იცოცხლოთ და სიხარულისაგან სხვა რამეზე. ფიქრს ველარ ვახერხებ. მხრიდან დიდი ტვირთი ჩამომხსენით.

ის წუთით შეყოყმანდა, შემდეგ განაგრძო:

— თუ ნებას დამრთავთ, ერთი რამე უნდა გთხოვოთ. რაც თქვენთვის გავაკეთე, მთლად უხიფათო როდია. ეს თხოვნა

ჩემთვის ძალზე ბევრს ნიშნავს, თქვენთვის კი სულ იოლი შესასრულებელია.

— ბრძანეთ! — თქვა იოვანემ და ტუჩებზე ზვიადმა და მწარე ღიმილმა გადაურბინა. თურმე ამ უცნობს ხელოვნების სიყვარული როდი ამოქმედებს, მას თავისი გეგმები ჰქონია. ამ კაცის პატარა ნიკაპი თავიდანვე არ მოეწონა იოვანეს.

მაგრამ იოვანე შეცდა.

— რაიმე ხიფათს, რომ არ გადაეყაროთ, — მოწიწებით დაიწყო უცნობმა, — რამდენიმე ხანს უკაცურ ადგილას ცხოვრება მოგიხდებათ. ვინ იცის, კვლავ როდის მოვისმენთ ბერძნული სცენის შთაგონებული მსახიობის ხმას. თუ უხერხული არ იქნება, გთხოვთ, ოიდიპოსის დიდი მონოლოგი წაიკითხოთ.

იოვანეს ღიმილი გაუქრა და სახე სიმწრით მოეღრიცა.

— მართლა ასე გიყვართ ჩემი ხმა? — თქვა დაბნეულმა. — გამოუსწორებელი შლეგი ყოფილხართ.

— მიწოდეთ შლეგი, მიამიტი, რაც გენებოთ, — ჯიუტად განაგრძობდა მეფე ფილიპე, — ოღონდ მონოლოგი წარმოთქვით!

და მსახიობმა იოვანემ თავის ცხოვრებაში უდიდესი შეცოდება ჩაიდინა, დაპყვა ყველაზე უფრო საშინელ ცთუნებას. მას არ წარმოუთქვამს ოიდიპოსის მონოლოგი, ილაპარაკა წელანდელ ჩვენებებზე, თავის ტანჯვაზე, ეჭვზე, სასოწარკვეთილებასა და სინანულზე და ამით ღვთის თვალში თავისი ჩვენებებიც, ტანჯვაც, შვილის სიკვდილიც და მწუხარებაც გააუფასურა.

შემდეგ ღამის წყვდიადში გაქრა, ახალი ბრძოლისათვის უდაბნოს მიაშურა.

22

დასკვნა

იოვანეს გაქცევა რომ გაიგო, კნოპსმა სულ ცოფები ყარა. მიხვდა, რომ ამ საქმეში ვარონისა ან მეფე ფილიპეს ხელი ერია, მაგრამ მათ ვერაფერი შეჰბედა. გაბოროტებულმა ჯავ-

რი დანარჩენ ქრისტიანებზე იყარა. გადაწყვიტა, მაინც განეხორციელებინა ხელოვნური წარღვნის გეგმა და მსჯავრდადებულები წყალში ჩაეხრჩო; მან რჩეული ტექნიკოსები მოიწვია და ცირკის ასპარეზზე საუკეთესო მანქანები დაადგმევინა. სანახაობას უამრავი მაყურებელი მოაწყდა, ისინი ზეიმობდნენ ნერონის სამართლიანი საქმის გამარჯვებას და უზურპატორი ტიტუსის ვერაგული გეგმების ჩაფუშვას. მოლოდინი სავსებით გაუმართლდათ და ქრისტიანების დახრჩობას ისევე დაძაბულად უყურეს, როგორც აღტაცებული და დამფრთხალი ბავშვები უყურებენ ხოლმე ლეკვების დახრჩობას. სანახაობამ დაბინდებამდე გასტანა. მსჯავრდადებულთა ერთ ნაწილს ტანზე კუპრი წაცხეს, ძენძი შემოახვიეს და „ცოცხალ ჩირაღდნებად“ აქციეს. ამ უკანასკნელმა ორიგინალურმა ნომერმა თითქმის მთელი სანახაობა დაჩრდილა. „ცოცხალმა ჩირაღდნებმა“ არა მარტო აღმოსავლეთზე, მთელ რომის იმპერიაზეც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი დიდხანს დარჩა კაცობრიობის ხსოვნაში, მას შემდეგაც კი, როდესაც ნამდვილი ნერონისა და ცრუ-ნერონის ამბები დავიწყებას მიეცა, თუმცა ამ ამბებს გაცილებით უფრო დიდი შედეგები მოჰყვა.

ცირკის ასპარეზზე რვაასი კაცი დაიღუპა, ეს არც ისე დიდი რიცხვია. ვარონის იდეისათვის ბრძოლამ, ექვსიათასი სესტერციისთვის, ან, თუ გნებავთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ბრძოლამ, უკვე მრავალი ათასი კაცი იმსხვერპლა. მისი თამაშის წყალობით სირიასა და შუამდინარეთს მრავალი უბედურება დაატყდა; და ვიდრე ეს თამაში დამთავრდებოდა, კიდევ უფრო მეტი სისხლი დაიღვარა და ამ მხარეში კიდევ უფრო უარესი უბედურება დატრიალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

გონიერება და იღბლიანი ბრძოლა

ცეიონმა აგენტებისგანაც მოისმინა და პატაკშიც წაიკითხა ევფრატის ნაპირას მომხდარი ამბავი და მისმა გაოცებამ თითქმის მრისხანებას გადააჭარბა. ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ მინერვამ, გონიერების ქალღმერთმა, მიატოვა ქვეყნიერება და დედამიწა ნებას მიუშვა? ნუთუ ისეთმა დაუჯერებელმა ფარსმა, როგორიც აპამეაში მომხდარი წყალდიდობაა, მთელი პროვინცია აამხედრა? ნუთუ მართლა ჰგონია ვინმეს, რომ ცეიონმა წყალში ჩაძირა „სირიელთა ქალღმერთის“ ტაძარი, რათა რამდენიმე საცოდავ კაცზე „შური ეძია“? ნუთუ მართლა გაბრიყვდა ვინმე მოუქნელი თაღლითობით და დაიჯერა, თითქოს ეს ამბავი „ნიშანი“ იყოს? საზღვრიდან მოსული დეპეშები ირწმუნებოდნენ: დიახ, ასეა. მესოპოტამიიდან გამოგზავნილი ცნობები ატყობინებდნენ: ვარონს სწორი ტაქტიკა აურჩევია, რაც უფრო მტკიცედ დაეყრდნობი სისულელეს, მით უფრო მეტია წარმატების იმედი.

ეს სიბრძნე ღრმად ჩაწვდა გულში ცეიონს. კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდა, როდესაც დაინახა, რომ თაღლითობის წინააღმდეგ ვერავითარ საფუძვლიან ზომებს ვერ მიიღებდა. მესოპოტამიის დალაშქვრა სახიფათო იყო: პართიასთან ომს გამოიწვევდა. არტაბანთან მოლაპარაკება და ამ გზით ცრუ ნერონის ხელში ჩაგდება არ მოხერხდებოდა, რადგან თავის დროზე არტაბანი არ სცნო ტახტის მემკვიდრედ. მხოლოდ პაკორთან შეეძლო საქმის დაჭერა, მაგრამ პაკორს არ ძალუძდა „ნერონის“ დამხობა. მოჯადოებულ წრეში ტრიალებდა ყველაფერი.

შეცბუნებული ჩაუვლიდა ხოლმე ბოლო ხანებში ცეიონი

HALL

ტილოს ნაჭერში გახვეულ ქანდაკებას, თავის წინაპარს, რომელმაც ასე სამარცხვინოდ უჩვენა ზურგი ბარბაროსებს. ცეიონმა ჭაუა ისწავლა. ძნელად თუ ვინმე გამოიცნობს მასში ძველ საქაჩულას. ხელქვეითები აღარ ჩიოდნენ, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს იღებსო. პირიქით, თუ უწინ ნაჩქარევად წყვეტდა ყველაფერს, ახლა ძლივძლივობით თუ გადაადგმევინებდნენ რაიმე ნაბიჯს. ხელის განძრევას ვერ ბედავდა, სანამ პალატინის თანხმობას არ მიიღებდა და თავს არ დაიზღვევდა. მისმა შიკრიკებმა ზღვა გადაცურეს და რომისკენ მიიჩქაროდნენ. მაგრამ პალატინის მითითება მხოლოდ საქმის გაჭიანურება იყო და მეტი არაფერი. ცეიონს უთვლიდნენ, სანამ ცრუ ნერონი მხოლოდ სირიის საზღვრებს აწვება და სატახტო ქალაქს არ მოსდგომია, მანამ თავდაცვით შემოიფარგლეთ და პართიასთან ომს ყოველნაირად თავი აარიდეთო. თან საიდუმლოდ ატყობინებდნენ, იმპერატორს უფრო და უფრო მოეძალა ლეთარგია, ძნელია რაიმე გადააწყვეტინო, რაიმეზე ხელი მოაწერინო და ასეთ ვითარებაში პართიასთან სერიოზული უთანხმოების ჩამოგდება და, მით უმეტეს, ომის ატეხა ერთობ სახიფათო საქმეაო.

ეს იყო გონივრული, მაგრამ, ამავე დროს, სამარცხვინო პოლიტიკა, უნდა იჯდეს ასე ცეიონი, შვიდი კორპუსის პატრონი კაცი და გულხელდაკრეფილი შეჰყურებდეს, როგორ მოუძღვის ბარბაროსების ბანდა ბრიყვებსა და მატყუარებს, თავს ესხმის და ძარცვავს ქალაქებს, ხსნის და ფეხქვეშ თელავს რომაულ არწივსა და სხვა სამეფო ემბლემებს, მათ ადგილას კი იმ თაღლითის სულელურ საომარ სიმბოლოებს ამაგრებს. ხანდახან ცეიონს ბოღმა ყელში მოაწვებოდა ხოლმე, რადგან ბრძოლა სწყუროდა, პალატინი კი უქმად ჯდომას მოითხოვდა მისგან. ასეთ დროს მოთმინების ფიალა ევსებოდა, გრძნობდა, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო და მის სულში ძველი ცეიონი იღვიძებდა. ერთხელ, შუაღამისას, წამოვარდა საწოლიდან და მდივანი გამოიძახა. იდგა პერანგისამარა ჩია და გაძვალტყავებული. გუბერნატორი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მხრები უკან გადაეზნიქა, კისერი წაეგრძელებინა, გამხმარი თავი მაღლა ეჭირა, გაფითრებული სახე ჭლექიანი-

ვით ასჭრელებოდა და მდივანს წვრილი, მჭახე ხმით კარნა-ხობდა ბრძანებას, რომლის მიხედვით მეხუთე, მეექვსე და მეათე ლეგიონი უნდა დაძრულიყო, ლარისაში შეკრებილიყო და სურას მახლობლად ევფრატი გადაელახა. მაგრამ მალე გონს მოეგო და ბრძანება დაუმთავრებელი დარჩა.

იგი შეძრწუნდა, როდესაც დაინახა, რაოდენ მკაცრი ყოფილა ქალღმერთი მინერვა, თავის თაყვანისმცემელთაგან მოთმინებასა და მბოლოდ მოთმინებას მოითხოვდა. ჭკუას არ სცემენ პატივს. ხალხი უჭკუოს დიდების გვირგვინით ამკობს, ჭკვიანს კი დასცინის და ლაჩარს ეძახის. მაგრამ ბრძოლაში ჩაბმას რა დიდი სიმამაცე უნდა! ჭეშმარიტი ვაჟკაცობა და ნებისყოფის სიმტკიცე ისაა, დაცინვასა და ლანძღვა-გინებას გაუძლო, მოთმინებით ელოდო, როდის დაჰკრავს ჟამი და ნაგვიანევი მოსავალი აიღო. უნდა გამოიმუშაოს ცეონმა ნებისყოფის სიმტკიცე, სიბრძნის მწარე სკოლა უნდა გაიაროს. ასე უნდა ქნას, თორემ, როგორც ეტყობა, ეს ცრუ ნერონი არ აპირებს ეგრე ადვილად იარაღის დაყრას. სულ უფრო გულმოდგინედ ამაგრებს სირიის საზღვარს. ზედიზედ იღებს პატარ-პატარა ციხეებს.

ცეიონის ოფიცრები დრტვინავდნენ. საზღვრის პირას გამუდმებული კინკლაობა ახელებდა და სისხლს უდუღებდა ჰათ. პირდაპირ სასაცილო იყო, რომ გულდამშვიდებით შეჰყურებდნენ ყაჩაღების ბრბოს, რომელიც თავის ნებაზე დათარეშობდა და იმპერიას აბუჩად იგდებდა. ბევრი ოფიცერი დაუფარავად ლაპარაკობდა, თუ ასე გაგრძელდა, ტახტის მოცილე ნერონის მხარეზე გადავალთ, აღარ დაგიდევთ, მართლა ნერონია თუ არაო.

რაკი ცეიონი ევფრატის გადალახვას, როგორც ეტყობა, ვერ ბედავდა, ნერონის ფელდმარშალს, ტრებონს, თანდათან გაბედულება ემატებოდა. ბოლოს იმდენად გათამამდა, რომ გადაწყვიტა იერიში მიეტანა ციხესიმაგრე სურაზე, რომელიც ევფრატის შუა დინებასთან მდებარეობდა. მდინარის მარჯვენა ნაპირას, სურის ჩრდილოეთით ჯარი შეჰყარა, ბრძანება გასცა მარცხენა ნაპირას სანგრები გაეთხარათ, მოიტანა ტარანები და კატაპულტები და ხანგრძლივი ალყის სამზადისს შეუდგა.

სამხრეთული ჯარის მეთაური, გენერალი აუფიდი, მართალია, მწარე მითითებას ემორჩილებოდა და ანტიოქიიდან მიღებული ბრძანების თანახმად მხოლოდ თავდაცვისათვის ემზადებოდა, მაგრამ როდესაც გათავხედებული მტერი ფეხის გულში გიღუტუნებს, რა მოგათმენინებს, რომ უხმოდ და გაუნძრეველად იჯდე? რა მოგათმენინებს, რომ გულდამშვიდებით უყურო, როგორ ასწორებენ ამაღლებულ ადგილებს, თხრიან სანგრებს, აკეთებენ მიწაყრილებს, მოაქვთ საალყო მანქანები და ნავტიკების ხიდის გასაკეთებელი ხელსაწყოები. როგორ უნდა უყურო ყოველივე ამას გულდამშვიდებით, როცა ნაღდად იცი, საკმარისია ერთი რიგიანი შეტევა და მთელ ამ ფახიფუხს ბოლო მოეღება. განა კეთილსინდისიერი ოფიცერი მოვალე არაა ხელი შეუშალოს მტერს და ალყა არ შემოარტყმევინოს, სანამ ეს საქმე ჯერ კიდევ შეიძლება მოგვარდეს შედარებით მცირე ძალებით? და თუ კაცი ასე მოიქცევა, რა უნდა ეწოდოს ამ ღონისძიებას, — შეტევა თუ თავდაცვა?

გენერალმა აუფიდმა ასეთ ღონისძიებას თავდაცვა უწოდა, სასწრაფოდ გადალახა დიდი ჯარით ევფრატი, ტრებონს სანგრები და მანქანები გაუნადგურა და მდინარე ბელიხუსს მიადგა. აქ, მდინარის გაღმა, პართიელთა რჩეული მხედრობა იყო დაბანაკებული, — ჯავშანში ჩამჯდარი ნახევარი პოლკი. მათ, ისევე როგორც რომაელებს და იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც რომაელებს, ნაბრძანები ჰქონდათ მხოლოდ თავი დაეცვათ. ამიტომ ისინი შეტევაზე არ გადმოდიოდნენ, მაგრამ მითითებულ ადგილას კი კლდესავით მტკიცედ იდგნენ.

პროფესიულმა ინტერესმა პოლკოვნიკი ფრონტონი შინ არ დააყენა და იგი იქითკენ გაეშურა, სადაც ტრებონი ალყისათვის ემზადებოდა. ვარონის დახმარებითა და იმ უცნაური ნეიტრალიტეტის წყალობით, რომელსაც ჯერ კიდევ იცავდა ედესა მასთან დამოკიდებულებაში, ფრონტონმა გასეირნების ნება მიიღო. და აი, ცხენზე ამხედრებული ცნობისმოყვარე მოგზაური იმ დილით, როდესაც აუფიდის ჯართან შეტაკება მოხდა, სურას მიდამოებში სეირნობდა. ბელიხუსის დასავლეთით, ერთ გორაკზე, იგი ედესის გარნიზონის პატარა რაზმს

წააწყდა, რომელსაც ვინმე ლეიტენანტი ლუციუსი მეთაურობდა და რომელიც აუფიდის ჯარს აქეთ გამოერეკა.

ცხენზე მჯდარი ფრონტონი პატარა გორაკიდან გაჰყურებდა ბრძოლის ველს. მის თვალწინ გადაშლილი მინდორი ნისლს მოეცვა. აუფიდის ჯართან შეტაკების შედეგად იქაურობა მტვრის კორიანტელში გახვეულიყო, რომლის შიგნითაც გაურკვეველი აჩრდილები მოძრაობდნენ. მაგრამ ფრონტონს მახვილი თვალი ჰქონდა და ყოველივეს კარგად არჩევდა. ხედავდა, რომ ბრძოლის ველზე ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორიც თავის „საომარი ხელოვნების სახელმძღვანელოში“ ჰქონდა აღწერილი. ეს იყო გარკვეული ტაქტიკური სიტუაცია, როდესაც B არმიას, ამ შემთხვევაში ტრებონს, შეეძლო მოწინააღმდეგე A, ამ შემთხვევაში აუფიდი, მოეწყვიტა მისი მთავარი ბაზისაგან, ამ შემთხვევაში სურისაგან. თუ ოპერაცია წარმატებით განხორციელდებოდა, უარმიოდ დარჩენილ ციხეს იერიშით აიღებდნენ. მაგრამ უნიჭო ტრებონს, ალბათ, „სახელმძღვანელო“ არ შეუსწავლია, ვერ ხედავს რამხელა საქმის გაკეთება შეუძლია და ვერც გააკეთებს.

ფრონტონს გული აუძგერდა. აი, შემთხვევა, როდესაც „სახელმძღვანელოში“ აღწერილი ახალი, თამამი თეორია, რომელსაც მოწინააღმდეგეები თავხედურ თეორიას ეძახიან, ბრძოლაში უნდა გამოიცადოს. აუფიდის ჯარი ბელიხუსის პირას დგას. აქეთ აღარ წამოვლენ, პართიელებთან შეტაკებას მოერიდებიან. თავის საწადელს მათ უკვე მიაღწიეს, სანგრები და მანქანები დალეწეს, ამიტომ მცირეოდენ ნადავლს დასჯერდებიან და მწყობრად დაიხევენ სურასაკენ. ახლა უნდა დაეცე ზურგიდან, თუნდაც მცირე რაზმით, მთავარი ძალებით კი ფლანგებიდან უნდა შეუტიო. ეს ისეთი შემთხვევაა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ნატრობდა ფრონტონი და რომელიც აღარასოდეს განმეორდება. კიდევ ათ წუთს გაგრძელდება ასეთი ვითარება, იქნებ მხოლოდ ხუთ წუთს. ათ წუთში, ან შეიძლება სულ რაღაც ხუთ წუთშიც, „დინჯი უკანდახევა“ დაიწყება და მერე გვიანლა იქნება.

ფრონტონი უმოძრაოდ, მშვიდი სახით იჯდა ცხენზე და ბრძოლის ველს გადაჰყურებდა, სინამდვილეში კი ყოველი

ძარღვი დაჭიმული ჰქონდა. „დაწყნარდი, ფრონტონ, — უბრძანა თავის თავს, — სისულელე არ ჩაიდინო! ორმოცდარვა წლის კაცი ხარ და გონიერებისთვის არასოდეს გიღალატნია. ნურც ამჯერად უღალატებ. ხუთ-ათ წუთს კიდევ გაუძელ! ამასობაში ცდუნებაც გაივლის.. ნუ მოიშხამავ წუთისოფელს, ნუ გაიმწარებ სიბერეს! ქარს ნუ გაატან ყოველივეს, რაც ამ ორმოცდარვა წელიწადში შეგიქმნია და მოგიხვეჭია“.

თერთმეტს აკლდა ჩვიდმეტი წუთი, ფრონტონი რომ ამას ფიქრობდა, ხოლო როდესაც თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, იგი მიუბრუნდა ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიც რაზმს მეთაურობდა, და ჰკითხა:

— თვალი როგორ გიჭრით, ლეიტენანტო? გაარჩევთ ამ მტვერში რა ხდება ბრძოლის ველზე?

პოლკოვნიკი ფრონტონი არ უყვარდათ, მაგრამ დიდ პატივს სცემდნენ. ამიტომ ახალგაზრდა ოფიცერს სიწითლემ გადაუარა, როდესაც ამხელა თეორეტიკოსი გამოელაპარაკა.

— დიახ, გავარჩევ. — მიუგო მან.

— გაიხედე იქეთ, აი, ამას შეხედეთ, ახლა იმას შეხედეთ, — უთხრა ფრონტონმა და სხაპასხუპით, მაგრამ ზედმიწევნით მკაფიოდ აუწერა შექმნილი ვითარება. უტვინო კაცს როდი შეახვედრა ფრონტონი ბედმა, — ლეიტენანტმა ლუციუსმა ყოველივე გაიგო.. გაიგო, რომ ეს ერთადერთი გზა იყო და, აღელვებული და ბედნიერი, თვალებში შეჰყურებდა ფრონტონს.

— მანდობთ თქვენს ხალხს, ლეიტენანტო? — ჰკითხა ბოლოს ფრონტონმა, მაგრამ ეს კითხვა იმდენად ჰგავდა ბრძანებას, ისეთი მომნუსხველი ძალა იყო პოლკოვნიკის ხმაში, რომ ლუციუსი წამითაც არ შეყოყმანებულა, მორჩილად უპასუხა:

— მესმის.

— გასწით გენერალ ტრებონთან, — უბრძანა ფრონტონმა, — აუწერეთ მდგომარეობა! გადაეცით, მთელი თავისი ჯარით ფლანგებიდან ეკვეთოს მოწინააღმდეგეს. ლეიტენანტო ლუციუს, თუ მას ნათლად დაანახვებთ, რაშია საქმე, მე და თქვენ მრავალი წლით შევცვლით იმპერიის ცხოვრებას.

ლეიტენანტი ლუციუსი სმენად ქცეულიყო.

— მესმის, — მიუგო მან, — მარსი და ნერონი! — შეჰყვირა მერე იმ დღის საბრძოლო დაძახილი და მოწყვიტა ცხენი.

ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ფრონტონს ჰქონდა აღწერილი თავის „სახელმძღვანელოში". მართლაც რომ სითამამეზე მეტი იყო ასეთი მცირე ძალებით ზურგიდან შეტევა. მაგრამ ეს მცირე ძალა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოწინააღმდეგე ათი წუთით შეეფერხებინათ. მეტი არც იყო საჭირო. ლუციუსი ჭკვიანი და ენერგიული კაცი გამოდგა, ტრებონს კი დიდი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება ეხერხებოდა. მან წუთით დაივიწყა, რომ სძულდა ფრონტონი და არ ენდობოდა მას, და დროულად გასცა საჭირო ბრძანება.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ნერონის ჯარს დიდი დანაკლისი არ განუცდია. ყველაზე მეტი იმ რაზმიდან დაიღუპა, რომელსაც პოლკოვნიკი ფრონტონი უძღოდა და რომელიც ზურგიდან ეკვეთა მტერს. თვითონ ფრონტონს ბოლო წუთამდე არაფერი დაშავებია, მხოლოდ მაშინ, როდესაც ნერონის ჯარს გამარჯვება განაღდებული ჰქონდა, ისარი მოხვდა.

იწვა იგი, კვნესოდა, იკლაკნებოდა, სისხლი სდიოდა ჭრილობიდან, შიგნეული გადმოუცვივდა. ექიმები მხრებს იჩეჩდნენ. დაჭრილის გადაყვანას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

ირგვლივ ჭიანჭველები დაფუსფუსებდნენ. ფრონტონმა მხედველობა დაკარგა, ეცადა თვალი გაეყოლებინა მათთვის. იგი შურით შეჰყურებდა ამ ჭიანჭველებს. სძულდა ისინი. მაგრამ ძალა აღარ შესწევდა, რომ გაესრესა. ისინი იფუსფუსებენ, ნერონ-ტერენციუსი ტახტზე დაჯდება, საქაჩულა გაწიწმატდება და გაიჭიმება. თვითონ კი ვეღარც იფუსფუსებს, ვეღარც დაჯდება, ვეღარც გაწიწმატდება. გაჭიმვით კი გაიჭიმება. და მოკვდება.

მან გაიმარჯვა. თეორიულად დასაბუთებული საინტერესო პრობლემა პრაქტიკაში გამოიცადა, დადასტურდა მისი სისწორე. ამას იქით ამ მეთოდს მუდამ „ფრონტონის ტაქტიკა" ერქმევა. მერე? რას მიაღწია „გამარჯვებით?" მშვიდი და უზრუნველი სიბერე წყალმა წაიღო, „სახელმძღვანელო" დაუმთავრებელი დარჩა, მარციასთან გასატარებელი ათასი

ღამე, ან, სიმართლეს რომ არ ვუღალატოთ, ორას-სამასი ღამე მაინც, სამუდამოდ დაიკარგა. ბევრი სხვა რამეც დაიკარგა სამუდამოდ. მხოლოდ ეს არის, რომ ნერონი გაძლებს ცოტა მეტ ხანს და სამხედრო აკადემიაში „ფრონტონის ტაქტიკას“ მოიხსენიებენ.

რა სისულელე ჩაიდინა! ორმოცდარვა წელი. ოცდაათ წელს კიდევ იცოცხლებდა. ო, ეს წყეული აღმოსავლეთი! რაში ეკითხებოდა „ნერონი“ და სურა? არ უნდა აჰყოლოდა ამ ბრიყვებს, არ უნდა გადასდებოდა მათი სიგიჟე. მან მწარედ ჩაიცინა. სწორი ყოფილა ფლავიუსების „მთავარი მითითება“: უმჯობესია არ გააკეთო, ვიდრე გააკეთო და მცდარი გამოდგეს.

მას კიდევ აერია გული, წამოიწია, დაიკვნესა, სისხლი ამოაფურთხა. ამ დროს შემოსწრებულმა ლეიტენანტმა ლუციუსმა გაიგონა მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები:

— ნამდვილი თუ მცდარი... ჭირსაც წაუღია ყოველივე.

ვარონს შეამციცნა და შეახურა, სურას აღება და ფრონტონის დაღუპვა რომ შეიტყო. მაშ ფრონტონიც, დინჯი და ანგარიშიანი ფრონტონიც მის მხარეს გადავიდა. გადავიდა მის მხარეს და დაიღუპა. ბედის დაცინვა არ იყო, რომ მეგობარი შეიძინა, მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე აიღო და იმავ წუთს

მეგობარი ისევ დაკარგა, — ერთადერთი კაცი, რომელსაც მისი ესმოდა?

ვარონი დაფიქრდა. რამდენი ხანი გავიდა, სანამ საუბარი, რომელსაც თავის გულში აწარმოებდა ფრონტონთან, სიტყვებად გადმოიღვრებოდა! რა თავშეკავებით, ქარაგმულად უმჟღავნებდა ფრონტონი მეგობრობას! რამდენი ხანი გავიდა, სანამ ეს მეგობრობა საქმით გამოჩნდებოდა! როგორც იქნა გამოჩნდა, მაგრამ ფრონტონი უკვე აღარ არის. ნათლად ხედავდა ვარონი თავის მეგობარს, ლეგათმიან მეგობარს. მეფაბრიკე ნიტაის სფერისტერიაში ისხდნენ ისინი, ფრონტონს ღია-ყვითელი ფერის წაღები ეცვა, ფეხით მექანიკურად აგორებდა ბურთს იქით-აქეთ, ჩაფიქრებული სახით უსმენდა, წყნარად იცინოდა. ისე ცოცხალი და ხელშესახები ეჩვენებოდა ვარონს იგი, რომ უნებლიედ უკან დაიხია, რათა თავისი შორსმხედველი თვალებით უკეთ დაენახა მეგობარი. და მოხდა ისეთი რამ, რაც ერთობ იშვიათად ხდებოდა: ვარონი სინანულმა შეიპყრო. სინანულმა შეიპყრო, რომ ვერ მოასწრო ფრონტონის მეგობრობით დატკბობა. გულზე ეკლად ესობოდა ყოველი საათი, რომელიც შეეძლო დაღუპულ მეგობართან გაეტარებინა და ვერ გაატარა.

მაგრამ განა მარტო მან დაკარგა მეგობარი! რა დაემართება მარციას, ფრონტონის სიკვდილს რომ გაიგებს?

სანამ ქალიშვილს მოინახულებდა, მარციას მოახლე ეწვია და მოახსენა, დედოფალი ერთობ უცნაურად იქცევაო. გოგონამ არ იცოდა რა ექნა. ვერ გაებედა, ვარონის გარდა სხვა ვინმესათვის გაემხილა, რაც ნახა და რაც გაიგონა. ფრონტონის სიკვდილი რომ გაიგო, მარციას, თურმე ისტერიული სიცილი აუვარდა. დიდხანს ყოფილა ასეთ მდგომარეობაში. მერე როცა ცოტა დაწყნარებულა, თავის ოთახში ჩაკეტილა. იჯდა, თურმე, იქ, არც არას ჭამდა, არც პასუხს იძლეოდა შეკითხვებზე. მაგრამ მოახლეს ესმოდა, რომ დედოფალი თავისთავს ელაპარაკებოდა.

— მერე? — ჰკითხა ვარონმა და რა დაინახა, გოგონა პირში ენას ვერ აბრუნებდა, შეაგულიანა, — რაო, რას ამბობს?

— ისეთ რაღაცეებს ლაპარაკობს, რომ... — ყოყმანით

მიუგო მოახლემ — ვერ გავბედე, გვერდით ოთახში ვინმე შემეშვა. ისე უცნაურად ლაპარაკობს, რომ...

— მაინც რას ლაპარაკობს? — ჩაეძია ვარონი, რომელსაც მოთმინება ელეოდა.

გოგონამ პირი იბრუნა.

— რაღაც... რაღაც უწმაწურ სიტყვებს ამბობს, ყველაფერი ვერ გავიგე, მაგრამ, ვინმემ რომ მოუსმინოს, არ დაიჯერებს მის დედოფლობას, ისეთ უწმაწურ სიტყვებს ამბობს.

ვარონმა გადაწყვიტა ყური მიეგდო. კარჩაკეტილი ოთახიდან მართლაც ისმოდა სიტყვები. უშვერი სიტყვები, ცინიკური და უხეში საალერსო სახელები. მკვდარი ფრონტონი ესიყვარულებოდა მარციას, ის ეუბნებოდა ამ სიტყვებს. მარცია და მისი დაღუპული მეგობარი ერთმანეთს ეალერსებოდნენ. მიცვალებული თავისებურად ელაპარაკებოდა, მარციაც თავისებურად პასუხობდა.

ვარონმა შესვლა დააპირა, მაგრამ ოთახი დაკეტილი იყო. მაშინ კარები შეანგრიეს. მარცია მოკუნტული იჯდა, შეშლილი საწე ჰქონდა, მამის მიახლოებაზე კივილი ატეხა.

ვარონი სრულიად მარტო დარჩა.

იგი იტანჯებოდა. მაგრამ ღმერთებს რომ ქალი და მეგობარი დაებრუნებინათ მისთვის იმ პირობით, თუ სურას დათმობდა, ვარონი ქალსა და მეგობარს გასწირავდა და სურას დაიტოვებდა. მას შემდეგ, რაც უკანდასახევი გზა მოეჭრა, იგი დაუფიქრებლად, მთელი არსებით მიეცა წამოწყებულ საქმეს. ამ საქმეში ჩაყარა ფული და ქონება, ამ საქმისთვის დაკარგა სახელი და ღირსება, ხელი აიღო დასავლურ ცივილიზაციაზე, ამ საქმეს შესწირა შვილი და მეგობარი და, თუ ეს საქმე მოითხოვდა, უფრო მეტ მსხვერპლსაც გაიღებდა: ფეხს, ხელს, თვალს, სიცოცხლეს.

ფრონტონის დასაფლავების შემდეგ, შინ დაბრუნებულმა, ყუთიდან ექვსი ათასი სესტერციის ქვითარი ამოიღო. „ზარალის“ სვეტში ჩაწერა: „მარცია გაგიჟდა, ფრონტონი დაიღუპა“, ხოლო შემოსავლის სვეტში აღნიშნა: „სურა აღებულია“.

2

ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝ

სურის აღების შემდეგ ევფრატის ორივე მხარეს და მთელ შუამდინარეთში, სომხეთის საზღვრიდან არაბეთამდე, ნერონი უკვე აშკარად აღიარეს რომის იმპერატორად.

საერთო ზეიმში მხოლოდ კანტი-კუნტად თუ გაისმოდა დაეჭვებული ხმები. მაგრამ იყო ერთი ვინმე, ვისაც უფრო დიდი გამარჯვებაც ვერ დაარწმუნებდა, რომ ღმერთები დიდხანს გაანებივრებდნენ ამ ვითომდა იმპერატორს. ეს იყო ქალი, რომელთანაც ნერონი ცხოვრობდა, სანამ ტერენციუსის ნიღაბი ჰქონდა აფარებული. ეს იყო კაია.

ტერენციუსთან ბოლო საუბრის შემდეგ დაბნეული და სასოწარკვეთილი კაია ნაცემი ძაღლივით განმარტოვდა. მაგრამ ახლა ასეთმა ტრიუმფმა და ღმერთების აშკარა წყალობამ, რომელსაც ისინი ნერონის მიმართ იჩენდნენ, თავშესაფრიდან გამოაგდო. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს მოჩვენებითი ბედნიერება კატასტროფის დასაწყისი იყო.

კაია სენატორ ვარონს ეწვია. ვარონს ესიამოვნა მისი სტუმრობა. ამ გამარჯვების შემდეგ ნერონს რამდენიმე თვით მაინც მტკიცედ ეპყრა ძალა-უფლება. ახლა შინაური საქმეების მოწესრიგებაც შეიძლებოდა. პირველ რიგში ის ხიფათი უნდა აეცილებინა, რომელიც „ქმნილებაში“ იმალებოდა. გამორიცხული არ იყო, რომ გამარჯვებით დამთვრალ „ქმნილებას“ თავში ავარდნოდა ამხელა წარმატება, გაბრიყვებულიყო და შემქმნელს ამხედრებოდა. აუცილებელი იყო წინდახედულობის გამოჩენა და თოკის მომზადება, რომ საჭიროების დროს „ქმნილება“ მაგრად დაება. ამიტომ ვარონმა მიიღო კაია.

ქალი შეშფოთებული და გამძვინვარებული ჩანდა.

— რას ერჩით ჩემ ტერენციუსს? — მოსვლისთანავე დაეტაკა იგი ვარონს. — არ გეყოთ, რაც რომში გაასულელეთ? რა ესაქმება მას თქვენს ოინებთან?

ვარონი მშვიდად უსმენდა.

— ვისზე ამბობ მაგას, კეთილო ქალო, — ჰკითხა ბოლოს — იმპერატორ ნერონზე? იცი თუ არა, რომ მაგ სიტყვებისთვის შემიძლია შენი თავი გავაწკეპლინო?

— მომკალით და ის იქნება! — ყვიროდა კაია, — სიკვდილი სჯობია იმის ყურებას, რასაც თქვენ ჩადიხართ.

ვარონი განცვიფრდა.

— ნუთუ არა გჯერა, რომ ის იმპერატორი ნერონია?

კაიამ ზიზღით შეხედა, გაკაპასებულმა მიახალა:

— ასეთი საკენკი სხვას დაუყარეთ, მე ვერ გამაბრიყვებთ.

— გამიგონე, კეთილო ქალო, — სერიოზული და მტკიცე ხმით უთხრა ვარონმა. — მე ხომ თავიდან გიცნობდით შენ და შენს ტერენციუსს, იმპერატორ ნერონსაც ჩემზე უკეთ ვერავინ იცნობდა. შენმა ტერენციუსმა, — ყოველ სიტყვას მკაფიოდ გამოთქვამდა ვარონი, — იცის ისეთი რამ, რაც მე და იმპერატორის გარდა არავინ იცოდა.

— როგორც ეტყობა, ვიღაც მესამესაც სცოდნია, — ჯიუტად იდგა თავისაზე კაია, — და ჩემმა ტერენციუსმა ყური მოჰკრა. მე თქვენ ისე კი ნუ მელაპარაკებით, ვითომ ვიღაცა ლენჩი ვიყო. შეუძლებელია, ჩემმა ტერენციუსმა თქვენისთანა კაცი გააბრიყვოს.

— იქნებ, — მოთმინებით განაგრძო ვარონმა, — ის კაცი, რომელიც პალატინიდან დაბრუნდა მაშინ, მართლა იმპერატორი იყო.

— ეგ თქვენ თვითონაც არა გჯერათ. — გაცხარებით მიუგო კაიამ, — ის კაცი ადრეც წოლილა ჩემთან და იმ ამბის მერეც იწვა. ეს ერთი და იგივე კაცი იყო. სწორედ ისე გამწევდა ხოლმე გვერდზე ტერენციუსი, როდესაც, თუმცა იშვიათად ჩემგან რამე უნდოდა, და მარჯვენა ძუძუზე მჩქმეტდა. საიდან ეცოდინებოდა იმპერატორს, როგორ აკეთებდა ამას ჩემი ტერენციუსი? გამაგებინეთ, ერთი, საიდან ეცოდინებოდა?! ის რომ მითხრა, მწვანე წინწკლებიანი საცვლები აღარ მომცეო, მაშინ ნერონი მკვდარი იყო. იმ უკანასკნელ ღამეს საცვლებზე ხომ არ დაუწყებდა იმპერატორი ლაპარაკს? მერე რა უხეშად იგინებოდა, თხის ხორცს ნიორი რატომ აკლიაო, ამ თვეში უკვე ოთხჯერ მაჭამე ასეთი კერძიო. ნამდვილი ნე-

რონი ასე როგორ შეიგინებდა, ანდა საიდან ეცოდინებოდა ეს ამბავი?

— ეს რაღაც სიმართლესა ჰგავს, — თქვა ვარონმა კარგად გათამაშებული ფიქრის შემდეგ, — ეს ამბავი უნდა გამოვარკვიო. მანამ კი, ყოველ შემთხვევისათვის, ჩემთან დარჩი. კიდევ მოგვიხდება ამაზე ლაპარაკი.

კაიამ უპასუხა:

— პირობა მომეცით, რომ ჩემ ტერენციუსს არაფერი დაუშავდება, როდესაც ეს ამბავი დამთავრდება. თქვენ ერთხელ დახმარების ხელი გაუწოდეთ და ამ პატივისცემას არასოდეს დაგივიწყებთ. თუ დამპირდებით, რომ არაფერი დაუშავდება, დავრჩები თქვენთან და რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ.

ვარონი დაპირდა. იგი კმაყოფილი იყო, რომ სახლში ეყოლებოდა ეს ქალი, რომელიც მოწმედ გამოადგებოდა, თუ ვინიცობისაა „ქმნილება“ აიწყვეტდა.

3

ორი მდაბიო

უცნაურია, მაგრამ იყო კიდევ ერთი კაცი, რომელსაც სწორედ მაშინ შეეპარა ეჭვი ნერონის გამარჯვებაში, როდესაც საყოველთაო ზეიმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს კაცი კნოპსი იყო. იგი იცნობდა ცხოვრებას და ყნოსვით გრძნობდა, როდის იწყებდნენ გახრწნას საგნები და ადამიანები. იგივე ინსტინქტი, რომლის კარნახითაც აქამდე ნდობით შეჰყურებდა ბატონის ბედს, ახლა ეუბნებოდა, ტერენციუსმა დიდების მწვერვალს მიაღწია და სიდამპლე ეპარება, როგორც გადამწიფებულ ხილსო.

კაცი თუ ჩაუკვირდებოდა, მართლა გვარიანად ფანტასტიკურ და ძნელად დასაჯერებელ ამბად მოეჩვენებოდა ის ფაქტი, რომ მექოთნე ტერენციუსს ეს რამდენიმე თვეა მთელი ქვეყანა ნერონად თვლიდა და იმპერიის სატახტო ქალაქსაც კი ეშინოდა მისი. კნოპსს სატრაბახოდ ჰქონდა საქმე: იგი დროზე მიხვდა, შეუძლებელი უნდა მოხდესო, და ამ ვარაუდს შეუხა-

მა თავისი ცხოვრება. მაგრამ ტერენციუსის ეტლი უკვე მწვერვალზე ავიდა და სადაცაა დაშვებას დაიწყებს. შესაძლებელია დაგორდეს და გადაბრუნდეს. კაცს თუ ჭკუა გაქვს, ახლა უნდა უგანო, უნდა აიკრა შენი გუდა-ნაბადი და თავს უშველო. კნოპსს მოაგონდა ზოგზოგი ვინმე, მოაგონდა ნიობი და პოლიკრატე, რომლებიც ზედმეტი ნდობით მოეკიდნენ თავიანთ იღბლიანობას, გაყოყოჩდნენ და სასტიკი სასჯელი იწვნიეს ამის გამო.

მაგრამ კნოპსმა იგემა მბრძანებლობის სიტკბო და დიდადაც მოეწონა, ძნელი იყო ხელის აღება. ხიფათის სუნი სცემდა და ძალა არ შესწევდა, აქაურობას გასცლოდა. გადაწყვიტა კიდევ ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს კიდევ დაეცადა: ვადაც დაიდო: როგორც კი ნერონი სირიის სატახტო ქალაქს, ანტიოქიას, აიღებს, მაშინვე მოვკურცხლავო.

ჯერჯერობით კი რაც მოიპოვა, იმისათვის უნდა მოევლო. ფული და ძვირფასეულობა სანდო პირთა დახმარებით საიმედო ადგილას გადამალა. მერე პატარა იალტას მიხედა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ფიქრობდა: წამოიყვანა და ლოგინში ჩაიწვინა. კნოპსს მოეწონა იალტა. გოგონა დიდ თავპატიჟს არ იდებდა, აშკარა იყო, სიამოვნებას ჰგვრიდა, რასაც კნოპსი უშვრებოდა, და არც მალავდა ამ სიამოვნებას. იგი კვნესოდა, მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, კრუსუნებდა. ლამაზი არ ეთქმოდა, პირიქით, უხეშიც კი იყო, მაგრამ კნოპსს მოსწონდა. კნოპსმა გადაწყვიტა დიდსულოვნება გამოეჩინა. გორიონი, იალტას მამა, შეცბუნებული იღიმებოდა, როდესაც კნოპსი მცოდნე კაცის სახით უქებდა იალტას სხეულს, გაბედვით კი ვერაფერს უბედავდა. მაგრამ ერთხელ კნოპსმა მეგობრულად დაჰკრა ბეჭზე ხელი და მოწყალე ხმით უთხრა:

— აბა, ჩემო გორიონ, ახლა კი დაინახავ, რა ბიჭი ყოფილა კნოპსი, ცოლად ვირთავ შენს იალტას.

მექოთნე გორიონი შეკრთა მოულოდნელი სიხარულისაგან. რასაკვირველია, მას აღიზიანებდა ის გარემოება, რომ კნოპსმა სიტყვა აასრულა და მის ქალთან დაწვა; მაგრამ უხვად დაჯილდოვდა ამ წყენის სანაცვლოდ: დიდი მოგება ნახა და პატივისცემაც მოიხვეჭა. ახლა, როდესაც კნოპსმა მისი ტილე-

ბიანი გოგოს ცოლად შერთვა გადაწყვიტა, გორიონი სიხარულით ცას ეწია.

გულის სიღრმეში კნოპსს ეამაყებოდა, რომ ამხელა თავდაბლობა გამოიჩინა და იალტა დანიშნა. იმედი ჰქონდა, ასეთ საქციელს ღმერთები დიდ დამსახურებად ჩამითვლიანო. ესეც არ იყოს, მდაბიორის ქალთან კავშირი კიდევ მეტ გავლენას მოუპოვებდა ხალხში, რომელიც უამისოდაც მოხიბლული ჰყავდა თავისი მოქნილი ენითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით.

მაგრამ ერთ ვინმეს არ მოსწონდა მისი განზრახვა. კაპიტანი ტრებონი დიდად აფასებდა კნოპსის ხერხიანობას და გრძნობდა, რომ ბევრი რამ აკავშირებდა ამ კაცთან; განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა, როდესაც მაღალი საზოგადოება გაახსენდებოდა. გულის სიღრმეში კი მისი ენამახვილობის შემხედვარე შურით ივსებოდა. კაპიტანი ტრებონი უშიშარი კაცი იყო. ხანდახან, როდესაც კარგად გადაყლურწავდა, იმდენადაც კი გაკადნიერდებოდა ხოლმე, რომ სამი გულისამრევი „კ“-ს ანდაზას პირში ეუბნებოდა. ეს ახალი ამბავი, კნოპსის მიერ ტილებიანი მდაბიოს დანიშვნა, ისე მიიღო პატივმოყვარე, ტიტულებითა და ორდენებით დამშვენებულმა ტრებონმა, როგორც პირადი შეურაცხყოფა, როგორც ნერონის მთელი სამეფო კარის შერცხვენა. მან გადაწყვიტა, დაუფარავად ეთქვა კნოპსისათვის, რასაც ფიქრობდა.

ისინი თავიანთ საყვარელ დუქანში — „დიდ წეროში“ ისხდნენ. დაბალჭერიან ოთახში იაფფასიანი ზეთისა და ნივრის სუნი იდგა. ბუხრიდან გამოსული კვამლისაგან თვალები ეწვოდათ. უხეშ მაგიდებს მჭიდროდ შემოსხდომოდნენ მდაბიორები და მონები, ნახევრად შიშველი მედუქნე საქმიანი სახით მიმორბოდა. კნოპსს სადად ეცვა, ტრებონი კი აქაც ძოწეულში გამოწყობილიყო და მკერდზე ორდენები ჩამოეკონწიალებინა. კნოპსი სვამდა, ტრებონიც სვამდა.

ტრებონმა ღვარძლიანად დაიწყო, რომ მას ვერ გაუგია რამ დაამდაბლა ასე კნოპსისთანა კაცი. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც რომს აიღებენ, რომში კი ვისაც გინდა, იმას აირჩევ დიდგვაროვანთა ქალებიდან. არა ერთსა და ორ გემრი-

ელ ლუკმას იშოვის იქ კაცი. როდესაც იცი, რომ ნატიფ სხეულს, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე უვლიდნენ და შენთვის ინახავდნენ, ფული და სახელიც ზედ დაემატება, ასეთ დროს კაცი განსაკუთრებულ მზურვალებას იგრძნობ საწოლში და ცხოვრების სიმძიმესაც არად ჩააგდებ. ტყუილუბრალოდ ჰკარგავს კნოპსი ასეთ შესაძლებლობას. იქნება

მართლა ის უნდა, რომ ერთგვარად თავი დაისაჭურისოს სირიის ქურუმებივით? ასეთი ნიშნობით კნოპსმა გული ატკინა მეგობარს, უფრო მეტიც, აწყენინა კიდეც.

კნოპსმა სწრაფი და ბოროტი მზერა მოავლო ტრებონს. თუ ქალი, — მიუგო მან, — ლოგინში იმ მოთხოვნას ასრულებს, რომელსაც კნოპსისთანა გამოცდილი ბიჭი უყენებს, მაშინ მას ფული და სახელი აღარა სჭირდება, უამისოდაც იოლად გავა. კნოპსმა არ იცის, ვინ უფრო მომთხოვნია გარკვეულ სიტუაციებში, — თვითონ თუ მისი მეგობარი ტრებონი. მაგრამ ერთს კი იტყვის: მის სასიყვარულო საქმეებში ნურავინ ჩაერევა. თავისი გემოვნების ამბავი თვითონ იცის, ვისაც უნდა,

იმას შეირთავს. თუ კი მერე არისტოკრატთა ქალებში განავარ-
დება მოეხასიათება, მდაბიორთან კავშირი ხელს ვერ შეუშ-
ლის.

კნოპსი სვამდა, კაპიტანი ტრებონიც სვამდა. თან ერთმა-
ნეთს შეჰყურებდნენ, აკვირდებოდნენ. შეჰყურებდნენ გამომ-
წვევად, შეჰყურებდნენ როგორც მტრები, როგორც მეგობ-
რები, როგორც შეთქმულნი.

მაგრამ მალე დაუტკბნენ ერთმანეთს, რადგან ბევრი რამ
აკავშირებდათ: ორივე მათგანი დაბალი წარმოშობის კაცი
იყო, ორივე მათგანის ბედი ნერონის ბედზე იყო გადაჯაჭვუ-
ლი. ტრებონი სვამდა, კნოპსიც სვამდა. ტრებონმა ერთხანს
კიდევ იბუზღუნა. მაგრამ მალე ამასაც თავი დაანება. ისხდნენ
ხელიხელგადაჯვეულნი, როხროხობდნენ, ერთსა და იმავე დე-
დაკაცთან წვებოდნენ, მეგობრობდნენ და ჭირივით სძულდათ
ერთმანეთი.

4

რამხელა ხელოვანი

„რამხელა ხელოვანი იღუპება“ — ასე უთქვამს სიკვდი-
ლის წინ იმპერატორ ნერონს. „რამხელა ხელოვანი ცოცხ-
ლობს ჩემში“ — ლაპარაკობდა ნერონ-ტერენციუსი შინა-
ურებში და თავი ისე ეჭირა, თითქოს მისი ბედნიერება
აუმღვრეველი ყოფილიყოს, რაკი ასეთ დიდებას მიაღწია და
ამხელა ტალანტი ჰქონდა. სინამდვილეში კი, მიუხედავად ყო-
ველგვარი წარმატებისა, მისი ბედნიერება არ ყოფილა აუმღვ-
რეველი. მხოლოდ მაშინ იყო ტერენციუსი გაბედული და თავ-
დაჯერებული, როდესაც ხალხის წინაშე სიტყვით გამოდიოდა,
მხოლოდ ამ დროს გრძნობდა თავს „სულით ხორცამდე იმპე-
რატორად“, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე ერთი კლასი-
კოსის ნათქვამის მიხედვით. ცალ-ცალკე კი მარციასთან, ვა-
რონთან და მეფე ფილიპესთან საუბრისას თავისი მდაბალი
წარმოშობა გულზე ეკალივით ესობოდა და სიცოცხლეს უმწა-
რებდა. კიდევ კარგი, ფრონტონი არ იყო ცოცხალი, თორემ

მასთანაც ხშირად გახსენებია, რა გაუგონარ თავხედობას ჩადიოდა, ნერონობას რომ ეპოტინებოდა.

ყველაზე მეტად თავის მოკავშირესთან, პართიის მეფეთ-მეფე არტაბანთან შეხვედრა აშინებდა. მართალია, საკუთარ თავსაც არწმუნებდა და ხელქვეითებსაც ასე ეუბნებოდა, სიხარულით მოველი ამ შეხვედრას და ვწუხვარ, რომ არტაბანი თავისი სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარზე მძიმე ბრძოლას ეწევა ტახტის მოცილე პაკორის წინააღმდეგ და მოსალოდნელი შეხვედრა სულ უფრო და უფრო ჭიანურდებაო, სინამდვილეში შვებას ჰგვრიდა საქმის ასეთი გაჭიანურება. ტერენციუსს, რომელიც გარეგნულ ბრწყინვალებას გულგრილად ვერასოდეს ვერ უყურებდა, შიში შეეპარა, მას აფრთხობდა დიდი ხელმწიფის, მეფეთა შორის მეფის თანდაყოლილი დიდებულება და შარავანდედი, აფრთხობდა სანთელი, რომელიც მუდამ წინ უძღოდა არტაბანს და სიმბოლურად გამოხატავდა მის ბრწყინვალებას. ნერონ-ტერენციუსს ეშინოდა, ვაითუ ჩემმა მდაბიურმა წარმოშობამ და სიბნელემ ვერ გაუძლოს ამ სანთელს და მის შუქზე მთელი ჩემი არარაობა გამოჩნდესო.

ერთხელ განზე გაიყვანა თავისი ერთობ სახიფათო მეგობარი ვარონი. საყელოში ჩააფრინდა, როგორც ეს ტრებონს სჩვეოდა, და ყრუ და იდუმალი ხმით გაუმხილა:

— რომ იცოდეთ, ჩემო ვარონ, რა საოცარი რამ ვიხილე! ამას წინათ ლაბირინთში შევედი, ვიფიქრე, შევამოწმებ იქაურობას, იქნებ გადავწყვიტო როგორი აკლდამა ავიგო-მეთქი. მარტო მინდოდა დარჩენა და ამიტომ მეჩირაღდნენი დავითხოვე. უკუნი სიბნელე იყო. და ამ დროს მოხდა უცნაური რამ, — აქ მან პირი სულ ახლო მიიტანა ვარონის ყურთან, უფრო დაუწია ხმას, — კიდევ მეტი იდუმალება მიანიჭა, — მღვიმე განათდა, — წაიჩურჩულა მან, — შუქი ჩემი თავიდან გამოდიოდა, ჩემი შარავანდედი ანათებდა. იქაურობა სულ ერთიანად გაჩახჩახებული იყო.

მან ვერ გაბედა სახეში შეეხედა ვარონისათვის, როდესაც ამას ლაპარაკობდა, რაღა ექნა, ვარონს რომ გაღიმებოდა. სხვა

გზა აღარ დარჩებოდა, ან ის უნდა მოეკლა, ან საკუთარი თავი. მაგრამ ვარონი არ იღიმებოდა. გულის სიღრმეში იგი შეკრთა.

იმპერატორი ნერონი კმაყოფილი და ბედნიერი იყო. გარეგნული ბედნიერება მას ჩვეულებად ექცა. ხოლო როდესაც ბედნიერება მობეზრდა, ამ მობეზრებამ კიდევ უფრო დაამგვანა ნერონს. მაგრამ ახლა, როდესაც ვარონმა ლაბირინთის ამბავი მოისმინა და არ გაეღიმა, ბედნიერება მის სულსაც მისწვდა.

დიახ, ღმერთები სწყალობდნენ და ანებივრებდნენ ნერონს. აპოლონმა მოკვდავთაგან გამოარჩია. მარსმა ბრძოლებში გამარჯვების უნარი და ტრებონის მეგობრობა უძღვნა, მინერვამ კეთილი რჩევა და ვარონის მეგობრობა არგუნა, ჰერმესმა ხერხიანობითა და კნოპსის მეგობრობით დაასაჩუქრა.

ხანდახან, რა თქმა უნდა, ნაკლებ სასიამოვნო ცნობებიც მოჰქონდათ მრჩევლებს. მაგალითად, ის წყეული იოვანე პატმოსელი, რომელიც უდაბნოში გადახვეწილიყო, თავისი ბნელმეტყველებით ახლა იქედან ამხედრებდა თურმე ხალხს იმპერატორის წინააღმდეგ. ხალხს ენატრებოდა იოვანე, „წმინდა მსახიობს“ უწოდებდა მას ყოველგვარი ირონიის გარეშე. იმპერატორი, წმინდანი და მსახიობი ხომ სამი უმაღლესი ფორმაა, რომლითაც ხალხი თავის სიყვარულს გამოხატავს. იოვანეს უცნაური წინასწარმეტყველება ანტიქრისტესა და ურჩხულის შესახებ, რომელიც გამოჩნდება თუ უკვე გამოჩენილია, რათა ქვეყნიერება გადაბუგოს, აღიზიანებდა და მოსვენებას უკარგავდა ხალხს. მაგრამ ნერონს ეცინებოდა ყოველივე ამაზე, ეცინებოდა იოვანე პატმოსელზე, რომელიც ასეთ ხმებს ავრცელებდა, ეცინებოდა მის ღმერთზე, ქრისტეზე.

იმაზეც ეცინებოდა, რომ ბოლო ხანებში უფრო და უფრო მომრავლდა ტრაგედია „ოქტავიას“ ხელნაწერები, რომლებშიაც ესოდენ პათეტიკური ლექსებით იყო გადმოცემული ნერონის საზარელი საქმეები და რომელიც მისთვის გამართული პირველი ოვაციების მიზეზი გახდა. ცილისმწამებლები საშიში აღარ იყვნენ. მას შემდეგ, რაც ვარონმა გაღიმება ვერ გაბედა, ნერონ-ტერენციუსს მტკიცედ სწამდა, შარავანდედით ვარ მოსილიო. როდესაც კნოპსს „ოქტავიას“ რამდენიმე

ეგზემპლარი ჩაუვარდა ხელში და განკარგულება გასცა დაეწვათ იგი სხვა ნაწერებთან ერთად, რომლებიც იმპერატორის წინააღმდეგ იყო მიმართული, ნერონმა დაასკვნა, ამით მეტისმეტად დიდ პატივს ვდებთ ჩემი მტრების უბადრუკ ნაცოდვილარსო და თავისი შარავანდედმოსილებით გაამაყებულმა გადაწყვიტა ერთი მეფურად ეოხუნჯა.

მან დიდი ამბით მოიწვია მეგობრები და მთელი სამეფო კარი ერთ საღამოს და თავისი მტრების ნახელავი „ოქტავია“ თვითონვე წაიკითხა.

„ოქტავიას“ კარიკატურულად წარმოდგენა იაფფასიანი ხუმრობა გამოვიდოდა, ამიტომ გადაწყვიტა მხოლოდ ოდნავი, ძლივს შესამჩნევი ირონიით შეეზავებინა იგი და ისე წაეკითხა, რათა უფრო დიდი და ცხოველი მხიარულება გამოეწვია.

ასეც დაიწყო. მაგრამ ირონიული ტონი დიდხანს არ გაჰყოლია: მის სულში გაიღვიძა ნიჭიერმა მსახიობმა და მალე, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მთელი მისი მოძრავი, პროთეოსული არსება ოქტავიას ლექსებმა დაიპყრო. და როგორც ტერენციუსი გადაიქცეოდა ხოლმე დიდებულ იმპერატორად, რომელსაც ყველაფერი მობეზრებია, ასევე გადაიქცა ახლა სახეგაბადრული, ლმობიერი იმპერატორი ნერონ-ტერენციუსი „ოქტავიას“ ნერონად, პირქუშ და ულმობელ ბოროტმოქმედად, რომელიც თავისივე ავ საქმეთა გამო იტანჯება. როდესაც ქოროს სიტყვებს ამბობდა, თითქოს ნერონის ბოროტებათა უცნაურ მოწამედ იქცა და სერიოზულად, გამძვინვარებითა და თავდაჯერებით უწინასწარმეტყველა საკუთარ თავს საშინელი აღსასრული.

განცვიფრებული, ოდნავ შემკრთალი უსმენდა მას ბრწყინვალე საზოგადოება, არსად იყო ის ცხოველი მხიარულება, რომელიც ნერონს უნდოდა გამოეწვია თავისი გამოსვლით. მართალია, ტრებონი თავს ძალას ატანდა და ხშირ-ხშირად ისმოდა დარბაზში მისი განთქმული როხროხი, მართალია, კნოპსი ცდილობდა მოსწრებული ოხუნჯობით გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ ნაძალადევ სიხალისეს მძიმე განწყობილება ჩრდილავდა, რომელიც პატარა, რჩეულ საზოგადოებას დაუფლებოდა.

ნერონი ატყობდა, რომ სასურველ ზემოქმედებას ვერ ახდენდა, ამიტომ წარმოდგენის შემდეგ ბევრს ლაპარაკობდა და ერთობ მედიდურად ეჭირა თავი. საზოგადოებას გაუმხილა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა წელს ერთი ნაწარმოების წერას შედგომოდა, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე მისი ეპოსი „ოთხი საუკუნე". რომის მთელი ისტორია უნდა აღეწერა ორას ვრცელ სიმღერაში. მჟავე განწყობილება რომ გაეფანტა, კნოპსმა გაბედა და იხუმრა: მაშინ რომაელი ხალხი იმ ორასი სიმღერის კითხვას გადაყვება და სამუშაოდ ვეღარ მოიცლის, ქვეყნიერების დანარჩენ ნაწილს ვეღარ დავიპყრობთ და, ამგვარად, რომის ისტორია სწორედ იმპერატორის ლექსებით დამთავრდებაო. არავის გასცინებია. იმიტომ, რომ თვითონ ნერონი არ იცინოდა. მართალია, ნერონი არ განრისხებულა, არც კი მოღუშულა, უბრალოდ, ყურადღება არ მიაქცია კნოპსის ნათქვამს, მაგრამ ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა.

რამხელა შეცდომა მოუვიდა, ეს ძალიან გვიან გაიგო. კნოპსს უნდა სცოდნოდა, რომ ტერენციუსი ანგარიშგაუსწორებლად არავის გაუშვებდა, მეხსიერება კი ჩინებული ჰქონდა.

ნერონმა დაითხოვა საზოგადოება. მარტო დარჩა დიდებულ დარბაზში. მსახურებმა არ იცოდნენ იმპერატორი თუ დარბაზში იყო და სინათლის ჩასაქრობად შემოვიდნენ. პირქუში სახის დანახვაზე თავზარდაცემულები გაცვივდნენ უკან. მაგრამ ნერონმა დაუძახა მათ და უბრძანა, თქვენი საქმე გააკეთეთო. მსახურებმა სინათლე ჩააქრეს.

იჯდა სცენაზე იმპერატორი ნერონი მარტოდმარტო. ირგვლივ ბნელოდა. ტანთ ეცვა დეკლამატორის თეთრი სამოსი, თავზე გვირგვინი ედგა, ქვედა ტუჩი გაგულისებით გამოებურცა. თავის თავი შეუცნობელ და მარტოეულ კაცად მიაჩნდა. რა ყრია იმაში, რომ შარავანდედითაა მოსილი, ირგვლივ შუქს აფრქვევს და თავიდან რქებივით გამოსდის სხივები? სულელმა ქვეყანამ დაიჯერა, რომ იგი დიდი იმპერატორია, მაგრამ არ დაიჯერა, რომ კიდევ მეტია, არ დაიჯერა, რომ დიდი ხელოვანია.

კლავდია აქტა

იმ ხანებში ამბავი მოვიდა, კლავდია აქტა, ნერონის საყვარელი, რომელსაც მრავალი წელია თავისი სამშობლო მხარე, სირია, არ მოენახულებინა, ჩამოსვლას აპირებსო. ამის გაგონებაზე მთელმა სირიამ და შუამდინარეთმა ყურები ცქვიტა: კლავდია აქტა მთელ იმპერიაში სახელგანთქმული ქალი იყო.

იგი მონის ოჯახში დაიბადა და ბავშვობა ტანჯვა-წამებაში გაატარა. ბატონს უნდოდა იგი აკრობატი გამხდარიყო. მწარე სკოლა გამოიარა, ლანძღვა-გინების, ცემა-ტყეპისა და შიმშილის სკოლა. ცხრა წლის რომ შეიქნა, მოხდენილი და მოქნილი გოგონა იმპერატორის სასახლემ იყიდა. ნერონი სრულიად ყმაწვილი, თხუთმეტი წლის ბიჭი იყო, როდესაც აქტა ნახა. და სიყვარული, რომელმაც პირველი შეხვედრისთანავე დააკავშირა ისინი, უვნებლად გადაურჩა ნერონის ცხოვრებისა და მეფობის ყველა ქარიშხალს.

აქტა საშუალო ტანის ქალი იყო, ნაზი და ამავე დროს მკვრივი. სახე თეთრი ჰქონდა, მქრქალი და თითქმის გამჭვირვალე. სპეტაკი შუბლის ქვეშ ერთმანეთისაგან მოშორებით გადაჭიმვოდა შავი, სქელი წარბები. მომწვანო-თაფლისფერი ნათელი და მახვილი თვალები ცნობისმოყვარედ იმზირებოდნენ. ჯიუტი ნიკაპის ზემოთ ტუჩების გრძელი, კეთილშობილური ხაზი გასდევდა. ნერონი მშვენიერ ლექსებს უმღეროდა აქტას. ზოგიერთი ლექსი ხალხშიც გავრცელდა და ხალხურ სიმღერად იქცა. განსაკუთრებით ორი მათგანი, რომლებშიც ნერონი ხოტბას ასხამდა აქტას და ამბობდა, იგი ერთსა და იმავე დროს ბავშვიცაა და დიაციც, კდემამოსილიცაა და ვნებიანიცო.

ხანდახან აქტა ნერონსა და მის მეგობრებს თავის ხელოვნებასაც უჩვენებდა, რომელიც ბავშვობაში ესწავლა. ეს არც აკრობატიკა იყო, არც პანტომიმა და არც ცეკვა, რაღაც შუათანა იყო. აქტას ხშირად გადაეფინებოდა ხოლმე სახეზე მწარე ბავშვობიდან გამონაყოლი ნაღვლიანი იერი. მაგრამ რო-

დესაც თავისი ნებით მოჰყვებოდა ცეკვას ისე, რომ არავინ ემუქრებოდა და არავინ აშინებდა, სევდაც დაუყოვნებლივ უქარვდებოდა. ამ დროს იგი ბავშვობას უბრუნდებოდა, რომელიც თავის დროზე არ დააცალეს. ბავშვური მიამიტობის წყალობით დავიწყებას ეძლეოდა წვითა და დაგვით შეძენილი ნატიფი ტექნიკა. ყველაზე უფრო მისი ერთი პატარა პანტომიმა იყო განთქმული, პატარა თამაში, სულ უბრალო რაღაც. აქტა განასახიერებდა ბავშვს, რომელიც წვრილ თოკზე ბზრიალას აბზრიალებდა. იგი აღტაცებაში მოდიოდა თავისი სიმარჯვით და კიდევ მეტად აღტაცებაში მოდიოდა მოუქნელობით. აბზრიალებდა ბზრიალას თოკზე, ააგდებდა მაღლა, ისევ დაიჭერდა. ერთობ სერიოზული, ერთობ ნაზი იყო და მთელი არსებით ეძლეოდა თავის თამაშს. გულმოსული იცინოდა, თუ შეეშლებოდა, თუ კარგად გამოუვიდოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თამაშობდა და თან თავისი წკრიალა ხმით სანახევროდ ამბობდა, სანახევროდ მღეროდა: „იბზრიალე, ბზრიალავ! ხომ გიხარია, რომ გაბზრიალებ? ხომ გიხარია, როცა ბზრიალებ? მე მიხარია“. და უზარმაზარ იმპერიაში ყოველი კაცი მღეროდა ამ ბავშვურ აბდაუბდას, მღეროდნენ ისინიც, ვისაც ბერძნულის არაფერი გაეგებოდა. ჰომეროსის ლექსებიც კი არ უყვარდათ ასე.

ქალაქ რომს განებივრებული ჰყავდა აქტა, მთელ იმპერიას განებივრებული ჰყავდა. როდესაც ხალხი ნერონის გვერდით მშვენიერ, სერიოზულ და ხალისიან ქალიშვილს ხედავდა, რომელიც, ეჭვი არაა, ისევე უყვარდა იმპერატორს, როგორც ამ ქალიშვილს უყვარდა იმპერატორი, იგი ხარობდა და არ სჯეროდა ავკაცური საქმეები, რომლებსაც მტრები მიაწერდნენ ნერონს. პირველად აქტამ დაუძახა ნერონს მისი საგვარეულოს მეტსახელი „წვერწითელა“, და ეს საალერსო სიტყვა ხალხმაც გადაიღო. ყმაწვილმა ქალმა მსუბუქად გამოიარა სისხლსა და ტალახში, რომელიც მსოფლიო ბატონობამ მოსცხო პალატინს და მისი ნათელი მშვენების შემხედვარე ხალხს აღარც კი სჯეროდა, თუ სამეფო კარზე მართლა ესოდენ შემზარავი ამბები ხდებოდა.

ამასთანავე არ ცდილობდა უმწიკვლო სახელი მოეპოვე-

ბინა. არ მალავდა თავის ცნობისმოყვარეობას და აშკარა ინტერესით ეტანებოდა ყოველგვარ ჭორებს, არა მარტო რომის, არამედ ალექსანდრიისა და ანტიოქიის ჭორებსაც. ცოტ-ცოტას ავსიტყვაობდა კიდეც და რაიმე მოსწრებული პასუხისთვის კაცსაც კი სასიკვდილოდ გაიმეტებდა. სანახაობა ისევე იტაცებდა, როგორც ბრბოს და, როდესაც იმპერატორის ლოჟაში იჯდა და თამაშობას ესწრებოდა, ისიც ბრბოსავით ხმამაღლა გაჰყვიროდა. წესებს არ დაგიდევდათ, ცნობისმოყვარედ გადაიხრებოდა ლოჟიდან, რომ პირუტყვისა და ადამიანთა სიკვდილი ენახა. ხალხი ხარობდა, რომ აქტა მას ჰგავდა. ხალხივით ჭირვეულიც იყო და არ მალავდა ამ ჭირვეულობას ხანდახან ცირკში მაყურებლები აყაყანდებოდნენ ხოლმე და დამარცხებული გლადიატორის ან მოჭიდავის შეწყნარებას მოითხოვდნენ. სპეტაკშუბლიანი გოგონა კი, რომელსაც ტუჩებზე ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა, ცერა თითს კაკვავდა იმის ნიშნად, რომ გლადიატორი უნდა მომკვდარიყო.

ეს სრულიად ყმაწვილი ქალი ჩინებულად ერკვეოდა საფინანსო საქმეებში. ამაყობდა კიდეც ამით და ვაი იმ მოხელეს, ვისაც ანგარიშში რაიმე შეცდომას უპოვნიდა! ძალიან უყვარდა მშენებლობა, დიდი ქონების პატრონი იყო, სასახლეებივით ვილები ჰქონდა პუტეოლიში, ველიტრეში. საკუთარი კარიც ჰქონდა, მაგრამ გაცილებით მეტ ფულს აგროვებდა, ვიდრე ხარჯავდა. ნერონს დრო შეურჩია და იმპერატორის კუთვნილი აგურის ქარხნები თავის სახელზე გააფორმებინა. მერე კი ხვეწნითა და ძალდატანებით იმდენი ქნა, რომ საჯარო მშენებლობებისათვის მისგან მიჰქონდათ მასალა, და მიჰქონდათ არცთუ ისე იაფად.

მაგრამ ეს არავის სწყინდა. თუკი რამ სიკეთე უქნია ნერონს, სულ აქტას წყალობით იყო, ხოლო რაც სიავკაცე ჩადენილა იმ ხანად, ყველა მისი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. აქტა ტკბილია და ხალისიანი, ქალღმერთ რომის ჭკვიანი და საყვარელი შვილიაო, — უმღეროდა ნერონი. ასე ფიქრობდა რომიც, ასე ფიქრობდა მთელი ქვეყანა.

აქტა გულადი ქალი იყო და ჯიუტი გატაცება იცოდა. როდესაც ამბოხებულმა სენატმა ნერონი დალუპა, მან უშიშ-

რად მოსთხოვა ახალ ხელისუფლებას მიცვალებულის ნეშტი. თუმცა სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა, მაგრამ არ შედრკა და მკვდარი იმპერატორისათვის კინაღამ ხალხი ააჯანყა. ხელისუფლებამ ვერ გაუბედა უარის თქმა და, იმ დროს, როდესაც სენატის ბრძანებით იმპერატორის ბიუსტებს, ძეგლებსა და ყოველგვარ გამოსახულებებს ამსხვრევდნენ, აქტამ მიჯნურის ცხედარი საჯაროდ, დიდის ამბით გადმოასვენა აპიუსის გზაზე თავის მამულში და კოცონი დაანთო. შვიდსართულიანი კოცონი დაანთო, ისე, როგორც იმპერატორს ეკადრებოდა, და სულ ზედა, მეშვიდე სართულიდან არწივი ააფრინა, რომელმაც მიცვალებულის უკვდავი სული მიცვალებულისვე ოჯახში წაიღო ღმერთებთან. ხოლო ფერფლი ურნაში ჩაყარა აქტამ, ბაღში მავზოლეუმი აუშენა და იქ შეინახა.

ექვსი თვე მგლოვიარედ იყო. მერე კი ძველებურ ცხოვრებას შემოუბრუნდა, — წყნარ, ბავშვურ, ხალისიან ცხოვრებას. მეგობრები აქებდნენ, მისი ხელოვნება კიდევ უფრო ნარნარი გახდაო. საჯაროდ აღარ გამოდიოდა. მაგრამ მცოდნე ხალხი ამბობდა, დღესაც კი, ნერონის სიკვდილიდან ცამეტი წლის შემდეგ, ეს ოცდათორმეტი წლის ქალი იმპერიის საუკეთესო პანტომიმისტიაო. სადაც კი გამოჩნდებოდა, ხალხი ყველგან ზეიმით ეგებებოდა, ფლავიუსები ვერ ბედავდნენ მისი სახელი, გავლენა და პრივილეგია შეეკვეცათ.

ამგვარად, კლავდია აქტა სირიაში მოდიოდა, თავის სამშობლოში, რომელიც მოშხამული ბავშვობის შემდეგ აღარ ეხახა.

6

ცეიონი და გაუთვალისწინებელი რამ

გუბერნატორ ცეიონს არაფრად ეპიტნავებოდა კლავდია აქტას სტუმრობა. ეს ქალი მისთვის ჯერ კიდევ რომში რაღაც ხელის შემშლელს წარმოადგენდა, რაღაც მტრულ პრინციპს განასახიერებდა, მისი არსებისაგან სრულიად განსხვავებულს. იგი იოლად ისრულებდა ყოველივეს, რასაც კი მოინდომებდა

და ამ დალოცვილი სიმსუბუქის შემხედვარე ცეიონს ასე ეგონა, ღმერთები ჩემ თავდაუზოგავ შრომას დასცინიანო. მას შემდეგ, რაც ამბავი მოვიდა, კლავდია აქტა ჩამოდისო, ანტიოქიის ქუჩებში კვლავ გაისმოდა ის სულელური სიმღერა, — ბზრიალას სიმღერა, რომელიც ადრევე, რომშივე აღიზიანებდა ცეიონს. ყოველი კაცი მღეროდა, მღეროდნენ მონები, მოხელეები, ქუჩის ბიჭები, მღეროდნენ რომაელები, სირიელები, ბერძნები. ცეიონს დაცინვასავით ესმოდა ეს სიმღერა. იგი თვითონაა ბზრიალა, უნდა იბზრიალოს და ამ ბრიყვულ, ამ კადნიერ ლექსს თუ დაუჯერებ, უნდა უხაროდეს კიდეც, რომ ბზრიალებს.

რომ შესძლებოდა, სრულიად არ მიაქცევდა ყურადღებას აქტას ჩამოსვლას, მაგრამ პალატინიდან შემოუთვალეს, ეცადე, აქტას მანდ ყოფნით ისარგებლო და იგი მატყუარა ტერენციუსის წინააღმდეგ მთავარ მოწმედ გამოიყვანოო. როგორ უნდა მოგვარდეს ეს საქმე? აქტას ნამდვილი ნერონი უყვარდა და ამიტომ, შესაძლებელია, დაეხმაროს ცრუ ნერონის გამომჟღავნებაში. მაგრამ რას გაიგებ რა უდევს გუნებაში გოგოს, რომელმაც ბზრიალას სულელური სიმღერა გამოიგონა!

აქტამ უყოყმანოდ მიიღო მიპატიჟება და გუბერნატორს სასახლეში ეწვია. ცეიონი მას დიდი პატივით შეეგება და აი, იდგა აქტა მის კაბინეტში, ცოცხალი, ცნობისმოყვარე თვალით აკვირდებოდა ოთახსა და მის, ცოტა არ იყოს, უფერულ მორთულობას, იცინოდა თავისი განთქმული გულიანი, მხიარული სიცილით. ცეიონმა თავაზიანად გამოკითხა, რასაც ასეთ შემთხვევაში გამოიკითხავენ ხოლმე: რამდენი ხანია სამშობლოში აღარ ყოფილა აქტა, როგორ მოეწონა ახლანდელი ანტიოქია, რამდენ ხანს აპირებს დარჩენას. აქტა ხალისიანად პასუხობდა და ღიმილით შესცქეროდა მასპინძელს, ბოლოს კიდევ უფრო გაბადრული ღიმილით უთხრა:

— ახლა კი, ბარემ, ისიც მკითხეთ, ჩემო ცეიონ, რაც ყველაზე უფრო გაწუხებთ იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც გაიგეთ, რომ მე უნდა ჩამოვსულიყავი.

ცეიონი ცოტა შეაცბუნა ამ მოურიდებელმა ნათქვამმა, მაგრამ მალე გამოფხიზლდა, ჯერ ისე დაიჭირა თავი, თითქოს

ვერ გაიგო, რას გულისხმობდა სტუმარი, მერე გამოუტყდა, რომ ძალიან აინტერესებდა, აპირებდა თუ არა აქტა საზღვარზე გადასვლას და იმ ეგრეთწოდებული ნერონის მონახულებას. ცეიონს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ აქტა უკვე მიპატიჟებული ეყოლებოდათ იქ.

— კი, მიპატიჟებული ვარ, — სერიოზული სახით დაუქნია თავი აქტამ და განაგრძო: — წარმოიდგინეთ, ჩემო ცეიონ, ჯერ არც კი ვიცი დანამდვილებით, წავალ თუ არა. ისე კი, უნდა გითხრათ, ძალიან მაინტერესებს ის კაცი. მე მგონია მოვინახულებ.

ამ არხეინმა, სასხვათაშორისო პასუხმა გააღიზიანა ცეიონი. მას ერჩია აქტას გადაჭრით გამოეთქვა თავისი სურვილი და იმ თაღლითის მხარეს გადასულიყო. მაშინ დააშინებდა კაცი, იქნებ წასვლაც აეკრძალა. ამისთანა ნარნარ, ჰაეროვან არსებას კი რას უზამ, ძალაუფლება რომ გამოიყენო და უბრძანო, თავს სასაცილოდ გაიხდი.

— არ გირჩევთ, ჩემო აქტა, შუამდინარეთში გადასვლას, — საკმაოდ მშრალად უთხრა ბოლოს, — თითქოს უბრალო საქმეა იმ კაცის ნახვა, მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგეები ამას საბუთად გამოიყენებენ და დაიწყებენ მტკიცებას, ვითომც თქვენ გჯერათ, რომ ნერონი ცოცხალია და ვითომ იმ კაცს ნერონად თვლით. დამეთანხმეთ, ვერაფერი ლოიალობა გამოგივათ იმპერატორ ტიტუსის მიმართ, ასეთი ჭორების გავრცელებას თუ ხელი შეუწყეთ. თქვენზე უკეთ ხომ არავინ იცის, რომ ნერონი მკვდარია.

იგი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ სავარძელში გაეჭიმა. უყურებდა აქტა ამ გამოფიტულ, სიბერეში წასულ სამხედრო კაცს და ხვდებოდა, თუ რატომ ეძახდნენ მას საქაჩულას. აქტა წამოდგა, აღმოსავლურ დივანს მიეყრდნო. მასპინძელმაც დააპირა წამოდგომა, რადგან უხერხული იყო ჯდომა, როდესაც მანდილოსანი ფეხზე იდგა, მაგრამ ქალი მსუბუქად და თან ენერგიულად დააწვა ხელით და ისევ სავარძელში ჩასვა. შეხედა პატარა, მოკუნტულ ცეიონს, რომელსაც ჭლექიანივით ასჭრელებოდა სახე და ღიმილით უთხრა:

— ხომ არ გავიწყდებათ, ჩემო ცეიონ, რომ მე ცნობისმო-

ყვარე ქალი ვარ? თუკი ხუთ მილიონ კაცს სჯერა, რომ ესა და ეს პიროვნება იმპერატორი ნერონია, ნუთუ ნერონის მეგობარს მისი ნახვის ნება არა აქვს?

— არა, — დაიწრიპინა ცეიონმა, მერე თავაზიანად დაუმატა, — მე მგონია, არა აქვს. მე მგონია, ღმერთები, იმპერატორი, სენატი და რომაელი ხალხი არ აძლევს ნებას.

იგი გაჩუმული იჯდა, ფრჩხილებით ხელის გულს იქავებდა. აქტა დივანზე დაეშვა, მაგრამ უფრო წამოწვა, ვიდრე დაჯდა: ფეხები გამართა და წამოწვა, რადგან დაჯდომა არ უყვარდა.

— იმპერატორისა და სენატის არ მეშინია, — მიუგო მან, — ხალხს არაფერი ექნება საწინააღმდეგო, მე თუ ეგრეთწოდებულ ნერონს შევხვდები, პირიქით, უნდა კიდეც, რომ შევხვდე. ღმერთებს ხომ სულ არ ეკითხებათ შევხვდები თუ არა. ამგვარად, რჩება ერთი საკითხი: რა აზრისაა გუბერნატორი ცეიონი? რას იზამთ, ჩემო ცეიონ, წასვლა რომ გადავწყვიტო?

— ჯერ კარგად არ ვიცი, — ცივად მიუგო ცეიონმა, — შეიძლება დაგიშალოთ.

— ძალას იხმართ? — დაინტერესებული ხმით ჰკითხა აქტამ და მთელ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— თუ დაშლა გადავწყვიტე, — უპასუხა ცეიონმა, — მაშინ საჭიროების შემთხვევაში ძალასაც ვიხმარ.

აქტას სიცილი აუტყდა, თავისი ცნობილი, გულიანი სიცილი.

— თქვენ მამაცი კაცი ხართ, — უთხრა მან — მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, სხვა დროისთვის გადავდოთ ჩვენი საუბარი. ახლა ერთი-ორი საათით უნდა წამოვწვე. დედოფალ პოპეას მოგზაურობის დროს ვირების ჯოგი დაჰყავდა თან და მათი რძით იბანდა ხოლმე პირს ღამღამობით. მე ნაშუადღევს ორი საათით წაძინებაც მყოფნის. ოღონდ ეს ორი საათის ძილი კი აუცილებლად მესაჭიროება. ხუმრობა ხომ არ არის, ოცდათორმეტი წლისა ვარ უკვე. ასე, ჩემო ცეიონ, მოგვიანებით განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

იმავე დღეს, საღამოს, გუბერნატორი თვითონ ეწვია აქტას.

ქალი ნორჩი და თავდაჯერებული ჩანდა, ხოლო სტუმარი — ბეჩავი და წელმოწყვეტილი. ცეიონს რომ დილანდელივით დაეწყო ჩხავილი, აქტა სიცილს დააყრიდა. მაგრამ ახლა ისიც კი მოექცა აქტას სილამაზის ტყვეობაში და რაღაც წარმოდგენა მაინც შეექმნა ამ ქალზე. გადაწყვიტა თავი დაენებებინა ქარაგმებისათვის, რომლებითაც ძალაუფლება უნდოდა დაენახვებინა, და მთლიანად მინდობოდა, გულახდილად გაეზიარებინა მისთვის თავისი მძიმე საფიქრალი.

წინდახედულად, ისე, რომ აქტასა და მისი განსვენებული იმპერატორისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, აუხსნა მან, რომ ნერონის პოლიტიკა დიდებული, მაგრამ უგუნური პოლიტიკა იყო. უთავბოლო, არეულ-დარეული აღმოსავლეთის შეერთება რომის მტკიცე სტრუქტურასთან უტოპიას წარმოადგენდა. რაც მისაღები იყო აღმოსავლური, რომმა მიიღო, ამაზე მეტს ვეღარ მოინელებდა. შეიძლება კაცს ფლავიუსების დასავლური პოლიტიკა არ მოსწონდეს, მაგრამ ნერონის იდეების გატარებაც შეუძლებელია. თუკი ენერგიულმა, ექსპანსიურმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ მაშინ ვერ იხეირა, როცა იგი თვითონ ხელისუფლებამ წამოიწყო იმპერიის ცენტრში, რას უნდა გახდნენ ახლა პერიფერიაში, ისიც ასეთი მცირე ძალებით? არა, ეს უიმედო საქმეა, თუნდაც ვინმე გამოჩენილი პიროვნება მეთაურობდეს და არა ეს უბადრუკი მონა. აურაცხელი უბედურების მეტი არაფერი მოჰყვება ამ საქმეს.

— მე თქვენი გონიერების იმედი მაქვს, ჩემო აქტა, — უჩვეულო სიცხოველით უთხრა გუბერნატორმა, — თქვენი საყოველთაოდ ცნობილი საღი აზროვნების იმედი მაქვს. ხალხს თავგზა აბნევია და უგუნურ პოლიტიკას გამოჰკიდებია, მაგრამ დიდხანს ვერ იბოგინებს ასეთი ხალხი. ნერონი ბრწყინვალე კაცი იყო, თუ გნებავთ, უფრო დიდი იყო, ვიდრე ბებერი, გლეხურად მომჭირნე ვესპასიანე. მაგრამ ნერონს ორმოცი მილიარდი სესტერცია დარჩა ვალი, ვესპასიანემ კი ჩვიდმეტი მილიარდი სესტერცია შეჰმატა სახელმწიფოს. ახლა, როდესაც მრავალი წლის დაუღალავი მეცადინეობით აღმოსავლეთი ცოტა დამშვიდდა, ნერონის პოლიტიკის თავიდან დაწყება ზიანს მიაყენებს და რამდენიმე თვით შეავიწ-

როებს ნერონის მოწინააღმდეგეებს. მაგრამ ვინც ამ პოლიტიკას ატარებს, ბოლოს და ბოლოს, ყოველ მიზეზგარეშე დაიღუპება. — მერე საკუთარ თავში ჩაღრმავებულმა პირქუშად გაუმხილა: — ერთ პაწაწკინტელა საკითხში მე თვითონაც ამიყოლია პირადმა ინტერესებმა, ვუღალატე გონიერებას და იქნებ პირდაპირი გზიდან სწორედ ამ პატარა გადახვევის ბრალია, რომ მესოპოტამიაში ეს უგუნური საქმე წამოიწყეს. ფრთხილად იყავით, ჩემო აქტა, კარგად დაფიქრდით. ჩვენ ეპოქას სიმთვრალე შეეპარა. სიმთვრალე კი დიდი ცთუნებაა. თუ არ გვინდა, რომ რომაული ცივილიზაცია მოისპოს, ყველა ჩვენგანმა ერთხელ და სამუდამოდ გონიერებას უნდა მოვუხმოთ, ხოლო სიმთვრალეს პირად ცხოვრებასა და ხელოვნებაში გადავუძახოთ, პოლიტიკაში არ არის მისი ადგილი.

აქტა წყნარად და სერიოზულად უსმენდა. იქნებ მართალიცაა ეს კაცი. მაგრამ აქტას რა ესაქმება მის სიმართლესთან? აქტა ხომ პოლიტიკას არ მისდევს. მხოლოდ და მხოლოდ იმ საკვირველი ნერონის ნახვა უნდა. როცა მას შეხვდება, მაშინ გადაწყვეტს როგორ მოიქცეს. ნუთუ უფლება არა აქვს თავისთვის გააკეთოს რამე? პოლიტიკა, საღი აზროვნება. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ დრო და დრო უნდა დათვრე კიდეც, თორემ ისე რა ფასი აქვს საღ აზროვნებას. კაცმა რომ თქვას, სხვა რა ყრია ამ ცხოვრებაში ხეირიანი, თუ არა ის ორიოდე საათი, როცა თრობას ეძლევი? მაგრამ აზრი არა აქვს, ამ საბრალო, დარდიან კაცს აუხსნა ყოველივე ეს. სულ ერთია, ვერ გაიგებს.

აქტას უყვარდა ნერონი. ნერონმა თავი წააგო. მრავალი რამ, რაც მას ჩაუდენია, რასაც სიყვარულით მოჰკიდებია, უგუნურებად მოუნათლა ჭკუადამჯდარმა ხალხმა. და ასეთ შეხედულებას ადასტურებდა კიდეც თავისი საზარელი ნამოქმედარით. მაგრამ განა სწორედ ამ უგუნურებით, მეფური რომანტიკით, ღმერთებთან გატოლებით, ძალითა და ბრწყინვალეებით არ იგებდა ყველას გულს? გონიერებას შეიძლება პატივს სცემდე, სიყვარულით კი მხოლოდ ბრწყინვალებას თუ შეიყვარებ. მხოლოდ „სიმთვრალეს“ თუ შეიყვარებ, როგორც ამ საცოდავმა ცეიონმა უწოდა. ამ სიმთვრალის გამო უყვარდა

მას ნერონი. ამ სიმთვრალის გამო უყვარს ახლაც. გინდა მცდარი დაარქვი და გინდა სწორი მის პოლიტიკასა და მთელ მის ცხოვრებას, სულერთია, ის დიდი იყო, სიყვარულის ღირსი იყო. ყველაფერი სიყვარულის ღირსი იყო მასში: ღვთაებრივი სიმსუბუქე, პატივმოყვარეობა, მრისხანება, ბრწყინვალება, ღიმილი, გამობურცული, ვნებიანი ტუჩები, რუხი თვალები, რომლებშიაც ხან ოდნავი მოწყენილობა ისახებოდა და ხანაც ბობოქარი აღტყინება, გლუვი, რბილი კანი. როგორ უყვარდა აქტას იგი იმ დაუოკებლობის გამო, რომელიც უცებ ნადიმს ან სენატში გამართულ ბჭობას მიატოვებინებდა, რომ ახლა, სწორედ ახლა, ამ წუთში საყვარლის ალერსი ეგემნა! როგორ უყვარდა იმის გამო, რომ ესოდენ ფანტასტიკური გეგმები ჰქონდა, ესოდენ დიდი იყო და ამაყი ზიზღით შეჰყურებდა ყოველგვარ დაბრკოლებას. როგორ უყვარდა მისი უგუნური საქმეების გამო!

აქტას თვალთმაქცობა არ დაუწყია და ნერონის სიკვდილის შემდეგ წმინდანის როლი არ უკისრია. მის მახლობლებში იყო ერთი პოეტი, სახელად იტალიკუსი, რომელიც ძლიერს, წმინდასა და ჩამოქნილ, თითქოს მარმარილოსაგან გამოკვეთილ ლექსებს თხზავდა. მას უყვარდა აქტა. და უყვარდა გაცილებით უფრო მშვიდად, ურყევად და შეგნებულად, ვიდრე ნერონს. ბევრი შესანიშნავი თვისებაც ჰქონდა: ჭკვიანი იყო, განათლებული, პოეზიას ნაზიარები. იუმორიც კი არ აკლდა. ჩინებულ მეგობრობას უწევდა, როგორც სუფრაზე, ასევე საწოლშიც, და უსიამოვნო როდი იყო იმის გაფიქრება, რომ ამ გამოცდილ, ჩვეულებრივ, ერთობ დარბაისელ კაცს, რომელიც თავის ეპოქის პოეტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი, შესაძლებელია, ყველაზე უკეთესიც იყო, გაგიქებით უყვარდა აქტა. ბევრს ვერ გაეგო, რატომ არ თანაუგრძნობდა აქტა ასეთ კაცს. მიზეზი კი უბრალო იყო: ცოცხალ პოეტს მაინც მკვდარი ნერონი ერჩია. როდესაც აქტას აგონდებოდა ნერონის თვალები, ხან უკმაყოფილოდ გამომზირალი და ხან ვნებით ანთებული თვალები, მისი ხელები, თეთრი და საშინელი ხელები, რომლებიც წელზე ეხვეოდნენ, მისი ხმა, ფოლადივით მჭექარე და ხანაც ბავშვურად მოჩურჩულე, როდესაც მისი

მავზოლეუმის წინ იდგა და მკვდარი მიჯნური თვალწინ წარმოუდგებოდა, მაშინ ყოველი კაცი იჩრდილებოდა და სასაცილო ხდებოდა ნერონის გვერდით, თუმცა ეს ნერონი კი არა, აგერ უკვე ცამეტი წელია ფერფლიღ იყო. აი, ახლაც, მართალია, ეს საბრალო მელოტი, რომელიც დამცველად დადგომია გონიერებას, თითქმის თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ სწორედ მისმა სიტყვებმა, მისმა ბრძოლამ სიმთვრალის წინააღმდეგ, მიცვალებული მეგობარი თვალწინ დაუყენა აქტას. დიდი ცთუნება, ცნობისმოყვარეობაზე გაცილებით ძლიერი ცთუნება გაუჩნდა მას — წასულიყო და ის კაცი ენახა, ვისაც ამდენი ხალხი ნერონს ეძახდა. რამხელა ნეტარება იქნება, თუ ცოტა რამ მაინც სცხია მას ნერონისა, მისი ხმის, მისი ხელების, მისი სიარულის, ოდნავ თუ მაინც ჰგავს სიდიადის, უგუნურების, მეფურობისა და სიჭაბუკის აუწერელ ნარევს!

— იქნება მართლა ნერონია, — თქვა მან, ოცნებაში წასულმა თავისთვის ჩაილაპარაკა ეს სიტყვები. სახეზე ოდნავმა, ძლივს შესამჩნევმა თვითკმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. ასეთი ღიმილით უწინ იმის ნიშანს იძლეოდა, რომ გლადიატორი ან მოჭიდავე მოეკლათ, როშელიც თვალებში შესცქეროდა და უხმოდ ეევედრებოდა შეწყალებას.

— ნუ გეშინიათ, ჩემო ცეიონ, — განაგრძო მან და ამჯერად დაუფარავად გაიღიმა, რადგან ასეთი აშკარა უგუნურებისა და ავი განზრახვის შემხედვარე ცეიონი დამფრთხალი და გაფითრებული ჩანდა, — არავისზე არ ვაპირებ „შურისძიებას“, არც თქვენს ტიტუსზე და არც სენატორებზე, რომლებმაც სასიკვდილოდ გაწირეს ჩემი მეგობარი და იმპერატორი. მე ვიცი, რომ ნერონი მკვდარია, ჩემი თვალით ვნახე მისი ნეშტი და გახვრეტილი ყელი, საიდანაც სისხლი და სიცოცხლე გამოვიდა. მე დავწვი ცხედარი, ფერფლი კი წავიღე და ბაღში შევინახე აპიუსის გზაზე. მაგრამ იქნებ ეს მეორე შემიყვარდეს და მაშინ იგი გახდება ნერონი.

კლავდია აქტა ასეთ უგუნურებას ამბობდა და მაინც მშვიდად და ნათლად ლაპარაკობდა. ნათელი და აუმღვრეველი თვალით უყურებდა სტუმარს. მაგრამ ცეიონი თავზარდაცემული იყო, შიშს აეტანა: ყველგან სისულელე გამეფებულა, გონებას

ადგილი აღარა აქვს ამ ქვეყანაზე. შვიდი ლეგიონი კვლავ მის ხელთაა და მაინც უძლურია. რას გახდება ჯარი ღიმილის წინააღმდეგ, რას გახდება ჭირვეული გოგოს წინააღმდეგ. რამდენიმე კვირით, რამდენიმე თვით მისი პროვინციის ბედი ამ მრუშის, ამ ბალღის ხელში მოექცა.

ცეიონი ვერაფერს გააწყობს მასთან. იმიტომ რომ იგი ევფრატსა ჰგავს: მასავით გულგრილი და გაუგებარია. როგორ გინდა წინასწარ მიხვდე რას გიპირებს, — დაგლოცავს თუ შეგაჩვენებს! ხელის შეშლას აზრი არა აქვს. ჯობია, წყნარად იჯდეს და ელოდოს, რა მოხდება.

ცეიონი არც კი გაბრაზებულა, როდესაც ორი დღის შემდეგ კლავდია აქტა მართლა გაემგზავრა შუამდინარეთში.

7

იბზრიალე, ბზრიალავ

ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, — აქტა და ვარონი. ცამეტი წელია ერთმანეთი არ ენახათ. ვარონი აკვირდებოდა ქალის ნაზ, მომხიბლავ სახეს. ახლა უფრო მეტი გამოცდილება ეწერა ამ სახეზე, იმედგაცრუების კვალიც აჩნდა. აქტა ხშირად ეჭვიანობდა ვარონზე, რადგანაც იგი მისი მიჯნურის უახლოესი მეგობარი იყო და ნერონიც თავისი სიყვარულისა და დროს მნიშვნელოვან ნაწილს მას უთმობდა. მაგრამ ახლა, როდესაც ესოდენ ნაცნობ ნაკვთებს, ძლიერ, ხორცსავსე სახეს, ჭკვიან თვალებსა და თლილ შუბლს უყურებდა, ცხადად ხედავდა, რამდენი რამ აკავშირებდა ამ კაცთან. აქტასა და ვარონზე უკეთ ვერავინ იცნობდა იმპერატორს, არავის უყვარდა იგი აქტასა და ვარონზე მეტად. ისე ნათლად წარმოუდგა თვალწინ ნერონი, ისეთი მახლობელი და ხელშესახები იყო მიჯნურის ხატება, რომ აქტა გაფითრდა. ამასთანავე შეკრთა კიდეც: როგორ დაბერებულა ვარონი! სინამდვილეში საოცრად ახალგაზრდა ჩანდა, ორმოცდაათი წლის კაცის კვალობაზე, მაგრამ აქტას ცამეტი წლის წინანდელი ვარონი ახსოვდა და ამიტომ სხვებზე უკეთ ამჩნევდა მის სახეზე გაჩენილ ახალ ნაოჭებს.

— აი, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ჩემო ვარონ, — უთხრა აქტამ და მის ცოცხალ სახეზე, რომელიც სულის უმ-ცირეს მოძრაობასაც კი გამოხატავდა, სიხარული, შეცბუნება და ბედის მორჩილება ეწერა.

ვარონი კი ფიქრობდა: „რატომ არ შევიყვარე ეს ქალი? აკი დიდი გამოცდილება და მახვილი თვალი მქონდა, ნუთუ ვერ ვხედავდი მის სილამაზეს? ვხედავდი, მაგრამ გონებამ მირჩია—ნუ შეიყვარებო. ახლა თუ მიყვარს? ამ რამდენიმე თვის წინ რომ შევხვედროდი, ხელს ავიღებდი მთელ ამ უგუ-ნურ ოინზე, მის გულს მოვინადირებდი და ვიცხოვრებდი მასთან ერთი წელი, ორი, იქნებ ხუთ წელსაც მეცხოვრა. ახ-ლა კი ამ სულელურმა თამაშმა ძალა გამომაცალა. ქანცი გამიწყდა, გამოვიფიტე, დავბერდი“.

მაგრამ ეს ფიქრები არც სახეზე აღბეჭდია და არც ლაპა-რაკში გამოუმჟღავნებია.

— ერთი კარგად დამენახვეთ, ჩემო აქტა, — ხუმრობით უთხრა მან, — აშკარად ჩანს, თქვენი კბილები ცოტა გაზრდი-ლან და დაჭკვიანებულან.

აქტას პატარა, მწყობრი კბილები ხშირად იყო ოხუნჯობის საგანი. ვარონი ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ამტკიცებდა, ასეთი პატარა კბილები სისულელის ნიშანიაო.

— არ ვიცი, დაჭკვიანდა თუ არა ჩემი კბილები, — მიუგო აქტამ, — მე კი მართლა დავჭკვიანდი, ეს უდავოა. თქვენ თუ დაჭკვიანდით, ჩემო ვარონ? — იგი შეეცადა ღიმილი გამოეხა-ტა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მოგონებით იყო აღელვებუ-ლი, იმ დროის მოგონებით, როდესაც ისინი, ნერონი, ვარონი და თვითონ აქტა ერთმანეთს აღიზიანებდნენ და კინკლაობდ-ნენ, — ხშირად ხუმრობით, ხანდახან კი სერიოზულადაც.

იგი ბრაზობდა, რომ გრძნობა მოერია.

— მიამბეთ, ერთი, — საჩქაროდ სთხოვა ვარონს, — რა საქმეებს აწყობთ. რაში დაგჭირდათ ეს ნერონობანა, რას გა-მოელით? ყველაფერი დაწვრილებით მიამბეთ, ხომ იცით, რა საშინელი ცნობისმოყვარე ვარ.

ის იჯდა, კი არ იჯდა, სანახევროდ წამოწოლილიყო დივან-ზე, შიშველი მკლავი თავქვეშ ამოედო. ღია ცისფერ კაბას განიერი ნაკეცები ჩასდევდა. არცთუ ძალიან სქელი, მშვენი-

ერი შავი თმა, მოდის საწინააღმდეგოდ, სანახევროდ დაეხვია და უკან გადაეყარა, ისე რომ შუბლი მთლიანად უჩანდა.

ვარონმა უამბო, არ დაუმალავს, რომ ამ წამოწყების პირდაპირი მიზეზი ცეიონის სიძულვილი იყო. იგი ყვებოდა ძალდაუტანებლად, მშვიდად, მაგრამ მის ხმაში მაინც ჩანდა რა

გატაცებით მისცემოდა ამ საქმეს, როგორ სჯეროდა იმ იდეებისა, რომელთა განხორციელებასაც აპირებდა. უამბო რამხელა მსხვერპლი გაიღო, უამბო თავისი ქალიშვილის, მარციასა და თავისი მეგობრის, ფრონტონის, ამბავი, უთხრა, რომ ამ საქმეში ჩაყარა ფული, დრო, ნერვები, სიცოცხლე, მაგრამ არ ნანობდა.

აქტა დაფიქრებული უსმენდა.

— მიზეზი ბევრია, — თქვა ბოლოს, — მაგრამ მთავარი მიზეზი, სამწუხაროდ, პირადი გატაცებაა.

— სამწუხაროდ? — შეესიტყვა ვარონი, — ნუთუ ეს სამ-
შწუხაროა?

ისინი თვალებში შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მეგობრულად
და ამავე დროს გამომცდელად, და რამდენადაც წარსული
აახლოებდათ, იმდენად აწყმო აშორებდათ ერთმანეთისაგან.

— ანტიოქიაში სარწმუნო საბუთებით დამიმტკიცეს, რომ
თქვენი წამოწყებული საქმე უგუნური და უიმედოა, — უთხრა
აქტამ, — ისინი ვინც ამას მეუბნებოდა, უმნიშვნელო და უსი-
ამოვნო ხალხია, მაგრამ გონიერება არ აკლიათ.

— გონიერება, — მხრები აიჩეჩა ვარონმა და სახეზე გა-
მარჯვებული კაცის ქარაფშუტული იერი აღებეჭდა, რომლი-
თაც ადრიდანვე იგებდა ხალხის გულს, — იბზრიალე, ბზრია-
ლავ, — წარმოთქვა მან სიტყვები აქტას სიმღერიდან, რა არის
გონიერება? ყოველ კაცს ის მიაჩნია გონივრულად, რაც მის
არსებობას ამართლებს, რაც მის არსებობას ეწინააღმდეგება,
უგუნურებაა. ეს ნერონი მე შევქმენი. იმიტომ, რომ ნერონისა
და მისი საქმის გარეშე ვერ გავძლებ. თქვენ თქვენებურად,
ქალურად გიყვარდათ ნერონი, აქტა, და ახლაც გიყვართ:
თქვენ იგი დაასაფლავეთ და პატივს სცემთ მის ხსოვნას. მე კი
ჩემებურად მიყვარდა, — მის საქმეს ვაგრძელებ. განა ეს
უგუნურებაა?

— აჰ, ვარონ, — უთხრა აქტამ, — მე თქვენ ხშირად
მძულდით. მაგრამ კარგად ვიცოდი, როგორ გიყვარდათ წვერ-
წითელა და როგორ უყვარდით მას.

— მე ახლაც მიყვარს იგი, აქტა, — მიუგო ვარონმა.

მათ ნათელი და სერიოზული თვალებით შეხედეს და გაუ-
გეს ერთმანეთს.

8

ზმანება

ვარონმა მისდა სასიხარულოდ და გასაოცრად შეამჩნია,
რომ აქტას ჩამოსვლამ მარცია მოამჯობინა. ფრონტონის სიკვ-
დილის შემდეგ იგი თავბრუდახვეული, დარეტიანებული და-

დიოდა, გულჩახვეული და მიუკარებელი გახდა. ახლა კი მოულოდნელად მამას ესტუმრა და საუბარი გაუბა. მალე კლავდია აქტაზე ჩამოუგდო სიტყვა. უცნაურად ჩაეჭიდა ამ თემას და აღარ მოეშვა. ვერ ძღებოდა აქტას ამბების მოსმენით, ათასგვარ წვრილმანს ეკითხებოდა მამას. ბოლოს განუცხადა, როგორ შეიძლება, რომ აქამდე უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული; რაკი იმპერატორი ახლად დაპყრობილ ქალაქებში მოგზაურობს და არცერთ თავის რეზიდენციაში — არც ედესასა და არც სამოსატაში ერთხანს კიდევ არ დაბრუნდება, მე უნდა შევხვდე ესოდენ ძვირფას და სასურველ სტუმარსო. გაკვირვებული ვარონი ყოყმანობდა, უშლიდა. ვერ გაეგო რა უნდოდა აქტასგან. მაგრამ მარციამ არ დაიშალა და ვარონიც იძულებული გახდა დაეთმო. საქმე კი იმაში იყო, რომ აქტას არსებასა და ბედ-ილბალში მარცია საკუთარ თავს ხედავდა. კლავდია აქტას ნამდვილი ნერონი მოუკვდა და იმედგაცრუებული და ბედს შერიგებული აღმოსავლეთში ჩამოვიდა, რათა ცრუ ნერონით დაკმაყოფილებულიყო. მარციასაც მოუკვდა ნამდვილი ნერონი: მის წარმოდგენაში ნერონი და ფრონტონი გაერთიანებული იყო და ამიტომ ერთის დაკარგვით მეორეც დაკარგა. ორივე მათგანს, აქტასაც და მასაც, მხოლოდ ნერონის გარსი შერჩათ.

თავის მხრივ, აქტასაც აინტერესებდა მარცია. რომსა და ანტიოქიაში ბევრს ჭორაობდნენ მასზე, — არისტოკრატი ქალი ბედის უკულმართობის გამო იძულებული შეიქნა ცოლად გაჰყოლოდა მონას, რომელიც იმპერატორის როლს თამაშობსო. იმ ამბავმაც გააღწია ზღვას გაღმა, რომ ამ იმპერატორს მამაკაცური ძალა არ გააჩნდა, ისიც ცნობილი იყო, რომ მარციას ფრონტონი მოსწონდა. აქტას ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა ამ ქალს.

აქტა ნამდვილი ნერონის ორივე ცოლთან კარგად იყო შეწყობილი, ჯერ ოქტავიასა და მერე პოპეასთან. დიდებული უსირცხვილობა, რომლის წყალობითაც მან ნერონის გვერდით ადგილი დაიმკვიდრა, მისი ერთგულება მოიპოვა, მის ცოლებს დაუახლოვდა და ორივე მათგანის სიკვდილს მოესწრო, დიდად შეუწყო ხელი იმაში, რომ ხალხის სიყვარული მოეხვეჭა.

ხალხს ხიბლავდა მისი თამამი გატაცება და მისი ზიზღი გარეგნული პატივისადმი. აღფრთოვანებაში მოდიოდა იმის გამო, რომ აქტა უყოყმანოდ ამჯობინებდა ნერონის მეგობარი რქმეოდა და ნერონის მეგობრად დარჩენილიყო, თუმცა, თუ მოინდომებდა, რომის დედოფალი შეეძლო გამხდარიყო. ახლა, როდესაც აქტას ახალი ნერონის მეუღლე უნდა ენახა, გადაწყვიტა, მასთან ისეთივე კარგი ურთიერთობა დაემყარებინა, როგორიც ნამდვილი ნერონის ცოლებთან ჰქონდა.

აქტას თავისუფლად ეჭირა თავი. მარციას ავადმყოფურმა სიზვიადემ და თავაზიანობამ მაშინვე აგრძნობინა, რაოდენ მიუკარებელი, გულდამწვარი, სიცოცხლეგამწარებული უნდა ყოფილიყო ეს ქალი. მალე მიხვდა, რომ მის გულს ეგრე ადვილად ვერ მოიგებდა. მაგრამ თავისი გადაწყვეტილება არ ეთმობოდა და ამიტომ მარციას გაორკეცებული გულითადობით ეკიდებოდა. ნდობას უმეღავნებდა, მხიარულ შეკითხვებს აძლევდა, ოღონდ ჩაციებით არ აცივდებოდა, ელაპარაკებოდა, როგორც ქალიშვილი ქალიშვილს, როგორც ქალი ქალს. მარციას თვალში აქტას ამდაბლებდა ის გარემოება, რომ მხევლად დაიბადა. მაგრამ განა მარციას ქმარიც მონა არ იყო, სანამ იმპერატორი გახდებოდა? და თუკი თვით იმპერატორის არსებაში მონა იმალება, რა უჭირს, რომ ასეთ იმპერატორს მეგობრად მხევალი ჰყავდეს? გარდა ამისა, ბედმა ამხანაგად არგუნა აქტა. აკი ისიც, მარციასი არ იყოს, იძულებულია ამ საცოდავი მექოთნის გულისათვის ზურგი შეაქციოს ნამდვილ ნერონს. მარციას აშკარად რგებდა აქტასთან საუბარი. ხელად გაუშინაურდნენ ერთმანეთს. მალე ისე დაახლოვდნენ, რომ აქტამ ნერონი ახსენა, ორივე მათგანის ნერონი. მის ხმაში მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი ირონია ისმოდა და წესიერად ვერც კი გაერკვეოდა კაცი, რომელ ნერონზე იყო ლაპარაკი, — ნამდვილზე თუ ცრუზე.

აქამდე მარცია მხოლოდ საკუთარ თავსა და ფრონტონს თუ გაანდობდა ხოლმე თავისი ნერონის ამბავს. ახლა კი აქტას ფრთხილი და მსუბუქი ხუმრობით მოხიბლული აღარ მოერიდა და თავისი შერცხვენა გაუმხილა ახალ ამხანაგს. ჯერ ერთობ თავშეკავებით უამბობდა, მერე კი გათამამდა და აღა-

რაფერი დაუმალავს. წყნარად, გულდანდობით ლაპარაკობდა, მწარედ ხუმრობდა თავის საოცარ ბედზე, რომელიც ღმერთებმა არგუნეს წილად. დარდისაგან დაბრეცილ, ამპარტავნულ ტუჩებზე უცნაური ღიმილი დასთამაშებდა, როდესაც ჩავარდნილი ხმით აღუწერდა აქტას ნერონის თავისებურებებს, ნამდვილი ნერონის თავისებურებებს, რომლებიც მას გაგონილი ჰქონდა და თავისი ნერონ-ტერენციუსის თავისებურებებს, რომლებსაც პირადად იცნობდა.

აქტა გატაცებით უსმენდა. არ დაეძებდა, რა იყო ამ ნალაპარაკევში სიმართლე და რა იყო ფანტაზიის ნაყოფი. ფიქრით ნერონს დასტრიალებდა, მეგობარსა და იმპერატორს, და საკვირველი იყო, როგორ ცვლიდა მის წარმოდგენაში ამ ნახევრად შეშლილი ქალის ნაამბობი საყვარელი კაცის სახეს. დაეჭვდა, — იქნებ ამ სულელივით დამემართა, იქნებ უცხო კაცის ნაკვთებში შეიჭრა ნერონის ხატება, რომელსაც გულით ვატარებ, იქნებ მკვდარ მიჯნურს მივაწერე და ახლაც მივაწერ ყოველივე კარგსა და ღირსეულს, რაც კი სხვა მამაკაცებში მეგულება, მაგრამ ვერ ვამჩნევ ამას, რადგან დაბრმავებული ვარ ნერონის იმ თვისებებით, რომლებიც სხვებისათვის რომ შემემჩნია, შემეზიზღებოდა და ზურგს შევაქცევდიო? არა, ნაკლებად როდი უყვარდა ახლა მკვდარი იმპერატორი, მხოლოდ ეს იყო, უფრო ღრმად, უფრო ნათლად დაინახა.

მარციას კი თვალწინ ფრონტონი ედგა, როდესაც კლავდია აქტას ნერონზე ელაპარაკებოდა. იგი სულ უფრო ჭეტად ურევდა ერთმანეთში მკვდარ ნერონს, მკვდარ ფრონტონსა და ცოცხალ ტერენციუსს, ვეღარ გამოყოფდა ერთმანეთისაგან ამ სამ სახეს. აქტას ნდობითა და ხარბად, იდუმალი ხმით უმხელდა, ნერონს საწოლში უხეში, უწმაწური სიტყვების თქმა უყვარდაო. იგი „ნერონს“ ამბობდა, მაგრამ „ფრონტონს“ გულისხმობდა. მონად დაბადებულ ნერონს დიდი განცდების დროს უფლება ჰქონდა, არათუ უფლება ჰქონდა, ვალდებულიც იყო უწმაწური სიტყვები ეთქვა, ეს ამბავი კიდევ უფრო უძლიერებდა მას ფრონტონის სიყვარულს. რაკი ნერონ-ტერენციუსი იმპერატორი გახდა, ამიტომ ფრონტონიც იმპერა-

ტორი გახდა. მის წარმოდგენაში მკვდარი და ცოცხალი ერთ არსებად იქცა.

მარციას გულშიც და აქტას გულშიც გაჩნდა საყვარელი ადამიანის ხატება, რომელიც მრავალ მამაკაცთა საუკეთესო თვისებებისგან შეადგინეს; და თავიანთ ხატებას ორივენი „ნერონს“ ეძახდნენ.

ორივე მათგანი, გახევებული და რეტდასხმული მარციაცა და ჭკვიანი და ერთობ დაკვირვებული აქტაც, გრძნობდა, რომ ამ ხატებამ ისინი მჭიდროდ დააკავშირა. უეცრად მარციამ, თითქოს მოსაუბრეს გულისნადებს მიუხვდაო, თქვა:

— მართლა ჭორია ნერონის სიკვდილი. ნერონი ცოცხალია. რასაკვირველია, ფუჭი შრომაა ამ ჩვენი ნერონის სულში ეძიოთ ნამდვილი ნერონი. მაგრამ მე ვიცი ერთი ადგილი, სადაც შეიძლება მისი ნახვა, ესე იგი, მისი ჩრდილის ნახვა, მისი „იდეის“ ნახვა.—და როდესაც მარციამ იდუმალებით აღსავსე, ეშმაკური ღიმილით წარმოთქვა „იდეა“, აქტა მაშინვე მიხვდა, რომ ეს სიტყვა პლატონური აზრით იყო ნახმარი, რომ მარცია გულისხმობდა ნერონის უკვდავ, იდეალურ სახეს, რომელსაც ორივე მათგანი გულით ატარებდა. იგი შეძრა მოსაუბრის უცნაურმა სიტყვებმა.

— კი, მაგრამ, სად, ჩემო მარცია, სად ვნახავ ნამდვილ ნერონს?

მარციამ მრავალმნიშვნელოვანი და იდუმალი სახით თითი ტუჩებზე მიიდო და ჩურჩულით უთხრა:

— ლაბირინთში, საყვარელო, ლაბირინთში იმალება. თუ დაძაბულად იფიქრებთ მასზე, თუ მთელი არსებით მოუხმობთ, მაშინ გამოგეცხადებათ; მოვა თქვენთან და გიწოდებთ იმ საძაგელ, უწმაწურ საალერსო სახელს, რომელსაც გვიწოდებდა ხოლმე, სანამ ცოცხალი იყო და ჩვენ შორის იმყოფებოდა. ჩამომყვებით ერთხელ, საყვარელო დაო, ლაბირინთში, რომ ნახოთ და მოუსმინოთ? — დაჟინებით, მოთხოვნის კილოთი ჰკითხა მან.

აქტას მარციას გახელება გადაედო, მარციასავით დაუწია ხმას და მიუგო:

— კარგი, წამიყვანეთ, საყვარელო.

ორი იმედგაცრუებული

სახელმწიფო მდივანი კნოპსი და გენერალი ტრებონი, — პირველი მათგანი ედესაში, ხოლო მეორე სამოსატაში, — სიხარულით მოელოდნენ აქტას ჩამოსვლას. ორივე მათგანი დიდი მუსუსი იყო. თავიანთი თავი ნამდვილ მამაკაცებად მიაჩნდათ და ამ მოსაზრების სისწორეში გამოცდილებითაც არაერთხელ დარწმუნებულან. მათი ფიქრით ისეთ ქალთან დაწოლა, რომლის სილამაზე საქვეყნოდ იყო ცნობილი, ღირდა ჯაფად.

პირველად აქტას კნოპსი ეწვია, რომელიც იმპერატორის ნაცვალი იყო ედესაში, და მოსვლისთანავე მოურიდებელ, უტიფარ ოხუნჯობას მოჰყვა: ასეთი საშუალებით მონობის დროსაც კი არა ერთი და ორი ქალი მოუგდია ხელში. მაგრამ აქტა ცივი თავაზიანობით პასუხობდა. მართალია, ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ამ ჭინჭრაქა კნოპსს, მაგრამ მოხიბლულობისა არაფერი ეტყობოდა. ამან კნოპსი გააღიზიანა და ტრაბახი დაიწყო, დღის სინათლეზე გამოჰქონდა თავისი დამსახურება, რომელიც სახელმწიფო საქმეების მოგვარებაში გამოეჩინა. ცინიკურად განუცხადა აქტას, მე ის კაცი ვარ, ვისაც პირველად მოუვიდა აზრად აპამეას ჩაძირვა, პირველად დაებადა იდეა, რომლის წყალობითაც ნერონმა გაიმარჯვაო. მაგრამ ამ ამბის ხსენებამ აქტას მხოლოდ სევდა მოჰგვარა. ნერონს დიდად არ უნაღვლია, რომში ხანძრის გაჩენა რომ დააბრალეს, თუმცა სრულიად უდანაშაულო იყო ამ საქმეში, აქტას კი ეს სულელური, იმპერატორის მტრების მიერ მოჩმახული ცილისწამება გულს უკლავდა. ახლა, როდესაც ამ წვრილფეხა გაიძვერამ აპამეას ჩაძირვა მოაგონა, იმ ძველი ამბის ქროლვა იგრძნო და უსიამოვნოდ გაჰკრა გულში. მან ცივი თავაზიანობით დაუქნია თავი.

— გვარიანი თავხედობაა საჭირო, — დაფიქრებით წარმოთქვა მან, — კაცმა რომ ასეთი რამ ჩაიდინო. როდესაც მთავარი საყრდენი ბრბოის სირეგვენეა, წუთიერ წარმატებას წინ

ვერაფერი დაუდგება. მაგრამ მე ის მინდა გავიგო, სანამ გაგასულელებინებთ ხალხი თავს, ნუთუ ბოლომდე ვერ გამოერკვევა? ახლა კი დიდ მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის, ჩემი დასვენების დრომაც მოაწია.

ამ სიტყვებით კნოპსი თავაზიანად, მაგრამ გადაჭრით გაისტუმრა. იდგა კარებში კნოპსი თავისი გაცრუებული ვაჟკაცობით და, მართალია, საკუთარ თავს არწმუნებდა: კაცმა რომ თქვას, ეს აქტა ერთი ხანში შესული, პრეტენციოზული აღმოსავლელი ქალი ყოფილა და მეტი არაფერიო, მაგრამ ამით საქმეს ვერ შველოდა.

ტრებონი არ შეუშინდა გზას და სამოსატიდან ჩამოვიდა აქტას სანახავად. იგი ორდენების ელარუნით შევიდა აქტასთან. დასაწყისში უფრო ძლევამოსილი გამომეტყველება ჰქონდა, ვიდრე კნოპსს. კრიახებდა, აღტაცებაში მოდიოდა აქტას სილამაზით და მაგარ-მაგარი სიტყვებით, დაუფარავად გამოთქვამდა ამ აღტაცებას. თავდაუზოგავად როხროხებდა და რაც საუკეთესო ოხუნჯობები იცოდა, სულ დახარჯა. აქტა ინტერესით ათვალიერებდა ამ ხმაურა ფენომენს, ასეთი რამე თავის დღეში არ ენახა. ხელით სინჯავდა მის ორდენებს, აამბობინა „გალავნის გვირგვინის“ ამბავი, მშვენივრად გაატარა მასთან ნახევარი საათი. მაშინ ტრებონმა იფიქრა, ესაა მიზანს მივაღწიეო და ჩინებულ ხასიათზე მყოფმა გულდაგულ წაავლო მხარზე თავისი წითური ღინღლებით დაფარული ხელი, თან დაატანა:

— რა კარგად გავატარებთ დროს, არა, ჩემო პატარავ?

აქტა არც კი აღშფოთებულა, მაგრამ ისეთი უსაზღვრო გაოცებით დაიხია უკან, რომ გენერალს წარმატების იმედი სრულიად გადაეწურა.

საღამოს ისა და კნოპსი თავიანთ საყვარელ სამიკიტნოში ისხდნენ და იგონებდნენ, რაც აქტასთან გადახდათ თავს, თუმცა ამასობაში ეს თავგადასავალი გვარიანად შეცვლილიყო. მათი აზრით აქტამ ისინი დაიმედა; მაგრამ ასეთი შელანძღული ქალის კვალობაზე ერთობ დიდი თავპატიჟი გაიდო. ამდენ წვალებად არ ღირდა ის სიამოვნება, რომლის მინიჭებაც მას

შეეძლო. ასეთ საქმიან ხალხს სადა აქვთ იმის დრო, რომ ამ პრანჭია თხას სდიონ.

ისინი ხმას არ ზოგავდნენ, მთელი სამიკიტნოს გასაგონად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. იქ მყოფმა ხალხმა მოწიწებით მოისმინა ორი დიდებული და პოპულარული ბატონის ნალაპარაკევი და ქვეყანას მოსდო.

10

მკვდრეთით აღმდგარი

როდესაც ტერენციუსმა გაიგო, აქტა ჩამოსულა მესოპოტამიაში ჩემს სანახავადო, სრულიადაც არ დაუჩქარებია ახლად დაპყრობილი ქალაქების შემოვლა. მას ეშინოდა აქტასთან „ხელახლა შეხვედრის". მართალია, როგორც ჩანს, გულში ცუდი არაფერი ედო, რაკი მისი ნახვა გადაეწყვიტა მაგრამ ეს მოსალოდნელი „ხელახლა-შეხვედრა" ისევე, როგორც თავის დროზე მარციას შერთვა, საგონებელში აგდებდა ტერენციუსს. აქტასავით ვერავინ იცნობდა ნერონს. ნერონი „კაცს, კაცურს" ნიშნავდა და აქტამ იცოდა, რომ ეს სახელი მას უმართებულოდ არ ერქვა.

მაგრამ ტერენციუსიც ხომ ნერონია! განა ტერენციუსი არაა იმდენად „სულით ხორცამდე" ნერონი, რომ მისი ვნებათა ღელვა ნერონის ვნებათა ღელვა იყოს? თუ აქტა ტერენციუსის კაცობას ვერ აღაგზნებს, მაშინ, როგორც ჩანს, ნერონს მობეზრებია მისი ალერსი. ასეთმა ფიქრებმა მხნეობა დაუბრუნა ტერენციუსს.

მან ამჯობინა, თვითონ კი არ წასულიყო ედესაში, არამედ აქტა გამოეწვია სამოსატაში. აქტა განცვიფრდა.. ნუთუ ეს ნამდვილმა ნერონმა მოიმოქმედა? არა, ვიღაც სხვა უნდა იყოს. ერთხანს შეყოყმანდა, წავიდე თუ არაო. მერე მარციას გაუმხილა იმპერატორის მიპატიჟება; არც თავისი ეჭვები დაუმალავს. მარციამ გულდანდობილად ჰკითხა:

— მეც წამოვიდე, საყვარელო დაო? — და რაკი პასუხი ვერ მიიღო, აღარ ჩასციებია, მხოლოდ ეს კი სთხოვა დაჟინებით:

— მალე დაბრუნდი. ლაბირინთში უნდა წაგიყვანო! — იმ პირველი საუბრის შემდეგ ლაბირინთი აქამდე არ უხსენებია.

ამგვარად აქტა მარტო გაემგზავრა სამოსატაში. იგი ფიქრობდა ნერონთან შეხვედრაზე და ტკბილ-მწარე გრძნობები ეუფლებოდა. მრავალი წელია ასეთი რამ არ განუცდია. იმ დილით, როდესაც ნერონს უნდა შეხვედროდა, აქტა ბოლთას სცემდა თავის ოთახში. ნამდვილ ნერონთან შეხვედრისას რომ ირთვებოდა. ახლაც ისე იყო მორთული. ღელავდა. მეასედ წარმოიდგინა, როგორ მოიქცეოდა ნამდვილი ნერონი, ამდენი ხნის განშორების შემდეგ რომ ასეთ ვითარებაში ენახა; გაიცინებდა წყნარად, გულკეთილად. ყმაწვილურად, სულ ახლო მოვიდოდა, დაყნოსავდა, თავის რუხ, ბეცი თვალებს ზედ სახესთან მიუტანდა, დააცქერდებოდა; და მხოლოდ ამის შემდეგ ეცემოდა გაცხარებით და მოხვევდა მსუქან, საყვარელ ხელებს; გაიცინებდა, სახე გაებადრებოდა, დაუფიქრებლად წამოისროდა ერთი-ორ ბერძნულ სიტყვას; გაჩუმდებოდა. აქოშინდებოდა; ერთხანს იქოშინებდა, მერე მაგრა ჩამოართმევდა ორივე ხელს და მდაბიური ლათინურით ეტყოდა: „გამარჯობა, აქტა. გამარჯობა, პატარა აქტა“. დიახ, ასე ეტყოდა, თუმცა არც თვითონ იყო აქტაზე დიდი.

სახლის წინ ხმაურია. ვიღაც ბრძანებას იძლევა. იარაღს აელარუნებენ. კიბეზე ფეხის ხმა ისმის. რაღაც ნაცნობ ხმას ჰგავს. მსახური კარებს აღებს. ოთახში უცხო კაცი შემოდის. არა, უცხო არ ყოფილა — ნერონი შემოდის. ეს მისი სახეა, მისი ფართო შუბლი. წითური თმა. რუხი მოჭუტული. ბეცი თვალები. სქელი. ბავშვური. გამობურცული ქვედა ტუჩი. იგი აქტასაკენ მოემართება. იცინის გულკეთილად. ყმაწვილურად; სულ ახლო მიდის, თავის თეთრ, მსუქან ხელებს ჰხვევს; იბადრება. და აი, გაისმის ნერონის ხმა, დაუფიქრებლად ისვრის ერთი-ორ ბერძნულ სიტყვას. მაგრამ ნერონის ხმაა ეს? რა უცნაურად გამოთქვამს ო-ს! არა, არა, ნუ ჩავაცივდებით. კირკიტს ნუ დავუწყებთ, ნუ ავუხირდებით ყოველი წვრილმანის გამო! აქტას სურს, რომ ეს ნერონის ხმა იყოს. და ეს ნერონის ხმაა. აი, იგი მდაბიური ლათინურით ამბობს:

— გამარჯობა, აქტა. გამარჯობა, ჩემო საყვარელო აქტა.

აქტას მშვენიერი, გრძელი სახე ისე გაუფითრდა, თითქოს ერთ-ერთ თავის ქანდაკებად იქცაო. აქტამ დაკარგა ნებისყოფა, და სხვა დროს ესოდენ მტკიცე ხასიათის ქალი, თითქმის ძალაგამოცლილი დანებდა უცხო კაცის ყმაწვილურ, ჟინიან ალერსს. ნუთუ ეს შესაძლებელია? მან საკუთარი თვალით ნახა ნერონის გახვრეტილი ყელი, საიდანაც სისხლი და სიცოცხლე გამოსულიყო, მონაწილეობას იღებდა ცხედრის გაპატიოსნებაში, აკოცა მას, უყურებდა როგორ აიტანეს კოცონზე და დაწვეს, ფერფლი საზეიმოდ შეინახა მავზოლეუმში, რომელიც რომში, თავის ბაღში აუგო. ახლა კი იგივე კაცი აქ გამოეცხადა; აი, მისი ბეცი თვალები, კაღნიერი, ბავშვური, ვნებიანი მეფური ტუჩები. ყველაფერი ეს უფრო სრული, უფრო ხორცსავსე და მსუქანია, მაგრამ იმიტომ, რომ ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ. ისე კი ეს მისი სახეა, მისი გარეგნობაა. ნუთუ შესძლეს ღმერთებმა ხელმეორედ შეექმნათ ერთხელ უკვე შექმნილი? აქტამ, რასაკვირველია, იცოდა, რომ ნერონს მექოთნე ტერენციუსი მოჰყავდა სასახლეში და თავს იქცევდა. ახლა ამ ნერონს ყურადღებით აკვირდებოდა, მარტო თ-ს ყალბ წარმოთქმას როდი ამჩნევდა, ბევრი სხვა წვრილმანი განსხვავებაც ხვდებოდა თვალში. და მიუხედავად ამისა. მთელი მისი არსება შიშმა მოიცვა, ნეტარებისა და სასოწარკვეთილების შიშმა. მთელი ოთახი სავსე იყო ნერონით, — აქტას მიჯნურით, მისი ხელები ეხებოდა, მის სუნთქვას გრძნობდა, მაგრამ, თუ ეს მართალია. მაშინ ის მკვდარი ნერონი აქტასი აღარ არის? ისე ბობოქრობდა მის გულში შიში და ნეტარება, ისე ირეოდა ერთმანეთში, რომ კინაღამ გული შეუღონდა.

თავს ძალა დაატანა, რომ გამოფხიზლებულიყო. იქნებ ეს მხოლოდ სხეული ჰგავს, სახე, ნიღაბი ჰგავს და ღრმად თუ დააკვირდები, დაინახავ, რომ ამ კაცს სხვანაირი მიხვრა-მოხვრა, სხვანაირი სიარული აქვს, მისი არსება მკვდარი ნერონის არსება არ არის. მაგრამ აქტას არ უნდოდა ამის დანახვა, ცოტა ხნით მაინც არ უნდოდა. მან წყნარად გაითავისუფლა თავი მამაკაცის მკლავებისაგან. ნაზი და მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით უთხრა:

— სად იყავი ამდენ ხანს? რატომ არ დამიძახე?

ტერენციუსი მოელოდა ამ შეკითხვას და წინასწარ მომზადებული ნერონისებური პასუხი გასცა. მაგრამ მან, სულით ხორცამდე მსახიობმა, მთელი თავისი ნერონობა შეხვედრის წუთებში ჩააქსოვა; იმდენი ენერგია დახარჯა, რომ ახლა სულ ერთიანად გამოფიტული იყო. მართალია, გვარიანი ტექნიკის წყალობით შესაფერის პასუხს იძლეოდა და შესაფერის კილოსაც ინარჩუნებდა, მაგრამ აღმაფრენა აღარ ახლდა მის ლაპარაკს. აქტა გონს მოეგო. მის წინ პატარა, სასაცილო კომედიანტი იდგა. და ამ კომედიანტის დანახვა ისეთ გრძნობას აღუძრავდა, როგორც თავისი საყვარელი ჩიტის ფიტული, საწყალობელი, დამუნჯებული გარსი, რომელიც ოთახში ედგა. ჯადომ ძალა დაკარგა. აქტას ახლა რცხვენოდა შეხვედრის დიდებული წუთისა, რცხვენოდა, რომ გული ნეტარებითა და სასოწარკვეთილებით აევსო. მაგრამ მაინც მადლობელი იყო ამ კაცის, რომელმაც ასეთი წუთი აჩუქა; ამიტომ თავისი იმედგაცრუება არ შეამჩნევინა.

საერთოდ პირველმა საუბარმა კარგად ჩაიარა; ვისაც არ უნდა შეეხედა, იფიქრებდა, ნამდვილი ნერონი შეხვედრია თავის მეგობარსო. მაგრამ აქტას უხაროდა, რომ ამ კაცთან ყოფნა დიდხანს არ გაუგრძელდებოდა. იგი დაიქანცა და, ჩვეულებისამებრ დაწვა დასასვენებლად. მღელვარების შემდეგაც კი იძინებდა ორ საათს, ისე იყო მიჩვეული. იმ დღესაც დაიძინა. მაგრამ სიზმარში შერყვნილი, დამახინჯებული ნერონი გამოეცხადა და კიდევ უფრო დაღლილს გამოეღვიძა.

ამ დღეს მან პირველად შეატყო თავს, რომ სიბერე წამოსწეოდა.

ხელახლა იგრძნო აქტამ ნერონის ხელები კისერზე შემოჭდობილი. ჟრუანტელმა დაუარა, მისი სუნთქვა რომ მიეკარა; ყურში, გულში მისი ხმა ეღვრებოდა. ვისი ხმა? ნამდვილი თუ ყალბი ნერონის? მაგრამ სულ ერთი არაა რა სახელი ერქმევა? — ამქვეყნად ხომ არის. განა მოულოდნელი, წარმოუდგენელი და დიდი ბედნიერება არ მიანიჭეს ღმერთებმა? ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს კაცი, აქტას უნდოდა, იგი ნერონად მიეღო, უნდოდა, ნერონისთვის ეცქირა. ნერონისთვის ესმინა. მართალია, ხანდახან გული ეურჩებოდა, რადგან ეს

კაცი უფრო. ტლანქი იყო, ვიდრე ნამდვილი იმპერატორი, რომელიც მის მოგონებებში ცოცხლობდა, მართალია, თავის უნებისყოფობას დასცინოდა, მაგრამ ასეთ დროსაც კი მის სხეულს ეს ახალი ნერონი სურდა.

პირველ საღამოს ნერონმა ნადიმი გაუმართა აქტას. დასაწყისში ნერონი მოდუნებული იყო. მერე, ერთბაშად, ისევ გაიღვიძა მის სულში დიდმა მსახიობმა და რამდენიმე წუთის ბედნიერება მიანიჭა აქტას. აქტას ეგონა, ეს კაცი, ეს ნამდვილი ნერონი, მოულოდნელად სტუმრებს გარეთ გაყრიდა და გაშმაგებული ეძგერებოდა საყვარელს. მაგრამ ნერონმა იმედი გაუცრუვა: იმდენხანს დაჰყო სუფრასთან, რამდენხანსაც საჭირო იყო; მერე ცერემონიულად გამოეთხოვა და გავიდა.

მეორე და მესამე დღესაც იგივე გაიმეორა. მაშინ აქტამ თვითონვე შეახსენა საყვარლის ბუნებრივი უსირცხვილობით:

— ჩემთან როდისღა დაწვები, წვერწითელავ?

მაგრამ ტერენციუსი ამ კითხვასაც მოელოდა და ღიმილით მიუგო:

— მეტისმეტი ბედნიერება არ უნდა მოვთხოვოთ ღმერთებს. აღთქმა დავდე, სანამ ანტიოქიას არ ავიღებ, თავი შევიკავო და შენთან არ დავწვე.

აქტამ გულისტკივილით იგრძნო, რამდენად უცხო იყო ეს კაცი, რამდენად განსხვავდებოდა ნერონისაგან.

მან გადაწყვიტა ედესაში დაბრუნებულიყო. იქიდან მალე ანტიოქიაში გადასულიყო და რომის გზას დასდგომოდა. მაგრამ მოულოდნელად შეატყო, რომ უმძიმდა ამ კაცთან განშორება. და იგი დარჩა. დარჩა ერთი დღით, კიდევ ერთი დღით და მერე კიდევ ერთი კვირით.

11

ლაგირინთი

ნერონი, თუმცა გონებაშეზღუდული და საკუთარ თავში ჩაღრმავებული კაცი იყო, მაინც ჩინებულად გრძნობდა ყოველივეს, რასაც მის ირგვლივ ფიქრობდნენ, თუკი ეს ფიქრი

მას ეხებოდა. იგი კარგად ხედავდა, რა აზრის იყო მასზე აქტა და რა ამბები ტრიალებდა ძია გულში. ძალიან მოუნდა ამ ქალის თვალები აძაღლებულიყო. ბებერხეული ჰქონდა, როგორ იტაცებდა ერთი ბეხვედრით დინჯაა და ანგარიშიან აქტას მისი რიფაატიკული ოცვეები. და ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს მოთხოვა, ედესის ლაბირინთში წავიდეთ, ზუამდინარეთში ყველაზე უფრო ეს ადგილი მიყვარსო.

აქტა გაბცვიფრდა. როდესაც მარცია ელაპარაკებოდა ლაბირინთზე, არ ეგონა, თუ ამ მეორე ნერონს გულისხმობდა, ყველაფერი ნახევრად შეშლილი ქალის ფანტაზიად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, მარციას ნალაპარაკევმა მაშინ ცნობისმოყვარეობა და შიში აღუძრა. ახლა, როდესაც ნერონ-ტერენციუსმა სიტყვა „ლაბირინთი“ უხსენა, აქტა მაშინდელივით აღელდა. ამ სიტყვაში, რომელიც მედიდური და იდუმალი ხმით წარმოთქვა ნერონმა, რაღაც უჩვეულო, რაღაც სახიფათო იგრძნო.

აქტა ნერონთან ერთად დაბრუნდა ედესაში. მან ჩამოსვლისთანავე გაუმხილა მარციას, ნერონმა რომ ლაბირინთში ჩაყოლა მოსთხოვა. მაგრამ დედოფლისათვის, როგორც ჩანს, სულ ერთი იყო ვინ წაიყვანდა მეგობარს ლაბირინთში, — თვითონ თუ ნერონი. თავის მხრივ ნერონს უარი არ უთქვამს მარციაც შეერთებოდათ.

სამივენი გავიდნენ ქალაქიდან, გადაჭრეს მდინარე სკირტოსი და ლაბირინთისაკენ გაემართნენ. უბრალოდ იყვნენ ჩაცმულნი და არც ამალა ახლდათ: ნერონს არ უნდოდა, რომ ხალხს იგი ლაბირინთში ჩასული ენახა. მხოლოდ ერთი მეჩირაღდნის თანხლებით ჩაუყვნენ უზარმაზარ გამოქვაბულის ჩაბნელებულ ჯურღმულებს. ნერონი კარგად იცნობდა აქაურობას. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩირაღდანს და წინ მიდიოდა, თანაც ისეთი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, რომ მარციასა და აქტას დიდი ჯაფა ადგათ, — ძლივს ეწეოდნენ ამ ოღროჩოღრო გზებზე. ბოლოს ნერონმა მეჩირაღდნე სულ მოიშორა, — ერთ ტალანში დატოვა.

— ნუ გეშინიათ, — მიმართა მან ქალებს. თავისი ხელი მარციას მისცა, აქტას კიდევ მარციასთვის ჩაეჭიდებინა ხელი და ასე განაგრძეს გზა სიბნელეში.

აქტა გულადი ქალი იყო და არაერთხელ დაუმტკიცებია კიდეც თავიაი გულადობა. მაგრამ მაინც ვერ გრძნობდა თავს კარგად ახლა. მიდიოდა თავდაღმართში ამ ორ ნახევრად გიჟთან ერთად, ვიწრო, მოლიპულ დერეფნებს მიჰყვებოდა და ძლივძლივობით, დიდი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას სიბნელეში; წამდაუწუმ იხრებოდა, რომ რამეს არ დასტაკებოდა. დანახვით ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ რაღაც ხმადაბალი, საზიზღარი წრიპინი ესმოდა ხანდახან.

— ეს ღამურებია. — აუხსნა ნერონმა, — რამდენიმე მათგანი მოვათვინიერე. საინტერესო სახეები აქვთ. ისე ნუ გეშინიათ, ჩემო აქტა, თმაში არ გაგეხლართებიან, ეს სულელური ცრუმორწმუნეობაა. ქვეყანა სავსეა, სამწუხაროდ, სულელური ცრუმორწმუნეობით. — ოდნავი ღიმილით ამოიოხრა მან.

— ასე, — თქვა მერე კმაყოფილებით, — ჩემ საყვარელ ადგილსაც მივადექით: აქ ერთი-ორი საფეხურია ჩასასვლელი, თითქმის კიბეა.

მარცია და აქტა წვალებით მიიწევდნენ ქვემოთ. არაფერი ჩანდა, მხოლოდ ნერონის ხმას მიჰყვებოდნენ. აქტას სულს უხუთავდა შეგუბებული ჰაერი. ირგვლივ ისეთი წყვდიადი იყო, თითქმის ხელით შეეხებოდა კაცი.

— მოვედით, — გაისმა სიბნელეში ნერონის ხმა, — დასხედით, — თავაზიანად შეეპატიჟა ქალებს, თითქოს სახლში სწვეოდნენ სტუმრად.

მარციამ ხელი გაუშვირა აქტას. აქტას მის გვერდით უნდოდა ყოფნა, მისი სიახლოვე, მისი სხეულის სითბო უნდოდა ეგრძნო, მაგრამ მარციამ ხელი აღარ გამოუწოდა, ნერონის თანდასწრებით დაძახება კი ვერ გაბედა. დაჯდა.

— მხედავთ, ჩემო აქტა? — ჰკითხა ნერონმა ცოტა ხნის შემდეგ.

მისი ხმა სადღაც მარცხნიდან, კარგა შორიდან მოისმა. გვარიანად ვრცელი ყოფილა ეს გამოქვაბული, სადაც მან აქტა შემოიყვანა.

— ვერა, — მიუგო გაკვირვებულმა აქტამ,—ამ სიბნელეში როგორ უნდა დაგინახოთ!

— ბნელა? — თქვა ნერონმა, — ახლავე გავანათებ, — დაუმატა მედიდურად.

— ახლა თუ მხედავთ? — ავი და თან მოზეიმე კილოთი იკითხა მან. მის ხმაში ოდნავი მუქარა გაისმა.

აქტა დუმდა. მაშინ მის მაგივრად მარციამ უპასუხა:

— რასაკვირველია, გხედავს.

— არა, თვითონ თქვას, — დაიყვირა ნერონმა.

— დიახ, გხედავთ, — უთხრა შეცბუნებულმა აქტამ.

— ხედავთ, როგორ ავწიე ხელი? — ჰკითხა ნერონმა.

— ვხედავ, — მიუგო აქტამ.

— ხუმრობის გუნებაზე ყოფილხართ, — გაიცინა ნერონმა, — სულ არ ამიწევია ხელი. თუმცა ეს ისეთი ადგილია, მართლა მოგანდომებს ხუმრობას. მეც ძალიან მოხერხებულად ვგრძნობ აქ თავს. დიახ, ჩინებულად ვგრძნობ აქ თავს და სწორედ აქ ვაპირებ სამუდამოდ დარჩენას. შემეფერება კიდეც ეს ადგილი. აქ აღმოსავლეთის ძველ, დიდებულ მეფეთა აჩრდილები იმყოფება; აქ არიან ისინი დასაფლავებული, აქ უნდოდათ დასაფლავება. და როდესაც ჩემ ტოლებთან ყოფნა მწადია, ამ გამოქვაბულს მოვაშურებ ხოლმე და ძველ მეფეებსა და ღმერთებს ვესაუბრები.

აქტას არაფერი უთქვამს. შეგუბებული ჰაერი კიდევ უფრო უხუთავდა სულს. ეს კაცი აშკარად შეშლილა და, ალბათ, ჭკუა არ დაუშლის, რომ თავისი სიბრიყვით აქტა რომელიმე ღმერთს მსხვერპლად შესწიროს, — საკუთარ გენიას ან სხვა ვინმეს, ვთქვათ, ლაბირს, ლაბირინთის ღვთაებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ხმა და თვით მისი ნათქვამიც კი იზიდავდა აქტას. იმიტომ, რომ ნამდვილ ნერონსაც შეეძლო ასე ელაპარაკა.

ცოტა ხნის შემდეგ ნერონმა თქვა:

— ახლა კი დავბრუნდეთ, — და აქტამ შვებით ამოისუნთქა.

მაგრამ:

— აქედან ხელს აღარ ჩაგკიდებთ, ისე ვიაროთ, — მხიარულად დაუმატა მან.

აქტას შეეშინდა. წამოდგა და ხელების ფათურით გაჰყვა

უსწორმასწორო კედელს. ნერონის ხმა უკვე ძალიან შორიდან და საკმაოდ მაღლიდან მოდიოდა. იგი მეორე ტალანში გაუულიყო. ხალისიანი ყბედობითა და გვარიანად ჩქარი ნაბიჯით მიიწევდა წინ; ბოლოს მისი ხმა სულ მიწყდა.

აქტა თავს იმითღა იმშვიდებდა, რომ მარცია მაინც ჰყავდა გვერდით.

— ერთად ვიარეთ, — უთხრა მარციამ, — ჩინებულია არა, აქ?

— დიახ, დიახ, — უყოყმანოდ დაუდასტურა აქტამ და სასწრაფოდ ჩაჰკიდა ხელი.

ბუნდოვნად აგონდებოდა ერთი ამბავი: თითქოს ვიღაცებს გზა დაბნეოდათ ლაბირინთში, გამოსასვლელი ვეღარ ეპოვათ და შიმშილით დახოცილიყვნენ უფრო მაგრა მოეჭიდა მეგობარს. მაგრამ მარციას ძალე ორივე ხელი დაუჭირდა გზის გასაკვლევად და რამდენიმე წამის შემდეგ აქტამ ისიც დაკარგა. იგი ეძახდა, მარცია ეხმაურებოდა; ცოტა ხანს ასე იარეს, მერე მარციას ხმაც მიწყდა.

აქტა მარტოდმარტო დარჩა ლაბირინთში. მოსინჯა გზა წინაც, უკანაც, შეატყო, რაღაც გრძელ, მოლიპულ დერეფანში იმყოფებოდა. ცხადად მოაგონდა, რომ ეს დერეფანი გამოიარეს; მაშ, შორს აღარ ყოფილა ის ადგილი, სადაც ნერონ-ტერენციუსმა მეჩირაღდნე დატოვა. აქტას მხნეობა დაუბრუნდა: მალე, ალბათ, ჩირაღდნის შუქიც გამოჩნდება. მაგრამ შუქი არსად ჩანდა და აღარც ნერონისა და მარციას ხმა ისმოდა.

გზის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. როგორც ჩანს, მეხსიერებამ უღალატა და საბოლოოდ აერია გზა. სხვა გამოსავალი არ იყო, — უნდა დაეცადა, სანამ მოაკითხავდნენ. დაჯდა სიბნელეში. დიდი მოთმინება მართებდა ახლა. ალბათ, ერთ საათს მოუხდება ლოდინი, იქნებ ორ ან სამ საათსაც. ვინ იცის. წვერწითელამ შურისძიება გადაწყვიტა იმის გამო, რომ თვითონ კაცობა ვერ გამოიჩინა. აქტა იცნობდა ცხოვრებას, იცნობდა ხალხს და იცოდა, რომ ყველაზე უფრო იმას შეიძულებენ ხოლმე. ვისთანაც კაცობას ვერ გამოიჩენენ. სამი ათასი ტალანი ყოფილა ამ ლაბირინთში. როგორ დათანხმდა ამ სულელურ საქმეს, — როგორ წამოჰყვა ლაბირინთში ამ ორ შეშლილს?! თვითონ სადღა ჰქონდა ჭკუა? საერთოდ რამ ჩა-

მოიყვანა აქ? რაკი ჩამოვიდა, ალბათ, რაიმე მიზეზიც ჰქონდა, მაგრამ ახლა ამ მიზეზს ველარ პოულობდა. ისევე ხალხებ იგიებდა გზას საკუთარ გრძნობებში, როგორც ამ დაწყეველილ ლაბირინთში.

გონიერებას მოუხმე, აქტა! გულს ნუ გაიხეთქავ დარდით. რაში უნდა დასჭირდეს ამ კაცს შენი აქ დატოვება, ამ წყვდიადში. და თუ თვითონ გაგიყდა და მართლა დააპირა ასეთი უგუნურება, განა ვარონი და კიდევ სხვები ჭკუაზე არ მოიყვანენ? ნერონის საქმისათვის ხომ საზიანო იქნება, რომ აქტა, რომელიც მის სანახავად ჩამოვიდა მესოპოტამიაში, უეცრად გაქრეს?

უცებ შეშინებულმა თმებზე წაივლო ხელი. ღამურა ხომ არ გაიხლართა შიგ? რა სისულელეა! სულ ქვემოთ, ბოლო ოთახში, ლაბირინთის ღვთაება ბინადრობს, ხარღმერთი ლაბირი. იგი ედესელ ხალხს ყმაწვილებს ართმევს და მათი სისხლით იკვებება. ნეტა, რამდენი ხანია, რაც აქტა ამ ბნელ დერეფანში ზის?

— წვერწითელავ! — დაიძახა მან უეცრად შეშინებული ხმით, — სადა ხარ? მოდი, მიშველე.

ნერონი მართლა გამოეპასუხა.

— თქვენ კიდევ აქა ხართ, აქტა? — თავაზიანად და გაკვირვებით იკითხა მან. იგი ისე თავისუფლად ელაპარაკებოდა სიბნელეში, თითქოს თვალთან ზურმუხტი აქვს მიტანილი და იქიდან უყურებს აქტასო. — რატომ მე არ გამომყევით? თუმცა, იქნებ, მართალი ხართ, — დიდებულების შუქი ისეთი რამ არის, უბრალო სანთლად გამოყენება არ უნდა აკადრო. ისევ მეჩირაღდნეს გამოგიგზავნით.

მოვიდა მეჩირაღდნე, განათდა იქაურობა და, როგორც იქნა, დღის სინათლეზე გამოვიდნენ. შიში, რომელიც აქტამ ლაბირინთში გამოსცადა, მის მახსოვრობას აღარ შემორჩენია. პირიქით, სულ მალე მაშინდელი განცდებიდან მხოლოდ იმას იგონებდა, რაც სასიამოვნო და მიმზიდველი იყო. ლაბირინთის ნერონი, რომელმაც აქტა ააღელვა, შეაშინა და განსაცდელისაგან დაიხსნა, განსვენებულ ნერონად იქცა. და განსვენებული, ნამდვილი ნერონი ისევე ჩინებულად გრძნობდა თავს

ლაბირინთში, როგორც რომში, თავის მავზოლეუმში. ახლა აქტას ეშვი აღარ ეპარებოდა, რომ სწორად მოიქცა, როდესაც შუამდინარეთში ჩამოვიდა.

12

ნერონის ფერფლი

თითქმის ერთი თვე გავიდა, რაც აქტა ედესაში იყო. ნერონის მეგობრებს ესიამოვნათ და გაუხარდათ მისი ჩამოსვლა, მაგრამ თუ იგი რაიმე განსაკუთრებული საქციელით იმპერატორის ნერონობას არ დაადასტურებდა, მაშინ ეს სტუმრობა ზიანს უფრო მოუტანდათ, ვიდრე სარგებლობას. ისინი შეთანხმდნენ, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი გზა, რომლითაც აქტას ყოველგვარი ეჭვების გაფანტვა შეეძლო.

აქტას დაყოლიება, ცხადია, ვარონს მიანდვეს.

— დიდად მახარებს, ჩემო ტკბილო აქტა, ის გარემოება, — უთხრა ვარონმა, — რომ ხშირად გხედავთ ჩვენი ნერონის გვერდით. გესმით ახლა, როგორ მივედი ამ უგუნურ გეგმამდე, როგორ გადავწყვიტე, მკვდრეთით აღმედგინა ნერონი?

აქტა ჩაფიქრებული უდასტურებდა, ყურადღებიანი ბავშვის გამომეტყველებით უქნევდა თავს.

— თუკი ჩვენს ნერონს, — განაგრძო ვარონმა, — თქვენც კი გადაჰყავხართ ხანდახან წარსულში, ჩემო აქტა, გაცილებით უხეშ რომს როგორ ვერ გადაიყვანს?

— დროება მკაცრი გახდა, უფერული,—დაეჭვებით მიუგო აქტამ, — ძნელია ახლა ხალხის აღგზნება. ვინ იცის, იქნებ ფერად-ფერადი ოცნებები, რომლებშიც ჩვენს ნერონს შევყავართ, სულაც არ არის მისი ზემოქმედების შედეგი, იქნებ ყოველივე ეს ჩვენშია. თუ ასეა, მაშინ ჩვენი წამოწყება მაინც უგუნური და უიმედო საქმე გამოდის.

ვარონისთვის მთელი დღესასწაული იყო, აქტამ რომ „ჩვენი წამოწყება“ თქვა.

— გახსოვთ, აქტა, — ჰკითხა მან, მაგრამ ეს უფრო თხოვნა იყო, ვიდრე კითხვა, — როგორ გვიადვილებდა ცხოვრებას

ნერონისადმი რწმენა? გახსოვთ რა მეხივით დაეცა ქვეყანას ნერონის სიკვდილი, როგორ გააოგნა ხალხი? — თითქოს ქვეყნიერება ერთბაშად გაშიშვლდა, გაიცრიცა, გაუფერულდა. პალატინის ხალხს უნდოდა ჩვენი ნერონი მოეპარა მე და თქვენთვის. განა დიდებული არ იქნება, ახლა იმათ დავანახოთ, რომ არაფერი გამოუვიდათ? ნერონის ქანდაკებები მტვრად აქციეს, ყოველი ხელნაწერიდან ამოშალეს მისი სახელი. თვით კოლოსზეც კი მისი მშვენიერი თავის ნაცვლად იმ ანგარიშიანი გლეხის, ბებერი ვესპასიანეს თავი დააკოსეს. განა შესანიშნავი არ იქნება, დავუმტკიცოთ, რომ ყველაფერმა ამაოდ ჩაუარათ? მათ მიაღწიეს თავიანთ მიზანს რამდენიმე წლით, რამდენიმე წლით მართლა ჩაკლეს აღმაფრენა, უსაზღვრო ოცნება და ყველაფერი, რაც კი ამ ცხოვრებას ფასს აძლევს. მაგრამ ახლა ყოველივე დაგვიბრუნდა, რადგან ნერონი გვყავს. ნუთუ არ გესმით ეს, აქტა? ღმერთები დაგვეხმარენ და პირველი, უმთავრესი დაბრკოლება დაგვაძლევინეს. ჩვენს გზას დაადექით, აქტა! ჩვენ ანტიოქიას ავიღებთ, ალექსანდრიას, კორინთს, პალატინს ავიღებთ.

— თქვენ ოცნებაში ხართ, — უთხრა აქტამ; მაგრამ საყვედურით არ უთქვამს, რადგან თვითონაც ოცნებაში იყო; იგი ყრუ ხმით ლაპარაკობდა, თითქოს ძილი ერევაო,—რა ჯობია,— ისევ მეოცნებე ხმით განაგრძო მან, — კვლავ პალატინზე ცხოვრებას ნერონთან ერთად. მაგრამ ეს შეუძლებელია. არ არის კარგი, კაცი ჯადოს დაემორჩილოს, როგორც თქვენ ჩადიხართ ამას, ჩემო ვარონ. ჯადო რომ გაქრება... — იგი გაჩუმდა, ფიქრებში ჩაეფლო.

— ჯადო რომ გაქრება? — ჰკითხა ვარონმა და სახეში შეხედა. მასაც თითქმის გადასდებოდა აქტას მელანქოლია.

— ჯადო რომ გაქრება... — გაიმეორა აქტამ, მაგრამ წინადადება არც ახლა დაუმთავრებია.

— მერე, მერე რა იქნება? — ჩაციებით ეკითხებოდა ვარონი, თან თვალს ვერ აშორებდა.

— მზეთუნახავის ნაცვლად დედაბერი შეგრჩებათ ხელში, — მშვიდი ღიმილით, მკაფიოდ დაასრულა აქტამ.

და თავისი ჩინებული ლოგიკის წყალობით მშრალად და დაუფარავად აუწყა, თუ რა აზრისა იყო ამ ახალ ნერონზე.

— შერჩევით კარგად შეგირჩევიათ, — თქვა მან, — შეუძლია კაცის შეცდენა. მეც კი შემაცდინა. ხომ იცით, როგორ ვუყვარვარ იტალიკუსს, პოეტსა და ვაჟკაცს. ჩვეულებრივ ერთობ გონიერი კაცი სასაცილოდ და ბავშვურად მიმჟღავნებს სიყვარულს. ქალი აღარ ვიქნებოდი, რომ არ მომწონებოდა, და, მაინც, გამოგიტყდებით, თქვენმა ნერონმა პირველი შეხვედრისას ნახევარ წუთში უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე ჩემმა იტალიკუსმა რამდენიმე წლის ვაივაგლახით. მაგრამ თქვენს ნერონს, — და ეს არის თქვენი ყველაზე სუსტი ადგილი, — მხოლოდ ერთი წუთით შეუძლია შეგაცდინოს და ისიც თუ შენ თვითონაც ცდილობ თავის მოტყუებას. მეტისმეტად ხელოვნურია. ღმერთებმა იხუმრეს და სანთლის ფიგურა შექმნეს, რომელიც, მართალია, მოძრაობს და ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ლანდია, ადამიანის სული არა აქვს. ქალთან დაწოლა არ შეუძლია. არა, ის „ნერონი“ არ არის, კაცი არ არის, გამანაყოფიერებელი ძალა არა აქვს. თავის ლაბირინთში კიდევ არა უშავს, ისე კი აჩრდილია, სწორედ ასე მყავს წარმოდგენილი მიცვალებულები ჰადესში. იგი არარაობაა. მწარე გამოცდა მომიწყვეთ, ვარონ. ამგვარი სანახაობა გულს გაუხეთქავს ადამიანს: ერთი შეხედვით ვაჟკაცი და მეფეა, დიადი და მახლობელი, პირდაპირ საოცნებოა, სულში კი სრული სიცარიელე აქვს. ჩემი თავის მეშინია, განძრევის, სიარულის, საკუთარი ხმის მეშინია, ამ ლანდ-ნერონს რომ ვუყურებ.

ვარონს ესმოდა მისი გულისწუხილი და წინასწარვე იცოდა, რომ თხოვნაზე უარს მიიღებდა.

— თქვენს ცოცხალ სახეს რომ ვუყურებ, — მაინც დაიწყო მან, — არა მჯერა, თითქოს მართლა ისეთი უფანტაზიო ქალი იყოთ, როგორც თავი მოგაქვთ. თუკი მე ავყევი ოცნებას, რატომ თქვენ არ უნდა აჰყვეთ? მოეშვით, აქტა, ზედმეტ გონიერებას! დარჩით ჩვენს ნავში! ავუშვათ აფრები და გავუდგეთ გზას. განა ეს დიდებული არ არის? თუ თქვენ ჩვენს გვერდით იქნებით, მშვიდობიანად მივაღწევთ ნაპირს.

— ერთ რამეში უნდა გამოგიტყდეთ, ვარონ, — მიუგო

აქტამ, — თქვენ ხომ იცით, მე ნერონი მიყვარდა. ისე მიყვარდა, რომ მისი ფერფლის გვერდითაც კი იჩრდილება ყოველი კაცი. ერთადერთმა თქვენმა ნერონმა აანთო ხელახლა ჩემს გულში ის ალი, რომელიც წვერწითელას სიკვდილის შემდეგ ჩამქრალი იყო. მძულს მე თქვენი ნერონი. ალბათ, გავგიჟდები, კიდევ ერთხელ რომ გამოვცადო, როგორ ეცლება სული ამ ხორცშესხმულ აჩრდილს, როგორც კი ხელს ახლებ. ვერ ვიტან მე ამას. არ მიყვარს სიმთვრალე. თქვენ ცდებით. სულაც არ მიყვარს სიმთვრალე, რომელიც ასეთი გზით მოდის. მე აქ ვერ დავრჩები, — მერე, ვარონის იმედგაცრუებულ სახეს რომ წააწყდა, კილო შეცვალა, ერთსა და იმავე დროს მშრალადაც, ხუმრობითაც და სერიოზულადაც განაგრძო, — არ მინდა ბედის ანაბარა მიგატოვოთ, ვარონ. რითიმე დაგეხმარებით. თქვენ ხომ იცით, მე მდიდარი ვარ და მიყვარს კიდეც სიმდიდრე. თქვენი ნერონის სასარგებლოდ თუ რამე გავაკეთე, ამის ერთადერით მოსალოდნელი შედეგი ის იქნება, რომ ტიტუსი მთელ ჩემ მშვენიერ მამულებსა და აგურის ქარხნებს, რომლებიც იტალიაში მაქვს, ჩამომართმევს. და მაინც: თუკი რამ შემიძლია, დაგეხმარებით. თუ შემიძლია რამე გავუკეთო თქვენს ნერონს, მითხარით და გავუკეთებ.

ახლა სწორედ დრო იყო. ვარონს თავისი სათხოვარი ეთქვა, რომელიც ნერონის მომხრეებმა დაავალეს. თვითონ აქტამ გამოიწვია საამისოდ. მაგრამ ვარონს. ამ ვაკაცს, რომელიც უყოყმანოდ ხოცავდა ათასობით ხალხს, რომელმაც საკუთარი ქალი, მარცია, თავის თამაშს ამსხვერპლა, რომელიც სიბრალულით. მაგრამ სინანულის გარეშე უყურებდა თავისი მეგობრის, ფრონტონის სიკვდილს და რომელსაც უმნიშვნელო წვრილმანის გამო არაერთხელ ჩაუგდია თავი საფრთხეში, აი, ამ ვარონს ძალა აღარ შესწევდა ახლა, პირდაპირ გაემხილა თავისი სათხოვარი კლავდია აქტასთვის. გული აუტოკა მისმა სიახლოვემ. და თვითონაც აღარ ესმოდა, როგორა თქვა ერთ დროს უარი ამ ქალისთვის ეცქირა და მისი მშვენიერებით დამტკბარიყო, როგორ თქვა უარი მხოლოდ გონიერების გამო, მხოლოდ იმის გამო, რომ ნერონთან ურთიერთობა არ გაჰფუჭებოდა. ახლა კი, სიბერეწამოწეულმა დაინახა და ინანა. კაცი,

რომელსაც არასოდეს არაფერი უნანია, არასოდეს უთქვამს თავის ნამოქმედარზე—რად ჩავიდინეო, არასოდეს უთქვამს გაუკეთებელზე—რატომ არ გავაკეთეო, ასეთი კაცი ამ მოკლე ხანში ორჯერ შეიპყრო სინანულმა. ახლა იმას ნანობდა, რას დავეძებდი ნერონს, რატომ ყველაფერი არ მოვიმოქმედე თავის დროზე იმისათვის, რომ ეს კლავდია აქტა ჩემი გამხდარიყო. უეცრად დაუოკებელი სურვილი დაეუფლა, მთელი თავისი უზარმაზარი საქმე ცოტა ხნით გვერდზე გადაედო და იმ სიხარულით დამტკბარიყო, რომელიც ბედმა გამოუგზავნა, როდესაც ეს მშვენიერი ქალი გზად შეახვედრა.

და იმის ნაცვლად, რომ შემთხვევა გამოეყენებია და დავალება შეესრულებია, მან ყოველგვარი კავშირის გარეშე ჰკითხა:

— გახსოვთ, ჩემო აქტა, როგორ ვუშვებდით ოქროს საჯლის ახალ აუზში ფერად-ფერად ჩინურ თევზებს?

იგი ჭაბუკად გრძნობდა თავს, როგორც ახალგაზრდობის საუკეთესო ხანაში. თავქარიანი და თანაც ბრძენი, ღრმა, გაბოროტებული და თავის მომხიბლაობაში დარწმუნებული, იგი არაფერს დაიშურებდა ამ სიამოვნებისათვის, რადგან იცოდა, რომ ცხოვრების სიტკბოს მხოლოდ ის იგემებს, ვინც ანგარიშიანი არაა. ისეთ მჭიდრო სიახლოვეს გრძნობდა აქტასთან, როგორც აქამდე არასოდეს უგრძვნია. მას ეჩვენებოდა, რომ ოთახში სამნი იყვნენ: განსვენებული ნერონი იყო მათთან ერთად; მაგრამ ხელს არ უშლიდა. და სამივენი უწყვეტი კავშირით, მეგობრობაზე უფრო მტკიცე კავშირით, შეკავშირებულიყვნენ.

მაგრამ აქტა არ აჰყვა, ყურიც არ ათხოვა მის ოცნებას და განზრახ მშრალად ჰკითხა:

— მითხარით, რა შემიძლია გავაკეთო თქვენი ნერონისათვის?

მაშინ ვარონმა მხნეობა მოიკრიბა და უთხრა, რა იქნებოდა მისა და მისი მეგობრების აზრით ერთადერთი ჭეშმარიტი დახმარება აქტას მხრივ.

საქმე შემდეგში იყო: თუ ნერონი ცოცხალია, მაშინ იმ ურნაში, რომელსაც აქტა თავის ბაღში, მავზოლეუმში ინახავ-

და, ვიღაც უცხო კაცის ფერფლი ყოფილა. თუ აქტას სჯერა, რომ ნერონი ცოცხალია, მაშინ ამ ურნის, ამ სამახსოვრო ნიშნის იქ დატოვება სასაცილოა. თუ აქტას სურს, ქვეყანას დაანახვოს, რომ ნერონის სიცოცხლეში ეჭვი არ ეპარება, მაშინ ეს სამახსოვრო ნიშანი უნდა მოსპოს, — ფერფლი ქარს უნდა გაატანოს.

აქტას გამჭვირვალე სახის კანი მიტკალივით გაუთეთრდა, როდესაც ვარონი განზრახ უგულოდ თავის სათქმელს ეუბნებოდა. მაგრამ მისი ხმა ძველებურად მკაფიოდ და მშვიდად ჟღერდა. და მან ასევე უგულოდ მიუგო:

— მაშ, თქვენ მოითხოვთ, ქარს გავატანო ყველაფერი, რაც კი ნამდვილი ნერონისაგან შემომრჩა, რათა ქვეყანას დავანახვო, რომ ცრუ ნერონი ნამდვილ ნერონად მიმაჩნია?

— დიახ, — საქმინად დაუდასტურა ვარონმა.

მაგრამ ჯერ კიდევ ამ „დიახ"-ის თქმამდე მას შერცხვა თავის მოთხოვნის და მისთვის უჩვეულო მოუქნელობით დაუმატა:

— ეს ნერონის საქმეა. ნერონის საქმე ღირს ფერფლის გროვად.

აქტამ მომწვანო-თაფლისფერი თვალები მიაპყრო სენატორს, ნერონის მეგობარს, დიდხანს უცქირა, მხრები ოდნავ ჩამოუცვივდა, ტუჩები შეუთრთოლდა.

— თქვენი ნათქვამი, — უპასუხა მერე და მის ხმაში თითქმის შეუმჩნეველი დაცინვა გაისმა, — ერთობ გონივრულია. მაგრამ იქნებ უკეთესი იყო, სულაც არ გეთქვათ.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. და უეცრად რაღაც ძალამ ისინი ერთმანეთს დააშორა.

აქტას მთელი არსება აღაშფოთა ამ მოთხოვნამ. ამაოდ უხმობდა გონიერებას და ეუბნებოდა თავს: „თუკი ვარონი აპირებს, რომ ნერონის საქმე განაგრძოს და მისებურად მართოს ქვეყანა, ურნა როგორ დააკავებს? მისი აზრით იმ ურნაში ფერფლის გროვის მეტი მართლა არაფერია". მაგრამ გულის სიღრმეში სწამდა, რომ ეს არ ამართლებს ვარონს, ვარონი მტყუანი იყო მის წინაშე და ნერონის წინაშე. იმიტომ, რომ ამგვარი მოსაზრება მის თვალში შესაძლებელია სწორია, მაგ-

რამ აქტას თვალში არაა სწორი. მათი გონება სხვადასხვანაირადაა მოწყობილი. ყველაზე დიდებული და გონივრული საქციელი აქტას ცხოვრებაში ის იყო, რომ უყოყმანოდ ჩაიგდო თავი საფრთხეში, რათა ნერონის ნეშტი შერცხვენისაგან ეხსნა და მეფურად დაესაფლავებინა. მაგრამ რა არის გონივრული საქციელი? გონივრული საქციელი ის არის, რაც შენს ბუნებას შეესაბამება. მოწიწება ვარონისათვის ფუჭი სიტყვაა, აქტასთვის კი — არა. ნერონის ფერფლი ქარს გაატანეთ! — ეს იმას ნიშნავს, საკუთარი სიცხლი დაღვაროს. ის ბერძნის ქალი, რომელმაც მთელი სიცოცხლე გასწირა, მკვდარი ძმა რომ დაესაფლავებინა, მხოლოდ თეატრალური ფიგურა როდია, მხოლოდ პოეტის ფანტაზიაში როდი ცოცხლობს. არა, არ დაარღვევს აქტა თავის ბაღში აშენებულ სახლს, მიცვალებულის სახლს, რომელშიც ნერონი ცხოვრობს. არ დაარღვევს, თუნდაც ამან ფლავიუსების განდევნა გამოიწვიოს. თავისი მიჯნურისა და იმპერატორის ფერფლი აქტას საუკეთესო საუნჯეა. უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

— ვერა. ფერფლს ვერ გავიმეტებ,—უთხრა მან ვარონს, — გულშიაც კი ვერ გავივლებ ამას.

ვარონი დუმდა. იგი მიხვდა, რომ ვერავითარი ამქვეყნიური ძალა აქტას წინააღმდეგობას ვერ გატეხავდა. გამოეთხოვა ქალს. წავიდა.

აქტა სასწრაფოდ მოემზადა გასამგზავრებლად. თუ ადრე გაგიჟებით უნდოდა ნერონ-ტერენციუსთან დაწოლა, ახლა მას მახლობლად სუნთქვაც კი უჭირდა. გული ერეოდა მისი სახის, მისი სუნის მოგონებაზე.

13

ქმნილება აუმხედრდა შემქმნელს

როდესაც აქტამ ანტიოქიაში და იქიდან რომში გამგზავრება გადაწყვიტა, ნერონის მეგობრები შეშფოთდნენ. ტრებონი და კნოპსი დაჟინებით მოითხოვდნენ დროზე მოეიშოროთ და

გავაქროთ ეს ქალი, თორემ რომში თუ გაგვასწრო, იქ ზღაპრების მოყოლას დაიწყებს, ვითომ ნერონი სინამდვილეში ნერონი არ არისო. მათ უხაროდათ, რომ შემთხვევა ეძლეოდათ შური ეძიათ ქალზე, რომელმაც მათი მამაკაცური თავმოყვარეობა შელახა, მაგრამ ამას საკუთარ თავსაც არ უმჟღავნებდნენ.

ტერენციუსმა მოიწონა მახლობელთა წინადადება. ბრაზი ერეოდა, აქტამ რომ ჩამოსვლისთანავე მთელი მესოპოტამიელი ხალხის გული მოიგო, შურდა მისი წარმატება. კარგად იცოდა, იყო წუთები, როდესაც აქტა ნერონად თვლიდა. ტერენციუსი თავის თავს ეუბნებოდა, შესაძლებელია სულ მთლად ნერონად ვქცეულიყავი მის თვალში, მამაკაცობას რომ არ ეღალატნაო. მას ხინჯად ჩარჩა გულში, რომ მამაკაცური ძალა და აორტიპტული ნიჭი არ ეყო. არც ის დავიწყებია, აქტამ რომ მისი 'ბარავაიდედი—დიდებული შუქი, რომელსაც ლაბირინთში ასხივებდა, არ შეამჩნია. ძალიან კარგი, თუ ეს კახპა ამ ქვეყნად აღარ იქნება; მით უმეტეს, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც ამას მოითხოვს. ბუნებრივია, ყველაზე ადვილი საშუალება იყო, აქტა ჩუმად მოეკლათ, მაგრამ ასეთი მკვლელობა ერთობ უბრალო და ულაზათო გამოვიდოდა. ნერონის შურისძიება უფრო ნატიფი და დახვეწილი უნდა იყოს. მას მოაგონდა, რა ოსტატურად მოახერხა ნერონმა გემის ჩაძირვა, როდესაც ღედამისის მოკვლა უნდოდა. ტერენციუსი სულ იმის ნატვრაში იყო, რაიმე უბედური შემთხვევა მოეწყო და აქტა დაესახიჩრებინა, ისე, რომ ან სახე დამახინჯებოდა, ან მოხდენილი სიარული გაჰფუჭებოდა. ოღონდ ყველაფერი ისე უნდა მოეგვარებინა, რომ თვითონ აქტასაც ეჭვი არ აეღო და მარცხი უბედური შემთხვევისთვის დაებრალებინა.

ამასობაში აქტამ დაამთავრა გამგზავრების სამზადისი. მაგრამ გულჩვილ ქალს არ უნდოდა იმ კაცის უნახავად წასულიყო, რომელმაც მრავალი წლის სიცარიელის შემდეგ კვლავ აუვსო გული მაღალი გრძნობით. იგი გამოსათხოვებლად ეწვია ნერონს.

ნერონი ამ დროს ერთ მღვიმეში იყო, რომელიც მოშინაურებული ღამურებისთვის გააკეთა და თავის ფრინველებ-

თან საქმიანობდა რაღაცას. იგი უსიამოვნო განცვიფრებით შეხვდა აქტას სტუმრობას. მისი გეგმის მიხედვით უკეთესი იქნებოდა თუ აქტა გამოუმშვიდობებლად გაიპარებოდა. ასეთი შემთხვევისათვის ნერონს ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა, — ქალი ცოცხალი ვერ გააღწევდა მის სამფლობელოს. ახლა, როდესაც აქტა ასე წმინდა და მხიარული გამოცხადდა მასთან, ნერონი გაცეცხლდა, — ამგვარი სტუმრობა არ ეგუებოდა მის წარმოდგენას ქვეყნიერების შესახებ. და კიდევ უფრო შესძულდა ეს ქალი, რომელმაც მოლოდინი გაუცრუა და სინამდვილეში ისეთი არ გამოდგა, როგორიც ეგონა.

ერთხანს აცდევინა; მერე მიიღო, მაგრამ არა სასახლეში, არამედ ნახევრადჩაბნელებულ მღვიმეში. აჩრდილებივით დაფარფატებდნენ მისი ღამურები, ხანაც გამოშვერილ ადგილებს პოულობდნენ ჭერზე და ბრჭყალებით ეჭიდებოდნენ. საზარელი შესახედი იყო ჭერზე ჩამოკიდებული მრავალგვარი ჯიშისა და მრავალგვარი ფერის, სქელი ბუსუსებით დაფარული ფრინველები, რომელთაც ადამიანის ხელები, უზარმაზარი ყურები და ძაღლისა და მაიმუნის საშინელი დინგები ჰქონდათ. ნერონს ეგონა, აქტას დააფრთხობდა ეს შემაძრწუნებელი სანახაობა; მაგრამ მოტყუვდა, — აქტა უფრო გაკვირვებული ჩანდა. რაკი ეს იმედიც გაუცრუვდა და სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ვეღარც ნერონობას გაართვა თავი ამ უკანასკნელი შეხვედრის ჟამს. მართალია, მრავალი ნაღვლიანი სიტყვა დახარჯა, რათა სინანული გამოეთქვა ესოდენ ჩქარი განშორების გამო, კლასიკოსთა ციტატებიც წარმოთქვა — ნამდვილი ნერონიც კი ვერ წარმოთქვამდა უკეთესად, მაგრამ თვითონვე ატყობდა: ყველაფერი უბადრუკად გამოუდიოდა. აქტას კიდევ უფრო უბადრუკად ეჩვენებოდა მისი ნერონობა და უკვირდა, როგორ გაუღვიძა ასეთმა კაცმა გულში ამხელა გრძნობები. ის-ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ნერონს, როგორც იქნა, შთაგონება დაუბრუნდა და გულში აღმაფრენის ძალა ჩაუდგა. დიახ, მას ნამდვილი ნერონის სული ეწვია. იგი იმპერატორად იქცა და ეთხოვებოდა ადამიანს, რომელიც ძალიან მახლობელი იყო და არის კიდეც, მაგრამ ახლა იმპერატორს სურს, ისინი სიკვდილმა გაჰყაროს, მოსაუბრემ კი

ჯერ არაფერი იცის. მან ბნელი და იდუმალი ლაპარაკი დაიწყო ღამურების შესახებ. მოყვა, ოდისევსის მიერ დახოცილ სასიძოთა სულები ღამურებივით დასდევენ ქვესკნელში მიცვალებულთა წინამძღოლს ჰერმესსო; ჰომეროსის ციტატა მოიყვანა:

ვით ღამურები მღვიმეების კედლებზე ჯაჭვად
დაკიდებულნი, — რომელიმე თუ მოწყდა კლდეს და
ძირს დაენარცხა, — წრიპინებენ და ირევიან,
ასე კვალდაკვალ აჩრდილები მისდევენ ჰერმესს.

ბუნდოვნად და მრავალმნიშვნელოვნად ხუმრობდა, მარჩიელობდა, თუ ვისი სული იმყოფებოდა მათი ნაცნობი მიცვალებულებიდან ამა თუ იმ მანქანა ფრინველში. ხანდახან ბოროტად და თან ნაღვლიანი, ნაზი გამომეტყველებით, რომელიც ნაადრევი გაყრით გამოწვეულ სინანულს გამოხატავდა, შეანათებდა ხოლმე თავის ბეც თვალებს აქტას. იგი განასახიერებდა ნერონს, რომელმაც იცის, რომ დედამისი აგრიპინა და ცოლი ოქტავია სამოგზაუროდ მიდიან, მაგრამ უკან აღარასოდეს დაბრუნდებიან. მას უყვარდა ეს აგრიპინა, უყვარდა ოქტავია, უყვარდა აქტა, რადგან ისინი მისთვის მიცვალებულებს წარმოადგენდნენ; ელაპარაკებოდა მიცვალებულებს, რომელთაც თავი ჯერ კიდევ ცოცხალი ეგონათ, და ტკბებოდა ასეთი უჩვეულო ამბით. შეეძლო განსაკუთრებით გულთბილად მოპყრობოდა მიცვალებულებს, რადგან იცოდა ის, რაც მათ არ იცოდნენ, და ეს უპირატესობა ღვარძლიან სიხარულს ანიჭებდა. განსაკუთრებით გულთბილად ეპყრობოდა იგი აქტას.

აქტას შეეშინდა. პირველად სასაცილოდ ეჩვენა ეს კაცი, რომელიც ხელით ჰკვეცავდა და ეთამაშებოდა მოშინაურებულ ღამურებს. ახლა კი შეძრწუნდა. იგი იცნობდა ამ ნერონს, იცნობდა მის საზარელ, უსაზღვრო ბოროტებას. იცოდა, რა გატაცებით უყვარდა ნერონს ეს ჯოჯოხეთური თამაში. ახლადა მიხვდა, როგორ მოხდა, რომ სულის სიღრმემდე შეძრა ამ კაცმა. ტუჩის კუთხეებში პატარა, სიძულვილით აღსავსე, ალერსიანი, ბოროტზე ბოროტი ნაოჭები დაუნახა. და ტერენციუსში, რომელიც თავს იქცევდა ღამურებით, იცნო ნერონი, რომელიც თავს იქცევდა მიცვალებულებით, იმ ქვეყნად აგზავ-

ნიდა მათ. იცნო ნერონი და მიხვდა, რომ განწირული იყო. აქტამ სიკვდილის ცივი ქროლვა იგრძნო და შეძრწუნებული გაეცალა იქაურობას.

არც ნერონს, არც ტრებონსა და არც კნოპსს ვარონისა და მეფე ფილიპესათვის არ გაუმხელიათ, რა ბედი ელოდა აქტას. ნერონმა იცოდა, რომ ეს ორი კაცი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა მისი გეგმა ჩაეფუშათ. მაგრამ, თუმცა განზრახვას საბოლოოდ ინახავდნენ, ვარონმა და მეფე ფილიპემ ყოველივე შეიტყვეს და, როგორც კი აქტა იმპერატორს გამოეთხოვა, სენატორმა დაჟინებით მოითხოვა, — ნერონთან შემიშვითო.

— ჩემდა სამწუხაროდ, — უთხრა მან ნერონს, — გავიგე, რომ კლავდია აქტა მიდის.

— დიახ, ჩემო ვარონ, — თავაზიანად მიუგო ნერონმა, — ვერაფერი გავაწყვეთ, — ვერც თქვენ დააკავეთ და ვერც მე.

— რაკი არ დაიშალა და მიდის, ჩვენი ვალია, რაც შეიძლება გავუადვილოთ მგზავრობა ესოდენ მშვენიერსა და ღირსეულ მანდილოსანს.

— დიახ, ასე უნდა ვქნათ.

— ერთ ჩემ ეტლს დავუთმობ, — თითქოს სხვათაშორის უთხრა ვარონმა, — და ას კაცს გავაყოლებ საპატიო მცველად.

— სამწუხაროდ, დაგაგვიანდათ, ჩემო ვარონ, — სინანულით უპასუხა იმპერატორმა, — მე თვითონ მივეცი ეტლი და მცველთა რაზმიც გამოვუყავი.

სენატორს ოდნავ გადაკრა სიფითრემ.

— დიდად დამავალებთ, თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა მან, — თუ ნებას დამრთავთ, ეს პატარა სამსახური გავუწიოთ ჩვენს კლავდია აქტას. ძველი ვალი მაქვს მისი, გარდა ამისა, — თვალები აუციმციმდა ვარონს და მის ხმაში ცბიერმა შინაურულობამ გამოჟონა, — თქვენი უდიდებულესობა ხომ მთელ კვირებს მასთან ინტიმურ სიახლოვეში ატარებდა.

ტერენციუსი გაცოფდა ამ გადაკრული სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— ვერა, ჩემო ვარონ, — გაიღიმა მან და ბეჭზე დაჰკრა ხელი, რაც აქამდე არასოდეს გაუბედავს, — არაფერი გამოვა

.მე მინდა, წასვლის წინ ეს უკანასკნელი სამსახურიც გავუწიო აქტას.

მიუხედავად თავაზიანობისა, ნერონის ხმაში ისეთი მუქარა მოისმა, რომ ვარონი მოერიდა მის გაღიზიანებას და ვერ გაბედა ბეჭზე დადებული ხელი მოეშორებინა.

— დამითმეთ. — კიდევ უფრო დაჟინებით სთხოვა მან, — მეშინია რაიმე ხიფათი არ შეემთხვეს და ამიტომ მინდა, ჩემი ყოვლად სანდო ხალხი გავაყოლო საზღვრამდე. გზები საიმედო არაა ამ ბოლო ხანებში.

— როგორ გგონით, ვარონ, ჩემი ხალხი არ არის სანდო? — ჰკითხა ნერონმა.

— მე მგონია, ჩემი ხალხი უფრო სანდოა, — მიუგო ვარონმა.

— თქვენ მეტისმეტად თამამი ხართ, ჩემო მეგობარო, — უთხრა ნერონმა და მეფური სახე ოდნავ მოიპირქუშა, — ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი საბუთის შემდეგ უფრო გულისხმიერად მოვეკიდები თქვენს თხოვნას?

ვარონმა თავი შეიკავა.

— წარმოიდგინეთ, — კიდევ ერთხელ სთხოვა ვარონმა, — რა ჭორაობა და მითქმა-მოთქმა დაიწყება, ჩვენს აქტას რომ გზაში რაიმე დაემართოს. მთელი ქვეყანა იმას იტყვის, აქტამ ნერონში ვიღაც მექოთნე ტერენციუსი გამოიცნოო. საარაკო დღესასწაული დაუდგებათ ცეიონისა და პალატინის ხალხს. აქტამ მშვიდობით უნდა მიაღწიოს საზღვარს, — შეეეედრა ივი.

— კიდეც ამიტომ ვატან მცველად ჩემ ხალხს, — ალერსიანი ღიმილით მიუგო ნერონმა.

აქ კი მეტი ვეღარ მოითმინა ვარონმა. მიუახლოვდა ტერენციუსს და პირში მიახალა:

— ცუდად წავა საქმე, აქტას რომ შენი ხალხი გაჰყვეს, შენთვისაც ცუდად წავა. არა, არ გაყვება აქტას შენი ხალხი.

ვარონი ხმადაბლა ლაპარაკობდა, და მაინც ისეთი მტკიცე, გამძვინვარებული კილო ჰქონდა, ტერენციუსს შეეშინდა. მაგრამ არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ იგი ახლა ვარონისათვის ტერენციუსი იყო და არა ნერონი, და ჰკითხა:

— რას იზამ, რითი შეუშლი ხელს?

— შენს მაწანწალებს როგორ ჩავუგდებ ხელში აქტას! — უპასუხა ვარონმა, — უმჯობესია ვათქმევინო, ვინცა ხარ. ვინმე კაიასაც ვათქმევინებ შენს ამბავს; თვითონ ვარონიც იტყვის.

ტერენციუსი გაფითრდა. მაგრამ ნერონობა შეინარჩუნა და მსუბუქი ტონით განაგრძო საუბარი, როგორც იმპერატორმა, რომელიც თავის მეგობარს აღიზიანებს.

— ვარონი ძალიან აღელდა, — გაიღიმა მან, — პატარა გოგოს გამო. ჯერ არ მინახავს ასე აღელვებული. რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ ეცოდინებოდა ასეთი სიყვარული! მიჯნურს ვაპატიებ კადნიერებას. მაგრამ თხოვნას კი, სამწუხაროდ, ამჯერად ვერ შეგისრულებ, — ოდნავი დაცინვითა და ოდნავი სინანულით, ლვარძლიანად დაასკვნა მან, — შენ კი არ მისცემ, მე მივცემ აქტას გამცილებელ რაზმს.

ტერენციუსი მოელოდა, რომ ვარონი გაცეცხლდებოდა, გაცოფდებოდა, მოელოდა, რომ აფეთქება მოხდებოდა. იგი მზად იყო საამისოდ: ერთხელაც იქნებოდა, მაინც უნდა გადაეხადა ასეთი ბრძოლა. მას ჭირივით სძულდა აქტა, ჭირივით სძულდა ვარონი და სწორედ ამის იმედით აპირებდა მასთან შებმას,—სჯეროდა, რომ ამ სიძულვილის წყალობით დაამარცხებდა მას და თავის ნერონობას დაიცავდა.

მაგრამ ვარონი არ გაცეცხლებულა, არ გაცოფებულა. პირიქით, სრულიად გაქრა მის სახეზე სიბრაზის კვალი. ოდნავ უკან დაიხია, რათა თავისი შორსმხედველი თვალებით უკეთ დაენახა ტერენციუსის სახე, ტუჩებზე საოცრად ამპარტავნული გამომეტყველება აღებეჭდა, გულკეთილი ზიზღით გაიღიმა და, თავისი სიტყვების ზემოქმედებაში და მოსაუბრის მორჩილებაში დარწმუნებულმა, ყოველგვარი ტონის გარეშე მიუგო ქმნილებას:

— ქუცი, ტერენციუს. — და გავიდა.

ტერენციუსი იდგა გახევებული, უძრავი, გაფითრებული, სახემოღრეცილი, და თვალს აყოლებდა მიმავალ ვარონს. მერე, ცოტა ხნის შემდეგ ერთბაშად ამოიგდო თავიდან ვარონის უგუნური სიტყვები. ეს შეუძლებელია, ტერენციუსს არ სურდა ამის გაგონება. ეს რომ მართლა მომხდარიყო, ეს რომ მართლა გაეგონა, საშინელი იქნებოდა მისი შურისძიება,

საარაკო იქნებოდა. ვარონსაც, აქტასაც, კაიასაც გამოიყვანდა და საჯაროდ დასჯიდა, — არნახული საშუალებებით აწამებდა. მაგრამ ეს არ შეუძლია. ჯერ კიდევ არ შეუძლია. მაშასადამე, არაფერი გაუგონია, არაფერი მომხდარა.

კლავდია აქტა გაემგზავრა ვარონის მიერ გამოყოფილ მცველებთან ერთად და მშვიდობით ჩავიდა ანტიოქიაში და რომშიც.

14

„შარავანდედი"

იმპერატორს თავი ისე ეჭირა, თითქოს აქტას წასვლა სულაც არ ენაღვლებოდა. კიდევ უფრო ღრმად შეიმალა „შარავანდედის" ნიღაბში, კიდევ უფრო განიმტკიცა საკუთარი დიდების რწმენა.

იგი ნერონივით ფუფუნებაში ჩაეფლო, ფული ჰქონდა: დაპყრობილი სირიული ქალაქებიდან პროცენტები შემოდიოდა, ქონებას ართმევდნენ საზოგადოებებსა და ცალკეულ პირებს, რომელთაც ტიტუსის მომხრეობა ედებოდათ ბრალად; გარდა ამისა, არტაბანი, მეფე ფილიპე, სხვა მთავრები და ქურუმები, შუამდინარეთისა და არაბეთის შეიხებიც უხვად ამარაგებდნენ. ახლა ნერონს შეეძლო თავის გატაცებას აჰყოლოდა და კოლოსალური მშენებლობა წამოეწყო. დიდებულად აღადგინა წყალდიდობით დაზიანებული აპამეა და სახელად ნერონია უწოდა. სტადიონი მოაწყო იქ, თეატრი; ტაძარი აუგო თავის გენიას. ქალღმერთ ტარატესაც ახალი, ბრწყინვალე ტაძარი დაუდგა.

ამავე დროს თავისი უდიდესი ოცნების განხორციელებას შეუდგა: კლდე, რომელიც ქალაქ ედესას გადმოჰყურებდა, გიგანტურ ბარელიეფად უნდა ექციათ და ზედ, როგორც ძველ აღმოსავლეთში იცოდნენ, იმპერატორის სახე გამოეკვეთათ და უკვდავეყოთ. ღმერთების ტოლ იმპერატორებს, ჩვეულებრივ, ასე ხატავდნენ: არწივზე გადამჯდარი იმპერატორი ზე-

ცისკენ მიჰქრის. მაგრამ ნერონმა ეს არ ისურვა და მოქანდაკეებს უფრო თამამი მოტივი მისცა: მათ უნდა შეექმნათ ღამურაზე ამხედრებული იმპერატორის უზარმაზარი გამოსახულება. თანაც გამოსახულება რეალისტური უნდა ყოფილიყო, ნერონის ნაკვთები არამც და არამც არ შეელამაზებინათ და ფრინველის საძაგელი, შემზარავი სახე და მაიმუნური კლანჭები ზუსტად ისეთივე შემაძრწუნებელი უნდა გამოსულიყო, როგორიც სინამდვილეში იყო.

იმპერატორის მრჩევლები თავს იქნევდნენ, ნერონმა რომ ასეთი კადნიერი სიმბოლო აირჩია. მართალია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ბედნიერების ნიშნად თვლიდა ღამურას, მაგრამ ისეთებიც ბლომად იყვნენ, რომელთა წარმოდგენაში ამ სიმბოლოს სიკვდილი და საიქიო უკავშირდებოდა.

ნერონს ეცინებოდა ამაზე. რა სიკვდილი, რის საიქიო? ცრუმორწმუნეობა და უგუნურებაა! განა ნერონი ერთი კლასიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულით ხორცამდე იმპერატორი“ არაა? რასაც ის ფიქრობს, რასაც ის გრძნობს, ყოველივე იმპერატორულია, ყოველივე ღვთაებრივია. მისმა დემონმა, მისმა შინაგანმა ხმამ ღამურას მოტივი ურჩია, შინაგან ხმას კი, აბა, რა მიზეზები დაუდგება წინ?

იგი უზომოდ თამამი იყო, როგორც ნერონი თავისი ცხოვრების საუკეთესო ხანაში. ბრძანება გასცა პართიელთა მეფეთმეფის მსგავსად მის წინ შარავანდედის სიმბოლოდ სანთელი ეტარებინათ, რაც აქამდე არც ერთ რომაელ იმპერატორს არ გაებედა. მერე ოქროს ფული მოაჭრევინა, რომელზედაც მისი სახის ორმაგი პროფილი გამოაკვეთინა, რითაც კადნიერად მიანიშნებდა, რომ იგი ორგზის იმპერატორი იყო — მკვდარი და შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი, როგორც ღმერთი ოსირისი. ძლივს გადაადებინეს ამ ფულის გამოშვება მინისტრებმა, რომელთაც ეშინოდათ, ორმაგი ნერონი ღვარძლიანი ხუმრობის საბაბს მისცემს გამქირდავ სირიელებსო. თვითონ ნერონს კი ძალიან უყვარდა ეს ორმაგი გამოსახულება და ხშირადაც ათვალიერებდა.

როგორც პირველი ნერონი მსახიობობდა საბერძნეთის ქალაქებში, ისე ეს ახალი ნერონიც საჯაროდ გამოდიოდა სამო-

სატის, ლარისას, ედესის თეატრებში და სიხარულით იბადრებოდა, როდესაც პირველობის გვირგვინს მიაკუთვნებდნენ. ხალხი ზეიმობდა, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, საყვარელ იმპერატორს რომ სცენაზე ხედავდნენ; და იმპერატორიც. ვაი აღფრთოვანებითა და საკუთარი დიდებით ფრთებშესხმული, თავისსავე თავზე მაღლდებოდა.

მას ახლა სიამოვნებას ჰგვრიდა სახიფათო მეგობართან, ვარონთან, შეხვედრა. ვარონს არ გაღიმებია, ლაბირინთის საიდუმლო რომ მოისმინა. ვარონმა ირწმუნა. ვარონმა იცოდა, რომ ნერონს თანდაყოლილი ჰქონდა „შარავანდედი". ნერონი ცდილობდა კიდევ და კიდევ გაემეორებია ეს მისთვის. აღიზიანებდა, უკირკიტებდა, აბა, ერთი წარსულს თუ გაიხსენებს, ამასწინდელ შეხლა-შემოხლაზე თუ გადამიკრავს სიტყვასო. მაგრამ ვარონი სრულ მორჩილებას იჩენდა, იგი კარისკაცი იყო, რომელსაც ბედნიერებას ანიჭებდა მისი უდიდებულესობის წინაშე წარდგომა. „ქუცი, ტერენციუს" არასოდეს არ თქმულა. ხანდახან ნერონს მისი მითითება სჭირდებოდა, თუ როგორ დაეჭირა თავი ამა თუ იმ შემთხვევაში. ვარონი მოკრძალებით აძლევდა რჩევას. ნერონი ამ რჩევას მისდევდა, მაგრამ როდესაც ვარონი მასთან იყო, მაშინ განგებ გადაუხვევდა ხოლმე.

მისი ქარაგმები სულ უფრო თავხედური ხდებოდა. ერთხელ სენატორი იმ დროს შევიდა, როდესაც იგი ღრმად დაფიქრებული დასცქეროდა ოქროს ფულს, რომელზედაც ორმაგი გამოსახულება იყო აღბეჭდილი.

— გულახდილად მითხარით, — მიუბრუნდა იგი ვარონს, — როგორ გგონიათ მეტისმეტად ამპარტავნული არაა ეს ნიშანი?

— ეს არის ზვიადი, თამამი სიმბოლო, — მშვიდად მიუკო ვარონმა და ნამდვილი სახიდან ოქროს სახეზე გადაიტანა მზერა.

ნერონ-ტერენციუსმა ოცნებითა და თვითკმაყოფილებით წარმოთქვა:

— დიახ, ჩემო ვარონ, კაცი ღამურებთან უნდა ჩავიდეს, ასეთი ბრძნული სითამამის გამოჩენა რომ გაბედოს.

ღამურაზე გადამჯდარი ღმერთი

თუმცა ნერონის მმართველობა გარეგნულად მყარი ჩანდა, შინაგანი წინააღმდეგობები თანდათან იზრდებოდა. იმ მხარეებში, რომელთაც ნერონი განაგებდა, ცუდად მიდიოდა საქმე. მართალია, ქვეყნის შიგნით წესრიგიანობა იყო, მაგრამ ამას მუშტითა და ძალადობით აღწევდნენ.

ქალაქების მთავარ მოედნებზე ქვისა და ბრინჯაოს დაფები იდგა, ზედ დიდი ამბით იყო აღნუსხული პრივილეგიები, რომლებსაც ნერონი მის მიერ შემოერთებულ ქალაქებსა და სახელმწიფოებს ანიჭებდა. მაგრამ ჯერჯერობით ეს ცარიელი სიტყვები იყო. ჯერჯერობით ახალი იმპერატორი გაცილებით უფრო მძიმე ტვირთად აწვა შუამდინარეთის წვრილ-წვრილ სამთავროებს, ვიდრე ძველი ხელისუფლება. მთავრები მოიჯარეებსა და მეწარმეებს გადაულოცავდნენ ხოლმე ამ ტვირთს, ისინი გლეხებსა და ხელოსნებს ჩააბარებდნენ, გლეხები და ხელოსნები კიდევ, თავის მხრივ, მონებს აჰკიდებდნენ და ამგვარად ყველა გრძნობდა ტვირთის სიმძიმეს.

ვაჭრობის საქმეც ცუდად წავიდა. რომი მტკიცედ იცავდა სირიის საზღვრებს. ქარავნები, რომელთაც ჩინური აბრეშუმი, არაბული სანელებლები, მეწამული ზღვის თვალმარგალიტი და ინდური ნაწარმი მიჰქონდათ რომში, რათა იქაურ პროდუქტებზე გადაეცვალათ, ახალ გზებს ეძებდნენ. მესოპოტამიის უმთავრესი შემოსავლის წყაროები ამოიწურა.

ხალხი ნერონისაგან სიმდიდრესა და ფუფუნებას მოელოდა. ასე ეგონათ, როგორც კი რომის ხარკსა და ბეგარას მოვიშორებთ, პურის მაგივრად ნამცხვარს ვჭამთ და წყლის მაგივრად ღვინოს დავლევთო. მაგრამ ნერონი მოვიდა, ნამცხვარი კი არსად ჩანდა; პირიქით, პურიც გაძვირდა და ღვინოშიაც უფრო და უფრო მეტ წყალს ურევდნენ. ცხადია, ვისაც უშუალოდ ნერონთან და მის მახლობლებთან ჰქონდათ საქმე, ისინი კარგს სვამდნენ და კარგს ჭამდნენ, გავლენასაც იხვეჭდნენ და ფულსაც ბლომად შოულობდნენ. ასეთი ხალხი კი ცოტა როდი იყო: ნერონის მოხელეები და მომმარაგებლები, ჯარი და

პოლიცია, ისინი, ვისაც იმპერატორისა და მისი ხალხისათვის გზები გაჰყავდათ, ციხეებსა და სასახლეებს აშენებდნენ, ისინი, ვინც მის ჯარს ტანსაცმელს უკერავდა და იარაღს უმზადებდა. ათი კაციდან ერთი მაინც იყო ასეთი. მაგრამ შემწვარი და მოხრაკულები, რომელსაც ეს მეათე მიირთმევდა, დანარჩენი ცხრა კაცის პირიდან იყო გამოგლეჯილი.

უკმაყოფილებისა და მუქარის ხმები არა წყდებოდა. იოვანე პატმოსელი, წმინდა მსახიობი, ძველებურად უდაბნოში იმალებოდა და განაგრძობდა თავის ბნელ წინასწარმეტყველებას. მისი ნალაპარაკევი აფორიაქებდა ხალხს. უკვე აღარავის სჯეროდა, რომ ქალაქ პომპეას წყალდიდობა მართლა ქრისტიანების მოწყობილი იყო. ხოლო კლავდია აქტას, ხალხის საყვარელი ქალის, რომში დაბრუნებამ ახალი იმპერატორის ნერონობაში დააეჭვა ხალხი. კნოპსისა და ტრებონის მიერ გაძარცულებსა და აგრეთვე რაიმე სხვა გზით შეურაცხყოფილებსა და გამწარებულებს სძულდათ ნერონი და დრტვინავდნენ მის წინააღმდეგ. მოკლულებს მეგობრები და მომხრეები რჩებოდათ, რომლებიც ვერ ისვენებდნენ და შურისძიებისათვის ემზადებოდნენ.

ამას ზედ დაერთო გამუდმებული ქიშპობა და კინკლაობა, ერთი მხრით, ტრებონის ოფიცრებსა და მოხელეებს, და მეორე მხრით, ადგილობრივ მოქალაქეებსა და სამხედრო პირებს შორის. რომაელი ოფიცრები ძველთაგანვე ცხვირს იბზეკდნენ თავიანთი აღმოსავლელი ამხანაგების წინაშე, „დამხმარე ჯარს“ ეძახდნენ მათ. ახლაც ასევე მედიდურად დაჰყურებდნენ ადგილობრივ გენერლებს. ფილიპე და მალუქი აღშფოთებული იყვნენ იმის გამო, რომ ნერონი განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, ხოლო მისიანები ესოდენ თავაშვებულად და უტიფრად იქცეოდნენ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ მათი წყალობით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება რომის იმპერატორმა და მათი წყალობითვე ინარჩუნებდა ამ ძალაუფლებას. კბილთა ღრჭენით უყურებდნენ ისინი, რომ ეს თაღლითები, ბრიყვები და ყაჩაღები, რომელთაც იმისთვის მოუხმეს, რომ თავიანთი სუვერენიტეტი და ძველი სამფლობელოები შეენარჩუნებინათ, ახლა თავზე წამოსხდომას უპირებდნენ. ფილიპე და მალუქი

ჯარეგნულად დიდი თავგამოდებით იცავდნენ ნერონს, სინამდვილეში კი ნელი, ქვეშქვეშა, აღმოსავლური ომი გაუმართეს. ვარონი, რაც კი შეეძლო, ცდილობდა წინააღმდეგობა აღმოეფხვრა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა: დასავლელი და აღმოსავლელი ოფიცრებისა და მოხელეების ურთიერთ სიძულვილს თავისი გაჰქონდა.

ნერონ-ტერენციუსი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ სიძნელეებს. მას აბრუებდა ლამაზ-ლამაზი სიტყვები, როგორიცაა „იმპერია, ძალაუფლება, არმია, ხალხი, აღმოსავლეთი“. მაგრამ, არსებითად, პოლიტიკა და მეურნეობა ნაკლებად იტაცებდა, მხოლოდ იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მაღალფარდოვანი მჭევრმეტყველების მასალად გამოადგებოდა. იმპერატორობა, ბელადობა მისთვის ნიშნავდა წარმოდგენებს, ხალხის თავშეყრას, პარადებს, მშენებლობას, ბრწყინვალე ნადიმებს, ძალაუფლებას, შარავანდედს, უპირველეს ყოვლისა კი სიტყვის წარმოთქმას. პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებს ზვიადად უვლიდა გვერდს, თავს იქნევდა და „შარავანდედს“ ეფარებოდა; დარწმუნებული იყო, თუ მართლა რაიმე სერიოზული საფრთხე გამოჩნდებოდა, თავისი შინაგანი ხმა სწორ გზას უჩვენებდა.

გულით მხოლოდ ერთ რაიმეს ეკიდებოდა: თავისი დიდებულების დაცვას. ხელახლა გამოსცა და კიდევ უფრო განამტკიცა იმპერატორის შეურაცხმყოფლის წინააღმდეგ მიმართული კანონი, რომელიც ფლავიუსებმა გააუქმეს. სენატს სასამართლო უნდა მოეწყო და მკაცრი სასჯელი გამოეტანა ასეთი ჯურის დამნაშავეებისათვის, როგორც ეს ტიბერიუსისა და კალიგულას დროს ხდებოდა. მკაცრი წესები შემოიღეს. იმპერატორის გარდა არავის ჰქონდა უფლება მხედველობის გასაუმჯობესებლად ზურმუხტი ეხმარა აკრძალული იყო იმპერატორის ქანდაკების მახლობლად გინება და ბოყინი. ისჯებოდა ყველა, ვინც კი ამ კანონს სულ ოდნავ მაინც, თუნდაც შემთხვევით დაარღვევდა. მოხშირდა მაბეზღარობა.

სწორედ ამ კანონმა გააჩანაგა ხალიჩებით მოვაჭრე ნიტაი. იგი ბევრ ფულს ახმარდა სპორტს. თავის ვილაში მშვენიერი სათამაშო ასპარეზი მოაწყო, სადაც ვარონი და პოლკოვნიკი

ფრონტონი ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს; ხელოვნების განვითარებისთვისაც იღწვოდა, მაგრამ, ერთხელ, უდროო დროს გამოიჩინა მომჭირნეობა: წითელ ქუჩაზე კერამიკულ ქარხანას მითრას ქანდაკება შეუკვეთა და შემდეგ აღარ შეიძინა, რადგან მოქანდაკეებს წინასწარ ნავარაუდევი თანხა არ ეყოთ და ფასი მოუმატეს. ახლა მას უჩივლეს, ვითომდა, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად რომ მიდიოდა, თითიდან არ მოიძრო ბეჭედი, რომელზედაც იმპერატორის გამოსახულება იყო აღბეჭდილი. სენატმა მას გადასახლება მიუსაჯა. მაგრამ იმპერატორი იმას დასჯერდა, რომ ქონება ჩამოართვა. ნერონი და კნოპსი სიცილით იხოცებოდნენ: ახლა ველარ შეავიწროვებს ხალიჩებით მოვაჭრე ნიტაი პატიოსან მექოთნეებს, როდესაც მის მიერ ნავარაუდევი ორიოდე გროში არ ეყოფა შეკვეთილი ნივთის დამზადებასო.

ნერონმა თავისი მამაკაცური უძლურობის გამო შექმნილი ლაპარაკიც „შარავანდედის“ შეურაცხყოფად მიიჩნია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბრძანების გამოცემით ვერავის გააჩუმებდი, ამიტომ სხვა ხერხს მიმართა: ყოველ კუთხიდან მოჰყავდა ქალები, როგორც წარჩინებული გვარიშვილები, ისე მდაბიორები, და თავის საწოლ ოთახში შეჰყავდა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ქალები ქრებოდნენ. ატყდა მითქმა-მოთქმა და ჩურჩული. ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს ღმერთებს შეშურდათ ნერონის ბედნიერება და სიყვარული აღუკვეთეს: ყოველ ქალს, რომელსაც იგი შეეხებოდა, კლავდნენ, როდესაც იმპერატორმა ზეცის წყალობით ხელახლა მოიპოვა ძალა-უფლება, მას იმედი მიეცა, რომ ეს წყევლაც გაუქმდებოდა. მაგრამ როგორც ჩანს, წყევლა ისევ ძალაში დარჩა. იმპერატორმა გადაწყვიტა, საბოლოოდ ხელი აეღო ქალებზე. სწორედ ამიტომ მოიშორა აქტაც, თუმცა ძალიან უყვარდა; შეეშინდა, ვაი თუ წყევლამ მასზეც იმოქმედოსო და გაუშვა თავის სამფლობელოდან.

ზოგიერთებს მართლა სჯერდათ ეს ამბავი.

ნერონი მტკიცედ და ბედნიერად გრძნობდა თავს. ასე ეგონა, მისი ძალაუფლება არასოდეს შეირყეოდა. იბარებდა პარადებს, ჯარი აღფრთოვანებული ყიჟინით ეგებებოდა. ევფრა-

ტის პირას, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, აღიმართა ქალაქი ნერონია. მისი სამფლობელოს ყველა ქალაქში შენდებოდა თეთრი და ოქროსფერი სასახლეები. შარავანდედი მასთან იყო, სანთელი მუდამ წინ უძღოდა. უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ლაბირინთი ნათდებოდა, როდესაც შიგ იმპერატორი შებრძანდებოდა. დადიოდა თავის ხელოვნურ მღვიმეში, კვებავდა ღამურებს, რომელთა სხეულში იმათი სულები იყო დამკვიდრებული, ვინც მან იმ ქვეყნად გაისტუმრა. ებაასებოდა ამ სულებს. კმაყოფილი და ბედნიერი სახით ათვალიერებდა ოქროს ფულზე გამოკვეთილ ორმაგ გამოსახულებას. სულ მთლად გაეხვია თავის „შარავანდედში“.

ხოლო მდინარე სკირტოსის ნაპირას, ედესის თავზე აღმართულ კლდეზე, დღითიდღე უფრო მკაფიოდ ჩანდა ღამურაზე გადამჯდარი ნერონის გამოსახულება. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ მაყურებლები, შესცქეროდნენ მუშებსა და ბარელიეფს. იმპერატორს მითრას ქანდაკებაზე მეტად მოსწონდა ეს გამოსახულება. ხალხს კი, შესაძლოა, შიშს უნერგავდა იგი, შესაძლოა, სიცილს ჰგვრიდა. ეს არავინ იცოდა. იმიტომ, რომ გამოსახულების მახლობლად კრინტის დაძვრას ვერ ბედავდნენ კნოპსისა და ტრებონის ჯაშუშების შიშით.

გამოსახულება კი ნელა-ნელა მთავრდებოდა. მალე გახსნის დღეც დათქვეს: ოცდაერთი მაისი.

16

რადიკალური ზომა

ბოლო ხანებში კნოპსი ხშირ-ხშირად დადიოდა თავის სიმამრთან, მექოთნე გორიონთან, რათა მისგან დაწვრილებით გაეგო, რას ფიქრობდა ხალხი ნერონზე. იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა გორიონის ტლანქი ფამილიარულობა, იგი ატყობდა, რომ ხალხს უკვე ელეოდა მოთმინება.

მალე სიმამრი, ალბათ, იმდენად გათავხედდება, სამი გულისამრევი „კ“-ს უსირცხვილო ანდაზასაც კი გაუხსენებს. თავის გულში, ეჭვი არაა, დიდი ხანია ამბობს კიდეც,

არა, კნოპსი არც თვალს არიდებს და არც ყურს უყრუებს სიძნელეს, რომელიც დღითიდღე უფრო სახიფათო ხდება. მეტისმეტი გაბედულება ხომ არ მოუვიდა, როდესაც გადაწყვიტა, ანტიოქიის აღებას დავუცდიო? უფრო ჭკვიანური საქციელი ხომ არ იქნება, არაფერსაც არ დაუცადოს და ახლავე ისკუპოს ნერონის ეტლიდან?

მაგრამ ერთი გარემოება აკავებდა: პატარა გოგო, მისი ცოლი, ჩაფსკვნილი, პუტკუნა იალტა ორსულად იყო. კნოპსი სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა: ხუმრობა საქმე ხომ არაა, კანონიერი, თავისუფალი, მდიდარი ვაჟი უნდა შესძენოდა, გაქნილი და მკლავმაგარი, ბედნიერი კლავდიუს კნოპსი. იგი უხეშად ეალერსებოდა თავის იალტას, მომავალი კლავდიუს კნოპსის დედას. თავს დაახვია ექიმები, მექისეები, მოახლეები. უწმაწურად იგინებოდა, როცა იალტა კიტრის წნილს, ან სხვა რაიმე მეავე საჭმელს მოითხოვდა და უარს იტყოდა ნუშისა და ასლის ტკბილ ნამცხვრებზე, რომელიც მის ვაჟს ხალხის თვალში პატივისცემას მოუპოვებდა. არა, არ შეიძლება ახლა გაქცევა; ცოტა ხანსაც უნდა გაძლოს პატარა კლავდიუს კნოპსის გულისათვის. ერთი გაბედული ნაბიჯიც უნდა გადადგას და თავის ბიჭუნა ოქროს კედლით დაიცვას ყოველგვარი ხიფათისაგან, რომელიც კაცს ამ ქვეყნად მოელის. როდესაც ხალიჩებით მოვაჭრე ნიტაის ქონება ჩამოართვეს, კნოპსმა კარგა გვარიანად მოითბო ხელი, მაგრამ კიდევ არა ერთი და ორი მსუქანი ლუკმა იკარგებოდა უქმად. უმთავრესი მათ შორის იყო ვინმე ჰირკანი, საშინლად ძუნწი მოიჯარე, რომელმაც, როდესაც ნერონის გენიას ტაძარს უგებდნენ, იმდენი ფული არ გაიღო, რამდენსაც მისგან მოელოდნენ. განა ეს საკმარისი საბუთი არაა იმის დასამტკიცებლად, რომ ძალიან მდიდარი ჰირკანის ფული უადგილო ადგილზე ინახება? კნოპსის მოვალეობაა, უკეთესი ადგილი მიუჩინოს მას: წამოიღოს და პაწაწკინტელა, ფუნჩულა ხელებში ჩაუდოს თავის მომავალ ვაჟს, კლავდიუს კნოპსს.

არა, სანამ ამ საქმეს არ გაჩარხავს, მანამ ნერონს ვერ მიატოვებს. მაგრამ თუ ნერონთან დარჩა, სასწრაფო ზომები

უნდა მიიღოს და დროზე ჩააბშოს ხალხის დრტვინვა, რომელიც სულ უფრო იზრდება და სახიფათო სახეს იღებს. სხვებს არა აქვთ ამის თავი, ფანტაზია არ გააჩნიათ, ვერც იმას ხედავენ, რამხელა საშიშროება უახლოვდებათ და ვერც მის საწინააღმდეგო საშუალებას გამოძებნიან. ისევ კნოპსმა უნდა მონახოს რაიმე გზა. მას ათასნაირი იდეები ებადებოდა. ბოლოს ერთზე შეჩერდა, რომლითაც ორივე საქმეს მოევლებოდა: თავის ნერონსაც გადაარჩენდა და თავის კლავდიუს კნოპსსაც კაი მსუქან ლუკმას უშოვნიდა.

ყოველმხრივ აწონ-დაწონა ეს გეგმა. იგი ჩინებული ჩანდა, თამამი და რადიკალური, თუმცა ვარონი და მეფე ფილიპე რომ მოაგონდებოდა, ცხადია, საგონებელს ეძლეოდა: ისინი ათასგვარ საბაბს გამოუნახავენ და ხელს შეუშლიან. ვარონთან ისედაც გამუდმებული შეხლა-შემოხლა აქვს. სამაგიეროდ ტრებონი სიხარულით დაეთანხმება. სამწუხარო კია, ტრებონს რომ უნდა დაუკავშირდეს და მასთან ერთად იმოქმედოს. იგი ეჭვიანობდა, ასე ეგონა, ნერონს ჩემზე მეტად ტრებონი უყვარსო, გარდა ამისა, შურდა, ტრებონმა რომ ხალხში ამხელა გავლენა მოიპოვა. ისიც ეხარბებოდა მონობაში გაზრდილს, ტრებონი რომ ესოდენ მშვიდად და ბუნებრივად იძლეოდა ბრძანებებს. არა და რა ექნა? — მარტო მისულიყო ნერონთან, ვაი, თუ ვერ დაეყოლიებინა. ესეც არ იყოს, სამხედრო საქმეში გამოცდილი კაცი მაინც საჭირო იყო, მაგარი კაცი, რომელიც ავტორიტეტულად გასცემდა ბრძანებას, დისციპლინას დაიცავდა და სისხლის დანახვაზე არ დაფრთხებოდა.

ტრებონი ადვილად დაითანხმა. იგი თვითონაც დიდი ხანია იმის ნატვრაში იყო, რაიმე დანებისა და ხანჯლების კვირის მსგავსი გაემეორებინათ.

ისინი ერთად შევიდნენ ნერონთან.

კნოპსმა დაიწყო: არსებითად, ხალხს ისევ ისე უყვარს ნერონი, როგორც გამეფების ჟამს უყვარდა. და თუ მაინც უკმაყოფილებას ამჟღავნებს, ამაში ბრალი მიუძღვის შურიანებისა და ცილისმწამებელთა პატარა ჯგუფს, იმ ხალხს, რომელიც ნერონს ტახტზე ასვლისთანავე განუდგა და, აგრეთვე, იმათ, ვინც თავიდან აღფრთოვანებული ყიჟინით შეეგება, შემდგომ-

ში კი უზომო სიხარბის გამო გული ისე ვერ გაიძღო, რო-
გორც განზრახული ჰქონდა და ახლა ხალხს აქეზებს იმპერა-
ტორის წინააღმდეგ. ბევრნი არ არიან, მაგრამ დიდ-დიდი
თანამდებობა უჭირავთ, სიტყვა უჭრით, ფული და გავლენა
აქვთ. ისინი რომ თავიდან მოვიშოროთ, ჰაერიც გაიწმინდება.
იმის შემდეგ, რაც ქრისტიანობის წინააღმდეგ გამართულ პრო-
ცესზე მწარე გამოცდილება მივიღეთ, უმჯობესია ფრთხილად
ვიმოქმედოთ და ამჯერად მტრებსა და ცილისმწამებლებს
სწრაფად, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე გავუსწორდეთ;
ერთბაშად, წინასწარ დანიშნულ ღამეს მოვიშოროთ სუყველა.
იურიდიულად ასეთი საქციელი, ეჭვი არაა, გამართლებულია.
იმპერატორი უზენაესი მსაჯულია და უფლება აქვს, თუ
ბრალდების სისწორეში დარწმუნდება, დამნაშავეებს გაუ-
სამართლებლად გამოუტანოს განაჩენი და დასაჯოს ისინი. თუ
მისი ნება იქნება, შეუძლია დასჯის შემდეგაც დაუსაბუთოს
სენატს თავისი გადაწყვეტილების სამართლიანობა. თუ ასეთ
რადიკალურ ზომას მივმართავთ და მუწუკს დაუყოვნებლივ
მოვიშორებთ, ქვეყანა ერთ ღამეში, დიახ, სწორედ ერთ ღამე-
ში დაშოშმინდება. ამ ღამეს გამოვლილი შიში მალამოდ
მოეცხება გადარჩენილებს, ჭკუაზე მოიყვანს და მეორედ ვეღარ
გაბედავენ ენის ჭარტალს და მთავრობის ცილისწამებას.

მარჯვედ და მკაფიოდ ასაბუთებდა კნოპსი თავის გეგმას.
თანაც მოციმციმე, მოძრავ თაფლისფერ თვალებს ხან ნერონს
შეანათებდა მეგობრულად და ეშმაკურად, ხან ტრებონს. იგი
აშკარად ტკბებოდა ამ პროექტით და მოელოდა, რომ სხვასაც
დაატკბობდა. ასე ადგენდა წითელ ქუჩაზეც გეგმებს, როდესაც
კონკურენტი უნდოდა გაეცურებინა. ეს გეგმები, ჩვეულებ-
რივ, წარმატებით ხორციელდებოდა.

სამივე ერთმანეთს შესცქეროდა და ჯერ კიდევ მანამ,
სანამ კნოპსი ლაპარაკს დაამთავრებდა, მათთვის აშკარა გახდა,
რომ პროექტი ჩინებული იყო, სავსებით შეეფერებოდა იმ
კაცს, ვინც აპამეას ჩაძირვა მოაწყო. ისინი მშვიდად ისხდნენ,
თვით როხროხა ტრებონიც კი დაწყნარებულიყო, ოღონდ
ტერენციუსს ოდნავ შესამჩნევად თვალს უკრავდა. ისხდნენ
დიდად კმაყოფილები და ერთსა და იმავეს ფიქრობდნენ:

„სისხლში ჩავახრჩოთ ეს არამზადები“. ოღონდ ნერონმა უფრო ზუსტად ჩამოაყალიბა ეს აზრი თავის გონებაში: „გავსრისოთ, ბუზებივით გავსრისოთ სულ ყველა“.

ხმამაღლა კი ესა თქვა:

— გმადლობ, ჩემო კნოპს, ღმერთებს გადავცემ შენს რჩევას. ვნახოთ, რას მეტყვის შინაგანი ხმა.

მაგრამ ორთავემ, კნოპსმაც და ტრებონმაც, იცოდნენ, რომ შინაგანმა ხმამ მას უკვე უთხრა და ეს ნათქვამი ზუსტად ემთხვეოდა მათი საკუთარი შინაგანი ხმის ნათქვამს. ორივე მათგანი გუნებაში დასასჯელთა სიას ადგენდა.

17

სამი ხელი

მართლაც იმ ღამეს ნერონს ღმერთები ელაპარაკენ, ხოლო მეორე დღეს სამივემ ერთად მოიყარა თავი, რათა გეგმა დაწვრილებით დაემუშავებინათ. მას აქეთ, რაც ძალაუფლება აიღეს, თავიანთი მტრების დიდი ნაწილი უკვე ჩამოიშორეს, მაგრამ სამივე ერთად ასოცდათოთხმეტი წლისა იყო, ცხოვრებაში მრავალი უსიამოვნება შემთხვევიათ, მახსოვრობა კი ჩინებული ჰქონდათ, ამიტომ მტრები ბლომად დაუგროვდათ. კიდევ ბარაქიანი მოსავალი იყო ასაღები.

ყველაზე უფრო საძულველ მტრებს, ცხადია, ვერაფერს დააკლებდნენ, ან ვერ გაბედავდნენ მათ წინააღმდეგ ხელის აღმართვას. თორემ შესანიშნავი იქნებოდა, მაგალითად, იოანე პატმოსელს ყანყრატო ამოუქოლო, რომ იქიდან კადნიერი სიტყვები ვეღარ ამოუვიდეს და ქვეყანას ვეღარ მოეფინოს. სასიამოვნოა, ხელები წაუჭირო ნატიფ, ამაყ ყელში იმ კახპას, იმ შეჩვენებულ კლავდია აქტას, ისიც ჩინებული სანახავი იქნება, როგორ ხროტინობს ვარონი, ეს ამპარტავანი არისტოკრატი, რომელიც ასე თავაზიანად იქცევა, სინამდვილეში კი ჭირის დღესავით სძულს სამივე. რამხელა სიამოვნებაა, ღირსებით აღსავსე მეფე მალუქს გაუპო თავი! ანდა რა საყუ-

რებელი იქნება, ელეგანტური ფილიპე რომ ფეხებს გაჭიმავს და სულს გააცხებს — საინტერესოა, შეინარჩუნებს თუ ვერა ამ დროს თავის დახვეწილ მანერებს. მაგრამ ღმერთები შურიანები არიან, რაც ყველაზე მეტად გიხარია, იმის უფლებას არ გაძლევენ.

მაინც ბევრ უფლებას აძლევდნენ ღმერთები მათ. შემოსხდომოდნენ ისინი მაგიდას, ძვირფასი ხისაგან გაკეთებულ მშვენიერ მაგიდას, თვითეულ მათგანს გრიფელი და პატარა დაფა ედო წინ, კნოპსს, ამას გარდა, მელანი და ქაღალდიც მოემზადებინა თავისთვის. წერდნენ, ისევ შლიდნენ, ფიქრობდნენ. მერე რომელიმე რაღაც სახელს წამოიძახებდა, დანარჩენები გაიღიმებდნენ, სწორედ ამ სახელზე ფიქრობდნენ თვითონაც, ხოლო კნოპსი ფურცელზე დასწერდა, — საბოლოო სიაში შეიტანდა. ზოგჯერ ვინმე წინააღმდეგი წავიდოდა; მაშინ სახელს ისევ წაშლიდნენ, რათა მერე, მოგვიანებით გამოეტანათ განაჩენი. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა იშვიათი იყო და კნოპსის ფურცელი ივსებოდა. დრო გადიოდა, ისინი ისხდნენ, ნელა, სვენებ-სვენებით წარმოთქვამდნენ სახელებს. საბოლოო სიაში შემავალ სახელს ნერონი რომელიმე კლასიკოსის, ჩვეულებრივ, სოფოკლეს ან ევრიპიდეს ციტატს მიაყოლებდა ხოლმე.

მთავარსა და ჭეშმარიტ მიზეზს—პირად მტრობას, რის გამოც სახელები სიაში შეჰქონდათ, ძვირად ახსენებდნენ. უფრო მეტი ხალისით რაიმე პოლიტიკური არგუმენტი მოჰყავდათ. მაგალითად, ტრებონმა დაასახელა ლეიტენანტი ლუციუსი. იმიტომ, რომ სძულდა ეს ახალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც სურას ბრძოლაში სწრაფი გადაწყვეტილების უნარი გამოამჟღავნა; იმიტომ რომ იგი ელეგანტური კაცი იყო და ძველი გვარის შთამომავალი, იმიტომ, რომ მან ფრონტონი დაიტირა და კიდევ იმიტომ, რომ ქალები ეკეკლუცებოდნენ. ეჰ, ნეტა თვითონ ფრონტონი იყოს ცოცხალი!—რა სიამოვნებით დაამტვრევდა მას ტრებონი და დაასახელებდა სიაში შესატანად. დიდად სამწუხაროა, რომ ეს ქედმაღალი კაცი უკვე მკვდარია, ეს ბაჭია, რომელიც სიკვდილის წინაც კი თავის თავს მიაწერდა სურას ბრძოლაში გამარჯვებას, თუმცა სინამდვილეში მან კი

არა, ტრებონმა გაიმარჯვა. საწყენი იყო, მაგრამ რას იზამდა, ისევ ლუციუსს უნდა დასჯერებოდა. ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ დაასახელა ეს ლუციუსი, არ გაუმხელია, წამოყენებული არგუმენტები კი, — ვითომც ლუციუსი ბოროტ ხმებს ავრცელებდა, იმპერატორი მდაბიორებთან მეგობრობს, ჭეშმარიტი არისტოკრატები კი სძულს და სდევნისო, — ნაკლებ დამაჯერებელი იყო. კნოპსი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ასეთი საბუთით როგორ უნდა გაეწირათ ბრწყინვალე



ახალგაზრდა, ჯარის საყვარელი ოფიცერი? მაგრამ ახლა რომ ეს ლუციუსი არ დაეთმო, ტრებონი გაგულისდებოდა და მისი კანდიდატურების წინააღმდეგ წავიდოდა. ამიტომ მან ლუციუსი შეიტანა სიაში, ნერონმა კი ციტატი მიაყოლა:

— სიკვდილი ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ბრძოლას.

სამაგიეროდ კნოპსმა სრულიად დაუბრკოლებლად შეიტანა სიაში თავისი მოიჯარე ჰირკანი. რასაკვირველია, ის არ უთქვამს, რომ მისი აზრით ჰირკანის ფულები პატარა კლავდიუს კნოპსის ხელში გაცილებით უკეთ შეინახება, ვიდრე მისი ახლანდელი პატრონის ზანდუკებში. მხოლოდ ის ახსენა, რომ მოიჯარემ იმპერატორის გენიის ტაძარს შესაფერისი რაოდენობის თანხა არ შესწირა და, რომ, საერთოდ, ეს ჰირკანი მთავრობის ფინანსურ ღონისძიებებს საბოტაჟს უწყობდა: ეს სრულიად საკმარისი იყო. ნერონი და ტრებონი დიდად არ დაინტე-

რესებულან, თავი დაუქნიეს და მერე ნერონმა სოფოკლეს ციტატი მოიყვანა:

— კაცნიერი ქედმაღლობა ღმერთებს ეჯავრებათ.

და აი, ჰირკანის სახელი უკვე სიაშია, ლამაზი, სუფთა ხელით გამოყვანილი. და კნოპსს სიხარულით გული აუტოკდა.

ისინი წერდნენ თავიანთ დაფებზე ნელა, დაფიქრებით, სიამოვნებით; როდესაც სახელი საბოლოო სიაში შევიდოდა, — პერგამენტის ქაღალდზე დაიწერებოდა, მაშინ დაფაზე დაწერილს გულმოდგინედ შლიდნენ, ახალ სახელს უთავისუფლებდნენ ადგილს. წერდა ნერონის მსუქანი თეთრი ხელი, რომელსაც ძვირფასი ნელსაცხებლების სუნი ასდიოდა; წერდა კნოპსის ვიწრო, გამხდარი, ბლაგვფრჩხილებიანი ხელი; წერდა ტრებონის ქერა ღინღლებით დაფარული წითელი, ვეება თათი. უამრავი სახელი იწერებოდა, უფრო მეტად არამეული, ცოტ-ცოტა სხვებიც — რომაული, ბერძნული, არაბული, პართიული, ებრაული. იწერებოდა ქალებისა და კაცების სახელები, სრულიად ახალგაზრდებისა და ღრმად მოხუცების. უკვე სამასიოდე სახელი დაგროვდა.

დიდხანს გაგრძელდა კრება. სამუშაო საამო იყო, მაგრამ მომქანცველი. მეხსიერების ყოველ კუნჭულში უნდა შეეხედათ, რომ არავინ გამორჩენოდათ. ახლა ადვილი იყო სიაში შეტანა, ცოტა ხნის შემდეგ კი გაჭირდებოდა კაცის მოშორება. ამიტომ გულმოდგინედ მუშაობდნენ, ტვინს იჭყლეტდნენ, ეძებდნენ, არჩევდნენ, უთვალთვალებდნენ, პოულობდნენ. დაიწერა უკანასკნელი სახელიც. ნერონი სიამოვნებით უგდებდა ყურს კალმის წრიპინს. მერე მეოცნებე ხმით ციტატა წარმოთქვა:

— ყველაფერს ჯობია სულ არ დაიბადო.

გულში კი ფიქრობდა: „გავსრისოთ, ბუზებივით გავსრისოთ სულ ყველა“.

— მორჩა? — იკითხა კნოპსმა.

— მორჩა, — მიუგო ტრებონმა.

და:

— მორჩა, — დაუდასტურა ნერონმა.

სამივეს ხმაში სინანული ჩანდა. კნოპსმა დათვალა.

— სამას ჩვიდმეტი. — გამოაცხადა მან.

ნერონი წამოდგა, კრება დახურა.

— სამას ჩვიდმეტი ცრუ მეგობარი, — პირქუშად დაასკვნა მან, ნდობით გადახედა კნოპსსა და ტრებონს, ამოიოხრა და სია აიღო.

როდესაც კნოპსი და ტრებონი გავიდნენ, იგი სიის შესწავლას შეუდგა. ეს იყო ოთხი გრაგნილი, არც თუ ისე ძვირფასი პერგამენტის ოთხი გრაგნილი, სახელები უწესრიგოდ, არეულ-დარეულად ეწერა, ზოგი დაბლა, ზოგი ზემოთ, ზოგიც არეებზე, — სადაც კი ცარიელი ადგილი დარჩენილიყო, მაგრამ გარკვევით, — წაკითხვა თავისუფლად შეიძლებოდა. ნერონს ტარატეს ტაძარში თეთრად გათენებული ღამე მოაგონდა. იმ მძიმე წუთებში თავს იმედით ინუგეშებდა, რომ გონებაში მტრების სახელებს ინიშნავდა და სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა მათთვის. იგი ნაზად უსვამდა ხელს პერგამენტს, დაკვირვებით ათვალიერებდა, ოცნებაში წასული სახე ღიმილით ებადრებოდა. მერე გულდასმით, ნერონის ხელით დანომრა ფურცლები, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე; ოთხივე ფურცელს დააწერა სათაურად: „დასასჯელთა სია“. შემდეგ პირველი ნომერი ფურცელი აიღო, ცარიელი ადგილი მოძებნა და მზრუნველი ხელით დაწერა: „წავიკითხე, ავწონ-დავწონე, განვაჩინე“ მაგრამ ეს „განვაჩინე“ ნაკლებ მარჯვე სიტყვად ეჩვენა და ამიტომ მეორე ფურცელზე ასე დაწერა: „წავიკითხე, ავწონ-დავწონე, მივუსაჯე“. ოთხივე ფურცელს მოაწერა: „ნერონ კლავდიუს ცეზარ ავგუსტუს“. ბოლოს ფურცლები ერთმანეთზე დააწყო, დაახვია და სახელოში ამოიდო.

იმ დღეს ნერონი და ვარონი მარტო სადილობდნენ. ნასადილევს ვარონმა პოლიტიკურ და სამეურნეო სიძნელეებზე ჩამოუგდო სიტყვა. მას დაწვრილებით დაემუშავებინა გეგმა ამ სიძნელეების გადასალახავად. პირველ რიგში საჭირო იყო მოხელეებისათვის ხელფასი მოემატებინათ და დიდვაჭრებისთვის შეღავათი მიეცათ. იმპერატორი ჩვეულებრივზე უფრო ყურადღებით უსმენდა, როგორც ჩანდა, კარგ გუნებაზე იყო.

— თქვენ დიდ სიბეჯითეს იჩენთ, ჩემო ვარონ, — უთხრა მან, — ჩემ სახელმწიფო მოღვაწეებში ყველაზე ჭკვიანი კაცი

ხართ. მაგრამ პოლიტიკაში წარმატებისათვის ბოლოს და ბოლოს მთავარია არა გონება, არამედ ინტუიცია, ამ უმაღლესი ნიჭით კი ღმერთები მხოლოდ რჩეულებს, მხოლოდ დიადებს, შარავანდედმოსილებს აჯილდოებენ.

ვარონმა მდაბლად, ცერემონიულად დაუკრა თავი იმპერატორს.

— და მაინც, — მშრალად და ერთობ თავაზიანად მიუგო მან, — მე მგონია, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოხელეებს ხელფასი მოვუმატოთ და დიდვაჭრებს შეღავათი მივცეთ.

— დიახ, დიახ, — ოდნავ ნაღვლიანი ხმით თქვა ნერონმა,—ყველაფერ ამას, ეჭვი არაა, ბრძნულად მოიფიქრებდით. მაგრამ მენდეთ, ჩემო ვარონ, გადამწყვეტ ჟამს მხოლოდ ისაა სასარგებლო, რასაც შარავანდედმოსილი მოიმოქმედებს. შესაძლებელია, — ბუნდოვნად და სენტენციურად დაუმატა მან, — საქმის მცოდნენი შეაძრწუნოს ასეთმა ულმობელმა და პირდაპირმა მოქმედებამ, მაგრამ ბოლოს ყველა დარწმუნდება მის სიდიადეში. ამას ღმერთების ნებად მიიჩნევდნენ და მართალნიც იქნებიან.

ვარონი მოკრძალებით უსმენდა.

— მაშ, შემიძლია, — იკითხა მან პასუხის ნაცვლად, — წარმოვადგინო დოკუმენტები ხელფასების მომატებისა და შეღავათების მიცემის შესახებ?

ნერონმა მოითმინა, არ გაბრაზებულა იმის გამო, რომ ვარონმა ასე თავხედურად აუარა გვერდი მის სენტენციას. „ცოტა დამაცადე, — მშვიდად გაიფიქრა მან, — ზოგიერთ ვინმეს აღარ დასჭირდება შენი ხელფასების მომატება და შეღავათები“. და კმაყოფილებით იგრძნო, როგორ შეეხო სახელოში ამოდებული ძვირფასი გრაგნილი.

მოგვიანებით მან თავის ღამურებს მიაკითხა ხელოვნურ ღვიმეში. მეჩირაღდნეს ჩირაღდანი კედელზე დაამაგრებინა და დაითხოვა, მარტო დარჩა ფრინველებთან. ღამურები მიცვივდნენ მასთან, ფართხალებდნენ, ხმადაბლა წრიპინებდნენ საკვების მოლოდინში. მაგრამ ნერონმა საკვების ნაცვლად გრაგნილი ამოიღო და ბუსუსებით შეგუნგლულ საზიზღარ ფრინველებს წაუკითხა.

— დასასჯელთა სია ნომერი პირველი.

მერე სახელებით ჩამოთვლა დაიწყო. კნოპსი ისეთივე თანმიმდევრობით წერდა, როგორც კარნახობდნენ. და ახლა, როდესაც ნერონი ხმამაღლა კითხულობდა, ამ შემთხვევით თანმიმდევრობის წყალობით, ზოგჯერ ეს სახელები უცნაურად ჟღერდა. ამან ნერონი გაახალისა. იმეორებდა ზოგიერთ სახელს, თავს იქცევდა, მთელი ხმით ამბობდა და ტკბებოდა. მერე გრძნობით წარმოთქვა საყვარელი ადგილი ჰომეროსის პოემიდან:

ვით ღამურები მღვიმეების კედლებზე ჯაჭვად
დაკიდებულნი, — რომელიმე თუ მოწყდა კლდეს და
ძირს დაენარცხა, — წრიპინებენ და ირევიან,
ასე კვალდაკვალ აჩრდილები მისდევენ ჰერმესს

და:

— თქვენ გამრავლდებით, მეგობრებო, — შეპირდა ღამურებს.

შიგადაშიგ ფიქრობდა: „გავსრისოთ, ბუზებივით გავსრისოთ სულ ყველა“. ხანდახან კი, თითქმის იმავე დროს: „სახელმწიფოს კეთილდღეობა — წყეული, სულმდაბალი შეთქმულები — უზენაესი მსაჯული“. ყველაზე უფრო ამ „უზენაესი მსაჯულის“ ჟღერა მოსწონდა და უკვე ხედავდა როგორ წარდგებოდა სენატის წინაშე, როგორ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს და დიდებული მჭევრმეტყველებით დაასაბუთებდა სისხლიანი ღამის საჭიროებას.

18

იმპერატორი და მისი მეგობარი

კნოპსიც განუწყვეტლივ დასასჯელთა სიაზე ფიქრობდა. მაგრამ განაჩენის შესრულება რომ აგონდებოდა, ღრმა სიხარულში პატარა უგუნებობა შეეპარებოდა ხოლმე: სისხლის დანახვა არ სიამოვნებდა. სამაგიეროდ სიხარული უორკვცდებოდა, როდესაც წარმოიდგენდა, თუ რა განცვიფრებული სახე-

ები ექნებოდათ სიაში შეტანილებს, შუაღამისას რომ წამოყრიდნენ საწოლიდან.

მისი ფიქრები ვერ შორდებოდა სიას. იგი თავის ცოლს, იალტას, უწვა გვერდით, სიამოვნებით უსვამდა ხელს დამრგვალებულ სხეულზე. ერთი-ორი სახელი, ალბათ, კიდევ გაახსენდება, მაგრამ გვიანღა იქნება. ნეტა ვარონის და ფილიპეს შეტანა შეიძლებოდეს სიაში! იალტას თეძოზე თითით დააწერა: „ვარონი", „ფილიპე". გაეცინა, ცოლმა რომ უკმეხად დაუშალა, — ნუ მიღუტუნებო.

მეორე დღეს უთენია გაჩნდა ნერონის სასახლეში. იმპერატორი ჯერ ისევ იწვა, მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ მიიღო იგი. კმაყოფილი ჩანდა; სიამოვნებით გაიზმორა, კნოპსი რომ შევიდა.

— ყოჩაღ, ჩინებული იდეა იყო ამ სიის შედგენა, — უთხრა მან, ბალიშს ქვემოდან გრაგნილი გამოიღო და გახსნა,— სამას ჩვიდმეტი, — იგი დაფიქრდა. წარბები შეიკრა, თვალები მოწკურა — ბევრიცაა და ცოტაც.

თვალი გადაავლო სიას.

მაგრამ, სანამ ასე იწვა და სიას ათვალიერებდა, თავისი ნერონობა შემოეცალა, სახეზე ანგარიშიანი გამომეტყველება აღებეჭდა. ასეთი სახით სინჯავდა ხოლმე წითელ ქუჩაზე კნოპსის მიერ წარმოდგენილ სიებს, სადაც მოიჯარის კრედიტი ან მუშტრების ვალი იყო აღნუსხული. დიახ, ნერონი წამით ისევ მექოთნე ტერენციუსად იქცა, რომელიც მონას არ ენდობა და ამოწმებს, არაფერი ითაღლითოსო.

მან იგრძნო, რომ შარავანდედმა უღალატა და შეკრთა. ცერად ახედა კნოპსს სასწრაფოდ, ხომ არაფერი შემამჩნიაო. გაქნილი, ბეჯითი კნოპსი მოწიწებით იდგა, როგორც ყოველთვის. სახეზე არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. მაგრამ გულში, გულში რას ფიქრობდა? კნოპსმა ძალიან ბევრი რამ იცის მის შესახებ. მეტისმეტად ბევრი. ცუდია, კაცმა რომ მეტისმეტად ბევრი რამ იცის შენზე. განა კნოპსი არ იყო, თავხედურად რომ იხუმრა, რომაელი ხალხი იმპერატორის ლექსების კითხვას გადაყვება და სამუშაოდ ვეღარ მოიცლისო? მხოლოდ ის თუ იხუმრებს ამგვარად, ვინც მეტისმეტად ბევ-

რი იცის. აქამდე ნერონი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ თავისი შარავანდედი არასაიმედოდ ეჩვენა, ახლა კი აღშფოთებაც და უნდობლობაც კნოპსზე გადაიტანა.

ცხადია, გარეგნულად არაფერი დასტყობია. შარავანდედი დიდი ხანია დაუბრუნდა. მისი სახე კვლავ ნერონის კმაყოფილ, მედიდურ სახედ იქცა.

— სამას ჩვიდმეტი, — სიამოვნებით გაიმეორა მან, თან სიას ჩაჰკირკიტებდა.

— ჩინებული სიაა, მაგრამ ზოგი ვინმე მაინც გამოგვრჩებოდა. ისე კი ქაღალდი არ გაგვიცდენია, — გაიხუმრა და დაანახვა ფურცელი, რომლის არეებიც კი სახელებით იყო აჭრელებული, — დიდი ადგილი აღარაა დარჩენილი. შეხედე! ერთი სახელიც კი არ დაეტევა. თუმცა, აი, აქ არის პატარა ადგილი და კიდევ აი, აქ. ორი სახელი ჩაიწერება. ოღონდ მოკლე სახელები, თორემ კაცი ვერ გაარჩევს. მაშინ კი მართლა საბოლოოდ შეივსება ფურცელი. მოიცა, დავფიქრდე, — მან ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია, — ვიპოვე, — მხნედ წარმოთქვა, — შინაგანმა ხმამ წამჩურჩულა ორი მოკლე სახელი. მართალია, უცხო კაცის თანდასწრებით იშვიათად ლაპარაკობს, მაგრამ ახლა მითხრა. კი გინდა იცოდე, — ეშმაკურად დაუმატა მან და ამ ეშმაკურმა კილომ კნოპსი შეაშფოთა, — რა სახელებია, მაგრამ არ გეტყვი. შენით ხომ ვერ მიხვდები და ვერა.

ფურცელი საბანზე იდო მის წინ. იგი სიამოვნებით, კმაყოფილებით გაიზმორა. კნოპსი შეკრთა.

— კალამი და მელანი მომიტანე, — უბრძანა იმპერატორმა. კნოპსმა, თუმცა შემკრთალი იყო, მორჩილად აასრულა ბრძანება. ნერონი წამოჯდა საწოლში, მარჯვედ მოეწყო, მუხლები აღმართა საბანს ქვეშ, რათა დასაყრდნობად გამოეყენებინა. მერე კიდევ უბრძანა:

— დაფა მომიტანე და დამიჭირე, რომ დავწერო.

და მან ჩაწერა სიაში ორი სახელი.

ნერონს ფურცელი და კალამი ისე ეჭირა, რომ კნოპსმა ვერ გაარჩია, რას წერდა, მხოლოდ ხელის მოძრაობას ხედავდა. პირველი სახელის დაწერისას მარტო ის შენიშნა, რომ

იმპერატორი ბერძნული ასოებით წერდა. რაც შეეხება მეორეს, რომელიც ლათინურად დაწერა, კნოპსმა ნათლად დაინახა, რომ იგი ასო „კ“-თი იწყებოდა. და ჯერ კიდევ მანამ, სანამ ნერონი წერას მოათავებდა, კნოპსის ვარაუდი რწმენად იქცა; მეორე სახელი „კაია“ იყო.

ნერონმა ამოიოხრა, ფურცლები ერთმანეთზე დააწყო, წვრილ გრაგნილად დაახვია და ბალიშს ქვეშ ამოდო. თვითონაც დაწვა, მოხერხებულად მოეწყო და მოჰყვა მაღალფარდოვან ყბედობას, თუ რაოდენ მსხვერპლს, რა მძიმე მსხვერპლს მოითხოვს შარავანდედი თავისი პატრონისაგან.

კნოპსი მორჩილად იდგა. მოწიწებით უსმენდა. მაგრამ მის გონებაში ამ დროს ელვის სისწრაფით ჩნდებოდნენ და მერე ისევ იკარგებოდნენ ათასგვარი სურათები, ათასგვარი ფიქრები. „რასაც მსხვერპლზე ლაპარაკობს, — ფიქრობდა იგი, — ეს, აშკარაა, სულ კაიას შეეხება. ეჭვი არაა, კაია შეიტანა სიაში. მაგრამ რა უგუნურებაა კაიას მოკვლა! თანაც სწორედ ახლა, ასეთ ვითარებაში, როცა ვარონი გულშიაც არ გაივლებს, კაია მის წინააღმდეგ მოწმედ გამოიყვანოს. წმინდა წყლის სისულელეა კაიას მოკვლა. თვითონვე ინანებს. კაია, ალბათ, ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ეგ უყვარს, ჩემს გარდა ოღონდ, — მე სულელსაც ხომ, მიუხედავად ყველაფრისა, გული შემტკივა მასზე“. ასე ფიქრობდა კნოპსი. მაგრამ ამ ფიქრებში წამდაუწუმ თავს იჩენდა ერთი კითხვა, რომელიც აწვალებდა და საგონებელში აგდებდა: კარგი, მეორე სახელი კაიაა; პირველი რაღაა?

— შარავანდედი არის ყველაზე დიდი ჯილდო, — განაგრძობდა ამასობაში ნერონი, — რომელსაც მოკვდავს მიანიჭებენ ღმერთები; მაგრამ უმძიმესი ტვირთიცაა. მსხვერპლი და მსხვერპლი, მსხვერპლს მოითხოვს შარავანდედი.

„ეს ისევ კაიას შეეხება — ფიქრობდა კნოპსი. — რამდენი სისულელე დევს ამ გასიებულ თავში! მაგრამ ის მეორე, ბერძნული სახელი რა არის? კარგი, ვთქვათ, თავისი სიბრიყვით კაია შეიტანა სიაში, მეორე ვინღაა?“ და თუმცა გულის სიღრმეში უკვე იცოდა ვინც იყო, მაინც აღიდგინა მეხსიერებაში, როგორ მოძრაობდა წერის დროს იმპერატორის თეთრი, მსუქა-

ნი ხელი. და მან დაინახა ეს მოძრაობა. დაინახა, როგორ დაიწერა „კაპა“, — ერთი ვერტიკალური და ორი ირიბი ხაზი, დაინახა „ნი“-ს მარტივი მოხაზულობა, გაბღენძილი, ღიპიანი „ომეგა“, დაკლაკნილი, დაკბილული „პსი“. მისდა გასაოცრად, მაინცდამაინც არ შეშინებია, ყველაფერი ეს რომ თვალწინ დაუდგა. „შეუძლებელია „კნოპსი“ ეწეროს, — ფიქრობდა იგი,—სრულიად გაუგებარია, რად უნდა დასჭირვებოდა ჩემი შეტანა სიაში. რასაც კი მიაღწია, სულ ჩემი წყალობით მიაღწია. და თუ მოიძებნება კაცი, რომელსაც შეუძლია ტახტი შეუნარჩუნოს, ეს კაცი მე ვარ“. მაგრამ ამ დროს ის მიამიტური ხუმრობა მოაგონდა, რომელიც „ოქტავიას“ წაკითხვის შემდეგ თქვა, რათა მძიმე განწყობილება გაეფანტა; სულელური ხუმრობა, ვითომც იმპერატორის პოემებით გატაცებული რომაელი ხალხი სამუშაოს თავს მიანებებს. კნოპსმა მაშინვე იგრძნო, რომ შეცდომა მოუვიდა. მაგრამ მხოლოდ ახლა მიხვდა, ერთბაშად მიხვდა, რამხელა იყო ეს შეცდომა. და დღესავით ნათლად დაინახა, როგორ დაწერა ნერონის ხელმა: „კაპა“-ს სამი ჩხირი, „ნი“-ს მარტივი მოხაზულობა, გაბღენძილი, ღიპიანი „ომეგა“, დაკლაკნილი, დაკბილული „პსი“. მან ფიზიკური ტკივილი იგრძნო, ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ თავისი სახელი; „კნოპსი“.

როდესაც ნერონი ამბობდა — „მსხვერპლი და მსხვერპლიო“, იგი მართლა კაიაზე ფიქრობდა, — კაცმა რომ თქვას, ცოდვაა მისი დაღუპვაო. „მას რომ ვუყვარვარ, — ამბობდა თავის გულში, — ეს აშკარაა. ხოლო ბრმა და სულელი რომაა და საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავს, ეს რა მისი ბრალია. მაგრამ არც ჩემი ბრალია. იქნებ უგუნურებაა მისი მოკვლა, იქნებ შემდეგ ვინანო კიდეც. თუმცა არა, რატომაა უგუნურება? იგი ვერ ხედავს, რომ მე ნერონი ვარ, არ ესმის ეს. შეურაცხყოფას აყენებს ჩემ შარავანდედს. არც მისი ბრალია და არც ჩემი ბრალია, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა მოკვდეს. რა უფლება მაქვს კავშირი ვიქონიო იმასთან, ვინც ჩემ შარავანდედს შეურაცხყოფას აყენებს? ვინც ჩემ შარავანდედს შეურაცხყოფას აყენებს, ამ ქვეყნად ველარ იბოგინებს. თუ ის შეჩვენებული აქტა ჯერჯერობით ხელიდან გამისხლტა, კაიაზომ აქა მყავს. გავსრისოთ, ბუზებივით გავსრისოთ სულ ყველა.

ეს ბუზიც ძალიან მეცოდება, — ეს კნოპსი. ერთგული კაცია და ხანდახან გაგართობს კიდეც. რა გამოჭიმული დგას! ძაღლივით ერთგულია და თან ეშმაკი. მაგრამ ერთხელ საზიზღრად იხუმრა; ღმერთებს კი არ სურთ, რომ კაცი, რომელიც ასე ხუმრობს, ამ ქვეყნად დარჩეს. გარდა ამისა, ძალიან ბევრი იცის. მან იმდენი რამ იცის ახლანდელ ნერონზე, რამდენიც ახლანდელმა ნერონმა იცის პალატინის ნერონზე. ეს მეტისმეტად ბევრია. მაგრამ ძალიან კი მეცოდება. კარგად დავაკვირდე, — მოკლე ხანში ღამურას სახითღა თუ ვნახავ. გავსრისოთ, ბუზებივით გავსრისოთ სულ ყველა".

კნოპსს კი ამ დროს თვალწინ ერთი პატარა სიტყვა ედგა, რომელიც თავის სიმცირის გამო ორკეცად მკაფიო და თავზარდამცემი ჩანდა: „კნოპსი". აშკარაა, რომ „კნოპსი" წერია, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ რატომ დაწერა? ჯოჯოხეთური საქმე გამოვიდა, — ჩემ გამოგონებულ სიაში მე თვითონ შემიტანეს. კი, მაგრამ რატომ? რა სისულელეა! რა ჯანდაბად მინდა, — რატომ! მთავარია, როგორმე ისევ ამოვაშლევინო.

ყველაზე ადვილია, არაფერი შევიმჩნიო და, როგორც კი აქედან გავალ, მაშინვე მოვკურცხლო. დავკრავ ფეხს და სდიონ მერე ქარს მინდორში. ეგ რომ ტრებონს ბრძანებას მისცემს, ჩემ კვალსაც ვეღარ იპოვნიან. ედესას გავაღწევ თუ არა, იალტას შემოვუთვლი, რომ პატარა კლავდიუს კნოპსი წამოიყვანოს და ჩემთან წამოვიდეს. ვითომ გორიონიც დავიბარო? ზედმეტი ტვირთი იქნება. თუმცა, რამე რომ მოხდეს, გორიონი მაინც ეყოლება გვერდით პატარა კლავდიუს კნოპსს. ცხადია, არაფერი მოხდება, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკივა. რა შემიჯდა თავში ეს გორიონი და არ მშორდება? ჰერკულესს ვფიცავ, უმაგისოდაც ბევრი საფიქრალი მაქვს. კარია, კილიკია და კაპადოკია, ვფიცავ ზევსს, ეს არის სამი გულისამრევი „კ". არა, არ ღირს გორიონის წაყვანა.

სისულელეა! ყოვლად შეუძლებელია, რომ მოსაკლავად გამიმეტოს. ნერონი არ გაიმეტებს თავის კნოპსს. ძალიან უყვარს და იმიტომ. სიბრიყვე მომივა, ახლა რომ პანიკას მივეცე და თავქუდმოგლეჯილი გავიქცე. თანაც ფული აქ არის.

ღვთის ანაბარა ხომ ვერ დავტოვებ პატარა კლავდიუს კნოპსის ფულს? პირდაპირ ბოროტმოქმედება იქნება ასეთი საქციელი. ახლა მჭირდება ნებისყოფა. კი, მაგრამ ვინ ვის ხელშია: კნოპსია ნერონის ხელში, თუ ნერონია კნოპსის ხელში? საოცარია, ჩემს გულშიც კი ნერონს ვეძახი. დიდი ადამიანია, მაშინაც დიდი ადამიანია, როცა ბოროტად ხუმრობს. განა მე კი არ ვხუმრობ ხოლმე ბოროტად? დიდი ადამიანი რომ არ იყოს, ახლა ნერონს არც დავუძახებდი. მიყვარს მე ეს კაცი. რახან მიყვარს, ამიტომ შემიძლია გადავათქმევინო. გადავათქმევინებ კიდეც".

— არ მითქვამს შენთვის, — იკითხა ბალიშზე დასვენებულმა დიდმა თავმა, — რომ დასჯის დრო უკვე დავნიშნე? განაჩენი თხუთმეტი მაისის წინა ღამეს უნდა შესრულდეს.

„თხუთმეტი მაისის წინა ღამეს". — ფიქრობდა კნოპსი, — ოთხი დღე კიდევ დამრჩა. თუმცა არა, არავითარი ოთხი დღე არ დამრჩენია. ახლავე, ამ წუთს უნდა გადავწყვიტო, როგორ მოვიქცე. ყველაზე გონივრული იქნება, სიმართლე ვუთხრა. ხანდახან სიმართლე კარგ სამსახურს უწევს კაცს. უნდა დავარწმუნო, რომ ნამდვილად მიყვარს. უნდა შევაგნებინო, რომ, თუ ცოცხალს დამტოვებს, ჩემგან არაფერი ხიფათი არ ემუქრება, და მე თუ არ ვეყოლე, მაშინ კი მართლა სავალალოდ ექნება საქმე. სრულიად გულახდილად ვეტყვი ყველაფერს".

გაქნილი კნოპსი მოწიწებით, მორჩილად იდგა ნერონის წინაშე. მაშ, თხუთმეტი მაისის წინა ღამეს, — დაფიქრებით დაიწყო მან, — მოხდება დიდი წმენდა. ბუნებრივია, ასეთი წმენდის დროს იმპერატორი ყოველმხრივ შეამოწმებს ხალხს, მახლობლებსაც კი, ვთქვათ, რომელიმე ტრებონს ან თვითონ მას, კნოპსს; ერთგვარ სასამართლოს მოუწყობს მათ. თვითონ კნოპსმა გულდასმით მოჩხრიკა საკუთარი სინდისი, — სადმე, სულის ღრმა კუნჭულებში ისეთი აზრი ხომ არ ბუდობს, რომელიც შესაფერის მოწიწებას არ გამოხატავდეს შარავანდედის მიმართო. ვერაფერი იპოვა. მაგრამ იგი ხომ უბრალო მოკვდავია, მისი აზრები ტლანქია, მისი მზერა—ჩლუნგი. კნოპსი იხედება საკუთარ სულში, მაგრამ მის თვალს სად გააჩნია

ისეთი სიმახვილე, როგორც ღმერთების რჩეული იმპერატორის თვალს ახლავს. იგი დაჟინებით სთხოვს ნერონს, უთხრას, ხომ არ შეუმჩნევია კნოპსის სულში ისეთი რამე, რაც საბოლოო გამოცდას ვერ უძლებს.

ტერენციუსს სქელ ტუჩებზე მსუბუქი და ცბიერი ღიმილი აუთამაშდა. მისი დიდი თავი კმაყოფილებით განისვენებდა ბალიშზე, რომლის ქვეშ ძვირფასი სია იდო. თეთრ თითებს სიამოვნებით უცაცუნებდა დაფას. ბეც თვალებს ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად ახამხამებდა. მერე ერთბაშად ასწია ქუთუთოები, აზიდა წარბები, მრულოდნელად ჯიქურ შეხედა კნოპსს და წყნარი, კმაყოფილი, შიშის მომგვრელი ხმით უთხრა:

— შენ ძალიან ბევრი რამ იცი, ჩემო კნოპს. ამდენი რამე მხოლოდ იმპერატორმა უნდა იცოდეს.

მართალია, კნოპსი დარწმუნებული იყო, რომ ნერონმა სწორედ მისი სახელი შეიტანა სიაში, მაგრამ ასეთმა დაუფარავმა, პირდაპირმა ნათქვამმა თავზარი დასცა. მაინც მოიკრიბა ძალ-ღონე, შეეცადა ფერი არ წასვლოდა და საღი აზროვნების უნარი არ წართმეოდა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ნერონის მიერ დასახელებული მიზეზი მისი არსებიდან არ გამომდინარეობდა და მის ნებაზე არ იყო დამოკიდებული; არც შეცვლა შეეძლო, რადგან ამ მიზეზს მათი ურთიერთობა განაპირობებდა. მიუხედავად ამისა, მან იპოვა შესაფერისი პასუხი, იქნებ ერთადერთი პასუხი, რომელსაც ნერონის მიერ წამოყენებული არგუმენტის გაბათილება შეეძლო.

— განა არ მოხერხდება, — მორჩილად იკითხა მან, — ცოდნა სიყვარულით ამოიშალოს?

როგორც ჩანს, პასუხმა იმოქმედა იმპერატორზე. ბალიშზე დასვენებულმა ფართო სახემ დაუფიქრებული გამომეტყველება მიიღო.

— იქნებ მოხერხდეს კიდეც, — წარმოთქვა სქელმა ტუჩებმა, — მაგრამ საქმე ისაა, ღირს კია, რომ იმპერატორმა იკვლიოს, მცოდნე კაცს სიყვარული მეტი აქვს თუ ცოდნა? უფრო ადვილი არაა, უბრალოდ, ის კაცი ამოშალოს, რომელმაც მეტისმეტად ბევრი იცის?

შას განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა იმ კაცის წვალება, ვინც ერთხელ კადნიერად იხუმრა. მაგრამ კნოპსი ხედავდა, რომ მის პასუხს ამაოდ მაინც არ ჩაუვლია.

— ნუთუ იმპერატორს მეგობარი არ სჭირდება? — ჩაიცინა და აღარ მოეშვა იგი, — ნუთუ ძველ მეგობარს, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ემსახურებოდა ერთგულად იმპერატორს, როდესაც იგი თავის იმპერატორობას მალავდა, ახალი ურჩევნია?

კნოპსმა ტრებონზე გადაუკრა სიტყვა და ნერონმა სიამოვნებით შენიშნა, რომ იგი ეჭვიანობდა.

— ბევრს ნუ მეკითხები, — კმაყოფილი სახით უსაყვედურა მან. — გამიგონე, — აღტყინებით წარმოთქვა ნერონმა უეცრად და სანახევროდ წამოჯდა, — რაღაც აზრი მომივიდა. ერთ კითხვას მოგცემ. სამჯერ შეგიძლია მიპასუხო. თუ სწორი პასუხი ვერ გამეცი, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოცდას ვერ გაუძელი და ღამურაზე მეტი ფასი არა გქონია.

— მკითხე, ჩემო ბატონო და იმპერატორო. — მორჩილად მიუგო კნოპსმა.

ნერონი ისევ დაწვა. ძალად დაამთქნარა. მერე მედიდურად ჰკითხა:

— ვინ ვარ მე?

კნოპსი წამით დაფიქრდა.

— შენ ხარ ჩემი მეგობარი და მბრძანებელი, — მიუგო მერე მტკიცედ, დაჯერებით.

— ცუდი პასუხია. — დაამთქნარა ნერონმა, — ასე სხვაც ბევრი მიპასუხებდა. შენგან უკეთესს მოველი.

— შენ ხარ იმპერატორი ნერონ კლავდიუს ცეზარ ავგუსტუსი, — ამჯერად გაუბედავად უთხრა კნოპსმა. ეს უკვე მეორე პასუხი დახარჯა.

— კიდევ უარესი, — ზიზღით წარმოთქვა ნერონმა, — ამას ყოველი კაცი იტყვის. იაფფასიანია, როგორც წვრილი ფული.

შესაძლებელია მან ამ სიტყვებით, თავისდა უნებურად, სწორ გზაზე დააყენა კნოპსი. კნოპსს მაშინვე ოქროს ფული

მოაგონდა, რომელზედაც ორმაგი გამოსახულება იყო აღბეჭ-
დილი და, თუმცა გული ბაგა-ბუგით უცემდა, უყოყმანოდ,
ღრმა რწმენით გასცა საბოლოო პასუხი:

— შენ ხარ ჩემი იმპერატორი ნერონ კლავდიუს ტერენ-
ციუსი.

ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა წინადადება, შიშმა
შეიპყრო, ასეთი თავხედობა რამ გამაბედინაო. მაგრამ ბალიშ-
ზე დასვენებულმა თავმა გაიღიმა და ამ ღიმილზე კნოპსმა
შეატყო, რომ სწორედ ისეთი პასუხი გასცა, როგორსაც ნე-
რონ-ტერენციუსი მოელოდა მისგან.

ასეც იყო. ნერონი ხმას არ იღებდა, მაგრამ კმაყოფილე-
ბის ღიმილმა თანდათან მთელი სახე გაუბადრა. „ამ კნოპსმა
მართლაც ძალიან ბევრი რამ იცის, — აღიარა მან თავის გუ-
ნებაში, — იგი ხვდება, რომ ნერონად დაბადება ბევრს
ნიშნავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტს ნიშნავს ტერენციუსი იყო
და ნერონად იქცე". იგი გაიზმორა და თქვა:

— კნოპს, მომიახლოვდი! შენ მართალი ხარ.

კნოპსის გულში სიხარულის ზღვა იდგა. ეს იყო უძნელესი
ამოცანა, რომლის წინაშეც კი ბედს როდისმე დაუყენებია; და
ეს რთულზე რთული ამოცანა ბრწყინვალედ ამოხსნა. მსუქანი
ლუკმა ვეღარსად წავა. ბებერი, ძუნწი მოიჯარის, ჰირკანის ფუ-
ლები გინდაც უკვე ხელში ჭეროდეს პატარა კლავდიუს კნოპსს.

იგი მიუახლოვდა ნერონის საწოლს. გული სავსე ჰქონდა
თავისი იმპერატორისა და ბატონის ერთგულებით.

— მითხარი, გიყვარვარ თუ არა ტრებონზე მეტად? —
დაჟინებით ჰკითხა მან, — იგი არ შეგიტანია სიაში, — დაუ-
მატა ამაყად, — ღირსი არ იყო და იმიტომ. მითხარი, გიყვარ-
ვარ თუ არა იმაზე უფრო?

ნერონმა პასუხის ნაცვლად ხელი მოუთათუნა. მერე ხელი
ხელს შემოჰკრა:

— ეჰეი, ტრებონს დამიძახეთ!

მან ზანტად გამოაძრო ბალიშს ქვეშიდან სია და წაშალა
კნოპსის სახელი, ისე რომ ამ უკანასკნელსაც აყურებინა. შემ-
დეგ კნოპსის თანდასწრებით იბანავა, მექისეებს ტანი დააზე-
ლინა. თან ხასიათგახსნილი უდარდელად ყბედობდა.

როდესაც ტრებონი გამოცხადდა, ყველანი დაითხოვა, კნოპსის გარდა.

— აი, სია, ჩემო ტრებონ. — უთხრა მან, — აქ სამასცხრამეტი სახელია, მაგრამ ერთი წაშლილია. წაშლილი არ ითვლება. რჩება სამასთვრამეტი. მეტი აღარც ამოშალოთ რამე და აღარც ჩაუმატოთ. სიაში შეტანილებს ისე მოექეცით, როგორც შევთანხმდით. დრო — თხუთმეტი მაისის წინა ღამე.

მან დაამთქნარა და გვერდზე გადაბრუნდა. კნოპსი და ტრებონი ფეხაკრეფით გავიდნენ, იმპერატორი რომ არ შეეწუხებინათ.

19

თხუთმეტი მაისის წინა ღამე

თხუთმეტი მაისის წინა ღამე თბილი, თითქმის დახუთული იყო და „ნერონის შურისმგებლები", რომლებიც სიით ხელში დაჰქროდნენ და დასასჯელ ხალხს აგროვებდნენ, გვარიანად დაიქანცნენ, მაგრამ დავალება კი კეთილსინდისიერად შეასრულეს, როგორც ეს სამხედროებს შეეფერებოდათ.

კაია ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, როდესაც მის წასაყვანად მოვიდნენ. ასე ეგონა, ალბათ, ის დღე დადგა, რომლისაც მეშინოდა, თაღლითობას ბოლო მოეღო და ახლა ტერენციუსსა და მის მეგობრებთან ერთად მეც შემიპყრესო. ივი დარდისგან აღარ იყო, რომ ამ საბედისწერო ქამს ქმარს ვერ შველოდა.

— ნურაფერს უზამთ ჩემ ტერენციუსს, ნურაფერს უზამთ ჩემ კეთილ, ჩემ სულელ ტერენციუსს! — ამას გაიძახოდა იგი, ამას ფიქრობდა, ამას გრძნობდა, სანამ სული არ დალია.

საერთოდ ამ თხუთმეტი მაისის წინა ღამეს ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც გათვალისწინებული ჰქონდათ. სამასთვრამეტი კაციდან მხოლოდ თოთხმეტმა უშველა თავს და გარდა ამისა, ერთი გაუგებრობა მოხდა: მექოთნე ალკასი, რომელიც სიაში შეიტანეს იმის გამო, რომ, ერთხელ, მექოთ-

ნეთა დღესასწაულზე, უხეშად გააკრიტიკა ტერენციუსი, — სპორტულ თამაშებს სწორად ვერ სჯისო, აერიათ მუსიკოს ალკასში. ეს შეცდომა საბედისწერო გამოდგა მუსიკოსისათვის, ხოლო მექოთნისათვის ბედნიერების მომტანი. არაფერმა არ უშველა შეცდომით წაყვანილ ალკასს. ამაოდ იფიცებოდა — მუსიკოსი ალკასი ვარო, ტრებონის ხალხი ბრძანებას ემორჩილებოდა და ალკასიც სხვებთან ერთად გამოასალმეს წუთისოფელს. როდესაც ნერონს ეს გაუგებრობა აცნობეს, ხარხარი ატეხა. მოაგონდა პოეტი ცინა, რომელიც კეისრის მოკვლის შემდეგ კორნელიუს ცინას მაგივრად დასაჯეს. ამ პოეტ ცინას უიღბლობა არაკად იქცა. ათი წელი მუშაობდა თურმე თავის პატარა ნოველაზე, „სმირნაზე", რომელსაც ლექსად წერდა, და სწორედ იმ დროს დასაჯეს სიკვდილით, როცა ნაწარმოები სრულ გაუგებრობამდე ჰქონდა მიყვანილი. ნერონმა ბევრი იცინა, ეს პოეტი რომ მოაგონდა, მხიარულ ხასიათზე დადგა და მექოთნე ალკასს სიცოცხლე აჩუქა.

როდესაც „ნერონის შურისმგებლები" კაიას წასაყვანად მოვიდნენ, ვარონი ამაოდ ეცადა წინ აღდგომოდა მათ. შეუტია ნერონის ხალხს, აღშფოთდა, თავისი ავტორიტეტი მოიშველია ბრძანების გაცემას ჩვეულმა კაცმა. არაფერი გამოუვიდა. მაშინ ლოგინიდან წამოვარდნილი, ფაცაფუცით ჩაცმული განრისხებული გაემართა ტერენციუსისაკენ. მაგრამ არც იქ შეუშვეს. კარისკაცებმა და ოფიცრებმა თავაზიანად და გადაჭრით განუცხადეს, იმპერატორს არ სცალია, ხვალისთვის სენატში წარმოსათქმელ სიტყვას ამზადებს, ნაბრძანები გვაქვს არავინ შევუშვათ, ვინც არ უნდა მოაკითხოსო. ვარონმა ძლივს დაიოკა მრისხანება და იქაურობას გაეცალა.

ჯერ თავის თავზე მოუვიდა ბრაზი, რომ წესიერად ვერ ადევნა თვალყური „ქმნილებას" და კნოპსსა და ტრებონს ჩაუგდო ხელში. მერე ტერენციუსზე გადაიტანა მრისხანება. მთელი არსებით ეწადა „ქმნილების" მოსპობა, მაგრამ ბედის ირონიის გამო ეს შეუძლებელი იყო: ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, „ქმნილებასთან" იყო დაკავშირებული. ამიტომ მისი მოსპობა საკუთარი თავის მოსპობას ნიშნავდა.

იგი დიდხანს იჯდა განმარტოებით; ფიქრობდა, თავს

იმტვრევდა. მაგრამ სიბრაზე თანდათან დაუცხრა და ბოლოს სიცარიელისა და უძლურების მეტს უკვე აღარაფერს გრძნობდა. ყუთიდან ექვსი ათასი სისტერციის ქვითარი ამოიღო და ზარალის სვეტს დახედა. ძალიან ბევრი რამ დაჰკარგა. ღირსება, დასავლური ცივილიზაცია, მეგობარი ფრონტონი და აგრეთვე, ქალიშვილი, მარცია, ქონების დიდი ნაწილი, თითქმის მთელი ილუზიები, ერთადერთი თავიდა შერჩენოდა მხრებზე.

როდესაც მეფე მალუქმა ხოცვა-ჟლეტის ამბავი გაიგო, ადგა, მსახურებს უხმო, ჩაიცვა და შადრევანს მიაშურა. იქ, ხალიჩებს შორის, მშვიდად და ღირსეულად დაჯდა. მაგრამ მისსულში არა წყდებოდა ხალხის ჟლეტის ხმა. ხალიჩები და მოჩუხჩუხე შადრევანი ვერ ახშობდა მას. შუაღამისას ქურუმთუპირველესი შარბილიც მოვიდა და უხმოდ მიუჯდა გვერდით. გამთენიისას შარბილმა ფრთხილად შეაპარა, ვინც ასეთ სისხლიან ღამეს აწყობს, იმას საკუთარი თავის რწმენა დაუკარგავსო. ის აღარ თქვა, რაც სინამდვილეში უნდოდა ეთქვა: უნდა გავცეთ ისეთი კაცი, რომელსაც თავის იმედი აღარა აქვსო. მეფემ გაიგონა ის, რაც შარბილს არ უთქვამს, მაგრამ კვლავ ღირსებით აღსავსე იჯდა. გულშიაც არ უნდოდა გაევლო ქურუმთუპირველესის ნათათბირევი. ასე ისხდნენ და დუმდნენ დილამდე. დილით, როდესაც შარბილი დარწმუნდა, რომ ვერაფერს მიაღწევდა, წავიდა, მეფე მალუქი უარესად დანაღვლიანდა. მას მდიდარი ფანტაზია ჰქონდა. ზღაპარი, რომელსაც ოაზისში უყვებოდა უცნობებს, ზღაპარი მექოთნისა, რომელიც იმპერატორი გახდა, აღსავსე იყო საოცარი ეპიზოდებით. მაგრამ ასეთი ბნელი, სისხლიანი ეპიზოდი არ ჰქონდა მეფეს გათვალისწინებული. დიდხანს იჯდა ასე, ტანჯავდა მძიმე ფიქრები; გული უდაბნოსკენ მიუწევდა, მაგრამ ასეთ დროს ქვეყანას ვერ მიატოვებდა. ცხენის ჭენება გწადა, მაგრამ ამ დილით ედესელებს სახეში ვერ შეხედავდა. ბოლოს ამოიოხრა და ჰარამხანისაკენ გაემართა.

როდესაც მეფე ფილიპემ ხოცვა-ჟლეტის ამბავი გაიგო, ისეთი ზიზღი იგრძნო, კინაღამ გული აერია. მან თავის ბიბლიოთეკას შეაფარა თავი, წიგნებს მიაშურა. პოეტთა და ფილო-

სოფოსთა თხზულებებში მრავალი მშვენიერი ლექსი იყო, მრავალი ამაღელვებელი ფრაზა, გულში ჩამწვდომი სიტყვები: „აღმოსავლეთი, სიღრმე, ფერები, კაცთმოყვარეობა, სიბრძნე, ფანტაზია, თავისუფლება“. მაგრამ ლექსებმა და ფრაზებმა სიმშვიდე ვერ მოუტანა. სინამდვილეში ყველა ეს ცნება სიბინძურესთან და სისხლთან იყო დაკავშირებული. პოეტთა ზვიადი, მანუგეშებელი სიტყვები მხოლოდ საფარველს წარმოადგენდა, რომლის ქვეშ სისხლი, ტალახი და უკეთურობა იმალებოდა. ერთობ თხელი იყო ეს საფარველი: მახვილთვალი ყოველივეს ხედავდა მის ქვეშ.

20

ფიქრები ძალაუფლებაზე

ნერონმა სენატი მოიწვია. შესაძლებელია ახლა, როდესაც იგი ვრცელ სიტყვას ამბობდა და სენატს თხუთმეტი მაისის წინა ღამის საჭიროებას უსაბუთებდა, უფრო მეტ ნეტარებას გრძნობდა, ვიდრე კოშკზე, საიდანაც ჩაძირულ აპამეას შესცქეროდა და უგალობდა, ანდა რომში, სენატს რომ პირველად წაუკითხა იმპერატორის ეპისტოლე.

მან ილაპარაკა, რა მძიმე მოვალეობა აწევს ძალაუფლების მქონეს.

— რამხელა სულიერი ბრძოლა გადავიტანე, — გაჰყვიროდა იგი, — რომ ამდენი ხალხი დამეხოცა, რომელთა შორის ჩემი მეგობრები და მეგობარზე უფრო მახლობლებიც ერია. მაგრამ მე ვფიქრობდი იმპერიის სიდიადეზე, ამიტომ სიბრალული გულში ჩავკალი, მსხვერპლი გავიღე, შეთქმულები აღვგავე პირისაგან მიწისა.

იგი გაიტაცა თავისივე ლაპარაკმა, აღელდა, დაიჯერა, რასაც ამბობდა, დაიჯერა, რომ მართლა გული შესტკიოდა დახოცილებზე, დაიჯერა, რომ მართლა დიდი მსხვერპლი გაიღო. ცოფებს ყრიდა, ებრძოდა ბოროტმოქმედებს, ებრძოდა უზურპატორ ტიტუსის მომხრეებს, ქრისტიანთა ბანდებს. ცხარობ-

და, დუჟი ერეოდა, მთელი შიგნეულობა-ამოიღო. გრგვინავდა, მძვინვარებდა, იმუდარებოდა, ცრემლს ღვრიდა, მკერდში იცემდა მჯიღებს, ღმერთებს ფიცულობდა. ბოლოს დაასკვნა:

— მე პასუხს ვაგებ მხოლოდ ზეცისა და ჩემი შინაგანი ხმის წინაშე. მაგრამ დიდ პატივს გცემთ თქვენ, აქ მოწვეულო მამანო. დაე, თქვენმა სამსჯავროო თქვას თავისი სიტყვა. თქვენ იცით, რაც მოხდა. ისიც მოისმინეთ, რატომ მოხდა. გამასამართლეთ! და თუ დამნაშავედ მცნობთ, მომაკვდინეთ!

ცხადია, იგი არავის მოუკვდინებია. ამის ნაცვლად ღმერთებს სამადლობელო ზეიმი გადაუხადეს, რომ იმპერატორსა და ქვეყანას საშინელი ხიფათი ააშორეს.

სისხლიანმა ღამემ სწორედ ისეთი ზემოქმედება მოახდინა სენატსა და ხალხზე, როგორც კნოპსი, ნერონი და ტრებონი მოელოდნენ. ნერონის უეცარმა და შემაძრწუნებელმა ნამოქმედარმა შიში, მოწიწება და გაოცება გამოიწვია. „ერთი მოსმითო“ — ასე. დაახასიათა კნოპსმა ეს საქმე და ამის შემდეგ სირიელთა ლექსიკონში ეს გამოთქმა დიდ როლს თამაშობდა.

პირველი შიშის შემდეგ ხალხმა კიდევ უფრო შეიყვარა ნერონი, კიდევ მეტ პატივს სცემდნენ მისი ენერგიისა და ბოროტი დიდებულების გამო. იმპერატორის სიდიადემ შიმშილობაც კი დაავიწყათ, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობდა. ახლაღა მიხვდნენ, რას გულისხმობდა ნერონი ღამურაზე გადამჯდარი მხედრის პირქუშ სიმბოლოში. ღამურა, ეს ძლიერი და საზიზღარი არსება, ერთადერთი საშუალება იყო, რომლითაც ძალაუფლებას შეეძლო ზეცისთვის მიეღწია. მიხვდნენ და მოეწონათ. და ოცდაერთ მაისს, როდესაც, როგორც ნავარაუდევი იყო, კლდეში გამოკვეთილი ბარელიეფი აკურთხეს, ისინი, შიშითა და მოწიწებით აღსავსენი, აღფრთოვანებული ღრიანცელით შეეგებენ კაცს, რომლის გიგანტური და ერთობ რეალისტური გამოსახულება სამარადისოდ აღიბეჭდა ქვაზე.

სისხლიანმა ღამემ მთელი ქვეყანა აღაშფოთა-მაგრამ ეს სისაძაგლე დიდხანს არ დახსომებიათ: როდესაც სისაძაგლეს

ძალა უმაგრებს ზურგს, თუმცა შეაჩვენებენ ხოლმე ამ სისაძაგლეს, მაგრამ მალე ივიწყებენ კიდეც.

იმპერატორი ტიტუსი, რომელიც თავის სასახლეში იჯდა პალატინზე, პირველ ხანებში ამტყუნებდა ბოროტმოქმედებს. მართალია, მას „კაცობრიობის სიტკბოს“ უწოდებდნენ და თვითონაც ასე ეძახდა თავს, მაგრამ იცოდა, რომ კაცმა თუ ძალადობას არ მიმართე, ისე ბედნიერებას ვერ მიანიჭებ ხალხს. თვითონ ორჯერ იყო ნამყოფი ბრძოლაში, როგორც მთავარსარდალი, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და მამამისი აიყვანა ტახტზე, ბევრი ვინმე დაუსჯია სიკვდილით და ადამიანის სიცოცხლეს მის თვალში მაინცადამაინც დიდი ფასი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სახე მძულვარებით მოეღრიცა, ნერონის მიერ დასჯილთა სია რომ წაიკითხა. სიაში მან ნახა კაია, ნახა მრავალი სხვა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პატივმოყვარეობისა და პირადი შურისმაძიებლობის გამო დაეხოცა ბოროტმოქმედს. ამ უკეთურ საქმეში, რომელიც წვრილფეხა არამზადამ და მისმა დამქაშებმა მოაწყეს. შუამდინარეთში, პოლიტიკა ნაკლებად ერია, მთავარი ინიციატორების სიბრიყვე და ავკაცობა იყო, ინიციატორების გულში დაგუბებულმა სიბრიყვემ და ავკაცობამ ამოხეთქა. იმპერატორმა ტიტუსმა აუწერელი ზიზღით ჩაილაპარაკა:

— ასე როგორ ყარს ეს ლიფსიტა!

ტიტუსის მდივანმა ეს გამოთქმა სხვებს გადასცა და გაავრცელა, და მას შემდეგ, როდესაც მცირე ყალიბის კაცი ფართო მასებს აიყოლიებს და უწმინდურობას თესავს, ამბობენ ხოლმე:

— ასე როგორ ყარს ეს ლიფსიტა!

1

უტიფარი სიმღერა

ნერონ-ტერენციუსის თანამედროვეებს ეს სისხლიანი ღამე კი არ მიაჩნიათ მისი დაცემის დასაწყისად, ისინი ამის მიზეზად გაცილებით უფრო უმნიშვნელო, თითქმის სრულიად შეუმჩნეველ მოვლენას ასახელებენ, სახელდობრ, ხალხში ერთი პატარა სიმღერის გავრცელებას. „ღმერთებმა“, გადმოგვცემს მემატიანე, „კაცი ვინმე, მაქსიმუს ტერენციუსი, რომელიც თავის თავს ნერონს უწოდებდა, თავისივე იარაღით დაამხეს. იგი აღამაღლა ლექსთა თქმისა და მღერის ხელოვნებამ და ბოლოს ფეხი ერთ პატარა სიმღერაზე წაიტეხა“.

არავინ იცოდა ვინ შეთხზა იგი და პირველად ვინ იმღერა. რაღაცნაირად თავისით აღმოცენდა ეს უტიფარი სიმღერა, სხვა ათასი აღმოსავლური სიმღერის მსგავსად იგი მელანქოლიური და დამცინავი არამეული ტაეპებისაგან შედგებოდა, მისი ჰანგი მონოტონური იყო, როგორც ყველა სიმღერისა, რომელიც უდაბნოში იბადება, და ეს მონოტონურობა მას ორმაგად უტიფარსა და დამცინავსა ხდიდა. აი, მისი სიტყვები:

მექოთნემ გამოძერწა ოინი ლამაზი,
ქვეყნად წარემართა ოინი თამაშით,
ოინი მოედო ქვეყანას.

აქტა ჩამოვიდა და დარჩა სახტად:
ოინთან ოინი ეწადა აქტას,
მაგრამ აქ გაწბილდა ოინი მკვეხარა.

მექოთნე ცხოვრობდეს ქოთანთა შორის,
ქოთანი აკეთოს ერთი თუ ორი,
რამეთუ მეფეთა არ არის სწორი.

მაგრამ ეს მექოთნე უვიცი თუა,
ტალახის ზელაზე თუ ამბობს უარს,
მას იმპერატორი ასწავლის ჭკუას,
და კარგად გაიგებს მექოთნე ფლიდი —
ვინ არის მცირე და ვინ არის დიდი.

უკვე გვიანღაა მექოთნევ ჩემო,
რაიც არ შეგფერის ტყუილად ჩემობ,
შენ მაშინ გაიგებ სიცოცხლის გემოს,
როს იმპერატორი ხელს მაგრად მოგკიდებს.

იგი აქ გაჩნდება დღესა თუ ხვალე,
სულ გაგიცამტვერებს ، მაგ ამბავს მალე,
მაღლა ჩამოგკიდებს.

ეს სიმღერა ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მაშინ ახდენდა, როდესაც ციტრისა და დაფდაფების აკომპანიმენტით სრულდებოდა, თუმცა უამისოდაც იოლი დასახსომებელი გახლდათ. მისი მელოდია დახვეწილი და თან მეტისმეტად მარტივი იყო, რაღაცით არაბულ ჰანგებს ჩამოჰგავდა. შიგადაშიგ მასში პატარ-პატარა უტიფარი და უხამსი პაუზები კეთდებოდა, მაგალითად „ოინის“ წინ, დასასრული კი მელანქოლიურად და უსირცხვილოდ რჩებოდა ჰაერში გამოკიდებული და ისე აშკარად ვლინდებოდა იმპერატორის მთელი ნასესხები ბრწყინვალება, ნაღვლიანი, შესაბრალისი და განწირული ბრწყინვალება, რომ ამას თვით ურყევი არგუმენტებიც ვერ შესძლებდა.

ტრებონს არ გაუჭირდებოდა აეკრძალა თხუთმეტი მაისის ამბებზე ლაპარაკი და მკაცრად დაესაჯა იმპერატორის მაგინებლები, მაგრამ რას გახდებოდა მაგალითად პატარა უტიფარ პაუზასთან „ოინის“ წინ, ან რა ღონე უნდა ეხმარა, რომ ეს სიმღერა ერთ-ორ კვირაში მთელ მხარეს არ მოსდებოდა. დიდმა და პატარამ, მიუხედავად იმისა, ესმოდა თუ არა არამეული, ზეპირად იცოდა ეს სიმღერა. ჩაიღიღინებდი ორიოდე ტაქტს და უკვე ყველა ხვდებოდა, რისი თქმა გინდოდა, ბრაზიანად, ავად ჩაიღიმებდნენ და თავის საფიქრალს ფიქრობდნენ.

ამ სიმღერის პოპულარობა იმან გამოიწვია, რომ შუამდინარეთსა და სირიის ნერონისეულ ნაწილში ცხოვრების პირობები სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. თხუთმეტი მაისის წინა

ღამით მომხდარმა ამბებმა თუმცა გაზარდა არსებული წესწყობილების ავტორიტეტი, მაგრამ ქვეყნის მეურნეობას ამით არა შეჰმატებია რა. პური ძნელი საშოვნელი შეიქმნა, ნამცხვარი კი სულაც გაქრა. თან ხალხი გააბოროტა ნერონის თანამდგომთა თვითნებობამ, ტრებონის, კნოპსისა და მათ ხელქვეითთა ძალმომრეობამ, ორიოდე კაცის გამდიდრებამ მთელი მოსახლეობის ხარჯზე. „მექოთნის სიმღერამ“ მთელი ხალხის გულში გამოძახილი ჰპოვა. მას დიდი ქალაქების — სამოსატის, ედესის, პალმირის, აპამეის, ლარისის ქუჩებში მღეროდნენ. მღეროდნენ ნაოსნები ევფრატსა და ტიგროსზე, მღეროდნენ მიწათმოქმედნი და მონები, რომლებიც თესდნენ, ხნავდნენ, მკიდნენ; მღეროდნენ ხელოსნები და საწარმოთა მუშები, ჭებთან შეკრებილი მრეცხავი დედაკაცები და ქუჩაში მოთამაშე ბავშვები, უდაბნოში მღეროდნენ ბედუინები — მექარავნენიცა და მეკობრენიც.

ეს იყო პატარა სიმღერა, მექოთნის სიმღერა, მაგრამ მასში მაინც იყო ისეთი რამ, რაც საფუძველს ურყევდა ნერონის ძალაუფლებას. თუმცა იმპერატორს ისევ ზეიმით ხვდებოდნენ, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ ვინც კარგად შიაყურადებდა ძახილს: „ჰოი კეთილო და უდიდესო იმპერატორო ნერონო“, ის უსათუოდ გაიგონებდა თავხედურ ტაეპსაც:

მექოთნე ცხოვრობდეს ქოთანთა შორის,
ქოთანი აკეთოს ერთი თუ ორი,
რამეთუ მეფეთა არ არის სწორი.

დასასრული კი ჰაერში ნაღვლიანად, სასაცილოდ, სიბრალულითა და ავის მომასწავებლად იყო გამოკიდული:

მაღლა ჩამოგკიდებს...

2

ტილოშემოხვეული სკივრი

გუბერნატორი ცეიონი მუსიკალურობით არ გამოირჩეოდა. შიუხედავად ამისა, მექოთნის სიმღერას ღიღინებდა, ღიღინებდა და ელოდა შიკრიკს, რომელიც რომიდან ახლადდაბრუნე-

ბულ გემზე წერილების მოსატანად გაგზავნა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა, მხრებზე ძოწეულისქობიანი მძიმე მანტია წამოესხა, გაჭიმული იჯდა საწერ მაგიდასთან და ღიღინებდა ამ თავხედურსა და სულელურ სიმღერას.

იგი ძალზე გამოცვლილიყო. ბოლო თვეების უგუნებობამ და ლეთარგიამ გადაუარა. როდესაც სისხლიანი ღამის ამბავი მოუვიდა, დიდი ხნის შემდეგ პირველად ახლა გაიჭიმა. სიხარულის ერუანტელმა თავიდან ფეხებამდე დაუარა. ისევე როგორც აღმოსავლეთის მთავრებმა, ეს სისხლიანი ღამე მანაც სასოწარკვეთილების აქტად ჩათვალა; ასეთ საქმეს მხოლოდ ისეთი კაცი ჩაიდენს, ვინც დარწმუნებულია, რომ მისი საქმე წასულია.

მას შემდეგ უკვე რამდენიმე ხანმა გაიარა. მაგრამ ცრუ ნერონის სამეფოში არაფერი შეცვლილა. ნერონ-ტერენციუსმა სირიაში ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. და მიუხედავად ამისა, ცეიონს სჯეროდა, რომ ტერენციუსის აღსასრული კარზე იყო მომდგარი; მან შეუმდინარეთის საშინაო მდგომარეობაზე სანდო ცნობები მიიღო და ეს ცნობებიც ადასტურებდა მიამიტური სიმღერის სისწორეს. მესოპოტამიის მმართველებსა და ხალხს კი არ უყვარდათ ეს არამზადა, არამედ ეშინიათ მისი. მათ ერთი სული აქვთ, როდის ჩამოშორდებიან ტერენციუსს და ჭეშმარიტი რომის მფარველობის ქვეშ ისევ თავისუფლად ამოისუნთქავენ.

ცეიონმა აღმოსავლეთში დიდი გამოცდილება მიიღო და უფრთხოდა გადაჭარბებულ ოპტიმიზმს. თავს არ იიმედებდა, ტერენციუსი დღედღეზე უჩემოდაც დაემხობაო. მან იცოდა, რომ ტრებონს კარგად შეიარაღებული, კარგად დაწყობილი ლაშქარი ჰყავდა და მესოპოტამიაში დიდხანს გასძლებდა. მაგრამ არამზადის რეჟიმი შიგნიდან შეირყა, მისი დაცემა მოახლოვდა, საკმარისია პატარა ბიძგი და დაემხობა.

ეს ბიძგიც მალე იქნება. ცეიონი იმედით მოელოდა რომიდან გამოგზავნილ წერილებს. დაღონებისა და გულხელდაკრეფილი ჯდომის დრო წავიდა. მან გაწმინდა თავისი არმია, საგულდაგულოდ შეამოწმა თვითეული ოფიცერი და ჯარისკაცი, გააძევა ყველანი, ვინც მისი აზრით ეგრეთწოდებულ ნე-

რონს თანაუგრძნობდა. ნახევარი წლის წინ მისი არმიის დანახვაზე კაცს გული შეუწუხდებოდა; ახლა კი საშიში აღარაფერია, ახლა ერთ ოფიცერსაც კი ვერ გადაიბირებენ ვარონი და ტრებონი.

ნეტავი შიკრიკი რატომ იგვიანებს? აქამდეც უნდა მოსულიყო. ცეიონმა დავთრები გადმოიღო, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო. თუ სამხედრო სამინისტროში შეისმინეს მისი მუდარა, თუ გაიწვევენ ნერონული სულით გაჟღენთილ მეთოთხმეტე ლეგიონს და სანაცვლოდ მეცხრე ლეგიონს გამოუგზავნიან, მაშინ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და საშიში აღარაფერი ექნება, თუნდაც პართიელებთან ომიც ატყდეს.

იგი აქ გაჩნდება დღესა თუ ხვალე,
სულ გაგიცამტვერებს მაგ ოინს მალე,
მაღლა ჩამოგკიდებს.

ცეიონმა უეცრად შეწყვიტა მელოდია, რომელსაც ყალბად ღიღინებდა, მაგრამ სწორად ეჩვენებოდა და გული სიამოვნებით ევსებოდა.

როგორც იქნა შიკრიკი გამოჩნდა. იმპერატორის წერილს რომ ხსნიდა, ცეიონს ხელები უკანკალებდა. სწრაფად ჩაიკითხა გრძელი ეპისტოლე. ხარკის აკრეფის ღონისძიებები. მართვა-გამგეობის ღონისძიებები, დარიგებები მითრას კულტის შესახებ. მაგრამ სადაა მთავარი საკითხი? აი, ისიც: „რაც შეეხება თქვენს წინადადებას, ჩვენ იგი განვიხილეთ, მართებულად ვცანით და შესაბამისი განკარგულება გავეცით“.

ცეიონს ბოლომდე აღარ წაუკითხავს ეპისტოლე. ცეიონი მეცხრე ლეგიონს მიიღებს, მეცხრე ლეგიონს. ეს უდიდესი პატივია, ეს უმაღლესი ჯილდოა გაწეული შრომისათვის. თავისი თანამდებობის სამხედრო მხარე ხომ ყოველთვის განსაკუთრებით იზიდავდა. ახლა რას არ გააკეთებს, რაკი ხელთა ჰყავს მეცხრე ლეგიონი, ეს მშვენიერი მასალა! ცეიონს ათასგვარი გეგმა დაებადა. იგი თავს ჭაბუკივით გრძნობდა. თუ უნდათ დაუძახონ საქაჩულა, დაუძახონ ანტიოქიაშიაც და მთელ აღმოსავლეთშიაც. ამ ბოლო თვეებში მეტსახელმა სულ სხვა ელფერი მიიღო, მართლა სრულდება ის, რაც ვარონმა ირონიულად

უსურვა, ანტიოქიაში მის მეტსახელს ისე წარმოთქვამენ, რომ დაცინვა აღარ იგრძნობა, ეს უფრო კეთილი სურვილია, თითქმის მოფერება.

ოღონდ დრო არ უნდა დაკარგოს. ზეიმი მერეც მოესწრება. ის ისევ წერილებს ათვალიერებს. აი, პეტუსის წერილი, იგი მუდამ დაწვრილებით ატყობინებს ხოლმე ცეიონს რომის ამბებს. სამხედრო სამინისტროში შენ ამბავს ამდენი ხანი იმიტომ დასჭირდა, — წერდა პეტუსი, — რომ იმპერატორმა ფეხი აითრია, მან ხომ დიდხანს უნდა იყოყმანოს, სანამ საქმეს საშველს დააყენებს. მაგრამ მალე ასეთი დაბრკოლებები აღარ შეგექმნება. იმპერატორი — პეტუსს ეს უშუალოდ ტიტუსის ექიმისაგან, ვალენსიუსისგან, შეუტყვია, — გაისამდე ვეღარ მიატანს.

ცეიონმა შვებით ამოისუნთქა, წითელი ლაქები კიდევ უფრო მკვეთრად გამოესახა, რა უბრალოდაა ნათქვამი ამ დაუდევარ ნაწერში: „გაისამდე ვეღარ მიატანს“, თითქოს მოკითხვას უთვლიდეს. ეს კი უდიდესი ამბავია, ღმერთების უზენაესი წყალობაა. თუ ტიტუსი მართლა მოკვდა და მის ნაცვლად ტახტზე ახალგაზრდა ენერგიული დომიციანე ავიდა, მაშინ მექოთნის სიმღერა სინამდვილედ იქცევა, მექოთნის ოინს ბოლო მოეღება. ცეიონი პალატინის მხარდაჭერით ევფრატს გადალახავს, დაატყვევებს იმ არამზადებს და ჯვარს აცვამს.

დროა, ცეიონი საწერ მაგიდას მიუჯდეს. სიამოვნებით იმუშავებს და საქმეს გულს დაუდებს. იმპერატორის წერილის შემდეგ კი სამუშაო ბევრია. მაგრამ ახლა მუშაობა არ შეუძლია. მას ახლა მოძრაობა სჭირდება, მოზღვავებული სიხარული უნდა დაიოკოს. ცხენზე შეჯდება და გაისეირნებს.

დარბაზი გადასერა. კუთხეში ტილოშემოხვეული სკივრი იდგა, მისი წინაპრის გამოსახულება. არა, დღეს ამ სკივრს გვერდს ვერ აუვლის. მან ნაბიჯიც კი შეანელა, მხრები გამართა, გაიჭიმა. გაღიმებულმა ამაყად ჩაუარა სკივრს. ის გაიმარჯვებს, ის გაანადგურებს ამ თაღლითებს. გამარჯვების შემდეგ კი იმპერატორს და სენატს სთხოვს, ნება დართონ ამ სკივრს ტილოს ნაჭერი შემოაცალოს.

3

კეთილსინდისიერი მამა

სანამ ტიტუსის მთავრობა გულხელდაკრეფილი უყურებდა ნერონის ამაღლებას, სახალხოდ ვერავინ ბედავდა მის ნერონობაში ეჭვი შეეტანა. მაგრამ როგორც კი გაიგეს სირიაში მეცხრე ლეგიონი მოდისო, უკვე აღარ ერიდებოდნენ ხმამაღლა ლაპარაკს. იმათაც კი, რომლებსაც აქამდე სწამდათ ნერონისა, ზურგი შეაქციეს თავიანთ ღვთაებრივ იმპერატორს.

მთავრობა ჯიუტად დუმდა და საზღვარს გადაღმა მომხდარ ამბებზე არაფერს ამბობდა, პირიქით, ხელსაც უშლიდა სწორი ცნობების გავრცელებას, ამიტომ ჭორები, რომლებსაც ერთმანეთს საიდუმლოდ გადასცემდნენ, იბერებოდა და ზღაპრულ ელფერს იძენდა. ლაპარაკობდნენ სირიის შეიარაღებასა და გუბერნატორის განზრახულ ლაშქრობაზე და ამ მითქმა-მოთქმაში უცნაურად იყო შერეული მსახიობი იოვანე პატმოსელის წინასწარმეტყველებანი. სამთავიან ქოფაკს უწოდებდა იოვანე ტერენციუსის, ტრებონისა და კნოპსის ტრიუმვირატს. ეს სახელი ხალხში სწრაფად გავრცელდა, ამბობენ ჰერაკლე უკვე გამოეშურა სამთავიანი ქოფაკის დასაჭერადო. ნერონის მოწინააღმდეგეები უფრო ენერგიულად ამოქმედდნენ, კედლებზე ახლა უფრო ხშირად ჩნდებოდა აღშფოთებული, დამცინავი წარწერები. დიდი და პატარა მექოთნის სიმღერასა მღეროდა.

მაგრამ ქალაქებში კვლავ ნერონის ლაშქარი იდგა. ისინი მწყობრად დადიოდნენ ქუჩებში, ძლიერნი, კარგად მოვლილნი და იარაღში ჩამსხდარნი; მართალია, მოსახლეობა მათზე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ იმაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, რომ მოუწესრიგებელი და დაურაზმავი გლეხები და მოქალაქეები დაამარცხებდნენ მათ. ცხოვრება ძველებურად მიედინებოდა. სამოსატაში ან ედესაში ჩამოსული უცხოელი გარეთან ძნელად თუ შეამჩნევდა ამ მხარეში რაიმე არეულობის ნიშანს, პირიქით, ეგონებოდა ხალხი კარგად შეეწყო ნერონის ხელისუფლებას და კმაყოფილიაო.

ადგილობრივი მთავრები და თავადები საქვეყნოდ ნერონის

ქებაში იყვნენ, ვითომ დიდად უხაროდათ ბრწყინვალე სტუმრის აქ ყოფნა. მაგრამ მათ ძილი ჰქონდათ გამფრთხალი და როდესაც ვარონს მარტო შეხვდებოდნენ, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ. მათ იცოდნენ, რომ ხალხში არეულობა მატულობდა, ხედავდნენ, რომ პური, ღვინო, ნამცხვარი, ფული თანდათან ძნელი საშოვნი ხდებოდა და ტერენციუსის, ტრებონის, კნოპსის უღელი უფრო მძიმედ აწვა ხალხს, ვიდრე დიდი და შორეული რომის უღელი.

ნერონის მრჩეველთაგან ყველაზე უკეთ კნოპსი გრძნობდა, რომ არსებული წყობილება შეირყა. მან უკვე შენიშნა, რომ ნაცნობ-მეგობრები ძველებურად აღარ ექცეოდნენ. მისი სიმამრი გორიონი იმდენად გათავხედდა, რომ კნოპსის თანდასწრებით ღიღინებდა თავისი უხეში ხმით მექოთნის სიმღერას, იმდენი არ ესმოდა, რომ ამით თავის თავსაც დასცინოდა, ის ხომ წითელ ქუჩაზე მდებარე ქარხნის მფლობელი და კნოპსის სიმამრი იყო.

მაგრამ კნოპსი ვითომ ვერც ამჩნევდა მის თავხედობას. იცოდა, პროსკრიპციული სიების, ამ რადიკალური ზომის გავლენა დიდხანს არ გასტანდა და სისხლიანი ღამის ამბები მალე გადაავიწყდებოდათ. აქ მას ერთადერთი საქმე დარჩა გასაკეთებელი, უნდოდა, რომ მოიჯარე ჰირკანის ფული, ჰირკანისა კი არა, თავისი პატარა, ჯერ დაუბადებელი კლავდიუს კნოპსის ფული სადმე საიმედო ადგილას შეენახა. მარტოოდენ ეს ფული აყოვნებდა, ეს დიდებული ყვითელი ლითონი, რომელიც მისი პატარა ვაჟის კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა. მოიჯარე ჰირკანი, როგორც განზრახული ჰქონდა, თხუთმეტი მაისის წინაღამით მოაკვლევინა, მაგრამ მისი მილიონების ხელში ჩაგდება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც კნოპსს ეგონა. ჰირკანს იგი უმეტესად დაეფანტა, ისეთ საქმეებში დაებანდებინა, რომლებსაც მთელ აღმოსავლეთში ჰქონდა ფესვები გადგმული, ნაწილი გაესესხებინა ან გადასახადებისაგან თავის დაძვრენის მიზნით სხვა სახელმწიფოებში გაეტანა, ნაწილი კი საიმედოდ გადაემალა. გარდა ამისი, კნოპსს თვალს არ აშორებდა ვარონი, იგი კი ერთობ უსიამოვნო მოწინააღმდეგე იყო და მასთან შეთანხმება არ მოხერხდე-

ბოდა. კნოპსმა ათასი ხერხი მოიგონა, რომ განსვენებული ჰირკანის ფული მთლიანად ხელში ჩაეგდო. ამიტომ გვიანდებოდა მისი გამგზავრება. ის კარგად გრძნობდა საფრთხის მოახლოვებას და უნდოდა თავი გადაერჩინა. დიდი გულადი კაცი არ ყოფილა და იცოდა, თუ დააყოვნებდა, წამებით სიკვდილი მოელოდა. როდესაც სიმღერის დაბოლოებას „მაღლა ჩამოგკიდებსო" გაიგონებდა ხოლმე, შიშის ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ ის კარგი, კეთილსინდისიერი მამა იყო, და არ შეეძლო ,თავისი პატარა ვაჟის ფული წყალში გადაეყარა, ამიტომ მხნეობა მოიკრიბა და დარჩა.

4

განსვენებული მეგობარი

ფელდმარშალი ტრებონი, როხროხა და ხალისიან სავსე, ძველებურად დაიფხორებოდა ქალაქში. მას ასიათასიანი კარგად დაწყობილი ლაშქარი ჰყავდა და ამიტომაც ის, რასაც არისტოკრატი ვაჟბატონები „ფსიქოლოგიურ სიძნელეებს" ეძახდნენ, სულ არ აშინებდა. მაგრამ იდუმალ შეშფოთებასა გრძნობდა ხოლმე, როცა გაახსენდებოდა, რომ ცეიონის ოფიცრებს სამხედრო აკადემიები ჰქონდათ დამთავრებული და კარგი თეორეტიკოსები იყვნენ. ამ მხრივ პოლკოვნიკი ფრონტონისა და ლეიტენანტი ლუციუსის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო და ფელდმარშალი ტრებონი თავისუფალ საათებში ხანდახან თავსატეხ წიგნს „სამხედრო ხელოვნების სახელმძღვანელოს" ფურცლავდა ხოლმე.

ლეიტენანტი ლუციუსის სიკვდილი სხვა მხრივაც საზიანო გამოდგა. ის მამაცი ოფიცერი იყო და ბევრი დამსახურება ჰქონდა, მან დიდი წვლილი შეიტანა ნერონის გამარჯვებაში, ამიტომაც მისმა სიკვდილით დასჯამ არმიაში უკმაყოფილება გამოიწვია. მით უმეტეს, იცოდნენ, რომ ლუციუსი იმპერატორის საქმისათვის თავს არ ზოგავდა. რომელ მათგანს შეეძლო

გულდამშვიდებით ყოფილიყო, როცა ლუციუსსაც კი ასე მზაკვრულად გაუსწორდნენ, ისე რომ სასამართლო არც აღირსეს? ყველანი ილანძღებოდნენ, ერთმანეთს ბოგულიანებდნენ და გადაწყვიტეს ეს შემოტევა უპასუხოდ არ დაეტოვებინათ.

ლაშქარმა ფელდმარშალ ტრებონთან წარმომადგენლები გაგზავნა, ეკითხებოდნენ, იცოდა თუ არა მან რამე ლუციუსის მკვლელობის შესახებ, მისი თანხმობით მოხდა თუ არა ეს ამბავი. უნდოდათ გაეგოთ, რა დააშავა მათმა ამხანაგმა და რა საბუთებით მტკიცდებოდა ეს დანაშაული. და თუ მკვლელობა ტრებონის თანხმობის გარეშე მოხდა, რა ზომების მიღებას აპირებს იგი მკვლელების დასასჯელად?

ტრებონი წამით შეყოყმანდა, ეს ხალხი სამხედრო სასამართლოს ხომ არ გადავცეო. მაგრამ კარგად იცნობდა ჯარისკაცის სულს და მაშინვე მიხვდა, რომ მკვლელობის დაფარვა უპკუობა იქნებოდა. ჯარისკაცს უფლება აქვს უყვარდეს ან სძულდეს ვინმე. ლეიტენანტი ლუციუსი უყვარდა ლაშქარს, ესე იგი ის უდანაშაულო იყო, მისი მოკვლა კი ბოროტმოქმედება. ტრებონი შეცდა, როცა ის სიაში შეიტანა და ახლა უნდა მოიმკას თავისი შეცდომის უსიამო ნაყოფი. მან დაგმო ლეიტენანტის მკვლელობა და წარმომადგენლებს დაჰპირდა, არმიის მოთხოვნებს შეასრულებო.

ის ნერონთან მივიდა. ნერონი ტახტზე წამოწოლილიყო და უგუნებოდ ბრძანდებოდა. მრჩევლებმა ახლახან აუწყეს, როგორ ძლიერდებოდა ცეიონის ლაშქარი და ხალხში როგორი უკმაყოფილება იყო. იმპერატორი არც კი განძრეულა, თითქოს არ უსმენდა; მაგრამ როდესაც მარტო დარჩა, ფართო სახე მოეღუშა და ქვედა ტუჩი კიდევ უფრო უკმაყოფილოდ ჩამოუშვა.

მექოთნის სიმღერა აშმაგებდა. მას ერთხელ უთხრეს, ებრაელებს სჯერათ, რომ ტაძრის დანთქმისათვის ღმერთმა ტიტუსს ტვინში მწერი გაუჩინა, მწერი განუწყვეტლივ წრიალებს და მისი ავადმყოფობის მიზეზიც ეგ არისო. ნერონის ტვინში კი მწერის ნაცვლად მექოთნის სიმღერა ბზუის, ეს სიმღერა არ ეშვება მას, აწვალებს და „შარავანდედს“ აცლის.

ტრებონის მოსვლა ესიამოვნა იმპერატორს, გულს გადავაყოლებო, იფიქრა.

— დღეს ღმერთები არ მესაუბრებიან, — თქვა მან, — შინაგანი ხმა დუმს. ასეთ ნაღვლიან დღეს კარგი იქნებოდა გასართობად მექოთნე ტერენციუსისთანა კაცი მყოლოდა, მაგრამ არა უშავს რა, გაჭირვებაში შენც გამოდგები.

ტრებონმა არ იცოდა, როგორ გაეგო იმპერატორის ნათქვამი, ვერ მიხვდა, ავს მოასწავებდა თუ კარგს; ის გულადი კაცი იყო, მაგრამ ახლა შემკრთალი ჩანდა. ნერონი ისევ იმპერატორად და ღმერთად მიაჩნდა. ახლა სახიფათო იყო ეთქვა ნერონისთვის, თუ რა საქმეზე მოვიდა.

— ჩემი ჯარისკაცები, — დაიწყო მან, — სასტიკად უსწორდებიან ყველას, ვინც ერთ უტიფარ სიმღერას მღერის. მარტო სამოსატაში ამ ერთი კვირის განმავლობაში სამოცდაოთხი კაცი დავსაჯეთ. მაგრამ ხალხმა ახალი ხერხი მოიგონა. ახლა იმ მეძავი კლავდია აქტას შეთხზულ სიმღერას მღერიან, ბზრიალას სიმღერას, ოღონდ ტექსტი გამოუცვალეს.

— მერედა, როგორია ეს ტექსტი? — ჰკითხა ნერონმა.

— ძალიან სულელური ტექსტია, — მოლუშული სახით მიუგო ტრებონმა, — გნებავთ, მოგახსენოთ?

— მითხარი, — ხმის აუმაღლებლად უბრძანა ნერონმა.

და ტრებონმა უთხრა. ტექსტი ასეთი იყო:

> მექოთნეე. ბზრიალა აღარ ბზრიალებს,
> შენ თუ გიხარია, რომ აღარ ბზრიალებს,
> შენ თუ გიხარია, რომ საქმე წასულია?
> მე მიხარია.

ნერონი ყურადღებით უსმენდა.

— მართლაც სულელური სიტყვებია, — კვერი დაუკრა მან.

— იქნებ აგვეკრძალა? — საჩქაროდ ჰკითხა ტერბონმა.

— აკრძალვით არაფერი გამოვა, — საქმიანად უპასუხა ნერონმა, — ეს ამბავი რომში სიცილადაც არ ეყოფათ. ადრეც

სისულელე ჩავიდინეთ, ის უტიფარი სიმღერა რომ ავკრძალეთ. სიმღერის გასამართლება შეუძლებელია.

— ჰო, ძნელია, — თქვა დაფიქრებულმა ტრებონმა. — მელოდიას სიტყვების გარეშე ღიღინებენ, თუ დაიჭირე, გეტყვიან, სულ სხვა სიმღერას ვმღეროდიო. თუ ვაქკაცი ხარ, მიდი და დაუმტკიცე.

— სიმღერის დევნა მართლაც ძნელი უნდა იყოს, — ხმამაღლა ფიქრობდა ნერონი. — სიმღერას თავისი სახე აქვს, მაგრამ ათას სხვასა ჰგავს და ვერასოდეს გაიგებ, ნამდვილ სახეს მიაგენი თუ მხოლოდ მსგავსს.

— მაშ, აღარ ავკრძალავ, — თქვა მორჩილად ტრებონმა.

— სისულელეს როშავ, — აღშფოთდა ნერონი, — აუცილებლად უნდა აკრძალო, აკრძალო კი არა, შანთით უნდა ამოსწვა. მაგრამ შენ ამისი უნარი ვინ მოგცა.

ტრებონმა უსიტყვოდ გადაყლაპა წყენა.

— თქვენი ყურმოჭრილი მონა, მბრძანებელო, — თქვა მან, — თქვენი ერთგულია, მაგრამ მოქნილობა და სიმარჯვე აკლია. სამწუხაროდ, შეცდომა მომსვლია, როდესაც თავის დროზე ერთ სიაში ერთი სახელი შეგატანინეთ.

ნერონმა შუბლი შეიკრა.

— როგორ თუ შეცდომა? — მიუგო მან. — სია მე მოვიწონე, მაშასადამე აქ ყველაფერი რიგზე იყო.

შეშფოთებულმა ტრებონმა უკან დაიხია. მაგრამ ის თავის ჯარისკაცებს დაპირდა, თქვენს სურვილს ავასრულებო და მცირე ხნის შემდეგ ფრთხილად დაიწყო:

— არმიას უყვარდა ლუციუსი, — თქვა მან, — და ახლაც უყვარს.

„ლუციუსი!“ ნერონმა ვერ გაიხსენა.

— ვინ არის ლუციუსი?

— წეღან რომ მოგახსენებდით, ის კაცია, — უპასუხა ტრებონმა და როცა დაინახა, იმპერატორი არ გამწყრალა, გული მიეცა და სწრაფად განაგრძო. — არმია იმპერატორის მარჯვენა ხელია. თუ იმპერატორს ხელი ასტკივდა, გაეკაწრა ან რამე ამგვარი, განა იმპერატორმა მას მალამო არ უნდა წასცხოს?

„თუ აფეთქდა“, გაიფიქრა ტრებონმა, „თუ განრისხდა, პირში წყალს ჩავიგუბებ. მებრალებიან ჩემი ჯარისკაცები, მაგრამ რა გაეწყობა, იძულებული გავხდები სამხედრო სასამართლოს გადავცე“.

მაგრამ ნერონი არ აფეთქებულა. ტრებონმა განაგრძო:

— იმპერატორს დიდი ხანია თავისი სიტყვით არ გაუბედნიერებია ლაშქარი. ლაშქარი დანატრებულია იმპერატორის სიტყვას. იმპერატორის ერთი გულთბილი სიტყვა და არმია ორჯერ უფრო ძლიერი გახდება, ვიდრე აქამდე იყო.

— რა მოუვიდა შენს ლუციუსს? — მოწყალედ იკითხა ნერონმა. ტრებონის ამოცანაში ყველაზე უფრო რთული ეს კითხვა იყო.

— კარგი იქნებოდა, — თქვა შემპარავად, — იმპერატორს ეთქვა თავისი ჯარისკაცებისთვის, თუ რა შეემთხვა მათ ამხანაგს, არმიისთვის აეხსნა, რომ ის კარგ ოფიცრად თვლიდა ლუციუსს და შეწუხებულია მისი სიკვდილის გამო.

ნერონმა ზურმუხტი თვალთან მიიტანა და ტრებონს გახედა.

— ჰმ, — წარმოთქვა მან, — გამოდის, რომ შენი მიცვალებულები მე უნდა ვმარხო. იცი თუ არა, რომ შენ დიდი თავხედი ვინმე ხარ, ტრებონ?

მაგრამ ეს არც ისე წყრომით იყო ნათქვამი. ნერონი ფიქრებში ჩაიძირა და ტრებონმა იგრძნო, რომ მისი ბატონი გადაწყვეტილებას იღებდა, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული ტრებონის პოპულარობა. ყურადღებით აკვირდებოდა იმპერატორის სახეს, მოუთმენლად მოელოდა მის პასუხს. ნერონმა თავი ასწია. ახლა ის ალაპარაკდება, უპასუხებს. ტრებონი უსმენდა მოლოდინით აღსავსე. მაგრამ იმპერატორს არ უპასუხნია, მან ღიღინი წამოიწყო. ეს იყო მექოთნის უტიფარი სიმღერა. ტრებონს მუსიკალური სმენა არ ჰქონდა და მელოდიები ადვილად ერეოდა ერთმანეთში. მაგრამ აქ საეჭვო აღარაფერი იყო და შიშისგან გული შეეკუმშა.

იმპერატორმა კი შუაზე გაწყვიტა სიმღერა, გაიღიმა და თქვა:

— კაცმა რომ თქვას, მომხილაობას არ არის მოკლებული

გულადი ჯარისკაცის დატირება. მე მგონია ეს სამგლოვიარო სიტყვა ჩემს ნაწერებში ღირსეულ ადგილს დაიჭერს.

და იგი, როგორც ჩანდა, უკვე შეუდგა სიტყვაზე მუშაობას, თან ისევ მექოთნის სიმღერას ღიღინებდა. ტრებონი წავიდა. ის უფრო დაღონებული იყო, ვიდრე გახარებული.

ნერონმა არმიის თავკაცები თავის პატარა საშინაო თეატრში მიიწვია. უპირველეს ყოვლისა აჩვენა მათ საგმირო ოპერა „კლიტუსის სიკვდილი". მასში მოთხრობილი იყო, თუ როგორ გადაარჩინა კლიტუსმა დაღუპვას დიდი ალექსანდრე, ალექსანდრემ კი მიუხედავად ამისა სიმთვრალეში მოკლა იგი. ამ სიმბოლური წარმოდგენის შემდეგ ნერონმა ოფიცრებს მგრძნობიარე და პათეტიკური სიტყვით მიმართა, პატიება ითხოვა ლეიტენანტის მოკვლის გამო. ხოტბა შეასხა ლუციუსის სიმამაცესა და სამხედრო ნიჭს. შემდეგ დისციპლინაზე ილაპარაკა. განაცხადა, ახლა ომია, მძიმე ბრძოლების გადატანა გვიხდება უზურპატორ ტიტუსთან და ომის დროს კი მთავარი დისციპლინაა. ლუციუსს, მრავალჯერ, სანდო მოწმეთა, როგორც რომაელთა, ისე აღმოსავლელთა თანდასწრებით, შეთქმულივით ულაპარაკნია, თურმე ბრიყვულ ტყუილებს ავრცელებდა, თითქოს იმპერატორი მდაბიო წარმოშობისა ყოფილიყოს და ყვარებოდეს კიდეც მდაბიორები. მოწმეებმა ჩვენებები ფიცის ქვეშ მისცეს. ოქმების ნახვა ყოველთვის შეუძლია ტრებონსა და სხვა გენერლებს. ალბათ, ლეიტენანტის თავგასული ლაყბობა ახალგაზრდული ქარაფშუტობით იყო გამოწვეული და მშვიდობიანობის შემთხვევაში პატიების ღირსი იქნებოდა. მაგრამ ომიანობის დროს ამისი პატიება შეუძლებელია. მან შეამოწმა, აწონ-დაწონა, გადაწყვიტა. მსჯავრის გამოტანა იოლი როდი იყო, რადგან შვილივით უყვარდა ეს ახალგაზრდა ოფიცერი, მაგრამ როგორც ბრუტუსმა დასაჯა თავისი შვილები, ისევე მანაც, მას შემდეგ რაც ღმერთებს ესაუბრა, სიკვდილით დასაჯა ლეიტენანტი. ეს ძალიან მძიმე მსხვერპლი იყო იმ მსხვერპლთა შორის, რომელიც იმპერატორმა სახელმწიფოსა და არმიის საკეთილდღეოდ გაიღო. ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე მსხვერპლი, მაგრამ მას იმედი აქვს, არმია თავისი მომავალი საქმეებით დაამტკიცებს,

რომ ლეიტენანტის სისხლი ამაოდ არ დაღვრილა და რომ ეს სისხლი ნამდვილად განამტკიცებს დისციპლინას.

დღეს ის კარგ ფორმაში იყო, დროულად ამოიგმინებდა ხოლმე, სადაც საჭირო იყო, გრგვინავდა და თავისივე სიტყვებიდან იღებდა შთაგონებას. დიახ, ეს საოცარი კაცი, ნერონ-ტერენციუსი, ლაპარაკის დროს მართლაც გულწრფელად იყო შეწუხებული გულადი ჯარისკაცის სიკვდილით. მაგრამ ოფიცრები, რომლებსაც მთელი თეატრი აევსოთ, უფრო დაეჭვებულნი ჩანდნენ, ვიდრე აღელვებულნი და მოხიბლულნი. ბევრი მათგანი თავისთავს ეკითხებოდა, უფრო ჭკვიანური და პატიოსანი საქციელი ხომ არ იქნებოდა, მიეტოვებინა ეს კომედიანტი, ევფრატი გადაელახა და თავის ძველ ამხანაგებს შეერთებოდა, რომლებთანაც ამ მოკლე ხანში ბრძოლა უნდა გაემართათ, და გულში ბევრი დაეთანხმა ერთ ოფიცერს, რომელმაც სასახლიდან გამოსვლის დროს თავისი შთაბეჭდილება ასე გამოხატა: „ზედიზედ ორი ოპერის მოსმენა მეტისმეტიაო“.

ტრებონი იმპერატორის ლოჟაში იჯდა და სიტყვა არ გამოჰპარვია, წესით გახარებული უნდა ყოფილიყო; მან ძნელი ამოცანა გადაჭრა, ნერონს არმიის წინაშე ბოდიში მოახდევინა, მაგრამ ისიც უფრო დაბნეული იყო, ვიდრე კმაყოფილი. იმპერატორის მაღალფარდოვან სიტყვებს შორის მექოთნის სიმღერა ესმოდა, ეს სიმღერა აქარწყლებდა მაღალფარდოვან სიტყვებს და ნერონი ნერონი კი არა, მხოლოდ მექოთნე ტერენციუსი იყო.

5

იმუშავე და სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი

ვარონი ამ წარმოდგენას არ დასწრებია. ამით უჭკუო საქმე ჩაიდინა და იმპერატორიც შეურაცხყო. მაგრამ მან ვერ დაძლია ზიზღი კნოპსისა და ტრებონისადმი. წინათ მათ სიძულ-

ვილის ღირსად არც კი თვლიდა.. ახლა თავისი უილაჯობის გამო კიდევ უფრო შესძულდა ისინი.

არა, მისი აზრით, პროსკრიპციული სიების ამბავი ურიგო როდი იყო. მაგრამ ზიზღსა ჰგვრიდა ჩანაფიქრის ბრიყვული, მდაბიური განხორციელება. ვარონი არ იყო გულჩვილი კაცი, მაგრამ მაინც მკვეთრად მიჯნავდა პირად გრძნობებსა და პოლიტიკას. თუ გსურს სამაგიერო მიუზღო ვინმეს, პოლიტიკა არაფერ შუაშია, საკუთარი ინტერესებისა და პოლიტიკის ერთმანეთში არევა უვიცი და ხეპრე ადამიანების საქმეა. კაიჟსა და ლეიტენანტ ლუციუსის მსგავსთა მოკვლა ბინძური საქციელია, ეს უფრო მეტია, ვიდრე ბოროტმოქმედება.

ვარონს ეს „ქმნილებები" ასე არ უნდა გაეთამამებინა. საჭიროა დროზე ალაგმოს ისინი. მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმეა. ტრებონი არავითარ ძალმომრეობაზე უკან არ დაიხევს, თან დიდი პოპულარობითაც სარგებლობს, კნოპსს კი სინდისის ნატამალი არ გააჩნია და ეშმაკობასა და გამოგონებაში ბადალი არა ჰყავს. ვარონმა მათზე მასალების შესაგროვებლად აგენტები გაიჩინა. შეადგენინა აქტები, სადაც დაწვრილებით იყო დამტკიცებული, თუ ორივე მრჩეველი რა ბოროტად იყენებდა თანამდებობას, როგორ უსწორდებოდნენ ისინი პირად მტრებს და ჯიბეს როგორ ისქელებდნენ. ვარონს, ისევე როგორც ყველა რომაელს, თვითონაც ჰქონდა გამდიდრების ჯანსაღი სურვილი, არც მას ებრალებოდა ჩაგრული და დაბეგრილი და თავის დროზე უყოყმანოდ მოხადა ქონი მთელ პროვინციას. მაგრამ მან ეს სუფთად და ეშმაკურად გააკეთა, კნოპსი და ტრებონი კი ამას უხეშად აკეთებდნენ თავიანთი ბინძური ხელებით. თავის სიმართლეში გულწრფელად დარწმუნებული ვარონი გმობდა მათ ხერხებს.

კნოპსისა და ტრებონისათვის ძირის გამოსათხრელად დრო და შრომა იყო საჭირო. მაგრამ ის მართვა-გამგეობის ძნელი, დახლართული საქმეებით იყო დაკავებული. სულ ახალ-ახალ საშუალებათა მოფიქრება უხდებოდა, რათა მოსახლეობის მღელვარება როგორმე დაეცხრო და თან ფული ეშოვნა, რომ არმია კიდევ უფრო გაედიდებინა. ის მუშაობდა, თავაუღებლივ მუშაობდა, გატაცებით მუშაობდა. დაუღალავი, თითქმის

გახელებული შრომით ცდილობდა თავი დაეცვა უიმედობის მძიმე გრძნობისაგან, რომელიც ხშირად წამოეძალებოდა ხოლმე.

როცა მუშაობა ვეღარ შველიდა, უკანასკნელ საშუალებას მიმართავდა. ედესაში კლავდია აქტას ჩამოსვლის შემდეგ მარცია ადრინდებულად აღარ უფრთხოდა მამას და მამა-შვილის დაახლოვება აქტას წასვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა. მარცია იღებდა სტუმრად მოსულ მამას, ხანდახან თვითონაც ეწვეოდა ხოლმე. ვარონი მასთან მთელი საათობით რჩებოდა, ბოლთასა სცემდა და ლაპარაკობდა, რაც გულში ედო. ის ხმამაღლა მსჯელობდა, თუ რამხელა თავხედობა და სისულელე იყო, ცალკეული პიროვნება რომ ისტორიის -შეცვლას მოინდომებდა. განა ყველაზე ძლიერი კაცის მოქმედებათა ცხრა მეათედი გარემოებებით არ არის განპირობებული? თვითონ ვარონიც ხომ ამ ნერონზე ნაკლებ არ არის შებორკილი. მისი გეგმა რომ ასეთი იღბლიანი გამოდგა, ამაში მარტო ვარონს კი არ მიუძღვის წვლილი, არამედ გარემოებათა ბედნიერ დამთხვევას, ეს კი ვარონის ხელთ არ ყოფილა. საერთოდ სად არის პოლიტიკური წარმატების მთავარი საფუძველი? იგი უმეტეს შემთხვევაში ისეთ სფეროში მდებარეობს, რომლის შეცნობა პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმულ კაცს არ შეუძლია. როგორ უნდა მოახდინო ზემოქმედება პოლიტიკურ მოვლენებზე? რაზეა დამოკიდებული მისი ღონისძიების მომავალი, მისი ნერონისა და თვითონ მისი ბედი? არც შუამდინარეთის განწყობილებაზე და არც ცეიონის შეიარაღებაზე. ასე მხოლოდ ბეცები ფიქრობენ, ისინი, რომლებიც თავისი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავენ. დღეს მოკვდება ტიტუსი თუ ერთი წლის შემდეგ, გაიმარჯვებს თუ დამარცხდება არტაბანი იმ მძიმე ბრძოლაში, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში წარმოებს, აი, რაზეა დამოკიდებული მისი ნერონის ბედი, ამ ამბებს კი ძნელია ხელი შეუწყოს ან შეუშალოს კაცმა, მათ წინასწარ ვერავინ გამოთვლის და განჭვრეტს. ვარონმა, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რომ მოვლენები თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა და მომავალში თავს არ დაზოგავს. მაგრამ რასაც სასწორზე დებს, ეს სულ მცირე რამ არის და

იგი სულელი იქნებოდა, ამისთვის დიდი მნიშვნელობა რომ მიენიჭებინა.

ასეთ საკითხებზე ესაუბრებოდა ხოლმე მდუმარედ მჯდარ მარციას. მარცია თვალს აყოლებდა, როდესაც ის ბოლთას სცემდა, მაგრამ ვარონმა არ იცოდა, უსმენდა თუ არა ქალი და, თუ უსმენდა, იგებდა თუ არა მის ნალაპარაკევს. ერთხელ, როდესაც ვარონმა საუბარი დაამთავრა, მარციამ უპასუხა:

— ამაზე ჩვენს ფრონტონს უნდა ელაპარაკო, ის ჭკვიანია და ასეთი ამბები კარგად იცის.

— ფრონტონს? — ჰკითხა დაბნეულმა ვარონმა.

— ჰო, ფრონტონს, — უპასუხა მარციამ ისე, თითქოს ყველაფერი თავისთავად გასაგები ყოფილიყოს.

— მერედა სად შეიძლება მისი ნახვა? — ფრთხილად დაეკითხა ვარონი.

— მართლაც მახვილი თვალი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ის დაინახოს, — უპასუხა დაფიქრებით მარციამ. — ბევრნი ვერ ცნობენ მას და ნერონად თვლიან. ვესტალად რომ გაგეშვი, ძვირფასო მამა, მაშინ, მე მგონია, ყოველთვის დაუბრკოლებლივ ვნახავდი ხოლმე მას.

მარცია იღიმებოდა, მის ხმაში არც გამწარება იგრძნობოდა და არც წუწუნი. ვარონმა აღარ იცოდა რა ეპასუხნა და მალე წავიდა.

იგი რამდენიმე ხანს გაურბოდა მარციას. მაგრამ მოენატრა მასთან საუბარი, თუნდაც ცალმხრივი; ისევ ესტუმრა და შემდეგ ხშირ-ხშირად აკითხავდა ხოლმე, როცა კი ეს შესაძლებელი იყო. მასთან საუბრით თავისი თავის დამშვიდებას ლამობდა.

— საოცარია, — ასკვნიდა ის, — ამ მოკლე ხანში რამდენი რამ შევძელით. ძლიერი, ბრძოლისუნარიანი არმია ჩამოვაყალიბეთ, რომაული წვრთნით ადგილობრივ მკვიდრთაგან შედგენილი რაზმებიც კი საუკეთესო ლაშქრად ვაქციეთ, არტაბანთან კავშირი განვამტკიცეთ, ის ახლა საიმედოდ გვიმაგრებს ზურგს. შუამდინარეთის ქალაქებმა სხვა იერი მიიღეს, აქ სამაგალითო წესრიგი დამყარდა; მართვა-გამგეობაც ნაკლებ ბინძური გახდა, ვიდრე წინათ, იგი კარგადაა ორგანიზებული.

აქ მცხოვრებმა რომაელებმა და ბერძნებმა აღმოსავლელებს სულ სხვა თვალით შეხედეს, უკეთ შეეწყვნენ ერთმანეთს, აქაური ციის ქვეშ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ასეთი მეგობრობა ჯერ არ ყოფილა. დიდად საწყენი იქნებოდა, ყველაფერი რომ წყალში ჩაგვყროდა და არც ჩაგვიყრება. უკმაყოფილება, რომელმაც ეს მხარე მოიცვა, თანდათან იხრება. დამაცა ჯერ ეს ნაძირალები გავრეკო, კნოპსი და ტრებონი თუ რა ეშმაკი ჰქვიათ. ჩვენი საქმე კეთილი და გონივრულია და არ შეიძლება კარგად არ დამთავრდეს.

ამჯერად მარციას, როგორც ჩანდა, უსმენდა. თითქ სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა: ვარონს ეგონა, ეს თანაგრძნობის ღიმილიაო. მაგრამ ლაპარაკი რომ დაამთავრა, მარციას არაფერი უპასუხია. ძალიან ჩუმად ღიღინებდა. ვარონი ყურმა თუ არ მოატყუა, ეს მექოთნის სიმღერა იყო.

3

საბედისწერო აბაზანა

იმპერატორი ტიტუსი ამ წლის ოთხ სექტემბერსაც, ისევე როგორც ყოველ წელიწადს, კოზის მახლობლად, თავის მამულში გაემგზავრა. თავი გზაშივე ცუდად იგრძნო. მიაღწია თუ არა დანიშნულ ადგილს, ლოგინში ჩაწვა და აღარც ამდგარა. ცამეტ სექტემბერს სიცხემ აუწია და მდგომარეობა საშიში გახდა. შისმა ექიმმა ვალენსიუსმა იმპერატორს თოვლის აბაზანა გამოუწერა. ამ აბაზანის მიღების დროს, რასაც მხოლოდ ექიმი ვალენსიუსი და ებრაელი იოსებ ფლავიუსი ესწრებოდნენ, იმპერატორი ტიტუსი გარდაიცვალა.

ბევრი იმასაც ამბობდა, კარის ექიმმა იმპერატორს ეს საბედისწერო აბაზანა განზრახ გამოუწერა, იგი ერთმა არისტოკრატმა მოისყიდა, რომელიც ახალი იმპერატორის გამეფებით იყო დაინტერესებულიო. რამდენად სწორი იყო ეს ამბავი, ძნელი სა უმეელია. ვალენსიუსი მთელ იმპერიაში საუკეთესო ექიმი იყო, ხოლო იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ხანი უნდა დაჰ-

ყოს ავადმყოფმა თოვლის აბაზანაში, ძალიან ძნელი საქმეა. ყველაზე დიდი მცოდნეც კი შეიძლება შეცდეს. ასეა თუ ისე, იმპერატორი აბაზანაშივე გარდაიცვალა. თოთხმეტ სექტემბერს იგი ღმერთთა დასში ჩარიცხეს, ტახტზე კი მისი ძმა დომიციანე ავიდა.

ეს ამბავი მალე მთელ ქვეყანას მოედო. მან საოცარი სისწრაფით გადალახა ზღვა, სირიაში შეიჭრა და ანტიოქიამდე მიაღწია.

ანტიოქიის გუბერნატორთან შიკრიკი მოვიდა, მას ხელში ფრთებით შემკული კვერთხი ეჭირა, მგლოვიარობის ნიშანი. ცეიონმა დაინახა თუ არა შიკრიკი, მაშინვე მიხვდა, თუ რა ამბავს მოუტანდა. თავისდაუნებურად წელში გაიმართა, გაიჭიმა, თავიდან ფეხებამდე საქაჩულა გახდა. მოუთმენლად, ბატონკაცურად ანიშნა შიკრიკს და შიკრიკი გაეცალა. შემდეგ მარტო დარჩენილი სიხარულით ცას ეწია.

ლოიალურ მოხელეს, ლუციუს ცეიონს, ოდნავ კი რცხვენოდა, რომ თავისი იმპერატორისა და მბრძანებლის გარდაცვალებამ სულ არ შეაწუხა. რაც არ უნდა იყოს, მან ერთგულება შეჰფიცა ტიტუსს. მაგრამ თავის თავს ხომ ვერ გადაახტებოდა, აღტაცების მეტს ვეღარაფერსა გრძნობდა. ტიტუსი თავისთავს მშვიდობიან იმპერატორს ეძახდა. მშვიდობა დიდებული საქმეა; მაგრამ თუ მშვიდობა (ახლა, როცა ტიტუსი ცოცხალი აღარაა, ცეიონს შეუძლია ეს გაიფიქროს) ასე ლაჩრულად და სამარცხვინოდ არის მოპოვებული, მაშინ ის ღუპავს და ჟამით ავსებს ქვეყნიერებას. უგუნურების დრო, როგორც იქნა, წავიდა. მინერვა, სიბრძნის ქალღმერთი, ისევ იღებს თავის მტკიცე ხელში დედამიწის ბურთს. ცეიონი ქვეყნიერების ამ ნაწილში ქალღმერთის ნაცვალია და საქმე კარგად უნდა წარმართოს. მისი ძლევამოსილი არმია საომრად გამზადებულია. ცეიონს ახლა ხელფეხი გახსნილი აქვს და ამ არმიით აღმოსავლეთში მშვიდობიანობას დაამყარებს. მან გაიღიმა. გაახსენდა ვარონის გლუვი, მსუქანი, ირონიული სახე. დიახ, ახლა ცეიონი იღიმება და არა ვარონი. რამდენიმე თვის განმავლობაში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ამ წყალწაღებულ კაცს უნდა გაემარჯვა. მაგრამ საბოლოოდ მაინც ცეიონი იმარჯვებს და ცეი-

ონთან ერთად იმარჯვებს მოვალეობა, დისციპლინა, რომი, გონიერება.

დომიციანეს გამეფების შემდეგ შუამდინარეთში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. ამბობდნენ, ცეიონი ორასი ათასი კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცით ევფრატს გადმოლახავს და მესოპოტამიის ქალაქებს ააოხრებსო. ზოგიერთი თარიღსაც კი ზუსტად ასახელებდა; ლაპარაკობდნენ რაღაც ულტიმატუმზე, რომელსაც თითქოს ათ ოქტომბერს გასდიოდა ვადა.

ადრე ნერონს მისმა საქმეებმა—აპამეის წალეკვამ, ქრისტიანთა დევნამ, პროსკრიპციულმა სიებმა ხალხის ნდობა მოუპოვა, ახლა კი, როცა მისი ტახტი შეირყა, იმავე საქმეებმა „ერთი მოსმითვე“ გაორკეცა მისდამი სიძულვილი და ზიზღი. ნერონი ნერონი იყო სანამ მისი სწამდათ. იმ წუთიდანვე, როდესაც მის ნერონობაში შეეჭვდნენ, ისევ ტერენციუსი გახდა. ნერონის ნამოქმედარი ყველაფერი დიდებული ეჩვენებოდათ, ახლა იგივე საქმეები საზიზღარი და უხამსი გახდა, რადგან მის ჩამდენად ტერენციუსი მიიჩნიეს. კიდევ მეტიც: იგივე საქმეები, რომლებიც უწინ მის ნერონობას ამტკიცებდნენ—მხოლოდ იმპერატორს შეუძლია ასეთი ღვთაებრივი საქმეები ასე გულგრილად აკეთოს— იგივე საქმეები ამტკიცებდნენ, რომ ტერენციუსი იყო და მეტი არაფერი: ასეთ არაადამიანურ სიმდაბლეს მხოლოდ ნაძირალა და ყოფილი მონა თუ იკადრებდა.

სამოსატისა და ედესის ქუჩებში დემონსტრაციები იმართებოდა. ხალხი გუნდ-გუნდად აგუგუნებდა მექოთნის სიმღერას. დაიწყო არეულობა. ტრებონს ბევრი არ უფიქრია, მაშინვე საალყო მდგომარეობა გამოაცხადა, სისხლითა და მახვილით აღადგინა დაკარგული ავტორიტეტი. მაგრამ იმას კი ხელი ვერ შეუშალა, რომ ნერონის დაპყრობილი სირიის ტერიტორიაზე რამდენიმე გარნიზონი დომიციანეს მხარეს გადასულიყო. ჯარისკაცებმა დახოცეს ნერონის ერთგული ოფიცრები, ალმებიდან ჩამოგლიჯეს ნერონის სურათები და ცეიონს წარმომადგენლები გაუგზავნა, შეუთვალეს, რომ ინანიებდნენ თავიანთ საქციელს და მორჩილებას უცხადებდნენ მას.

7

ძმნილება დამოუკიდებელი ხდება

ნერონი ნადიმად იჯდა, როდესაც ტიტუსის სიკვდილი აუწყეს. თუმცა ხალხში იყო, გულგრილობის გამოჩენა ვეღარ შეძლო. მან ნაკუწებად აქცია წერილები, მაგიდა გადააყირავა, ჭურჭელი დალეწა, სტუმრები გაყარა.

მაგრამ მეორე დილით დამშვიდდა და, როდესაც უახლოეს დღეებში პოლიტიკურ მდგომარეობაზე ელაპარაკებოდნენ, ძველებურად ამრეზილი და მოწყენილი სახე ჰქონდა. ერთხელ, როდესაც ტრებონმა უამბო, არმიაში ერთმა ნაწილმა თქვენი ერთგულება არ გამოიჩინა და ყოველი მეათე კაცი დავსაჯეო. ნერონმა თავი დაუქნია და წყნარად და კმაყოფილად უთხრა:

— კარგად გიქნია, ჩემო ტრებონ. აბა, შენ იცი, სულ მუსრი გავავლოთ. ბუზებივით გავსრისოთ სულ ყველა.

მალე ცნობა მოვიდა, სურაც ფლავიუსებს მიემხროო. ნერონი არ აფეთქებულა. მეორე დღეს დაიბარა ერთი ქალი, სახელად ლიდე. იგი საწამლავს ამზადებდა და მთელ სირიაში ამ საქმის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. ნერონმა უბრძანა; ისეთი საწამლავი დაემზადებინა, სწრაფად და უმტკივნეულოდ რომ ემოქმედნა. ქალმა მოუტანა საწამლავი ოქროს კაპსულით, მაგრამ ნერონს მისი ფორმა არ მოეწონა. კარგა ხანი გავიდა, სანამ მის მოსაწონ კაპსულებს გამოძებნიდნენ.

ბოლო ხანებში ნერონს განმარტოების დროს ავი წინათგრძნობა სულ უფრო ხშირად ეუფლებოდა ხოლმე. თავისთვის ბუტბუტებდა ჰომეროსის იმ სტრიქონებს, სადაც მკვდარი აქილევსი ჰადესში მიცვალებულთა ხვედრზე გოდებს:

ასწილად შერჩია ქირით მემუშავა უანებში სადმე
ვიდრე აქ, ქვესკნელში, მეფურ განვაგებდე სამეფოს მკვდართა.

ის საგონებელში იყო ჩავარდნილი. კაცმა რომ თქვას, როდის დაიწყო ეს უბედურება? ამის მიხვედრას დიდი ფიქრი არ სჭირდება. ამ უბედურებაში ბრალი თვითონ მიუძღვის. მას ზუსტად ახსოვდა ის წამი, წამის მონაკვეთი, როდესაც უბედუ-

რება დაიწყო. ეს მაშინ მოხდა, როდესაც კალამი აიღო და სიაში კაიას სახელი ჩაწერა. სია ძალიან კარგი იყო. თვითონ გააფუჭა თავისი უდიდესი შეცდომით. მან განარისხა ღმერთები და უბედურება დაიტეხა თავზე. დაწვრილებით გაიხსენა ყოველივე, როგორ მოხარა მუხლები, როგორ დააჭერინა კნოპსს დაფა, კალამი როგორ გაუსვა. ამაში ღმერთების ხელი არ ერია, „შარავანდედს" არ ჩაუწერია ეს სახელი. იგი ტერენციუსის უმადურმა ხელმა ჩაწერა.

ახლა, როდესაც ირგვლივ ბოროტი ძალები შემოეჯარნენ, მტკივნეულად იგრძნო, რომ კაიას სიკვდილის შემდეგ გამთანგველმა სიმარტოვემ მოიცვა. სანამ კაია ცოცხალი იყო, ტერენციუსს სწამდა, რომ ჯერ კიდევ ჰქონდა უკანასკნელი თავშესაფარი და ამ რწმენას ემყარებოდა მისი მეფური სიმტკიცე. როგორც კი კაია ქვესკნელის მკვიდრი გახდა, ნერონი იმავ წამს ისევ ტერენციუსად იქცა, კაიასაგან მიტოვებულ ტერენციუსად, საბრალო, უმწეო მონად, რომელიც განდიდების გიჟურ სურვილს შეუპყრია.

მაგრამ ეს მექოთნე უვიცი თუა,
ტალახის ზელაზე თუ ამბობს უარს,
მას იმპერატორი ასწავლის ჭკუას.

კაია მისთვის მატყლის პერანგი იყო: ჩხვლეტდა და თან ათბობდა. სასაცილოა, მაგრამ მისი მეფობის ჯადოსნურ სიმტკიცესა და სიმშვიდეს კაიას უხეში სიახლოვე ქმნიდა. მან კი, უგუნურმა, ქვესკნელში შთანთქა კაია, ჯადო თავისივე ხელით მოსპო.

ისევ თავის ღამურებს მიაშურა. შეშინებული აკვირდებოდა მახინჯ სახეებს. რომელი მათგანია კაია? სცადა, მიალერსებოდა. მაგრამ ისინი საზიზღარი წრიპინით უსხლტებოდნენ, რადგან სძულდათ იგი. კაიამ უამბო ღამურებს, თუ რა უგუნურად მოიქცა მისი ქმარი. და ახლა ღამურებს სძულდათ იგი. კაია არ მოისვენებს, ვიდრე მასაც ქვესკნელში არ ჩაიყვანს. ისინი ბედმა დააკავშირა და მათი გათიშვა შეუძლებელია. ტერენციუსს გულს უწყალებდა ღამურების შესაბრალისი წრიპინი. ასე ესქილეს ტრაგედიაში ფურიები დასდევენ ორესტეს:

„დაიჭი, დაიჭი, დაიჭი, არ გაუშვა“, და ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი წრიპინი სისხლს უშრობდა.

მას ძალიან ებრალებოდა საკუთარი თავი. მაგრამ ყველაფერში მაინც კაია იყო დამნაშავე. კაიას არ სწამდა ტერენციუსისა. რომ სწამებოდა, ტერენციუსი არასოდეს არ ჩაიდენდა ასეთ უგუნურებას, არ მოკლავდა კაიას. მერედა, რატომ არ სწამდა კაიას მისი? ალბათ იმიტომ, რომ ტერენციუსს მამაკაცობა ღალატობდა. მამაკაცობა კი იმიტომ ღალატობდა, რომ მთელი ძალა ხელოვნებასა და ხალხს შეალია. ის ხელოვნებისა და კაცთმოყვარეობის მსხვერპლია.

დიახ, მსხვერპლია, მსხვერპლია ტერენციუსი. ისტორიაც უსათუოდ ასევე ჩათვლის. ტერენციუსი კი არ აღმოჩნდა უძ-ლური, უძლურება სხვებმა გამოიჩინეს. მისი ვალი იყო, ნათე-ლი ეფრქვია ხალხისათვის, „შარავანდედი“ ესხივებინა. პურის, ღვინისა და ფულის განაწილება მისი საქმე არ იყო, ამისათვის მრჩევლები ჰყავდა. და, აი, ეს მრჩევლები აღმოჩნდნენ უძ-ლურები. მან გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა იმპერატორს, და გასცა, რაც უნდა გაეცა.

მაგრამ ერთი შეცდომა მოუვიდა, რომელიც ახლა თავბედს აწყევლინებს: კაია სიაში არ უნდა შეეტანა.

ხანდახან, მეტადრე ღამღამობით, საკუთარ სარეცელში ძილ-მღვიძარს იმპერატორისათვის სრულიად შეუფერებელი ჩვენებები და ფიქრები ეწვეოდა ხოლმე. მამამისი კეთილი კაცი იყო და ანებივრებდა. მაგრამ ერთი რამის ნებას არ აძლევდა, საწყობში, სადაც გასაყიდი ქანდაკებები იდგა, ტერენციუსს მხოლოდ უფროსების თანხლებით თუ უშვებდა. მამას ეშინოდა, ყმაწვილს ქანდაკებები არ დაეზიანებინა. მამობრივი სიყვარუ-ლისა და სინაზის მიუხედავად, ბავშვს ქანდაკებების საწყობში თუ შეასწრებდა, ზურგს უჭრელებდა ხოლმე. მაგრამ პატარა ტერენციუსი საწყობში შეპარვას მაინც ვერ გადაეჩვია. ყმაწ-ვილს თიხის გამოსახულებები ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, უნდოდა მარტოს შეესწავლა ისინი, ისე რომ ხელი არავის შეეშალა. ეხებოდა, უკაკუნებდა, რათა მათი სასიამოვნო ხმები გაეგონა. უსმენდა ამ ხმებს და ათას რამეზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, ყოველ ქანდაკებას თავისი ხმა ჰქონდა, მამაკაცების ქანდაკებები სხვანაირად ეღერდნენ, ქალებისა—სხვანაირად. სამწუხაროდ, ისინი ორ მწკრივად იდგნენ, მითრას ქანდაკებე-ბი ცალკე, ტარატესი—ცალკე, ამიტომ მამაკაცის ქანდაკების შემდეგ მაშინვე ქალისას ვერ აეღერებდა. ერთ დღეს პატარა ტერენციუსი ჩუმად შეიპარა საწყობში, გული გაიმაგრა და სცადა, ტარატეს ქანდაგება მითრას ქანდაკებასთან მიეთრია. მაგრამ ქანდაკება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და ტერენციუსი ოფლად გაიღვარა. საქმის დამთავრებას აღარაფერი უკლდა, რომ ამ დროს ტარატე ხელიდან გაუსხლტა, წაიქცა და დაირი-ანი ხელი მოსძვრა. ტერენციუსს თავზარი დაეცა. ახლა მამა

მოვა და ცხვირიდან ძმარს ადენს, ქანდაკება რატომ დაამტვრიეო. ენით აუწერელი შიში დაეუფლა, გულ-მუცელი აეწვა, წინასწარვე გრძნობდა, როგორ გაწკეპლავდნენ, ახლაც ნერონ-ტერენციუსს ძილ-ღვიძილში ისეთივე შიში ეუფლებოდა უბედურების წინაშე და მას ეშინოდა ღამისა, ეშინოდა უპირველეს ყოვლისა ძილის წინა თხუთმეტი წუთისა.

ხშირად აღარ იცოდა ვინ იყო თვითონ: ტერენციუსი, რომელიც ნამდვილი სახის მიღებას, ნერონის სახის მიღებას ელოდება, თუ ნერონი, რომელსაც თავისი ნამდვილი სახის დაკარგვა და კაიას მიერ გადარჩენილ ტერენციუსად გახდომა სურს. მას ორი ნიღაბი ჰქონდა. რომელი იყო ნამდვილი?

ერთმა პატარა სულელურმა შემთხვევამ ნათლად დაანახვა, რომელი ნიღაბიც იყო ნამდვილი. აიძულა დამოუკიდებლად მოქცეულიყო, სხვის რჩევას არ აჰყოლოდა და მან აალაპარაკა თავისი ჭეშმარიტი შინაგანი ხმა, მაგრამ ეს ტერენციუსის შინაგანი ხმა იყო და ნამოქმედარიც არა ჰგავდა ნერონის ნამოქმედარს.

აი, რა მოხდა: უზარმაზარ ბარელიეფს, რომელზედაც ღამურაზე გადამჯდარი იმპერატორი იყო გამოსახული, გამვლელები უწინდებური მოკრძალებით და ოდნავი შიშით უყურებდნენ. ერთხელ, რამდენიმე ახალგაზრდა კაცი ხმამაღლა დასცინოდა ამ ძეგლს. ისინი არავინ შეაჩერა, ყველა მდუმარედ შეხვდა ამ ამბავს, ყველას კმაყოფილი სახეები ჰქონდა; ახალგაზრდები გათამამდნენ და ბოლოს ვიღაცამ ბარელიეფს ქვა ესროლა. პირველ ქვას მეორე მოჰყვა და ბოლოს ქვები სეტყვასავით წამოვიდა. უზარმაზარ ბარელიეფს მაინც ბევრი ვერაფერი დააკლეს. მაგრამ მალე ვიღაცა აცოცდა ზედ რკინის კეტით ხელში. მან იმპერატორის გამოსახულებას ცხვირი ჩამოატეხა, ცხვირის ერთი ნაწილი. ბოლოს სხვებიც აცოცდნენ, ქვებითა და რკინის კეტებით ცდილობდნენ გამოსახულების დამსხვრევას. ბევრს ვერაფერს გახდნენ, რადგან ქვა მაგარი იყო, მალე ტრებონის ჯარისკაცებიც მოვიდნენ და წესრიგი აღადგინეს.

აქამდე რამდენიმე ქალაქში გაცილებით უფრო სერიოზული გამოსვლები მოეწყო, მაგრამ იმპერატორს ყურადღება არ

მიუქცევია. ამ გულუბრყვილო ამბავმა კი წონასწორობიდან გამოიყვანა. მოიკუნტა, აქვითინდა, თავშეუკავებლად აბღავლდა დაბნეულ მრჩეველთა, ფარეშთა და ლაქიათა თანდასწრებით.

აქვითინებულმა ყველა გაისტუმრა, წამოწვა და თავის შინაგან ხმას მოუსმინა. ხმა ალაპარაკდა.

— თავს უშველე,—ეუბნებოდა ხმა,—ედესიდან მოუსვი. ეს უკანასკნელი ნიშანია, გუდანაბადი აიკარი, მოუსვი, გადაიხვეწე, — თავისი დემონი კაიას ხმით უმეორებდა კაიას სიტყვებს. ტერენციუსი წელმოწყვეტილი იწვა და უსმენდა, როგორ დასჩხაოდა თავზე უხეში ხმა:

— გუდა-ნაბადი აიკარი, მოუსვი, გადაიხვეწე.

კარგა ხანს იწვა ასე, შიშით შეპყრობილი. ბოლოს ძლივს-ძლიობით წამოიზლაზნა, მსახურს დაუძახა და კნოპსი ახმობინა.

კნოპსის მოლოდინში ბოლთის ცემა დაიწყო. მძიმედ დაბიჯებდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ხანგამოშვებით შედგებოდა და ყურს მიუგდებდა, მოულოდნელად მტრები ხომ არ გამოჩნდნენ და თავს ხომ არ მესხმიანო. როგორც იქნა, კნოპსიც მოვიდა. ნერონს არც შეუმზადებია იგი და არც რისიმე ახსნა უცდია, პირდაპირ მიახალა: — ამაღამვე გავიქცეთ, გადაცმულები გავიპაროთ კტესოფონში, მეფეთმეფე არტაბანს მივადგეთო.

კნოპსი წყნარად იდგა და ყურადღებით უსმენდა ამ თავზარდაცემული კაცის ბოდვას. ჯერ ოთახი დატრიალდა მის წინ. მერე მთელი ქვეყანა. მან, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ მამობრივი სიყვარულით დაბრმავებულმა მარჯვე დრო უკვე ხელიდან გაუშვა და ახლა, დომიციანეს გამეფების შემდეგ, გზა მოჭრილი ჰქონდა და ვეღარ ჩამოხტებოდა ნერონის ეტლიდან, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით უფსკრულისაკენ მიექანებოდა. აქამდე ნერონს შლეგი კაცის უტეხობით სჯეროდა, რომ ყველაფერი ბედნიერად დამთავრდებოდა; ახლა დასასრულის მოახლოვება მასაც ეგრძნო და ამან კნოპსზე მეხის დაცემასავით იმოქმედა.

ამასობაში ნერონი დაფეთებული ემუდარებოდა, ერთად გავიქცეთო.

— გუდა-ნაბადი ავიკრათ,—ეუბნებოდა იგი, — მოვუსვათ, გადავიხვეწოთ.

კნოპსი ცალი ყურით უსმენდა. ამ ბრიყვმა თავი შეაზიზღა. გადაიხვეწონ? რა სისულელეა. არტაბანის სამფლობელომდე დიდი გზაა, ნერონი ედესიდან წავა თუ არა, ჯანყი დაიწყება და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრამდეც კი ვეღარ მიაღწევენ ცოცხლები. აქ, ედესაში, ძლიერი და საიმედო გვარდია მაინცა ჰყავთ.

სანამ ნერონი ლაპარაკობდა, კნოპსის გონება ზუსტად, ავტომატურად მუშაობდა. კნოპსს ცხოვრებაში ერთი პრინციპი ჰქონდა და მასზე აგებდა თავის ბედნიერებას. სწამდა, რომ ადამიანის სიბრიყვით ყოველთვის შეიძლება ისარგებლო. მაგრამ როგორ გამოიყენოს ტერენციუსის უგუნურება? ის ნათლად და საღად აზროვნებდა. და უეცრად გეგმა შეადგინა, გამოსავალი მონახა.

დიახ, დაეთანხმება ტერენციუსს. მასთან ერთად გაიქცევა. ოღონდ არტაბანთან არა. მარტო ის კი არ აფიქრებს, რომ ამ-ბოხებული შუამდინარეთიდან პართიამდე ამხელა გზის გავლა ერთობ სახიფათოა: არაფერიც რომ არ შეემთხვეთ და კტესიფონამდე უვნებლად მიაღწიონ, რა მოელით იქ? დაცემულთა და ლტოლვილთა სავალალო ყოფა. ისინი სხვის კისერზე უნდა იყვნენ ჩამოკიდებულნი. კნოპსს ქონების უდიდესი ნაწილი რომისა და მესოპოტამიის ტერიტორიაზე აქვს თავმოყრილი. მისი პართიაში გადატანა არ მოხერხდება. არა, ჯობია ვაჟკაცობა გამოიჩინოს, ეგებ ასე უფრო გადარჩეს. ის თავის ნერონს ტიგროსის გავლით არტაბანთან კი არ მიიყვანს, არამედ უფრო მოკლე გზით ევფრატს გადაალახვინებს და რომაელებს მიჰგვრის. და მაშინ კნოპსს შეწყნარების იმედი ექნება.

ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოიაზრა, ვიდრე ნერონი ლაპარაკს განაგრძობდა. ნერონი გაჩუმდა და შეშინებული პირში მიაჩერდა კნოპსს. მას აშკარად გულზე მოეშვა, როდესაც მცირე ყოყმანის შემდეგ კნოპსი დათანხმდა. და არა მარტო დათანხმდა; გამოცდილი კაცის სიმარჯვით დროის დაუკარგავად და უყოყმანოდ შეუდგა გაქცევის სამზადისს. მან თქვა, ფართო და უბრალო მანტიას ვიშოვნი, რომ იმპერატო-

რი ვერავინ იცნოს, შუაღამემდე თხუთმეტი წუთით ადრე შე-
მოვიღლი და წაგიყვან, მანამდე კი იმაზე ვიზრუნებ, რომ
სამხრეთ-აღმოსავლეთ კარებთან რამდენიმე ერთგული მცველი
დაგეხვდესო.

ნერონს, რომელიც საერთოდ ძალიან მგრძნობიარე იყო,
ალბათ სხვა დროს არ გამოეპარებოდა კნოპსის შეშფოთება
და მისი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი. მაგრამ ახლა თავზარ-
დაცემული იყო და ვერ მიხვდა კნოპსის გულის ნადებს. ალ-
ბათ არც უნდოდა ეგრძნო. კაია ცოცხალი აღარ იყო და არ
სურდა ძველი მეგობარიც დაეკარგა. გახარებულმა მადლობა
გადაუხადა კნოპსს.

8

ტერენციუსი ნილაბს იხდის

უკვე შუაღამე ხდებოდა, როდესაც კნოპსი დაპირებისა-
მებრ ტერენციუსთან მოვიდა. ორივენი შავ მანტიებში გაეხვი-
ენ და ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარისაკენ გაემართნენ.
საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი. ქუჩები თითქმის
დაცარიელებულიყო, ხანდახან პატრული გამოჩნდებოდა
და მის დანახვაზე ტერენციუსი კედელს ეკვროდა.

ცაზე ახალი მთვარე ამოსულიყო, სახლებს რძისფერი მო-
ციალე შუქი ეფრქვეოდა. მოედანზე ძაღლებს ეძინათ. ადამია-
ნების მიახლოებაზე შეიშმუშნენ და ღრენა ატეხეს. ნერონი
შეშინდა. მისი მფარველი მნათობი მზე იყო და არა მთვარე.

უეცრად ნაბიჯის ხმა მოესმათ. ვინ არის ის, ქუჩის ბოლოში
რომ გამოჩნდა? ნუთუ ამ ქალაქში ისევ არიან ჯარისკაცები?
კნოპსი ამაოდ ემუდარებოდა ნერონს, ამაოდ არწმუნებდა,
ვვარდიან ჯერ კიდევ სანდოაო. ნერონი შიშს აეტანა და კნოპსის
ნალაპარაკევი არ ესმოდა. ის ისევე თავზარდაცემული იყო,
როგორც მაშინ, პალატინიდან გამოქცევის დროს. ახლა თუ
შეიარაღებულმა ხალხმა დაინახა, მისი საქმე წასულია.

მათ ერთ ღარიბულ ქუჩაზე გაუხვიეს. ქრისტიანთა უბანში

შევიდნენ. წინ პატარა, გაპარტახებული, მიტოვებული ქოხია. ნერონი კარს აეკრა. კარი გაიღო. კნოპსმა სცადა ნერონის შეჩერება, მაგრამ ის გაუსხლტა და მანტია ხელში შეატოვა. სახლში შევიდა, კარები მოიხურა, მთელი ტანით მოაწვა. ურდული გაუყარა და კარი ჩაკეტა.

ასე. აქ ბნელა. რამდენიმე წუთით მაინც დაემალება შეიარაღებულ ხალხს. კარგია, რომ წყეული მთვარის შუქი აქამდე ვერ ატანს. კარგია, რომ კნოპსიც მოიშორა. ის კუთხეში იყუჟება, სიბნელეს არის დანატრებული. აი, ამ ადგილას უფრო ბნელა. ის უძრავად დგას. გულს ბაგაბუგი გააქვს.

იარაღის ჟღარუნი მოისმის, ვიღაცეები ახლოვდებიან. ისინი, როგორც ჩანს, კნოპსს ესაუბრებიან. დიდხანს არიან კარებთან, ძალიან დიდხანს ყოვნდებიან. ბოლოს მიმავალთა ფეხის ხმა მოისმის.

ასე. ახლა შეუძლია ამოისუნთქოს. სიჩუმეა. მაგრამ არა. კარებთან ვიღაც ფაჩუნობს. სახლი ძველისძველია, საცაა წაიქცევა. ურდული ვერ გაუძლებს. არა, გაუძლო. გარეთ მყოფი ამაოდ წვალობს. ალბათ, კნოპსია. აი, უკვე ეძახის. ჩუმად ეძახის. ჰო, ეს კნოპსის ხმაა. შემოუშვას? არა, კნოპსი ზედმეტად გამბედავია, წეღან კინაღამ შეიარაღებულ ხალხს შეაჩეხა. მართლა რომ გადაწყდომოდა მათ, ხომ ვეღარაფერი იხსნიდა. ახლა გულში ასეთი რამ დათქვა: თუ კნოპსი კარის გაღებას შეძლებს, მაშინ მივენდობი. თუ არა და მეფეთმეფესთან მარტო წავალო. კნოპსი კვლავ ეძახის. ხმადაბლა, მაგრამ დაჟინებით. ისევ და ისევ. შემდეგ სიჩუმე დგება. ყველაფერი გადაწყვეტილია. ნერონი მარტო დარჩა.

იგი სიბნელეში ჩაცუცქდა. კმაყოფილია. ოღონდ შემოდგომის გრილი ღამეა და შესცივდა. წამოდგა, მკლავები გაშალა, შემდეგ ისევ შეაერთა, მაგრამ ამ დროს იატაკი აჭრიალდა. ნერონი შეშინდა. კუთხეში რაღაც გაფაჩუნდა, შეიძლება ვირთხა იყო. ის ისევ ჩაცუცქდა, გათოშილი სხეული დაიზილა, კნოპსს წყევლა-კრულვა შეუთვალა მანტიის წართმევისათვის. არა, მანტია კაიამ წაართვა. ნეტავი, ახლა აქ იყოს კაია.

ვინ კაია? რად უნდა კაია? ის ხომ ნერონია. თუ არ არის ნერონი? მან ხომ ეპისტოლე წაუკითხა სენატს, მან ხომ აპამეის

კოშკიდან წარღვნას უგალობა, მან ხომ დიდებული სიტყვა წარმოთქვა პროსკრიპციულ სიათა დასაცავად? ან ეგებ ყველაფერი სიზმარია?

ცხადზე უცხადესია, რომ ერთხელ ნერონი იყო, ერთხელ — ტერენციუსი. ნათლად დაუდგა თვალწინ, როგორ მიმართავდა სენატს, თავის ლაშქარს, მექოთნეთა ამქარს, როგორ მიაბიჯებდა ხალხის წინ ხალხისვე დიდებული წარმომადგენელი, როგორ აწერდა ხელს სახელმწიფო სიგელებს და როგორ ვაჭრობდა მითრას ქანდაკებებით. დიახ, ეს ამბები მოხდა, მაგრამ ახლა ყოველივე ამას ბოლო მოეღო. ვინ არის ის ახლა? ადარც ტერენციუსია და აღარც ნერონი.

იატაკზე მიწვა. მოიბუზა. ფეხები შემოიკეცა. ახლა დაიძინებს. დაითვალოს ასამდე, ხუთასამდე, უაზროდ გაიმეორებს დაზეპირებულ ლექსებს. და უცბად ყმაწვილად იქცა, ქანდაკებების საწყობში შეიპარა, ახლა წყვდიადიდან მამა გამოვა და შავ დღეს დააყრის. როცა საქმე ქანდაკებებს ეხება, მამამ ისეთი გაგულისება იცის, რომ თავს ვეღარ შეიკავებს და უეჭველად მოჰკლავს.

არა, ამ ყინვაში იატაკზე რა დააძინებს. სხეული დაებუქება. ნეკრესის ქარები შეუდგება. გაცივდება და ფილტვების ანთება დაემართება. ეს იქნება და ეს. ღირსეული სიკვდილით ვერ მოკვდება.

მან სხეული დაიზილა. ხელში რაღაც მაგარი და კუთხოვანი მოხვდა. ჰო, ეს საწამლავიანი კაპსულაა. დალიოს? რასაკვირველია, უნდა დალიოს. მაგრამ ღირსეული კია ასეთი სიკვდილი? მან დაყნოსა საწამლავი. სუნი არ ჰქონია. გაგონილი აქვს, რომ მოწამლულები პირიდან ასაქმებენ, ლურჯდებიან, კრუნჩხვები ემართებათ და საკუთარ ნარწყევში გორაობენო. არ დალია საწამლავი. კუთხეში მიიყუჟა და ბედს მიენდო.

ბედმაც არ დაიგვიანა. ვიღაცას ხელმა კვლავ მოსინჯა ურდული. ოღონდ ეს ხელი, ეტყობოდა, მიჩვეული იყო ამ კარის გაღებას. რაც კნოპსმა დიდი წვალებითაც ვერ მოახერხა, ამ ხელს სულ არ გასჭირვებია. კარი გაიღო. ვიღაცა შემოვიდა.

ჩანდა ამ სახლის პატრონი უნდა ყოფილიყო, ძლიერად და მტკიცედ მოაბიჯებდა. მაშინვე ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა. ტერენციუსი ოთახის შორეულ კუთხეში გაინაბა, რათა ამ კაცს

მისი არსებობა არ შეემჩნია. კერასთან ჯერ ნაპერწკლები დაცვივდა, შემდეგ ალი ავარდა. შეძრწუნებულმა და ცოცხალმკვდარმა ტერენციუსმა უცნობს გახედა. მას ტყავის ფართო მანტია ეცვა, ღია ყვითელი ფერის მანტია, რომელსაც ბედუინები ატარებენ. აქედან მისი სახის ერთი ნაწილი ჩანდა. სახე ნაოჭებით ჰქონდა დაფარული. ტერენციუსს გული შეეკუმშა. ქვეყანაზე ყველაზე ნაკლებ ამ სახის დანახვა სურდა. ეს იყო იოვანე პატმოსელის სახე.

იოვანე სწორედ ახლა დაბრუნდა ედესაში. მისი ხმა შორეული უდაბნოდან აღწევდა აქ და იოვანე დიდხანს კმაყოფილდებოდა ამით. ახლა ჟამი დადგა. ანტიქრისტეს სამეფო უნდა დაემხოს და იოვანე ჩამოვიდა, რომ დააჩქაროს მისი დამხობა.

კუთხეში მიყუჟული ტერენციუსი კუშტ, ზეთისხილისფერ სახეს დაშტერებოდა. იოვანეს წვერი კიდევ უფრო გაჩეჩვია, მის მოგრძო თვალებსა და გაბანჯგვლულ წარბებს კიდევ უფრო მრისხანე იერი მიუღიათ. ტერენციუსს თავზარი დაეცა და მთელი სხეული მოუდუნდა.

უცბად იოვანემ შენიშნა ის. წამით შეკრთა. შეჩერდა. შემდეგ თვალს არ აცილებს ამ კაცს, ტერენციუსს, ნერონს, ანტიქრისტეს მაიმუნს, ორფეხა სიცრუეს, ხორცშესხმულ ბოროტებას. იოვანე წელში იმართება. კუთხეში მიყუჟულ კაცს მისი დაღარული, წვეროსანი სახე საოცრად დიდი, გოლიათური ეჩვენება. იგი მონუსხულივითაა. ის შეჰყურებს გაბანჯგლულ წარბებს ქვემოდან გამომზირალ ანთებულ თვალებს, თუმცა ათი სიკვდილი გაათავა, სანამ მათ შეხედავდა.

იოვანე დგება. ის პატარა ტანისა არაა, მაგრამ არც უჩვეულოდ დიდია; ტერენციუსს კი ბუმბერაზი ჰგონია. იოვანემ ასწია ფეხი, გოლიათური ფეხი, და გადმოაბიჯა. ნელა, საშინლად ნელა. თითო ნაბიჯის გადმოდგმას მთელი საუკუნე უნდება.

დიახ, იოვანე ტკბება თავისი ნაბიჯების სინელით. არც ელოდა და არც ოცნებობდა, ასე მოულოდნელად ხელში რომ ჩაუვარდებოდა ეს ანტიქრისტე. მისი და მთელი კაცობრიობის მტერი, მისი შვილის მკვლელი. იოვანე ნეტარებით მოჰკლავს, ყელს გამოღადრავს, სამაგიეროს მიუგებს მტარვალს. და ნელა,

მძიმე ნაბიჯებით უახლოვდება, რომ ეს ნეტარება გაიხანგრძლივოს.

მაგრამ ეს უგრძესი და უმოკლესი გზა, ნეტარებით აღსავსე გზა, თავდება და ისინი პირისპირ დგანან. კუთხეში ჩაცუცქებული ტერენციუსი მოკუნტულა, მსუქან სახეზე ჭირის ოფლი ასხამს, გაფითრებულა და შიშისაგან გათანგულა. იოვანემ ხელები აღმართა, უზარმაზარი, ჟანგისფერი, მძლავრი ხელები. აუწერელი სიამოვნება იქნება მისი წახრჩობა. იოვანემ დახედა მის ყელს. ამ ყელთან ერთად ხელს წაუჭერს ყველა ბოროტებას, ის უკვე წინასწარ გრძნობს ამ შეხების სიამეს.

ტერენციუსი კი ამ მარადისობად ქცეულ წამებში ათჯერ მოკვდა. გულ-მუცელი აეწვა, ვერ ახერხებს, რომ არ ჩაისვაროს. საცაა იოვანეს ხელები ყელზე შემოეჭდობა და ის გრძნობს შემზარავ ტკივილსა და სურვილს. დიახ, სურვილს. ის ხომ აქამდე ათჯერ მოკვდა, წინასწარ გადაიტანა ეს დახრჩობა, ახლა სჯობია ყველაფერი მალე დამთავრდეს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. და აი, მთავრდება კიდეც. ახლა მის ყელზე შემოსაჭდომად გამზადებული ხელები სულ ახლოსაა და წამიც არ გავა, რომ ეს ხელები ყელზე შემოეჭდობა.

მაგრამ უეცრად ყელიდან ხმა ამოსდის. აღარც კი ეგონა ამისი უნარი კიდევ თუ ჰქონდა, დარწმუნებული იყო, ხმა ჩაწყვეტილი მაქვსო. და, უცბად ყელიდან ხმა ამოსდის. ეს არაა ნერონის სასიამოვნო და ჟღერადი ხმა, ესაა საცოდავი ბავშვური ლუღლუღი. ის არაფრის თქმას არ აპირებდა, მას სათქმელი არაფერი აქვს, მაგრამ ხმა ლუღლუღებს:

— მე ხომ მექოთნე ტერენციუსი ვარ.

იოვანეს ესმის ეს უბადრუკი სიტყვები და შეშდება. გონება უნათდება. ეს არის ანტიქრისტე? ეს? ეს ხომ მხოლოდ დაბეჩავებული, ათრთოლებული სხეულია. იოვანე ღმერთს მადლობას სწირავს, რომ საჭირო ჟამს გაუნათა გონება. ეს ხომ სანეხვეზე გადასაგდებია. განა მისი წახრჩობა გამარჯვება იქნებოდა, საქმე იქნებოდა? ასეთი რამ ყასბების საქმეა. წინასწარმეტყველს, ღვთაებრივ მსახიობს ეს არ შეეფერის.

გონება განათდა. თუ არა, სუნიც იგრძნო, ხელები უღონოდ ჩამოუშვა, ტერენციუსს ზურგი შეაქცია და ისევ ცეცხლს

მიუჯდა. შემდეგ ისევ გამოხედა. ეს კუთხეში მიგდებული კაცი, ეს არარაობა, ეს უბადრუკი, გაპუტული ბეღურა ჩათვალა მან დიდ ბოროტმოქმედად, არწივად, რომელსაც ქვეყნის დაპყრობა სურს. მან გააქნია დიდი თავი. წვეროსანი სახე დაემანჭა, ბოხი ხმით ახითხითდა, ზიზღით და თითქმის გულკეთილად.

თავზარდაცემული ტერენციუსი ვერაფერს მიხვდა. ეს ხომ მარტო იოვანეს სახე არაა. ეს ყველას სახეა, ვისიც კი ოდესმე 'შინებია ტერენციუსს. ეს არის მამამისის, კაიას, ნერონის, ვარონის სახე. და განცვიფრდა, რომ ეს სახე უკან დაიწია, დაპატარავდა, მოშორდა. უკვე კარგა ხანია ეს სახე მის ახლოს აღარ იყო, მაგრამ ტერენციუსი ისევ ხედავდა და გონდაკარგულს აღარ შეეძლო თვალი მოეცილებინა მისთვის.

მთელმა საუკუნემ გაიარა, სანამ განძრევას გაბედავდა. ნუთუ ეს სახე მოეშვა, გზას აღარ უღობავს და შეუძლია საიქიოს ტყეებიდან თავის დაღწევა? ის წამოდგა, მოეჩვენა, რომ მხრებიდან უდიდესი სიმძიმე ჩამოეხსნა. იდგა, ბარბაცებდა და თვითონვე უკვირდა, რომ იდგა. არაქათგამოცლილი კარებისკენ წალასლასდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა, თვალები იოვანეს სახისათვის, საშინელი სახისათვის დაეშტერებინა. ოღონდ გვერდით როგორ ჩაუაროს. ეს ყველაზე უფრო ძნელია ახლა. მაგრამ შეძლო. თავჩაქინდრული გაემართა, თვალებში ისევ შიში ჰქონდა ჩამდგარი. შემდეგ დარჩენილი მანძილი კარებამდე სასწრაფოდ გაირბინა, თან შიში იპყრობდა, იოვანემ თავი მუშტით არ გამიხეთქოს ან, უფრო უარესი, უკანიდან არ მომეპაროს და არ წამახრჩოსო.

მაგრამ არაფერი მომხდარა. არც მუშტი მოხვედრია, არც არავის უცდია მისი წახრჩობა. ისმოდა მხოლოდ იოვანეს ბოხი, ზიზღნარევი სიცილი. და ტერენციუსი უზომოდ გაოცდა, რომ ზღურბლი უვნებლად გადაიარა. ყურში კი კვლავ იოვანეს სიცილი ჩაესმოდა.

ხალხის ხმა

ასეთმა თავქუდმოგლეჯილმა გაქცევამ ნერონის საქმეებს ისე ავნო, რომ ასეთ ზიანს უსასტიკესი დამარცხებაც კი ვერ მოუტანა. მის მომხრეებს ეჩვენებოდათ, რომ დასცინეს, გააპამპულეს, გააცურეს. მათი ენთუზიაზმი მძვინვარებამ შეცვალა. კვარცხლბეკებიდან ჩამოყარეს ნერონის ქანდაკებები და ნამსხვრევებად აქციეს. მრავალათასიანი ბრბო სკირტოსის კლდოვან ნაპირს მიაწყდა, რომ ღამურაზე გადამჯდარი ნერონის ბარელიეფი გაენადგურებინა. ლაზღანდარობითა და სიცილ-ხარხარით შეუდგნენ ქანდაკების მტვრევას, და როდესაც ნამსხვრევებმა რამდენიმე კაციც თან ჩაიტანა, ამან მხიარულება კი არ დააცხრო, არამედ კიდევ უფრო გააცხოველა. ბარელიეფის განადგურებას ღრეობა მოჰყვა. ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ, ზეიმობდნენ, რომ უცხოელი დამპყრობლის უღელი გადაიგდეს, მღეროდნენ, ხარობდნენ, სვამდნენ ახალი თავისუფლების სადღეგრძელოს და ილეშებოდნენ.

შემდეგ, ყოველგვარი თათბირის გარეშე, თითქოს ვინმეს ებრძანებინოს, კნოპსის სახლისაკენ გაემართნენ. კნოპსის პოპულარობა ისევე „ერთი მოსმით“ გაქრა, როგორც წარმოიშვა. ხალხი მასში ხედავდა ნერონისა და მის საქმეთა ბოროტ გენიას.

როდესაც კნოპსმა გაშმაგებული ბრბო თავის სახლის წინ შეკრებილი დაინახა, თავის მეგობართან ტრებონთან კაცი აფრინა და საშველად იხმო. მაგრამ ვიდრე ტრებონი მოვიდოდა, ხალხმა სახლის მცველები გადაჯეგა. კნოპსმა საჭიროდ მიიჩნია შემოჭრილთ დანახვებოდა. მეგობრული ხუმრობით მიეგება და სთხოვა, დაწყნარებულიყვნენ. თან ჭირის ოფლი ასხამდა. მას ჯერ კიდევ იმ ღამეს უნდოდა გაქცეულიყო, როდესაც ტერენციუსის გაცემის გეგმა ჩაეფუშა; მაგრამ ფეხმძიმე იალტა ცუდად შეიქნა, ექიმებმა გადაჭრით აუკრძალეს გამგზავრება. კნოპსი დაყოვნდა და ახლა, როდესაც ის იყო გამგზავრებას აპირებდა, მოეჭრა ბრბო და ხელი შეუშალა მოეპოვებინა მყუდრო ცხოვრება, რომელიც კარგა ხანია დაიმსახურა. ის

მოლაპარაკებას აწარმოებდა ხალხთან, გულკეთილი სიმშვიდით უყურებდა, როგორ ძარცვავდნენ იქაურობას. სასმელიც კი გამოუტანა. დაჯერებული და თითქმის კმაყოფილი დააბიჯებდა მათ შორის. მაგრამ სული წყვდიადით ჰქონდა მოცული. ეჰ, საყვარელ ტრებონს კაცი ვერაფერში ენდობა. მას ალბათ ესიამოვნება კიდეც ეს ბრბო ხალისითა და სიცილ-ხარხარით ნაკუწებად თუ აქცევს კნოპსს.

მაგრამ კნოპსი მართალი არ აღმოჩნდა. იარაღის ჟღარუნით შემოდიან ჯარისკაცები, შემოდის პოლიცია. არა, სამწუხაროდ, კნოპსი მართალი აღმოჩნდა .ეს ტრებონის პოლიცია კი არ არის, ეს საეჭვო დახმარებაა, მალუქის ჯარისკაცები შემოდიან. თუმცა მათ გაარღვიეს ბრბო და ვითომ კნოპსს იცავენ, მაგრამ კნოპსის ხელში ჩაგდება და შეპყრობა სწადიათ, მეტი არაფერი.

კნოპსმა მართებულად განსაჯა. მისი მეგობარი ტრებონი სულ არ ჩქარობდა. ტრებონს სრულიადაც არ დასწყდებოდა გული, რომ მის დახმარებას დაგვიანებოდა, ან საერთოდ მაშინ მოესწრო, როცა სულ არ იქნებოდა საჭირო. მაგრამ მალუქის ჯარისკაცთა მოსვლამ მდგომარეობა შეცვალა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. თუკი აქაური ჯარისკაცები ბედავენ ნერონის ჯარისკაცს ხელი. ახლონ, სადამდე მივა ეს ამბავი? ხალხი რომ ამბოხდებოდა, ეს თავიდანვე ცხადი იყო. ხალხს ერთს ჩაჰკრავ თავში და დაშოშმინდება. მაგრამ როდესაც მალუქის ჯარისკაცები და მოხელეები ცბიერებას გამოიჩენდნენ, ამის დიდხანს ატანა შეუძლებელია, ამას ბოლო უნდა მოეღოს. მას დაავიწყდა, რომ თვითონვე მიუძღოდა ამ საქმეში ბრალი. ის ახლა სულით და გულით თანაუგრძნობდა კნოპსს. გაბოროტებული, იარაღის ჟღარუნით გაუდგა გზას, რათა შეფე მალუქისათვის პასუხი მოეთხოვა.

მალუქთან მას ქურუმთუპირველესი შარბილი დახვდა. შარბილმა ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ნერონის ტახტმა აშკარად დაიწყო რყევა, მეფეს არა მხოლოდ ქარაგმებით, არამედ გასაგები სიტყვებითაც უთხრა, დროა, ცეიონს გაცვლა შევთავაზოთ, ჩვენ მას ეგრეთწოდებულ ნერონს მივგვრით, სამაგიეროდ მისგან ხელშეუხებლობის გარანტიას მოვითხოვთო. მაგრამ მალუქს, სულით ხორცამდე არაბს, სწამდა, რომ სტუ-

მართმოყვარეობას არასოდეს არ უნდა უღალატოს კაცმა და მან ისევე ღირსეულად და გაუნძრევლად წაუყრუა თავის კანცლერის სიტყვებს როგორც თხუთმეტი მაისის წინაღამეს წაუყრუა მის ქარაგმებს. უკანასკნელ დღეებში, სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ მის სტუმართმოყვარეობას არც პოლიტიკის თვალსაზრისით ჩაუვლია უნაყოფოდ. შორეული აღმოსავლეთიდან სანდო ცნობები მოვიდა, არტაბანს დაუმარცხებია პაკორი. თუ მეფეთმეფეს შესაძლებლობა მიეცა თავის დასავლეთ საზღვარზე მრავალრიცხოვანი ჯარი გადმოისროლოს, რომაელი გენერლები დომიციანეს გამეფების შემდეგაც კი ცხრაჯერ გადაიფიქრებენ, სანამ ევფრატის გადმოლახვას გადაწყვეტენ. როგორც ჩანს ის კარგად მოქცეულა, რომ ნერონს უერთგულა და ნაჩქარევი ნაბიჯი არ გადადგა. ახლა კი ნერონის უგუნურმა გაქცევამ ყველაფერი წყალში ჩაყარა. ხალხის ასეთი სტიქიური ამბოხების შემდეგ შეუძლებელი იქნება შუამდინარეთში ნერონის გაჩერება.

კაცმა რომ თქვას, ხალხის ასეთი ამბოხება ერთის მხრივ სასარგებლოც გამოდგა. ხალხის წყრომა პირველად კნოპსს დაატყდა თავს და მალუქსა და შარბილს საშუალება მიეცათ დიდი ხნის საწადელი შეესრულებინათ და შეეპყროთ იგი. კნოპსი ახლა ხელში ჰყავთ და ეს სასიხარულოა. არტაბანს გამარჯვების კარგი შანსები აქვს. თუ საბოლოოდ გაიმარჯვა, რომი მოლაპარაკების გარეშე ევფრატის გადმოლახვას ვერ გაბედავს, მოლაპარაკების დროს კი ედესას თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, სხვა თუ არაფერი, ნერონის კანცლერის მიცემა მაინც შეეძლება. საქმე საზიზღარ მონას, კნოპსს, ეხება, ამიტომ მალუქი თავისი სტუმართმოყვარეობის მიუხედავად მის გაცემაზე უარს არ იტყვის.

ამაზე თათბირობდნენ მეფე და ქურუმთუპირველესი, როდესაც მათთან ტრებონი შეეღარუნდა. თაღლითის ლაჩრული გაქცევის შემდეგ მის ხელქვეითებს ბევრს აღარ ებოდიშებოდნენ და აღელვებულ კაპიტანს ჩვეულებრივზე უფრო ცივად შეხვდნენ.

ტრებონმა შესჩივლა, კნოპსი შეიპყრესო. ამაზე შარბილმა უპასუხა, ოფიცერი, რომელმაც კნოპსი დააპატიმრა, ჩვენი ბრძანებით მოქმედებდაო. ყველასათვის გასაგები უნდა იყოს,

რომ ედესელი ხალხი აღაშფოთა კნოპსის სიხარბემ და ძალმომრეობამ და, მას შემდეგ, რაც იმპერატორი ნერონი გაიქცა და თავისი ხელქვეითები ბედის ანაბარა მიატოვა, ასეთ ამბებს აღარ ითმენსო.

ტრებონი პირველად ახლა მიხვდა, თუ რა სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა ნერონის გაქცევამ. ის თავშეუკავებელი ჯაცი იყო, მაგრამ ჯარისკაცული ზნე-ჩვეულებები სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ასე რომ, ზუსტად შეაფასა თავისი სამხედრო შანსები და წამსვე მიხვდა, ედესის მოსახლეობასთან და მალუქის ჯართან ქუჩებში ბრძოლის გამართვა ხელს არ მისცემდა.

— თუ თქვენ ასე ფიქრობთ, ქურუმთუპირველესო,—გამომწვევად უთხრა მან, თუმცა მზად იყო დათმობაზე წასულიყო,—თავისუფლად შეგიძლიათ მეც დამპატიმროთ.

მიხრწნილი შარბილი დუმდა. იგი მეფისკენ მიტრიალდა და, როგორც ტრებონს მოეჩვენა, გაიღიმა. მეფემ კი ტრებონის შემოსვლის შემდეგ პირველად გახსნა ბაგე და ბრძანა:

— ნუ გეშინია, კაპიტანო, შენ არ დაგაპატიმრებთ.

ეს მან თავისი ბოხი ხმითა თქვა, დაუდევრად და დაცინვის გარეშე. ტრებონს კი მოეჩვენა, თითქოს თავში რამე ჩაერტყათ. ყველაზე მეტად ის ეწყინა, რომ მეფემ „კაპიტანი“ უწოდა და არა „მარშალი“. უფრო უბრალოდ და უკეთესად შეუძლებელი იყო საგნებისა და მოვლენებისათვის თავთავიანთი ადგილის მიჩენა. იმავე წუთს, როდესაც მეფემ ტრებონს კაპიტანი უწოდა, ძლევამოსილი ფელდმარშალი ისევ პროვინციელ ოფიცრად იქცა, ისევე როგორც ნერონი გაქცევის შემდეგ ისევ მონად იქცა; მალუქი კი მეფედ იყო დაბადებული. ტრებონმა ვერ გაბედა აფეთქებულიყო. პირიქით, კინაღამ მადლობა გადაუხადა მეფეს, მაგრამ თავი შეიკავა და გაჩუმდა.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ შარბილმა განმარტა მალუქის სიტყვები.

— ედესის მეფე,—განაცხადა მან,—კაპიტანს საშუალებას აძლევს თავისი ხალხი სამ საათში დააბრუნოს ციტადელში. მეფეს არა სურს, ხალხი კნოპსივით მოეპყრას ტრებონსაც. ამიტომ კაპიტანი დროს ნუ დაკარგავს და ახლავე შეუდგეს საქმეს.

საქციელწამხდარმა ტრებონმა გუნებაში კარგა ლაზათიანად შეიგინა, მაგრამ ბრძანებას მაინც დაემორჩილა და თავჩაქინდრულმა დატოვა მეფის სასახლე.

10

ედესასთან გამოთხოვება

სენატორი ვარონი ერთადერთი კაცი იყო მთელ ედესაში, ვისაც ნერონის გაქცევა კასტასტროფად არ მიუღია. შორეულ აღმოსავლეთში არტაბანის წარმატებამ მის თითქმის ჩამქრალ ოცნებას ფრთები შეასხა და ამიტომ არ სურდა დაეჯერებინა, რომ ქმნილების სულელურმა საქციელმა წყალში ჩაყარა ყველაფერი, რაც არტაბანის გამარჯვებას უნდა მოჰყოლოდა. პირიქით, მას უკეთესიც ეგონა, რომ ნერონი დროებით გაქრა, რადგან ამით კნოპსს და ტრებონს საბოლოოდ მოიშორებდა.

მას აზრადაც არ მოსვლია, ედესელების აჯანყებისათვის სერიოზული მნიშვნელობა მიეცა. როდესაც არტაბანი საბოლოოდ გაიმარჯვებს, ხალხი ადვილად შეიძლება დაარწმუნონ, რომ ნერონი როდი გაიქცა, იმპერატორი მეფეთმეფეს ესტუმრა, რათა აღმოსავლეთში დიდი გამარჯვების შემდეგ ერთად მოეთათბირათ, როგორ ჩაეცათ ასეთივე ლახვარი დასავლეთისათვის.

ის ხმამაღლა ფიქრობდა და მარციას წინ ბოლთას სცემდა. მიუახლოვდა, მსხვილი ხელები შემოახვია, თავი გადაუწია, თვითონაც უკან გადაიხარა, რომ მისი სახე უკეთ დაენახა.

— შენ რომ ქმნილებას შეეწირე, ამ ამბავს ფუჭად არ ჩაუვლია, — არწმუნებდა მარციას. — ასრულდება, რასაც გპირდებოდი: პალატინზე ახვალ.

მან ახალ ვითარებათა მიხედვით თავისი თამაშის ცენტრი, ფიქრით, ედესიდან არტაბანის სატახტო ქალაქში კტესიფონში გადაიტანა, კტესიფონიდან კი მისმა თამაშმა სრულიად ახალი სახე მიიღო, გადიდდა, გაიშალა.

დიახ, ის უყვებოდა მარციას, როგორ მიატოვებენ ამ ბეჩავ

ედესას და თავის რეზიდენციას კტესიფონში გადაიტანენ. იმიტომ კი არა, თითქოს ვარონს კნოპსივით და ტრებონივით რაიმე საფრთხე ემუქრება. საქმე ის არის, რომ იქ პირადად ითანამშრომლებს არტაბანთან. იქნებ შეცდა კიდეც, რომ აქამდე არ შეხვედრია. მართალია, ელჩებს უგზავნის და მინისტრების საშუალებით უკავშირდება, მაგრამ მეფეთმეფის პიროვნებაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, სახითაც კი არ უნახავს. ვარონს სურს მისი სახის ნახვა. იმედი აქვს, ბევრ რამეზე აუხელს მეფეთმეფეს თვალს და რამდენიმე საჭირო რჩევას მისცემს.

რაც შეეხება ქმნილებას, ის ალბათ სადმე ტრამალებში დაეხეტება. უფრო ზუსტი ცნობები არ მოსვლია, მაგრამ ტერენციუსი უსათუოდ გადარჩება, ასეთი პატარა კაცი არ დაიღუპება. ამ წვრილფეხაზე, მართალია, ღმერთები არ იზრუნებენ, მაგრამ ვარონს თავისი ბედის ვარსკვლავისა სჯერა და ამიტომ ქმნილების დაღუპვა დაუშვებლად მიაჩნია. უეჭველია, ჩვენი ტერენციუსი იხეტიალებს და უვნებლად მიაღწევს მეფეთმეფის სასახლეს. კარგი იქნება, თუ ვარონი პირადად შეხვდება და უფრო სერიოზულად მოჰკიდებს ხელს.

სხვები ნერონის გაქცევამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ვარონს კი მხოლოდ სამოქმედოდ აქეზებდა. ის მაშინვე შეუდგა მეფეთმეფის კარზე გადასვლის სამზადისს, მაგრამ არ უნდოდა ედესიდან მისი წასვლა გაქცევად ჩაეთვალათ. ამიტომ წასვლის წინ მეფე მალუქს ეახლა, რათა გულახდილად და გულდამშვიდებით მოლაპარაკებოდა.

ეს ზედმეტი სითამამე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერთობ იმედიანად უყურებდა მომავალს, წვრილმანი საფრთხის არსებობა მაინც არ გამოჰპარვია. მას შესაძლოდ მიაჩნდა, რომ მეფე მალუქს შეეპყრო იგი და რომთან მოლაპარაკების დროს გუბერნატორისთვის გადაეცა. მაგრამ ვარონს არ შეეძლო ამ საფრთხისათვის ანგარიში გაეწია. საჭირო იყო ედესაში ყველაფერი მოწესრიგებული დაეტოვებინა.

და აი, ისინი სამივენი ერთად სხედან, მალუქი, შარბილი და ვარონი. შადრევანი ჩქეფს. ისინი საუბრობენ, როგორც წესია, სხვადასხვა წვრილმანებზე და ვერც ვარონი და ვერც

ალმოსავლელი მბრძანებლები ვერ ბედავენ ილაპარაკონ იმაზე, რაც გულსა და ენას უწვავთ — ნერონის გაქცევაზე.

ბოლოს, როდესაც საკმაო დრო გადის, ვარონი იწყებს:

— მე ვთხოვ ჩემს ძმასა და დიდ ხელმწიფეს მცირე ხნით დაშითხოვოს. იმპერატორის წაბრძანება მეც მაიძულებს, რამ-ბენიმე ხნით დავტოვო ედესა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი. შარბილი მეფეს უყურებდა და მის სიტყვას უცდიდა. მეფემ ბოლოს პასუხი გასცა. მასში უფრო მეტი სევდა იყო, ვიდრე ირონია.

— ჩემი ძმა ამას „წაბრძანებას“ უწოდებს?

და შარბილმა თავისი წვრილი და ავბედითი ხმით დაუმატა:

— სასურველი იქნებოდა, ეს წაბრძანება ასე მოულოდ-ნელად არ მომხდარიყო და ჩვენ, რომლებიც ამდენ ხანს ვიფა-რავდით და ვმეგობრობდით იმპერატორს, თავის დროზე გაგ-ვეგო ეს ამბავი. კარგი იქნება, თუ შემდეგში წინდახედულო-ბას გამოვიჩენთ და დასავლელთა გადაწყვეტილებებს ასე მოუმზადებლად არ შეეხვდებით.

და მისი ხმელი, ცბიერი თავი მუქარით მიუახლოვდა ვა-რონს. ვარონმა უკან არ დაიხია.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს,—იკითხა მან,—რომ აქ დატო-ვებას მიპირებთ?—მან დინჯად გადახედა მეფეს.

მელუქმა დარონებითა და ძლივს შესამჩნევი დაცინვით მიუგო:

— შენ სცდები, დასავლელო კაცო და ჩემო სტუმარო.

და შარბილმა, რომელიც აშკარად უკმაყოფილო დარჩა, ამ გადაწყვეტილებით, მბრძანებლის ნათქვამი ასე განმარტა:

— შენ ცუდად იცნობ დიდ ხელმწიფეს. რაც მე გითხარი, სულ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შენი აქ დატოვება გვწადია. პირიქით, მოტეკებას ვითხოვთ, მაგრამ ამ დიდ პატიჟს ვერ დავუწყებთ ჩვენს სტუმარს. გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ-თვის ერთგვარად სასიამოვნოცაა შენი წასვლა. მას შემდეგ, რაც ნერონი, შენი სიტყვით რომ ვთქვათ, წაბრძანდა, მეფე ვერ მოგცემს იმის პირობას, რომ მომავალში ძალი არ გაგი-ფრთხება. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ისეთ მკრთალ ვარსკვლავებს შეგადაროთ, როგორიც კნოპსი და ტრებონია. მაგრამ ბრბოს არა აქვს ასეთი მახვილი თვალი და დასავლელ-

თა სახეებიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მეფე არასოდეს არ იკისრებდა თქვენს გაძევებას, მაგრამ რაკი თქვენ თვითონვე წასვლა გწადიათ, აღარ დაგაყოვნებთ.

— აღარ დაგაყოვნებთ,—წყნარად, სერიოზულად და თითქმის ნაღვლიანად გაიმეორა თავისი ბოხი ხმით მეფე მალუქმა.

სანამ მალუქი ამას იტყოდა, ვარონისათვის ნათელი გახდა, რომ ედესელი მბრძანებლების თვალსაზრისით ნერონის საქმე სავალალოდ დასრულდა და მათ სრული უფლება ჰქონდათ შეეპყროთ ის კაცი, ვინც ისინი ამ ავანტურაში ჩაითრია. მეფე და ქურუმთუპირველესი კი უშვებენ მას და ბოდიშსაც უხდიან, რომ პატივისცემით ვერ მოეპყრენ. განა სხვაგან შეიძლება შეხვდე ასეთ დიდსულოვნებას თუ არა შეუცნობ აღმოსავლეთში? ვარონი არ იყო ბუნებით გულჩვილი კაცი; მაგრამ ამ ამბავმა გული აუჩუყა, მან მდაბლად დახარა თავი და აღმოსავლური წესის მიხედვით ხელები მკერდზე დაიჭდო.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ შარბილმა კვლავ დაიწყო:

— საით აპირებთ წაბრძანებას, ჩემო ვარონ? გზა მრავალია, მაგრამ ყველა გზა როდია შენთვის ხსნილი.

— ჩემი გზა ჩემს იმპერატორთან და მეფეთმეფე არტაბანთან მიდის, — მიუგო ვარონმა. — აღმოსავლეთში წასვლა ყველაზე მართებულად მიმაჩნია.

— შენი იმპერატორი მართლა მეფეთმეფესთან წავიდა?— დაცინვით ჰკითხა ქურუმთუპირველესმა; მისი ყვითელი, პერგამენტივით გამომშრალი შუბლი ჩვეულებრივზე მეტად დაფარა ნაოჭებმა. შავად შეღებილი სამკუთხა წვერი უმოძრაოდ ეკიდა დამჭკნარ სახეზე. მეფე მალუქმა კი თქვა:

— ბრძნულად მოიქცევი, თუ აღმოსავლეთში წახვალ. შენთვისაც და ჩემთვისაც უმჯობესია თუ იმპერატორი დომიციანე შენ თავს არტაბანს მოსთხოვს და არა ჩვენ; რადგან მეფეთმეფის რეზიდენცია უფრო შორსაა ანტიოქიიდან, ვიდრე ჩემი, ამიტომ იქ უფრო ადვილი იქნება დამალვა. მხლებლებს და მცველებს გაგაყოლებ, რათა მეფეთმეფის კარზე უხიფათოდ მიხვიდე, რადგან შენი გზა უფრო საშიშია, ვიდრე გგონია.

ვარონი ყურს უგდებდა მეფეს და ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომელიც დიდი ხანია აღარ განუცდია: მოკრძალება. რო-

გორ ღირსეულად და დიდებულად ეთხოვება ეს აღმოსავლელი მეფე, ვარონს კი ეს გამოთხოვება ანგარებიანი მიზნით ეწადა. აღმოსავლელები სჯობიან რომაელებს, უფრო კაცთმოყვარენი და ზრდილები არიან. ვარონმა ოდნავ უკან დაიხია და თვალი შეავლო მეფესა და ქურუმთუპირველესს. შეხედა მალუქის წყნარ სახეს, მის ნაზ, მრგვალ თვალებსა და კეხიან ცხვირს. შეხედა შარბილის დანაოჭებულ სახეს, რომელიც თითქმის შეზრდოდა ქურუმის წვეტიან ქუდს.

— მადლობელი ვარ, ჩემო ძმაო და დიდო ხელმწიფევ,— თქვა მან გულთბილად — და შენი, ქურუმთუპირველესო, რადგან თქვენ არ მიწყრებით იმ რჩევისათვის, რომელიც ადრე ნერონთან დაკავშირებით მოგეცით.

მალუქს გამომეტყველება არ შეცვლია, ისე მიუგო:

— არ გიწყრები.

(და ხელის თავაზიანი აპყრობით გამოეთხოვენ დასავლელ კაცს, რომელიც, ალბათ, სამუდამოდ სტოვებდა მათ.

ვარონი შინ მივიდა, საიდუმლო ყუთი წაიღო, მარცია წაიყვანა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაეშურა, საითაც მეფეთმეფე არტაბანის სატახტო ქალაქი იყო.

11

მეფეთმეფე

კტესიფონში, დასავლეთ პართიის სატახტო ქალაქში, არტაბანის მთავრობამ ვარონს ნება არ დართო, გზა განეგრძო. მას უბრძანეს, აქ დაეცადა, ვიდრე მეფეთმეფე ლაშქრობიდან გამარჯვებული არ დაბრუნდებოდა.

ვარონმაც დაიცადა. მინისტრებთან მასლაათობდა, ლაპარაკობდა თავის ნერონზე, აჩვენა განსვენებული მბრძანებლის, დიდი ვოლოგესის ეპისტოლე; მეფეთმეფე მადლობას უცხადებდა ვარონს, რომელმაც თავისი გონივრული მოქმედებით ხელი შეუწყო რომისა და პართიის დაზავებას. მაგრამ მინისტრები, მთელი თავიანთი თავაზიანობის მიუხედავად, მის საქ-

:მეს გაცილებით უფრო ნაკლებ ყურადღებით ეკიდებოდნენ, ვიდრე ამას თვითონ ვარონი მოელოდა. მხოლოდ თანდათანობით მიხვდა, რომ მისი დაწყებული საქმე, კტესიფონიდან დანახული, თავის ძველ მნიშვნელობას კარგავდა. რომში მრავალი ეროვნების ხალხი ირეოდა და ვარონს თვალი შეჩვეული ჰქონდა. მაგრამ კტესიფონიდან თვალი გაცილებით შორს სწვდებოდა მსოფლიოს. პართიელები ისეთ ხალხებთან მეზობლობდნენ, რომელთა სახელი გაგონილი არც კი ჰქონდა, წარმოთქმას ხომ ალბათ ვერასოდეს შესძლებდა. სკვითთა, ალანთა და თვით ხატაელთა დესპანები ელოდნენ მეფეთმეფესთან წარდგომას, რომ თავიანთი სათხოვარი მოეხსენებინათ. ვარონი თანდათანობით მიხვდა, რომ კტესიფონის სამეფო კარისათვის თვით ჭეშმარიტი რომიც კი არ იყო მსოფლიოს ცენტრი, ხელოვნური ნერონის სამეფოზე რომ აღარაფერი ვთქვათ. დროდადრო თავისი თავიც უმნიშვნელო არსებად ეჩვენებოდა, პროვინციელი ხდებოდა და ასეთ წუთებში დარწმუნებული იყო, პართიელთა კარზე მის იმედებს შესრულება არ ეწერა.

მაგრამ მეფეთმეფე დაბრუნდა თუ არა, ვარონი დაუყოვნებლივ სადარბაზოდ იხმეს. მას არ ეგონა, თუ მეფეთმეფე ასე სასწრაფოდ მიიღებდა.

ცერემონიალი მკაცრად შესრულდა. ვრცელი სამეფო დარბაზის ერთი მხარე ფარდით იყო გამოყოფილი. კედლების გასწვრივ მეფის გვარდია იდგა. კარისკაცები რკალად განლაგებულიყვნენ. თვალი ყველას ფარდისათვის მიეპყრო. მალე ხმა გაისმა:

—...მეფეთმეფე ტახტზე დაბრძანდა.

ფარდა გადასწიეს და გამოჩნდა მეფეთმეფე.

ის თვალმარგალიტით მოოჭვილ ოქროს ტახტზე იჯდა, ქურუმებით გარშემორტყმული. გვერდით წმინდა კოცონი ენთო. მისი წამოსასხამის კალთები ქვისაგან გამოკვეთილს ჰგავდა. თავს ზემოთ ჭერზე დაკიდებული გვირგვინი ოდნავ ირხეოდა. ხელოვნურად მიმაგრებული ოქროსმტვერწაყრილი გრძელი წვერი სახის უმეტეს ნაწილს უფარავდა.

როდესაც მისი ტახტზე დაბრძანების მაუწყებელი ხმა გაისმა, კარისკაცები მიწას გაერთხნენ და თაყვანი სცეს. ვა-

არტაბანმა ბრძანა წაეკითხათ იგი და ვარონისათვის ეთქვათ, რომ მეფე ფიქრობს მის შინაარსზეო. ფარდა კვლავ ჩამოეშვა და აღმოსავლელი მბრძანებლის ოქროვანი გამოსახულება მანამდე დაიფარა, ვიდრე ვარონი მისი ხმის გაგონებას მოასწრებდა. ეტყობოდა, დარბაზობა დამთავრდა.

მაგრამ ასე არ ყოფილა. ვარონი, უკვე იმედგაცრუებული იმით, რომ მეფეთმეფემ სიტყვაც არ აღირსა, მოულოდნელად გაოცდა და აღტაცებაში მოვიდა, როდესაც უთხრეს, მეფეთმეფე ახლავე გიმართავს, მეორე, შინაურულ დარბაზობასო.

კარისკაცები და გვარდია წავიდა. ვარონი უზარმაზარ დარბაზში მარტო დარჩა.

უეცრად ფარდის იქიდან ტანმორჩილი კაცი გამოვიდა. მას მრგვალი თავი ჰქონდა, მისი გაპარსული სახე კუპრივით შავ თმასთან შედარებით ძალიან თეთრი ჩანდა. მხოლოდ მანტიით იცნო ვარონმა მეფეთმეფე.

მას მბრძანებლის გვირგვინსა და წვერთან ერთად მთელი ცერემონიულობა მოეშორებინა და სასიამოვნო, ზრდილ კაცად ქცეულიყო. მაშინვე ნერონის საქმეზე დაუწყო ლაპარაკი, რომელსაც „ექსპერიმენტი“ უწოდა. ბერძნულად ლაპარაკი უძნელდებოდა, ხშირად ეძებდა საჭირო სიტყვას, მაგრამ ყოველთვის პოულობდა. მისი აზრით, „ექსპერიმენტის“ წარუმატებლობაში ბრალი, იმას მიუძღვის, რომ ნერონის „შარავანდედი“ მყარი არ აღმოჩნდა.

— ეს „შარავანდედი“, — თქვა მან დამცინავად, — როგორც ჩანს, ხანდახან ქრება ხოლმე. თუმცა ჩემი უზენაესი მაგი ამბობს ასეთი რამ შეუძლებელიაო. მაგრამ ის ცდება. თქვენი ნერონის მაგალითი საპირისპიროს ამტკიცებს. როდესაც ნერონმა სისხლიანი ღამის მოწყობა ან გაპარვა განიზრახა, „შარავანდედი“ არ მოქმედებდა. თქვენ, ჩვმო ვარონ, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, უნდა გეზრუნათ, რომ „შარავანდედის“ ჩაქრობის დროს ნერონს არავითარი გადაწყვეტილება არ მიეღო.

ვარონს არც თუ ისე სიამოვნებდა ამ უცნაურ პოლიტიკურ და თეოლოგიურ მოსაზრებათა მოსმენა; გრძნობდა, რომ მე-

ფეთმეფე იდუმალ დასცინოდა. მან თავის გულში წყენით აღიარა, მართალია, მეფეთმეფე შუამდინარეთიდან ძალიან შორს იმყოფებოდა, მაგრამ მთავარი შეცდომები კარგად შეუმჩნევია, მე კი ეს შეცდომები გამომეპარა, ან თვალი ავარიდეო. ისეთი წვრილმანის გამო, როგორიც იყო ჭნოპსისა და ტრებონის ზიზღი, მას მთავარი ამბები გამოეპარა, თვალყური არ ადევნა ქმნილებას, მის ცვლილებებს და სულის მოძრაობას. გაუგებარია, რამ დააბრმავა, როგორ ვერ მიხვდა, რომ ისეთი კაციც კი, რომელსაც არც საკუთარი იდეები და არც პიროვნული დამოუკიდებლობა გააჩნია, ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს თუ არა, წამსვე არსებობას იწყებს და შინაარსს იღებს. მბრძანებლობის ფუნქცია ცვლის მბრძანებლის არსს.

ძალა-უფლება, სიმდიდრე, დიდება, ყველაზე ცარიელ კაცსაც კი პიროვნებად აქცევს, სახეს აძლევს მას. ვარონს უნდა სცოდნოდა ეს, უნდა მიმხვდარიყო. მან ეს არ იცოდა, ან არ სურდა ამაზე ფიქრი. მართალია, ასე მეგობრულად ესაუბრება არტაბანი, ასეთ ფერად-ფერად თეოლოგიურ მსჯელობას უმართავს, მაგრამ ხომ კარგად აგრძნობინა, რომ დაინახა ვარონის შეცდომები, რომელთა გამოსწორება შეუძლებელია.

ვარონს კი თავხედურად ეგონა, თითქოს პართიელთა კარზე მისგან დარიგებების მეტს არაფერს ელოდნენ. უნდოდა მეფეთმეფისათვის, რომელიც უფრო ცხადად ხედავს ადამიანებსა და პოლიტიკურ მოვლენებს, „ჭკუა ესწავლებინა“, „თვალი აეხილა და რამდენიმე საჭირო რჩევა მიეცა“.

ვარონს შეიძლება ბევრი ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ არ ჯიუტობს, როცა თავის შეცდომას დაინახავს. სისულელეა. ახლა ლაყბობას მოჰყვეს, ბრიყვული საბუთები მოიშველიოს. მას არ უცდია თავის გამართლება, პირდაპირ, ვაჟკაცურად უთხრა:

— მართალს ბრძანებთ, ხელმწიფეო, თქვენი მსჯავრი მართებულია.

არტაბანს, როგორც ჩანს, მოეწონა ეს საქმიანი აღიარება. მან თავი დაანება უსიამოვნო ამბებზე ლაპარაკს და მეგობრულად ჰკითხა ვარონს:

— მითხარით, ჩემო საყვარელო ვარონ, როგორ გგონიათ, რა შანსი აქვს თქვენს ნერონს ახლა, მას შემდეგ, რაც ედესიდან მოუსვა?

ურთობ უცნაურად მოისმა.

ამ „მოუსვამ“ სულ დაამცირა ვარონი. ეს რა ბრიყვულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. დიდი ბრძენივით დამჯდარა აქ ეს საიდანღაც გადმოვარდნილი რომაელი და სურს დაარწმუნოს ყველაფრის მცოდნე მეფე, რომ მის სამეფოს ხიფათი მოელის, თუ უზარმაზარ მსხვერპლს არ გაიღებს და ნერონს არ მიეხმარება. როგორ უნდა უთხრას ეს? ეს ხომ სიბრიყვეა და არავითარი გამართლება არა აქვს? მაგრამ აქ როდოსია, აქ უნდა ისკუპო.

ვარონმა დასძლია საკუთარი თავი და მეფეთმეფეს იმ მოხსენებიდან, რომელიც წინასწარ მოამზადა, ზოგი რამ უთხრა. ნერონი და მისი რომი, ფლავიუსთაგან განსხვავებით, მუდამ პატიოსნად დაიცავენ პართიელებთან დადებულ სამეგობრო ხელშეკრულებას. ამისთვის გარეგნული და შინაგანი მიზეზები არსებობს. ნერონმა იცის, რომ ცივილიზაცია დაიღუპება, თუ რომი პართიელებს არ დაუკავშირდა და მათთან ერთად არ აღუდგა წინ ჩრდილოელ ბარბაროსებს. ვარონი ლაპარაკობდა, მაგრამ მის სიტყვებში შთაგონება არ იგრძნობოდა; მას არ სიამოვნებდა მეფეთმეფის წინაშე ასეთი იაფფასიანი სიტყვების ხარჯვა.

არტაბანმა რამდენიმე წინადადების შემდეგ შეაწყვეტინა ეს ლაყბობა თავაზიანი, მაგრამ კატეგორიული ჟესტით.

— ჩემო საყვარელო ვარონ, — უთხრა მან, — ეს საერთო თვალსაზრისი ჩემთვის ცნობილია. ჩემთვის ისიც ცნობილია, თუ რა მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ ლაშქრითა და ფულით დახმარებაზე უარი გითხრათ, მას შემდეგ, რაც შარავანდედჩამქრალმა ნერონმა შეცდომები დაუშვა. ერთი რამ არაა ჩემთვის ნათელი: რა მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ მე თქვენს საქმეს ხელი შევუწყო. აი, ეს მინდოდა გამეგო თქვენგან, ნერონის წარმომადგენლისაგან.

ამ საქმიანმა კითხვამ ვარონი დააბნია. თავი იმ მოწაფესავით იგრძნო, რომელსაც გაკვეთილი არ მოუმზადებია. მეფეთმეფე დიდი სიფრთხილით ააშკარავებდა მის შეცდომებს, ამ თავაზიანობამ კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში

ჩაიგდო ვარონი. მაგრამ მას დაეხმარა პატიოსნება, გამჭრიახობა. მშრალად და გადაუმლაშებლად მიუგო, რომ იმპერატორის გაქცევის შემდეგ მან უარყო თავისი შეხედულება, თითქოს ნერონი პალატინამდე მისვლას შესძლებდა. თუმცა დღესაც სჯერა, რომ შესაძლებელია შეერთდეს წვრილ-წვრილი სამეფოები, ტიგროსსა და ევფრატს შუა დაარსდეს დიდი ბუფერული სახელმწიფო, მისი განმგებელი იქნება ის, ვინც ნერონის სახელის პრესტიჟს მეფეთმეფის ერთგულებასთან შეაერთებს.

— დიახ, — მიუგო არტაბანმა, — მეც ასე ვუყურებ შექმნილ მდგომარეობას. ეს ამბავი უკეთეს შემთხვევაში გაძლიერებს ჩემს გავლენას მესოპოტამიაში. ეს კი იმას ნიშნავს, — განაცხადა მან და თავისი სიტყვების სიმკვეთრე ალერსიანი კილოთი შეარბილა, — რომ, თქვენის აზრით, მე უნდა გავიღო მსხვერპლი, გავწიო რისკი, რასაც თქვენი მხარდაჭერა მოითხოვს. აქედან მიღებული მოგება, თუ ჭკუით შევხედავთ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს გაღებულ მსხვერპლს.

ვარონმა არაფერი უპასუხა. ასეთ მოსაზრებებს ვერაფერს დაუპირისპირებ. მეფეთმეფე მართალს ამბობს. ვარონმა თამაში წააგო. ვარონის საქმე წასულია.

— მაშ ედესაში დავბრუნდე? — ჰკითხა მან. და მისი ჩამქრალი სახე სულ არ შეესატყვისებოდა მის საღ მსჯელობას.

— ნუ ვაუკაცობთ, — თითქმის გაბრაზებით უთხრა არტაბანმა. კარგად იცით, რომ ედესაში დაბრუნებისთანავე რომში გაგაგზავნიან და დაიღუპებით. თავისთავად ცხადია, მსიამოვნებს კარზე მყავდეს კაცი, რომელმაც ჩემი დიდი წინამორბედის ვოლოგესის მადლობა დაიმსახურა და რომელმაც მაშინ მცნო, როდესაც მცირე და უძლური ვიყავი. თქვენ და თქვენი ნერონი ჩემთვის სასურველი სტუმრები ხართ. მაგრამ. სამწუხაროდ, ჩემი სტუმართმოყვარეობა შეკვეცილია. თუ იგი მშვიდობიანობას საფრთხეს შეუქმნის, იძულებული გავხდები, ეუღლატო.

— ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია? — უაზროდ იკითხა ვარონმა.

— სრულიად ადვილი შესაძლებელია, — სერიოზულად მიუგო არტაბანმა, — თუ დომიციანე წინდახედულებას გამოიჩენს, ის მე შემომთავაზებს მომგებიან სავაჭრო ხელშეკრულებას და შუამდინარეთში სამხედრო საკითხებს გონივრულად გადაწყვეტს. და თუ ასეთ შემთხვევაში პირობას დამიყენებს, რომ ხელი ავიღო თქვენზე და თქვენს ნერონზე, ვერ ვიტყვი უარს ამ პირობაზე. არ შეიძლება ერთი კაცის გადასარჩენად ორასი მილიონი კაცის მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვიო. ლუციუს ტერენციუს ვარონი უნდა მიმიხვდეს ამას.

დიახ, ვარონი მიუხვდა. რასაც მეფეთმეფე ამბობდა, პირდაპირი და ნათელი იყო. და მაინც ეს ჭკვიანი, ღირსეული და კაცთმოყვარე მეფე ძალიან ბევრს მოითხოვს ვარონის გონებისაგან. ის არა მხოლოდ რომში გადაგზავნას უპირებს, არამედ მოითხოვს, ვარონმაც აღიაროს ამ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა.

ვარონი შინ დაბრუნდა. გარინდებით მჯდარი მარციას წინაშე ცდილობდა თავის შთაბეჭდილებებში უკეთესად გარკვეულიყო.

— ისღა დამრჩენია, — თქვა მან ნაღვლიანი, ირონიული ღიმილით, — იმედი ვიქონიო, რომ საქაჩულა სისულელეს ჩაიდენს და არტაბანს იძულებულს გახდის, კვლავ ნერონს მიემხრაოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველი ღონე ვიხმარე, რომ საქაჩულას ჭკუა ესწავლა და ბევრი სისულელე თავიდან გამოვუბერტყე.

ვარონმა გადახედა თავისი საქმის, „ექსპერიმენტის“ დასაწყისს და თავის თავი გაკიცხა, რომ დასავლურმა მასშტაბებმა გაიტაცა და აღმოსავლური კი უგულებელჰყო. მას მუდამ სჯერდა, რომ სხვებზე შორსმჭვრეტელია და მიუხედავად ამისა, ვიწროდ და ნამდვილ რომაულად მიუდგა ამ საქმეს, რომის იმპერიის გარდა ვერაფერი დაინახა. ბოლოს-დაბოლოს მანაც, სხვების მსგავსად ნაციონალისტობა და ეგოიზმი გამოიჩინა, სულელურად სწამდა, რომ მსოფლიო

სიხარულით შეეგებება რომის უღელს. გვიან მიხვდა, თუ რა დიდი ყოფილა მსოფლიო და რა პატარა ყოფილა რომი.

და ამ კაცში, რომელსაც არასოდეს არ უქრებოდა სიცოცხლის სურვილი, კვლავ გაიღვიძა მოთამაშისა და მჭვრეტელის ჟინმა.

— ყველაფერს ვერ შეიცნობ, — დაასკვნა მან. — მე აღვზარდე საქაჩულა, ახლა კი ის მზრდის. უწინ, როდესაც რომიდან ვინმე მწერალს ვაძევებდით, მუზონს თუ დიონ პრუზაელს, ეს გაძევება მხოლოდ ცარიელი სიტყვა იყო ჩემთვის. ახლა, როდესაც საქაჩულამ მაიძულა გადმოვხვეწილიყავი, თანდათან ვხვდები, რომ მსოფლიოს ცენტრი იქ არ არის, სადაც შენ დაიბადე, მსოფლიოში იმდენივე ცენტრია, რამდენიც მცხოვრები.

12

ლტოლვილი

ამ დროს ნერონ-ტერენციუსი — მსოფლიოს ერთ-ერთი მკვიდრი და ერთ-ერთი ცენტრთაგანი, თავისი გზით მიდიოდა. იოვანეს სახლიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე გაუდგა გზას და ტრამალების სიღრმეში შეიჭრა. მთელი დღე დამალული იყო, ღამით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა. მესამე ღამესაც იარა. კმაყოფილი იყო, რომ ყველას მოშორდა. უდაბნოს სიმარტოვემ ხელი შეუწყო, რომ შელანძღული „შარავანდედი“ აღედგინა. მესამე დღეს მაგრად მოშივდა და მოსწყურდა; მაგრამ ამ დროისათვის თავისი „შარავანდედი“ მთლიანად აღიდგინა; შეეძლო შიგ გახვეულიყო. თავის თავს არწმუნებდა, ჩემი „შარავანდედის“ შუქმა შეაკრთო იოვანე და ბედი ახლაც არ გამწირავსო. მართლაც, შემდეგ დღეს, ძალღონეგამოცლილს, ბედუინები გადაეყარნენ.

ბედუინები კუშტი ხალხი აღმოჩნდა. როდესაც უთხრა, შეფეთმეფის კარზე მივდივარო, დაეჭვებით ჰკითხეს, იქ რა დაგრჩენიაო. ტერენციუსმა მაღალფარდოვანი, გაუგებარი სიტყვები უთხრა, და მათ თაღლითად ჩათვალეს, ალბათ გა-

მოქცეული მონაა ან რამე ამგვარიო, და ყველაზე უფრო უსუფთაო და დამამცირებელი სამუშაოები დააკისრეს. მან კი, „შარავანდედმოსილმა“, პასუხის ღირსი არ გახადა, ზურგი შეაქცია, რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა და ჩაჯდა. ბედუინებმა სცემეს, მაგრამ ის გაჯიქდა და ხმა არ დასძრა. უდრტვინველად იტანდა ცემა-ტყეპას და გაჭირვებას, მისმა ზვიადმა ქცევამ ბედუინებზე შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა, როდესაც შემთხვევით წამოცდა, იმპერატორი ნერონი ვარო, სიცილადაც არ ეყოთ. მაგრამ გუნებაში მისი სახე მონეტაზე ამოჭრილ სახეს შეადარეს და შეშინდნენ, ეგებ მართლა სისულელე ჩავიდინეთო და გამოუსადეგარი ტყვე მეზობელ ტომს მიჰყიდეს.

ნერონი ამას სრულიად გულგრილად შეხვდა. თავის უბედურებასაც ისე უყურებდა, როგორც ღმერთების წყალობას. მთლიანად რომ იგრძნოს იმპერატორობის მნიშვნელობა, ბოლომდე რომ ნერონი იყოს, ნერონის დაცემაც უნდა გამოსცადოს, არა მარტო მისი აღზევება და ბრწყინვალება. ამიტომ უბედურებაც და ბედნიერებაც თანაბრად სასიხარულოა. და ის ითმენდა შინაგანი წინააღმდეგობის გაუწევლად, როცა ბედუინების მეორე ტომიც პირველივით მოეპყრო. ახალი ბატონებიც თანდათანობით შეაფიქრიანა მისმა მშვიდმა გოროზობამ, გიჟად ან თაღლითად ჩათვალეს და, რადგან მათ შორის სიგიჟე საზიზღარი და ამავე დროს ღვთაებრივი მოვლენა იყო, ტერენციუსს დასცინოდნენ და პატივს სცემდნენ, არ იცოდნენ რა ექნათ ამ უცნაური კაცისათვის, სიხარულით მოიშორებდნენ თავიდან. და ერთ მშვენიერ დღეს უდაბნოში მიატოვეს კიდეც.

ნერონისთვის დაიწყო წვალებით აღსავსე ხეტიალი უდაბნოში. ბევრჯერ არაქათგამოცლილი სიკვდილის პირამდე იყო მისული, მაგრამ სწორედ საშინელმა ხეტიალმა დაამთავრა მისი საბოლოო გარდაქმნა. რამდენჯერმე თვალებში ჩახედა სიკვდილს, მრავალი დამცირება იგემა და ახლა განუმტკიცდა რწმენა, რომ „სულით ხორცამდე იმპერატორია“, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელი.

მრავალი რამ გადახდა თავს, ზოგი საშინელი, ზოგი სასა-

ცილო და ბოლოს მშიერ-მწყურვალე ჰომას მიადგა, უდაბნოში მიწისქვეშ აგებულ ქალაქს. ქალაქში მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვები დახვდნენ. ჰომაში ნერონმა რამდენიმე კვირა დაჰყო და თავს მშვენივრად გრძნობდა. აქ უმწიფარმა ყმაწვილებმა და ქალებმა არ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე, თაღლითთან, გიჟთან თუ განსაცდელში ჩავარდნილ დიდგვაროვანთან. ასე იყო თუ ისე, ტერენციუსი მოეწონათ. ის მდუმარედ ჯდებოდა თავის მიწურში დიდებული და მორჩილი იერით. ბავშვები, მოხუცები და ქალები გარს შემოეხვეოდნენ. ხოლმე და შიშითა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ხანდახან რამეს მოაყოლებდნენ და ისიც ათასგვარ ამბავს ყვებოდა, როგორც საუკეთესო მეზღაპრე. ჰომელები ყურს უგდებდნენ უცნაურ სტუმარს და სიამოვნებით ინახავდნენ აქ, სანამ კაცები დაბრუნდებოდნენ და გადაწყვეტდნენ რა ექნათ ტერენციუსისათვის.

მაგრამ კაცების დაბრუნებამდე მეფეთმეფის მოციქულები მოვიდნენ. არტაბანმა გადაწყვიტა, ნერონის საქმეზე ჯერჯერობით ხელი არ აეღო. მან ყველგან გამოცდილი მსტოვრები დაგზავნა. მსტოვრებს ბედმა გაუღიმათ და ლტოლვილის კვალს დაადგნენ. გააკეთეს ის, რაც ვარონის კაცებმა ვერ მოახერხეს: მოვიდნენ და ჰომელთა გასაოცრად უცხო კაცის ფერხთით გაერთხნენ, თაყვანი სცეს და მიესალმნენ დასავლეთის მპყრობელს.

თვითონ ნერონი სრულიადაც არ გაუოცებია ამ ამბავს. სასოწარკვეთილი მარტოდმარტო გამოიპარა ედესიდან. კტესიფონში კი ზარ-ზეიმით შევა. სწორედ ასე შესვლა შეჰფერის ნერონს და ამაში გასაკვირი არაფერია.

სამყარო გონივრულად იყო მოწყობილი. მისი თავგადასავალიც ამტკიცებდა სამყაროს აზრიანობას. ღმერთებს ეწადათ, რომ ახალი, აქამდე დამალული ნერონი სრულყოფილი ნერონი დღის სინათლეზე გამოეყვანათ და ამიტომაც მოხდა ყოველივე ეს. ახლა წრე შეიკრა. ახლა მისი სული, როგორც იმპერატორს შეჰფერის, ყოველგვარი გასაჭირისთვისაც და აღზევებისთვისაც მომზადებულია. მან გაიგო თავისი დანიშნულება და ახლა რწმენა აღარ შეერყევა.

დაუდევრად და დიდი სიმშვიდით შეამოსვინა თავი არტა-

ბანის მოციქულებს და ზეიმით გაემართა კტესიფონისაკენ. გზაში დიდი პატივით ეპყრობოდნენ. იგი დაფიქრებული იყო, ოდნავ მოწყენილი სახე ჰქონდა და ისე მიდიოდა, თითქოს სულერთი იყო საით წაიყვანდნენ. ხალხი გრძნობდა ჭეშმარიტი მბრძანებლის სიახლოვეს და დიდებული ხელმწიფის დანახვაზე ემხობოდნენ და შუბლს მიწას ახლიდნენ.

თვითონ ვარონიც კი განცვიფრდა, როდესაც კტესიფონში თავის ნერონს შეხვდა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამხდარიყო, სახეზეც დასტყობოდა სიგამხდრე. წითურ თმებში პირველი ჭაღარა შერეოდა. მისი ტუჩები მოწყალედ, ღვთაებრივი ზვიადობით იღიმებოდნენ. ამ ღიმილს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მის ქცევაში იგრძნობოდა ოდნავი შეშლილობა და ეს შეშლილობა მის უხილავ ჯავშანს წარმოადგენდა. ეს აღარ იყო „ქმნილება“ და საკითხავი იყო, შესძლებდა თუ არა ვარონი მთელი თავისი ნებისყოფის დაძაბვით და თავისი ეშმაკობის წყალობით ახალი ტერენციუსის მოთვინიერებას.

ნერონი სიტყვაძუნწი გამხდარიყო, მაგრამ თუ რამეს იტყოდა, იტყოდა დინჯად და ბრძნულად. ზურმუხტს იშვიათად ხმარობდა. აღარ იყო ცნობისმოყვარე; მან ყველაფერი ნახა, რაც კაცმა შეიძლება ნახოს, შეიცნო, რისი შეცნობაც შეიძლებოდა. მისი სიამაყე ნაკლებ კუშტი იყო, აღარც ძველებურად შეუვალი ჩანდა. მასზე, ვინც ყველა სიმაღლე და სიღრმე გაზომა, ვეღარაფერი და ვეღარავინ ახდენდა შთაბეჭდილებას და არც არაფერი სწყინდა.

მას ახლა აღარ აკრთობდა მეფეთმეფესთან წარდგომა, რაც ადრე შიშსა ჰგვრიდა.

როცა არტაბანის სამეფო დარბაზში იდგა, მისი „შარავანდედი“; რა თქმა უნდა, ცოტა მიმკრთალდა. დარბაზის ფრიზი, რომელიც ძველ სპარსელ მეფეთა საქმეებს გამოხატავდა, მიუხედავად თავისი სიდიდისა, ფაქიზი გემოვნებით იყო ნაკეთები და ნერონმა თავის გულში აღიარა, რომ ასეთი დიდებული ფრიზი ჯერ არ ენახა. უფრო მაინც უზარმაზარი თაღი მოეწონა, სადაც გამოსახული იყო ცხენზე ამხედრებული მითრა, რომელიც გველეშაპს გმირავდა. ნერონი საკუთარ თვალ-

ლშივე დაპატარავდა ამ თაღებქვეშ. უსიამოვნოდ გაიფიქრა, რა საცოდაობა ყოფილა მითრას ქანდაკებები, რომელიც წითელ ქუჩაზე ჩემ ქარხანაში მზადდებოდაო.

შემდეგ გაიმართა დიდებული ცერემონიალი, რომლის დანიშნულება იყო ყველა მოსულისათვის ეგრძნობინებინა აღმოსავლური მბრძანებლის ღვთაებრიობა. ფარდა გადაიწია, მეფის თავს ზემოთ დაკიდებული გვირგვინი ირხეოდა, წვეროსანი ქურუმები საზეიმოდ იდგნენ, „შარავანდედის“ ცეცხლი ელვარებდა, ბრწყინვალე კარისკაცები მიწაზე გაერთხნენ. მათ დანახვაზე ნერონმაც კინაღამ მუხლი მოიყარა. სადღაც შორს, მის თავში აზუზუნდა:

მეჭოთნე ცხოვრობდეს ქუთანთა შორის,
ქოთანი აკეთოს ერთი თუ ორი,
რამეთუ ღმერთების არ არის სწორი.

ბოლოს არტაბანმა მოიღო მოწყალება და გამოესაუბრა თავის მეგობარს, დასავლელ იმპერატორს. გაქრა მთელი მისი სიდიადე და ბრწყინვალება, რომლის წინაშე წეღან ნერონმა კინაღამ თვალები დახარა. არა, ვისაც ასეთი საქმიანი, უხეში, მშრალი ხმა აქვს, იგი მოკლებულია ყოველგვარ სიდიადეს. ნერონმა უღრმესი კმაყოფილებით გაიფიქრა, ერთადერთს მე მაქვს ნამდვილი „შარავანდედიო“.

13

სამართლიანობა სახელმწიფოს საძირკველია

ცეიონს სახე უბრწყინავდა. ტერენციუსი და ვარონი გაიქცნენ, ფილიპე და მალუქი „მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება“, ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნდოვანი, ფერად-ფერადი სიტყვებით მორჩილებას უცხადებენ. თუმცა ჯერ არტაბანის საქმე არ მოუგვარებია. მაგრამ ცეიონმა დათრგუნა თავისი სიჯიუტე და გადაწყვიტა თავის ადრინდელ სიტყვაზე უარი ეთქვა და პართიის მეფედ არტაბანი ეღიარებინა. საომრად

გამზადებულ ლაშქარს დაეყრდნობა და იმედი აქვს, რომ ამ აღიარების საფასურად მეფეთმეფეს ბევრ რასმე გამოძალავს და ვარონსა და ტერენციუსსაც ხელში ჩაიგდებს. მას უხაროდა, რომ ამ ვაჟბატონებს უკანასკნელი თხვშესაფრიდან ამოათრევდა. მაგრამ ცდილობდა ცოტაც მოეთმინა, რომ შეძლებისდაგვარად პოზიციები განემტკიცებინა. ის მხოლოდ მაშინ შეუდგება არტაბანთან მოლაპარაკებას, როდესაც მეფეთმეფე გაიგებს, რომ ცეიონი სრული უფლებით აღჭურვა რომმა და საჭირო შემთხვევაში ჯარის გამოყენება შეუძლია. საამო, ბავშვური მოუთმენლობით ელოდა რომიდან წერილებს.

მაგრამ წერილი სხვაგვარი აღმოჩნდა, ვიდრე ცეიონს წარმოედგინა. იმპერატორმა დომიციანემ მითითება კი მისცა, არმია მზად ჰყოლოდა, რათა თავს არ დასხმოდნენ, მაგრამ: „შემდგომ დავალებებს“, გრძელდებოდა წერილი, „აღარ გაძლევთ. კიდევ მეტი, ჩვენ დავადგინეთ: როდესაც არმიას სალაშქროდ გაამზადებთ, თქვენი თანამდებობის სიმბოლო, ნაჯახი და წკეპლები, ახალ გუბერნატორს გადასცეთ, რომელიც ჩვენ დავნიშნეთ ჩვენი პროვინციის სირიის მმართველად. მათი გადაცემის შემდეგ რომში გელით“.

საქაჩულას თვალთ დაუბნელდა. გარეთ გაზაფხულის ბრწყინვალე დღე იყო, მაგრამ მისთვის ყველაფერს შუქი მოაკლდა. ბოლო თვეებში თუ ხუთი წლით გაახალგაზრდავდა, ამ წუთს ათი წელი მოაკლდა. გიჟური გეგმები ერთმანეთს ცვლიდნენ. მშრალი, ერთგული მოხელე ერთ წუთს იმაზე დაფიქრდა, თვითონაც ამბოხებულებს ხომ არ მიმხრობოდა, ვარონთან და ნერონთან ხომ არ გადასულიყო. მაგრამ მან იცოდა, რომ სისულელე იყო ამაზე ფიქრი. შემდეგ კარგა ხანს გამოთაყვანებული იჯდა. იბზრიალე, ბზრიალავ! ახალი მმართველი ასე ბრწყინვალედ დაწყობილ არმიას, მის არმიას, ევფრატზე გადაიყვანს და ანტიოქიაში გამარჯვებული დაბრუნდება. ცეიონი კი რომში ეგდება თავისი ტილოშემოხვეული ქანდაკებით, დაბერებული და გამოუსადეგარი. აღმოსავლეთში მისგან დარჩება მხოლოდ სასაცილო მოგონებები და მეტსახელი საქაჩულა.

ცეიონის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. მაგრამ მუყაითი მოხელე იყო, მან განაგრძო თავისი მოვალეობის აღსრულება.

უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ ჩამოვიდა ახალი გუბერნატორი. ეს იყო რუფუს ატილუსი, ახალგაზრდა კაცი, მის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი. მშვიდი ხასიათი და დახვეწილი ქცევა ჰქონდა. მან საქმიანად მოიწონა არმიის ორგანიზაცია და ცეიონს სთხოვა, თანამდებობის სიმბოლოებს ჯერ ნუ გადმომცემ, სანამ საქმეებს საფუძვლიანად არ გავეცნობიო.

ეს იყო მტანჯველი კვირები. ცეიონი თავის სასახლეში იჯდა და ჯერ ისევ გუბერნატორის ტანსაცმელი ემოსა. მაგრამ იმპერატორისა და სენატის მითითებები მისდიოდა სხვას, სახელმოხვეჭილ ახალგაზრდას, ნამდვილ განმგებელს, და მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ ცეიონი გადაყენებული იყო. მან ვერ გაართვა თავი აქაურ საქმეებს, ყველაფერი ყირაზე დააყენა და გამოგზავნეს სხვა, რომელსაც ცეიონის გამრუდებული და წახდენილი საქმე უნდა გაესწორებინა. ფორმალურად ჯერ ისევ გუბერნატორი იყო, მთხოვნელებს იღებდა, საჯუთებზე ხელს აწერდა.

ცეიონი ნატრობდა იმ დღეს, როდესაც გემში ჩაჯდებოდა და ზღვაში გავიდოდა, მოსცილდებოდა აღმოსავლელთა დამცინავ სახეებს. მაგრამ ის სტოელთა მიმდევარი იყო, თავს ძალას ატანდა და მოვალეობას ასრულებდა. რუფუს ატილუსმა სულგრძელობა გამოიჩინა და რომს შეატყობინა, მე და საქაჩულა კარგად შევეწყვეთ ერთმანეთსო; იგი წესიერი მოხელეაო.

ეს წესიერი მოხელე დიდ სიფრთხილეს იჩენდა და კორექტულად იქცეოდა, მაგრამ ერთხელ თავი ვერ შეიკავა. თან დიდი არაფერი მომხდარა. რუფუს ატილუსმა ჰკითხა, როგორ უნდა ვაცნობო ვარონს სენატის გადაწყვეტილება, ისე რომ საქმე არ გავართულოო. ცეიონი წამოჭარხლდა და აღელვებულმა ჰკითხა, შემიძლია თუ არა გავიგო, რა გადაწყვეტილება უნდა აცნობოთო. — რა თქმა უნდა, — უპასუხა ატილუსმა და ამცნო. სენატმა განიხილა ვარონის საჩივარი ორმაგი გადასახადის დაკისრების თაობაზე და ვარონი გაამართლა. დაადგინა, ხაზინამ უსამართლოდ წართმეული ექვსიათასი სესტერ-

ცია დაუბრუნოსო. რომში დაინტერესებულნი არიან, ამბობდა ატილუსი, ვარონს ყოველგვარი წესის დაცვით ერთდროულად გადაეცეს ეს ცნობა და სახელმწიფო ღალატის ბრალდება.

და ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ, ცეიონმა, სტოელმა, რომელზედაც ამბობდნენ, ბედის არაერთი უკუღმართობა განსაცვიფრებელი თავშეკავებით გადაიტანო, სული ძლივს მოითქვა, აღელვებულმა ხელის გულს თითი გაუსვა და, როდესაც ატილუსმა სცადა მისთვის თვალი აერიდებინა და ლაპარაკი სხვა საგანზე გადაიტანა, ცეიონი უეცრად ზეზე წამოხტა, ამოიგმინა, „მომიტევეთო“ და ოთახიდან გავარდა.

რუფუს ატილუსმა თავი გააქნია. მაშასადამე, მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, აღმოსავლეთი ყველაზე ფხიზელ კაცსაც კი ნერვებს აუშლის და გონებას წაართმევსო.

14

რეალური პოლიტიკა

რუფუს ატილუსს ჯერ კიდევ არა ჰქონდა ძალაუფლების სიმბოლოები მიღებული, როდესაც არტაბანს მისწერა: თქვენმა გამარჯვებამ, რომელიც ღმერთებმა მოგანიჭათ, ტახტისთვის ბრძოლა თქვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა, რომი თანახმაა თქვენთან, პართიის კანონიერ ხელმწიფესთან, განაახლოს ტრადიციული სამეგობრო ხელშეკრულება, მანამდე კი საჭიროა პართიასა და რომს შორის ყოველგვარი უთანხმოება მოისპოს. ჩვენ რომ კანონიერ ხელმწიფედ პაკორი ვცანით, თქვენ კი არამზადა ტერენციუსი, ამან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ხელი შეუშალა. მე, ახალ გუბერნატორს, იმედი მაქვს, რომ თქვენ ისევე მკაცრად მოეკიდებით არამზადას, როგორც რომი მოეკიდება ტახტის მოცილე პაკორს. მეფეთმეფეს ვთხოვ, ნუღარ შეიფარებს თაღლითს, რომელმაც ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა და ის და ყოფილი სენატორი ვარონი ჩვენ გადმოგვცეს.

არტაბანმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. მზად ვარ

ავწონ-დავწონო იმ კაცის საკითხი, რომელსაც ბევრი კანონიერ იმპერატორად — ნერონად თვლის; მაგრამ ჯერ რომმა პატიოსანი სიტყვა უნდა მოგვცეს, რომ მეფეთმეფესთან მეგობრულად განწყობილ მესოპოტამიელ მთავრებსა და თავადებს, რომლებმაც პართიის მაგალითს მისდიეს და ნერონი სცნეს, პასუხს არ მოსთხოვსო.

ამ მიწერ-მოწერის შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ვაჭრობა. რუფუს ატილუსმა განაცხადა, მესოპოტამიელ მთავრებს ხელს არ ვახლებ, მაგრამ უფლება უნდა მომეცეს, რომ მათ ქალაქებში მდგარი რომის გარნიზონი გავაძლიეროო. ამის სანაცვლოდ არტაბანმა მოითხოვა, დაეთმოთ მისთვის შუამდინარეთის სტრატეგიული პოზიციები. ერთმაც და მეორემაც იცოდა, რომ მოლაპარაკება არ ჩაიშლებოდა, ცდილობდა მოეტყუებინა მოწინააღმდეგე და თვითონ არ დარჩენილიყო მოტყუებული. ორივეს ხანგრძლივი ლოდინი შეეძლო.

რამდენიმე კვირა გავიდა, სანამ ხელშეკრულებას საბოლოო ფორმას მისცემდნენ.

მაგრამ ბოლოს ესეც გაკეთდა და ახლა ისღა დარჩა, დაეთქვათ დღე სიგელების გასაცვლელად.

როდესაც საქმე დასასრულს მიუახლოვდა, არტაბანმა ვარონი მოიწვია. ვარონმა იცოდა — მეფეთმეფემ ის წინასწარვე გააფრთხილა, — რომ არტაბანი მისთვის და ნერონისთვის ომს არ გამართავდა. ვარონს, რა თქმა უნდა, გაგონილი ჰქონდა, რომ მოლაპარაკება წარმოებდა და რომ მოლაპარაკების დამთავრება მისთვის დაღუპვას ნიშნავდა. ბედს შეურიგდა და გადაწყვეტილება მიიღო. მას უყვარდა სიცოცხლე და „ღირსება“ დიდად არ ედარდებოდა, მაგრამ მაინც ისღა დარჩენოდა, რომ მოოქროვილი აბი გადაეყლაპა ან ვენები გადაეჭრა. ესმოდა და ამართლებდა მეფეთმეფის საქციელს; მიუხედავად ამისა, როდესაც მის წინაშე წარდგა, იგი მიაჩნდა მსაჯულად, ჯალათად, მტრად. ამ გულად კაცს გულ-მუცელი აეწვა და მუხლი მოეკვეთა.

მეფეთმეფემ საქმიანად მოუთხრო მოლაპარაკების ამბავი, ხელშეკრულების პროექტი მიაწოდა, სთხოვა, გულდამშვიდებით წაიკითხე და შენი აზრი მომახსენეო.

ვარონმა წაიკითხა და ყველაფერს მიხვდა. ეს შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის აწესრიგებდა პოლიტიკურ და სამეურნეო დამოკიდებულებას. იგი ორი კაცის მიერ იყო შედგენილი, ორივე მათგანს სწამდა, რომ მშვიდობიანობა სჯობია სისხლის ღვრას და ორივე მათგანი მზად იყო, ცოტა მეტი გაეღო, ვიდრე აუცილებლობა მოითხოვდა, და ცოტა ნაკლები მიეღო, ვიდრე ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ეს იყო გონივრული და უნაკლო ხელშეკრულება, შორსმჭვრეტელური, არც მოუხეშავი და არც ეშმაკური. მოსალოდნელი იყო ამ შეთანხმების საფუძველზე რომსა და პართიას შორის დიდი ხნით შშვიდობა დამყარებულიყო. ამ ბრძნულ და ღირსეულ ხელშეკრულებაში, რა თქმა უნდა, იყო პუნქტი, სადაც მეფეთმეფე კისრულობდა, მაქსიმუს ტერენციუსი და ტერენციუს ვარონი რომისთვის გადაეცა.

ხელნაწერი ვრცელი იყო და მრავალი დანართი ჰქონდა. ვარონი დიდხანს კითხულობდა. მეფეთმეფე მდუმარედ იჯდა და მოთმინებით ელოდა. ვარონი სათითაოდ იღებდა ხელში ფურცლებს, მის ფართო შუბლს ქვემოდან გამომზირალი, ჩამჯდარი, თაფლისფერი გრძელი თვალები ყურადღებით მიჰყვებოდა სტრიქონებს მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ. მოდუნებულად იჯდა, ფეხები შემოეკეცა და კითხულობდა. ის დაკვირვებით კითხულობდა და არცერთი წვრილმანი არ გამოჰპარვია. ეს უკვირდა, რადგან კითხვის დროს თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. „ეს ჩემი სასიკეთილო განაჩენია“, ფიქრობდა ის, „ეს ძალიან გონივრულად და საფუძვლიანად შედგენილი განაჩენია და შეკამათება უაზრობა იქნებოდა. მაშ, მოოქროვილი აბი გადავყლაპო თუ ძარღვები გადავიჭრა? გული მაგრად მიცემს, ხომ არ ამჩნევს მეფე? უნდა ვეცადო, მშვიდად ვისუნთქო. გულის ძგერა არ გავაგონო. რატომ უნდა შევამჩნევინო, რომ აღელვებული ვარ. ეს ზიანის მეტს არაფერს მომიტანს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რამ ამაღელვა. მე ხომ ყოველივე ეს წინასწარ ვიცოდი“.

ასე და ამის მსგავსად ფიქრობდა ვარონი. მან მოახერხა თავის შეკავება და საქმიანად უპასუხა:

— ეს ყველაზე უფრო გონივრული ხელშეკრულებაა, რომელიც კი ოდესმე დადებულა პართიასა და რომს შორის.

— დიახ, — უპასუხა არტაბანმა, — სიგიჟე და დანაშაული იქნება, მოლაპარაკება ჩავშალო.

— სიგიჟე და დანაშაული იქნება, — უპასუხა ვარონმა.

ახლა კი არტაბანმა მიაპყრო ეშმაკური და ფიქრიანი თვალები და უთხრა:

— მე თქვენ მომწონხართ, ჩემო ვარონ. ამას გარდა, თქვენ თავის დროზე დიდად შეუწყვეთ ხელი პართიელთა და რომაელთა დაზავებას. ჩემთვის უსიამოვნოა თქვენი გაცემა.

„რას ნიშნავს ეს“? ფიქრობდა ვარონი, „საწამლავს მასმევს და შარბათს მაყოლებინებს. მაგრამ ტყუილუბრალოდ ლაყბობა რომ არ უყვარს? უმჯობესია, არაფერი ვუპასუხო“, და მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ არტაბანმა ისევ დაიწყო ხმადაბალი ლაპარაკი.

— თქვენ თავის დროზე მიჩვენეთ ეპისტოლე, ჩემო ვარონ, რომელშიც ჩემი დიდი წინამორბედი ვოლოგესი მადლობას გიცხადებთ, რომ ხელი შეუწყვეთ პართიელთა და რომაელთა დაზავებას. მე მინდოდა ეს წერილი ჩემს არქივში ყოფილიყო დაცული. მოდი, შევთანხმდეთ: თქვენ მომცემთ მაგ წერილს, მე კი მოგცემთ საშუალებას მოლაპარაკების დამთავრებამდე აქედან გაიქცეთ და ჩემი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს შეაფაროთ თავი.

ვარონი სხარტი გონების კაცი იყო, თანაც ახლა სულგანაბული უსმენდა. მაგრამ ვერაფერს მიხვდა, ან შეეშინდა მიხვედრისა. სუნთქვა შეეკრა, აზრებმა და გრძნობებმა როკვა დაუწყეს. ორი წამი გავიდა, რაც მეფეთმეფემ ლაპარაკი დაამთავრა. მას კი ეს ორი წამი საუკუნედ ეჩვენა, და ბოლოს მიხვდა. ვიღაც მოვიდა და უთხრა მას: ადექ და იცოცხლე; და ამ ვიღაცას სრული უფლება ჰქონდა, ეს ეთქვა.

ჰქონდა კია უფლება? იქნებ ინანოს? იქნებ გადათქვას? რწმენა და ეჭვები ვარონის სულში ჯერ ამოტივტივდნენ და მერე ისევ ჩაიძირნენ როგორც გემის ცხვირი და კიჩო ქარიშხლიან ზღვაში.

ახლა კი მაინც აუთრთოლდა ხმა, გაუბედავად და ენის ბორძიკით უპასუხა:

— მომიტევეთ, მბრძანებელო, თქვენი ნათქვამი კარგად ვერ გავიგე. თქვენი კარი რომ დავტოვო და აღმოსავლეთში გადავიხვეწო, როგორც ამას თქვენი მოწყალება მთავაზობს, ეს ხომ მხოლოდ დროის მოგება იქნება და მეტი არაფერი, — და მან გაუბედავად გაიხუმრა: — კარგად არ გვიცნობთ დასავლელებს. ჩვენ ძალიან პრაქტიკული ხალხი ვართ და ჯავრს არავის შევარჩენთ. არა მგონია, რომი ამ ქაღალდზე ხელის მოწერის შემდეგ ან თქვენ დაგეხსნათ, ან მე, იგი არ მოისვენებს, სანამ სიცოცხლეს არ გამომასალმებს.

აღმოსავლეთის მბრძანებელს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— არა, ჩემო ვარონ, მე გიცნობთ დასავლელებს, მაგრამ თქვენ ხო იცნობთ ჩემი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილს. საზღვრებზე, იქ, სადაც ინდოეთი იწყება, მრავალი მსხემი და მწირი დადის, რომელთაც თავისი ნებით აურჩევიათ ხეტიალი და მიუსაფრობა. ისინი უსახელონი არიან, მოდიან და მიდიან, თან არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ თქვენ ერთ-ერთი იმათგანი გახდებით, თქვენს კვალს დასავლეთის ყველაზე გამოცდილი მსტოვრებიც კი ვერ მიაგნებენ.

ვარონს გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. მას გაგონილი ჰქონდა იმათი ამბავი, ვისზედაც მეფეთმეფე ლაპარაკობდა. მათ ჟანგისფერი მოსასხამები ჰქონდათ, ფეხშიშველები დადიოდნენ, რაღაც უცხო ნაყოფის ვეებერთელა ნაჭუჭებს დაატარებდნენ და მოწყალებას აგროვებდნენ. მაგრამ ვარონს ჯერ კიდევ არ დასცხრომოდა ამ სიახლით გამოწვეული მღელვარება, ისევ თრთოდა აღტაცებისაგან. „მე არ უნდა მოვკვდე“, რომ უკვე დაეუფლა ზიზღი ასეთი გაჭირვებული და მათხოვრული ცხოვრების მიმართ. თუმცა ამავე დროს აღეძრა სწრაფვა, ეს ცხოვრებაც ეგემა. განა ბოლო ხანებში განუწყვეტლივ იმაზე არ ფიქრობდა, რომ ახლებურად შეეგრძნო ყოველივე, ცხოვრება სულ სხვა მხრიდან დაენახა? თუ უფრო ღრმად შეიჭრება აღმოსავლეთში, ეს კანონზომიერი ამბავი იქნება. მან დიდხანს იცხოვრა ორომტრიალში, დიდხანს „იმოქმედა“.

თუ ბედი სხვა მხარეს გადაისვრის, მჭვრეტელად აქცევს, ამისთვის საყვედური არ ეთქმის. რასაკვირველია, იმ ჟანგისფერი ხალხივით როდი გამოეთიშება ცხოვრებას. გაერევა იმათ შორის, რომელნიც სურვილთა და ნებათა გარეშე დგანან, მაგრამ თვითონ ერთსაც გამოავლენს და მეორესაც. თუ საქმეს ამ მხრივ შეხედავს, ყოველივე დიდად მაცთუნებელი რამაა. იმ ნაპირას დადგება. გამოღმა კი არა, გაღმა. დაბლა კი არა, მაღლა. კარგს იზამს, თუ იქცევა ერთ იმათთაგანად, რომელთაც არ იცნობს, გაერევა ხალხში, რომელსაც აქამდე მხოლოდ მაღლიდან დაჰყურებდა.

არტაბანი კი განაგრძობდა:

— ამ უსახლკარო ხალხს შორის მარტო მდაბიორები როდი გვხვდება. არა, მათ შორის ისეთებიც ურევია, რომლებიც სანამ ხეტიალს დაიწყებდნენ, ძალიან მდიდრულ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, ხანდახან ოქროს ჭერქვეშ. მათში ურევია ყოფილი პრეფექტები, მთავრები, მთავარსარდლები და, თუ ცნობებს დავუჯერებთ, მეფეებიც კი.

ვარონი უსმენდა არტაბანს და სულ ახალი გრძნობა აღეძრა, რომელსაც ჯერ ცნობიერებამდე არ მიეღწია. ის ჯერ კიდევ არ დაბერებულა და არაერთი ციცაბო აღმართი აუვლია. აღმოსავლეთში ცხოვრება, რომელსაც მეფეთმეფე სთავაზობს, არ იქნება მისი ცხოვრების დასასრული. რა თქმა უნდა, „უსახლკარობიდანაც“ კვლავ ამოტივტივდება, ამოქმედდება, თან გაცილებით მეტი ეცოდინება, ვიდრე აქამდე იცოდა.

მეფემ კი, რადგან ვარონი დუმდა, ცუდად გაიგო მისი დუმილი და შეშინდა, ვაითუ ვარონმა უარი მითხრას და მისი სიკვდილი ჩემს სინდისს დააწვესო. მსუბუქი ტონით, მაგრამ წყენით განაგრძო:

— გამიგონია და ჩემი თვალითაც მინახავს, თქვენს მდგომარეობაში ჩავარდნილი რომაელები როგორ იოლად თმობენ სიცოცხლეს და თავისუფალ სიკვდილს არჩევენ ხოლმე. ჩემთვის საწყენი იქნებოდა, ჩემო ვარონ, თქვენ რომ ასეთი რამე ჩაგედინათ. კარგად არ ვიცი, როგორ წარმოუდგენიათ რომაელებს საიქიო. ჩემთავად არა მწამს საიქიო ცხოვრება და მგონია, წყვდიადით მოცული არარაობაა და მეტი არაფერი.

მან გაიღიმა, სრულიად არამეფურად ამოიოხრა. და ისეთი ქაცის ხმით, რომელიც მეგობარს გონიერებისკენ მოუწოდებს, უთხრა:

— ჩემთვის უფრო ხელსაყრელია შინ გაგიშვათ, რომ სტოელთა მოძღვრებისამებრ თავი მოიკლათ. მაგრამ თქვენ უკეთესი ხვედრის ღირსი ხართ. მე თქვენ მომწონხართ. გონიერება გამოიჩინეთ, ჩემო ვარონ!

ვარონმა სული განაბა. განა ეს დიდებული და სასაცილო ამბავი არაა? მეფეთმეფე განა მარტო გაქცევის საშუალებას აძლევს, ეხვეწება კიდეც, ვარონმა გამოიყენოს ეს საშუალება. დიახ, საქმე ისე შეტრიალდა, რომ ვარონი ვითომ წყალობას მოიღებს, თუ მან თავი არ მოიკლა. ბედის ამ უცნაურმა ხუმრობამ ვარონი გუნებაზე მოიყვანა, მან შვება იგრძნო. ცდილობდა მეფეთმეფეს შეემჩნია, რა მდგომარეობაში იყო. უნდოდა ბოლომდე დამტკბარიყო შექმნილი ვითარებით. და ისე მოხდა, როგორც უნდოდა. მცირე ხნის შემდეგ არტაბანმა მეგობრულად განაგრძო:

— სხვათა შორის, ათასნაირი ხეტიალი არსებობს. ხეტიალობდე და მეფეთმეფე გწყალობდეს, ოდნავ შუქს გფენდეს მისი „შარავანდედი“, ეს ხომ შედარებით უკეთესი ხეტიალია.

—ვარონმა თავი ძლივს შეიკავა, რომ აღტაცებისაგან არ აღმუვლებულიყო, არ ეცეკვა და ბარძაყებზე ხელი არ ერტყა. მაშასადამე, იმას მიაღწია, რომ მისი მეფე, აღმოსავლეთის მბრძანებელი, არა მხოლოდ ეხვეწება საჩუქრის მიღებას, არამედ ცდილობს მკრეხელურად გაუადვილოს იძულებითი ქურუმობა—მაწანწალობა. ვარონს დაუბრუნდა ძველი მედიდურობა და ჰკითხა განზრახი ყოყმანით და ისეთი შინაურულობით, რაც ალბათ არავის გაუბედნია ამ ბოლო ხანებში:

— თუ არსებობს საშუალება, რომ თქვენი უდიდებულესობის ხელქვეითებმა შორეულ აღმოსავლეთში იცოდნენ, რომ მე, როგორც ბრძანეთ, ოდნავ შუქსა მფენს თქვენი „შარავანდედი“?

და არტაბანმა გაბარებულმა, რომ მოსაუბრემ ბოლოსდაბოლოს გონივრული გზა აირჩია, სწრაფად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, მე შევატყობინებ ჩემი საზღვრისპირა

პროვინციების მმართველებს, რომ ესა და ეს დასავლელი მწირი ჩვეულებრივი მწირი კი არ არის, არამედ მეფეთმეფის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

და ვარონმა გადაწყვიტა მოეღო მოწყალება და დათანხმებულიყო იმაზე, რასაც ერთი საათის წინ წარმოუდგენელ ბედნიერებად თვლიდა, და თავმდაბლად, მაგრამ ისეთი კაცის კილოთი, რომელიც მოსაუბრის გაწბილებას ერიდება, უთხრა:

— მე ვერ ვბედავ, თქვენი უდიდებულესობის სურვილს გადავიდე.

არტაბანმა კი წყნარი, კმაყოფილი თავაზიანობით, რისთვისაც ის ხალხს უყვარდა, გულთბილად მიუგო:

— მადლობელი ვარ ამ გადაწყვეტილებისათვის და მუდამ სიხარულს ვიგრძნობ, როცა კი დიდი ვოლოგესის წერილს დავხედავ, რომელსაც ასე მეგობრულად მითმობთ. სტუმართმოყვარეობა ჩემი სასიამოვნო ვალია, თქვენს წინაშე ორმაგად მაკისრია ეს ვალი და არ მინდოდა სტუმართმოყვარეობის დარღვევა. მაგრამ თქვენ თვითონა თქვით, ჩემო ვარონ, თქვენ რომ ასეთი გონიერება არ გამოგეჩინათ, როგორ შევძლებდი სტუმართმოყვარეობის წესების დაცვას, როდესაც საქმე მშვიდობიანობის შენარჩუნებას ეხება.

და ვარონმა, რომელსაც სახე უბრწყინავდა, რადგან ყველაფერი ასე კარგად გადაწყდა, სულგრძელად მიუგო:

— ამ საკითხზე აღმოსავლეთიც და დასავლეთიც ერთი აზრისაა: დანაშაული იქნებოდა ასეთ ვითარებაში კაცს სტუმართმოყვარეობის წესები დაეცვა. მე მაკვირვებს თქვენი უდიდებულესობის სიქველეცა და გონიერებაც, მაკვირვებს, რომ ასეთი გამოსავალი გამონახეთ.

მეფეს არც უცდია კმაყოფილება დაეფარა.

— დიახ, — თქვა მან მხიარულად,—ძალზე სასიამოვნოა, რომ ჩვენ საშუალება გამოვქექეთ, რათა სტუმართმოყვარეობაც გამოგვეჩინა და გონიერადაც მოვქცეულიყავით.

მან თქვა „გამოვქექეთ“ და ეს ხალხური სიტყვა კვლავ უცნაურად გაისმა. კმაყოფილმა ვარონმა მეგობრულად გაუცინა მეფეთმეფეს და კინაღამ მხარზე ხელი წამოუტყაპუნა.

15

ვარონი აღმოსავლეთში გადაიხვეწა

მეორე დღეს ვარონმა საგანგებო შიკრიკის ხელით სენატის პასუხი მიიღო თავის საჩივარზე. შიკრიკმა გადასცა აგრეთვე დაბეჭდილი ქისა, შიგ იყო ექვსი ათასი სესტერცია, სამოცი ოქრო. ვარონმა წერილი წაიკითხა, გახარებულმა გახსნა ქისა, ოქროებში ხელი მოურია. შემდეგ შიკრიკს ჰკითხა, წერილს ხომ არ წაიღებ, რომ უკან მისვლისას გუბერნატორს მიართვათო, და ფეხის ქირად ექვსი ათასი სესტერცია უწყალობა.

დაჯდა და დასავლეთში გასაგზავნი უკანასკნელი წერილი დაწერა. „განა ჩვენ ორთავე, ჩემო ცეიონ," წერდა ის, „ორმოცდაათი წლის ასაკში ბავშვებივით არ მოვიქეცით? თამაში დამთავრდა. ეს იყო გიჟური თამაში და ორთავემ წავაგეთ. მოიგეს სხვებმა.

მე მალე გადავიხვეწები და თქვენ, ჩემო ცეიონ, მოგშორდებათ კაცი, რომელმაც საქაჩულა შეგარქვათ. სხვათა შორის, ტყუილი იქნება, ვნანობ-მეთქი, რომ გითხრათ, ახლაც გადახვეწის წინ მეღიმება, როცა თქვენზე და თქვენს მეტსახელზე ვფიქრობ. ამ წერილთან ერთად თქვენ ნახავთ ჩემი დანაკარგის ზუსტ ანგარიშს. თქვენ ხედავთ: დავკარგე თითქმის ყველაფერი, რაც გამაჩნდა. მე აქ არაფერს ვტოვებ ჩემი ქალიშვილის მარცხიას გარდა. იგი ისეთ მდგომარეობამდე მივიყვანე, რომ ბევრი არაფერი სასიამოვნოა მისი ნახვა. მაგრამ აღმოსავლეთი არასოდეს ჰყვარებია და ძალიან გთხოვთ, ჩემო ცეიონ, მიიღოთ იგი და იტალიაში წაიყვანოთ. ამით დიდად მანუგეშებდით. ბოლოსდაბოლოს ჩვენი თამაში ექვსი ათას სესტერციაზე დამთავრდა და ფორმალურად თქვენ წააგეთ.

მე თქვენ არასოდეს მძულებიხართ, ჩემო ლუციუს, და მჯერა, რომ არც თქვენ მიყურებდით ავი თვალით. მიიღეთ უკანასკნელი ღიმილი და კეთილი სურვილები თქვენი ვარონისაგან".

წერილს ექვსი ათასი სესტერციის ქვითარიც დაამატა. უკანა მხარეზე მოგება და ზარალი იყო აღნუსხული. ზარალის სვეტს მიაწერა: ვარონი გაქრა.

და შეუდგა გადახვეწის სამზადისს.

უკანასკნელად გადაუხსნა გული დასავლელ ადამიანს— მარციას. ქალს თეთრი ტანსაცმელი ეცვა და გამართული იჯდა. მამა აიმედებდა, არტაბანი კარგ მფარველობას გაგიწევსო. თუ დასავლეთში, რომში დაბრუნებას მოისურვებ, შეგიძლია წახვიდე, ფულის საქმე მოგვარებულია, მალე მოგაკითხავენ და წაგიყვანენო. შემდეგ საბუთების ყუთი გადასცა, აი, ეს არის ჩემი ცხოვრების შინაარსიო.

— როგორც ჩანს,—განაგრძო მან,—ჩემი თამაში საბოლოოდ წაგებულია. ყველაფერი იმან წაახდინა, რომ ამ საწყალმა ლენჩმა ტერენციუსმა თავის სიცოცხლეში ერთხელ გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯი და, რა თქმა უნდა, შეცდომა ჩაიდინა. მაგრამ მე არ ვუბრაზდები და ანტიოქიაში თუ მოგიხდება მასთან საუბარი, უთხარი, ვარონი მოკითხვას გითვლის და მშვიდად სიკვდილს გისურვებს-თქო. თუ ვინმემ გითხრას, ვითომ ეგ საქმე საქაჩულასთან შუღლის მიზეზით წამოვიწყე, ნურაფერს უპასუხებ. ისე კი, იმედი მაქვს, იცი, რომ ეს სისულელეა. მე არ ვარ წმინდა იდეალისტი, მაგრამ მაინც იდეა მამოქმედებდა. ნებით თუ უნებლიეთ იდეის მსახური ვიყავი. მოვა ვინმე და ნერონის სამეფოს აღდგენას მოიწადინებს. მე ჩემებური ნერონი შევქმენი, სხვა სხვანაირს შექმნიდა, ჩემზე უფრო თავკერძა კაცის შექმნილი ნერონი კი უეჭველად უფრო უარესი იქნებოდა.

— მიუხედავად იმისა, — დაამთავრა ამ ფუქსავატმა, ოპტიმისტმა კაცმა, —რომ ჩემი საქმე სანაქებოდ ვერ დავაბოლოვე, მაინც მართებულად და გონივრულად მოვიქეცი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერწყმის იდეა ახლა უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა, და ამაში წვლილი მე მიმიძღვის. ეს კანონზომიერიცაა, რომ აღმოსავლეთში უნდა გადავიკარგო. მე ბედს არ ვუჩივი.

მარცია უსმენდა მამას, ათასი რამ გაიფიქრა, ათასი რამ დაუდგა თვალწინ. მამამისი ჭრელსა და უთავბოლო აღმოსავლეთში ითქვიფება და კანონზომიერად ამთავრებს თავის გიჟურ, წრეგადასულ ცხოვრებას. მარციას უაზრო სიმარტოვეც მისი ცხოვრების ლოგიკური დასასრულია. ასე დაიღუპება

ყველა, ვინც ჯერ ვესტალობას აპირებდა, შემდეგ პრეტორის, კონსულის, გუბერნატორის ცილობას და ნაცვლად ამისა თავის ხანმოკლე ცხოვრებას აღმოსავლელ პირუტყვებს შორის ატარებს და ცვედანის, თაღლითისა და მონის ცოლი ხდება. ამ მომენტამდე დალაგებულად ფიქრობდა. აქედან კი მისი ფიქრები და გრძნობები საშინლად აირ-დაირია, ამოუხსნელ მორგვად იქცა. ეს იყო ფიქრები სიკვდილ-სიცოცხლეზე, ვესტალობასა და მეძაობაზე, ნერონზე, ტერენციუსსა და ფრონტონზე, და ეს სურათები, ფიქრები და გრძნობები აირია უწმაწური სიტყვების ნიაღვარში, რომლითაც ფრონტონი ალერსის წუთებში მიმართავდა ხოლმე. როდესაც ვარონი ლაპარაკს ამთავრებდა, მარციამ დაბნეულად გაიღიმა და თავისთვის აღიღინდა. და როცა ვარონი გაჩუმდა, ისევ ღიღინებდა; ღიღინებდა მექოთნის სიმღერას, ყოველ შემთხვევაში მამამისს ასე მოეჩვენა, მაგრამ ტექსტი სხვა იყო, იგი გაუგებარი სიტყვებისაგან შედგებოდა. ამ უცნაური სიმღერის სიტყვები და თავისი ქალიშვილის გაღიმებული სახე იყო უკანასკნელი შთაბეჭდილება, რომელიც ვარონმა თან წაიყოლა.

რამდენიმე დღის შემდეგ მეფეთმეფემ თავისი მძიმე და ბრწყინვალე მანტია წამოისხა, ოქროს წვერი გაიკეთა, ფარდის უკან ტახტზე დაჯდა, გვირგვინი თავს ზემოთ დააკიდებინა და რომაელი გუბერნატორის ელჩს ხელშეკრულების ტექსტზე ეთათბირა, რომლის მიხედვითაც ხანგრძლივი შეთანხმება უნდა მომხდარიყო მის სამეფოსა და რომს შორის.

ცეიონმა უგზო-უკვლოდ დაკარგული ვარონის თხოვნა მიიღო და გადაწყვიტა შეესრულებინა. გადაწყვეტა ადვილი იყო, შესრულება გაცილებით ძნელი. მარცია არასგზით არ ადიოდა გემზე, თუ თან არ წაიღებდა ურნას, რომელშიაც ფრონტონის ფერფლი იყო. მაგრამ ურნა ედესაში იდგა საპატიო ადგილას. მეფე მალუქი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა მიეცა თუ არა სტუმრის ფერფლი, რომელსაც ასეთ პატივს სცემდა. შარბილმა რამდენჯერმე გაუმეორა მეფეს, ფრონტონის ფერფლის აქ გაჩერება ჩვენთვის სათაკილოა და მალუქმა ურნა ანტიოქიაში გაგზავნა. ცეიონი და მარცია, როგორც იქნა, გაუდგნენ გზას რომისაკენ. რუფუს ატილუსს უნდოდა უცნაური წყვილი პატი-

ვისცემით მიეცილებინა გემამდე; მაგრამ ცეიონმა მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა:

რომში ჩასვლისთანავე იმპერატორმა სადარბაზოდ იხმო. დარბაზობას არავინ ესწრებოდა, მაგრამ ცნობილია, რომ ახალგაზრდა მბრძანებელს უყვარდა თავისი უძლური ქვეშევრდომების ბოროტად გამასხრება. ეს, ალბათ, დიდად სასიამოვნო წუთები არ უნდა ყოფილიყო ცეიონისათვის. დარბაზობა დიდხანს გაგრძელდა. ყველა, ვინც იმპერატორის სამუშაო ოთახიდან გამომავალი ცეიონი ნახა, ამბობდა, იგი მთვრალივით ბარბაცებდაო.

რა მოუვიდათ ამის შემდეგ ლუციუს ცეიონს, კონსულსა და რომის საიმპერატორო პროვინციის სირიის გუბერნატორს, და მარცია ტერენციას, რომლის მეუღლე მაქსიმუს ტერენციუსი რამდენიმე ხნის განმავლობაში თავის თავს ნერონ კლავდიუს ცეზარ ავგუსტუსს უწოდებდა, ცნობილი არაა.

16

ღმერთების შური

ეს ორმოცდამეხუთე ზაფხული საუკეთესო ხანა იყო ნერონ-ტერენციუსის ცხოვრებაში. მეფეთმეფემ ევფრატის ერთ-ერთი არხის პირას მშვნიერი ციხე-დარბაზი მიუჩინა, აქედან კტესიფონამდე ერთი საათის სავალი იყო. თავზე უთვალავი კარისკაცი და მსახური ეხვია. ნერონი ძალღონეს არ იშურებდა, რომ ბერძნულ-რომაული საკარო ცერემონიები ერთმანეთისათვის შეერწყა.

ის ამბავი, რომ სამეფო დაკარგა, გულზე ეკლად ესობოდა. ამ სამეფოს აღდგენა ვარონისა და არტაბანის საქმე იყო და არა მისი. რაც იმ დროს მოხერხდა, როდესაც არტაბანს ტახტის მოცილე პაკორთან სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა, ახლა, არტაბანის გამარჯვების შემდეგ, ხომ გაცილებით იოლი უნდა ყოფილიყო.

ხშირად ენატრებოდა თავისი ადრინდელი მრჩევლები, მაგ-

რამ მალე შეეგუა ამ დანაკლისს. ედესიდან გამოქცევის დროს კნოპსმა უღალატა, ტრებონს კი მის იმპერატორობაში ეჭვი შეეპარა; მან ეს კარგად იგრძნო. ჰოდა, კისერიც უტეხიათ. პირველ ხანებში ვარონი აკითხავდა ხოლმე მას, ამ ბოლო დროს კი აღარსად ჩანს. ნერონი, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა ამ ამბავმა, მაგრამ არავისთვის არაფერი უკითხავს. ვარონის მსგავსი პოლიტიკოსები ედესაში სჭირდებოდა, აქ კი, კტესიფონში, თვითონ მეფეთმეფე უწევს ამ სამსახურს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებლები თვეში ერთხელ ერთმანეთს ოფიციალურად ხვდებოდნენ ხოლმე.

ასე იყო თუ ისე, ნერონს დიდად არ აწუხებდა თავისი მრჩევლების დაკარგვა. დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ კარისკაცი ვარდანი ეწვეოდა და მეფეთმეფის დავალებით ახალი ამბები მოჰქონდა. ნერონს პოლიტიკური საქმეები დიდად არ აინტერესებდა, ერჩია, თუ ასეთი წვრილმანებით არც შეაწუხებდნენ.

ამ უზრუნველი ცხოვრების დროს მან მოულოდნელ წარმატებას მიაღწია. ყოველთვის წუხდა, რომ ბერძნული და არამეული „თ“ სუფთად არ შეეძლო გამოეთქვა. ათეული წლების მანძილზე ებრძოდა „თ“-ს არასწორ გამოთქმას; ხშირად ბედი გაუღიმებდა ხოლმე, მაგრამ უმეტესად მარცხი მოსდიოდა, და ვერასოდეს ვერ მოახერხა მისი საბოლოო ათვისება. თუ ვინმეს მართლა აეჭვებდა მისი ნერონობა, ამაში ბრალი მხოლოდ წყეულ „თ“-ს ედო. ამ ზაფხულს კი შეისწავლა „თ“ს სწორი გამოთქმა. მიიტანდა ენას კბილებთან და უკვე ყველაფერი თავისით მიდიოდა, „თ“ წესისამებრ ჟღერდა „ტ“-ს, „ს“-ს და „ვ“-ს შორის. ახლა ხშირად ხმამაღლა იმეორებდა იმ სიტყვებს, რომელთა წარმოთქმასაც უწინ ერიდებოდა, ბერძნულ სიტყვებს „ზღვასა“ და „სიკვდილს“, თალატა, თანატოს.

— თალატა, თალატა,—გაუთავებლად იმეორებდა ამ სიტყვებს და სიამოვნებით იღიმებოდა. როდესაც ქსენოფონტეს ლაშქარი შორეულ აზიაში სახიფათო ხეტიალის შემდეგ სამშობლოს ზღვას მოადგა, ალბათ, უფრო ნეტარებით არ შეჰყვირებდა: „თალატა, თალატა“.

მშვენიერი ზაფხული მიიწურა. ერთ დღეს კარისკაცი ვარ-

დანი წარუდგა და ახალ ამბებს რომ უყვებოდა, ისეთი რამე უთხრა, რასაც შეეძლო იმპერატორის სიმშვიდე შეერყია. რომაელები, უთხრა მან, მეფეთმეფეს ომით ემუქრებიან, თუ კვლავ მხარს დაუჭერს მათთვის არასასურველ იმპერატორს, კარისკაცმა ვარდანმა დიდხანს იფიქრა, სანამ ასეთი სახით ჩამოაყალიბებდა ამ ცნობას. სურდა ნერონი იძულებული გაეხადა, ყველაფერი წვრილად გამოეკითხა. ფრთხილად უნდა შეეპარებინა, კტესიფონიდან აიბარგეო. არტაბანს სურდა ნერონის გაცემა რაც შეიძლებოდა გაეჭიანურებინა, ფიქრობდა, თუ ის გაიქცევა, რომაელებს დიდხანს გავაწვალებ, სანამ სერიოზული ნაბიჯის გადადგმას განიზრახავენო. მათ პატიოსან სიტყვას დიდად არ ენდობოდა, ვინ იცის, ეგებ ისეთი ამბები მოხდეს, რომ ნერონი ისევ დამჭირდესო. მაგრამ თან ხელშეკრულების დარღვევა არ უნდოდა. ამიტომ კარისკაცს პირდაპირ არ უნდა ეთქვა ნერონისთვის, გაიქეციო. პირიქით, ფრთხილად უნდა გადაეკრა სიტყვა და ნერონი თვითონ უნდა მიმხვდარიყო, რომ გაქცევა აუცილებელი იყო.

ამ დავალებისათვის ვარდანი შესაფერისი კაცი იყო. მან რაღაცეები მიკიბ-მოკიბა და ქარაგმულად და ზრდილობიანად ელაპარაკა. მაგრამ ვინც ამ ქარაგმებს უკან აზრს დაუწყებდა ძებნას, ყველაფერს მიხვდებოდა. ნერონი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ მეფეთმეფე რომთან მოლაპარაკების დროს სიძნელეებს წააწყდა და გაქცევას სთავაზობდა. მაგრამ ნერონმა არ ინება ამ სიძნელეებისათვის სერიოზული მნიშვნელობა მიენიჭებინა. არტაბანმა თავი იმტვრიოს და რამე იღონოს. ნერონმა კი თავისი „შარავანდედი" უნდა ასხივოს, დანარჩენი მისი საქმე არაა. მეფეთმეფის მხრიდან თავხედობაა გაქცევაზე სიტყვა რომ ჩამოუგდო. ნერონს აზრადაც არ მოსვლია თავისი გაქცევით მეფეთმეფისათვის ესიამოვნებინა.

იმ ღამეს ტკბილად იძინა. სიზმარში ერთი ჩვენება ნახა. ქვესკნელის ჭალაკებიდან აჩრდილი ამოვიდა; მტკიცე ნაბიჯებით მოდიოდა მკრთალი აჩრდილი ნისლოვან ჭალაკებზე და გრძნობამორეულმა, დაძაბულმა, ცნობის წადილით ატანილმა და გახარებულმა ნერონმა კაცი იცნო. კაია ახლაც ისე ელაპარაკა, როგორც უწინ ელაპარაკებოდა ხოლმე.

— სისულელეს ნუ ჩაიდენ, შე ბრიყვო, — უბრძანა თავისი ერუანტლის მომგვრელი ხმით. — ერთი წუთით მარტო დარჩები თუ არა, სისულელეს ჩადიხარ. ახლა კი კმარა. ადექი, რეგვენო, და მოუსვი. დროა.

„მოუსვი, გადაიხვეწე", უთხრა მან, როგორც თავის დროზე რომსა და ედესაში ეუბნებოდა. ლაპარაკის დროს სახე თანდათან უმკრთალდებოდა. უცნაური და ერთობ სასაცილო იყო ეს უხეში, მეტად ხორციელი ქალი რომ აჩრდილად ქცეულიყო, სქელ, ზორბა აჩრდილად და ამ სქელი აჩრდილისაგან ამოდიოდა ერუანტელისმომგვრელი უხამსი ხმა: „მოუსვი, გადაიხვეწე". მის ბრძანებას ჩუმად, მაგრამ თავხედურად და მუქარით აჰყვნენ სიმებიანი საკრავები და დაფდაფები და მისი ნათქვამი სხვა არა იყო რა, თუ არ ერთი ცნობილი ლექსის სტრიქონები, რომელიც ასე ეღერდა:

უკვე გვიანღაა, მექოთნევ ჩემო,
რაიც არ შეგფერის, ტყუილად ჩემობ.

ნერონს არ შეშინებია სიზმარეული ჩვენებისა. პირიქით, გუნებაზე მოვიდა. მაშ, კაია ღამურად არ ქცეულა, ისევ კეთილი კაია დარჩენილა და ტერენციუსს არაფერი დაუშავებია, რომ საიქიოში გაისტუმრა. ამან გაახარა იგი და სულ არ სწყენია, რომ კაია ძველებურად პატარა კაცად ოვლიდა. როგორც ჩანს, საიქიოში თურმე ჭკუა არ ემატებათ. დარიგება მხოლოდ აცინებდა. რაც ღმერთებმა დაავალეს, ჯერ ყველაფერი ხომ არ შეუსრულებია; რამდენი უთქმელი სიტყვა დარჩა, რამდენი გაუთამაშებელი როლი, რამდენი აუგებელი შენობა! ღმერთები არასგზით არ დაღუპავენ იმ კაცს, რომელსაც ასეთი მისია დააკისრეს. კაიას „აიბარგე" სასაცილო იყო და მეტი არაფერი.

მან კაიას სიტყვებთან ერთად მექოთნის სიმღერაც კაიგონა, ეს კი ნაკლებ სასაცილო ეჩვენა. ამ ბოლო დროს მის ტვინში ჩაბუდებული მწერი რაღაც მიყუჩდა, ახლა რა ჯანდაბამ გააცოცხლა. მრისხანედ აღუდგა წინ სიმღერას, სასაცილოდ აიგდო. „უკვე გვიანღაა, მექოთნევ ჩემო". რა სისულელეა! წლების წინ, როდესაც ჯერ კიდევ რომში იყო, ეუბნებოდნენ,

გვიანღაა, წესიერად „თ“-ს წარმოთქმას ვეღარ ისწავლიო. და რა მოხდა? ისწავლა თუ არა! და მან ნიშნის მოგებით ხმამაღლა სუფთად და ლამაზად წარმოთქვა სიბნელეში: „თანატოს, თანატოს!“

ამჯერად კარისკაცი ვარდანი წინანდებურად ორი კვირით აღარ გამქრალა, მეორე დილითვე გამოეცხადა ნერონს. ისევ ილაპარაკა ომზე, ჩემს ბატონს რომაელები ომს გამოუცხადებენ, თუ ნერონზე ხელს არ აიღებსო. ვარდანი თავაზიანად, მოკრძალებით ლაპარაკობდა, ოღონდ უფრო დაბეჯითებით, ვიდრე გუშინ. მაგრამ ნერონს არ უნდოდა ამის გაგონება და წაუყრუა.

ერთი დღის შემდეგ მეფეთმეფის შიკრიკი გამოჩნდა და დიდს ამბით მიიპატიჟა არტაბანთან, რომელსაც თავისი კარისკაცების თანდასწრებით ზოგი რამ უნდა ემცნო ნერონისათვის.

ნერონი ამ მოწვევამ უფრო შეაშფოთა, ვიდრე ვარდანის ქარაგმებმა და კაიას გაფრთხილებებმა. მისთვის ახლა ნათელი გახდა, რასაც აპირებდნენ. ომის საფრთხე უბრალო საბაბი იყო. სინამდვილეში მეფეთმეფეს მისი მოცილება უნდოდა და მეტი არაფერი, რადგან ეშინოდა, რომ ნერონის „შარავანდედი“ დაჩრდილავდა პართიელთა მპყრობელის საცოდავ „შარავანდედს“. ალბათ, უფრო შორს, სურაში ან სადმე სხვაგან გადაიყვანენ, ანდა კარისკაცების რიცხვს შეუმცირებენ, ან შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ ციხე-დარბაზში უკრავენ თავს, სადაც განათლებული ადამიანების ნაცვლად ფერადკანიან ბრბოს უნდა უყუროს. მბრძანებელს რომ სხვისი „შარავანდედი“ შეშურდება, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ნერონი ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ მეფეთმეფეს ხელმწიფისთვის შეუფერებელი განზრახვა ვერ განეხორციელებინა. და. იპოვა გამოსავალი. დარბაზობას მთელი კარი დაესწრება. იგი ამ ბრწყინვალე დიდებულთა წინაშე სიტყვას წარმოთქვამს, არტაბანს ხელს ააღებინებს თავის სულმდაბლურ გეგმაზე, პართიელ მბრძანებელს მასპინძლის მოვალეობას შეახსენებს. მისი სიტყვები ზომიერი იქნება, მაგრამ ქვას გატეხს.

მაშინვე შეუდგა სიტყვის მომზადებას. ავისმსურველ მეფეს კაცთმოყვარეობის დიდი ვალი უნდა გაახსენოს, ეს არის ძნელი და დიდებული საქმე, რომლის გადაჭრა მხოლოდ ნერონს შეუძლია. ის გახელებული მუშაობდა. წერდა, ხმამაღლა წარმოთქვამდა, ხვეწდა, ზეპირობდა, ვარჯიშობდა. „სიტყვა სტუმართმოყვარეობისათვის“ თანდათან შედევრად იქცა. თვითონ ნერონს რომ გადაეწყვიტა ვისიმე თავიდან მოცილება და იმ კაცს ასეთი სიტყვა წარმოეთქვა, გული აუჩვილდებოდა, ყველაფერს აპატიებდა და დაუმეგობრდებოდა. წალკოტში, ან ცარიელ მისაღებ დარბაზში განმარტოებული ამოწმებდა თავის სიტყვას, რომელიც უფრო დასრულებული, ეღერადი, შთამბეჭდავი, გულის ამაჩუყებელი, გამაფრთხილებელი ხდებოდა. თითქმის მადლიერიც იყო არტაბანისა, რომ საშუალება მისცა ეს სიტყვა წარმოეთქვა.

და აჰა, დადგა კტესიფონის სამეფო დარბაზში, უფრო აღელვებული და უფრო დაძაბული, ვიდრე ოდესმე. დარბაზის ირგვლივ შემოვლებულ კოზმიდზე დახატული ძველი სპარსელი მეფეები, გუმბათის მოზაიკაზე გამოსახული მითრა მოისმენენ მის ბრწყინვალე სიტყვას.

ფარდა გადასწიეს. ჭერზე ჩამოკიდებული გვირგვინი ირხეოდა. არტაბანს ბევრი არ ულაპარაკნია. — კვლავ შეეჭვდნენ, — თქვა მან, — იმ კაცის ჭეშმარიტებაში, რომელმაც მასპინძლობა სთხოვა მას. ადრეც იყო ერთი-ორი ისეთი შემთხვევა, რამაც ეჭვი გამოიწვია. ღმერთებმა არა მარტო დაამარცხეს კაცი, რომელიც თავის თავს ნერონს უწოდებს, არამედ თავის რეზიდენციიდან — ედესიდანაც სამარცხვინოდ გამოაძევეს. ეს არგუმენტები ვარონის სიტყვებითაც დადასტურდა, ვარონი კი ისეთი კაცია, რომელმაც თავის დროზე დიდი ვოლოგესის ნდობა და მეგობრობა მოიპოვა. ახლა იგი გაქრა, უთუოდ იმან გაამწარა, რომ ცრუ ნერონმა ასეთ შეცდომაში შეიყვანა, ვარონთან ერთად გაქრა ამ კაცის ნერონობის რწმენა. დასავლელები გადაჭრით ამბობენ, ამ ნერონს არასოდეს არ ვცნობთ ჩვენს იმპერატორად და მეფეთმეფეს ომს გამოვუცხადებთ, თუ ამ საქმეს არ დაეხსნებაო. ყველა ამ

მიზეზთა გამო არტაბანი იძულებულია, კაცი, რომელიც თავის თავს ნერონს უწოდებს, საზღვრამდე მიაცილოს. დანარჩენი ღმერთებისთვის მიუნდვია. თუ ეს კაცი მართლაც ნერონია, ღმერთები არ გასწირავენ მას.

როდესაც ნერონმა არტაბანის პირველი სიტყვები მოისმინა, გაუხარდა, რომ ასე მშრალად და უბრალოდ ლაპარაკობდა. ნერონის სიტყვა შეუდარებლად უკეთესი გამოჩნდებოდა. მაგრამ თანდათან შიში შეეპარა. რაც მან მოამზადა, ეს არ იყო მეფეთმეფის არგუმენტების პასუხი; ეს იყო მარტოოდენ ეთიკაზე, კაცთმოყვარეობაზე ლაპარაკი. მართლაც პირწმინდად კაცთმოყვარეობაზე იყო დამოკიდებული, მისცემდა თუ არა მეფე თავშესაფარს. მაგრამ ასეთ მაღალ ამბებში არტაბანს, როგორც ჩანს, არაფერი გაეგებოდა. ის მარტო პოლიტიკაზე ლაპარაკობს. ასეთ წვრილმანებს ნერონი თავის მრჩევლებს მიანდობდა ხოლმე, რა მეფის საკადრისია ასეთ რამეზე ლაპარაკი.

უეცრად გაიფიქრა, ჩემი გაცემა ეგებ მართლა პოლიტიკის საკითხია და არტაბანი რეალურ სამყაროში ცხოვრობს, მე კი ოცნებებით ვიკვებებიო. მაგრამ მაშინვე მოიცილა ეს ფიქრები. არ შეიძლება ასე იყოს, ასე არ არის, ასე ხომ ერთმანეთს ვერაფერს გაუგებენ. ბოლოსდაბოლოს არტაბანს მეფის სისხლი აქვს, აღმოსავლეთის მბრძანებელია, მას ესე იგი „შარავანდედიც“ აქვს, ამიტომ ის გაუგებს ნერონს.

რომ ვერ გაუგოს? არა, ნერონმა ასეთ რამეზე არ უნდა ფიქრობს, იგი სიმტკიცეს დაკარგავს. ასეთი ეჭვების გულისათვის არ უნდა გააფუჭოს სიტყვა. ის უბრალოდ არ მოუსმენს არტაბანს, ამ „მაშასადამე“, „აქედან გამომდინარე“, „რადგან“, „რაკი“-ს. ეს მთლად ლოგიკაა, ანუ ტვინის ჭყლეტაა, ნერონის სიტყვა კი ყველას გულებს შეძრავს.

სცადა აღარ მოესმინა. მაგრამ ვერ მოახერხა. ძალაუნებურად ყურს უგდებდა. რამდენიმე საქმიანი, პროზაული არგუმენტი საჭიროა ჩააწნას თავის სიტყვას. დიონ პრუზაელი, ქვინტილიანე, ყველა ისინი პროზაულ თეზისებზე მუშაობდნენ, ამ პროზაულ თეზისებს კი ორატორულ სამოსელში ხვევდნენ.

საწყენია, რომ ამაზე არ უზრუნია. მალვით ათვალიერებდა დიდებულთა სახეებს. ისინი სულგანაბული უსმენდნენ მეფეთ-მეფეს და, როგორც ჩანს, თანაუგრძნობდნენ. ამ სახეებს ნერონი შეცვლის თავისი სიტყვით. მერედა შესძლებს?

უეცრად, ელვის სისწრაფით, მიხვდა თუ რა მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ეს კარისკაცები ყველანი მტრები არიან, მეფეთმეფე კი უპირველესი მტერია და მისი სიტყვები გესლიანი ისრებია. თვითონ უზაკველი და გულმართალი უმწეოდ დგას მტრებს შორის და მისი საქმე წასულია.

ის იდგა და ყურადღებით უსმენდა; გული გამალებით უძგერდა და ხელის გულებზე ოფლი ასხამდა.

აი, ხელმწიფემ ლაპარაკი დაამთავრა, ახლა ნერონმა უნდა ილაპარაკოს. „არ ვიცი“, ამბობ აპირებდა სიტყვის დაწყებას, „როგორ მოგმართო, ბრწყინვალეო. უნდა გითხრა: მტვერში განრთხმული შემოგღალადებ, ღმერთების ძეო? თუ შემიძლია

ასეც მოგმართო: მომაპყარ ყური შენი, ძმაო ჩემო?“ ეს კარგი დასაწყისი იყო, მან ბევრი ივარჯიშა როგორ უნდა გაეღიმა და დაბნევით მიმოიხედა ამ სიტყვების თქმის დროს. შთაბეჭდილებას უსათუოდ მოახდენს, ოღონდ მთელი ძალ-ღონე უნდა დაძაბოს. აი, ახლა დაიწყებს.

— არ ვიცი, — დაიწყო მან. მაგრამ ეს რა არის? ნუთუ ეს მისი ხმაა. მისი ყელიდან ამოდის ეს ხრინწიანი ჩურჩული, რომელიც უფრო ადრე იხშობა, სანამ გვერდით მდგომნი გაიგონებენ? მან ჩაახველა, შეძრწუნებულმა ხელახლა დაიწყო.

— არ ვიცი, — თქვა მან. მაგრამ უფრო უარესად გამოუვიდა. ეს იყო მხოლოდ გაურკვეველი ლუღლუღი. არტაბანი მშვიდად იჯდა ტახტზე, უსმენდა, თავაზიანად ელოდა. კარისკაცები უყურებდნენ, იშმუშნებოდნენ.

ნერონმა მესამედ დაიწყო:

— არ ვიცი...

მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსვლია, ეს რაღაც უდღეური ხიხინი იყო.

ისე იდგა, თითქოს ქვეყანა იქცეოდა. მას ხომ უბადლო სიტყვა აქვს მომზადებული. ამ სიტყვას თუ წარმოთქვამს მის ირგვლივ მოღუშული მტრული სახეები განათდებიან. ამ გამომშრალი, პოლიტიკას გადაყოლილი მეფეთმეფის გული, ყველა პართიელის გული გაიხსნება მისთვის, ისინი იარაღს აისხამენ. თავისი ცხოვრების ორმოცდახუთი წლის მანძილზე ასე მხოლოდ ორჯერ ჩაუწყდა ხმა, და სწორედ დღეს, სწორედ ამ გადამწყვეტ წუთში დასაჯეს ღმერთებმა და ხრინწი მოუვლინეს. სულ ერთი წამი დასჭირდა, რომ იმპერატორი უკანასკნელ, სასაცილო მოკვდავად ქცეულიყო.

ის იდგა მეფურად ჩაცმული, მაგრამ ამ სამოსში იმალებოდა საბრალო, რომის მთავრობისაგან დევნილი, სიკვდილის შიშით ათრთოლებული ტერენციუსი. და ქურუმთა და დიდებულთა გამომეტყველებაში სწორედ ის სიტყვები ამოიკითხა, რასაც მწერი მის თავში ზუზუნებდა:

მაღლა ჩამოგკიდებს

სამთავიანი ქოფაკი

საზღვრებამდე ნერონის მისაცილებლად არტაბანმა ისეთი დიდებული ქარავანი გაამზადა, თითქოს მეფე მიჰყავდათ და არა შეპყრობილი ტყვე. საზღვარი, სადაც ის რომის მთავრობისათვის უნდა გადაეცათ, პატარა ბორცვზე გადიოდა და სანამ რომაელი მდივნები ოქმს ადგენდნენ, ტერენციუსმა ამ სიმაღლიდან ერთხელ კიდევ გადახედა ევფრატს. სულ ცოტა ხნის წინათ ეს მდინარე მას ეკუთვნოდა და ამ ქალაქში სულ ერთი წლის წინ ხალხი აღფრთოვანებული ეგებებოდა მას.

გუბერნატორი რუფუს ატილუსი სასტიკი კაცი არ იყო, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა ტერენციუსი ხალხის თვალში უკიდურესად დაემცირებინა, რათა აღარავის ეფიქრა, ეს კაცი მართლა იმპერატორი ნერონიაო. მაშინვე ყველას თვალწინ ჩამოფლითეს დიდებული სამოსი, ბორკილები დაადეს, ძველმანები ჩააცვეს და ქალაქის ქუჩები შემოატარეს. მთელი ქალაქი დასცინოდა, ლაფს ესროდა, აფურთხებდა, ბოლოს ციტადელის სარდაფში ჩაამწყვდიეს.

ამ დღეს ტერენციუსს ისევ დიდებული იერი ჰქონდა და ვარდისფრად ბზინავდა მისი კანი. ფართო სახე ისევ გლუვი და სუფთად გაპარსული ჰქონდა. პანღურებმა თმების გლეჯამ ჯერ კიდევ ვერ გაუფუჭეს გულმოდგინედ დავარცხნილი კულულები. იმ დღის ამბებმა უფრო განაცვიფრა, ვიდრე შეაშინა. დილეგი, რომელშიაც ჩააგდეს, იყო ნესტიანი, ბნელი და ვირთხებით სავსე. მიუხედავად ამისა, ამ მძიმე დღის შემდეგ კარგად დაეძინა და ტყვეობის პირველი ღამე უეჭველად სჯობდა ნერონის სიკვდილის ღამეს, ან ტარატეს ტაძარში გატარებულ ღამეს, ან იმ ღამეს, როცა იოვანეს სახლში მოხვდა.

დილით მეორე ტუსაღი შემოიყვანეს, მასავით ძონძებში გახვეული, ჩამოფლეთილი, ხმელ-ხმელი კაცი, იარებითა და წყლულებით დაფარული. ეს კაცი კნოპსი იყო. მალუქმა დიდხანს აწვალა რომი და ბოლოს, როგორც იქნა, გამოგზავნა კნოპსი, მაგრამ ის რომის საზღვრამდე ისეთი პატივით არ

უმგზავრია, როგორც ტერენციუსმა იმგზავრა. მცველები განზრახ ახლოს უშვებდნენ ბრბოს და რომაელების ხელში საკმაოდ შელანძღული მოხვდა. მას დღეს ცოტა აჭამეს და შიმშილი აწუხებდა; წყლულები ეწვოდა; მიუხედავად ამისა, ძალიან დაღონებულ არა ჩანდა. ედესაში გაიგო, იალტამ ქალაქიდან მშვიდობით გააღწიაო. მართალია, სხვა არაფერი გაუგია, იალტას აქამდეც უნდა მოემშობიარებინა, კნოპსმა კი არაფერი იცის. მაგრამ, რაც მთავარია, დასხლტომია ავაზაკებს. პატარა კლავდიუს კნოპსი უსათუოდ კარგა ხნის დაბადებული იქნება და, რა თქმა უნდა, არაფერი გაუჭირდება. შამა გორიონმა იცის, სად მიმალა კნოპსმა ფული და ის ისეთი კაცია, რომ ამ ფულს არ დაკარგავს. ასე რომ, მისი შვილი მშიერ-მწყურვალი არ დარჩება, ოქროს კარგი ჯავშნით იქნება დაცული. პატარა კლავდიუს კნოპსი მას დაემგვანება, ოღონდ უფრო შორს წავა. უფრო დიდ სიმაღლეს მიაღწევს, ვიდრე ჯვარია, კნოპსის უკანასკნელი სიმაღლე. ის ახალ კნოპსებს ჩასახავს, მისი ყაიდის ხალხს, ეშმაკს, მოხერხებულს, მტკიცე ხასიათის კნოპსებს, რომელთაც უნარი ექნებათ, ადამიანის სიბრიყვეზე თავისი ბედნიერება აიშენონ. კნოპსი დიდი ვაჟკაცი არ ყოფილა, მას შიშისაგან გული უსკდებოდა, როცა ახსენდებოდა, რა მოელოდა. მაგრამ ძალას მატებდა იმისი რწმენა, რომ ყველაფერი ეს თავისი მემკვიდრისა და შვილისათვის გააკეთა და ახლაც მისი გულისთვის ეწამება, ესე იგი კეთილშობილურ საქმეს შესწირავს თავს. მას ავი, გესლიანი ხუმრობის ხალისი ჯერ დაკარგული არ ჰქონდა.

ბნელ ჯურღმულში კნოპსმა უფრო ადრე იცნო თავისი ყოფილი ბატონი და იმპერატორი, ვიდრე ტერენციუსმა — კნოპსი. ის ჯაჭვგაყრილი მიფორთხდა ნერონთან, შეხედა, ხელით შეეხო, რამდენადაც ამის საშუალებას ბორკილები აძლევდა და უთხრა:

— გამარჯობა, წვერწითელავ, როგორც ჩანს, ჯერ ისევ მაგრადა ხარ. ხორცი არ დაგიყრია. მაგრამ ვშიშობ, ეგ მშვენიერი ფორმები დიდხანს არ შეგრჩებათ. რაც მოხდა, ეგ რა არი, თქვენ შემდეგ ნახეთ. საბოლოოდ თქვენი სიმსუქნე თავ-ბედს გაწყევლინებთ. ჯვარზე გაკვრისა და მილურსმის დროს

მსუქან კაცს უფრო გაუჭირდება, ვიდრე გამხდარს და მეტადაც იწვალებს. ეს კია, მსუქნებს ნერვებიც უკეთესი აქვთ.

მან თავისი ჯაჭვებით მუცელში მჯიღი წაჰკრა ტერენციუსს. ის ძალიან გაბრაზებული იყო ამ კაცზე, რომელმაც ამოდენა წარმატებას მიაღწია, მაგრამ თავისი უჭკუო გაქცევით თვითონაც დაიღუპა და ამხანაგებიც დაღუპა.

ტერენციუსს პასუხი არ გაუცია. მას აწუხებდა შიმშილი და ყველაფრის ნაკლებობასთან ერთად აწუხებდა უაბაზანობა და უდალაქობა. მაგრამ „შარავანდედს" მაინც ასხივებდა. პირველი დამხობის შემდეგ ისევ ამოტივტივდა, ბნელი უდაბნოდან ისევ სინათლეში ამოვიდა, ის ამ დაცემასაც გაუძლებს. კნოპსის სიტყვებიდან, მისი წრიპინიდან გარკვევით ჩანდა, რომ აღსასრულის დღე შორს აღარ იყო. მაგრამ ტერენციუსის სულში ამ ამბავმა გაცილებით დიდებული სახე მიიღო. ჩვეულებრივ ჯვარცმულ არამზადად როდი ესახებოდა თავი, ის ტრაგედიის გმირი იყო, რომელიც ბედმა თავის მოწინაღმდეგედ აირჩია, და კნოპსის ნალაპარაკევი ვერ გააბრაზებდა.

შემდეგ დღეს დილეგში მესამე სტუმარიც შემოაბრძანეს. ოღონდ კაპიტანი ტრებონი სხვაგვარად შემოვიდა, ვიდრე კნოპსი. შეუბორკავი, წარმოსადეგი, სუფთა, მაძღარი ტრებონი ისევ ხუმრობის გუნებაზე იყო. ის ბოლომდე დარჩა ედესის ციტადელში, კაცმა რომ თქვას, როდესაც შეიპყრეს, მახვილს უნდა დაგებოდა. მაგრამ ტრებონმა ასე განსაჯა: მე ხშირად დამიმტკიცებია, რომ ლაჩარი კაცი არა ვარ. მართალია, ოფიცერი გმირი უნდა იყოს, მაგრამ ბრიყვ სტოელებს არ უნდა აჰყვეს. მას აზრადაც არ მოსვლია ნაადრევი თვითმკვლელობით ხელი შეეწყო თავისი ბოროტი გენიისათვის. მას ბევრჯერ გამოუცდია ბედის სიმუხთლე, მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ განსაცდელის დროს, როცა თითქოს უეჭველად უნდა დაღუპულიყო, ყველაფერი კარგად დამთავრებულა. ნამდვილი მეომარი არაა, ვისაც თავისი ბედისა არა სწამს, ამ რწმენის გარეშე არც ერთი ჯარისკაცი არ წავიდოდა ომში.

ასე იყო თუ ისე, ამ წუთს ის დილეგში იმყოფებოდა და დრო იმით გაჰყავდა, რომ ტერენციუსს და კნოპსს აქილიკებდა. ისინი იწვნენ აქ ბორკილდადებულნი, დაბეჩავებულნი, ის

კი არმიის საყვარელი ოფიცერია, მისი ტუსაღობაც კი უფრო პოპულარულია და ამის შესაბამისად უნდა მოიქცეს. ჰოდა, კანონიერი ამბავია. ესენი ხომ ორივენი მონები და უჯიშოები არიან და იმსახურებენ ჯვარზე გაკვრას. ის კი, თავისუფალ კაცად დაბადებული, არმიის საყვარელი კაპიტანი ტრებონია, მას ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი; ხალხი და არმია არასგზით არ მოითმენს, რომ რამე ევნოს.

ბნელ დილეგს მისი ხმაური ავსებდა, მისი მძლავრი სუნთქვა, მისი სუნი ერეოდა ბნელეთის სიახლოვეს. ტრებონი დასდევდა ვირთხებს და კედელს მიღმა მცველებს ესაუბრებოდა, შინაურულად და უხეშად ოხუნჯობდა მათთან. შემდეგ თავისი ბოხი ხმით ხმამაღლა, ყალბად მღეროდა მექოთნის სიმღერას და ტაქტის მიხედვით ნერონს ხელს მხრებსა და ბარძაყებზე უტყაპუნებდა, ან მუცელში მუჯლუგუნებს ჰკრავდა. ისევე, როგორც მთელი ხალხი, ტრებონიც გააცურა არამზადა იმპერატორმა და მთელი ხალხის მსგავსად ისიც სამაგიეროს უხდიდა თავისი მალემრწმენობისათვის ნიღაბახდილ, დამხობილ ტერენციუსს.

ცდილობდა კნოპსისათვისაც სამაგიერო მიეზღო, ამდენი ხნის განმავლობაში რომ თავს უყადრებდა. კნოპსს კი თავისი ძველი თანამეინახის და მეგობრის მოსვლამ გუნება გამოუკეთა. ტრებონთან გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს, თუმცა ტრებონს უშიშრად შეეძლო მისი გაბრაზება და გაწვალება, და მაინც კნოპსი ახლა უფრო აშკარად გრძნობდა, ვიდრე ოდესმე, თუ რამდენად აღემატებოდა ამ კაცს. კნოპსი ტრებონივით დამთხვეული როდია, კნოპსი ყველაფერს ნათლად ხედავს. ისინი ორივენი დაიღუპნენ, ისიც და ტრებონიც. მაგრამ ტრებონისგან, როდესაც მას ჯვარს აცმევენ, აღარაფერი დარჩება, კნოპსს კი პატარა ვაჟი რჩება და, აქამდე გამომდინარე, ის ტრებონზე უფრო მაღლა დგას.

რა თქმა უნდა, უმჯობესია ენას კბილები დააჭიროს და ეს განცდები თავისთვის შეინახოს. მაგრამ ტრებონი დიდი თავხედი ვინმეა, კნოპსმა ჭკუა უნდა ასწავლოს მას. ჰოდა, ერთხელ, როდესაც ტრებონი ჩვეული ქედმაღლობით მოსდგა კნოპსს, კნოპსმა ენას კბილები ველარ დააჭირა.

— ნუ გაბრიყვდები, ძმობილო, — უთხრა მან. — შენს ფელდმარშალურ მძორსაც იმავე ადგილას გადაუძახებენ, სადაც ჩემსას, და ერთი და იგივე ძაღლები დაღრღნიან ჩვენს ძვლებს. მაგრამ სწორედ მაშინ გამოჩნდება, ვინ უფრო მეტი ჭკუა იხმარა, შენ, რომელიც მირჩევდი რომში სენატორის ქალიშვილებს დაველოდოთო, თუ მე, რომელმაც ჩემს იალტას კანონიერი შვილი გავუკეთე. შენგან აღარაფერი დარჩება, კაპიტანო ტრებონ, ჩემგან კი რაღაც იქნება ქვეყანაზე, დედისგან ჯანსაღი ძვლები გამოჰყვება ჩემს კლავდიუს კნოპსს, მამისაგან მემკვიდრეობად მიეცემა მახვილი გონება და თავსაყრელი ფული.

ტრებონი იჯდა თავის ნარზე, უსმენდა, ფიქრობდა, იღმიჭეზოდა. მან ზუსტად გაიხსენა, რომ კნოპსის დაჭერის დროს იალტა ჯერ ისევ ორსულად იყო. ის კარგად იცნობდა აღმოსავლეთს, იცოდა, რომ ტუსაღთან ახალი ამბები ვერ შეაღწევდა. მცირე ხნის შემდეგ ვერაგული სიმშვიდით ჰკითხა კნოპსს, სარწმუნო ცნობები მიიღე, რომ იალტამ შვილი შობაო? კნოპსი გაჩუმდა. ტრებონი მიხვდა, რომ კნოპსმა არაფერი იცოდა და უხეშად მოუჭრა:

— ჰო, ჰო, კნოპსი ჭკუის კოლოფია. იქნებ ღმერთებმა სიზმარი გაჩვენეს და მაშინ გაიგე იალტას მუცლიდან რა გაშოძვრა? ან იქნებ კვერცხის ნახვით შეგიძლია გამოიცნო, დედალი გამოიჩეკება თუ მამალი? ნუთუ, შენთვის ჯერ არ უთქვამთ, შე საწყალო, რომ იალტამ გოგო მოაგდო, საბრალო, პატარა ვირთხა, რომელსაც მამის თვალტანადობა დაჰყვა?

— კნოპსმა თავის თავს უთხრა, კაპიტანი უსინდისოდ ტყუისო, მაგრამ მისი სიტყვები მაინც გულზე მოხვდა. როდესაც გაიფიქრებდა, იალტას შეიძლება ქალი შეეძინოსო, ამ ფიქრს მაშინვე თავიდან იშორებდა. მან ინანა, რატომ ენას კბილი არ დავაჭირეო. ხმა აღარ უნდა ამოიღოს. ამ ძაღლს არ უნდა აგრძნობინოს, რომ მისი სიტყვები გულზე მოხვდა. მაგრამ გაჩუმება ვერ მოახერხა, შეშინებული შეეხვეწა:

— დანამდვილებით ხომ არ გაგია რამე, ტრებონ? გემუდარები, მითხარი, ტრებონ!

ტრებონი ზეიმობდა. იგი მოუყვა მთელ ჯარისკაცებს კნოპ-

სის იმედისა და შიშის ამბავს და დღედაღამე ტლანქად ხუმრობდა კნოპსის შვილის თაობაზე.

ტერენციუსი მათ ყურადღებას არ აქცევდა. თუ თავს მიანებებენ, მიჯდებოდა თავის კუთხეში, როგორც ამის საშუალებას ბორკილები აძლევდა, და ფიქრს ეძლეოდა. ერთხელ თავაზიანად განაცხადა, რამაც ტრებონი და კნოპსი ერთობ გააკვირვა:

— ძალიან კარგს იზამდით, ცოტა ნაკლები გეხმაურათ.

შიმშილი ადრინდებულად აწუხებდა, აწუხებდა ჭუჭყი. მაგრამ ვალდებული იყო აეტანა, ეს ამბავი ხომ ბედმა არგუნა! მაგრამ კაია რატომღა ენატრება. ვითომ ესეც ბედმა არგუნა? კაია კი სულ უფრო და უფრო ენატრებოდა. ო, როგორ უნდოდა, ამაღამ კაია დასიზმრებოდა. რა მადლობელი იქნებოდა, თავისებურად, მოურიდებლად პირში მიეხლია ყველაფერი. გულში უხმობდა, მოსთქვამდა მასზე, სურდა, რომ კაიას დაეპურებინა და დაებანა.

ტუსაღები რამდენიმე დღეს დარჩნენ დილეგში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. შემდეგ საკანი განათდა და ერთი კაცი შემოვიდა, ტყვეთა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ამ კაცმა აავსო და მათ თვალებსა და ყურებს ჟილშიც არ აღირსა მოსვენება: ეს იყო კაპიტანი კვადრატუსი. სწორედ ამ კვადრატუსს მიანდო განაჩენის შესრულება გუბერნატორმა ატილუსმა, რომელსაც უნდოდა ცრუ-ნერონის დასჯა სახალხო სანახაობად ექცია. კაპიტანი განთქმული იყო თავისი სიმკაცრით, კარგად იცნობდა ბრბოსა და ჯარისკაცებს და მათში ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მალე ალბათ, ტრებონს შეცვლიდა.

კვადრატუსი ჯმუხი კაცი იყო. ბანჯგვლიანი სხეული და შემელოტებული თავი ჰქონდა. ცხვირი იხვის ნისკარტს უგავდა და მოკლე კისერზე თავი სასაცილოდ დაკოსებოდა.

— სალამი შენდა, კეთილო და დიდო იმპერატორო ნერონო, — შეჰღაღადა კაპიტანმა კვადრატუსმა ტერენციუსს თავიხი უფერული, ფლეგმატური ხმით, თან ისეთი პანღური ამოჰკრა რბილ ადგილზე, რომ ეს უკანასკნელი წკმუტუნით განზე გახტა. დანარჩენ ორსაც ასევე მიესალმა. მის სახიფათო მხიარულებასთან შედარებით კნოპსის ოხუნჯობა ბავშვური გართო-

ბა იყო, ტრებონმა კი გულღია მეტოქის დანახვისთანავე დაკარგა თავისი უდარდელობა.

კაპიტანმა კვადრატუსმა, როგორც თვითონ თქვა, მოინდომა უპირველეს ყოვლისა, თავის ტყვეების გამძლეობა შეემოწმებინა. და ამ მიზნით ვარჯიში დააწყებინა. კნოპსი მაშინვე დაემორჩილა, ხტუნავდა და ბუქნაობდა, როგორც კვადრატუსი უბრძანებდა. ნერონმა თავისი „შარავანდედის“ და ტრებონმა თავისი ღონის იმედით ბრძანებას ყური არ უგდეს და მძაფრი წინააღმდეგობა გასწიეს. ეს გაუხარდა ფლეგმატურ კვადრატუსს. მას ჰქონდა დროცა და საშუალებაც მათი წინააღმდეგობა გაეტეხა და გატეხა კიდეც. ჯერ ტერენციუსი მოდრიკა, შემდეგ ტრებონი. ძალიან მალე ნერონის კანმა დაკარგა თავისი სიგლუვე, აბურძგვნილი წვერი გაუხუნდა და სახელი „წვერწითელა“ ახლა სულ არ შეეფერებოდა. ტრებონმაც მალე დაკარგა თავისი მამაკაცური წარმოსადეგი გარეგნობა და მისმა წითურმა ღინღლებმა ჭუჭყიანი, მოთეთრო-მოყვითალო ფერი მიიღო. მალე სამივე ერთად უფრო ნაკლებს იწონიდა, ვიდრე წინათ ორი.

როდესაც კაპიტანმა კვადრატუსმა ცალკე დაცინვით გული იჯერა, გადაწყვიტა გუბერნატორის დავალება შეესრულებინა და სახალხო სანახაობა მოეწყო. ერთ მშვენიერ დღეს სამივენი ეზოში გამოიყვანა. იქვე იდგა ხალხი ფიცრებით, შალაშინებითა და ხერხებით ხელში. და: „აბა, ფელდმარშალო“, უთხრა კვადრატუსმა ტრებონს, „უკვე საკმარისად იხტუნე“, და: „თქვენ, საყვარელო მდივანო“, მიუბრუნდა კნოპსს, „დროა, ძველებურად აღაფრთოვანოთ ხალხი. და თქვენ, მბრძანებელო“, — მისი ხმა ისევ გამაღიზიანებლად ნელი დარჩა, როდესაც ტერენციუსს მიმართა. „ნამდვილად მადლობელი დამრჩებით, ახლა საუცხოო საშუალება მოგეცემათ, ხალხს თქვენი ხელოვნება უჩვენოთ“.

დურგლები ხეხვას და რანდვას შეუდგნენ, სამივე პატიმარს ერთი ხის საყელური გაუკეთეს, თავები უნდა გაეყარათ შიგ, მათი კეფები ერთმანეთს მიებჯინებოდა, სახეები კი სხვადასხვა მხარეს იქნებოდა მიმართული. შემდეგ სამივენი ურემზე დასხეს, მიაჯაჭვეს, ხის საყელურში თავები გააყოფინეს, მთელი ტანი თაბაშირში ჩაუსვეს. სამსახიანი თავი ერთ საყელურში

იყო ამოჩრილი. ხის და თაბაშირის სამოსი ჩაცუცქულ ძაღლს გამოხატავდა. ზედ ისე კარგად ჰქონდა მილურსმული და მიკრული ძაღლის ტყავი, რომ რეალური და ამავე დროს ფანტასტიკური გამოვიდა ეს უზარმაზარი სამთავიანი ქოფაკი.

კვადრატუსს ეს იდეა იოვანეს სიტყვამ ჩაუნერგა, რომელიც მსახიობმა ქრისტიანობის პროცესზე ტერენციუსის, ტრებონისა და კნოპსის ტრიუმვირატის შესახებ თქვა.

როდესაც სამივეს თავიანთი ხისა და თაბაშირის ნიღაბში თავი გააყოფინეს, დიდი და პატარა — ყველა მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. მცველები ბარძაყებზე ხელებს იპარტყუნებდნენ, მთელი ხალხი ყვირილით გამოხატავდა აღტაცებას და კაპიტან კვადრატუსს, ამ ბრწყინვალე გამოგონების ავტორს, აღფრთოვანებით შეხვდნენ.

„სამთავიანი ქოფაკი" — იმპერატორი, მისი მარშალი და მისი კანცლერი ურმით გაამგზავრეს. კაპიტანმა კვადრატუსმა მიხვეულ-მოხვეული გზებით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მთელი პროვინციის გავლით წაიყვანა ისინი. მას შემდეგ, რაც ოცი წლის წინ სომეხთა მეფემ ტირიდატემ სხვა აღმოსავლელ მეფეებთან ერთად დიდებული მოგზაურობა მოაწყო, რათა რომის იმპერატორს ხლებოდა, ამ მხარეს ასეთი საინტერესო სანახაობა არ ენახა. უთვალავი ხალხი მიჰყვებოდა ურემს. ერთობ სასაცილო იყო ყველაფერი და ზოგიერთები სამთავიანი ქოფაკის ერთხელ ნახვით არ კმაყოფილდებოდნენ და მეორე-მესამე სოფლამდე მიჰყვებოდნენ.

სამთავიანი ქოფაკის გამოჩენა ყველგან დღესასწაული იყო. ქალაქები უთმობდნენ სტადიონებს, ცირკებსა და მოედნებს სანახაობის გასამართავად. და მართლაც ნახვის ღირსი იყო, რაც კაპიტანმა კვადრატუსმა მათ აჩვენათ. ეს არ ჰგავდა იოვანე პატმოსელის თვალით დანახულ სამთავიან ქოფაკს. ეს ბევრად უფრო სასაცილო და ამაზრზენი იყო. ქოფაკი სამი სახით უყურებდა ხალხს. სამივეს ბებერი, ჭუჭყიანი, დანაოჭებული და საცოდავი სახე ჰქონდა. თმები ამოწეწოდათ. განაწამები და ისეთი ბოროტი და მხეცური გამომეტყველება ჰქონდათ, რომ მრავალი მნახველი, თუმცა სამთავიანი ქოფაკი შეკოჭილი იყო და მცველები ეყენა, მაინც ვერ

ბედავდა მიახლოვებას; შეშინებული ბავშვები დედის კალთას ეფარებოდნენ, ქალებს გული მისდიოდათ.

ვინც მიუახლოვდებოდა მათ, რა თქმა უნდა, კმაყოფილი რჩებოდა. შეეძლოთ არა მარტო სახეებზე ხელი მოესვათ მათთვის, არამედ წვერიც დაეწიწკნათ და სილაც გაეწნათ. კაპიტანმა კვადრატუსმა იმაზეც იზრუნა, რომ სანახაობა მრავალფეროვანი გაეხადა. ხის სამოსი ალაგ-ალაგ გააბურღვინა და ვისაც უნდოდა, სამთავიანი ქოფაკისთვის შეეძლო ებრძანებინა, თათი გამოყავიო. თუ უბრძანებდნენ, ქოფაკს უნდა ეყეფა კიდეც. არა და მცველები შუბებს უჩხვლეტდნენ.

— ამ, ამ, — ყვიროდა ბრბო. და: — იყვირე, წვერწითელავ, იყეფე, ფელდმარშალო, თათი გამოყავი, წყალთუხუცესო! — წყალთუხუცესს კნოპსს ეძახდნენ აპამეას წყალდიდობის მოსაგონრად.

თვითონ ნერონი ჩემად იყო. რუხი, ანთებული თვალები უმეტესად დახუჭული ჰქონდა და მნახველებს დიდად ვერ ამხიარულებდა. ყველაზე უფრო ხალხს ტრებონი ართობდა. ის ტლანქად დასცინოდა თავის მეტოქესა და მცველს კვადრატუსს. დაცინვის მთავარი საგანი იყო კაპიტნის ხმა და იხვის ნისკარტივით ცხვირი. — ვისაც ასეთი გამომშრალი, მძინარე ნმა ჰქვს, — ამბობდა ის, — არმიაში ავტორიტეტს ვერასოდეს მოიპოვებს და, მე მგონია, ვერც ქალებთან, რადგან ხმის საშუალებით სხვა რაღაცაზე შეიძლება მსჯელობაო. თუ ახლომახლო ბავშვებს დაინახავდა, ტრებონი მოუწოდებდა მათ, გადააჯექით კვადრატუსის ნისკარტს და გააჭენეთო. ტრებონი ყველაზე აღგზნებული მაშინ იყო, როცა თავშესაქცევად დაათრობდნენ ხოლმე. ის ქალებს უწმაწური ხუმრობით უმასპინძლდებოდა, ყვირილით სთხოვდა, ქოფაკთან დაწექით, სითამამე და ფული თუ გეყოფათო. ირგვლივ სიცილ-ხარხარი იდგა.

კნოპსი თავის მხრივ ბავშვებით იყო გატაცებული. თავისი ფუსვენარი თვალებით ისე საფუძვლიანად და ისეთი შმაგი სინაზით უყურებდა ყველაზე პატარებს, რომ ზოგჯერ დედები ფრთხებოდნენ და შვილებს მალავდნენ ხოლმე. როგორც ჩანს, გული არ მოსდიოდა, როცა ბავშვები აბრაზებდნენ, წვერებს აწიწკნიდნენ ან სჩქმეტდნენ და ურტყამდნენ სახეზე თავიანთი პატარა ხელებით. ერთხელ კი, როდესაც ქალმა ორი თუ სამი

წლის ბავშვი სახესთან მიუყვანა, რომ კნოპსისათვის პირში ნამცხვარი ჩაედო, მან მოულოდნელად თითზე უკბინა ბავშვს.

დილიდან საღამომდე ამოჩრილიყო სამი ერთმანეთზე მიჭედილი თავი ამაზრზენი და სასაცილო ნიღაბიდან. ყელზე ხის საყელური აწვებოდათ, რათა თავები არ დაეხარათ. შებორკილები და თაბაშირსა და ხეში ჩაჭედილები ვერ ინძრეოდნენ. თავები და კისრები დაძაბული ჰქონდათ, მხრები უკან გადაწეული.

მნახველებისთვის ეს იყო ერთი თავი, რომელიც ძაღლის ტანს ედგა. მაგრამ ამ თავს ჰქონდა სამი სახე, ფიქრობდა სამი ტვინით და სამ ტანს ება. შეხვედრის წუთიდანვე სამუდამოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ერთდროულად მეგობრებიც გახდნენ და მტრებიც. ახლა ისინი მთლად მიაკრეს ერთმანეთს, შეეზარდნენ ერთმანეთს და თვითეული მათგანი გრძნობდა, როგორ ასაქმებდა მეორე და ერთმანეთი ჭირის დღესავით ეზარებოდათ.

მათი ექვსი ფილტვი ერთსადაიმავე ჰაერს ისუნთქავდა, ექვსი თვალი ერთსადაიმავე სურათს ხედავდა, ექვსი ყური ერთსადაიმავე ხმებს ისმენდა. თავშიც თითქმის ერთნაირი ფიქრები უტრიალებდათ. „როდემდის გაგრძელდება ეს ამბავი?“ ფიქრობდა ყოველი მათგანი, და: „როდის მივაღწევთ ანტიოქიას?“ და: „ეს ვირები“. მაგრამ ამავე დროს ყოველი მათგანი თავის საფიქრალს ფიქრობდა. „ჩემი ბიჭუნა“, ფიქრობდა კნოპსი, „ჩემი კაია“, ფიქრობდა ტერენციუსი. „ჩემი მფარველი სული და ჩემი იღბალი“, ფიქრობდა ტრებონი.

ისინი ყეფდნენ და მნახველებს „თათს“ უწვდიდნენ, წყევლიდნენ ქვეყანას და თავის გაჩენის დღეს, ქვითინებდნენ და თავს ინუგეშებდნენ, ყოველ მათგანს ჭირივით სძულდა მეორე, მაგრამ სამივენი გრძნობდნენ, რომ ქვეყანაზე არავინ მათებრ არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ აერთებდა სულიერი ნათესაობა, ბედნიერება, ამაღლება, ბოროტმოქმედება, დამხობა და მომავალი სიკვდილი.

მაგრამ ყველაფერ ამას ისინი მგზავრობის პირველ დღეებში აკეთებდნენ და ფიქრობდნენ, შემდეგში აპათიაში ჩავარდნენ და მხოლოდ ჩხვლეტით, პანღურითა და თავში წარტყმით

შეიძლებოდა მათი ამოძრავება. ახლა მათ არც სძულდათ და არც უყვარდათ ერთიმეორე. ისინი მხოლოდ დაღამებას უცდიდნენ, რომ ბორკილებისაგან განთავისუფლებულიყვნენ.

მათი მგზავრობა რამდენიმე კვირა გაგრძელდა. დასცინოდნენ, აფურთხებდნენ, ტალახს ესროდნენ. ისინი აღარაფერს გრძნობდნენ. ვეღარ ხედავდნენ ხალხის მხიარულ და მძულვარებით აღსავსე სახეებს, ვეღარ ხედავდნენ ვერც კაპიტან კვადრატუსს. ისინი აღარ უსმენდნენ ხალხის სიცილ-ხარხარს და არც საკუთარ ყეფას, როცა ძალით ააყეფებდნენ ხოლმე. ერთადერთი, რაც მათ ცნობიერებამდე აღწევდა, იყო მექოთნის სიმღერის ჰანგი. მარტივი და მაინც დახვეწილი მელოდია თავისი პატარ-პატარა უსირცხვილო პაუზებით. და ერთხელ, ძალიან არამუსიკალურმა კაპიტანმა ტრეგონმა, როცა უბრძანეს, იყეფეო, ამის ნაცვლად სრულიად შეუგნებლად ხრინწიანი ხმით ამოიღმუვლა:

მაღლა ჩამოგკიდებს.

18

ისიც გონიერებას ემსახურებოდა

ანტიოქიაში სამთავეს კარგად კვებავდნენ, რომ დასჯის დროს საშინელი სანახავები არ ყოფილიყვნენ. მათ მოღონიერებას სამი კვირა დასჭირდა.

სიკვდილით დასჯის დღეს სამსჯავროში გაწკეპლეს. ხალხმა ჩვეულების მიხედვით დასცინა მათ. ნერონს იმპერატორის მაღალლანჩებიანი ფეხსაცმელი ჩააცვეს, დაძონძილი სამოსის კიდეები გაწკეპვლის დროს გადმონადენი სისხლით შეუღებეს, ვითომ ძოწეულის ქობაოო. ზურგზე დაფა ჩამოკიდეს წარწერით: „კლავდიუს ნერონ ცეზარ ავგუსტუსი“. თვალზე ზურმუხტის ნაცვლად მინის ნამტვრევი მიაწებეს, გვირგვინის ნაცვლად თავზე ღამის ქოთანი ჩამოამხეს და მაღალ სკამზე დასვეს. კნოპსს, რაკი მისი მამობრივი გრძნობა ყველამ იცოდა, ხელში ჩალის თოჯინა შეაჩეჩეს და ნერონის ფერხთით

შიუჩინეს ადგილი. ტრებონს, ვითომ ჯილდოებიაო, შიშველ მკერდზე თუნუქის ნაჭრები მიაკრეს და ისიც ნერონის ფერხთით მოათავსეს. შემდეგ აღრიალდნენ: „იდიდე, ნერონ, კეთილო და ბრწყინვალე იმპერატორო“. და უხაროდათ.



ადგილი, სადაც ისინი უნდა დაესაჯათ, ანტიოქიის ჩრდილოეთით, ქალაქიდან კარგა მოშორებით მდებარეობდა. ეს იყო შიშველი ბორცვი, მას მელის მთას უწოდებდნენ და ზედ ნაგავს ყრიდნენ. ბოროტმოქმედები კოლონადებით დამშვენებული მთავარი ქუჩით წაიყვანეს. ირგვლივ ზღვა ხალხი იყო. ბევრი მათგანი სახურავებზე და ბანებზე ასულიყო, ყველას ხურდა დაენახა, როგორ ჩაივლიდნენ, ნაცემნი, დამცირებულნი, სისხლით მოსვრილნი და თავიანთ ჯვრებს ზურგით როგორ წაათრევდნენ.

ოქტომბრის მშვენიერი, გრილი დღე იყო, მაგრამ სამივეს სიცხე და წყურვილი აწუხებდა. მელის მთამდე ერთი საათის ხავალი იყო, იმათ კი, ვისაც იქამდე ჯვარიც უნდა აეტანა, სამი საათი მაინც დასჭირდებოდათ. კნოპსი შიგ ქალაქშივე დაეცა. ცოტა ხნის შემდეგ დაეცა ტერენციუსი. ისინი ცემითა და პან-

ღურის კვრით წამოიყვანეს და წინ გაირეკეს. აღტაცებულ ბრბო გუგუნებდა და მექოთნის სიმღერას მღეროდა.

იმ დროს, როდესაც ქმნილება თავის უკანასკნელ გზას გადიოდა, ვარონი შორს, აღმოსავლეთის ცის ქვეშ იმყოფებოდა. ანტიოქიაში დილის ცხრა საათი იქნებოდა, იქ კი, სადაც ვარონი იყო, მზე ზენიტზე იდგა. ის მტვრიანი გზის პირას ჩერობში ჩამომჯდარიყო და მადიანად ილუკმებოდა. მისი სადილი ერთი ჯამი ბრინჯისა და მცირეოდენი ცხვრის ხორცისაგან შესდგებოდა. ის შეეგუა თავის ცხოვრებას, ბევრი რამ ნახა და გამოცადა ახალი. გზაზე, რომლის პირას ვარონი იჯდა, ათასი მგზავრი მიდი-მოდიოდა. ვარონი არ ჩქარობდა. მან მშვიდად ისადილა და დიდხანს ისვენებდა. გამვლელები რომელიღაც ძნელად სასწავლ დიალექტზე ლაპარაკობდნენ, ვარონი ბევრს ვერაფერს იგებდა. მაგრამ რაც გაიგო, იმანაც მისცა ფიქრის მასალა. მისი გონება მეთოდურად ალაგებდა სიტყვებს და ერთმანეთს ადარებდა. იმაზე ფიქრობდა, თუ უცხო ენერა როგორ უცვლიდა სიტყვებს აზრს. ამ წუთას არც წარსული გახსენებია, არც თავისი „ექსპერიმენტი", რომელსაც ახლა ანტიოქიაში საბოლოოდ ჯვარს უსვამდნენ.

რომ სცოდნოდა და გაეფიქრა, ახლა ჩემს ნერონს სიკვდილით სჯიანო, ალბათ კმაყოფილებით აღნიშნავდა, ბედი გლახაკსა და ნაკლებად დამნაშავე კაცს გასწირავს და უკეთესსა და უფრო დამნაშავეს გადაარჩენს, და ეს მართლაც რომ სამართლიანიაო.

დაღონებითა და დაცინვის გარეშე იგონებდა ამ წუთს ნერონს მეფე ფილიპე. იგი სამოსატაში იმყოფებოდა და მოუსვენრად დაწრიალებდა თავის მშვენიერ წიგნთსაცავში. ერთობ აფორიაქებული იყო. არა, არ უნდა აჰყოლოდა ვარონს. ფილიპე არ არის მეამბოხედ გაჩენილი. არც კი იცოდა, კარგი იყო თუ ცუდი, რაც მოხდა. არტაბანის მფარველობის მიუხედავად, რუფუს ატილუსმა კიდევ უფრო შეზღუდა კომაგენეს სამეფოს დამოუკიდებლობა. შეიძლება ფილიპესთვის ასეც სჯობდა. მოქმედება უხამსობაა, კარგია მხოლოდ ჭვრეტა. ფილიპე გულის სიღმეში ნატრობდა კიდეც, უხეში, მბრძანებლად შექმნილი რომი გვირგვინს როდის მომხდის და სა-

შუალებას მომცემს ვიფიქრო, ზმანებებში ჩავეფლო, შენობები გაგო და წიგნთსაცავს მივხედოო.

ამ წუთში მეფე მალუქიც ტერენციუსზე ფიქრობდა. მას არაფერი წაუგია იმით, რომ ნერონს მიემხრო. ძნელი იყო რომთან მოლაპარაკება, მაგრამ ქურუმთუპირველესმა შარბილმა დიდი სიმტკიცე და მოხერხება გამოიჩინა. ედესას არტაბანმაც ხელი დააფარა და ეს სამეფო მესოპოტამიის ხელახალი გადანაწილების შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი გახდა. მალუქი ყურს უგდებდა შადრევანის ჩუხჩუხს და ფიქრობდა, ზღაპარი მექოთნეზე, რომელიც ვარსკვლავთმერთებმა რამდენიმე ხნით იმპერატორ ნერონად აქციეს, კარგად და ბედნიერად დამთავრდაო. ედესის ტერიტორია გაფართოვდა; ტერენციუსი გაქრა ამ მხარიდან, მაგრამ ისე, რომ მეფე მალუქის სინდისი სტუმართმოყვარეობის წესის დარღვევით არ შებღალულა.

ამ დროს კი ნერონი და მისი მეგობრები თავიანთ ძნელ გზას განაგრძობდნენ. ქალაქის კართან, იქ, სადაც მელის მთა იწყებოდა, ქალები იდგნენ და ტკივილის დამაყუჩებელ, გამაბრუებელ სასმელს აწვდიდნენ მათ. ჩვეულების მიხედვით სასმელის მიმწოდებელს უნდა გამოეცხადებინა თავისი ვინაობა. ქალები კი ამბობდნენ:

— ამ სასმელს გაწვდით ვარონის ასულის მარციას სახელით.

ბოლოს მელის მთასაც მიაღწიეს. მთელ ფერდობზე ხალხი იყო შეფენილი. კაპიტანი კვადრატუსი -დიდხანს ფიქრობდა, დასასჯელები მიელურსმა თუ თოკით მიეკრა ჯვარზე. მილურსმა მეტი წამება იყო, მაგრამ დიდხანს არ გრძელდებოდა. ჯვარცმულს სისხლი ეწამლებოდა და მალე კვდებოდა. მიბმული კაცი კი ხშირად მეორე-მესამე დღემდე ცოცხლობდა. კვადრატუსმა გადაწყვიტა, თოკით მიება ისინი. ჯარისკაცებმა მათ ტანსაცმელი ჩამოაგლიჯეს, ხელები გააშლევინეს და ჯვარზე მიაბეს. მრავალი ათასი კაცი ცნობისმოყვარეობით იგრძელებდა კისერს და ყველაფრის დანახვას ცდილობდა. არნახული ღრიანცელი და ტაშისცემა ატყდა, როცა ბოლოს ნერონი, მისი კანცლერი და მისი ფელდმარშალი ჯვარზე ჩამოეკიდნენ,

როგორც ეს მექოთნის სიმღერაში იყო ნაწინასწარმეტყველები. ჯარისკაცებმა კი, ადათისამებრ, მათ ტანსაცმელზე წილი ყარეს. მოგებულებს ხალხი შემოესია, ყველას უნდოდა, როგორმე ნერონის ტანსაცმელის ნაგლეჯი ჩაეგდო ხელში, ზოგს ეს კოლექციონერული ჟინით მოსდიოდა, ზოგი ხუმრობით აკეთებდა, ზოგი ცრუმორწმუნეობით, ზოგიც მოწიწებით, რადგან დანამდვილებით არ იცოდა, ჯვარცმული მართლა იშპერატორი იყო თუ არა.

და აჰა, სამივე ჯვარზე ჰკიდია. მელის მთიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა. ჯვარცმულები ხედავდნენ თავიანთ ფერხთით მდინარე ორონტესს და მის კუნძულს, აგრეთვე უამრავ სასახლეებს, კოლონადებს, ძეგლებს, აგარაკებსა და ბაღებს, ეს იყო ლამაზი ქალაქი ანტიოქია, რომელშიაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ტრიუმფით აპირებდნენ შესვლას. ახლა მხოლოდ ტრებონს შერჩენოდა ეს იმედი, ჯვარზედაც კი არ დაჰკარგვია იგი. ტერენციუსი და კნოპსი ჯარისკაცებისა და ხალხის ხმამაღალ ხურმობას ყურადღებას არ აქცევდნენ, ტრებონი კი ჯვრიდან ტლანქად დასცინოდა თავის მეტოქეს — კაპიტან კვადრატუსს. მას სიცოცხლის მძლავრი წადილი ჰქონდა, ვერ დაეჯერებინა, რომ მოკვდებოდა. თოკით რომ მიაბეს და არ მიალურსმეს, ეს კარგ ნიშნად ჩათვალა: წინ მეტი დრო ექნება. საოხუნჯო წარწერა — „ფელდმარშალი ტრებონი", მას პრა სწყინდა. დაიცადონ. ხელახლა გახდება ფელდმარშალი. მკერდი, რომელზედაც თუნუქის ნაჭრები ჰქონდა მიკრული, ნაკლებად ექავებოდა და ნაკლებად ეწვოდა, როცა გაიფიქრებდა ხოლმე „გალავნის გვირგვინს" მესამედ დავიმსახურებო. არა, ტრებონს ესენი ვერ დასჯაბნიან. ის ჯვარზე გაკრული კისერს იგრძელებდა და გზას გაჰყურებდა, უკვე მაცნე ხომ არ მოდის, რომ არმიის მოთხოვნით გამანთავისუფლესო.

მზე ამოვიდა, გამაბრუებელი სასმელი აღარ მოქმედებდა და მალე სამთავემ იგრძნო, რომ კიდურები დაებუჟათ და კრუნჩხვები დაეწყოთ. მათთვის „სამთავიანი ქოფაკის" დროიდან ნაცნობი იყო ეს განცდა. მაგრამ ტკივილი საოცარი სისწრაფით მატულობდა. პირველად ნერონმა დახუჭა თვალები და თავი გადააგდო, შემდეგ კნოპსმა და ბოლოს ტრებონმა.

მშრალი ტუჩები გაფითრებოდათ. ასე ეკიდნენ ისინი ყბაჩამოვარდნილები, გასისხლიანებულები, ძალღონეგამოცლილები. ბუზები ეხვეოდათ. ფეხები დალურჯებოდათ, კანი საშინლად ექავებოდათ, კუნთები ეკრუნჩხებოდათ და თავბრუ ესხმოდათ. სასა და ენა წყურვილისაგან დასიებოდათ. დროდადრო გონებას კარგავდნენ, მაგრამ მცირე ხნით.

მაყურებლები ნიძლავსა სდებდნენ, სამთაგან ვინ მოკვდებოდა პირველი და მზის ჩასვლამდე სამივენი დაიხოცებოდნენ თუ არა. უმეტესობა ფიქრობდა, რომ ტერენციუსი და კნოპსი დღესვე დაიხოცებოდნენ, ჯანიანი ტრებონი კი გასძლებდა. ზოგიერთები ცდილობდნენ, მათთვის კვლავ ეთქმევინებინათ რამე. ტრებონი ხანდახან ლაპარაკობდა ხოლმე. მაგრამ დანარჩენი ორი ხმას არ იღებდა.

მზე ამოვიდა და ისევ ჩავიდა, ისინი კი კვლავ ჯვარზე ეკიდნენ, თავები განზე გადაეგდოთ, ყბები ჩამოვარდნოდათ, არ ირხეოდნენ. მაგრამ როდესაც მზე ჩავიდა, შეთრთოლდნენ და სხეულში ახალმა სიცოცხლემ დაურათ. კვადრატუსს ამ საქმეში გვარიანი გამოცდილება ჰქონდა და წინასწარ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. კიდევ უფრო რომ გამოეცოცხლებინა ისინი, ჯარისკაცებს უბრძანა ლერწამზე წყლითა და ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი წამოეგოთ და ჯვარცმულებისთვის მიეწოდებინათ. ჯარისკაცები ღრუბელს ტუჩებზე ადებდნენ მათ, რომ ჯვარზე გაკრულებს შეეწოვათ გამაგრილებელი სასმელი, შემდეგ იმავე ღრუბლით სახეს სწმენდდნენ.

ნერონმა ღრუბელი მოწუწნა და თავი შეარხია. ეს თავი ცეცხლით იყო სავსე. ღრუბელმა ცოტა მოასულიერა და მან შეიცნო, რას ნიშნავდა ყოველივე ეს: გონება უნდა დაეკარგა და ისე გაევლო ამ ცეცხლში, აი, რა იყო იმპერატორის უკანასკნელი ვალი.

ჯარისკაცებმა, როდესაც დაინახეს, რა ხარბად სწოვდა ტერენციუსი ღრუბელს, პირიდან მოაშორეს, ისევ მიუტანეს, ისევ მოაშორეს. ისინი ამით ერთობოდნენ. ტერენციუსისთვის კი ეს იყო ნეტარება და წამება, ამაღლება და დაცემა, ახალი წამოწევა და ახალი დაცემა. მას უფლება არ ჰქონდა თავისი ვალი დაევიწყებინა. ცეცხლში უნდა გაიაროს, მზე უნ-

და გადაყლაპოს. ამათ სურთ ხელი შეუშალონ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან, უკვე დიდი ნაწილი გადაყლაპული აქვს, შესძლებს მთლიანად გადაყლაპვასაც.

მაგრამ ღრუბელი აღარ მისცეს.

„ღრუბელი", უნდოდა ეთქვა, და: „მე იმპერატორი ვარ". მან პირიც კი გააღო. მაგრამ სიტყვები შეიცვალა და სხვა სიტყვები წარმოთქვა. თუმცა კმაყოფილი იყო ამით. ძალიან უყვარდა ეს სიტყვები, ეს მისი სიტყვები იყო. ეგონა, ხმამაღლა დავიძახეო, ქვემოთ კი ჩურჩულის მეტი არა გაუგონიათ რა. მაგრამ ვინმეს რომ მის ტუჩებთან ყური სულ ახლოს მიეტანა, სიტყვებს გაარჩევდა. ეს იყო ორი სიტყვა და ნერონი მათ ძალიან კარგად, თითქმის აღფრთოვანებით გამოთქვამდა. ეს იყო „თანატოს" და „თალატა", ბერძნული სიტყვები „სიკვდილი" და „ზღვა". ამ სიტყვებში შეერთდა მისი სურვილი და ამ სურვილის ახდომა და ასევე შეერთდა ამ ორი სიტყვის აზრი.

— თანატოს, — ამოიკვნესა მან. და: — თალატა.

„თ"-ს გამოთქმა ისე კარგად შეეთვისებინა, რომ სიკვდილის წუთშიაც არ ეშლებოდა.

რაც უფრო წყნარად იყო ნერონი, მით უფრო მეტს ხმაურობდა ტრებონი, როდესაც მათ ღრუბელს აწვდიდნენ, ჯანიანმა ტრებონმა ყველას სასიხარულოდ კვლავ წამოიწყო ლანძღვა-გინება, ლანძღავდა მაყურებლებს, კარისკაცებს, ჯვარზე გაკრულ მეგობრებს. ჯარისკაცები დარწმუნდნენ ტრებონი ყოჩაღი ბიჭი ყოფილა და არმიის სიყვარული ტყუილად როდი ჰქონია დამსახურებულიო. ახლა ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ყველაზე მეტ ხანს ის გასძლებდა, რომ მთელი ღამე იცოცხლებდა და ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, შეეძლო შინ დაბრუნებულიყო, მან წააგო სანაძლეო.

ყველაზე მაგრად ტრებონი თავის მეტოქეს კვადრატუსს მისდგა.

— მეგობრებო, — უყვიროდა მცველებს, — ალყაშემორტყმული ქალაქი რომ გქონდეთ ასაღები და ამ კვადრატუსმა თავისი ჟანგიანი, დანჯღრეული ხმით ბრძანება მოგცეთ, სიცილით დაიხოცებით, არა?

კვადრატუსმა კი ჩვეულებრივზე უფრო მშვიდად და აუღელვებლად მიუგო:

— აბა ჰე, ტრებონ, შე ძველო, ჩაძაღლებამდე რაც შეიძლება მეტი გესლი გადმოანთხიე, რომ შენი შიგნეულობა ნაკლებად მწარე იყოს, როცა მათ ნაგაზებს გადავუყრით.

ტრებონმა ძალ-ღონე მოიკრიბა. გამომშრალ პირში დიდის ვაი-ვაგლახით ნერწყვი მოაგროვა, გვადრატუსს დაუმიზნა, დაიძაბა და იშვიათი სიზუსტით შუა მელოტზე დააფურთხა.

ატყდა ღრიანცელი. სანამ კვადრატუსი თავს იწმენდდა, თვით ჯარისკაცებიც კი იცინოდნენ. კვადრატუსი თვითონაც გახარებული იყო, რომ ტრებონმა სანახაობა გამოაცოცხლა. მას ესმოდა ხუმრობა, მაშინაც კი, როდესაც დასცინოდნენ. ტრებონს შეეძლო თავისი ხუმრობის შედეგით კმაყოფილი ყოფილიყო.

ამ აუწერელი მხიარულების დროს ტრებონმა მოულოდნელად დიდი თავი ჩამოაგდო, არც ხმას იღებდა და აღარც ინძრეოდა.

კვადრატუსს იმედი გაუცრუვდა. ნუთუ ტრებონი მართლა მოკვდა? ბრძანა შუბი ეჩხვლიტათ ტრებონისათვის, მაგრამ ის არ შერხეულა. ბრძანა, ფეხები გადაემტვრიათ; ყველაფერი ამაო გამოდგა, ტრებონი მართლა მომკვდარიყო. პოპულარული კაპიტანი, რომელიც ყოველთვის მტკიცედ და ძლიერად დააბიჯებდა, უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე გაძვალტყავებული კნოპსი და დონდლო ნერონი, მან იმედი გაუცრუა ყველას, ვინც იმაზე დანიძლავდა, ტრებონი ყველაზე ბოლოს მოკვდებაო. კვადრატუსს მეტოქის სწრაფი სიკვდილი რამდენიმე მიზეზით ეწყინა. მიუხედავად ყველაფრისა, ტრებონს მაინც ძმაკაცურად უყურებდა და აფასებდა; ამას გარდა, თავისი მეტოქის სიკვდილისგან უფრო ხანგრძლივ სიამოვნებას ელოდა.

დაღამდა. მილეული მთავარე საცა იყო ჩავიდოდა. კვადრატუსმა ბრძანა ჩირაღდნები აენთოთ. ის განაწყენებული იყო, რომ ტრებონმა ასე უღალატა. მაგრამ შეიძლება კნოპსს ათქმევინონ მოსწრებული სიტყვა, ის ხომ ამის ოსტატია. ბრძანა, მისთვის ისევ მიეწოდებინათ ღრუბელი.

მაგრამ არაფერი გამოვიდა. კნოპსი ხმას არ იღებდა. რა თქმა უნდა, თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა, მაგრამ ყველაფრის თქმაც რომ მოეხერხებინა, საეჭვოა, მის ფიქრებს გაერთო კვადრატუსი და სხვა მსმენელები. „უკვე დაღამდა“, ფიქრობდა კნოპსი, „მე კი ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. დასწყევლოს ღმერთმა, რა ძალა და გამძლეობა მქონია ამ სუსტ სხეულში. მაგრამ ეს კარგიცაა. ჩემი პატარა კლავდიუს კნოპსი ჯანიანი კაცი გამოვა. სადა ხარ, ჩემო ბიჭუნავ. და ხარ კია სადმე? აჰ, ეჰთი შენი თავი დამანახა და ამ წუთშივე მშვიდად დავლევდი სულს“. და უეცრად მასში გაღვიძა სიძულვილმა და ბრაზმა ტრებონის მიმართ, რომელმაც ასე შეაეჭვა შვილისა და მემკვიდრის არსებობაში. აუწერელი წვალებით სცადა ბუზებდახველი თავი ტრებონისკენ მიებრუნებინა და თავისი აღშფოთება პირში მიეხალა. მაგრამ კისრის კუნთები დასუსტებოდა, ენა, კბილები და ტუჩები აღარ ემორჩილებოდა. თავის მიტრიალების ნაცვლად ისღა შესძლო, რომ გამწვანებულ-განაცრისფერებული ბანჯგვლიანი სახე რამდენჯერმე მწარედ დამანჭა.

ნუთუ, ეს მართლა აღსასრულია და ტრებონის მიმართ ბრაზი რომ ახრჩობს, ეს იქნება მისი სულის უკანასკნელი მოძრაობა? ამ დროს სიბნელიდან ძახილი მოისმა, არც ისე ხმამაღალი, მაგრამ მკვეთრი და გასაგები:

— მშვიდად იყავი, კნოპს, მშვიდად დალიე სული! შენ გყავს ვაჟი, რომელიც მოგიგონებს, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ვაჟი.

კნოპსს სახე არ შეურხევია და არავინ იცოდა, მიაღწია თუ არა მის გონებამდე ამ ხმამ, რადგან იმავე წუთს კაპიტანმა კვადრატუსმა ფეხები გადაუმტვრია და აღმოჩნდა რომ კნოპსი მკვდარი იყო. მაგრამ თუ არსებობდა ხმა, რომელსაც შეეძლო უკანასკნელ წამს მისი სმენისა და ტვინისათვის მიეღწია, სწორედ ეს ხმა იყო, გავარჯიშებული, მკვეთრი ხმა იოვანე პატმოსელისა.

დიახ, იოვანე ედესიდან ანტიოქიაში ჩამოვიდა, რომ ტერენციუსისა და მისი ამხანაგების დასჯა ენახა. იგი, აქ, მელის მთის თავზე დამჯდარიყო და სამ ჯვარს მისჩერებოდა. მთელი

დღე იჯდა აქ, უყურებდა და უსმენდა. ზოგიერთებმა იცნეს იგი და გამოელაპარაკნენ, მაგრამ მას პასუხი არ გაუცია. მთელი ამ ხნის განმავლობაში დუმდა; მხოლოდ კნოპსს დაუძახა ორიოდე ცრუ და მანუგეშებელი სიტყვა.

კარგა ხნის დაღამებული იყო და, რაკი სანაძლეო, თუ ვინ მოკვდებოდა პირველი და ვინ უკანასკნელი, უკვე გადაწყდა, მაყურებელთა უმეტესობა წავიდ-წამოვიდა. ჩირაღდნები ჩაქრა, მთვარე ჩავიდა. კვადრატუსი და მისი ჯარისკაცები შიშველ მიწაზე წამოწვნენ, ღრეობდნენ, კამათელს აგორებდნენ და უგულოდ ადევნებდნენ ოვალს ტრენციუსის სიკვდილს.

იოვანე უყურებდა ჯვარცმულ ტერენციუსის სასიკვდილო კრუნჩხვას და ერთსა და იმავე დროს სიხარულსაც გრძნობდა და საშინელ სიბრალულსაც. აცივდა, იოვანე აძაგძაგდა, მაგრამ უკეთ გაეხვია წამოსასხამში, მოიბუზა და დარჩა. მას ბოლომდე უნდა ენახა ტერენციუსის სიკვდილი და არც ერთი წვრილმანი არ გამოპარვოდა. გრძნობდა, რომ ყველაზე უფრო ახლა მიუახლოვდა უდიდესი კითხვის, მწვავე კითხვის გადაჭრას: საიდან მოდის მწუხარება და ბოროტება და რად არის იგი ქვეყანაზე? თუ სურს, რომ საგულდაგულოდ აღწეროს ზეგარდმო მოვლენილი გამოცხადება, ტერენციუსის სიკვდილი უნდა ნახოს.

რადგან ამ კაცისმკვლელის სიკვდილიც მსოფლიო ვნების ნაწილია.

მკრეხელობა ხომ არაა, რასაც ახლა ფიქრობს? არა, ესეც გამოცხადების ნაწილია. მან ნათლად დაინახა, რომ თვითონაც „საუკუნის მეხუთე ბეჭდის“ კაცთაგანია, შეჩვენებული და ამავე დროს კურთხეული, რათა იცოცხლოს და თან მკვდარიც იყოს, და მეხუთე ბეჭედი, რომელიც აქამდე დახშული იყო მისთვის, გაეხსნა. ნერონის ეს საბრალო მაიმუნიც, ამბობდა მცნება, ემსახურება გონებას, მისი ამაღლება, მისი მეფობა და მისი წამება სიკეთის სამეფოსთან გვაახლოვებს.

თუ ერთგულები ჭეშმარიტების მისაღწევად დასძლევენ ხოლმე ბოროტებას, კაცობრიობამაც ხომ უნდა გადააბიჯოს ბოროტების სამეფოს, ვიდრე სიკეთის სამეფოს მიაღწევდეს. სატანის, ანტიქრისტეს გარეშე ქრისტე წარმოუდგენელია; თუ

არ იქნა ათასწლიანი ცოდვისა და მონანიების სამეფო, ისე არ მოვა აღთქმული ხსნა. ამიტომ ნერონისა და მისი მაიმუნის მეფობაც .აუცილებელი და აზრიანი იყო.

იოვანემ გაიგო იუდეველ მოძღვართა ბნელი და ამაზრზენი მცნების არსი: „შენი ავი ზრახვითაც ემსახურე ღმერთს“. ის მიხვდა, რომ ავი ზრახვებიც გონებისა და სიკეთის წინსვლისათვის არის გაჩენილი.

ისინი, ვინც ამ საცოდავ ტერენციუსს ედგა უკან, თავიანთი მდაბალი და ბილწი მიზნებისათვის იღწვოდნენ, მაგრამ თავისდაუნებურად ქვეყნის ამ ორივე ნახევრის გაერთიანებას



ლამობდნენ. ის, რაც ნერონისა და მისი მომხრეების უღიმღამო თამაშიდან დარჩა, ეს იყო გაერთიენების იდეა, ბოროტი კი არა, მესიანური. თუ ყველაფერს შორიდან შევხედავთ, ბოლოსდაბოლოს ყოველი ცალკეული სიგიჟე ემსახურება გონებას, რომელიც დროს აწესრიგებს და წინ მიჰყავს იგი.

წყვდიადის გარეშე გაუგებარი იქნებოდა სინათლის აზრი. ნათელმა თავისი თავი რომ შეიცნოს, ჯერ თავისი საპირისპირო რამ, წყვდიადი უნდა შეიცნოს.

იოვანეს გონებაში დალაგდა ღვთაებრივი სიტყვები, რომელიც ხალხისთვის უნდა ეუწყებინა და მან მიაგნო პირველ წინადადებას.

„პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი. ესე იყო პირველთაგან ღმრთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. მის თანა ცხოვრება

იყო და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.

ტერენციუსმა მთელი ღამე იცოცხლა. ცისკრის ჟამს მიიცვალა მაქსიმუს ტერენციუსი, რომელიც რამდენიმე მილიონი კაცისთვის წლების მანძილზე იმპერატორი ნერონი იყო.

დათქმულ ფასად შეიძლებოდა დასჯილთა გვამების გამოსყიდვა და დაკრძალვა. უფრო გვიანდელი გადმოცემის მიხედვით რომის მთავრობისგან დათქმულ ფასად გამოუსყიდიათ ტერენციუსის გვამი, ჯვრიდან ჩამოუხსნიათ, განუბანიათ და დაუწვავთ. ურნა კი რომში გადაუგზავნიათ.

სანდო წყაროებიდან ცნობილია, რომ კლავდია აქტამ თავის მამულში, რომში, აპიუსის გზაზე, ნერონის ურნის გვერდით მეორე ურნაც დადგა და სიკვდილამდე უვლიდა. ეს იყო უცნობის ფერფლი, წარწერის გარეშე.

ცნობები და მინიშნებები ცრუ ნერონზე იხილეთ ტაციტუსის, სვეტონიუსის, დიონ კასიუსის, ზონარესა და ქსიფილინეს ნაწერებში, ამას გარდა იოვანეს გამოცხადებასა და სიბილას შეოთხე წიგნში.

შინაარსი

წიგნი პირველი

ალმართი 3

წიგნი მეორე

მწვერვალი 125

წიგნი მესამე

დალმართი 243

წიგნი მეოთხე

დაცემა 345

Л. Фейхтвангер

Лже Нерон

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1963

რედაქტორი ლ. ცოტაძე

მხატვარი ლ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ეთ. აბდუშელიშვილი
კორექტორები: პ. ღელეყვა, ნ. აფხაზავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VII—69 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 22,96. სააღრ.-საგამომც. თაბახი 20,02. საავტორო თაბახი 18,86.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 401.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.